მდგომარე არიან, არამედ, რათა ჩუენ მოჴსენებითა შრომათა და ღუაწლთა მათთაჲთა ღიითი-ღღე ფრთოვან-ვიქმნებოდით, და ბაძვად სათნოებათა მათთა წარვემატებოდით“[13]. წმ. გიორგი მთაწმინდელი ეპისტოლეშიც, თხზულებასთან ერთად, ბიბლიური და წმინდა მამათა ჰიპოდიგმურ-პარადიგმული საზისმეტყველებით აისახება. ესენია: წმ. პახუმი დიდი, წმ. ანტონი დიდი და წმ. მაკარი მეგვიპტელი, იმოწმებს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველისა და წმ. ბასილი დიდის საღვთისმეტყველო სიბრძნეს. ავტორმა წმ. ბასილი დიდის სიტყვები დაიმოწმა, დაფარული სიბრძნე შეადარა უჩინო საუნჯეს და ევანგელური სიბრძნის კვალობაზე პასუხად განაცხადა, რა სარგებელი შეიძლება ამისგან იყოს? ამიტომ „ტალანტისა დამფლველთა და წყაროჲსა დამყოფელთა და საუნჯისა უჩინო-მყოფელთა თანა დაისაჯოს“, რაც თავისი მომავალი საქმიანობის საფანელად აქვს მოაზრებული. მისმა ღვაწლმა თავისი მოძღვრის შესახებ თხზულების დაწერით სულს სარგებელი უნდა მოუტანოს; იოვანე საბანის ძის მსგავსად მწერალს მიაჩნია, რომ მცონარობის გამო „სიღრმესა დავიწყებისასა“ არ უნდა მიეცეს წმინდა მამის ღვაწლი, მოქალაქობა, დამსახურება. ზოგმა შეიძლება შურითაც არ აღწეროს, „რათა სულისა სარგებელი თხრობაჲ“ არ დარჩეს მომავალ თაობებს. სწორედ ეს მიზეზებია მისი მეტყველების საფუძველი, ამ მიზეზებმა აიძულეს იგი პირუტყვთა მიმსგავსებული გონება აემოქმედებინა და ძალისაებრ შეასხას ქება წმინდა მამას. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა კვალობაზე, „ყოველივე, ძალისაებრ ქმნული, მითუალულ არს ღმრთისა მიერ“, შეუდგა ამ მძიმე საქმის აღსრულებას და დაიწყოს „სიტყუად უნდოჲსა ძალისა ჩემისაებრ და, რაოდენ უძლო, მართივად და სულმცირედ აღვსწერო, არა თუ სხუათაგან სმენილი, არამედ, უმეტეს ყოვლისა, წმიდისა და უტყუველისა პირისა მისისაგან მოთხრობილი სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისაჲ, რომელსა-იგი, ვითარცა ერთგულსა შვილსა, არა დამიფარვიდა სარგებელისათჳს ჩემისა, ხოლო შემდგომი რომელიმე თუალითა ხილული და რომელიმე კაცთა მიერ სარწმუნოთა და წმიდათა უწყებული, რათა ესრეთ ერთობით შევკრიბო საწადელი ესე და სასურველი მოთხრობაჲ და, ვითარცა ჯაჭჳ ოქროჲსაჲ, ერთობით შეთხზული და შეწყობილი, წარმოვსცე წინაშე სიწმიდისა თქუენისა, საკჳრველსა მაგას და სასურველსა მთასა, რომელსა შინა თავს-ისხნა მრავალნი შრომანი და ღუაწლნი კაცმან მან ღმრთისა შეყუარებულმან თარგმანებისათჳს წმიდათა წიგნ-

[13] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II, გვ. 103-104.

თასა“[14]. მთელი ეპისტოლე დაწერილია მჭევრმეტყველური სტილით, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით.

ამრიგად, გიორგი მცირის ეპისტოლეს სახისმეტყველებითი და ისტორიული ღირებულება აკისრია, რადგან იგი გვეხმარება მწერალი-ჰაგიოგრაფის მიზანდასახულობის, ეპისტოლის დანიშნულების, წმ. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობისა და მოქალაქობის შესახებ თხზულების შექმნის მნიშვნელობის განსაზღვრაში, გიორგი შეყენებულისა და გიორგი მცირის ურთიერთობის, განათლების, საზოგადოებაში მათი ადგილის, ავტორიტეტის, რაც მთავარია, სულიერი ხატ-სახის გააზრებაში, თხზულების მიზანდასახულობასა და დაწერის თარიღის, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებათა მახასიათებელთა განსაზღვრაში, მწერლის საღვთისმეტყველო ცოდნის, მსოფლმხედველობისა და მხატვრული სააზროვნო სივრცის აღქმაში. ქართული ჰაგიოგრაფია ეპისტოლარულ სტილს იყენებს თავისი მიზანდასახულობის კვალობაზე, მასში აქსოვდნენ თავიანთ მსოფლმხედველობრივ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს, რაც ეპოქის სულისკვეთებას, საზოგადოებრივ მდგომარეობასა და მოთხოვნებს ასახავდა.

დაკვირვება მოწმობს, რომ გიორგი მცირის, ისევე როგორც სამოელ ქართლის კათოლიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლის არქეტიპია ახალი აღთქმის ეპისტოლარული ნაწილი, შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და პავლეს თოთხმეტი ეპისტოლე, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ახალი აღქმის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასა და, საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიის ეპისტოლეებს შორის, კერძოდ, გიორგი მცირის ეპისტოლეს შორის, განსხვავება თვალსაჩინოა. მოციქულთა ეპისტოლეების ძირითადი დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრების ქადაგება იყო, ხოლო ჰაგიოგრაფიული თხზულებისათვის წამძღვარებულ ეპისტოლეს სხვა დანიშნულება აქვს, იგი მკითხველს აკვალიანებს თხზულების შექმნის აუცილებლობაში, ამცნობს იმ ვითარებას, რის გამოც შეიქმნა იგი. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა გიორგი მცირის ინდივიდუალური სახის მქონე ეპისტოლეს უდიდესი საღვთისმეტყველო-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. ჰაგიოგრაფმა თავის ეპისტოლეში მკითხველამდე მიიტანა თავისი ძირითადი სათქმელი, წარმოეჩინა თხზულების შექმნის საფუძველი და განემარტა თავისი თხზულების მიზანდასახულობა.

[14] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. II, გვ. 105.

***Nestan Sulava***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# EPISTLE OF GIORGI MTSIRE TO ST. GIORGI MTATSMINDELI (ATHONITHE)

Summary

Giorgi Mtsire's epistle, which precedes his hagiographic work "The life of St. Giorgi Mtatsmindeli", has historical and rhetorical value. It helps us to understand the purpose of the writer-hagiographer, the purpose of the epistle, in determining the importance of works about St. Giorgi Mtatsmindeli, in understanding the relationship between Giorgi Mtatsmindeli and Giorgi Mtsire, their education, their place in society, authority, and most importantly, their spiritual image, the purpose of the works and the date of writing, the characteristics of hagiographic genre works, the theological knowledge of the writer, in the perception of worldview and artistic thinking space. Georgian hagiography uses the epistolary style to trace its purposefulness. They weaved their worldview, literary-aesthetic views, which reflected the spirit of the era, social situation and requirements.

The observation proves that the archetype of the epistle of Giorgi Mtsire, as well as the epistle of Samoel Catholicos of Kartli and Iovane Sabanisdze, is the epistolary part of the New Testament, the seven Catholic epistles and the fourteen epistles of Paul, but they differ from each other. The difference between the epistolary heritage of the New Testament and, in general, the epistles of hagiography, in particular, the epistle of Giorgi Mtsire, is visible. The main purpose of the epistles of the apostles was to preach the Christian doctrine, while the epistle used for hagiographic works has a different purpose, it informs the reader about the necessity of creating the works, and informs him of the situation due to which it was created. As a result of the observation, it was revealed that the epistle with an individuality of Giorgi Mtsire has the greatest theological and literary significance. In his epistle, the hagiographer brought his main point to the reader, presented the basis of his writings, and explained the purpose of his writings.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX**
**თბილისი. 2023**

***მიხეილ ბაბუაძე***
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# გიორგი V ბრწყინვალის ქართული ტიტულატურისათვის

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა დაფიქსირებულია ისტორიულ საბუთებში, ნუმიზმატიკურ და ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, ნარატიულ წყაროებში, სხვადასხვა სახის მინაწერებში და სხვ. ცხადია ყველაზე სრულად დაცულია თავად მეფეთა მიერ გაცემულ სიგელებში. საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურის შესწავლისათვის ეს უმთავრესი წყაროა, გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ სიგელი წარმოადგენდა ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტს. სამწუხაროდ სიგელების მეტად მცირე რაოდენობამ მოაღწია ჩვენამდე და ზოგიერთი მეფის მიერ გაცემული საბუთი საერთოდ არ მოგვეპოვება. ძალიან საინტერესოა ნუმიზმატიკური მასალა. აქ დაფიქსირებული ისეთი ტიტულატურა რომელიც სიგელებში არ გვხვდება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მონეტების მცირე ზომების გამო მასზე განთავსებულ ზედწერილებში ძნელი იყო სრული ტიტულატურის ასახვა და მსგავსი რამ თითქმის არ გვხვდება. დაახლოებით ასეთივე ვითარება გვაქვს ეპიგრაფიკულ ძეგლებთან დაკავშირებითაც. ყველაზე ნაკლებად სანდოა ნარატიული წყაროები, რადგან მემატიანენი არც იყვნენ ვალდებული და არც მოიხსენიებდნენ მეფეებს სრული ოფიციალური ტიტულატურით. ყველაზე სანდო წყაროს მაინც ისტორიული საბუთები წარმოადგენს, სადაც წესით, უნდა დაფიქსირებულიყო მეფის სრული ტიტული.

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურის შექმნა ბაგრატ III-ის დროიდან იწყება. ივ. ჯავახიშვილის წერდა, „სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომელიც ბაგრატ III-ის დროიდან იწოდებოდა მეფეთამეფედ. ხელმწიფის სრული სახელწოდება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ვრცელი ხდებოდა. იგი არეკლავდა საქართველოს თანდათანობით პოლიტიკურ ზრდას და სახელმწიფო საზღვრების გაფართოების ისტორიას. ამიტომ თავისი მე-

ფობის დასაწყისში ბაგრატ III იწოდებოდა მხოლოდ „მეფე აფხაზთა და ქართველთა“, ხოლო უფრო გვიან ... „მეფე აფხაზთა , ქართველთა, რანთა და კახთა.[1]“

ამჯერად გვინდა ყურადღება შევაჩეროთ გიორგი V ბრწყინვალის ქართულ ტიტულატურაზე. გიორგი V-მ შეძლო პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს კვლავ ერთ სამეფოდ გაერთიანება. გააძლიერა სამეფო ხელისუფლება. გაათავისუფლა ქვეყანა მონღოლთა ბატონობისგან. ანდევნა შიდა ქართლიდან ოსები. ანაახლა ურტიერტობა ევროპასთან და ა.შ. საინტერესოა, როგორი იყო მისი ქართული ტიტუყლატურა. ისეთი როგორც ეს ტრადიციულად იყო XII საუკუნეში თუ ამ ტიტულატურაში განსხვავებული ფორმულირებებიც შევიდა.

გიორგი V-ის ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ თავნაკლულ საბუთში, სამწუხაროდ მეფის სრული ტიტულატურა არ წერია. მხოლოდ ტიტულის ბოლო ნაწილია დაფიქსირებული – „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით ფლობით ხელმწიფედ მპყრობელი.[2]“

თუ გავითვალისწინებთ ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურას, რომელიც სრული სახით პირველად გიორგი III-ის 1177 წლის სიგელში ფიქსირდება – „გიორგისაგან ბაგრატუნიანისა ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შარვანშაი და შაჰანშაი და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობითმპყრობელისა,[3]“ ცხადია, რომ გიორგი V-ის ტიტულატურის დასაწყისი იქნებოდა – „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა.“

ამდენად გიორგი V ბრწყინვალის ტიტულატურა შეგვიძლია ასეთი სახით აღვადგინოთ – „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით ფლობით ხელმწიფედ მპყრობელი.“ აქ თითქოს ყველა-

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. 2. თბ. 1965, გვ. 398.

[2] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II. ქართული ისტორიული საბუთები. XIV-XV სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ. ტომის რედაქტორი მზია სურგულაძე. თბ. 2013, გვ. 37.

[3] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. I. ქართული ისტორიული საბუთები. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს: თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა. ტომის რედაქტორი ნ. შოშიაშვილი. თბ. 1984, გვ. 71.

ფერი ცხადია, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი.

XIV საუკუნის ბოლოდან ბაგრატიონთა ტიტულატურაში ჩნდება კიდევ ერთი ფორმულირება – „**ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი და ორივე სამეფოს გამაერთიანებელი**“. პირველად ასეთი ტიტული დასტურდება გიორგი VII-ის 1393 წლის სიგელში – „**განმაერთებელმან ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისამან, ორსავე სამეფოს მტკიცედ და შეურყევლად მპყრობელმან**, აფხაზთა და ქართველთა მეფემან გიორგი.[4]“

შემდეგ მსგავსი ფორმულირება გვხვდება უკვე ალექსანდრე I-ის სიგელებში.

1413 წლის – „მე, მონდობილმან და მსასოებელმან წყალობისა თქუენისამან და **ორისავე სამეფოსა მტკიცედ შეუჭრეთელად და შეურევლად მპყრობელმან**, აფხაზთა და ქართველთა მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და ნებებითავე და წყალობითა თქუენითა, ძეთა ჩემთა, მოწლედ და სურვილით და შევრდომითა მვედრებელთა თქვენთა ვახტანგ და დიმიტრი.[5]“

1419 წლის – „**განმაერთიანებელმან ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ორისავე სამეფოსა მტკიცედ და შეურყევლად მპყრობელმან** აფხაზთა და ქართველთა მეფეთა, მეფეთა-მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩემმან დიოფალთა-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა სახემონაზვნობით შემვრდომმან და მსასოებელმან თქუენმან და ინებოს ზენამან განგებამან აურაცხელისა წყალობისა თქუენისამან, განმზადებულმან აღსვლად ხარისხსა წმიდათა მღდელთმოძღუართასა, დღეს მონაზონმან დავით და ძმათა მისთა: ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი და ძმათა ჩუენთა: ბაგრატ და გიორგი.[6]“

1420 წლის – „**ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ორისავე სამეფოსა მტკიცედ და შურყევლად მპყრობელმან**, აფხაზთა და ქართველთა, დავითიან-ბაგრატონიანმან, მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩემმა, დედოფალთა დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა, სათნომან ღმრთისამან და ჩუენ მიერ ყოვლითურთ სასურველ-საწადელმან მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი და ძმათა ჩუენთა: ბაგრატ და გიორგი.[7]“

1424 წლის 6 იანვრის სიგელი სვეტიცხოვლისადმი – „[*ხახულისა და ვარძიის ღმრთისმშობელო, ჩუენ* ***განმაერთებელმან ლიხთ-იმერისა და ლიხთ-***

[4] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 61.
[5] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 112.
[6] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 124.
[7] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 128.

***ამერისამან ორთავე სამეფოთა ტახტისა ... მპყრობელმან*** ... *მეფეთა-მეფემან*][8] ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩემმან, დედოფალთ-დედოფალმან ატრონმან თამარ და ძეთა ჩუენთა, ჩუენ მიერ ყოვლით სასურველ-საწადელმან და სათნომან ღმრთისამან და ნებითა თქუენითა წყლობააურაცხელისა ღმრთისათა, საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა პატრიარქად განმზადებულმან, მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი.[9]“

1441 წლის – „მე ყოვლითა ცოდთა აღსავსემან და ცოდსა ნაბრძლითა ბაბილულმან (?) მოქენემან და მოსავმან წყალობა აურაცხელობათა თქუენთამან, თქუენივე ძალმწეობითა ორსავე ტახტისა **ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა მპყრობელმან** ალექსანდრე ვიგულისმოდგინე.[10]“

ჩნდება კითხვა, როდის უნდა გაჩენილიყო ფორმულირება ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ფორმულირება – „**ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი**“? ბუნებრივია მხოლოდ მას შემდეგ რაც XIII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ორად გაყოფილი სამეფოს ერთიანობა აღდგა და ეს მოხდა გიორგი V ბრწყინვალის დროს XIV საუკუნის 30-იან წლებში.

გიორგი VII-სთან ფორმულირება – „**ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი**“ უკვე ფიქსირდება. ამდენად, თეორიულად, ტიტული – „**ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი**“, პირველად შეიძლება მიეღოთ: გიორგი V ბრწყინვალეს, დავით IX-ს, ბაგრატ V-ს ან თუნდაც გიორგი VII-ს.

ამავე პერიოდში მოღვაწეობენ ე.წ. პროვინციის მეფეები: ანდრონიკე, დავითი, გიორგი. ზოგიერთი მათგანის ტიტულატურა ჩვენთვის ცნობილია. ანდრონიკე 1348 წლის სიგელში იწოდება – „ანდრონიკესაგან ბაგრატუნიანისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ხელმწიფედმპყრობელისა.[11]“ დავითი – „ჩუენ, იესეიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიან, აფხაზთა, რანთა, კახთა, შაჰანშა და შარვანშაჰ, საქართველოს მპყრობელმან და ხელმწიფემან მეფეთ-მეფემან დავით და ძთა ჩუენთა: გიორგი და ალექსანდრე“[12].

[8] ეს ნაწილი აღდგენილია თედო ჟორდანიას მიხედვით
[9] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 134.
[10] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 230.
[11] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 44.
[12] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 51.

პროვინციის მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, ტიტულატურაში არ ფიქსირდება ფორმულირება – „**ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი**“ (სამაგიეროდ ჩნდება – „იესეიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატიან“. ერთიანი საქართველოს მეფეების ტიტულატურაში „დავითიანი“ პირველად ჩნდება გიორგი VII-ის 1387 წლის სიგელში[13], „სოლომონ, დავითიანი“ კონსტანტინე I-ის საბუთში[14], ხოლო – „იესეიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატონიანი“ ალექსანდრე I-ის 1428 წლის 21 იანვრის სიგელში[15]“).

ჩვენი აზრით, გიორგი V ბრწყინვალეს, დავით IX-ს, ბაგრატ V-ს და გიორგი VII-ს შორის, ყველაზე რეალურია რომ ცვლილება ტიტულში და დამატება ფორმულირებისა – „**ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელი**“ მომხდარიყო სწორედ გიორგი V ბრწყინვალის დროს.

რატომ გახდა საჭირო ამ ტიტულის შემოღება? ჩვენი აზრით, ტრადიციული ტიტულატურა აღარ ასახავდა რეალობას. რამდენიმე საუკუნეა უკვე აღარ არსებობდა სამეფოები: აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა. შესაძლოა მათი არსებობა ტიტულატურაში თანამედროვეებს არ უქმნიდა რეალობის განცდას და გამორიცხული არაა ვერც აღიქვამდე თუ რეალურად რა ტერიტორია თუ მხარეები მოიაზრებოდა ამ ტიტულატურაში. საჭირო იყო ტიტული, რომელიც იმ ეპოქის რეალობას ასახავდა და ყველასთვის გასაგები იქნებოდა თუ რა იგულისხმებოდა. ფორმულირება რომელიც კიდევ ერთხელ გაუსვამდა ხაზს რომ სამეფო ერთიანია. ასეთი კი იყო ლიხთ იმერი და ლიხთ ამერი, რომელიც ძალიან ნათლად წარმოაჩენდა: რომ საუბარია მთელს საქართველოზე, რომ გაერთიანებულია უკვე თბილისისა და ქუთაისი ტახტები. „განმაერთიენებელი ლიხთ-იმერი და ლიხთ-ამერი“ – ამ ფორმულირებაზე უკეთესის მოფიქრება მართლა შეუძლებელი იყო.

გარდა ამისა, ალბათ იყო კიდევ ერთი მომენტი. როგორც ზევით ვნახეთ პროვინციის მეფე ანდრონიკეს ტიტულატურა არაფრით განსხვავადებოდა ერთიანი საქართველოს მეფეთა ტრადიციული ტიტულატურისგან. ეს გარკვეულწილად გამოწვევა იყო ერთიანი საქართველოს მეფისთვის. შესაძლოა, კიდევ ერთი არგუმენტი ტიტულატურაში „ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის დამატებისა, იყო სურვილი, რომ ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტუ-

[13] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 56.
[14] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 98.
[15] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ტ. II, გვ. 159.

ლატურა ყოფილიყო უფრო ,,აღმატებული'' და განსხვავებული პროვინციის მეფეთა ტიტულატურისგან.

ყოველივე ზემოთ თქმული ცხადია მხოლოდ ჩვენი მოსაზრებაა, რომელიც წყაროებში არსებული მონაცემების ინტერპრეტაციას ემყარება.

ჩვენი აზრით, გიორგი ბრწყინვალის სრული ქართული ტიტულატურა შესაძლოა ყოფილიყო – ,,**ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე, შარვანშა და შაჰანშა, განმაერთებელი ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუით ფლობით ხელმწიფედ მპყრობელი**''.

***Mikheil Bakhtadze***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# ABOUT THE GEORGIAN TITULATURE OF GIORGI V THE BRILLIANT

Summary

We have very little information about Giorgi the Brilliant, and what we have, they do not record the full Georgian title of the king.

In the document of Giorgi V that has reached us, unfortunately, the full title of the king is not written. Only the last phrase of the title is recorded.

If we take into account the titles of the kings of the united Georgia, it is clear that the beginning of the titles would be – "By the will of God, the king of the Abkhazians, Kartvelians, Ranians, Kakhetian and Armenians, Sharvansha and Shahansha."

Another point to be considered is that from the end of the 14th century another formulation appears in the title of the Bagrations – the owner of Likht-Imer and Likht-Amer and the unifier of both kingdoms. For the first time such a title is confirmed in the 1393 charter of Giorgi VII. Then similar formula can be found already in the charters of 1413, 1419, 1420 and 1441 of Alexander I.

The question arises, when should the formula – owner of Likht-Imer and Likht-Amer appear? Only after the unity of the divided kingdom was restored, and it happened during the reign of Giorgi the Brilliant.

Theoretically, the title – "owner of Likht-Imer and Likht-Amer" could be accepted for the first time by: Giorgi V the Brilliant, David IX, Bagrat V or even Giorgi VII.

Why was it necessary to introduce this title? The traditional titulature no longer reflected reality (for several centuries there were no more Abkhazian, Kartvelian, Ranian and Kakhetian kingdoms) and to some extent reflected "frozen reality". They needed a title that reflected the reality of that era and

would be understandable to everyone. "Owener Licht-Imer and Licht-Amer" was a formula, which reflected this situation.

In our opinion, the full Georgian title of Giorgi the Brilliant could have been – the king of Abkhazians, Kartvelians, Ranians, Kakhetians and Armenians, Sharvansha and Shahansha, the unifier of Likht-Imer and Likht-Amer, the ruler of all the East and West.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX**
**თბილისი. 2023**

*მაია შაორშაძე*
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

# ქართლის მთავარეპისკოპოსი ევდემოზ რატიშვილი და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ქრონოლოგიური საკითხის დაზუსტება

ევდემოზ (ევდემონ, ევდემოს) რატიშვილი//რატისშვილი, გლონისთავისძე, ქსნის ერისთავთ-ერისთავის სახლის ძე, XVII საუკუნის II ნახევრიდან XVIII საუკუნის 10-იან წლებამდე მოღვაწეობდა და ამ პერიოდში სამ საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა: თავდაპირველად ურბნისის, შემდეგ – მანგლისის და ბოლოს, ქართლის მთავარეპისკოპოსის. იგი იყო ძე მეჯინიბეთუხუცეს პაპუა (პაპია) რატიშვილისა (1659-1670 წწ.) და ძმა ქაიხოსრო ბოქაულთუხუცესისა და სახლთუხუცესისა (XVII ს. II ნახ.), რომელსაც 1665 წელს, გიორგი ბატონიშვილმა შულავრის, თეთრი უბნისა და ნაქალაქეკლესიის მოურაობაც უბოძა. ჰყავდა სხვა ძმებიც: ფარემუზი და ოტია.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი „ყანჩაეთის ჟამნ-გულანი“ (ხეც, H-1452),[1] რომელიც 1674 წელს მთავარეპისკოპოს ევდემოზ რატიშვილის, გლონისთავისძის, ქსნის ერისთავთ-ერისთვის სახლის ძის დაკვეთით შეუდგენიათ (23 v, 35 r, 68 r, 81 v, 527 v, 576 v). ხელნაწერს ახლავს მთავარეპისკოპოს ევდემოზ რატიშვილის პორტრეტი (სრულფიგურიანი გამოსახულება), სადაც იგი აღნიშნულ ჟამნ-გულანს ჩვილედი ღვთისმშობლის ხატს წარუდგენს. ეს ფაქტი, ჩვენამდე მოღწეულ დასურათებულ ხელნაწერთა კოლექციაში ერთერთ გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს.

[1] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). ფონდი H-1452.

ხელნაწერის გადამწერები არიან: ზაქარია (23 v), [ონოფრე მთიული] (202 r, 211 r) და „მღდელი საბაჲ“ (516 v). ჟამნ-გულანი შემკულია ფერადებით ნაწერი ილუსტრაციებით (მინიატურები, თავკაზმულობანი, ბოლო-კაზმულობანი). უხვად არის წარმოდგენილი სამყაროს შექმნის, თორმეტ საუფლო დღესასწაულისა თუ წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ილუსტრაციები. ხელნაწერი ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ყანჩაეთის ეკლესიიდან 1916 წელს.[2]

ამ ლიტურგიკული ხელნაწერის შედგენილობა მრავალფეროვანია და მასში თავმოყრილია სხვადასხვა ხასიათის სასულიერო ლიტერატურული ძეგლებისა და საღვთისმსახურო წიგნთა კრებული: კონდაკნი, გალობანი, მარხვანი, ზატიკი, ფსალმუნნი, ჟამნი, სვინაქსარი, წარდგომანი, სტიქარონნი, დაბადება-სახარება-სამოციქულოთა საკითხავები და ა. შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟამნ-გულანის ანდერძ-მინაწერები, საიდანაც მრავალი ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ფაქტი ხდება ცნობილი.

ერთერთი მინაწერი ასეთი შინაარსისაა: „მონაჲ ღ(მრ)თისაჲ ჭეშმარიტისა და მოღვაწე მსახურებისა მისისა სულიერი მამა და მოძღ(უა)რი შენი, **მთავარ-ეფისკოპოზი** მოგანიჭებს ქრისტეს მიერსა შენდობაჲსა...“ ეს უკანასკნელი პარაგრაფი გამოქვეყნებულია ექ. თაყაიშვილის მიერ.[3] ტექსტის ბოლოს მიწერილია – **„ევდემან, მონაჲ ღ(მრთისა)ჲ“** (15 r).

„კურთხევანის“ ნაწყვეტს ახლავს ანდერძი (გადამწერისა): „უფალო, შეიწყალე ცოდვილი ზაქარია, რომელმან ესე ჟამ-გულანი, რაჲც უძლურებისა ჩემისა მეძლო, მოვიჭირვე კარგად გაკეთება, ბრძანებითა **მთავარებისკოპოსისა რატიშვილის ევდემოზისაჲთა**, რომლისა კურთხეულმცა არს საჭსენებელი მის[ი]. რამეთუ იყო ტკბილ სიტყჳთა, მშჳდ გულითა, და ესე საკჳრველ იქმნა: ებრძანებინა და ვეახელ. მას ღამესა, ჟამსა ცისკრისასა, მეძინა სენაკსა მცირესა გოდოლსა. მას თანა იყო ზღუდე გალავნისა, სიმაღლე წყრთაჲ ია. გამოველ საჭამარისათჳს ჰორცთასა. გარდამიცდა ფერჴი და ძირსა დავარდი მის გალავნისასა და კიდევ უზიანოთ მოვრჩი ღ(მრთ)ისაჲ შეწევნითა და მე-

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. III. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია). კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1948, გვ. 381.

[3] Е. Такайшвили. Канчаетский жам-гулани и исторические приписки его кинклоса Сб. М. О. М. Ил. К. В. 29; Тиф. 1901, გვ. 119.

ოხებითა წმიდისა მამისა დავითისითა. ღ(მრ)თის გულისათჳს შენდობაჲ ყავთ, ვინ მიემთ[ხჳვნ]ეთ ნაჩხაბსაჲ ამას ქ(ორონი)კ(ონ)სა **ტპა“ (381+1312=1693 წ.)**.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ადგილზე, ქორონიკონ „ტპა“-ს ნაცვლად, H კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის III ტომში ვკითხულობთ „ტპი“ (=1702 წ.), რაც არასწორი წაკითხვის ან არასწორი ბეჭდვის შედეგი უნდა იყოს.[4]

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლოცვას ახლავს შემდეგი ანდერძი: „წმიდაო ღ(მრ)თისმშობელო, შეიწყალე ცოდვილი **მთავარეფისკოპოზი ევდემოზ** და მიჰსენ მარცხენით რიცხვისაგან. მიოხე წინაშე ძისა შენისა და ღ(მრ)თისა ჩ(უე)ნისა“.[5]

ჟამნ-გულანის ზოგიერთ ილუსტრაციას აშიებზე კალიგრაფიული მხედრულით მიწერილი აქვს ევდემოზ ურბნელის ლექსები (სასულიერო შინაარსისა): 1. ა. r-ზე, ევდემოზის ფერადებით შესრულებული პორტრეტის მარჯვენა მხარის გასწვრივ, ღვთისმშობელისადმი მიძღვნილი ლექსი, რომლის ორი უკანასკნელი სტრიქონის დასაწყისი სიტყვები ამჟამად მოხეულია: „ქ. შენ ხარ სუნნელთა საუნჯე კვიპაროზ-ზურმუხტიანი...“ (შდრ. ე. თაყაიშვილი «Канчаетский жам-гулани» გვ. 120-121, სადაც გამოქვეყნებულია ევდემოზის ლექსების ეს ტექსტები).

2. ევდემოზ მთავარეპისკოპოსის რედაქტორობით გადაწერილი, კაბენის მონასტრისთვის შეწირული ჟამნ-გულანი 1724–25 წლებში მუხრანის ბატონის, ერეკლეს ძის, ბატონიშვილ მამუკას ხელში ყოფილა, რაზეც მოწმობს ბატონიშვილ მამუკას მხედრული წარწერები (337 v და 451 r-v-ზე). 3. ევდემოზ ურბნელის ანდერძი, მიწერილი 1. ა. r-ზე ამჟამად მეტად დაზიანებულია და გაბმით იკითხება მხოლოდ დასაწყისი: „ყოვლად წმიდისა ძისა ღ(ვ)თისა და მვედრებელი უნდო და უღირსი, ყოველთა კაცთა [უნარჩევესი]...“[6]

ევდემოზის სხვადასხვა დროის ანდერძ-მინაწერები განთავსებულია ხელნაწერის შემდეგ გვერდებზეც (ტექსტის ხელით):

„ილოცვიდით და იმარხვიდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა, „სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჴორცნი უძლურ“. მამკობელი ამისი **მან-**

[4] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. III (H კოლექცია), გვ. 382.
[5] ხეც. ფონდი H-1452. 576 v.
[6] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. III (H კოლექცია), გვ. 389-390.

**გლელი ევდემონ** (ფერადებით ნაწერი თავკაზმულობის ქვეშ, ოქროს დიდი, მრგვლოვანი ასოებით და ქვემოთ სინგურით, წვრილი კალიგრაფიული მხედრულით 24 r).

„წმიდაო სამებაოჲ, ერთარსებაჲო, სრულო და მოუკლებელო და მრავალმოწყალეო! შეიწყალე ცოდვილი **ურბნელ-მთავარებისკოპოზი ევდემოზ,** რომელმან აღვაწერინე ჟამ-გულანი ესე“ (35 r მეტად წვრილი ნუსხურით, ქვემო აშიაზე).

„უფალო ღმერთო, აცხოვნე **ურბნელ მთავარეფისკოპოზი ევდემოზ“** (68 r ზემო არშიაზე და ანალოგიური ანდერძი 81 v, 353 r).

„ქრისტე, ადიდე **გლონის თავიძე, ქსნის ერისთავთ-ერისთვის სახლის ძე, ურბნელ მთავარებისკოპოზი ევდემოზ“** (220-r ზემო აშიაზე, წვრილი ნუსხურით).

„უფალო ღმერთო! ადიდენ ორთავე შინა ცხორებაჲთა **ურბნელ მთავარებისკოპოსი პატრონი ევდემოზ** ამინ. ჩფ“ (272-v აშიაზე, მეტად წვრილად).

ა. „ღმერთო! შეიწყალე ცოდვილი **მთავარეფისკოპოზი,** რომლისა ბრძანებითა აღიწერა ჟამ-გულანი ესე. **პირველად ვიყავ ურბნელი, მერმე – მანგლელი და მერმე მთავარეფისკოპოზი ქართლისა. ქკსა ტნიბ. (1674 წ.).** მე, ყოვლად უღირსმა **მთავარებისკოპოზმა ევდემოზ** შევსწირე საძუალესა ჩემსა კაბენის მონასტერსა გესამანიისაჲ ღ(მრ)თისმშობელსა. და შერისხდი შენ, ძეო ღთისაო მხოლოდ-შობილო და წმიდაო ღ(მრ)თისმშობელო, ვინც გამოსწიროს და გამოაჴუვას ტაძარსა შენსა. ამინ. ჩფ“ (339-v-ს მარცხენა აშიაზე, ქრონიკონის უკანასკნელ გვერდზე, დასწვრივ).[7]

ბ. „ესე ჟამ-გულანი დამეკარგა. არაგვის ერისთვის შვილმა გრიგოლ იშოვნა. კაბენის გესამანიის ღ(მრ)თისმშობლის შეწირული იყო. მე, ყოვლად უღირსმა მთავარებისკოპოზმა ევდემოზ ფეშკაში მივართვი და ისრევ გესამანი[ი]სა ღ(მრ)თისმშობელს შევსწირე და ესე აღთქმა დაუდევ გრიგოლს – ხარებობას დღეს კაბენს წინამძღვარი ვინც იქნებოდეს და დეკანოზი ჟამსა სწირევდეს, გრიგოლის მამას, პაპუასა მის მეუღლეს დარეჯანს, მათ შვილთა ზურაბს და ვამიყს და გრიგოლი ხარჭაშნელს მოიჴსენებდეს. თუ ეს დააკლონ, სასუფეველსამც დააკლდებიან და ჩ(უე)ნთა ცოდვათა ნაცულად იგინიმც განიკითხვიან“ (339-v-ს ქვემო აშიაზე).

გ. „რომელმანც წინამძღუარმა და დეკანოზმა წელიწადში ერთი წირვა და აღაპი დააკლოს: ქ(ორონი)კ(ონ)ს **ტპვ“ (1698 წ.)** (340-r-ს ქვემო აშ-

[7] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. III (H კოლექცია), გვ. 390.

იაზე).

„უფალო ღმერთო! ადიდენ ორთავე შინა ცხორებაჲთა **გლონის თავის ძე, ქსნის ერისთავის ძე, ურბნელი ევდემოზ“.**

„სახლსა წუჱთი წუჱთდა, უნებურად დაეცა. ნუ მწყევთ, გეველრებით, უფალნო ჩემნო!“ (406 v, პირველი სტრიქონების გასწვრივ, სადაც დარჩენილია წვეთის კვალი).[8]

როგორც ყანჩაეთის ჟამნ-გულანის ანდერძ-მინაწერებიდან ირკვევა, ევდემოზს ხელნაწერი კაბენის გეთსამანიის ღვთისმშობლის მონასტრისათვის შეუწირავს. შემდეგ იგი დაკარგულა და უპოვნია არაგვის ერისთავის შვილს გრიგოლს. სწორედ ეს მოვლენაა აღწერილი ჟამნ-გულანის 1698 წლის მეორე მინაწერში.[9] ევდემოზი იქვე საუკუნო მოსახსენიებელს უკვეთავს გრიგოლის მამას პაპუას, მეუღლე დარეჯანს და შვილებს – ზურაბს და ვამეყს (არაგვის ერისთვისშვილი გრიგოლი, იმ დროისათვის ხარჭაშნელი, შემდეგ სამთავროს მთავარეპისკოპოსადაც გვევლინება).[10]

კაბენის მონასტერი მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ ყანჩაეთში (ყანჩავეთში), მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. ყანჩაეთის კაბენის მონასტერი IX-XIII საუკუნეებით თარიღდება. თავდაპირველი ტაძარი XIII საუკუნეში მნიშვნელოვნად გადაუკეთებიათ.

XII საუკუნეში ქვენიფნეველმა კაბენის მონასტერს შესწირა ჯირღინაული მამული.[11] XIII-XIV საუკუნეებში კაბენში რატიშვილთა საგვარეულო საძვალეა.[12] XIV საუკუნეში ერისთავმა იოანემ განაახლა კაბენის მონასტერი.[13] კაბენის ეკლესია „გეთსამანიის“, „გესამანიისა“ და „ყანჩაეთის“ სახელწოდებითაც არის ცნობილი.[14]

---

[8] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. III (H კოლექცია), გვ. 391.

[9] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა (1700 წ-დან XIX ს-ის 60-იან წლებამდე). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. III. გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ. 1967, გვ. 041.

[10] გ. ჭანიშვილი. სამთავრო. წმინდა ნინოს დედათა მონასტერი. თბ. 2008, გვ. 35.

[11] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა (1213 წლიდამ 1700 წლამდე). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. II. ტფ. 1897, გვ. 25.

[12] ქრონიკები. წ. II, გვ. 171.

[13] Е. Такайшвили. Археологическія экскурсіи, разысканія и заметки. Выпускъ V. Перепечатано изъ XLIV Вып. «Известій Кавказскаго Отделенія Императорскаго Московскаго Археологическаго Общества». 1915, გვ. 114.

[14] ქრონიკები. წ. II, გვ. 25; ს. მაკალათია. ქსნის ხეობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი. თბ. 1968, გვ. 65.

ვახუშტი ბაგრატიონი კაბენის შესახებ გადმოგვცემს: „წირქვალს ზეით, ჩდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩიეთს, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ“.[15]

ყანჩაეთის ჟამნ-გულანის მონაცემთა გადამოწმება და შევსება სხვა ისტორიული წყაროების საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

ისტორიკოსი გ. ჯანდიერი, რომელიც ერთერთი პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგები შეისწავლა, მიუთითებს, რომ ევდემოზ რატიშვილი მხოლოდ 1697 წელს იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი,[16] ურბნელი – 1666-1674 წლებში,[17] ხოლო მანგლელი – 1676-1683 წლებში.[18]

პირთა ანოტირებული ლექსიკონის IV ტომში, სადაც მოიპოვება შედარებით სრულყოფილი ინფორმაცია ევდემოზ რატიშვილის მოღვაწეობის შესახებ, ასევე შეინიშნება რამდენიმე ქრონოლოგიური უზუსტობა. კერძოდ, ევდემოზ რატიშვილის მოღვაწეობის პერიოდად განსაზღვრულია 1666-1697 წლები. აქედან, ურბნელ ეპისკოპოსად 1666-1671 წლები, მანგლელ ეპისკოპოს//მთავარეპისკოპოსად 1676-1697 [1719] წლები, ხოლო მისი ქართლის მთავარეპისკოპოსობის წლები, ცალკე გამოყოფილი საერთოდ არ არის. აქვე მოცემულია ევდემოზ რატიშვილთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების ნუსხაც.[19]

აღნიშნული საკითხების ნაწილობრივ გარკვევას შეეცადა გ. ჭანიშვილიც თავის ნაშრომში – სამთავრო, წმ. ნინოს დედათა მონასტერი.[20]

როგორც უკვე აღინიშნა, პირველი საეპისკოპოსო კათედრა, რომელსაც ევდემოზ რატიშვილი ხელმძღვანელობდა, იყო ურბნისი. 1666 წელს

[15] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 359, 15-17.

[16] გ. ჯანდიერი. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). ჟურნ. „მრავალთავი“. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. I. თბ. 1971, გვ. 334.

[17] გ. ჯანდიერი. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), გვ. 344.

[18] გ. ჯანდიერი. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), გვ. 342.

[19] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. ტ. IV. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ჟღენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა, ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. თბ. 2007, გვ. 56-57.

[20] გ. ჭანიშვილი. სამთავრო. წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, გვ. 34-35.

ქსნის ერისთავის სახლის ძე, ურბნელი ევდემოზ რატიშვილი, მოწმეა შანშე სეფედავლისშვილის მიერ ბოქაულთუხუცეს ქაიხოსროსთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა.[21]

1669 წელს ევდემოზი ამტკიცებს ბატონიშვილ გიორგისა და მისი ძმის, ლეონის მიერ ურბნისის ტაძრისთვის მიცემულ ყმის შეწირულობის წიგნს. საბუთში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ აღაშენა დედოფალმა მარიამ დადიანის ასულმა ურბნისის „ძირითგან აღმოფხრული ტაძარი“. ხელს აწერენ: გიორგი, ლევან. დოკუმენტს ბოლოში ახლავს მინაწერი: „ქ. ჩვენ, ქსნის ერისთავთა ერისთავის სახლისა ძემან, **ურბნელ ეფისკოპოზმან პატრონმა ევდემოზ**, ვიშოვე გლეხი ესე, სიგლითა ამით დაუმტკიცე წმიდასა სტეფანესა“.[22]

ამავე წლით დათარიღებულ საბუთში იგი მოწმეა დურმიშხან ბარათაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა.[23]

1671 წელს კათალიკოს დომენტი ბატონიშვილს კვლავ ნასყიდობის წიგნს აძლევს დურმიშხან ბარათაშვილი: „...დაგვეჭირა და მოგყიდეთ ივანას ძმისწულები გერმანოზა და გიუნაშვილი და მომავალნი ყოველივე სახლისა მისისანი და ავიღეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაცა ჩვენი გული შესჯერდებოდა... არიან ამისნი მოწამენი და შუა დამხდურნი: **ურბნელი ეფისკოპოსი ევდემონ,** მიტროპოლიტი ციციშვილი ეპიფანე, სახლთუხუცესი პაპუა და სხვ.“[24]

1676 წლიდან საისტორიო დოკუმენტებში ევდემოზ რატიშვილი მანგლელ მთავარეპისკოპოსად იხსენიება. კერძოდ, 1676 წლის 18 ოქტომბერს მეფე გიორგი XI სიგელს აძლევს ბარათაშვილს, რომლის დამწერიც მანგლელი მთავარეპისკოპოსი ევდემოზია:

„...გიბოძეთ მკვიდრად და მოუშლელად ვანქს შაყულაშვილს, რაც შენი სამკვიდრო ჰქონდეს. ძველითგან შენის მამა-პაპის სამკვიდრო და ნაქონი იყო და ახლაც მკუიდრად და მოუშლელად თქუენთვის და თქუენის შვილისათვის გვიბოძებია, ვანქს რაც შაყულაშვილს შენი სამკვიდრო ჰქონდეს, ახ-

[21] საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი (სცსა). ფონდი 1448. საქმე 4150.

[22] საქართველოს სიძველენი. ტ. I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1899, გვ. 323-324; ქრონიკები. წ. II, გვ. 485-486; სცსა. ფონდი 1448. საქმე 10010.

[23] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წ. IV. ტფ. 1913, გვ. 47.

[24] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წ. IV, გვ. 50-51; სცსა. ფონდი 1449. საქმე 2670.

ალქალაქი და პატარა ტამალია სახელოდ გვიბოძებია... დაიწერა... ჰელითა ქსნის ერისთვის სახლისა ძისა **მანგლელ მთავარ-ებისკოპოზისა ევდემოზისა-თა“**.[25]

მანგლელმა ევდემოზ რატიშვილმა მანგლისის ღმრთისმშობლის დეკანოზს, მღვდელ მოსეს, თრიალეთზე სოფელი მეთრევანა უწყალობა [1676-1683 წწ.].[26]

ს. კაკაბაძის ვარაუდით, 1678 წელს, ხოლო თ. ჟორდანიას აზრით, 1679 წელს უნდა იყოს დაწერილი კიდევ ერთი სიგელი მანგლისისა, რომლის შედგენაშიც მანგლელი მთავარეპისკოპოსი ევდემოზი მონაწილეობს. მანვე დაბეგრა და გამოსაღები დაადო სოფელ მეთრევანას. „ოდეს განაგებდა სამეფოსა შაჰნავაზის ძე, მეფე გიორგი, ჟამსა მას თჳსსა შემოსწირა მანგლისისა ღვთისმშობელსა... თრიალეთზე მეთრევანა და ჩ(უე)ნ... ქსნის ერისთავის სახლის ძემან **მანგლელ მ(თავარეპის)კ(ოპო)სმან ევდემოს** გავბეგრეთ...“[27]

1678 წელს ევდემოზი, სხვებთან ერთად, მონაწილეობდა ციციშვილების გაყრის საქმეში, მანვე გაარიგა სამამულო დავა ციციშვილებსა და მაღრაძეებს შორის.[28] 1682 წელს (V. 15.) მანგლელი ევდემოზი დამწერი და მოწმეა მეფე გიორგის მიერ მანგლისის ეკლესიისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობის წიგნისა.[29] 1683 წელს შედგენილი „ულუფის შეწირულობის განახლების წიგნის“ საფუძველზე, მეფემ მანგლისის ღვთისმშობელს კვლავ განუახლა შეწირულობა.[30]

დაახლოებით 1676-1683 წლებში ევდემოზ რატიშვილს კეთილმოყვრობის შესახებ ფიცის წიგნი მისცეს იასონ არაგვის ერისთავმა,[31] აშოთან ანტონისშვილმა და მისმა ძმისწულმა, იასე სვიმონიშვილმა (1695-1697 წწ.).[32]

შემდეგი საეპისკოპოსო, რომელსაც ევდემოზ რატიშვილი განაგებდა, იყო ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრა. ამ საეკლესიო თანამდებობაზე

[25] საქართველოს სიძველენი. ტ. I. გამოცემა მეორე. წიგნი I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1920, გვ. 116-117; ხეც Hd-1706.
[26] სცსა. ფონდი 1449. საქმე 1930.
[27] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წ. IV. ტფ. 1913, გვ. 64; ქრონიკები. წ. II, გვ. 495; ხეც Ad-261.
[28] სცსა. ფონდი 1450. დავთრი 14. საქმე 62.
[29] სცსა. ფონდი 1449. საქმე 1824.
[30] სცსა. ფონდი 1448. საქმე 2336.
[31] ხეც. Hd-9346.
[32] ხეც. Hd-7264.

ევდემოზი ჩანს 1687 წელს, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ეპარქიას იგი დროებით, 1674 წელსაც მართავდა. ჩვენი აზრით, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქართლის მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძის გარდაცვალების გამო (მოღვაწეობდა დაახლ. 1661-1671 წწ.).

თ. ჟორდანიას დაკვირვებით, ყანჩაეთის ჟამ-გულანის ანდერძიდან ჩანს, რომ ეს ხელნაწერი შეუდგენიათ ქართლის მთავარეპისკოპოს ევდემოზის დაკვეთით 1674 წელს. ევდემოზს იგი შეუწირავს კაბენის ღვთისმშობლის მონასტრისათვის. შემდეგ ხელნაწერი დაკარგულა, უპოვია იგი არაგვის ერისთვის პაპუას ძეს გრიგოლს, დაუბრუნებია ევდემოზისათვის და ამ უკანასკნელს ხელახლა შეუწირავს კაბენის ღვთისმშობლის მონასტრისათვის 1698 წელს.[33] ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ.

მიხეილ თამარაშვილის წიგნში, სხვა საეკლესიო საბუთებს შორის, მოყვანილია ევდემოზის 1687 წლის წერილი რომის პაპისადმი, სადაც იგი აღნიშნავს: „მე, დიდისა ღ(მრ)თისა ეკლესიისა, საქართველოს განმანათლებლისა, სამთავროსა მღთაებისა საყდრისა საჭეთმპყრობელი, სრულიად საქართველოსა **მთავარებისკოპოზი ეფთვიმეოს...**“.[34] იქვე აღნიშნულია, რომ ეფთვიმეოს რატიშვილი ქართლის მეფე გიორგი XI-ის (1676-88 წწ.) მრჩეველი ყოფილა და მასვე ხლებია ბრძოლის ველზე.[35]

1688 წელს ევდემოზ მთავარეპისკოპოსი მოწმეა იოვანე კათალიკოსის მიერ დეკანოზ ათანასესათვის მიცემული წყალობის წიგნისა.[36]

1695 წლის „ფარემუზ ჯავახიშვილის ნასყიდობის წიგნი“ დაწერილია ევდემოზ ქართლის მთავარეპისკოპოსის ხელით.

ტერტერასშვილი პაპუა, ძმა სვიმონი, ძმისწული იესე და ასლამას, ნასყიდობის წიგნს აძლევენ ფარემუზ ჯავახიშვილს და მის შვილებს როინს და ავთანდილს. მიწა – „დოესის თავზე ნამგალა“, ქვევით ციციშვილის მიწამდე და ზევით გზის ბოლომდე, ტერტერაშვილებმა მიჰყიდეს ფარემუზ ჯავახიშვილს. ბოლოში საბუთს ახლავს მინაწრი: **„მე, მთავარ-ეფისკოპოზს ევდემოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ.** დაიწერა ქკს ტპგ“.[37]

---

[33] ქრონიკები. წ. III, გვ. 040-041.

[34] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ. 1902, გვ. 840.

[35] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 265, 274; გ. ჭანიშვილი. სამთავრო. წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, გვ. 35.

[36] სცსა. ფონდი 1450. დავთარი 31. საქმე 149.

[37] საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 113; ხეც. Hd-6442.

თ. ჟორდანიას ქრონიკების II წიგნში აქვს შემდეგი ჩანაწერი: „1695 წ. ქკს-ტპგ. დაფარნა **მ(თავარეპის)კ(ოპო)სის ევდემოსისაგან** შეკერილი, ოქროთი გარშემო წარწერით (ჩემი ისტ. კრებული 580)“.[38]

1697 წელს მთავარეპისკოპოსი ევდემოზი მოწმეა ფარსადან ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ კათალიკოს იოანე დიასამიძისათვის მიცემული მღვდლის ნასყიდობის წიგნისა. „ასრე რომე მოგუჩჭირა და მოგყიდეთ ზანდრიშვილი მღვდელი დ(ავი)თ და მისი შვილი... ავიღეთ ფასი სრული“. მოწამენი: **მ(თავარეპის)კ(ოპო)სი რატიშვილი ევდემოს,** მაღალაძე ქადაგი ნიკოლოზ, მათი ძმა სახლთხუცესი რევაზ, გედევანიშვილი სარდარი გ(იორგ)ი... ქ(ათალიკო)ზმან ეს მღდელი დაიჭსნა“...[39]

იოანე კათალიკოსთან ერთად, ევდემოზ მთავარეპისკოპოსმა მონაწილეობა მიიღო რამაზაშვილების: არდაშელისა და გიორგის ძმებთან გაყრაში [1695-1697 წწ.].[40]

უცნობი პირის მიერ შედგენილ საქონლის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ევდემოზ მთავარეპისკოპოსისთვის მიურთმევიათ ერთი ჯორი [1695-1697 წწ.].[41]

1698 წლიდან ქართლის მთავარეპისკოპოსად გვხვდება ქრისტეფორე მუხრანბატონი, რომელიც ამ საეკლესიო თანამდებობას ადრეც (1690-იან წლებში) იკავებდა. იგი მონაწილეობს დამღაწაშვილების ყმა-მამულის დავის გარიგებაში.[42]

1703 წელს ერეკლე მუხრანბატონი წერს: „მოვედით ქსორისს რატიშვილების გასაყრელად ჩვენ და ჩვენი მამა მთავარეფისკოპოსი ქრისტეფორე... ჩვენთვის ავიღეთ ამათი გასამყრელო ახალგორს ოთხი კვამლი კაცი... ერთი კვამლი კაცი თავისის მამულითა... შემოგწირეთ თქვენ... კაბენს გესამანისა ღვთისმშობელსა...“[43]

ქრისტეფორე ქართლის მთავარეპისკოპოსის მიერ მეფის ჯვარისმტვირთველ და კარისა და ოქონის ხატის დეკანოზ იესე გარსევანიშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომ გარსევანიშვილი და მთავარეპისკოპოსი რატიშვილი დამდურებულნი იყვნენ და მღვდელმთავარს „გო-

[38] ქრონიკები. წ. II, გვ. 515.
[39] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წ. II. ტფ. 1913, გვ. 71-72; სცსა. ფონდი 1449. საქმე 1190.
[40] სცსა. ფონდი 1450. დავთრი 31. საქმე 132.
[41] ხეც. Hd-15081.
[42] ხეც, Ad-1077.
[43] ქრონიკები. წ. III, გვ. 10-11.

რის საჭელო და სამწყსო ორ სახუცოდ გაეჭადა“. შემდგომ თვითონვე შეუტყვია, რომ გორის სამწყსოს ორი სახუცო არასდროს სდებოდა და გარსევანიშვილების მკვიდრ სახელოს წარმოადგენდა ([1690-1719 წწ.].[44] როგორც საბუთიდან ჩანს, აქ საუბარია წარსულ დროში, როცა ევდემოზი ჯერ კიდევ ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო. ამდენად, პირთა ანოტირებულ ლექსიკონში (ტ. IV) ევდემოზის მოღვაწეობის ბოლო ქრონოლოგიურ ზღვრად, სავარაუდოდ მიჩნეული 1719 წელი, არასწორია.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ევდემოზი 1698 წელს ქართლის მთავარეპისკოპოსობიდან გადამდგარა და აღარც სხვა საეპისკოპოსოს მმართველ მღვდელმთავრად იხსენიება. იგი 1710 წელს, 87 წლის ასაკში გარდაცვლილა და დაკრძალულია სამთავროს ფერისცვალების ტაძრის საკურთხევლის წინ: „ქრისტეს აქათ შვიდას ათსა მპყრობელ მმართველობას ვახტანგ ბატონიშვილისას, მე, მთავარ ეპისკოპოსმან ევდემოს, ოთხმეოცდა შვიდის წლისა აღვესრულე, მარტსა დ (4), ქ(ო)რ(ონი)კ(ონ)სა ტჟთ (399)“ – აღნიშნულია საფლავის ქვაზე.

დიმიტრი ბაქრაძის ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „მუნვე სწერია, რომ აქაო არავინ ყოფილა ჯერეთ დასაფლავებულიო“.[45] მართლაც, თანადროული ეპიტაფიით დადასტურებულ საფლავთა შორის ევდემოზ მთავარეპისკოპოსის საფლავი ქრონოლოგიურად პირველია სამთავროს ტაძარში.[46]

წმ. მღ. პ. კარბელაშვილი ევდემოზ რატიშვილის გარდაცვალების თარიღად 1711 წელს უთითებს. მღვდელმთავრის მოღვაწეობის მისეული დათარიღებაც არაზუსტია: „ევდემოს – 1644–1703 (რატიშვილი), წინათ მანგლელ-ურბნელი, ძმა სეხნიასი, (?) წინამძღვარი ლარგვისისა (ქრ. II. 517). მიიცვალა 1711 წ. მარტის 13. ესე სწევს საფლავს ქვაზე სამთავროს ტაძარში“.[47]

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება გამოითქვას შემდეგი ვარაუდები:

1674 წლის ყანჩაეთის ჟამნ-გულანის (H-1452) დამკვეთის, ქართლის მთავარეპისკოპოს ევდემოზ რატიშვილის, გლონისთავისძის ერთერთ მინაწერში ნათქვამია: „პირველად ვიყავ ურბნელი, მერმე – მანგლელი და მერმე მთავარეფისკოპოზი ქართლისა. ქკსა ტნიბ“. ამ მინაწერიდან ცნობილი ხდება,

[44] ხეც. Qd-600.
[45] ქრონიკები. წ. II, გვ. 32.
[46] გ. ჭანიშვილი. სამთავრო. წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, გვ. 35.
[47] სცსა. ფონდი 1461. საქმე 17.

რომ 1674 წელს ევდემოზი უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსი ყოფილა, რაც წინააღმდეგობაში მოდის გ. ჯანდიერის მიერ სამეცნიერო ჟურნალ „მრავალთავში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებასთან, რომლის მიხედვითაც, ევდემოზი მხოლოდ 1697 წელს იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი. პირთა ანოტირებული ლექსიკონის IV ტომში, რომელშიც მოიპოვება შედარებით სრულყოფილი ინფორმაცია ევდემოზ რატიშვილის მოღვაწეობის შესახებ, ასევე შეინიშნება რამდენიმე ქრონოლოგიური უზუსტობა. შესავსები და გასამართია გ. ჭანიშვილის მიერ ევდემოზ რატიშვილის შესახებ დამოწმებული ისტორიული საბუთების ჩამონათვალი და ნუსხაც.

ევდემოზ რატიშვილი 1666, 1669, 1671, 1676, 1678, 1679, 1682, 1683, 1687, 1688, 1693, 1695, 1697, 1698 წლების საისტორიო დოკუმენტებში მოხსენიებულია სხვადასხვა საეპისკოპოსო კათედრის მმართველ მღვდელმთავრად, მაგრამ ქრონოლოგიური თვალსაზრისით გაირკვა, თუ რომელ წლებში რომელ კათედრას განაგებდა იგი.

ისტორიული წყაროების ხელახალი შესწავლის საფუძველზე, ჩვენი აზრით, ევდემოზ რატიშვილი იყო:

1666 წლიდან – 1674 წლამდე – ურბნელი მთავარეპისკოპოსი;

1676-1683 წლებში მანგლელი მთავარეპისკოპოსი;

ხოლო, ჯერ 1674 წელს, შემდეგ – 1687, 1688, 1693, 1695, 1697 და 1698 წლებში – ქართლის მთავარეპისკოპოსი.

მისი ქართლის მთავარეპისკოპოსობის წლების ზუსტი ასახვა ვერ მოხერხდა ვერც პ. კარბელაშვილის, ვერც გ. ჯანდიერისა და ვერც „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ქრონოლოგიურ ნუსხაში.

როგორც ჩანს, საეპისკოპოსო კათედრათა ცვლილება იმდროინდელ საქართველოში ხშირ შემთხვევას წარმოადგენდა, რაც რთული საშინაო და საგარეო პირობებით იყო გამოწვეული.

ევდემოზ რატიშვილის პორტრეტი „ყანჩაეთის ჟამნ-გულანიდან“. (H-1452)

*Maia Shaorshadze*
Senior Researcher,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

# EVDEMOZ RATISHVILI, ARCHBISHOP OF KARTLI, AND CLARIFICATION OF CERTAIN CHRONOLOGY ISSUES RELATED TO HIM

Summary

The article deals with Kartli Archbishop Evdemoz Ratishvili, Glonistavisdze, son of the House of Eristavt Eristavi (Duke) of Ksani mentioned in Zham-Gulani of 1674 (H-1452), who has ordered the mentioned manuscript. One of its postscripts states the following: "Initially I was Archbishop of Urbnisi, further – of Manglisi and further Archbishop of Kartli" (1674) (H-1452, postscript 339 v). The wills and postscripts of the manuscript clarify many other interesting historical facts. It was found that Evdemoz was Archbishop of Kartli in 1674 and this contradicts to the fact mentioned by G. Jandieri in his article published nu scientific magazine "Mravaltavi" in 1971, according to which, Evdemoz was Archbishop of Kartli in 1697. G. Chanishvili also attempted to clarify the mentioned issues in his work: Samtavro, St. Nino Convent (Tb; 2008).

There are the historical documents providing additional data about Evdemoz Ratishvili. Historical documents of 1666, 1669, 1671, 1676, 1678, 1679, 1682, 1683, 1687, 1688, 1693, 1695, 1697, 1698, mention activities of Evdemoz Ratishvili at different bishop's thrones, though, in chronological context, the periods, when he was at different thrones should be clarified.

Based on studying of the historical sources, in our opinion, Evdemoz Ratishvili was:

From 1666 to 1674 – Archbishop of Urbnisi;

1676-1683 – Archbishop of Manglisi;

And initially in 1674 and further in 1687, 1688, 1693, 1695, 1697 and 1698 – Archbishop of Kartli.

We suppose that changing of the bishop's thrones was quite frequent in Georgia of that period.

In Samtavro church, there is the gravestone of Evdemoz Ratishvili. From the epitaph we learn that the Archbishop deceased in 1710, aged 87.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX**
**თბილისი. 2023**

*ნიკო ჯავახიშვილი*
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს ისტორიიდან

ქართულ წარჩინებულ საგვარეულოთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი თავად სუმბათაშვილებს ეკავათ.

საქართველოსა და მის სათავეში ათასწლეულის განმავლობაში მდგარი ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მიმართ ერთგულებით ცნობილი ამ გვარის ცალკეული წარმომადგენლები XVII-XIX საუკუნის ქართულ საისტორიო წყაროებში ზოგჯერ „სუმბატისშვილებად“ ანდა „სუნბატისშვილებად“ იხსენიებიან.

აღნიშნული საგვარეულოს წარმომადგენლებს სწყალობდნენ როგორც ბაგრატოვანი ხელმწიფენი, ასევე, რუსეთის იმპერატორნი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაც, რის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ.

აქვე დავსძენთ, რომ თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები XX საუკუნის 90-იან წლებამდე ცხოვრობდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამის შემდეგ კი ისინი უმემკვიდრეოდ, კერძოდ, პირდაპირი (ანუ მამაკაცთა) ხაზის გამგრძელებელი მემკვიდრეების გარეშე გადაეგნენ.[1]

მიუხედავად ამისა, სუმბათაშვილების გვარი არსებობას დღემდე განაგრძობს. 1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში ცხოვრობდა აღნიშნული გვარის მატარებელი 55 ადამიანი, რომელთაგან 25 – თბილისში, 15 – დუშეთში, ხოლო 3 – ასპინძაში მოსახლეობდა.[2] აქვე დავსძენთ, რომ მათი გენეტიკური კავშირი თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოსთან ჯერჯერობით დადგენილი არ გახლავთ.

[1] ი. ჩიქოვანი. საქართველოს სამეფოს თავადთა შთამომავალნი (XX-XXI საუკუნეები). ნ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბ. 2019, გვ. 214.
[2] ა. სილაგაძე. ა. თოთაძე. გვარ-სახელები საქართველოში. თბ. 1997, გვ. 181.

წინამდებარე ნაშრომი შვიდი ქვეთავისაგან შედგება.

## 1) სუმბათაშვილთა წარმომავლობისა და მათი სამფლობელოების ისტორიისათვის

ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის (1675-1737) ვაჟის – დიდი მეცნიერის, უფლისწულ ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757) თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩამოთვლილ ქართველ „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ ფეოდალთა შორის დასახელებულნი არიან „სუმბატისშვილებიც“, ანუ იგივე სუმბათაშვილები, როგორც სამცხის სათავადო საგვარეულო.[3]

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის (1746-1800) ვაჟის – გამოჩენილი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, უფლისწულ იოანე ბაგრატიონის (1768-1830) ნაშრომში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ჩამოთვლილ ქართლის 38 სათავადო საგვარეულოს შორის „თავადი სუმბატის შვილი“ 36-ე ადგილას იხსენიება.[4]

იმავე თხზულებაში თავად სუმბათაშვილთა შესახებ ვკითხულობთ: „ესენი არიან ძველადვე სომეხთა მეფეთა თავადნი, რომელ სუმბატ იყო ლალა უკანასკნელ მეფისა არტაშერისა არშაკუნიანისა, წელსა ქრისტეს აქეთ 68-ს. შემდგომად ამისა, ოდეს მოიწია მხედრობითა დიდითა ბაღდადის კერძოდგან ამირ არაბი და აღაოხრა სომეხთა სამეფოთა ადგილი, წელსა ქრისტეს აქეთ 882-სა, ამათ სუმბატთა ნათესავთა ანიდგან განივლტნენ არზრუმისა და ტრაპიზუნის მხარეს და დაშთნენ მუნ. შემდგომად მოვიდნენ დროსა მეფისა გიორგისასა შთამომავლობანი მათნი და მიიღო მეფემან გიორგი თავადობისა ხარისხითა სუმბატის შვილებათ წელსა ქრისტეს აქეთ 923. და იწოდებიან მუნიდგან სუმბატის შვილებად და აწ არიან ერთ სახლად, პაატას შვილებად, ხოლო შვილი შვილნი ამათნი: 1) თომას შვილებად, 2) იოანეს შვილებად და სხვანი“.[5]

[3] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 35.

[4] ი. ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. მასალა ისტორიისათვის. რედაქტორ-გამომცემელი ზ. კაცელაშვილი. თბ. 1997, გვ. 36.

[5] ი. ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 36.

აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საერთო ნუსხაში, რომელიც თან ერთვოდა რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში გაფორმებულ ტრაქტატს, „თავადი სუმბატისშვილი“ – ქართლის თავადთა შორის იხსენიება.[6]

XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე თავადის დავით ციციშვილის ხელნაწერ ნაშრომში „შემოკლებით მოთხრობა საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ აღნიშნულია, რომ ოსმალეთის იმპერიის მიერ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის მიტაცებამ, რაც XVI საუკუნეში მოხდა, განაპირობა მესხეთში მოსახლე თავად სუმბათაშვილების იძულებითი აყრა და ქართლში გადასახლება.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომში „სამუსულმანო საქართველო“ ვკითხულობთ: „ახალციხის ფაშები ადმინისტრაციულად ემორჩილებოდნენ არზრუმის ფაშას. აქედან იწყება ტრაღედია სამცხე საათაბაგოსი, ამ საუკეთესო კულტურული ნაწილის საქართველოში. ვისაც არ სურდა მაჰმადიანობის მიღება, მისთვის ყოველი სახსარი ცხოვრებისა მოსპობილ იყო. ამიტომ, თავადაზნაურობა, რომელმაც არ უღალატა მამაპაპურ სარწმუნოებას, იძულებული შეიქმნა გადასახლებულიყო ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში და სხვა ადგილებში. ამათ რიცხვში უფრო წარჩინებული გვარები არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ხიმშიაშვილი, კავკასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, ქობულაშვილი (ქობულისძე), სუმბათაშვილი, ზედგენიძე, თუხარელი, გუგუნავა და სხვ.“[7]

XX საუკუნის პირველ მეოთხედში, პეტროგრადში შექმნილი ხელნაწერი ნაშრომის „კავკასიური საგერბე“ პირველ ნაწილში – „თავადური გვარები“ მისი ავტორი ვ. ციხინსკი შენიშნავდა, რომ თავადი სუმბათაშვილები თავიანთ წარმომავლობას მცირე სომხეთის მმართველ დინასტიას უკავშირებდნენ.[8]

მოსკოვის საისტორიო-გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, ისტორიკოსი სტანისლავ დუმინი წერს: «Сумбатовы (Сумбаташвили) –

[6] გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ. 1983, გვ. 57.

[7] ე. თაყაიშვილი. სამუსულმანო საქართველო. ჟურნ.: „ქართლოსი“. №19-23. პარიზი, 1939.

[8] В. Цихинский. Кавказский гербовник. Часть 1. Тавадские роды. Петроград. 1922 (Рукопись), გვ. 39.

грузинский княжеский род армянского происхождения, разделившийся на несколько ветвей. Возводил свой род к владетелям Малой Армении из династии Багратуни».[9]

თავად სუმბათაშვილთა გენეალოგიური ნუსხები შეადგინა საქართველოს გენეალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა, საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიის ნამდვილმა წევრმა, აკადემიკოსმა იური ჩიქოვანმა (1937-2018).[10]

თავადი სუმბათაშვილები ქართლში ცხოვრობდნენ. 1860 წლის მონაცემებით, ისინი ყმა-მამულს ფლობდნენ აღნიშნულ რეგიონში მდებარე სოფლებში: ქვიშხეთში, ზანავში, მუხრან-თელეთში, თხინვალასა და ნავთლუღში. გარდა ამისა, სუმბათაშვილნი ყმა-მამულს ფლობდნენ იმერეთშიც, სადაც 1873 წლის აღწერით, მათი თითო-თითო კომლი ყმა სახლობდა შემდეგ სოფლებში: ვახანში, გორისუბანში, დეისსა და ზვარეში.[11]

## 2) სუმბათაშვილთა საგვარეულო განშტოების – აზნაურ მანუჩარაშვილთა ისტორიისათვის

იოანე ბაგრატიონის ზემოხსენებული საისტორიო-გენეალოგიური გამოკვლევის ცნობით, თავად სუმბათაშვილთა ერთ-ერთ საგვარეულო განშტოებას წარმოადგენდნენ ქართლის სამეფოს ტახტის აზნაური მანუჩარაშვილები. ამ გვარის წარმომადგენელები ზოგჯერ იხსენიებოდნენ მანუჩარიშვილებად, ზოგჯერ კი – მანუჩრიშვილებად. რუსეთის იმპერიის ოფიციალურ დოკუმენტაციაში ისინი რუსული დაბოლოებით, კერძოდ, მანუჩაროვებად მოიხსენიებოდნენ.

„აზნაური მანუჩაროვი“ 28-ე ადგილას იხსენიება ზემოხსენებული ნაშრომის ერთ-ერთ თავში „სამეფო აზნაურნი ქართლისანი“ ჩამოთვლილ 82 საგვარეულოს შორის. მათ შესახებ თხზულებაში ვკითხულობთ: „ამათნი შთამომავლობა არიან ძველადვე სუმბატიანთ გვარისანი, რომელიც ზემორე აღვწერეთ სუმბატის შვილებისათვის და ესენი არიან გვართაგან მათთა, გარ-

[9] Дворянские роды Российской империи. Под редакцией С. Думина. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского. Москва. 1998, გვ. 201.

[10] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 202-203.

[11] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2021, გვ. 328.

ნა აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან და ტრაქტატსა შინა მოხსენიებულნი“.[12]

ცნობილი მკვლევარი როლანდ თოფჩიშვილიც მიუთითებს: „სუმბათაშვილებისაგან გამონაყოფი გვარი ყოფილა აზნაური მანუჩარიშვილი“.[13]

აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საერთო ნუსხაში, რომელიც თან ერთვოდა რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკში გაფორმებულ ტრაქტატს, მანუჩარაშვილი, რუსული დაბოლოებით – მანუჩაროვი, იხსენიება ქართლის სამეფო აზნაურთა შორის,[14] ხოლო მანუჩრიშვილი – თავად ერისთავიშვილის აზნაურად.[15]

მართალია, აღნიშნული ტრაქტატის ტექსტის დედანში წერია „მანერიშვილი“, მაგრამ ამ დოკუმენტის ერთ-ერთი გამომცემლის, პროფესორ ისიდორე დოლიძის მართებული შენიშვნით, მის ნაცვლად უნდა იყოს – „მანუჩრიშვილი“.[16] ამდენად, მანუჩრიშვილები ქსნის ერისთავთა საბატონო აზნაურნი ყოფილან.

ფეოდალური ეპოქის ქართული სახელმწიფო-ადმინისტრაციული სამართლის უნიკალურ ძეგლში – „დასტურლამალი“, რომელიც სისტემურად დაალაგა და შეავსო ქართლის ჯანიშინმა (გამგებელმა), ხოლო შემდგომ მეფემ ვახტანგ VI-მ (1675-1737), საგანგებოდ გამოყოფილ ერთ-ერთ ქვეთავში „სამზარეულოს მეხელენი“ ვკითხულობთ: „არის თუშმალი მანუჩარაშვილი“.[17]

თავადი პაპუა და ეგნატე თუმანიშვილების გაყრის განჩინებაში, რომელიც დათარიღებულია 1787 წლის 27 ნოემბრით, იხსენიება შაქრო მანუჩარაშვილი.[18]

1817 წლის 12 აპრილს, აზნაურ ბახუსტი თულაშვილის თხოვნით, ასლან მანუჩაროვმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც დადასტურა მე-

[12] ი. ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 56.

[13] რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია. მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გვ. 328.

[14] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 485.

[15] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 487.

[16] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 487.

[17] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 248.

[18] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1974, გვ. 389.

ფე თეიმურაზ I-ის მიერ 1630 წლის 14 სექტემბერს, აზნაურ თულაშვილებისადმი ბოძებული წყალობის სიგელის ნამდვილობა. ამ სიგელის ტექსტი გადაწერილ იქნა თბილისში მოქმედ რუსეთის ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურაში შემავალ ერთ-ერთ დაწესებულებაში – სამართლისა და სასჯელაღსრულების ექსპედიციაში («Экспедиция суда и расправы»). ეს ტექსტი 1817 წლის 12 აპრილს ჩაბარდა სარეგისტრაციოდ, ხოლო რეგისტრაციაში 1828 წლის 19 ნოემბერს გატარდა. წყალობის ამ სიგელის ნამდვილობის დამადასტურებელ დოკუმენტზე ვკითხულობთ: „ბახუსტი თულაშვილი. რადგანაც ამან წერა არ იცოდა, ამისა თხოვნით ხელს ვაწერ ასლან მანუჩაროვი“.[19]

ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ოჯახების ნუსხებში, რომელიც დამტკიცეს რუსეთის იმპერატორებმა ნიკოლოზ I-მა – 1850 წელს და ალექსანდრე II-მ – 1856 წელს, აზნაური მანუჩარაშვილნი (ისევე, როგორც მანუჩარიშვილნი და მანუჩრიშვილნი) აღარ იხსენიებიან.[20] ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ გვარის წარმომადგენლები იმ დროისათვის აღარ იყვნენ შემორჩენილნი, ანუ შთამომავალი არ დარჩათ, ანდა მათთვის წარჩინებული წოდება აღარ დაუმტკიცებიათ.

აქვე დავსძენთ, რომ აზნაურ მანუჩარაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები XIX საუკუნის 20-იან წლებამდე ცხოვრობდნენ საქართველოში. ამის შემდეგ კი, როგორც ჩანს, ისინი უმემკვიდრეოდ, კერძოდ, პირდაპირი (ანუ მამაკაცთა) ხაზის გამგრძელებელი მემკვიდრეების გარეშე გადაეგნენ.

მიუხედავად ამისა, მანუჩაროვების გვარი არსებობას დღემდე განაგრძობს. 1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში ცხოვრობდა აღნიშნული გვარის მატარებელი 113 ადამიანი, რომელთაგან 75 – თბილისში, 14 – გურჯაანში, ხოლო 10 – გარდაბანში მოსახლეობდა.[21] აქვე დავსძენთ, რომ მათი გენეტიკური კავშირი აზნაურ მანუჩარაშვილებთან ჯერჯერობით დაუდგენელია.

[19] დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ. წყაროების პუბლიკაცია და გამოკვლევა. ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი თ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით. თბ. 2019, გვ. 250-251.

[20] ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბ. 2005.

[21] ა. სილაგაძე. ა. თოთაძე. გვარ-სახელები საქართველოში, გვ. 131.

## 3) სუმბათაშვილნი ბაგრატოვან ხელმწიფეთა სამსახურში (XVII-XIX საუკუნეები)

თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები ქართულ საისტორიო წყაროებში XVII საუკუნიდან მოიხსენიებიან. ისინი ზოგჯერ იხსენიებიან სუმბატაშვილის ანდა სუნბატაშვილის ფორმით.[22]

1630 წლის 25 დეკემბრით დათარიღებულ საბუთში აღნიშნულია, რომ თავად სუმბათაშვილის ნაოხარი მამული, რომელიც ხანჯალაშვილის ნაქონი ყოფილა, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ზაქარიამ – ელია ზუმბულიძეს უწყალობა.

XVII საუკუნის ბოლო მესამედში ქართლის სამეფოში მოღვაწეობდნენ თავადი ამირან და ფარსადან სუმბათაშვილები. ამირან სუმბათაშვილს ჰყოლია ვაჟები: სუმბატი, პაპუნა, ავთანდილი, გოდერძი და მირიანი, ხოლო ფარსადან სუმბათაშვილს – ვაჟები: ბეჟანი და სულხანი.

1670 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულ საბუთში აღნიშნულია, რომ თავადი ამირან სუმბათაშვილი იყო მოწმე მამუკა ამირაღაშვილის მიერ ასატურა ბეჟინაშვილისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა.

1675 წლის 1 ივლისით დათარიღებულ საბუთში აღნიშნულია, რომ თავადი ამირან სუმბათაშვილი იყო მოწმე ელიზბარ ანდრონიკაშვილის მიერ თავად ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული სუელნეთის მიწის ნასყიდობის წიგნისა.[23]

1675 წლის ივლისში თავადი მირიან ამირანის ძე სუმბათაშვილი ყოფილა მოწმე წატურაანთ პაპინას შვილების მიერ ასატურ ბეჟანისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა.

1690 წლის აპრილში თავად ამირან სუმბათაშვილს ქრისტესა ბეჟინაშვილისათვის მიუყიდია ყმები: ხახუტა, ღონენა, მამუკა და ბერუკა ნინიასშვილები.

ქართლში 1688 წლიდან არსებული ორმეფობის პერიოდში, როდესაც ამ სამეფოს დაუფლებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ბაგრატიონთა ქართლის

[22] პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეთა ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. IV. მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, დ. ჟღენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენუქიძემ და დ. კლდიაშვილმა. ტომი შეადგინეს მ. სურგულაძემ და დ. კლდიაშვილმა. თბ. 2007, გვ. 211-212.

[23] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). Sd-6.

შტოს წარმომადგენელი გიორგი XI, რომელიც იქ 1676 წლიდან მეფობდა და კახი ბაგრატიონი ერეკლე I (1640-1709), ფარსადან სუმბათაშვილს მამული აუოხრეს. ფარსადანმა, საკუთარ ცოლშვილთან ერთად, თავი გორის ციხეს შეაფარა.

სპარსეთის შაჰინშაჰის მიერ ქართლის მეფედ დადგენილმა ერეკლე I-მა, იმავე ნაზარალი ხანმა, რომელიც იქ 1703 წლამდე მეფობდა, ზემოხსენებული დაპირისპირების პერიოდში დაზარალებულ ფარსადანს უბოძა გორის ღმთისმშობლის ეკლესიასთან მდებარე მისი ყოფილი მამული, რომელიც მანამდე ფარსადანის განაყოფს – როსტევანაშვილს ეპყრა.[24]

იმავე დოკუმეტში ფარსადან სუმბათაშვილი – ჩილინგდარად იხსენიება.[25]

სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) განმარტებით, ჩილინგარი – ზეინკალს ნიშნავდა.[26]

იოსებ გრიშაშვილის (1889-1965) „ქალაქურ ლექსიკონში“ ტერმინი „ჩილინგდარი“ განმარტებულია როგორც „კლიტეებისა და გასაღებების ოსტატი“.[27]

თავად სუმბათაშვილებს ტრადიციულად ეკავათ ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო კარის სამოხელეო თანამდებობა – მეითრობა. ეს თანამდებობა შეესაბამებოდა ევროპულ სახელმწიფოთა სამეფო კარზე არსებულ თანამდებობას – ობერ-კამერჰერს, იმავე გარდერობმაისტერს.

ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის (1700-1762) მიერ 1749 წლის 28 იანვარს გაცემულ სიგელში თავადად არიან მოხსენიებულნი ქაიხოსრო სუმბათაშვილი და მისი ვაჟები – აბდულა-ბეგი და პაატა. იმავე საბუთში აღნიშნულია, რომ ქაიხოსროს მამა მეითარი ყოფილა.

ცნობილია, რომ ქაიხოსროს მამა იყო მეითარი მანუჩარ სუმბათაშვილი, რომლის პაპას, მანუჩარ სუმბათაშვილს იგივე თანამდებობა ეკავა. ეს თანამდებობა ეკავა ქაიხოსრო მანუჩარის ძის ვაჟს – პაატა (იმავე პეტრე)

[24] ხეც. Hd-13167.
[25] ხეც. Hd-13167.
[26] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ. ტ. II. თბ. 1993, გვ. 319.
[27] ი. გრიშაშვილი. ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა). თბ. 1997, გვ. 263.

სუმბათაშვილსაც, რომელმაც აღნიშნული სახელო მემკვიდრეობით მიიღო.[28]

თავადი იოანე (ივანე, ნინია) პაატას (პეტრეს) ძე სუმბათაშვილი (1765-1826) ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) სამეფო კარზე მოლარეთუხუცესად და ლაშქარნივისად (ანუ მოლაშქრეთა აღმწერად) მოღვაწეობდა. იმავდროულად, იგი სოფელ ნავთლულის მოურავიც გახლდათ.

იოანეს ცოლად ჰყავდა აზნაური ანა სულხანიშვილი (1776-1840), ასული აზნაურ იოსებ სულხანიშვილისა.

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის (1746-1800) მეფობის პერიოდში მოლარეთუხუცესად და ნავთლულის მოურავად თავადი ქაიხოსრო სუმბათაშვილი მოღვაწეობდა.[29]

1810 წლის 28 მარტს, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მყოფი რუსთა ჯარის სარდალთან, გენერალ ტორმასოვთან მოსალაპარაკებლად მოსალაპარაკებლად გადასული იმერეთის მეფე სოლომონ II (1773-1815) ვერაგულად დაატუსაღეს. იგი თბილისში გადაიყვანეს და ზემოხსენებული თავადის იოანე (ნინია) სუმბათაშვილის სახლში, დაცვის თანხლებით მოათავსეს.

უფლისწული თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი (1782-1846) თავის თხზულებაში „ახალი ისტორია“ მოგვითხრობს: „მოინდო ფიცითა ტორმასოვმან მეფე იმერთა სოლომონ, რომელიცა შეიპყრა... და სწადდა რუსეთად წარგზავნაი მეფისა, რომელიცა ჰყუა პატიმრად სახლსა მეითრიანთასა ტფილისს“.[30]

აქედან ჩანს, რომ ვინაიდან მეითრის თანამდებობა ტრადიციულად სუმბათაშვილებს ეკავათ, მათ მეტსახელად „მეითრიანთ“ უწოდებდნენ.

იმავე წლის 11 მაისს, თავად სუმბათაშვილის სახლში გამოკეტილი სოლომონ II მისმა ერთგულმა მომხრეებმა გააპარეს და ახალციხის საფაშოში გადა იყვანეს.[31]

სოლომონისათვის გაქცევაში ხელშეწყობის ბრალდებით, იოანე სუმბათაშვილი დაატუსაღეს და გადაასახლეს ქ. პერმში, სადაც მან ორ წელიწადს

[28] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 201-202.

[29] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფ. 1936, გვ. 271.

[30] თ. ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქაშავილმა. თბ. 1983, გვ. 74.

[31] საქართველოს მეფეები. ავტორთა კოლექტიური ნაშრომი მ. ლორთქიფანიძისა და რ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 2000, გვ. 269.

დაჰყო. 1812 წელს იგი გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს.

არსებობს ცნობა, რომ სოლომონის გაქცევის ორგანიზებაში თავადი იოანე სუმბათაშვილი უშუალოდ არ მონაწილეობდა.

უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე ბაგრატიონი (1776-1841) თავის თხზულებაში „ახალი მოთხრობა“ გვამცნობს: „ნინია სუმბატიშვილი, მეითრის პაატას ძე, რომლისა სახლში იდგა მეფეი და ესეცა უბრალო, დასჯილ იქმნა. მისრულნი ესენი პერმის ქალაქსა ციმბირს... დაშთნენ მუნ, რომელნიცა შემდგომ ჟამშია განთავისუფლდნენ ხელმწიფისაგან და მიქცნენ მამულად თვისად“.[32]

მიუხედავად ასეთი ცნობის არსებობისა, სრულიადაც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ზემოთ აღნიშნულ საქმეში იოანე სუმბათაშვილი არაპირდაპირ მონაწილეობდა. კერძოდ, მან შესაძლოა იცოდა მის სახლში გამომწყვდეული იმერთა მეფის გაქცევის მზადების შესახებ, რაც არ გაამჟღავნა. ამიტომაც, მისი აღნიშნული მოქმედება რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მხრიდან დანაშაულად იქნა აღქმული.

ფაქტი ის გახლავთ, რომ ბაგრატოვანი ხელმწიფის მიმართ გამოჩენილი ერთგულების და თავდადებული სამსახურის ბრალდებით, იოანე სუმბათაშვილი დააპატიმრეს და ორი წლით გადაასახლეს ციმბირში, რაც მას უნდა ჩავუთვალოთ არა დანაშაულად და ნაკლად, არამედ, რუსთა მიერ დაპყრობილი საქართველოს პოზიციებიდან – უდავო ღირსებად და გმირობად.

ამრიგად, თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ ბაგრატოვან ხელმწიფეთა ერთგული მსახურნი, რის გამოც მათ მეფეთაგან წყალობა არ აკლდათ.

## 4) სუმბათაშვილნი რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში

თავადმა სუმბათაშვილებმა თავიანთი საგვარეულო გერბი, ქართველი თავადაზნაურობის ძირითადი ნაწილის მსგავსად, შექმნეს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის შემდეგ.

ჰერალდიკოს ვ. ციხინსკის ნაშრომში შემორჩენილია თავად სუმბათაშვილთა საგვარეულო გერბის ორი ვარიანტი.[33]

[32] ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა. თ. ლომოურის გამოცემა. თბ. 1941, გვ. 106.
[33] В. Цихинский. Кавказский гербовник. Часть 1. Тавадские роды, გვ. 39.

მიუხედავად ამისა, თავად რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ სუმბათაშვილთა საგვარეულო გერბი ოფიციალურად დამტკიცებული არ ყოფილა.

საქართველოში რუსეთის იმპერიული მართვა-გამგებლობის დამყარების შემდეგ, თავადმა სუმბათაშვილებმა ახალი ხელისუფლებისაგან თავიანთი მიწათმფლობელობისა და კუთვნილი ჯამაგირის დადასტურება მოითხოვეს.

1802 წელს დაწერილ განცხადებაში ქაიხოსრო სუმბათაშვილი აღნიშნავდა: „ოცდა ხუთი წელიწადი არის, რაც მეფემ ერეკლემ ნავთლულის სოფელი ააშენა. რადგანაც ალაგი იყო, ქალაქის დაცვისათვის თითო კაცი სოფლებიდამ მოაგროვა და ჩვენს მამულში სოფელი გააკეთა“.[34]

რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მმართველად დადგენილ გენერალს, გარუსებულ თავად პავლე ციციანოვს (იმავე ციციშვილს) თავადმა სუმბათაშვილებმა წერილობით აცნობეს: „ნავთლულის სოფელი ჩვენი მამული არის და გლეხიკაცნი სახელმწიფონი დგანან და რადგანაც ის სოფელი ჩვენი გახლავთ და რაც მოურავის განწესება არის, ისე გვემსახურებოდნენ“.[35]

1803 წლის 7 მაისს, ზემოხსენებულმა იოანე (ნინია) პაატას (პეტრეს) ძე სუმბათაშვილმა (1765-1826) და მისმა ძმამ ქაიხოსრომ ციციანოვს შემდეგი წერილობითი მოხსენება წარუდგინეს: „მის ბრწყინვალებას, უფალს, საქართველოს უპირატეს მთავარს, კნიაზ პავლე დიმიტრის ძეს ციციანოვს, თავადის სუმბათოვის ქაიხოსროსა და იოანეს მოხსენება.

ბრწყინვალებისა თქვენისა მიერ ჩვენდა გამოცხადებულისა ბრძანებისა ძლით წარმოუდგენ მოხსენებასა ამას, რომელ ჩვენ ვიყავით მოლარეთხუცესი და ლაშქარნივისი მეფისა გიორგისა და გვქონდა წელიწადში განწესებული ულუფა ჯამაგირი და სარგო ესრეთ, ვითარცა წერილ არს ქვემორე:

ქ. ჯამაგირი მქონდა სამოლარეთხუცო წელიწადში თუმანი თორმეტი. ქ. პური და ქერი კოდი სამოცდაცამეტი, იქნება ამის ფასი თუმანი (შვიდი და ორი ბისტი). ქ. ხორცი ლიტრა ასოთხმოცდაორი და ნახევარი, ამისი ფასი იქნება (ოთხ თუმან ნახევარი და სამი აბაზი). ქ. ღვინო თუნგი ორასსამოცდაცამეტი, იქნება ამისი ფასი (ხუთი თუმანი, ოთხი მინალთუნი და თხუთმეტი შაური). ქ. სანთლის ქონისა (შვიდი მინალთუნი და ერთი ბისტი). ქ. სა-

[34] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. II. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1953, გვ. 220.

[35] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. II, გვ. 22.

მარხო და თევზი წლისა (ორი თუმანი). ქ. რაც მეფის სარქარში ფარჩა დაიხარჯებოდა და მთის კაცზედ, თუ საქართველოს ხალხზედ, იჯარებიდამ თუ გარეშე ხალხისაგან სყიდვით, იქიდამ თუმანზედ ორი აბაზი გვერგებოდა და ამ ორის აბაზიდამ ორი შაური ჩემი იყო და ექვსი შაური სხვა მოხელეებისა. ჩემს წილად მერგებოდა წელიწადში ოცდაათი თუმანი. ქ. მთის კაცთ, ლეკსა თუ სხვათ, რაც ფარჩა მიეცემოდათ, ამათგან ათის თავს ავიღებდი და ჩემს წილად მერგებოდა წელიწადში ათი თუმანი. ქ. სალაროდამ თუ იჯარებიდამ სტუმრებს საჩუქარი რომ მიეცემოდათ, იმათგან დუშალიკი მოგვეცემოდა, ამ დუშალიკში ნახევარი ჩემი იყო, საიდამაც მერგებოდა წელიწადში ხუთი თუმანი. ქ. ვინც იჯარებს აიღებდნენ და იმათ მომეტებულის იჯარის ხალათები მიეცემოდათ, იმათგან თუმანზედ ხუთი აბაზი საკუთრად ჩემი იყო, რომლიდამაც მერგებოდა წელიწადში ათი თუმანი. ქ. ლაშქარნივისობის ჯამაგირი მჭონდა წელიწადში "თორმეტი თუმანი. მეფის გიორგის წყალობა უკანასკნელს ჟამამდის ჩვენის წლის შემოსავალი ეს იყო და ღრამატაც ეს არის, რომელიც მოგვირთმევია და თუ ინებებ, ჰკითხეთ საზოგადოებას და ეს მოხსენება იმათგან დაიმტკიცეთ.

ბრწყინვალებისა თქვენისა უმდაბლესი მოსამსახურე თავადი სუმბატოვი ქაიხოსრო. თავადი სუმბატოვი იოანე".[36]

ირკვევა, რომ ზემოხსენებული იოანე სუმბათაშვილი ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგიც ყოფილა.

1805 წლის 10 მარტს იოანე სუმბათაშვილს შემდეგი სახის იჯარის საბუთი გადაეცა: „ქ. ავიღე მე, მამადამ, შენ, ბატონი დიანბეგი თავადი იოვანე სუმბათოვისაგან, თქვენი აბანო ამ ნავროზიდამ მომავალს ნავროზამდინ სამოცდაცამეტ თუმნათ. აქედან სამი თუმანი ჩემი ხალთა და სამოცდაათი თუმანი თვე-და-თვე გინდა დღე-და-დღე თაბაუთით მოგართო. ღმერთმან ნუ ქნას, ბარგაშტობა მოხდეს, რაც სხვა იჯარადარს სამართალი მიეცეს, მეც ის სამართალი მამეცეს. თუ აბანოს შენობა რამ მოუნდეს, მე ავაშენო და თქვენ იჯარაში მიანგარიშოთ. ეს სამოცდაათი თუმანი თქვენი იჯარა უნდა წლამდინ შეგისრულო და სამი თუმანი ჩემი ხალათია, რომ სრულათ ჩემი ხალათით ჯამი იქნება სამოცდაცამეტი თუმანი".[37]

[36] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვეთი I (26). მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. თბ. 1948, გვ. 13.

[37] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII. სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1985, გვ. 938.

1816 წლის 30 ოქტომბერს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ სცნო სათავადო ღირსება სუმბათაშვილთა გვარის ორი წარმომადგენლისა – კაპიტან გრიგოლ ნიკიტას ძისა და ტიტულარული მრჩევლისა ივანე სტეფანეს ძისა.[38]

თავად სუმბათაშვილთა გვარიდან გამოვიდა რუსეთის საიმპერიო არმიის არაერთი ოფიცერი, რომელთა შორისაც ორმა გენერლობასაც მიაღწია.

1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცებულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ოჯახების ნუსხაში იხსენიება თავად სუმბათაშვილთა ხუთი ოჯახი. მათ შორის იყვნენ: 1) კოლეგიის ასესორი **სოლომონ ივანეს ძე,** მისი ვაჟები – ზაქარია და მიხეილი, ასულები – ეკატერინე და სოფიო; 2) X კლასის ჩინოვნიკს **ასლან ივანეს ძე,** მისი მეუღლე – ბარბარე, მათი ვაჟები – ნიკოლოზი, ივანე, დიმიტრი და კონსტანტინე; 3) შტაბს-კაპიტანი **ალექსანდრე ივანეს ძე,** მისი მეუღლე სოფიო, მათი ვაჟები – პრაპორშჩიკი გრიგოლი, დავითი, ივანე, ნიკოლოზი და ვასილი, ასულები ელენე და ნინო; 4) გუბერნიის მდივანი **მიხეილ ივანეს ძე,** მისი მეუღლე ტასია, მათი ვაჟი დავითი და ასული ნინო; 5) კოლეგიის მრჩევლის **ლუარსაბ პეტრეს ძის** ქვრივი მელანია და მისი ვაჟები – კაპიტანი მიხეილი და გიორგი.[39]

ინფორმაცია ზემოხსენებულ ოჯახის უფროსთა და მათ მეუღლეთა შესახებ დაცულია იური ჩიქოვანის ნაშრომში.[40]

თავადი სუმბათაშვილების ზემოთ დასახელებული ხუთივე ოჯახი იყო უშუალო შთამომავალი თავად პაატა (პეტრე) ქაიხოსროს ძე სუმბათაშვილისა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის (1720-1798) მეითარი გახლდათ. მის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ზემოთ მოყვანილ ნუსხაში მოხსენიებული პირველი ოთხი ოჯახის უფროსები: სოლომონი, ასლანი, ალექსანდრე და მიხეილი – ღვიძლი ძმები იყვნენ. მათი მამა – იოანე, იგივე ივანე (1775-?) გახლდათ ვაჟი ზემოხსენებულ მეითარ პაატასი (იმავე პეტრესი).

უფროსი ძმა, კოლეგიის ასესორი სოლომონ ივანეს ძე (1798-1854) – რუსეთის არმიის კაპიტანი იყო.

---

[38] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 201.

[39] ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა, გვ. 249.

[40] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 202-203.

მის მომდევნო ძმას – X კლასის ჩინოვნიკს ასლან ივანეს ძეს (1800-?) ცოლად ჰყავდა ბარბარე ზაქარიას ასული თურქესტანიშვილი (აზნაური). მათ მომდევნო ძმას – შტაბს-კაპიტან ალექსანდრე ივანეს ძეს (1801-1847) ცოლად ჰყავდა სოფიო მუხრანბატონიშვილი/ბაგრატიონი (1809-1847). ამ უკანასკნელის მშობლები იყვნენ თავადი გიორგი სვიმონის ძე მუხრანბატონიშვილი და ეკატერინე ივანეს ასული აბაშიძე.

მათ მომდევნო ძმას – გუბერნიის მდივან მიხეილ ივანეს ძეს (1806-1855) ცოლად ჰყავდა ტასო/ანასტასია ივანეს ასული სულხანიშვილი (1817-1903). მათი ვაჟი ალექსანდრე (1852-?) იყო კოლეგიის სოვეტნიკი და თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანაშემწე, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბარბარე ალექსანდრეს ასული საგინაშვილი (1864-1938). მათი ვაჟის – მიხეილ ალექსანდრეს ძის (1885-1953) მოღვაწეობის შესახებ შემდეგ ქვეთავში ვისაუბრებთ.

ზემოთ მოყვანილ ნუსხაში დასახელებული სუმბათაშვილების მეხუთე და უკანასკნელი ოჯახის უფროსი, კოლეგიის მრჩეველი ლუარსაბ პაატას/პეტრეს ძე (1780-1850) იყო უმცროსი ძმა ზემოხსენებული იოანე პაატას/პეტრეს ძისა (1775-?).

თავად ლუარსაბ სუმბათაშვილს (1780-1850) ცოლად ჰყავდა მელანია სოლომონის ქობულაშვილი. მათი უფროსი ვაჟი – მიხეილ (გიგო) ლუარსაბის ძე (1822-1886) ცნობილი სამხედრო მოღვაწე იყო. მისი ბიოგრაფია შეტანილია „რუსული ბიოგრაფიული ლექსიკონის“ XX ტომში, რომელშიც ვკითხულობთ: »Сумбатов, князь Михаил Луарсабович, генерал-майор, происходит из рода грузинских князей, уроженец Тифлисской губернии».[41]

მიხეილ სუმბათაშვილმა დაამთავრა თბილისის საგუბერნიო გიმნაზია (1838) და მილიციაში მოხალისედ ჩაირიცხა. მონაწილეობდა კავკასიის ომში, სადაც თავი ისახელა ჩრდილოკავკასიელთა წინააღმდეგ გენერალ სიმბოსკის მიერ განხორციელებულ ექსპედიციაში (1839). ოფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში (1838-1841). მონაწილეობდა ექსპედიციებში, რომლებსაც მეთაურობდნენ კავკასიის საარმიო კორპუსის სარდალი, ინფანტერიის გენერალი გოლოვინი და ლეზგინთა საკორდონო ხაზის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი მარკოვი. 1844 წლიდან მეთაურობდა იმერეთის

[41] Русский биографический словарь. Издание Императорского русского исторического общества. Т. 20. СПб. 1912, გვ. 168.

მილიციის რაზმებს. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის კაპიტნად დააწინაურეს. 1848 წელს დაღესტნის სოფელ გერგებილთან მომხდარ ბრძოლაში დაიჭრა. პოლკოვნიკის წოდებით დაინიშნა ლაიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის მეთაურად (1873 წლიდან). Მონაწილეობდა: ყირიმისა (1853-1856) და რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878) ომებში. 1876 წლიდან ირიცხებოდა კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ამალაში, როგორც მისი ადიუტანტი.[42]

კავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარე გამუდმებულ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის, 1883 წლის 15 მაისს მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება და დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოკრუგის საარმიო კავალერიაში. Dაჯილდოებული იყო: წმ. სტანისლავის II ხარისხის, წმ. ანას II ხარისხის და წმ. ვლადიმირის IV ხარისხის (ბაფთით) ორდენებით.

გენერალი მიხეილ სუმბათაშვილი მსხვილი მიწათმფლობელიც გახლდათ. მამულების ნაწილი, კერძოდ, 501 დესეტინა მიწა მას სამხედრო სამსახურში წარჩინებისათვის უბოძეს [РБС 1912: 168]. ამის გარდა, მის საკუთრებაში, თავის უმცროს ძმასთან – გრიგოლთან/გიგოსთან (1830-?) გაუყოფავად იყო მოზრდილი მამული, რომელიც თბილისის გუბერნიაში მდებარეობდა.[43]

გამოჩენილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი გრიგოლ ორბელიანი (1804-1883) 1848 წლის 3 ივლისს, გერგებილიდან გაგზავნილ წერილში თავისი ძმის ზაქარია ორბელიანის (1806-1847) ქვრივს ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილს (1812-1895) წერდა: „თიბათვის 23-სა მოგვივიდა კარგი ომი ბაღებში, სადაცა ძალიან დამარცხდა მტერი, რომელსაცა ორი ბაირაღიც წაართო ჩვენმა ჯარმა. ამ ომში დაიჭრა მელანიას შვილი მიხაკო სუმბათოვი, ლავიწში მოხვდა ტყვია და ბეჭში გავარდა, მაგრამ არა უშავს-რა, ძალიან კარგი ჰექიმი თათარი დავაყენეთ“.[44]

1848 წლის 7 ივლისს, გერგებილში მყოფი გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს ატყობინებდა: „ღმერთის შეწევნითა ავიღეთ დღეს გერგებილი...

[42] Русский биографический словар, გვ. 168; ლ. დოლიძე. გენერლები საქართველოდან (საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატიანე). თბ. 2003, გვ. 87.

[43] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 203.

[44] გ. ორბელიანი. წერილები. წიგნში: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“. ტ. III. გ. ორბელიანი (ნაწილი II). პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. გ. ჯავახიშვილი, ტომის რედაქტორები ქ. გიგაშვილი და მ. ნინიძე. თბ. 2012, გვ. 101.

სუყველანი ქართველნი მშვიდობიანად არიან. მელანიას შვილიც უკეთ არის“.[45]

ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა გრიგოლ ორბელიანი ახალგაზრდა ოფიცერ სუმბათაშვილზე, რომლის მშობლებთანაც იგი მეგობრობდა. მომდევნო წელს, მიხეილი გრიგოლს დაუნათესავდა კიდევაც, იქორწინა რა მეფე ერეკლე II-ის შთამომავალზე (შვილიშვილის შვილიშვილზე).

1849 წელს მიხეილ სუმბათაშვილმა ჯვარი დაიწერა ქეთევან გრიგოლის ასულ გრუზინსკაიაზე (1828-1891). ამ უკანასკნელის მამა – გრიგოლ ბაგრატიონი (1789-1830) იყო შვილთაშვილი მეფე ერეკლე II-ისა, შვილიშვილი მეფე გიორგი XII-ისა და ერთადერთი ვაჟი უფლისწულ იოანესი (1768-1830). აქვე დავსძენთ, რომ 23 წლის გრიგოლ ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ საქართველოში 1812 წლის 31 იანვარს დაწყებული ანტიიმპერიული სახალხო აჯანყების პირველ ეტაპს, რომელიც 6 მარტამდე (მის დატყვევებამდე) გრძელდებოდა. იმ პერიოდში იგი გამოაცხადეს ქართლ-კახეთის მეფედ და ეკლესია-მონასტრებში ასეც იხსენიებოდა. მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა რუს დამპყრობელთაგან დროებით განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა კახეთს და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. დამპყრობლებმა გრიგოლი დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს. 41 წლის ასაკში გარდაიცვალა სანკტ-პეტერბურგში და დაკრძალულია წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში. მისი შვილები: იოანე (1826-1880), ქეთევანი (1828-1891) და ეკატერინე (1830-1917) – რუსეთის იმპერიაში ატარებდნენ წოდებას – „უგანათლებულესი თავადი გრუზინსკი“.[46]

მიხეილ სუმბათაშვილს და ქეთევან გრუზინსკაიას შეეძინათ შვიდი შვილი: ეკატერინე (1850-1886-ის შემდეგ), ელენე (1852-1886-ის შემდეგ), ივანე (1855-1912), ბარბარე/ვარვარა (1856-1914), ანა (1859-1912), ლუარსაბი (1866-1867) და მარიამი (1871-1896-ის შემდეგ).

ივანე მიხეილის ძე (1855-?) 1860 წლიდან ჩარიცხეს პაჟად რუსეთის საიმპერატორო კარზე. 1869 წელს სამხედრო სამსახური დაიწყო პაჟთა კორპუსში. შანიმუშო სწავლისა და სროლაში მიღწეული წარმატებებისათვის დააჯილდოვეს ლეფოშეს სისტემის რევოლვერით. 1875 წელს კორნეტის წოდებით ჩარიცხეს კაზაკთა პოლკის ლაიბ-გვარდიაში. მისი დები ეკატერინე

[45] გ. ორბელიანი. წერილები, გვ. 102.
[46] ნ. ჯავახიშვილი. გრიგოლ I – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე. თბ. 2020.

(1850-?) და მარიამი (1871-?) – 1914 წელს სამეფო კარზე ფრეილინებად (სეფე-ქალებად) მსახურობდნენ.[47]

ზემოხსენებული მარიამ მიხეილის ასულ სუმბათაშვილის (1871-?) შესახებ საყურადღებო მოგონებაა დაცული ნიკო ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილის (1865-1933), ანუ „ნიკო ბურის“ მოგონებებში. აქვე დავსძენთ, რომ ნ. ბური, როგორც ქართველ თავადაზნაურთა დეპუტაციის წევრი, დაესწრო ნიკოლოზ II-ის იმპერატორად კურთხევის საზეიმო ცერემონიას, რომელიც 1896 წლის 17 მაისს, მოსკოვში, მირქმის ტაძარში შედგა. კორონაციის შემდეგ გაიმართა წვეულება და ბალი, რომელზედაც თავი მოიყარეს არაერთი ქვეყნის არისტოკრატიის წარმომადგენლებმა და მათ შორის მშვენიერმა მანდილოსნებმაც.

ნიკო ბურის მემუარებში ვკითხულობთ: „ლამაზ ქალთა თაიგულში ერთი მეორეს სჯობდა, ერთი მეორეზე მეტად მომწონდა და მაღელვებდა. მათ შორის გამოირჩეოდა ელენე ჩერნოგორსკაია (ჩერნოგორიის მთავრის ასული), რომელიც შემდეგში იტალიის დედოფალი გახდა. აგრეთვე ყველას ყურადღებას იპყრობდა მეორე ულამაზესი ქალი, ქართველების სასიხარულოდ და სასიქადულოდ – მარიამ მიხეილის ასული სუმბათაშვილი. ფართოდ გაღებული კარებიდან შოპენის პოლონეზის მომაჯადოებელ ხმებზე გამოვიდნენ ბრწყინვალე წყვილები, სამჯერ შემოუარეს დარბაზს ირგვლივ. ყოველ შემოვლაზე მამაკაცები ინაცვლებდნენ წყვილში მყოფ მანდილოსნებს. შემდეგ დაიწყო ცეკვები“.[48]

ამდენად, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის კორონაციაზე თავისი შესანიშნავი გარეგნობით გამოირჩეოდა მარიამ სუმბათაშვილი, რომელიც იმჟამად 25 წლისა იყო.

ზემოხსენებული თავადის ასლან ივანეს ძე სუმბათაშვილისა (1800-1850) და ბარბარე ზაქარიას ასულ თურქესტანიშვილის უფროს ვაჟს – ნიკოლოზს (1833-?) ცოლად ჰყავდა ეკატერინე (თეკლე) მელვინეთუხუცესი (1845-?), ასული აზნაურ ნიკოლოზის მელვინეთუხუცესისა.

მათი უფროსი ვაჟი – გიორგი (გიგო) ნიკოლოზის ძე სუმბათაშვილი (1868-1921 წლის შემდეგ) ცნობილი სამხედრო პირი გახლდათ. იგი თბილი-

[47] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 203.

[48] ნ. ბაგრატიონი. ბურებთან (მოგონება). გამოცემა მესამე. ლიტერატურული ჩანაწერი ა. ბუჯყიაშვილი-ბაგრატიონისა. თარგმანი. ლიტერატურული დამუშავება და შენიშვნები რ. გვეტაძისა. თბ. 1990, გვ. 60-61.

სის ქვეით იუნკერთა სასწავლებლისა და მსროლელ ოფიცერთა სკოლის დასრულების შემდეგ, 1889 წლიდან საიმპერიო არმიაში მსახურობდა. კაპიტნის წოდებით მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905), სადაც დაიჭრა. 1911 წლიდან ირიცხებოდა ვიბორგის 85-ე ქვეითთა პოლკში. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914-1918). მეთაურობდა ნოვოჩერკასკის 145-ე ქვეითი პოლკის ბატალიონს. პოლკოვნიკის წოდებით მეთაურობდა ცარიცინის 146-ე ქვეით პოლკს (1915-1917). დაჯილდოებული იყო: წმ. ვლადიმირის IV და III ხარისხის ორდენებით (ხმლებითურთ და ბაფთით), წმ. ანას IV, III (ხმლებითურთ და ბაფთით) და II ხარისხის ორდენებით (ხმლებითურთ), წმ. სტანისლავის III და II ხარისხის (ბაფთით) ორდენებით, წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით და წმ. გიორგის ოქროს ხმლით, ასევე, საპატიო ლეგიონის ორდენით.[49] მისი სამსახურის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში მოთხრობილია წინამდებარე სტატიის შემდეგ ქვეთავში.

ზემოხსენებული თავადი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი (1801-1847) გახლდათ მეჯვარე თავად რევაზ ლუარსაბის ძე ქსნის ერისთავისა (1812-1881), რომელმაც 1844 წელს ცოლად შეირთო ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი (1821-1853), და გენიალური პოეტისა ნიკოლოზ ბარათაშვილისა (1817-1845).

ქსნის ერისთავების ახალგორის სასახლეში გამართული ამ ქორწილის პერიპეტიები აღწერილია ნ. ბარათაშვილის წერილში, რომელიც მან თავის ბიძას (დედის ძმას) – თავად ზაქარია ორბელიანს (1806-1847) გაუგზავნა და აღნიშნა, რომ მაყარში მათთან ერთად იყო „ალექსანდრე სუმბათოვი – მეჯვარე“.[50]

ხსენებული ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილისა (1801-1847) და სოფიო გიორგის ასული ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილის (1809-1847) უფროსი ვაჟი გრიგოლ ალექსანდრეს ძე (1827-1847) – პრაპორშჩიკი იყო, ხოლო მომდევნო ვაჟი – დავით ალექსანდრეს ძე (1831-1920) – გენერალი. ამ უკანასკნელმა სამხედრო სამსახური 1854 წლიდან დაიწყო. მონაწილეობდა ყირიმის (1855 წლიდან) და რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878) ომებში. და-

[49] მ. გოგიტიძე. გ. ბეჟიტაშვილი. სამხედრო ფიცის ეროვნული (ბიოგრაფიული ცნობარი). თბ. 2015, გვ. 40; მ. ბახტაძე. სუმბათაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე. ენციკლოპედია-ლექსიკონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“. თბ. 2018, გვ. 422.

[50] ნ. ბარათაშვილი. პირადი წერილები. მოამზადა, შესავალი, კომენტარები, შენიშვნები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მ. ცერცვაძემ. თბ. 2015, გვ. 171.

ჯილდოებული იყო: წმ. Vლადიმირის IV და III ხარისხის, წმ. ანას II ხარისხის, წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენებით. მიღებული ჰქონდა საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ჯილდოებიც, კერძოდ, მეკლენბურგ-შვერინის ვენდური გვირგვინის ორდენი და სპარსეთის ლომისა და მზის II ხარისხის ორდენი (1879). 1883 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორობა, 1887 წელს კი გენერალ-ლეიტენანტობა. იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა რიგით მერვე წინამძღოლი, ხოლო 1897-1904 წლებში – თბილისის მომრიგებელი მოსამართლე. მინიჭებული ჰქონდა საიდუმლო მრჩევლის რანგი.[51] ცოლად ჰყავდა ნადეჟდა ივანეს ასული ამილახვარი (1849-1890).

გენერალ დავით სუმბათაშვილის ძმას – ოფიცერ ვასილ ალექსანდრეს ძეს (1843-1905) ცოლად ჰყავდა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი და – სოფიო მელიტონის ასული ბარათაშვილი (1841-1916). მათი ვაჟი – გიორგი (1882-1960) – ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში ოფიცრად მსახურობდა.[52]

ზემოხსენებული დავით და ვასილ სუმბათაშვილების ძმას – ივანეს ალექსანდრეს ძეს (1833-1882) ცოლად ჰყავდა ვარვარა (ბარბარე) ნედზვეტსკაია (1836-1902), ასული ტულის გუბერნიაში მცხოვრები აზნაურისა ივანე ნედზვეტსკისა. იმავე გუბერნიის სოფელ კუკუევოში დაიბადა მათი ვაჟი, დიდი მსახიობი, დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე ალექსანდრე ივანეს ძე (1857-1927), საყოველთაოდ ცნობილი ფსევდონიმით – „იუჟინი“. ამ ფსევდონიმით იგი თავის სამხრეთულ წარმომავლობაზე უსვამდა ხაზს.

1863-1877 წლებში ალექსანდრე საქართველოში ცხოვრობდა. დაამთავრა თბილისის ვაჟთა I გიმნაზია, სადაც მისი თანაკლასელი იყო ცნობილი თეატრალური მოღვაწე და დრამატურგი ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო (1858-1943). შცენაზე პირველად 1877 წელს, ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გამოვიდა. სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (1877-1881), თუმცა ამ სპეციალობით არასდროს არ უმუშავია.

1878-1879 წლებში გამოდიოდა პეტერბურგის თეატრებში. 1882 წლიდან მოღვაწეობდა მოსკოვის საიმპერატორო მცირე თეატრში, რომელთანაც დაკავშირებული აღმოჩნდა მთელი მისი შემოქმედებითი საქმიანობა. ამ თეატრის დასთან ერთად საგასტროლოდ საქართველოს არაერთხელ ეწვია.

[51] ლ. დოლიძე. გენერლები საქართველოდან, გვ. 87.
[52] ნ. ბარათაშვილი. პირადი წერილები, გვ. 143.

1909 წლიდან იმავე თეატრში ხელმძღვანელობდა თეატრალურ დასს, 1918 წლიდან – სამხატვრო საბჭოს, ხოლო 1919 წლიდან – დირექციას. 1923 წელს გახდა დირექტორი, ხოლო 1926 წლიდან – საპატიო დირექტორი. ითვლებოდა მგზნებარე ტემპერამენტის, ფართო დიაპაზონის, ტრაგიკული პლანის რომანტიკოს მსახიობად, თუმცა სახასიათო, კომედიურ როლებსაც ანსახიერებდა. სხვადასხვა დროს განასახიერა: დიუნუა, მარკიზი პოზა, მორტიმერი, იაგო, ოტელო, რიჩარდ III, ჰამლეტ, ფიგარო და სხვა როლები. მის კალამს განეკუთვნება ოცამდე პიესა, რომელთა უმეტესობაც სოციალურ პრობლემატიკას ეძღვნება. საქართველოს ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი"დრამატული პიესა სახელწოდებით „ღალატი" (1903), როგორც ოპერა, პირველად 1914 წლის 29 იანვარს, სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრში დაიდგა.[53]

მისი პიესები ქართულად თარგმნეს: აკაკი წერეთელმა, ვალერიან გუნიამ, კოტე მესხმა და ნიკო ავალიშვილმა. ხელმძღვანელობდა დირექციას მოსკოვის მხატვრულ-ლიტერატურული გაერთიანებისა – „გარემო" («Среда»). მინიჭებული ჰქონდა პეტერბურგის ალექსანდრეს სახელობის თეატრის საპატიო წევრის წოდება. მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა სათანადოდ არის შესწავლილი.[54]

ამ დიდი დრამატურგის და მსახიობის მიერ სსრ კავშირის არსებობის პერიოდში გაწეულ შემოქმედებით საქმიანობაზე ამ გამოკვლევის ბოლო ნარკვევში ვისაუბრებთ.

ალექსანდრეს ცოლად ჰყავდა გერმანული წარმომავლობის ბალტიელი ბარონესა მარია ნიკოლოზის ასული კორფი (1859-?). მისი მამის – ბარონ ნიკოლოზ ვასილის ძე კორფის მფლობელობაში იყო ვორონეჟის გუბერნიაში მდებარე მამული – პოგრომეცი. მარია ნიკოლოზის ასულ კორფის დედა – ალექსანდრა იყო ასული რუსი აზნაურისა დიმიტრი ლაჩინოვისა. "ლექსანდრას და – ბარონესა ლიდია ცოლად ჰყავდა მსახიობ ალექსანდრე ვერვიციოტის, რომელიც ცნობილი იყო სცენური ფსევდონიმით – ლენსკი.[55]

[53] М. Горгидзе. Грузины в Петербурге. Страницы летописи культурных связей. Тб. 1976, გვ. 277.

[54] დ. ჩხიკვიშვილი. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი. თბ. 1976; კ. ნინიკაშვილი. მ. ლაღიძე. სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე ივანეს ძე. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია". ტ. 9. თბ. 1985, გვ. 604; Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 203.

[55] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 203.

თავად სუმბათაშვილთა რუსეთში მცხოვრებ შტოს განეკუთვნებოდნენ ძმები – პოლკოვნიკი ეგორ სტეფანეს ძე სუმბათოვი, რომელიც 1840 წელს დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით და მაიორი გერასიმე სტეფანეს ძე, რომელმაც ხსენებული ორდენი 1848 წელს მიიღო.

იმავე საგვარეულოს რუსეთში მცხოვრები შტოს წარმომადგენელი გახლდათ ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათოვი (1893-1977). იგი კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, მოქმედ არმიაში 1914 წლიდან მსახურობდა. I მსოფლიო ომში დაიჭრა, რისთვისაც წმ. გიორგის IV ხარისხის ჯვრით დაჯილდოვდა. 1916 წლის ოქტომბერში მძიმე კონტუზია გადაიტანა. 1918 წელს მოსკოვიდან წავიდა ყირიმში, საიდანაც 1919 წელს ემიგრაციაში გაემგზავრა.[56] მისი ემიგრანტული მოღვაწეობის შესახებ ამ სტატიის ბოლო ქვეთავში მოგითხრობთ.

## 5) თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში თავი გამოიჩინა თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს ორმა წარმომადგენელმა, რომელთაგან ერთი სამხედრო სფეროში საქმიანობდა, ხოლო მეორე – დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწეობდა.

***

ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწის გიორგი (გიგო) ნიკოლოზის ძე სუმბათაშვილის (1868-?) რუსეთის საიმპერიო არმიაში სამსახურის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 50 წლის პოლკოვნიკი გ. სუმბათაშვილი უყოყმანოდ ჩადგა ქართული არმიის სამსახურში, სადაც მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

1918 წლის აპრილში მონაწილეობდა ბრძოლებში საქართველოში შემოჭრილ ოსმალეთის იმპერიის ჯართან, რომელმაც ბათუმის დაკავების შემდეგ, გზა გურიის ტერიტორიაზე განაგრძო.

ოსმალეთის არმიასთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაბმული ქართული ჯარის სარდალი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (1872-1937) იგონებ-

[56] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 203.

და: „დიდი საფრთხე მოგველოდა. ოსმალებს გვერდზე შემოვლით ხიდისთავსა, ჩოხატაურსა და საჯავახოზე, ადვილად შეეძლოთ გადაეჭრათ გზა ჩემი მარჯვენა ფრთისათვის, მაგრამ ოსმალებმა დაიგვიანეს, მე მოვასწარი და 6 აპრილს საღამოზე დავიჭირე უღელტეხილი ნასაკირალი და ნაგომარი – ლანჩხუთიდან ჩამოსულ სათადარიგო ჯარის ნაწილებით... ამ უღელტეხილების მებრძოლი რაიონის უფროსად დავნიშნე გენერალი სუმბათაშვილი, გამოცდილი და გულადი მხედარი, რომელმაც სახელი გაითქვა უკანასკნელ უდიდეს ომში და მიიღო უმაღლესი სამხედრო ჯილდო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს გენერალი არ შეუშინდებოდა ბრძოლას, თუნდაც მტერი მასზე ბევრად ძლიერი ყოფილიყო და მაგალითის მიცემით და ხელოვანური ხელმძღვანელობით მოიგერიებდა იერიშით მოსულ ოსმალებს. 7 აპრილს მან უკვე მაცნობა, რომ მივიდა ნასაკირალზე და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას“.[57]

ვფიქრობთ, საგულისხმოა, რომ სიმამაცით განთქმულმა გიორგი მაზნიაშვილმა თავის მემუარებში ასეთი მაღალი შეფასება მისცა გენერალ გიორგი სუმბათაშვილს, რომელმაც თავდადებული მოქმედებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოკუპანტთა შემოტევის შეჩერებასა და საქართველოდან განდევნაში.

1918 წლის დეკემბერში, სომხეთთან მომხდარი ომის პერიოდში გენერალი სუმბათაშვილი მსახურობდა საქართველოს სამხედრო მინისტრის მიერ შულავერი-სადახლოს ფრონტის სარდლად დანიშნული მაზნიაშვილის მოადგილედ.

მაზნიაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „18 დეკემბერს... ჩემს თანაშემწეს, გენერალ სუმბათაშვილს ვუბრძანე, წაეყვანა ერთი ესკადრონი და დაუყოვნებლივ წაეწია მდინარე ხრამისაკენ“.[58]

1920 წლის აპრილში გასაბჭოებული აზერბაიჯანის მხრიდან შემოჭრილი წითელი არმიის შეჩერებისა და განდევნის ოპერაციაში თავი ისახელა გენერალმა სუმბათაშვილმა, რომელიც ზაქათალის მიმართულების ჯარს სარდლობდა.

1920 წელს სუმბათაშვილი დაინიშნა II დივიზიის შტაბის უფროსად, ხოლო 1921 წლის 6 თებერვლიდან – იმავე დივიზიის მეთაურად.[59]

[57] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი (1917-1925 წწ.). ბათუმი. 1990, გვ. 43-44.
[58] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი (1917-1925 წწ.), გვ. 124-125.
[59] ლ. დოლიძე. გენერლები საქართველოდან, გვ. 220.

1921 წლის თებერვლიდან გენერალი გიორგი სუმბათაშვილი იმყოფებოდა სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის, გენერალ იოსებ (სოსო) გედევანიშვილის (1872-1939) დაქვემდებარებაში. უშუალოდ მეთაურობდა ბამბაკის ხეობაში სანაინი-შაგალის მიმართულებით განლაგებულ შენაერთებს.

რუსეთის სფსრ-ის XI წითელი არმიის შემოტევისას, გენერალმა სუმბათაშვილმა დაიხია თბილისისაკენ. 24-25 თებერვლისათვის მისი ხელმძღვანელობით მოქმედ V ლეგიონის ათასეულს ეკავა პოზიციები სოფელ წყნეთის რაიონიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, საბურთალომდე.

ქართული არმიის თბილისიდან დასავლეთისაკენ უკანდახევისას, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, გენერალი სუმბათაშვილი მარცხენა კოლონის მეთაურად დანიშნა.

სუმბათაშვილი მონაწილეობდა 4-5 მარტს, ოსიაურთან მომხდარ ბრძოლაში, სადაც მარჯვენა ფრთას და უღელტეხილების დაცვას ხელმძღვანელობდა.

გიორგი მაზნიაშვილი იგონებდა: „სუმბათაშვილის მეორე დივიზია, რომელიც დარჩა გორში ჯარების უკანდახევის ხელის შესაწყობად, როდესაც ეს ოპერაცია დამთავრდებოდა, უნდა გადმოსულიყო ჩემს განკარგულებაში“.[60]

18-20 მარტს, სუმბათაშვილი მაზნიაშვილთან ერთად მონაწილეობდა ბათუმიდან თურქი ოკუპანტების განდევნის ოპერაციაში.[61]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილე და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970) გიორგი სუმბათაშვილის შესახებ მიუთითებდა, რომ ის იყო „მებრძოლი გენერალი... რომლის გამოცდილება და საბრძოლო დამსახურება უდიდეს პატივისცემას იმსახურებს“.[62]

გენერალი კვინიტაძე თავის მემუარების ორივე ტომში გენერალ სუმბათაშვილს განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს.[63]

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ალექსანდრე ზაქარიაძე (1884-1957) თავის ნარკვევში „საქართველოს დემოკ-

[60] გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი (1917-1925 წწ.), გვ. 181-182.

[61] მ. ბახტაძე. სუმბათაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, გვ. 422.

[62] გ. კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტ. I. თბ. 1998, გვ. 84.

[63] გ. კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტ. I, გვ. 75-77, 83-87, 264; გ. კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ტ. II. თბ. 1999, გვ. 101, 106, 109.

რატიული რესპუბლიკა“ ასევე პატივისცემით იხსენიებს გენერალ სუმბათაშვილს, რომელიც 1920 წლის გაზაფხულზე იბრძოდა აზერბაიჯანის ფრონტზე.[64] ხოლო 1921 წლის თებერვლის მეორე ნახევრიდან – სადახლოსთან, სანდარის მიდამოებში.[65]

გენერალი სუმბათაშვილი ასევე იხსენიება საქართველოს სამხედრო სკოლის უფროსის მოადგილის, გენერალ ალექსანდრე ჩხეიძის (1873-1941) მიერ ემიგრაციაში გამომავალ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ნარკვევებში „სამხედრო სკოლა“[66] და „ჩემი მოგონებების განმარტებანი“.[67]

ალ. ჩხეიძე აღნიშნავდა: „გენერალი სუმბათაშვილი – ეს იყო გამოჩენილი და განქმული დივიზიის უფროსი რუსეთის დასავლეთის ფრონტზე, დიდ ომში“.[68] განვმარტავთ, რომ აქ იგულისხმება I მსოფლიო ომი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებულმა გენერალმა გიორგი სუმბათაშვილმა ემიგრაციაში წასვლას საქართველოში დარჩენა ამჯობინა. მისი შემდგომი ბედი და გარდაცვალების თარიღი ჯერჯერობით დაუდგენელია.

***

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში დიპლომატიურ ასპარეზზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა მიხეილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილი (1885-1953), რომელიც გახლდათ ვაჟი ზემოხსენებული თავადისა ალექსანდრე მიხეილის ძე სუმბათაშვილისა (1852-?) და ბარბარე ალექსანდრეს ასული საგინაშვილისა (1864-1938).

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ, მ. სუმბათაშვილი სწავლობდა მოსკოვის საიმპერატორო ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც იგი ქიმიას ეუფლებოდა. 1905 წელს რუსეთში დაწყებული რევოლუციის გამო, ეს სასწავლებელი დროებით დაიხურა.

მიხეილმა სწავლა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განაგრძო. იგი შევიდა პარიზის უნივერსიტეტში, სადაც სხვა საგნებთან ერთად, კურსები მოისმინა პროფესორ მოისანთან და პრაქტიკა მის ლაბორატორიაში გაიარა. 1909

[64] ა. ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. წიგნში: გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. IV. თბ., 2003, გვ. 257-258.
[65] ა. ზაქარიაძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, გვ. 279.
[66] ა. ჩხეიძე, სამხედრო სკოლა. ჟურნ.: „მხედარი“, №13, პარიზი, 1933, გვ. 3-69.
[67] ა. ჩხეიძე, ჩემი მოგონებების განმარტებანი. ჟურნ.: „მხედარი“, №16, პარიზი, 1934, გვ. 56-85.
[68] ა. ჩხეიძე, ჩემი მოგონებების განმარტებანი, გვ. 72.

წელს მან ქ. ფრაიბერგში არსებული საქსონიის სამთო-საინჟინრო სკოლა სამთო ინჟინრის დიპლომით დაამთავრა. 1909-1910 წლებში იგი მოღვაწეობდა ალჟირში მრეწველ საკამოდის თუთიის საბადოების დირექტორად.

სამშობლოში დაბრუნებული მ. სუმბათაშვილი სასარგებლო წიაღისეულის საძიებო და სასოფლო-სამეურნეო კვლევით სამუშაოებს შეუდგა. 1912 წელს ის აირჩიეს თბილისის მუნიციპალური მთავრობის საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ, 1913 წელს – თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლად, ხოლო 1915 წელს – კავკასიის სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოების თავმჯდომარედ. I მსოფლიო ომის პერიოდში მუშაობდა რუსეთის კომპანია „ზემსტვოს“ სრლუფლებიან წარმომადგენლად კავკასიისა და სპარსეთის ფრონტებზე.

რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 38 წლის მიხეილ სუმბათაშვილი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს სამსახურში. 1918 წლის ოქტომბერში იგი დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლად ბერნში (შვეიცარია), სადაც აქტიური დიპლომატიური საქმიანობა აწარმოა.

1919 წლის 1 ოქტომბერს, ჟენევაში გამომავალ „ილუსტრირებულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ნარკვევი „საქართველო შვეიცარიაში“,[69] სადაც მოთხრობილია მ. სუმბათაშვილის მოღვაწეობის შესახებ. მასში ვკითხულობთ: „რუსეთის დაშლის შემდეგ აღმოცენებულ სახელმწიფოთა შორის არის ერთი, რომლითაც განსაკუთრებულად უნდა დაინტერესდეს შვეიცარია. ეს გახლავთ საქართველო, თავისუფლებისმოყვარე მთიელთა ქვეყანა, რომელიც მდიდარია წიაღისეულის, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, სადაც ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ უკვე მიაღწია წარმატებასა თუ სიმდიდრეს და სავსებით დაინტერესებულნი ვართ მასთან ურთიერთობების გაღრმავებით. საქართველოს, რომელიც გადაურჩა ბოლშევიზმს, გააჩნია შეძლებისდაგვარად ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია და იმედოვნებს, რომ სულ მალე იხილავს თავის დამოუკიდებლობას, აღიარებულს მსოფლიოს სახელმწიფოთა მიერ. ოფიციალურად ცნობის მოლოდინში საქართველომ ბერნში მიავლინა თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი... იგი ეძიებს გზებს ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის. არსებობს უამრავი ნაწარმი, რომელიც ომამდე ჩვენში საქართველოდან შემოდიოდა ჰამბურგის გავლით,

[69] „Journal Illustree”, №679, Genève, 1919.

რაც საშუამავლო გარიგებების შედეგი გახლდათ. აქედან, ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რათა პირდაპირ მივიღოთ ისინი კავკასიიდან, სადაც ჩვენი პროდუქციისათვის ასევე მნიშვნელოვანი გასაღების ბაზარი არსებობს და ჩვენი მრეწველები მთლიანად დაინტერესებულნი არიან იმაში, რათა იგი არ იქნას მონოპოლიზებული სხვათა მიერ. ამისათვის კი საკმარისია ვიყოთ პირველები და საქართველოში გაიგზავნოს სამრეწველო მისია მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად, ხოლო თავადი სუმბათაშვილი უთუოდ სიამოვნებით მოგაწვდით იმ მასალებს, რომელიც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გახდეს ჩვენი ინდუსტრიისათვის".[70]

მიხეილ სუმბათაშვილი, გამოჩენილ ქართველ სახელმწიფო მოღვაწესთან, დიპლომატთან და მეცნიერთან ზურაბ ავალიშვილთან (1875-1944) ერთად, აქტიურად იყო ჩართული მოლაპარაკებებში, რომელიც 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ჟენევაში წარმოებდა. იმხანად, ერთა ლიგაში განიხილებოდა ამ ორგანიზაციაში საქართველოს მიღების საკითხი.

ზ. ავალიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში" პატივისცემით იხსენიებს მიხეილ სუმბათაშვილის დიპლომატიურ მოღვაწეობას და მის მონდომებას, რომ ჩვენი სამშობლო ერთა ლიგის წევრი გამხდარიყო. იგი წერს: „ლიგის წევრობაზე გაცხადებულ კანდიდატურის გასარჩევად შეადგინეს საერთო ლიგის განსაკუთრებული კომისია... 25 ნოემბერს მე და თავადმა მ. ა. სუმბათაშვილმა მივეცით ამ ქვეკომისიას განმარტებები... როგორც აგვიხსნა მე და სუმბათაშვილს კუბის დელეგატმა აგუერომ, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ყოველგვარ კენჭისყრის მომზადებაში, „შუა და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ თავისი ხმების რაოდენობით ლიგაში მიეღოთ საქართველო... რასაც მოითხოვდა სამართლიანობა! მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ასეთ საქმეებს სწყვეტს არა სამართლიანობა! "მერიკის რესპუბლიკებისათვის უხერხულია წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ საკითხში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნიერების სწორედ ამ ნაწილისათვის! ინგლისმა და საფრანგეთმა, ან მარტო ინგლისმა მოგცეთ ხმა და ჩვენ, როგორც ერთი კაცი, შევუერთდებით მას".[71]

[70] გ. შარაძე. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბ. 2003, გვ. 257-259.

[71] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი. ნარკვევები. თბ. 1929, გვ. 232-235.

სამწუხაროდ, ქართველ დიპლომატთა და საქართველ მხარდამჭერ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მცდელობამ ამაოდ ჩაიარა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთა ლიგაში ვერ გაწევრიანდა.

საქართველოს მთავრობამ 1920 წლის მიწურულს მიხეილ სუმბათაშვილი გადაიყვანა ლონდონში, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობის შემსრულებლად *(Chargé d'affaires)*, სადაც მან ამ თანამდებობაზე მანამდე მყოფი დავით ღამბაშიძე შეცვალა.

1921 წლის იანვრიდან მიხეილმა დიპლომატიური საქმიანობა განაგრძო პარიზში, სადაც საქართველოს საელჩოში მრჩევლად დაინიშნა.

იმავე წლის 25 თებერვალს, საფრანგეთში აკრედიტებულ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ აკაკი ჩხენკელთან (1874-1959) და საელჩოს მდივან სოსიპატრე ასათიანთან ერთად, მრჩეველი მიხეილ სუმბათაშვილი მონაწილეობდა ელისეს სასახლეში გამართულ ცერემონიაში, რომლის დროსაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ეტიენ ალექსანდრ მილიერანს (1859-1943) რწმუნებათა სიგელი გადასცეს.[72]

აღნიშნული ისტორიული ფაქტის თვითმხილველი ზ. ავალიშვილი გულისტკივილით იგონებდა: „საელჩოს წინ, ხალხში გარეული, მე ვუცქერდი პარიზისათვის ჩვეულებრივსა და საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვან სანახაობას... მაგონდებოდა, ორასი წლის წინათ, მეფე ვახტანგ VI-ის ელჩი, თავადი საბა-სულხან ორბელიანი, ლუდოვიკ XIV-ის მიერ ვერსალის სასახლეში მიღებული, თუ როგორ გამოითხოვდა საქართველოსთვის დახმარებას. Mის ცდას არ გამოუღია ნაყოფი: მზე-მეფე (მზე თითქმის ჩასული) სრულიად უძლური გამოდგა რაიმე გაეკეთებინა... იმავე დღეს, 25 თებერვალს, 1921 წელს, საბჭოთა ჯარები შედიოდნენ თბილისში. წინ უძღვოდა წითელ ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველი კომისართაგანი. მას გვერდით უხილავათ მოჰყვებოდა გაძვალტყავებულ ჯახრაკზე, ძონძებში გახვეული ჩონჩხი და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი“.[73]

რუსეთის სფსრ-ის წითელი არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, მიხეილ სუმბათაშვილმა დიპლომატიური საქმიანობა კვლავ დიდ ბრიტანეთში განაგრძო.

[72] გ. შარაძე. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, გვ. 257-259.

[73] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 243.

## 6) თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელნი ემიგრაციაში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი მიხეილ სუმბათაშვილი თავის მეუღლესთან ლიდია ლვოვის ასულ მარკოვასთან და ერთადერთ ასულ ნინასთან ერთად, ლონდონში ცხოვრობდა. ლიდია მარკოვა-სუმბათაშვილისა აღნიშნულ ქალაქში 1930 წელს გარდაიცვალა, ხოლო ნინა მიხეილის ასულ სუმბათაშვილის გარდაცვალების თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

***

აღსანიშნავია, რომ ქართული ემიგრაციის ხელშეწყობით, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ცნობილი პიესა „ღალატი“ დასავლეთ ევროპის ქვეყნების თეატრების სცენაზეც იდგმებოდა. კერძოდ, იგი 1935 წლის იანვარში, ბერლინის ცენტრალური თეატრის სცენაზე, გერმანულ ენაზე დადგეს. ეს დადგმა განხორციელდა ემიგრანტი ქართველი რეჟისორის გ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით. პიესა გერმანულ ენაზე თარგმნა რეჟისორის მეუღლემ ჰერტრუდა ჯაბადარმა. დადგმაში მონაწილეობდნენ გერმანელი მსახიობები: კნუტ ჰარტვიგი, თამარ ფონ ჰაისტერი, გერდა მიულერი და კარლ ლუდვიგ შრაიბერი.

ბერლინში გამომავალი ქართველ ნაციონალისტთა გაზეთის „კლდე“ 1934 წლის დეკემბრის ნომერი იუწყებოდა: „1935 წლის იანვრის 25-ს ბერლინის საუკეთესო სცენაზე დაიდგმება სუმბათაშვილის უკვდავი პიესა „ღალატი“ გერმანულ ენაზე, გ. ჯაბადარის რეჟისორობით... ეს პირველი შემთხვევაა, რომ ქართული პიესა ევროპის სცენაზე და ევროპის საზოგადოებრიობის წინაშე გამოდის... მაგრამ ამ ფაქტის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწურება და „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციაც“, რომელიც დადგმისათვის ზრუნავს, მხედველობაში იღებს უმთავრესად მეორე მომენტს, სახელდობრ: „ღალატი“ არის ქართული ისტორიული პიესა და მისი ევროპულ სცენაზე წარმოდგენა ქართველი ერისა და მისი საქმის პროპაგანდას ნიშნავს... გერმანიაში ჩვენ გაგვაქვს ევროპულ საზოგადოებრიობის წინაშე არა მარტო ქართული დრამატურგიის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი, არამედ ჩვენი ისტორია, ჩვენი მძიმე და ტრაგიკული წარსული, ქართული ხასიათი,

ტემპერამენტი, ადათი... 1935 წლის 25 იანვარი ამიტომ უნდა იქცეს ქართული კულტურის დღედ ბერლინში“.[74]

***

თავად სუმბათაშვილთა რუსეთში მცხოვრები შტოს ზემოხსენებული წარმომადგენელი – ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათოვი (1893-1977) 1919 წლის აპრილში გემით „ეკატერინოსლავლი“ ყირიმიდან ემიგრაციაში გაემგზავრა. ერთხანს იგი ცხოვრობდა კუნძულ ჰალკიზე და ისტანბულში. 1920 წელს წითელი ჯვრის იტალიური გემით ჩავიდა იტალიაში, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. იყო რუსული ემიგრაციის პირველი ტალღის ერთერთი გამორჩეული წარმომადგენელი, ცნობილი პოეტი, მთარგმნელი და მხატვარი. თავდაპირველად რომში ცხოვრობდა. მსახურობდა მხატვრად ვატიკანში, ქსოვილთა დიზაინერად, რუსული წიგნის მაღაზიის გამგედ. 1959 წლიდან ცხოვრობდა ბოლცანოში, ხოლო 1964 წლიდან – ლივორნოში. მეგობრობდა რუს ემიგრანტ პოეტ ანატოლი გაინცელმანთან (1879-1953).

ვ. სუმბათოვის კალამს ეკუთვნის ემიგრაციაში გამოცემული სამი პოეტური კრებული: „ლექსები“ (მიუნხენი, 1922), „ლექსები“ (მილანი, 1957) და „გამჭვირვალე სიბნელე“ (ლივორნო, 1969). მისი პატრიოტულ-რელიგიური ლექსები შექმნილია კლასიკურ მანერაზე, ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევრის პოეტიკის სულისკვეთებით. იმავდროულად, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას და თარგმნიდა იტალიელი, გერმანელი და ინგლისელი პოეტების ლექსებს. მისი შემოქმედების ძირითადი ნაწილი შევიდა ამ ოციოდე წლის წინათ გამოცემულ ლექსების კრებულში, რომელსაც ავტორის ბიოგრაფიაც ერთვის.[75]

## 7) სუმბათაშვილთა გვარის წარმომადგენლები სსრ კავშირში

სსრ კავშირში ცხოვრება და მოღვაწეობა რამდენიმე წლის განმავლობაში მოუწია თავად სუმბათაშვილთა საგვარეულოს გამოჩენილ წარმომადგენელს, ზემოხსენებულ მსახიობსა და დრამატურგს ალექსანდრე ივანეს ძეს (1857-1927), რომელიც ატარებდა რუსიფიცირებულ გვარს – «Сумбатов», ხოლო ცნობილი იყო ფსევდონიმით – «Южин».

[74] „ღალატი“ გერმანულ სცენაზე. ქართველ ნაციონალისტთა ორგანო „კლდე“. №5/6. ბერლინი, 1934.

[75] В. Сумбатов. Прозрачная тьма. Собрание стихотворений. Составил Л. Алексеев. Научная редакция и подготовка текста В. Резвого. Предисловие и биографическая справка С. Гардзонио. Москва. 2006.

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ მოსკოვში დარჩენილ ალექსანდრე იუჟინს 1922 წელს მიენიჭა რსფსრ-ის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. 1923 წელს იგი ჩამოვიდა სამშობლოში, სადაც მონაწილეობა მიიღო რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის მიერ შოთა რუსთაველის თეატრში დადგმულ ზ. ანტონოვის სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“.[76]

1927 წლის 17 სექტემბერს ალექსანდრე იუჟინი გარდაიცვალა ქ. ნიცასთან მდებარე ჟუან-ლე-პენის ვილაში „ქრიზანთემა“. იგიმგადაასვენეს და დაკრძალეს მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.[77]

თბილისსა და მოსკოვში მოღვაწეობდა ქართველი სცენოგრაფი მხატვარი იოსებ გიორგის ძე სუმბათაშვილი (1915-2012). თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლისას იყო დავით კაკაბაძისა და ვალერიან სიდამონ-ერისთავის მოწაფე. ამ”აკადემიის დასრულების შემდეგ, პედაგოგიურ საქმიანობას იქვე ეწეოდა. მთავარ მხატვრად მოღვაწეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის და კოტე მარჯანიშვილის თეატრებში. იყო ქართული მხატვრული ფილმების – „ქეთო და კოტე“, „ცისკარა“, „მაგდანას ლურჯა“ და მულტიპლიკაციური ფილმების დეკორაციების ესკიზების მხატვარი. 1958 წლიდან სამუშაოდ გადავიდა მოსკოვში, სადაც მთავარ მხატვრად მუშაობდა საბჭოთა არმიის ცენტრალურ აკადემიურ და ევგენი ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო თეატრებში. 1968 წელს მიენიჭა რსფსრ-ის, ხოლო 1982 წელს – სსრკ-ს სახალხო მხატვრის წოდებები. 1952 წელს მიენიჭა სტალინური პრემია (II ხარისხის), ხოლო 1974 წელს – სსრკ სახელმწიფო პრემია. გარდაიცვალა და დაკრძალულია მოსკოვში.[78]

სუმბათოვის გვარს ატარებდა სსრ კავშირის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აზერბაიჯანის სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი იუველიან დავითის ძე სუმბათოვ-თოფურიძე (1889-1960). თოფურიძე – მისი დედის გვარი გახლდათ.[79] აქვე დავსძენთ, რომ ამ

[76] დ. ჩხიკვიშვილი. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, გვ. ; კ. ნინიკაშვილი. მ. ლაღიძე. სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე ივანეს ძე. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. ტ. 9. თბ. 1985, გვ. 604.

[77] Дворянские роды Российской империи. Т. IV. С. Думин, Ю. Чиковани. Князья Царства Грузинского, გვ. 203.

[78] სუმბათაშვილი იოსებ გიორგის ძე. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“. ტ. 9, თბ. 1985, გვ. 603.

[79] Н. Петров. К. Скоркин. Кто руководил НКВД (1934-1941). Справочник. Под редакцией Н. Охотина и А. Рогинского. Москва. 1999, გვ. 502.

პიროვნების გენეტიკური კავშირი თავად სუმბათაშვილებთან ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

***

ამრიგად, საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი წარჩინებული თავადური საგვარეულოს – სუმბათაშვილთა წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე რუსეთის ისტორიაშიც.

***Niko Javakhishvili***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## FROM THE HISTORY OF THE SUMBATASHVILIS PRINCELY FAMILY

Summary

This article reviews the history of the Sumbatashvilis – one of the prominent noble families in Kartli – the Central part of Georgian kingdom. They were high ranked nobles, princes (in Georg. *"Tavadi").*

In the historical sources of 17th-19th centuries the princes Sumbatashvilis are named as the faithful warriors and administrators, specifically, ober-kamerhers/garderobmeisters (in Georg. *"Meitari")*, community governors (in Georg. *"Mouravi"),* chief cashiers (in Georg. *"Molaretukhutsesi"),* censor of military servismen (in Georg. *"Lashkarnivisi")* of Georgian kings from Bagrationi royal dynasty..

For such loyalty to the kings the princes Sumbatashvilis were highly appreciated by the Georgian kings.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX**
**თბილისი. 2023**

***ცვთისო მამისიმედიშვილი***
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებული ხალხური ტექსტების თავისებურება

გმირები „იქმნებიან“ უძველესი მითების მიხედვით.
*მირჩა ელიადე*

ქართველმა ხალხმა ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებით თემატურად მდიდარი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ფოლკლორი შექმნა. ოფიციალური ისტორიოგრაფიისგან განსხვავებით, ხალხური ტექსტები არ გადმოსცემენ ერთიან ისტორიულ პროცესს, რადგან წარსულში მომხდარი მოვლენები სულ რამდენიმე ისტორიულ პირს ან მეფეს მიეწერება, რამაც განაპირობა ამ სახის ნაწარმოებთა ციკლურობა. აღსანიშნავია, რომ ეს ციკლები ერთმანეთს არ უკავშირდება. ხალხის მეხსიერება მხოლოდ ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებებს ინახავს ქვეყნის წარსულზე. ქართულ ფოლკლორში არ დასტურდება ერთიანი საისტორიო ეპოსი, რომელიც განაზოგადებდა ხალხის ისტორიას, რომელიც გვიჩვენებდა, თუ როგორ უყურებს ხალხი საკუთარ წარსულს, საკუთარი ქვეყნის ისტორიას. შეიძლება თავის დროზე ქართულ ფოლკლორში ზეპირად არსებობდა ასეთი ერთიანი ისტორიული ეპოსი, მაგალითად, თამარის ეპოსი, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ დაშლილი, ფრაგმენტების სახით მოაღწია. სხვა ხალხების ფოლკლორში იძებნება არაერთი ისტორიული ეპოსი, რომლებიც განზოგადებულად მოგვითხრობენ წარსულზე. რუსულ ბილინებს, ესპანურ ეპოსს „ჩემს სიდზე“ და სომხურ „დავით სასუნელის ეპოსს“ ისტორიული ამბები უდევთ საფუძვლად. მათში მონაწილეობენ როგორც ისტორიული, ისე ფსევდოისტორიული გმირები.

ნაშრომი მიზნად ისახავს, განიხილოს, თუ როგორ, რა სახით შემოინახა ქართულმა ფოლკლორმა ხალხური ტექსტები იმ ისტოროული მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ, რომლებიც ჩვენთვის ქართლის ცხოვრებიდან

და სხვა დოკუმენტური წყაროებით არიან ცნობილი. ქართულ ფოლკლორში დადასტურებული ციკლები მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ მოვლენასა და რამდენიმე რეალურ ისტორიულ პირზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებმაც განსაკუთრებით ღრმა კვალი დატოვეს საზოგადოების ცნობიერებაზე. ხალხური ლექსები და ეპიკური სიუჟეტებიც სწორედ ამ კონკრეტული ისტორიული პირებისა და მოვლენების გარშემო ჯგუფდებიან.

ქს. სიხარულიძე ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებაში რამდენიმე ციკლს გამოყოფდა.[1] თუმცა ამ ციკლების რიცხობრივად გაზრდაც შეიძლება და შემცირებაც, იმის გათვალისწინებით, თუ რა იქნება ხალხური ნაწარმოებების ციკლებად დაყოფის საფუძველი. ერთ ციკლში შეიძლება გაერთიანდეს ერთ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან ან ერთ ისტორიულ პირთან დაკავშირებული სხვადასხვა ჟანრის ხალხური ნაწარმოებები. მაგალითად, თამარ მეფის ციკლის ზეპირსიტყვიერ ნიმუშებში ერთიანდება ამ ცნობილი მეფის სახელთან დაკავშირებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ლირიკული და ლირო-ეპიკური საფერხისო ლექს-სიმღერები, ეპიკური ტექსტები, მათ შორის მითოლოგიური გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები. თამარის ციკლში შეიძლება გაერთიანდეს ლაშა-გიორგისა და შოთა რუსთაველთან დაკავშირებული თქმულებებიც, რადგან ხალხურ ნაწარმოებებში ისინი ხშირად ერთად მოქმედებენ და ერთ ეპოქას ასახავენ. საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მნიშვნელობა არა აქვს მათ ჟანრულ კუთვნილებას, ლეგენდით იქნება გადმოცემული, თქმულებით თუ ლექსით, ხალხური იმაგინაციის მიხედვით, მაინც ინარჩუნებენ სანდოობას, მხატვრულ დამაჯერებლობას, რადგან ეს ტექსტები რეალურ მოვლენებსა და პირებზე მოგვითხრობენ. საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში წარსული უკავშირდება აწმყოს, რადგან, მაგალითად, ციხესიმაგრე, რომლის მშენებლობის ისტორიასაც თქმულება გვიამბობს, ისევ დგას სოფელში და მას ხედავს როგორც მთხრობელი, ასევე მსმენელიც.

ზოგიერთი ციკლი ისტორიულ პირს უკავშირდება, ზოგიერთი ციკლი კი – ისტორიულ მოვლენას. ფოლკლორულ ნაწარმოებთა აღნიშნულ ციკლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური კოლექტიური მსოფლმხედველობის შესასწავლად, რადგან მათი საშუალებით ნათელი ხდება, თუ რომელმა ისტორიულმა პირმა ან ისტორიულმა მოვლენამ მოახდინა საზოგა-

[1] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I. ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის. თბ. 1961, გვ. 20-42.

დებაზე ყველაზე დიდი ზემოქმედება, რომელ ეპოქას მიიჩნევს ხალხი ყველაზე ძლიერ დროდ და რომელ მოღვაწეს – გამორჩეულ პიროვნებად.

განსაკუთრებული სიბრძნით, ქვეშევრდომებზე ზრუნვით, სახელმწიფოს აღმშენებლობით, მტრებთან თავდაუზოგავი ბრძოლითა და პიროვნული სიმამაცით საქართველოს არაერთმა მეფემ გამოიჩინა თავი, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი პატივი ქართველმა ხალხმა ოთხ მეფეს მიაგო. ქართული ფოლკლორი მეფეებთან დაკავშირებით ხალხური ტექსტების მხოლოდ ოთხ ციკლს იცნობს, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ერეკლე მეორის ციკლის ზეპირსიტყვიერ ნიმუშებს. ქართველ მეფეებთან დაკავშირებული ფოლკლორული ნაწარმოებების ვარიანტები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დასტურდება.

ღვაწლმოსილი და დიდებული მეფეების გარდა, ქართულმა ფოლკლორმა ისეთი ისტორიული პირების ხსოვნაც შემოინახა, რომლებმაც უარყოფითი როლი შეასრულეს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ხალხური ლექსებისა და გადმოცემების ციკლი XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის – ზურაბ არაგვის ერისთავის შესახებ. ხალხური ტექსტები მას წერილობითი დოკუმენტებისგან საპირისპირო თვისებებით, სრულიად უარყოფით პერსონაჟად წარმოგვიდგენს, რომელმაც რამდენჯერმე ილაშქრა ფშავ-ხევსურეთში და საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ ადგილობრივი საყმოების დამოუკიდებლობას, არამედ მათ ფიზიკურ არსებობასაც.[2] ოფიციალური წყაროები და წერილობითი დოკუმენტები არანაირ ცნობას არ გვაწვდიან ზურაბ ერისთავის ფშავ-ხევსურეთში ლაშქრობების შესახებ. ხალხური ლექსები და გადმოცემები კი განადიდებენ კონკრეტულ სახალხო გმირებს, რომლებმაც გამოიჩინეს საარაკო გმირობა, წინ აღუდგნენ სასტიკ ერისთავს, თავი ისახელეს მტერთან ბრძოლაში და დაიცვეს თავიანთი კუთხის თავისუფლება. ქს. სიხარულიძის აზრით, „ძველი ციკლებისგან განსხვავებით ამ ციკლს ახასიათებს მოვლენათა კონკრეტიზაცია და პერსონაჟების სიმრავლე. ნაწარმოებში მეტწილად რამდენიმე გმირი მოქმედებს“.[3] აღსანიშნავია, რომ ზურაბ ერისთავის ციკლის ხალხური ნაწარმოებები: თქმულებები, გადმოცემები და სიმღერები – მხოლოდ ფშავ-ხევსურეთის ტრადიციულ საზოგადოებებში იყო გავრცელებული.

ქართველი ხალხის მეხსიერებამ წარსული ცხოვრებიდან რამდენიმე

[2] ზ. კიკნაძე. ქართული მითოლოგია. ტ. I, ჯვარი და საყმო. თბ. 2016, გვ. 178.
[3] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I, გვ. 30.

თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა შემოინახა. 1659 წელს ბახტრიონის ავჯანყებაში თუშების, ფშავლებისა და ხევსურების ძლევამოსილ გამარჯვებას ეძღვნება ლექსებისა და გადმოცემების მთელი ციკლი, რომელმაც არაერთი სახალხო გმირის ბრძოლისა და თავგანწირვის ამბავი ასახა. ამ უმძიმეს მომენტში, როცა კახეთისა და მთლიანი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, ქართველმა ხალხმა შეძლო კონსოლიდაცია და მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება. ბახტრიონის ციკლის ხალხურ ნაწარმოებებში, ისევე როგორც ზურაბ ერისთავის ციკლის ტექსტებში, პერსონაჟები თავიანთი კონკრეტული გვარ-სახელებით ხსენდებიან. ბახტრიონის ციკლის ხალხურ ლექსებში მონაწილეობენ გმირები, რომლებსაც ოფიციალური, დოკუმენტური ისტორია საერთოდ არ იცნობს. ბახტრიონის ავჯანყების გმირები: თუში ზეზვა გაფრინდაული, ფუნჩაიშვილი, საღირიშვილი, შველა შველაიძე; ხევსურები – ხოშარეული და ნადირა; ფშაველი – გოგოლაური – ისტორიულ წყაროებში არ ხსენდებიან და მხოლოდ ხალხური სიმღერების პერსონაჟები არიან. ეს ციკლიც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა. ზურაბ ერისთავისა და ბახტრიონის ციკლის ლექს-სიმღერებში პერსონაჟთა გამითიურების პროცესი დაწყებულია. მაგალითად, გადმოცემის მიხედვით, ბახტრიონის ციხის გალავანზე პირველი ზეზვა გაფრინდაული გადასულა და „თათრები იქამდე უჟლეტია, ვიდრე დახოცილების გროვაში ერთი თათრის გვამი არ აყირავებულა“.[4] იმავე სასწაულს ვხვდებით ზურაბ ერისთავის ციკლის ნაწარმოებებში: „როცა მამუკა ქალუნდაური დასწევია ზურაბის ლაშქარს ბეგენთგორის ძირში... თორმეტი კაცი ერთბაშად დაუხოცავს. მეთორმეტე რომ მოუკლავს, იგი ფეხაღმა დაყუდებულა წყალში. ამის დანახვაზე მამუკას ხმალი ჩაუგია, რადგანაც ძველად ხევსურეთში მეომრების „რჯული“ ასეთი ყოფილა, რომ თუ ხმლით შულლში მოკლული კაცი ფეხ-აღმა დაეყუდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ შულლი უნდა შეწყვეტილიყო: ცოდვა „ღმერთს შამწვდარი ას“. შემდეგ მამუკა აბრუნებულა და ნაომარში, გზის პირას, სამანი ჩაუგდია და უთქვამს: - ვინც ჩემი სიკვდილის შემდეგ აქ მგზავრად აივლ-ჩაივლის და ვინც ამ სამანთან სამს ყანწს, არყიანს, არ დალოცავს, ამ ჩემი ხმლის ცოდვა ეკიდოსო“.[5] ზურაბ ერისთავთან ბრძოლების შემდეგ მამუკა ქალუნდაურის სახელი

[4] ჭს. სიხარულიძე. ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. თბ. 1949, გვ. 149.

[5] აკ. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული. ტფ. 1931, 308.

ადგილობრივ ტრადიციაში იმდენად გამითიურდა, რომ ბეგენგორი ხალხს წმინდა ადგილად მიაჩნდა, იქ ფშავლები და ხევსურები სანთლებს ანთებდნენ, ლოცულობდნენ და მამუკა ქალუნდაურს შენდობას ეუბნებოდნენ. ბეგენგორის ისტორია მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ სწრაფად შეიძლება იქცეს რაიმე მოვლენა მითად. თუმცა, რადგან ზურაბ ერისთავისა და ბახტრიონის ციკლის ფოლკლორული ნაწარმოებები შედარებით მოგვიანო პერიოდის ამბებს ასახავს, პერსონაჟთა და მოვლენათა გამითიურების პროცესი ბოლომდე მიყვანილი არ არის.

ქართული ზეპირსიტყვიერების ფონდში დასტურდება კიდევ უფრო ახალი ხალხური ლექსების ციკლი, რომელიც მეფის არმიაში მებრძოლი ხევსური ჯარისკაცების ცხოვრებასა და მათ განცდებს გადმოგვცემს. ეს ლექსები ძირითადად უკავშირდება პირველ მსოფლიო ომს. ლექსების უმეტესობა მიეკუთვნება ლირიკულ ჟანრს, მათ შორის გვხვდება გალექსებანი და ეპისტოლარული შაირები. ხევსურული ჯარისკაცული პოეზია ქართულ ფოლკლორს აკაკი შანიძემ შემოუნახა, რომელიც XX საუკუნის 10-იან წლებში ინტენსიურად იწერდა ხალხურ ლექსებს ხევსური მთქმელებისგან და ავტორ-მთქმელებისგან. წინა ციკლებისგან განსხვავებით, ამ ჯგუფში გაერთიანებულ ლექს-სიმღერებს აქვთ სრულიად რეალისტური შინაარსი. ავტორ-მთქმელები კი, მართალია, ლექსებს მთლიანად ხალხური პოეტიკის წესებისა და ხალხური ტრადიციის შესაბამისად ქმნიდნენ, მაგრამ ისინი უკვე ხშირად იყენებდნენ მელანსა და ქაღალდს, რომელზეც თავიანთი ნაფიქრ-ნააზრევი გადაჰქონდათ. პირველი მსოფლიო ომის ციკლის ხალხური ლექსები მხოლოდ ხევსურულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა.

ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერების ბოლო ციკლი შეიქმნა საბჭოთა პერიოდში, რომელიც იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული, დაძაბული და წინააღმდეგობებით აღსავსე ხანა ქართველი ერის ისტორიაში. ამ პერიოდში, უფრო ზუსტად, XX საუკუნის 20-იან - 40-იან წლებში შექმნილი ზეპირსიტყვიერება მკაფიოდ გამოხატავს ქართველი ხალხის გაორებულ ბუნებას. ერთი მხრივ, საბჭოთა პროპაგანდა მოუწოდებდა ხალხური პოეზიის ნიჭიერ შემსრულებლებს შეექმნათ ლექსები კომუნისტური პარტიის ლიდერებზე; მეორე მხრივ, სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ხალხში ზეპირად მაინც ვრცელდებოდა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლ-მეომართა და ყაჩაღად გავარდნილ პირთა ლექსები. მიხა ხელაშვილის, გოგია ჭიჭოშვილის არაერთი ლექსი სწორედ სახალხო მთქმელებმა და ხალხური პოეზიის ნიჭი-

ერმა შემსრულებლებმა შემოგვინახეს. საბჭოთა პერიოდში შექმნილი ზეპირსიტყვიერება თავისთავში მოიაზრებს როგორც საბჭოთა, ასევე ანტისაბჭოთა ფოლკლორს.

ამდენად ქართულ ზეპირსიტყვიერ ფონდში ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებით რვა ძირითადი ციკლი შეიძლება გამოვყოთ: 1. ვახტანგ გორასლის; 2. დავით აღმაშენებლის; 3. თამარ მეფის; 4. ზურაბ ერისთავის; 5. ბახტრიონის ავჯანყების; 6. ერეკლე მეფის; 7. პირველი მსოფლიო ომის და 8. საბჭოთა პერიოდის ციკლები.

მართალია, ბოლო ორი ციკლი მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში, შეიქმნა, მაგრამ ამ პერიოდში შექმნილი ფოლკლორული ნაწარმოებები, ჩვეულებრივ, იყენებენ მითოლოგიურ არქეტიპებსა და ხალხურ შემოქმედებაში დამკვიდრებულ ტრადიციულ გამომსახველობით ფორმებს, რომლებიც უხსოვარ დროში შეიქმნა და თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. მის დახვეწაში თაობები იღებდნენ მონაწილეობას. თუმცა მოგვიანო პერიოდში შექმნილი ციკლების პერსონაჟებმა მაინც ვერ მოასწრეს მითოლოგიურ გმირებად გადაქცევა და ისტორიული მოვლენებიც მითიურ ქმედებათა კატეგორიაში ბოლომდე ვერ ინტეგრირდა.

ოთხი მეფის გარდა, ქართულ ფოლკლორში შეიძლება სხვა ქართველი მეფეების შესახებაც ყოფილიყო მიძღვნილი ხალხურ ნაწარმოებთა ციკლები, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ზ. კიკნაძის აზრით, „ვერ ვიფიქრებთ, რომ ზეპირსიტყვიერ მატიანეს არ აესახოს ესპანეთის რეკონკისტის ანალოგიური უაღრესად დაძაბული ხანა, აშოტ კურაპალატისა და მის თანამდგომთა გმირული ეპოპეა, რაც ქართული მიწების კვლავ შემოკრებით დასრულდა, მაგრამ ესპანური „ჩემი სიდის“ მსგავსი ხალხური პოემა, სადაც უკვდავყოფილი იქნებოდა თაობათა ხსოვნაში „ჩემი აშოტი“, არ დასტურდება“.[6] არაერთ სახელოვან ისტორიულ პირთან დაკავშირებით ქართულმა ფოლკლორმა არ შემოგვინახა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რადგან, როგორც ზ. კიკნაძე მიიჩნევს, „მას არ შეუძლია სინქრონულად მოიცვას მთელი ზეპირსიტყვიერი ფონდი მისი „დასაბამიდან“.[7] ზეპირსიტყვიერება ერთდროულად ვერ შეინახავდა სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ნაწარმოებებს. თაობების მონაცვლეობასთან ერთად იცვლებოდა ფოკლორული შემოქმედების თემატიკა. ძველი თემების, სიუჟეტებისა და მოტივების ადგილს ახალი ნაწარმოებები იკავებდა. ზე-

[6] ზ. კიკნაძე. ქართული ხალხური ეპოსი. თბ. 2016, გვ. 9.
[7] ზ. კიკნაძე. ქართული ხალხური ეპოსი, გვ. 9.

პირსიტყვიერი ფონდი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში განიცდიდა პერიოდულ განახლებას და ძველი ნიმუშები, თუ ის არ იქნებოდა ჩაწერილი, სამუდამო დავიწყებას ეძლეოდა. სამწუხაროდ, ქართული ფოლკლორის ნიმუშების სისტემური ჩაწერა მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო. ამდენად, ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ქართული ზეპირსიტყვიერი ფონდი წინა საუკუნეებში. როგორც ზ. კიკნაძე მიუთითებს, „ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამა თუ იმ ხალხური ტექსტის ასაკი... მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მის ხანგრძლივ ტრადიციაზე“.[8] შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა სახე ჰქონდა ვახტან გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ციკლის ხალხურ ნაწარმოებებს XVII საუკუნეში ან, თუნდაც, XVIII საუკუნეში, რადგან არ მოგვეპოვება ამ პერიოდების ტექსტური ჩანაწერები. ასევე გაურკვეველია, რა ცვლილებები განიცადა ჩაწერის მომენტამდე, ანუ XIX საუკუნის ბოლომდე, ზურაბ ერისთავთან და ბახტრიონის ავჯანყებასთან დაკავშირებულმა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებმა, რომელთა თავდაპირველი ინვარიანტები, სავარაუდოდ, XVII საუკუნეში უნდა შექმნილიყო. ვფიქრობ, „ფოლკლორისტიკაში უფრო მნიშვნელოვანია, რას წარმოადგენს ტექსტი ჩაწერის მომენტში და რა არის მისი საზრისი, ვიდრე იმის გარკვევა, თუ როგორი იყო ტექსტი ჩაწერამდე“.[9] ისტორიულ ამბებთან დაკავშირებული სიმღერები, პირველ რიგში განეკუთვნება მხატვრულ შემოქმედებას და მას, როგორც ხელოვნების ნიმუშს, ახასიათებს თავისებური და თავისუფალი დამოკიდებულება ისტორიის ფაქტობრივი მხარისადმი. ბ. პუტილოვის აზრით, „სიმღერა არ არის ქრონიკა და მისთვის უცხოა ფაქტების ზუსტი, „დოკუმენტური“ რეპროდუცირება. პირიქით, უფრო ხშირად თვალშისაცემია სიმღერების შინაარსსა და ფაქტებს შორის შეუსაბამობა“.[10]

რატომ მაინცდამაინც ეს შვიდი თუ რვა ციკლი შემოინახა ქართულმა ფოლკლორმა ან რამდენად ზუსტად ინახავს ხალხური კოლექტიური მეხსიერება ისტორიულ მოვლენას?

ფოლკლორული შემოქმედება ინდივიდუალურ მოვლენებს ნაკლებად ან საერთოდ არ ინახავს. კოლექტიური ცნობიერება და ხალხური მეხსიერება ეფუძნება მყარ და ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებულ მოდელებს,

[8] ზ. კიკნაძე. ქართული ფოლკლორი. თბ. 2008, გვ. 51.
[9] ხ. მამისიმედიშვილი. ოსური ფოლკლორი. თბ. 2015, გვ. 29.
[10] Народные исторические песни. вступительная статья, подготовка текста и примечания Б. Н. Путилова. Москва-Ленинград. 1962, გვ. 9.

რომლებსაც ვერ მივაკუთვნებთ ამა თუ იმ ინდივიდის პირად გამოცდილებას. მ. ელიადეს აზრით, „ისტორიული მოვლენა, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის, ხალხის მეხსიერებაში დიდხანს ვერ ჩერდება და მის შესახებ მოგონებები პოეტურ შთაგონებას მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმდენად გამოიწვევს, თუ რამდენად ახლოს იქნება ეს მოვლენა მითიურ მოდელთან“.[11] ამდენად, ფოლკლორული შემოქმედება ისტორიულ მოვლენებს ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული მყარი მოდელებითა და კატეგორიებით, ხოლო ისტორიული პერსონაჟების თავგადასავალს მითოლოგიური არქეტიპებით გადმოსცემს. მითოლოგიური ალუზიებით არის სავსე ვახტანგ გორგასლის შესახებ პატარა ლექსი, რომელიც მეფის აპოთეოზს წარმოგვიდგენს:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკვა,
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა,
იალბუზის ეშმაკები
ცხრა მთას იქით გადარეკა.“[12]

ლექსის მიხედვით, ვახტანგ მეფეს ციდან ესმის ზეციური ლიტურგიის ხმა – ზარების რეკვა, რადგან იგი „ღმერთს უყვარდა“. იალბუზზე ასვლა მისი აპოთეოზია, რადგან მთა განასახიერებს ცისა და მიწის კავშირს. მას, მითოლოგიური გმირების მსგავსად, მინიჭებული აქვს ღვთისაგან დემონური ძალების განდევნის უნარიც. სხვა ხალხურ ტექსტებში ვახტანგ გორგასალი, ისევე როგორც მითოლოგიური გმირი, არის ტყვის გამომხსნელი, ბუმბერაზ-გოლიათის დამამარცხებელი, მეფე-მონადირე – ქალაქის დამაარსებელი. ერთერთ თქმულებაში ის დედოფლისა და გუთნისდედის საკრალური ქორწინების მონაწილეც ხდება. ოფიციალური ისტორიის მიხედვით, ვახტანგ გორგასალი მტერთან ბრძოლაში დაიჭრა და უჯარმის სასახლეში გარდაიცვალა. თუმცა ხალხური ტრადიცია, როგორც ჩანს, ვერ დააკმაყოფილა მეფის ჩვეულებრივმა დაღუპვამ და თხრობაში გაჩნდა არქეტიპული მოდელი, რომლის მიხედვითაც, ვახტანგ გორგასალს სხეულის საიდუმლო ადგილზე, იღლიაში, ისარი ესროლეს და იგი ღალატის მსხვერპლი გახდა.[13] თუმცა ამის შესახებ არაფერს გვეუბნება ვახტანგ მეფის ისტორიკოსი ჯუანშერი, რადგან სხეულზე

[11] მ. ელიადე. მარადიული დაბრუნების მითი. არქეტიპები და განმეორებადობა. თბ. 2017, გვ. 69.

[12] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I, გვ. 182.

[13] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. I, გვ. 57.

სუსტი ადგილის საიდუმლოს გაცემა არის მითოლოგიური პარადიგმა, რომელსაც კოლექტიური ცნობიერება მეფის სიკვდილის „გასანამდვილებლად“ იყენებს. ვახტანგ გორგასალიც ისე უნდა დაიღუპოს, როგორც მხოლოდ ტრადიციული გმირი იღუპება. არაერთი გმირი, აქილევსის ძველიბერძნული მითიდან მოყოლებული ოსური ეპოსის სოსლანით დამთავრებული, იღუპება სხეულზე სუსტი ადგილის საიდუმლოს ღალატით გაცემის შემდეგ.

მ. ელიადეს სიტყვებით, ისტორიულ პირთა და მოვლენათა ისტორიულობა „მითოლოგიის გამანადგურებელ ზემოქმედებას დიდხანს ვერ უძლებს“.[14] ხალხურ ტექსტებში ისტორიულ პირებს მითოლოგიური გმირის თვისებები მიეწერებათ. ამრიგად, ფოლკლორულ შემოქმედებას აქვს ანტიისტორიული ხასიათი, რადგან კოლექტიურ მეხსიერებას ისტორიულ მოვლენებისა და პიროვნებების დამახსოვრება-შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ კონკრეტულ პირებს და რეალურ მოვლენებს ყველა, ასე ვთქვათ, „პირადული“, ინდივიდუალური და „ისტორიული“ მახასიათებლები“ ჩამოშორდება და მათ ადგილს მითოლოგიური არქეტიპები დაიკავებენ. ამ გარემოებას თავის დროზე ჯერ კიდევ ლ. რაგლანმა მიაქცია ყურადღება. მან შენიშნა, რომ ძველი ეპოსების მთავარი გმირების თავგადასავალი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, რადგან მათ შესახებ თქმულებები ისე გარდაიქმნა, რომ ერთ ტიპურ მოდელს მისადაგებოდა.[15] რა თქმა უნდა, ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ხალხურ ტექსტი მხოლოდ სტერეოტიპულ თხრობას ემყარება. ფოლკლორი მხატვრული შემოქმედებაა და პერსონაჟები ხანდახან საგრძნობლად სცილდებიან თავიანთ პროტოტიპებს.

მეფობა ყველა ტრადიციაში ღვთაებრივი სუბსტანციაა. როგორც ღმერთი ქმნის სამყაროს, ისე მეფე აშენებს ქვეყანას. დავით მეფე ზეპირსიტყვიერ ნიმუშებში წარმოდგენილია მშენებლის ფუნქციით. სიუჟეტის ამგვარი განვითარებისთვის, სავარაუდოდ, ბიძგი უნდა მიეცა დავით მეფის მითოლოგემურ ეპითეტს „აღმაშენებელი“. თქმულებების მიხედვით, მეფე ახერხებს ეშმაკის დათრგუნვას და მისი დახმარებით, ან უფრო ზუსტად, მისი გაუვნებელყოფით – სამი ტაძრის ერთდროულად აშენებას. ზ. კიკნაძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ „გელათის მშენებლობის თქმულებას“ საფუძვლად უდევს თახმურასის

[14] მ. ელიადე. მარადიული დაბრუნების მითი. არქეტიპები და განმეორებადობა, გვ. 69.
[15] L. Raglan. The Hero of Tradition. The Study of Folklore. ed. A. Dundes. University of California and Berkley. 1965, გვ. 150.

მიერ არიმანის მოთრგუნვის ზოროასტრული მითი.[16] დავით მეფე ჯორადქცეული ეშმაკით ისე გადაადგილდება თავის ვეებერთელა სამეფოში, როგორც ირანული მითოლოგიის პერსონაჟი თახმურასი – ცხენადქცეული არიმანით. იმ დროს, როცა ბოროტება დათრგუნულია და ეშმაკი განიარაღებული, თახმურასიც და დავითიც აფუძნებენ კაცობრიული კულტურის საფუძვლებს. დავით მეფე თავისი ჯადოსნური ჯორით, იმავე ჯორადქცეული ეშმაკით, დილით აფხაზეთში დაქრის, შუადღით – გელათში და საღამოს – მცხეთაში. დავით აღმაშენებლის თქმულება, მართალია, ქრისტიანული ტაძრის მშენებლობას ეხება, მაგრამ ტექსტი ბოროტი ძალის დათრგუნვის შესახებ სიუჟეტად იყენებს უძველეს ზოროასტრულ არქეტიპს. როგორც ვხედავთ, ფოლკლორულმა ტრადიციამ ანგარიში არ გაუწია დავით აღმაშენებლის ნამდვილ საგმირო საქმეებს და მას მითოლოგიური ბიოგრაფია შეუქმნა.

ისტორიულ თემაზე შექმნილ ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს შორის სიუჟეტებისა და მოტივების მრავალფეროვნებით, ტექსტების სიმრავლით გამოირჩევა თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებები. ხალხურ ტექსტებში თამარ მეფემ, ისევე როგორც სხვა ისტორიულმა პირებმა, მითოლოგიური არქეტიპის თვისებები შეიძინა. თუმცა თამარ მეფესთან დაკავშირებული ხალხური ლექს-სიმღერები და თქმულებები მაინც ქმნიან ოქროს ხანის მმართველის განზოგადებულ მხატვრულ სახეს.

ქართულ თქმულებებში თამარი არის მარადიული გაზაფხულის დედოფალი; ის, როგორც დემიურგი და მთელი ხმელეთის მბრძანებელი, თავისი ჯადოსნური ჩიქილით ებრძვის ზღვას და იმარჯვებს; თამარი ხმელეთს ათავისუფლებს წყლის სტიქიისგან, ქაოსური საწყისისგან და გათავისუფლებულ ტერიტორიაზე, კლდეზე, აშენებს ქალაქს, ქალაქში აგებს ოქროსჯვრიან სიონს. თამარის ზღვასთან ბრძოლის ამსახველი საფერხისო სიმღერა, როგორც საკულტო რიტუალის ნაწილი, ფშავში ხალხურ რელიგიურ დღესასწაულებზე სრულდებოდა.[17] ხალხურმა ლექსმა თამარ მეფე დემიურგის ატრიბუტებით აღჭურვა და ამით უძველესი კოსმოგონიური მითის რეაქტუალიზება მოახდინა. საგულისხმოა, რომ ძველ მითოსებში წყლის სტიქიას გველეშაპი განასახიერებს. ზ. კიკნაძის აზრით, თუ თამარის ფოლკლორულ ისტორიაში მისი ანტაგონისტი ზღვა – იგივე ამირანის შთანმთქმელი „შავი ზღვის შავი ვეშაპია“, მაშინ თამარი არა მხოლოდ გველეშაპმებრძოლთა, არამედ „კოსმო-

[16] ზ. კიკნაძე. ქართული მითოლოგია. ტ. 2. ფარნავაზის სიზმარი. თბ. 2016, გვ. 104-111.
[17] ქს. სიხარულიძე. ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 70-71.

სის შემქმნელთა ტიპოლოგიაში ჰპოვებს ადგილს“.[18] თამარის დაპირისპირება ზღვასთან ძველი ხალხების ღმერთისა და ზღვაური ურჩხულის ორთაბრძოლის მითს მოგვაგონებს.

ქართული საკულტო და საისტორიო ლექსების მიხედვით, თამარი არის ერთდროულად ქაოსის ძალების წინააღმდეგ მებრძოლიც, „ღელეს აქიმ-დედოფალიც“, „ჩიქილაზინზილიანიც“, „შუა ზღვაში სამანის ჩამგდებიც“. ხოლო თავისი საიდუმლო საფლავით თამარი უახლოვდება დამარხული და აღმდგარი იმპერატორების მითოსებს, რომლებიც გამოქვაბულში ელოდებიან იმ ესქატოლოგიურ ჟამს, როცა გაიმართება უკანასკნელი ბრძოლა კეთილ და ბოროტ ძალებს შორის.[19]

ამრიგად, ხალხურ ტექსტებში ისტორიული გმირები ერთგვარ მეტა-მორფოზას განიცდიან და ისინი მითოლოგიური გმირები ხდებიან, რომლებსაც კავშირი აქვთ ზებუნებრივ ძალებთან. როგორც მ. ელიადე სრულიად სამართლიანად მიუთითებს, ხალხური ტექსტები „ისტორიას მითებით გადმოსცემენ“.[20] ქართულ ფოლკლორში საზეზეა ისტორიული პიროვნებების მითოლოგიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეორის ყმაწვილობის ხანა კარგად არის ცნობილი საისტორიო წყაროებიდან, მის ბავშვობას ხალხური სიმღერა მაინც მითოლოგიური არქეტიპებით წარმოგვიდგენს. მითოლოგიური გმირების მსგავსად ერეკლე მეფეც ობოლი, გადაგდებული ბავშვია. მას სადღაც, საკრალურ სივრცეში, ირემი საკუთარი რძით კვებავს და ბოლოს საჩალეში გადაგდებულ უფლისწულს მონადირე პოულობს:

„ბატონიშვილ ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა, თრიალეთზე უძოვნია.
საჩალეში გადუგდიათ, მონადირეს უპოვნია.“[21]

ლექსში „ობლობა“, „უფლისწულის გადაგდება“, „ირემი“, „რძე“ და „მონადირე“ მითოლოგიური არქეტიპებია, რომლებსაც ხალხური ტექსტი ისტორიული პირის რჩეულობისა და მისი, როგორც მეფობის კანდიდატის, განსაკუთრებული წარმომავლობის გადმოსაცემად იყენებს.

საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშების განხილვიას, ბ. პუტილოვი

[18] ზ. კიკნაძე. ქართული მითოლოგია. ტ. 2, გვ. 229.
[19] ზ. კიკნაძე. ქართული მითოლოგია. ტ. 2, გვ. 56.
[20] მ. ელიადე. მარადიული დაბრუნების მითი. არქეტიპები და განმეორებადობა, გვ. 63.
[21] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. II. ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის. თბ. 1964, გვ. 9.

ჟანრის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად მიიჩნევს იმას, რომ „ისტორიული სიმღერა თუ თქმულება ხშირად ისტორიისთვის სრულიად უცნობ და ისტორიაში შეუძლებელ მოვლენებს ეხმიანება. ხოლო ისტორიული ფიგურები სიმღერებში ისეთ მოქმედებებს ასრულებენ, რისი გაკეთებაც მათ, ფაქტობრივად, არ შეეძლოთ“.[22] ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, უცოდინრობის ან ცუდი ცოდნის უბრალო შედეგი არ არის. ამის მიზეზი არის ისტორიული პირისა და მოვლენის მითოლოგიზაცია, მისი მითოლოგიური არქეტიპის თვისებებით აღჭურვა. გადმოცემების მიხედვით, ერეკლე კრწანისის ბრძოლაში ე. წ. „მცურავ ჯაჭვს“ ატარებდა, რომელსაც მტრის ტყვია და ხმალი ვერაფერს ავნებდა.[23] ქართული მითოსი იცნობს ასეთ „სამანქანურო“ ჯაჭვის პერანგს, რომელიც თარღვა ძაგანს მისმა ძმობილმა გველეშაპმა აჩუქა. თორღვას ჯაჭვის პერანგი, სადაც ხმალი და ისარი მოხვდებოდა, იმ ადგილზე იკუმშებოდა და მისი პატრონი უვნებელი რჩებოდა. აქედან ჩანს, რომ ერეკლეს საბრძოლო იარაღიც მის მითოლოგიურ არქეტიპს უნდა მიმსგავსებოდა.

საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს აქვთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება. ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებული ხალხური ტექსტები სავსეა ანაქრონიზმებით. გადმოცემებში მურვან ყრუ და დავით აღმაშენებელი ერთმანეთს ეჭიდავებიან, თუმცა არაბი სარდალი იმ დროს უკვე ოთხასი წლის გარდაცვლილი იყო. სხვა თქმულებებში ხან ოსმალო ფაშა და ხანაც შაჰ-აბასი ცდილობს თამარ მეფის შეპყრობას, მაგრამ ამაოდ. როგორც ცნობილია, ოსმალები თამარის მეფობიდან კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდნენ ასპარეზზე, ხოლო შაჰ-აბასი თამარის გარდაცვალებიდან ოთხასი წლის შემდეგ განაგებდა ირანის ტახტს. ერეკლე მეფის ციკლის თქმულებებში მონაწილეობენ ხირჩლა ბაბურაული და ბერდია მამუკაური, რომლებიც ზურაბ ერისთავის ციკლის ხალხურ ნაწარმოებებშიც ხსენდებიან;[24] ხოლო ხოშურაული, რომელსაც ბესარიონ გაბური ერეკლე მეფესთან დაკავშირებულ გადმოცემაში მოიხსენიებს, მანამდე ერთი საუკუნით ადრე ცხოვრობდა და გმირული ბრძოლით მან თავი გამოიჩინა ბახტრიონის ავჯანყებაში.

ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ისტორიული დრო შეკუმშულია. ფოლკლორულ ნაწარმოებში

[22] Народные исторические песни, გვ. 9.
[23] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. II, გვ. 59.
[24] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. II, გვ. 293.

სრულიად შესაძლებელია იმის დაშვება, რომ სამი სხვადასხვა ეპოქის მეფე ერთად აშენებდეს ეკლესიას. ერთ-ერთი ხევსურული გადმოცემის თანახმად, ერეკლე მეფე თამარ მეფის შვილი იყო. ხალხურ ტექსტებს რეალური ისტორიული პირები ჩვეულებრივი პროფანული დროიდან მითოსურ დროში გადაჰყავს, რადგან, როგორც მ. ელიადე მიუთითებს, ,,ხალხურ ცნობიერებას არ აინტერესებს ქრონოლოგია, არც მოვლენათა სიზუსტე და ისტორიული პიროვნებების ნამდვილობა".[25] ძველი, განსაკუთრებით მეფეთა ეპიკური ციკლები, უფრო მეტი მითოლოგიზმით გამოირჩევა. ისტორიული გმირების ზებუნებრივი თვისებებით აღჭურვა ხალხურ ტექსტებს საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებს. თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი ხალხური ტექსტი ქართველ მეფეთა ამბავს მითის საშუალებით გადმოგვცემს: ,,ხალხსა სწამს, ნეფე ერეკლე და თამარ ნეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და როცა გაუჭირდება საქართველოს მოეშველებიანო. – მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოსდისო. ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შამაერტყისო. – ერეკლე, როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისევ აიღებდა ხმალსაო".[26] ხალხური თხრობა თამარისა და ერეკლეს შესახებ მითიური აზროვნების კატეგორიებს იყენებს, რათა მოახდინოს მათი საარაკო ისტორიისა და მნიშვნელოვანი მოვლენების განამდვილება, რადგან, ხალხური იმაგინაციის მიხედვით, ჭეშმარიტებას მხოლოდ მითი აცხადებს. ხალხურმა ტექსტმა თამარისა და ერეკლეს თავგადასავალი საკრალური ელემენტებით შეამკო და მათი ისტორია უფრო ღრმა და მდიდარი შინაარსით გადმოსცა. ფოლკლორულ ნაწარმოებებში ისტორიულ პირებსა და ისტორიულ მოვლენებს ლამის რელიგიური ღირებულება მიენიჭა, რადგან ზეპირი ტექსტი მათ შესახებ მოგვითხრობს არა ჩვეულებრივ ამბავს, არამედ საკრალურ ისტორიას.

ჩვეულებრივი საგმირო ეპოსებისგან განსხვავებით, სადაც მოქმედება ხდება განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში, საისტორიო სიმღერებსა და თქმულებებში გადმოცემულ ისტორიებს შეხება აქვთ სინამდვილესთან. ხალხური იმაგინაციის მიხედვით, საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ნამდვილია, რადგან სრულიად რეალური პირები კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მოქმედებენ და ეს ტექსტები ხშირად საკრალურია, რადგან მთავარ გმირებს ზებუნებრივი თვისებები მიეწერებათ.

[25] მ. ელიადე. მითის ასპექტები. თბ. 2009, გვ. 151.
[26] აკ. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული, გვ. 365.

XX საუკუნეში შექმნილ ხალხურ ნაწარმოებებში პერსონაჟებმა ვერ მოასწრეს მითიურ გმირებად გადაქცევა. მათ თავიანთი ისტორიულობა და რეალურობა ბოლომდე შეინარჩუნეს. მაგალითად, გოგია ჭიჭოშვილის ლექსი სრულიად რეალისტურად, მითოლოგიური არქეტიპების გარეშე, გადმოგვცემს საბჭოთა ხელისუფლებასთან დაპირისპირებისა და ტყეში ყაჩაღად გავარდნის მიზეზს:

„ორმოცდაერთ წელს დაგვეცა გერმანიაის ჯარია,
ვერიდე სალდათობასა, რუსს ქედ ვერ მოუხარია,
პარტიის საწინაღმდეგოდ, ტყეს შავაფარე თავია...“[27]

ამ ციკლის ლექსებში კვლავ გვხვდება ხალხური შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული მხატვრული ფორმები, ჰიპერბოლები, შედარებები, ეპითეტები, კონტრასტი და სხვ. მაგალითად, საბჭოთა წყობილებით თავის უკმაყოფილებას ამგვარად გამოხატავს ლექსის ლირიკული გმირი:

„სოობენ კომუნისტები, სისხლით ველარა ძღებიან,
მიწაზე ხალხი გაწყვიტეს, ცაში ღმერთს ემუქრებიან.“[28]

რა თქმა უნდა, ბოლო პერიოდში შექმნილ ციკლებში ისტორიული მოვლენების მითოლოგიზაციის ხარისხი დაბალია, თუმცა ხალხური კოლექტიური მეხსიერება განადიდებს ახალი დროის ისტორიულ პერსონაჟებსაც, რისი დასტურიც არის საბჭოთა პერიოდის ფოლკლორი. ახალი დროის გმირებს ხალხური შემოქმედება არქეტიპების მიბაძვით მითოლოგიური და საგმირო საქმეების შემსრულებლად გადააქცევს. კომუნისტურმა იდეოლოგიამ ახალი დროის მითოსი შექმნა, რომლის თანახმად, რჩეულ კლასს – პროლეტარიატს – ბელადის დეკრეტმა საუკუნო ტანჯვის სანაცვლოდ თანასწორობის სამუდამო სიხარული მოუტანა. საბჭოთა პროპაგანდის მიხედვით, პროლეტარები საბოლოო ესქატოლოგიურ ბრძოლაში დაამარცხებდნენ თავიანთ დემონურ მოწინააღმდეგეს – ბურჟუათა არმიებს და სამყაროში თავის განუყოფელ ბატონობას დაამყარებდნენ, რაც საბჭოთა პერიოდში გამოხატული იყო კომუნისტური მითოლოგემით: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

ამრიგად, საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის შესასწავლად. მათში სრულად ვლინდება ქართული ხალხური ეროვნული სული. ფოლკლორული შემოქმედება მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამს კოლექტიური ცნობიერება

[27] მ. ღანიშაშვილი. გოგია ჭიჭოშვილის ეპოსი. თბ. 2011, გვ. 9.
[28] მ. ღანიშაშვილი. გოგია ჭიჭოშვილის ეპოსი, გვ. 10.

ისტორიულ პირებსა და მოვლენებს, თუ როგორ უყურებს ხალხი საკუთარი ქვეყნის ისტორიას. საისტორიო სიმღერები და თქმულებები იძლევა ძვირფას მასალას არქეტიპებისა და უძველესი პოეტური ფორმების შესასწავლად, რადგან, როგორც კვლევამ აჩვენა, ხალხურ სიტყვიერებაში ისტორიული პირები და მოვლენები მითოლოგიური სქემებით, ტრადიციული მოდელებითა და უძველესი არქეტიპების მიხედვით იქმნებიან.

***Khvtiso Mamisimedishvili***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# PECULIARITIES OF FOLK TEXTS RELATED TO HISTORICAL PERSONS AND EVENTS

Summary

The Georgian people have created a thematically rich and genre-diverse folklore regarding historical persons and events. Unlike official historiography, folk texts do not convey a single historical process, since they attribute the events of the past to only a few historical figures or kings, which led to the cyclical nature of these types of literary works.

Folklore is an artistic creation, and in it characters sometimes go far beyond their prototypes. Although the legend of Davit Agmashenebeli (Builder) is about the construction of a Christian temple, the text about the suppression of an evil force uses an ancient Zoroastrian archetype as a plot. As we can see, the folklore tradition did not account for the true heroic deeds of Davit Agmashenebeli and created his mythological biography.

The folk poem equipped King Tamar with the attributes of a Demiurge and thus reactualized the ancient cosmogonic myth. Tamar's confrontation with the sea is reminiscent of the myth of the battle between the God and the Sea Monster of ancient peoples. In folk texts, historical heroes undergo a kind of metamorphosis, and they become mythological heroes with connections to supernatural forces.

Although the youth of Erekle II is well known from historical sources, his boyhood is represented by folk poetry with mythological archetypes. Like mythological heroes, King Erekle is an orphan, an abandoned child. Somewhere, in the sacred space, a deer feeds him with its own milk, and finally a hunter finds the prince thrown into a straw.

Unlike the ordinary heroic epics, in which the action takes place in an indefinite time and space, the events told in historical songs and legends are in contact with reality. In the imagination of the people historical orality patterns are real, because very real persons act in specific geographical settings, and

these texts are often sacred because the main characters are ascribed supernatural qualities.

The characters of the cycles created in the later period did not manage to turn into mythological heroes, and the historical events could not be fully integrated into the category of mythical actions.

Samples of historical oral folk are extremely important for the study of Georgian culture. Folklore clearly shows how the collective consciousness perceives historical persons and events, how people look at the history of their country. Historical songs and tales provide valuable material for the study of archetypes and ancient poetic forms, since, as research has shown, historical persons and events in folk-literature are created according to mythological schemes, traditional models and ancient archetypes.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX**
**თბილისი. 2023**

***აპოლონ თაბუაშვილი***
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# ზოგიერთი დეტალი გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით

გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ მრავალი ნაშრომია დაწერილი და ამ თემის ირგვლივ ბევრი საკითხი სათანადოდ გაანალიზებულია.[1] მიუხედავად ამის, ჩვენი მოსაზრებით, ჯერ კიდევ რჩება ტრაქტატთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალი, რომლებიც შემდგომ კვლევას მოითხოვს. როგორც წყაროებით დასტურდება, 1783 წლის მაის-ივლისში ქართულ და რუსულ მხარეებს შორის მნიშვნელოვანი უთანხმოება არსებობდა, რაც მომდევნო თვეებშიც გაგრძელდა. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროცესი არაჯეროვნადაა შესწავლილი, რიგ შემთხვევაში კი მცდარ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე, წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას დასახელებულ პრობლემატიკაზე გავამახვილებთ.

[1] იხ.: П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. ч. 2. СПб. 1869; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II. СПб. 1886; ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბ. 1919; ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ. 1960; მ. დუმბაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. პროფესორ იასე ცინცაძის წიგნის გამო. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33. თბ. 1960; О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва, 1966; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II. თბ. 1965; გ. პაიჭაძე. ქართლ-კახეთისა და რუსეთის ურთიერთობის განახლება 80-იანი წლების დასაწყისში. 1783 წ. ხელშეკრულება. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973; გ. პაიჭაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა. თბ. 1980; Г. Пайчадзе. Георгиевский трактат. Тбилиси, 1983; გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა. თბ. 1983; დ. შველიძე. საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ. თბ. 2014; ვ. გურული. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა (1782-1784 წწ.). ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტ. III. თბ. 2017; ვ. გურული. მეფე ერეკლე და რუსეთი. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან. თბ. 2018; დ. მერკვილაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე მეორე. თბ. 2022 და სხვ.

ვიდრე 1783 წლის მაისიდან მიმდინარე პროცესს განვიხილავთ, თავდაპირველად მოკლედ შევეხებით გეორგიევსკის ტრაქტატის წინაპირობებსა და, ზოგადად, იმ პერიოდის რუსულ-ქართულ ურთიერთობებს.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყო. ქუჩუქ-კაინარჯის ზავის დადების შემდგომ საიმპერატორო კარმა 1775 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ელჩებს რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება აუკრძალა,[2] რაც დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას ნიშნავდა. უფრო მეტიც, საიმპერატორო კარი დაუფარავად ეწინააღმდეგებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებას.[3] ამ პერიოდში ოსმალეთთან დაპირისპირებული სოლომონ I კვლავ ცდილობდა რუსეთიდან დახმარების მიღებას, მაგრამ რუსეთის მთავრობა მასთან ოფიციალურ ურთიერთობას თავს არიდებდა. ხოლო, იმერეთის მეფის ელჩებს პეტერბურგისაკენ გზის გაგრძელების უფლებას არ აძლევდა.[4]

1782 წლის ზაფხულიდან ქართული სამეფოების მიმართ რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და იმპერატორი ამჯერად ქართველ მეფეებს, ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს, უკვე სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას სთავაზობდა.

საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიის პოლიტიკის ცვლილების მიზეზები, ისევე როგორც ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით 1782 წელს მიმდინარე რუსულ-ქართული მოლაპარაკებების პროცესი ჩვენ სხვა ნაშრომებში დეტალურად განვიხილეთ.[5] როგორც წყაროების ანალიზმა გვიჩვენა,

---

[2] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. т. II, вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели. СПб. 1902, გვ. 10-11.

[3] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1774-1782 წლებში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII. თბ. 2021, გვ. 197-221. ასევე, იხ.: მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70–80-იანი წლების მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გვ. 682-684; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი IV. თბ 1967, გვ. 167-170.

[4] მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ. 1982, გვ. 149-151.

[5] იხ.: ა. თაბუაშვილი. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1774-1782 წლებში; 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები: რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია. რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბ. 2022. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Georgian-3147.pdf

რუსეთის იმპერიამ ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო-მფარველობითი ხელშეკრულების დადება ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის გამო გადაწყვიტა. საქმე ის იყო, რომ 1782 წლის ზაფხულის დასაწყისში ეკატერინე II-მ ყირიმის სახანოს ანექსიის საბოლოო გეგმა შეიმუშავა, რაც თავდაპირველად ხანის ტახტზე რუსეთის მომხრე შაჰინ გირეის აღდგენას ითვალისწინებდა, რომელიც მანამდე ოსმალეთის მომხრე ძალებმა დაამხეს. ადგილზე სრული კონტროლის დამყარებას კი სახანოს გაუქმება და იმპერიასთან მიერთება უნდა მოჰყოლოდა. რუსეთის საიმპერატორო კარზე მიიჩნევდნენ, რომ ყირიმში ჯარების შეყვანა ოსმალეთთან გარდაუვალ ომს გამოიწვევდა. შესაბამისად, რუსეთის მთავრობა ომისათვის სამზადისს შეუდგა. 1782 წლის ივნისში ეკატერინე II თავის მოკავშირე საღვთო რომის იმპერატორ იოზეფ II-ს დაუკავშირდა და მასთან სამხედრო გეგმაც შეათანხმა.[6] მალევე იმპერატორმა საომარი სამზადისის შესახებ სპეციალური საიდუმლო ბრძანებულებაც გამოსცა. ბრძანების თანახმად, ოსმალეთთან მოსალოდნელ ომში მნიშვნელოვანი ფუნქცია ახლად შექმნილ და არნახულად გაძლიერებულ კავკასიის კორპუსს ენიჭებოდა. აღნიშნულ კორპუსს კასპიისპირეთიდან საქართველოზე გავლით ოსმალეთის აღმოსავლეთის საზღვრებზე იერიში უნდა მიეტანა. ბრძანებულება ფრონტის აღნიშნულ მონაკვეთზე „დივერსიების“ მოწყობასაც ითვალისწინებდა.[7]

ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ომში მონაწილეობის გარეშე სამხრეთ კავკასიაში დაგეგმილი ოპერაციის წარმატებით განხორციელება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ცხადია, ოსმალეთის წინააღმდეგ „დივერსიების“ მოწყობაც მათვე ევალებოდათ. შესაბამისად, ეკატერინე II-მ ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის სამზადისის დაწყებისთანავე გადაწყვიტა, ამ საქმის აღსრულება კი თავის ფავორიტ გენერალ-ანშეფ გრიგოლ პოტიომკინს დააკისრა. თავის მხრივ,

[6] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 27-28.

[7] Сборник Императорского русского исторического общества. т. 27. СПб. 1880, გვ. 225-226. იმპერატორის ბრძანების შესაბამისად, უკვე 1782 წლის ნოემბრის დასაწყისში კავკასიის კორპუსი მოითვლიდა 23 ბატალიონს, დრაგუნთა 20 ესკადრონს, 4 საარტილერიო ასეულს 30 საარტილერიო კომპლექტით, კაზაკთა 4 პოლკს და ასტრახანის კაზაკთა შენაერთს. იმხანად სამხედრო ძალების ცენტრმა ასტრახანიდან კავკასიის ხაზისაკენ გადაინაცვლა. ასტრახანის კორპუსს სწორედ იმ პერიოდში შეუცვალეს სახელი და კავკასიის კორპუსი უწოდეს (იხ.: Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии. К столетию занятия Тифлиса русскими войсками 26-го ноября 1799 года. Под ред. В. Потто. Тфл. 1899, გვ. 156; ვ. გურული. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა (1782-1784 წწ.). ქართული უნივერსიტეტის შრომები. ტ. III, გვ. 37-38).

გრიგოლ პოტიომკინმა 1782 წლის ივნისში საქართველოში დელეგაცია გამოგზავნა, რომელსაც ქართული წარმომავლობის რუსი ოფიცერი, კაპიტანი ბაღდათლუ სოლაღოვი (სოლოღაშვილი), ხელმძღვანელობდა.[8]

სოლომონ I რუსეთის მთავრობის მოწოდებას მყისიერად გამოეხმაურა. იმერეთის მეფე 1782 წლის აგვისტოში პეტერბურგში გაგზავნილი წერილებით მადლობას იხდიდა „ძლიერი მფარველობის“ წყალობისათვის და ომში მონაწილეობის მზადყოფნასაც გამოთქვამდა. სანაცვლოდ სოლომონი ფოთიდან, ბათუმიდან და მთლიანად აჭარიდან ოსმალების გაძევებასა და ამ ტერიტორიების მისთვის გადაცემას მოითხოვდა. სოლომონისაგან განსხვავებით, ქართლ-კახეთის მეფე 1782 წლის ზაფხულში რუსეთის მთავრობის წინადადებას არ გამოეხმაურა.

გრიგოლ პოტიომკინმა ერეკლე II-ისაგან თანხმობის მისაღებად საქართველოში კიდევ ერთი თავისი წარმომადგენელი – იაკობ რაინეგსი გამოგზავნა. გერმანელი იაკობ რაინეგსი, მანამდე, 1778-1781 წლებში, საქართველოში იმყოფებოდა და ერეკლესთან ახლო ურთიერთობაც აკავშირებდა. ქართველი მეფის დარწმუნება ამჯერად მას მიანდვეს. იმავე პერიოდში გრიგოლ პოტიომკინმა კავკასიის კორპუსის მეთაურად (კავკასიის ხაზის მთავარსარდლად) თავისი ნათესავი გენერალი პავლე პოტიომკინი დანიშნა. მას დაევალა, რომ ერეკლესთან სხვადასხვა საშუალებით დაემყარებინა კავშირი და რუსეთის მფარველობაში შესვლაზე მიეღო მისი თანხმობა. თავის მხრივ, პავლე პოტიომკინმა საქართველოში რუსეთის არმიის კიდევ ერთი ოფიცერი, წარმომავლობით ქართველი – ლეიტენანტი ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) გამოგზავნა. ამავე დროს საქართველოში რჩებოდა კაპიტანი ბაღდათლუ სოლაღოვიც.[9]

რუსეთის იმპერიის მოხელეები ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების დროს, რა თქმა უნდა, იმ დოკუმენტით იხელმძღვანელებდნენ, რომელიც საიმპერატორო კარზე სპეციალურად შეადგინეს. აღნიშნული დოკუმენტი – „უზენაესად მითითებული საფუძვლები საქართველოსთან ხელშეკრულების დასადებად“ – გრიგოლ პოტიომკინისათვის იყო განკუთვნილი. ის მოიცავდა ეკატერინე II-ის შემუშავებულ 6 პუნქტსა და ალექსანდრე ბეზბოროდკოს მოსაზრებებს.

[8] იხ.: ა. თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები: რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია, გვ. 5-7.
[9] იხ.: ა. თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები: რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია, გვ. 5-11.

„უზენაესად მითითებული საფუძვლები“, გარკვეულწილად, ერეკლე II-ის მიერ 1771 წლის 30 დეკემბერს რუსეთის საიმპერატორო კარზე გაგზავნილი მიმართვის შინაარსს ეყრდნობოდა. თუმცა, ინსტრუქციის მიხედვით, ტრაქტატი ქართული მხარისათვის იმაზე უკეთესი პირობებით უნდა დადებულიყო, ვიდრე ამას ერეკლეს მიმართვა ითვალისწინებდა.[10] როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობა კარგად აცნობიერებდა, რომ 1771-1772 წლებისაგან განსხვავებით, 1782 წლისათვის ქართლ-კახეთის მეფის პოზიციები გაცილებით უფრო მყარი იყო და ამჯერად ძველი პირობები მისთვის მიუღებელი იქნებოდა.[11] შესაბამისად, გრიგოლ პოტიომკინი ერეკლეს გულის მოგებას დათმობითი პოლიტიკის გატარებით ცდილობდა.

1782 წლის შემოდგომაზე რუსეთის მთავრობა კიდევ უფრო გააქტიურდა. მათთვის ერეკლე II-სთან მოლაპარაკების გაჭიანურება მიუღებელი იყო, რადგან იმ დროისათვის ყირიმში სამხედრო მოქმედებები უკვე მიმდინარეობდა. ოსმალეთთან ომის დაწყების საფრთხეც კიდევ უფრო რეალური ხდებოდა. შესაბამისად, 1782 წლის ნოემბერში რუსეთის საიმპერატორო კარმა ერეკლეს მიმართ დიამეტრულად შეცვალა პოლიტიკა. თუ მანამდე რუსი მოხელეები ქართველი მეფის გულის მოგებას დათმობებით ცდილობდნენ, ამჯერად განსხვავებული ნაბიჯი გადადგეს და ერეკლეს მოწინააღმდეგე ქართლის ტახტის პრეტენდენტ ალექსანდრე ბაქარის ძის დარუბანდიდან რუსეთში გაწვევა შეაჩერეს.[12] ამავე დროს, საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა რუსული აგენტურა.[13]

---

[10] 1770-იანი წლების დასაწყისში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, რუსეთის მხარეს ომში ჩაბმული ერეკლე II იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ იძულებული გახდა დაპირებული დახმარების მისაღებად იმპერიის სასარგებლოდ მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო, რაც მძევლების გაგზავნას, ხარკის გადახდას, რეკრუტების გაწვევასა და სხვა მძიმე პირობებს გულისხმობდა. მიმართვის ტექსტი იხ.: გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 59-60.

[11] „უზენაესად მითითებული საფუძვლების“ ანალიზი იხ.: ა. თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები: რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია, გვ. 7-9

დოკუმენტის ტექსტი იხ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. т. II, вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели, გვ. 30-31.

[12] ი. ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. II. თბ. 1940, გვ. 36.

[13] ერეკლე II-ის თანხმობის მისაღებად რუსეთის იმპერიის გადაღგმული ნაბიჯების შესახებ ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები: რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია.

საბოლოოდ, რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებმა მიზანს მიაღწიეს. ერეკლე II-მ, 1782 წლის 21 დეკემბერს შედგენილი მიმართვით, იმპერატორის მფარველობაში მიღება ითხოვა და ხელშეკრულების დასადებად საკუთარი პირობები წამოაყენა. ერეკლეს მიერ რუსეთის საიმპერატორო კარზე გაგზავნილი მიმართვა ექვსი მუხლისაგან შედგებოდა.[14] პირველი მუხლი მომავალი ხელშეკრულების ორმხრივ პირობებს ეხება – მეფე რუსეთის იმპერიის მფარველობაში შედიოდა და იმპერატორის უზენაესობას აღიარებდა, იმპერიას კი ომისა თუ მშვიდობის დროს ოსმალეთისა და ირანისაგან მისი ქვეყნის დაცვა უნდა უზრუნველეყო. მეორე მუხლში იმ ძირითად ვალდებულებაზეა საუბარი, რასაც ერეკლე კისრულობდა – საომარ ვითარებაში მთელი თავისი ძალებით რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ იბრძოლებდა. შემდგომ ოთხ მუხლში წარმოდგენილია რუსეთის მფარველობაში შესვლის სანაცვლოდ ქართლ-კახეთის მეფის მიერ წამოყენებული პირობები. ყველაზე ვრცელი მესამე მუხლით ერეკლე მოითხოვდა, რომ რუსეთის იმპერიას ის ქართლის ლეგიტიმურ მეფედ ოფიციალურად ეღიარებინა. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მუხლებით მეფე ოსმალეთთან და ირანთან ომის შემთხვევაში, დამხარე ჯართან ერთად, ახალციხის საფაშოს, ყარსის საფაშოსა და ჭარ-ბელაქნის ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაბრუნების საკითხს აყენებდა. ამავე დროს, ერეკლე არასაომარ პერიოდში რეგულარული ჯარის 2 პოლკის საქართველოში გამოგზავნას ითხოვდა.[15]

ერეკლე II-ის მიერ 1782 წლის დეკემბრის მიწურულს გაგზავნილ კორესპონდენციას პეტერბურგში მხოლოდ 1783 წლის იანვრის ბოლოს მიიღებდნენ. იმ დროისათვის კი რუსულ ჯარს მთელი ყირიმის ნახევარ უკვე დაკავებული ჰქონდა. თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ ყირიმის გამო ოსმალეთი ომის დაწყებას ვერ ბედავდა. ასეთ პირობებში, რუსეთის საგარეო პოლიტიკურმა გეგმებმაც ცვლილება განიცადა. იმპერიის ინტერესებში უკვე აღარ შედიოდა ოსმალეთის ზედმეტად გაღიზიანება. შესაბამისად, ეკატერინე II-მ იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღება გადაიფიქრა. ქართულ-რუსული ხელშეკრულების (ტრაქტატის) ერთ-ერთ წინასწარ ტექსტში (რომელიც ალ-

[14] იხ.: ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 195-197; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 454-455.

[15] ერეკლე II-ის მიმართვის ანალიზი იხილეთ: ა. თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები: რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია, გვ. 18-21.

ექსანდრე ბეზბოროდკომ შეადგინა) თუ სოლომონ I ჯერ კიდევ ფიგურირებდა,[16] სხვა ვითარებას ვხვდებით თებერვალის დოკუმენტაციაში. 1783 წლის 17 თებერვალს ეკატერინე II-ის დამტკიცებულ ტრაქტატის ტექსტში სოლომონ I აღარ იხსენებოდა. იმავე დღეს გამოცემული ბრძანებულებით გრიგოლ პოტიომკინს ქართლ-კახეთის სამეფოსთან ხელშეკრულების გაფორმების დასრულება დაევალა.[17] ეკატერინე II-ის აღნიშნული ბრძანებულებიდან ნათლად იკითხება იმპერიის გეგმებში ცვლილების მიზეზი. მასში არაორაზროვნად აღნიშნული იყო, რომ სოლომონს მფარველობაში ვერ მიიღებდნენ მანამდე, ვიდრე ოსმალეთთან აშკარა დაპირისპირება არ დაიწყებოდა.[18] ერთი სიტყვით, ვინაიდან ყირიმის სახანოს დაკავებას მყისიერად ოსმალეთთან ომი არ მოჰყვა, რუსეთის იმპერატორმა მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება გადაწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკატერინე II-მ ტრაქტატის ტექსტი 17 თებერვალს დაამტკიცა, ის საქართველოში მხოლოდ აპრილის დასაწყისში გამოგზავნეს. პროცესის შეფერხება ამჯერადაც ყირიმის სახანოში მიმდინარე დინამიურ მოვლენებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ პერიოდში რუსმა მოხელეებმა ყირიმის უკანასკნელ ხანთან, შაჰინ გირეისთან, მოლაპარაკებების პროცესი დაასრულეს. შაჰინ გირეი მზად იყო „ნებაყოფლობით“ უარი ეთქვა ხანის ტახტზე. ოსმალეთთან ომის დაწყების ალბათობაც ძალიან მცირდებოდა. შესაბამისად, 1783 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერიის მესვეურებისათვის ცხადი გახდა, რომ ყირიმის სახანოს შეერთების საუკუნოვანი მიზანი პრაქტიკულად მიღწეული იყო. ასეთ ვითარებაში, რუსეთის მთავრობის წევრებმა 1783 წლის მარტში ქართლ-კახეთის სამეფოსა და მთლიანად კავკასიის საკითხის განხილვა ხელახლა დაიწყეს.[19] ისინი უკვე იმაზე მსჯელობდნენ, ახალი ვითარების

[16] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. т. II, вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели, გვ. 32-41.

[17] Из истории российско-грузинских отношений. К 230-летию заключения Георгиевского трактата. Сборник документов. Москва, 2014, გვ. 141-148.
რუსეთის იმპერია 1783 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად, იმერეთის მფარველობაში მიღებას, რომ აღარ გეგმავდა, ეს კარგად დაასაბუთა დ. მერკვილაძემ. იხ.: დ. მერკვილაძე. იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების საკითხი (1781-1783 წლის დასაწყისი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. № 1-2. თბ. 2018, გვ. 102-115.

[18] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 141.

[19] იხ.: ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 43.

გათვალისწინებით, იმპერიისათვის თუ რამდენად სარგებლის მომტანი იქნებოდა ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება.

საბოლოოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ იმპერიის მიზნები ეკატერინე II-ის 1783 წლის 8 აპრილის რესკრიპტით განისაზღვრა. იმპერატორის ახალი გეგმის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოს ირან-ოსმალეთთან ბარიერის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ასევე, ირანის პროვინციების დასაუფლებლად ქართული სამეფო განიხილებოდა, როგორც რუსეთის იმპერიის ერთგვარი პლაცდარმი. სამომავლოდ, ოსმალეთთან ომის დაწყების შემთხვევაში ქართველებს, სომეხ ხალხთან ერთად, კვლავ „დივერსიების“ მოწყობა უნდა დაკისრებოდათ.[20]

1783 წლის აპრილის დასაწყისში, მაშინ როდესაც საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს საკითხი საბოლოოდ შეთანხმდა, გრიგოლ პოტიომკინმა პოდპოლკოვნიკ ვასილ ტამარას ხელით საქართველოში ტრაქტატის პროექტი გამოგზავნა. იმავე დროს, გრიგოლ პოტიომკინის ბრძანებითვე ერეკლეს კარზე გამოემგზავრა პოლკოვნიკი სტეფან ბურნაშევი, რომელსაც საქართველოში იმპერიის წარმომადგენლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. მას უნდა შეეცვალა იაკობ რაინეგსი, რომელიც საქართველოში 1782 წლის ოქტომბრიდან იმყოფებოდა.

პარალელურად, გრიგოლ პიტიომკინი ერეკლე II-ს ატყობინებდა, რომ საქართველოსთან დაკავშირებული საქმეები უშუალოდ მას ევალებოდა, ხელშეკრულების გაფორმების უფლება კი კავკასიის ხაზის მთავარსარდალ პავლე პოტიომკინს მიეცა. გრიგოლ პოტიომკინი, ასევე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმპერატორმა არა თუ დააკმაყოფილა მეფის ყველა მოთხოვნა, არამედ ხელშეკრულების პირობები ქართული მხარისათვის კიდევ უფრო მომგებიანი გახადა. შესაბამისად, ის გამოთქვამდა რწმენას, რომ ერეკლეს მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ იქნებოდა და ხელშეკრულების დასადებად ქართველი ელჩები კავკასიის ხაზზე უმოკლეს ვადებში გაემგზავრებოდნენ.[21]

უკვე 9-10 მაისის კორესპონდენციით პავლე პოტიომკინი კავკასიის ხაზიდან ერეკლე II-ს ატყობინებდა, რომ ტრაქტატის პროექტს პოდპოლკოვნიკი ტამარა გადასცემდა. რუსი გენერალი ერეკლეს, ასევე მოუწოდებდა, რომ ტამარას თბილისში ჩასვლის შემდეგ, ორი წარმომადგენელი შეერჩია და ისინი ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად კავკასიის ხაზზე გაეგზავნა. მისივე

[20] Сборник Императорского русского исторического общества. т. 27, გვ. 240-244.
[21] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 2-4.

სიტყვებით, ტრაქტატის გაფორმებისთანავე დაპირებული ორი რუსული ბატალიონი საქართველოსაკენ დაიძვრებოდა.[22]

პოდპოლკოვნიკი ტამარა, რომელიც კავკასიის ხაზიდან თბილისისკენ 9 ან 10 მაისს გამოემგზავრა, ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილ ტრაქტატის პროექტს ერეკლე II-ს 20 მაისის ახლო ხანებში წარუდგენდა. ტამარასაც ერეკლეს დარწმუნება ევალებოდა, რათა მას სრულუფლებიანი წარმომადგენლები კავკასიის ხაზზე დროულად გაეგზავნა. ამავე დროს, მას ქართლ-კახეთის მეფისათვის უნდა მოეწოდებინა, რომ სამეფო საუფლისწულოებად არ დაენაწილებინა.[23]

მას შემდეგ, რაც ერეკლე II-ს ტრაქტატის პროექტი წარუდგინეს, მან პროცესი თითქმის თვე-ნახევრის განმავლობაში შეაჩერა. მეფე ორი წარმომადგენლის დანიშვნას აჭიანურებდა. პროცესის შეფერხება რუსული მხარისათვის მიუღებელი იყო, ამიტომ პოდპოლკოვნიკი ტამარა ერეკლეს სრულუფლებიანი წარმომადგენლების დანიშვნასა და სასწრაფოდ კავკასიის ხაზზე გაგზავნას დაჟინებით სთხოვდა. 1783 წლის ივნისის დასაწყისში იმავე მოწოდებით გამოდიოდა პავლე პოტიომკინიც.[24]

რუსეთის იმპერიის ეპოქის ისტორიკოსი ნ. დუბროვინი, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებულ საკითხებს დეტალურად აღწერს, საკუთარ დასკვნას გვთავაზობს. მისი გადმოცემით, ერეკლე II რუსეთის უსაზღვრო ერთგული იყო. ის იმპერიის მოხელეების ყველა წინადადებას უპირობო თანხმობით პასუხობდა და მხოლოდ ერთ სურვილს გამოთქვამდა, რომ რაც შეიძლება მალე ეხილა დამხმარე რუსული ჯარი საქართველოში. მეფეს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის საზეიმოდ აღნიშვნა ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე სურდა, რათა სპარსელი მეზობელი ხანებისათვის ეჩვენებინა, რომ ჰყავდა ძლიერი მოკავშირე. ქართველი მეფის მხრიდან პროცესის გაჭიანურება კი, მისი მოსაზრებით, გამოწვეული იყო დოკუმენტა-

[22] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც.), H-2300, ფ. 15-20.

[23] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 4-5.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მთავრობა საუფლისწულოების შექმნის წინააღმდეგი იყო, ისევე როგორც იმპერიის მესვეურებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ერეკლე II-ის 1791 წელს შემოღებული ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი, რომლის შედეგად მეფობის პრეტენდენტებად ერეკლეს ყველა ვაჟი ცხადდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა წყაროს მონაცემი ამ საკითხის განსხვავებულად გააზრების საფუძველს იძლევა, რასაც ცალკე ნაშრომში განვიხილავთ.

[24] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 5-6.

ციის შედგენის უცოდინარობითა და მოხელეების მიმართ ერეკლეს სრული უნდობლობით.

იმავე ავტორის გადმოცემით, მაისის ბოლოს ტამარა პავლე პოტიომკინის ბრძანებით ქუთაისში გაემგზავრა. გამგზავრებამდე კი მას ერეკლე II დაჰპირდა, რომ უმოკლეს ხანში წარმომადგენლებსაც გამოყოფდა და ელჩობის გასამგზავრებლად ყველა პირობას შეასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ ტამარა უამინდობისა და სოლომონ I-ის ავადმყოფობის გამო თბილისში დაგვიანებით, მხოლოდ 14 ივნისს დაბრუნდა, მას ჯერ კიდევ გაურკვეველი ვითარება დახვდა. იმ დროისათვის ერეკლემ თავის ელჩებად ოტია ანდრონიკაშვილი და სულხან თუმანიშვილი დაასახელა, ხოლო მოგვიანებით არჩევანი შეცვალა. 24 ივნისს მეფემ თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებად იოანე ბაგრატიონი (მუხრანბატონი) და გარსევან ჭავჭავაძე დანიშნა.[25]

ერთი სიტყვით, ნ. დუბროვინის მოსაზრებით, ერეკლე II, ერთი მხრივ, ხელშეკრულების გაფორმებას ჩქარობდა, ხოლო მეორე მხრივ, სამეფო კარის არაკომპეტენტურობისა და მოხელეების მიმართ მეფის უნდობლობის გამო პროცესი ჭიანურდებოდა.

ნ. დუბროვინის გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II ხელშეკრულების დადებამდე რუსული ბატალიონების შემოსვლას მართალაც ითხოვდა. ეს ნათლად დასტურდება პავლე პოტიომკინის მიერ ერეკლესათვის გაგზავნილი წერილებით. კერძოდ, 1783 წლის 9 და 10 მაისის, ასევე 28 ივნისის კორესპონდენციებით გენერალი ქართლ-კახეთის მეფეს არწმუნებდა, რომ როგორც კი ხელშეკრულებას ხელი მოეწერებოდა, დამხმარე ჯარი მაშინვე თბილისისაკენ დაიძვრებოდა. პავლე პოტიომკინი ერეკლეს დასამშვიდებლად იმასაც აღნიშნავდა, რომ ჯარის გადასაყვანად გზის შეკეთება უკვე მიმდინარეობდა.[26]

ჩვენი შეფასებით, ერეკლეს მხრიდან დაპირებული ჯარის ხელშეკრულების დადებამდე მის განკარგულებაში გადასვლის მოთხოვნა იმპერიის მიმართ უნდობლობის დემონსტრირებას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ერთგულების დამადასტურებელ ფაქტს. 1770-იანი წლების დასაწყისში მიღებული მძიმე გამოცდილების გათვალისწინებით, სრულიად ლოგიკურია, რომ მეფეს რუსული მხარის მიერ აღებული ვალდებულების შესრულება ამჯერად წინსწრებად მოეთხოვა.

[25] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 5-7.
[26] ხეც. Н-2300, ფ. 16-17, 19, 25-26.

რაც შეეხება ქართული სამეფო კარის დოკუმენტაციის მომზადების უცოდინარობას, ვფიქრობთ ნ. დუბროვინის შეფასება ამ შემთხვევაშიც ბოლომდე ობიექტური არ უნდა იყოს. კონკრეტულ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ძირითადად ორი დოკუმენტი – ქართველი ელჩების რწმუნების სიგელი და ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხა – იყო შესადგენი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფატს, რომ რწმუნების სიგელი, რუსულ თარგმანთან ერთად, სრულუფლებიან წარმომადგენლებად იოანე მუხრანბატონისა და გარსევან ჭავჭავაძის დასახელებიდან (24 ივნისი) რამდენიმე დღეში (28 ივნისს) უკვე შედგენილი იყო,[27] საქმისწარმოების უცოდინარობით პროცესის დაბრკოლებაზე საუბარი სრულიად უადგილოდ გვეჩვენება. მეორე დოკუმენტის ქართული და რუსული ვერსიები (ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხა) კი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე უფრო ადრე შეუდგენიათ, რომელზეც 18 ივნისს მეფეს უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი.[28] ისიც აღსანიშნავია, რომ 1783 წლის მაის-ივნისში თბილისში რუსეთის იმპერიის მოხელეები, მათ შორის ქართული ენის მცოდნე პირებიც (ბაღდათლუ სოლაღოვი, ჩოლოყაევი), იმყოფებოდნენ. შესაბამისად, ელემენტარული დოკუმენტაციის შედგენის პრობლება არ დადგებოდა.

ასევე, არაობიექტურად გვეჩვენება ერეკლესა და მისი მოხელეების ურთიერთობის შესახებ ნ. დუბროვინის გამოთქმული მოსაზრება. ჩვენი აზრით, თავდაპირველად დასახელებული ელჩების სხვა პიროვნებებით ჩანაცვლება უნდობლობის ფაქტორით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული. საქმე ის არის, რომ თავდაპირველ ელჩად დასახელებული სულხან თუმანიშვილი ერეკლე II-მ ტრაქტატის გაფორმებიდან მალევე ძალიან საპასუხისმგებლო მისიით პეტერბურგში გაგზავნა,[29] რაც თავისთავად გამორიცხავს მის მიმართ უნდობლობას. ზოგადად, თუ ელჩებად დასახელებული პიროვნებების თანამდებობებს გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ მეფემ საშუალო რანგის მოხელეები (ოტია ანდრონიკაშვილი და სულხან თუმანიშვილი) მაღალი რანგის თანამდებობის პირებით (იოანე მუხრანბატონი და გარსევან ჭავჭავაძე) ჩაანაცვლა. შესაბამისად, მეფის გადაწყვეტილება კონცეპტუალურ მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს და არა კონკრეტული მოხელის მიმართ უნდობლობისა

[27] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 65-66, 108-110.

[28] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ფონდი 1449, საბ. 628, 629; Из истории российско-грузинских отношений, გვ. 165-177.

[29] სულხან თუმანიშვილის გამგზავრების საკითხს ქვემოთ დეტალურად შევეხებით.

თუ ნდობის ფაქტორს.

ამდენად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესი სხვა მიზეზებით უნდა შეყოვნებულიყო და არა ნ. დუბროვინის მიერ დასახელებული გარემოებების გამო.

პროცესის შეფერხების მიზეზების გასარკვევად საინტერესოა პოდპოლკოვნიკ ტამარას მოხსენებები, რომელთა მიხედვით ერეკლე II ტრაქტატის ტექსტს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დეტალურად განიხილავდა და მასში შენიშვნები თუ შესწორებები შეჰქონდა.[30] აშკარაა, რომ მეფეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გარკვეული გარემოებები აღელვებდა.

ტრაქტატის გაფორმებამდე ზოგიერთ საკითხზე მხარეებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება არც ისტორიოგრაფიისათვის არის უცნობი. მაგრამ, ყველა ეს სადავო საკითხი არაარსებითადაა მიჩნეული. მსგავსი შეფასებები პ. ბუტკოვისა და ნ. დუბროვინის ნაშრომებიდან მომდინარეობს,[31] რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც გაზიარებულია.[32] მაგალითად, ვ. მაჭარაძე გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში გამართული სხდომების ჩანაწერებზე დაყრდნობით მიუთითებდა, რომ „მოლაპარაკებისას წამოიჭრა საკითხები, რომლებზედაც მხარეებმა წერილობითაც კი მიმართეს ერთმანეთს. 21 ივლისს კამათი ეხებოდა მეფის კურთხევას, ტიტულს, გერბს, კათალიკოსის ადგილს რუსეთის სინოდში და სხვ.“ თუმცა, ავტორი „კამათის“ საგანს იმდენად უმნიშვნელოდ მიიჩნევდა, რომ მასზე მსჯელობასაც აღარ აგრძელებდა.[33]

ობიექტური ვითარების წარმოსაჩენად, ჩვენ დეტალურად შევეხებით აღნიშნულ საკითხს, რის შესახებაც მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას ვხვდებით დოკუმენტურ წყაროებში. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ერეკლე II-ის მიერ გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილი წერილი, რომელიც 1783 წლის 28 ივნისით თარიღდება.

დოკუმენტის დასაწყისში ერეკლე II აღნიშნავდა, რომ ეკატერინე II-ს გადაწყვეტილებით მისი ყველა თხოვნა დამტკიცებამდე გრიგოლ პოტიომკინთან უნდა გაგზავნილიყო. მეფე, დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით, იმპერატორის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კმაყოფილებას გამოთქვამდა.

[30] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 18.
[31] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. ч. 2, გვ. 129; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 8-12.
[32] იხ.: ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 123-131; გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა და სხვ.
[33] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 19.

შემდეგ აღნიშნავდა, რომ იმპერატორის რეკომენდაციის („ყოვლად ბრძნად შეწყობილითა რეკომენდაციითა“) გათვალისწინებით მასთან გზავნიდა მოხსენებას, რომელშიც გაჟღერებული იყო მისი „საწადელი“: „... ესეცა სლედავატელნითავე დაიმტკიცების, ვითარმედ აქაურთა მეფეთა რომელიმე ჩუცულება, თანამდებ ვარ, რათა უწყებით განვაცხადო წინაშე უგანათლებულესობისა თქუცნისა: როდის რომ საზოგადოდ იპყრობდენ ზემოსა და ქუცმოსა ივერიასა კოლხიდითურთ ძუცლნი პაპანი ჩუცნნი, ამას ზედა თვინიერ იჭვისა შემძლებელ ვარ დარწმუნებად უგანათლებულესობისა თქუცნისა, რომელ ყოველნი იგი ცხებულიყუნეს და გურგუნოსან, რომელსაც მოწმობენ მაშინდელნი ქართულნი ისტორიანი. და როდის, რომ განიყო სამად სამეფოდ და ოთხ საკნიაზოდ, ზემო და ქუცმო ივერია კოლხიდითურთ, მეფენი ქართუცლთა და კახთანი და იმერეთისანიცა იცხებულებოდენ და იგურგუნებოდენ. და ქართუცლთა და კახთა მეფენი ორთავე ვიდრე მეფობისამდე ჩემისა ცხებულ იყუნეს და გურგუნოსან, და თვით მამაცა ჩემი. და თუ რომელნიმე მეფეთაგანნი არა იყუნეს გურგუნოსან, მიზეზი უგურგუნოსნებისა მათისა ესე იყო: წარიყუანებოდნენ აქათგან შვილნი აქაურთა მეფეთანი სპარსეთისა მეფეთაგან ვითარცა ტყუცნი და მისდრეკდენ მძლავრებით უღმრთოებასა თუსისა მიმართ და სხუა და სხუასა მსახურებასა შინა თანამდებობისა მათისასა პატივით დადგინებდიან. და შემდგომად შემთხუცულსა დროსა წარმოგზავნიდიან იმათგანსა მეფედ ქართლისა და მეფედ კახეთისა. და ყოვლად ბოროტი ესე ჩუცულება დადებულ იქმნა აბას პირველითგან სპარსთა მეფისა, ვიდრე სპარსეთისა მეფობადმდე შაჰნადირისა, რომელმანცა არა ჰქმნა არა ვისიმე, ვითარცა სხუათა სპარსთა მეფეთა, მძლავრებით მიყუანებაი სჯულსა ზედა თვისსა. და ოდეს მივიღე მე მეფობაი, შემდგომად მამისა ჩემისა, მიერითგან მაწუცვდიან მე კათოლიკოსიცა ჩუცნი და მღუდელ მთავარნი და კნიაზნი და ყოველნი კეთილშობილნი აქაურნი ცხებად და გურგუნოსან ყოფად. მაგრამ არა მცირედი მქონდა მოუცლელობა ლეკთა და ბოროტთა მეზობელთაგან მომაოჰრებელთა ქუცყანისა ჩუცნისათა. და კუალად ესეცა მოუცლელმყოფდა, რომ მეზობელნი ჩუცნნი ერთი მეორესა ზედა მტერობად აღდგომილნი განამრავლებდენ არა მცირედთა შფოთთა და მე თანამდებ ვიქმნებოდი მათდამი მისულად ლაშქრითა და დატუქსუად ბოროტთა წინააღმდგომთა და მით დაწყნარებად შფოთისა. და კუალად მეზობელთა ჩემთა მეგობართა, თუ ვინმე ზედა დასხმასა ჰყოფდენ სხუანი მეზობელნი მტერნი, თანა მდებ ვიქმნებოდი შეწევნად მათდა მისულითა ჩემითა, ანუ მჴედრობისა შეწევნად მათდა წარგზავნითა, და ამით

არა მცირედსა მოუცლელობასა შ(ი)ნა ვიყავ. ხოლო ვინათგან მისი იგი დიდებულება, ყოვლად უმოწყალესობით, არა მიგვიღებს სახელსა მეფობითსა და აღგჳთქუამს მოწყალებით დადგინებადთა მეფეთა მოსაყდრეთა ჩემთა ბოძებად ინვესტიტურითა მეფობითთა, ამისათჳს განზცადებითსა უწყებასა დავსდებთ წინაშე უგანათლებულესობისა თქუჱნისა, რათა ბოძებულთა მათ ნიშანთა **მეფენი მიიღებდენ ცხებით და გჳრგჳნოსნებით**.

კუალად უწყებისა განცხადება თქუჱნისა მიმართ უგანათლებულესობისა, რომ კათოლიკოსი ჩუჱნი, რომელ არს Ⴑრხიეპისკოპოს **Ⴑვტოკეფალოს ყოვლისა ზემოჲსა ივერიისა,** მრავალთა საუკუნეთა წარვლეს, ვიდრე ათადმდე საუკუნოდ, რომ არს Ⴑრხიეპისკოპოსი რაოდენთამე მიტროპოლიტთა, არხიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა და თჳთ სახლისაცა ჩემისა. არს და ყოფილ არს არხიპასტირ. და რადგან მისისა იმპერატორების დიდებულებისაგან ყოვლად უმოწყალესობით აღრიცხულ იქმნების რიცხუთა შორის რუსეთისა მღუდელმთავართასა და მოწყალებითვე პატივ ცემულ იქმნების ტიტლოჲთა, ყოვლისა რუსეთისა უწმიდესისა სინოდისა ჩლენობისათა, რათა აქუნდეს ადგილი პირველი მეორესა კლასსსა შინა რუსეთისა მღუდელ მთავრისა. უკეთუ შესაძლებელ იყუნენ თხოვანი ესე აღსრულებად, ვითხოვ უგანათლებულესობისაგან თქუჱნისა მოწყალებით მოდრეკად ჩემ ზედა და თხოვათა ჩემთა ზედა, რათა აღსრულდეს სათხოველნი ესე ჩემნი. მაგრა თხოვათა ამათ წინა დაუდებ ყოვლად გონიერსა განჰსჯასა თქუჱნსა. და რომელსაცა განსჯის უგანათლებულესობაჲ თხოვათა ამათ შესაძლებელობასა, ანუ შეუძლებელობასა, მას უგანათლებულესობისაგან თქუჱნისა უდიდეს კეთილის მოქმედებად ჩემდა მივითუალავ. ქალაქსა ტფილისს. იუნისს 28. წელსა 1783 ... ერეკლე".[34]

როგორც ვხედავთ, 1783 წლის 28 ივნისის გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილი წერილით ერეკლე II ორ საკითხს აყენებდა: I. მეფედ კურთხევის (მირონცხებისა და გვირგვინის დადგმის) უფლების ხელშეკრულებაში ჩაწერას მოითხოვდა; II. ხაზს უსვამდა მცხეთის კათოლიკოსის, როგორც ავტოკეფალური ეკლესიის მწყემსმთავრის, უფლებებს და ამ გარემოების გათვალისწინებას ითხოვდა.

დოკუმენტური წყაროებითვე ირკვევა, რომ ერეკლე II-ს გრიგოლ პოტიომკინთან ვასილ ტამარა გაუგზავნია, რომელსაც მისთვის, აღნიშნულ

[34] დოკუმენტის ფოტო-პირები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (სეა). ფ. 1449, საბ. 2803.

წერილთან ერთად, მეფის სხვა მოთხოვნებიც უნდა გადაეცა.[35] იმავე 28 ივნისს შედგენილი კიდევ ერთი წერილით ქართლ-კახეთის მეფე ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობას აცხადებდა.[36]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერეკლე II-მ ქართველი ელჩების რწმუნების სიგელზე ხელი 28 ივნისსვე მოაწერა. პირველ ელჩად დაინიშნა მემარცხენე სარდალი და ერევნის „გუბერნატორი" თავადი იოანე ბაგრატიონი (მუხრანბატონი), ხოლო მეორე ელჩად – მანდატურთუხუცესი (ეშიკაღასბაში) და ყაზახის მოურავი თავადი გარსევან ჭავჭავაძე, ასისტენტად – თელავის სემინარიის რექტორი გაიოზი,[37] საელჩოს მდივნად – ზაზა გაბაშვილი.[38] ასევე, გამოყვეს 20-კაციანი ელჩების ამალა.

ცხადია, ერეკლე II ტრაქტატის გაფორმებაზე თანხმობის წერილს, ისე როგორც ახლად წამოყენებულ მოთხოვნებს გრიგოლ პოტიომკინთან დოკუმენტების შედგენისთანავე გაგზავნიდა. რაც შეეხებათ ელჩებს, ისინი მოზდოკში 15 ივლისს ჩავიდნენ.[39] რადგან, თბილისიდან მოზდოკამდე არსებული გზის გავლას იმ პერიოდში მგზავრები 10 დღეზე ნაკლებ დროს ანდომებდნენ,[40] ელჩები თბილისიდან 5 ივლისის შემდეგ უნდა გამგზავრებულიყვნენ. შესაბამისად, ერეკლეს ივნისის ბოლოს ჯერ პოდპოლკოვნიკი ტამარა გაუგზავნია, ელჩები კი მოგვიანებით გაუსტუმრებია. იმ დროისათვის კი მეფის ადრესატი გრიგოლ პოტიომკინი კავკასიის რეგიონთან ახლოს, ხერსონში იმყოფებოდა.[41] გრიგოლ პოტიომკინთან ტამარას წინსწრე-

[35] სეა. ფ. 1449, საბ. 2800, 2801. დოკუმენტებს ქვემოთ ვრცლად განვიხილავთ.

[36] სეა. ფ. 1449, საბ. 2802.

[37] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 18.

[38] ხეც. Н-2300, ფ. 30.

[39] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 19.

[40] თბილისიდან მოზდოკამდე იმდროინდელი გზის სიგრძე დაახლ. 260 ვერსი იყო (იხ.: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I. თბ. 1962, გვ. 5). მგზავრობას ჩვეულებრივ 8-9 დღე სჭირდებოდა. ერეკლე II-ის მიერ გენერალ გუდოვიჩისადმი გაგზავნილი წერილიდან (1795 წ.) ჩანს, რომ აღნიშნული გზის გავლა 10-12 დღეში ჯარის დანაყოფებსაც კი შეეძლოთ და მეფე ჯარის მიშველებას სწორედ ზემოთ დასახელებულ ვადაში ითხოვდა (იხ.: ი. ლორთქიფანიძე. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 85). სწრაფი კურიერები კი აღნიშნულ გზას გაცილებით მოკლე დროში გადიოდნენ. მაგალითად, გენერალ ტოტლებენის მიერ საქართველოდან 1769 წლის 5 სექტემბერს გაგზავნილი წერილი ოფიცერმა რატიევმა მოზდოკზე უფრო შორეულ პუნქტში – ყიზლარში 6 დღეში, 10 სექტემბერს, მიიტანა (იხ.: ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I. თბ. 1988, გვ. 100, 418, 422).

[41] 1783 წლის ივნისში გრიგოლ პოტიომკინის ხერსონში ყოფნა დოკუმენტური მასალით

ბად გაგზავნა იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ხელშეკრულებაში მისი წამოყენებული მოთხოვნების ასახვის იმედი უნდა ჰქონდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რუსი მოხელეები ერეკლეს მუდმივად იმპერატორის სულგრძელობის შესახებ მიუთითებდნენ და ახსენებდნენ, რომ ხელშეკრულების პროექტის შედგენის დროს რუსულმა მხარემ ქართველი მეფის ყველა მოთხოვნა გაითვალისწინა. ამ ფონზე, ალბათ ერეკლე თვლიდა, რომ საკითხის გადასაჭრელად გრიგოლ პოტიომკინთან გაგზავნილი მიმართვა საკმარისი აღმოჩნდებოდა. ამავე გარემოებას უნდა უკავშირდებოდეს მეფის მიმართვის ზედმეტად დიპლომატიური ტონიც.

როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლები 18 ივლისს მოზდოკიდან გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში გაემგზავრნენ. 18 ივლისის საღამოს ქართული დელეგაციის საზეიმოდ მიღების შემდეგ, 19-23 ივლისს ხელშეკრულების დეტალები სხდომებზე განიხილეს.[42]

რწმუნების სიგელების გაცვლისა და სხვა ფორმალური პროცედურების დაცვის შემდეგ, 21 ივლისის სხდომაზე ქართველმა ელჩებმა წამოაყენეს ერეკლე II-ის ახალი მოთხოვნები. სხდომის ჩანაწერის მიხედვით, ელჩებმა სულ ოთხი პირობა წამოაყენეს, რომელთა შორის იყო მეფედ კუთხევისა და კათოლიკოსის საკითხებიც. მათ აღნიშნეს, რომ ძველი ეპოქიდან მოყოლებული ქართველი მონარქები ყოველთვის მეფეებად ეკურთხებოდნენ (გარდა მუსლიმი მეფეებისა) და ეს ტრადიცია ერეკლეს მამა თეიმურაზმაც გააგრძელა, რომელსაც ნადირ შაჰმა, არათუ აუკრძალა ცერემონიალის ჩატარება, არამედ მასზე დასასწრებად მნიშვნელოვანი მოხელეებიც კი გამოგზავნა. ელჩების სიტყვით, მათთვის ცნობილი არ იყო ტრაქტატის მესამე არტიკულით გათვალისწინებული ინვესტიტურა ქართველ მონარქებს მეფედ კურთხევის დროს გადაეცემოდათ თუ ტახტზე ასვლისას. ელჩები, ასევე ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მრავალი მიტროპოლიტისა და არქიეპისკოპოსის მეთაური იყო და მსოფლიო პატრიარქისაგან მიღებული ჰქონდა თვითმწყემსობა (დოკუმენტში „თვითმპყრობელობა“ – «самовластие»). მათი განცხადებით, ტიტულის მიუხედავად, ქვედა რანგის

დასტურდება. მაგალითად, 1783 წლის 16 ივნისს მან პოლკოვნიკ სტეფან ბურნაშევის სახელზე საიდუმლო ორდენი სწორედ ხერსონში შეადგინა. იხ.: Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал с приложением карт, портретов и факсимиле С. Н. Бурнашев. Под ред. проф. А. А. Цагарели. СПб. 1901, გვ. 4.

[42] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 19.

არქიერთა რიგებში, მათ შორის ყაზანის არქიერისა და სხვათა შემდეგ, კათოლიკოსის დანიშვნა კითხვას აჩენდა მისი მდგომარეობის დაკნინებასთან დაკავშირებით. კიდევ ორი წამოჭრილი საკითხი მეფის ტიტულატურას უკავშირდებოდა, კონკრეტულად კი – მიმართვის ფორმას/ეპითეტს და ტიტულს. ელჩები აღნიშნავდნენ, რომ ქართველ მეფეებს სხვა მმართველები ტრადიციულად „უმაღლესობის“ ეპითეტით (დოკუმენტში ეპითეტის ნაცვლად ტერმინი ტიტულია გამოყენებული) მიმართავდნენ. ისინი მოითხოვდნენ, რომ ტრაქტატში გამოყენებული მიმართვის ფორმა „უგანათლებულესობა“, „უმაღლესობით“ ჩანაცვლებულიყო. გარდა ამისა, ელჩებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ხელშეკრულებაში ქართველი მეფეების ტიტულატურა იმ სახით ყოფილიყო შეტანილი, რა ტიტულითაც ისინი იწერებოდნენ, რა გერბისა და რა მიწების მფობელადაც იყვნენ გამოცხადებულნი. მათ მეფის ტიტულის შემდეგი ფორმა წარმოადგინეს: **„ირაკლი მეორე, მეფე ქართლისა და მეფე კახეთისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა და სხვათა“.**

იოანე მუხრანბატონი და გარსევან ჭავჭავაძე ბოლოს საგანგებოდ ხაზს უსვამდნენ იმპერატორის იმ პირობას, რაც მეფის ძალაუფლებისა და ქართული სამეფოს მოწყობის უპირობო შენარჩუნებას გულისხმობდა.[43]

ქართული მხარის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული კიდევ ერთი დოკუმენტი. ერეკლე II-ის მიერ გაცემულ სიგელში აღწერილია იმ სამფლობელოების გერბები, რომლებსაც ზემოთ აღნიშნულ ტიტულში ვხვდებით. დოკუმენტი სწორედ იმ დღეს (1783 წლის 28 ივნისი) შეუდგენიათ, როდესაც მეფემ, ერთი მხრივ, ელჩების რწმუნების სიგელს მოაწერა ხელი, ხოლო მეორე მხრივ, ახალი მოთხოვნები წამოაყენა.[44] შესაბამისად, ტიტულთან დაკავშირებული პრეტენზია ერეკლეს მეფედ კურთხევისა და კათოლიკოსის საკითხთან ერთად უნდა წამოეყენებინა.

ამდენად, ჩვენს მიერ მოხმობილი წყაროებით ირკვევა, რომ ეკატერინე II-ის დამტკიცებული ტრაქტატის პროექტის განხილვის შემდეგ ერეკლე II-მ 1783 წლის მაის-ივნისში ოთხი ახალი მოთხოვნა წამოაყენა: I. ტრაქტატში ქართველი მონარქის მეფედ კურთხევის უფლების ასახვა; II. მცხეთის

[43] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 203-204.
[44] სეა. ფ. 1449, საბ. 2280.

კათოლიკოსის, როგორც ავტოკეფალური ეკლესიის მწყემსმთავრის უფლებების დაცვა; III. ხელშეკრულებაში მეფის ტიტულის იმ სახით დაფიქსირება, რაც ქართულ სამეფო კარზე შეიმუშავეს; IV. ერეკლესათვის „უგანათლებულესობის“ ნაცვლად „უმაღლესობის“ ეპითეტის მინიჭება.

პავლე პოტიომკინს, საიმპერატორო კარის შესაბამისი ნებართვის გარეშე, ქართველი ელჩების მიერ წამოყენებული პირობების ხელშეკრულებაში გათვალისწინების უფლება არ ჰქონდა. შესაბამისად, მან ყველა წინადადებას ფაქტობრივი უარით უპასუხა. მისი პასუხებიდან ქართული მხარისათვის მეტნაკლებად მისაღები კათოლიკოსის შესახებ განმარტება უნდა ყოფილიყო. გენერალი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის მღვდელმთავართა იერარქიულ რიგში ჩაყენების მიუხედავად, იმპერატორის ნებართვით ქართველი კათოლიკოსი სამეფოში ინარჩუნებდა ტიტულს, ძალაუფლებას, ქონებრივ მდგომარეობას და მმართველობის უფლებამოსილებას. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, ასევე აღნიშნავდა, რომ ქართველი მეფის ტიტულისა და გერბის შესახებ საიმპერატორო კარს აცნობებდა.

პავლე პოტიომკინი თავის პასუხებში ისეთ საკითხსაც შეეხო, რომელიც იოანე მუხრანბატონისა და გარსევან ჭავჭავაძის მოთხოვნებს შორის არ ფიგურირებდა. მან განაცხადა, რომ საკუთარ მოსაზრებას მონეტის შესახებ წარმოადგენდა. კერძოდ, გენერალი დასაშვებად მიიჩნევდა ქართული მონეტის რუსულ ანალოგთან გათანაბრების შესაძლებლობას. თუმცა, ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ასეთ მონეტაზე ერთ მხარეს იმპერატორი უნდა ყოფილიყო გამოსახული (ქართველი ხალხის დიდების აღსანიშნავად), ხოლო მეორე მხარეს – ქართული გერბი, ან ნებისმიერი რამ, რასაც მეფე მოისურვებდა.[45]

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ერეკლე II-ის მიერ ივნისის ბოლოს გრიგოლ პოტიომკინთან გაგზავნილი პოდპოლკოვნიკი ტამარა იმხანად ადრესატამდე არც კი მისულა, რადგან ივლისის შუა რიცხვებში ის კავკასიის ხაზზე იმყოფებოდა.[46] როგორც ჩანს, პავლე პოტიომკინი საიმპერატორო კარიდან მიღებული მითითებით მოქმედებდა, რაც ტრაქტატის ყოველგვარი დამატებითი პირობების გარეშე გაფორმებას ითვალისწინებდა. მსგავსი მითითების გარეშე, ის ერეკლეს ახლად წამოყენებულ მოთხოვნებზე გრიგოლ პოტიომკინის მოსაზრებას ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე დაელოდებოდა.

როგორც ცნობილია, 23 ივლისის სხდომაზე ტრაქტატის ქართული

[45] Из истории российско-грузинских отношений, გვ. 205-206.

[46] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 19.

და რუსული ვერსიები მუხლობრივად ერთმანეთს შეადარეს. 24 ივლისს კი მხარეებმა საზეიმოდ ხელი მოაწერეს სამ დოკუმენტს: I. ტრაქტატის ძირითად ნაწილს; II. სეპარატულ არტიკულებს; III. „ფიცის სახეს“.[47] შესაბამისად, ეკატერინე II-ის მიერ 17 თებერვალს მიღებული ტექსტი პრაქტიკულად უცვლელად დამტკიცდა და მასში ერეკლე II-ის მიერ ახლად წამოყენებული მოთხოვნები არ აისახა.[48]

ტრაქტატის გაფორმებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1783 წლის 31 ივლისს,[49] გულუხვად დასაჩუქრებული ქართველი ელჩები სამშობლოში გამოემგზავრნენ.[50] პავლე პოტიომკინი 30 ივლისის წერილით ერეკლე II-ს ტრაქტატის გაფორმებას ულოცავდა. ასევე, კავკასიის ხაზის მთავარსარდალი მეფეს მოახსენებდა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერილი რუსული ვერსია, ქართულ ნაწილთან ერთად (უნდა იგულისხმებოდეს რუსული ვერსიის ხელმოუწერელი ქართული თარგმანი) ელჩების ხელით მას გადაეცემოდა, ხოლო ქართული ვერსია პეტერბურგში საიმპერატორო კარზე გაიგზავნა. რატიფიკაციის დროს კი რუსული და ქართული რატიფიცირებული ვერსიები ისევ გაიცვლებოდა. იმავე წერილით, პავლე პოტიომკინი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა ელჩების – იოანე ბაგრატიონისა და გარსევან ჭავჭავაძის, ასევე არქიმანდრიტ გაიოზისა და ელჩობის მდივან ზაზა გაბაშვილის მიმართ.[51]

ქართველი ელჩების დასაჩუქრებისა და პავლე პოტიომკინის მისალოცი წერილის მიუხედავად, ერეკლე II, ახლად წამოყენებული პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო, განაწყენებული დარჩებოდა. ქართველი მეფის განწყობა კარგად ჩანს პავლე პოტიომკინის მიერ სექტემბერის მეორე ნახევარში სტეფან ბურნაშევისათვის გაგზავნილი წერილიდან. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი თბილისში მყოფ ბურნაშევს აცნობებდა, რომ ტრაქტატის გაფორმების

[47] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 19.

[48] ვ. მაჭარაძის მოსაზრებით, ხელშეკრულების ხელმოწერის დროს მხარეები თითქოს წინასწარ მეოთხე დოკუმენტზეც, ანუ მეფედ კურთხევის საკითხის ამსახველ დამატებით მუხლზეც, შეთანხმდნენ, რაც ფაქტობრივი შეცდომაა. მსგავსი წინასწარი შეთანხმების ფაქტი 1783 წლის ივლისში შედგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, 21 ივლისის სხდომაზე პავლე პოტიომკინმა ქართული მხარის შეთავაზება არ დააკმაყოფილა და ეს ახსნა იმ გარემოებით, რომ მისთვის ქართველი მეფეების კორონაციის დეტალები უცნობი იყო. გენერალი, ასევე მიუთითებდა, რომ მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად იმპერატორის ნებართვა იყო საჭირო (იხ.: Из истории российско-грузинских отношений, გვ. 205).

[49] ხეც. Н-2300, ფ. 31.

[50] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 12.

[51] ხეც. Н-2300, ფ. 29-30.

შემდეგ ერეკლეს ხელშეკრულების შესახებ მისთვის ერთი სიტყვაც არ მიუწერია, რაც ძალიან უცნაურად ეჩვენებოდა. ის თავის ხელქვეითს სთხოვდა გაერკვია, მეფის ელჩები საქართველოში კმაყოფილები დაბრუნდნენ თუ არა.[52]

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმჯამად ერეკლე II-ს რუსეთის იმპერიის მიმართ უკმაყოფილების სხვა მიზეზებიც ჰქონდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეფე დაპირებული ორი ბატალიონის მის განკარგულებაში გადასვლას ჯერ კიდევ მაისიდან ითხოვდა, პავლე პოტიომკინი კი სექტემბერშიც მხოლოდ დაპირებებს გასცემდა;[53] ოსმალეთთან გართულებების თავიდან ასაცილებლად ერეკლემ 23 ივლისის წერილით კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ახალციხის ფაშასთან დაკავშირება სთხოვა. პავლე პოტიომკინმა აღნიშნულ თხოვნას უარით უპასუხა და ფაშასთან წერილის არ მიწერის მიზეზად შეუძლოდ ყოფნა დაასახელა. მეფეს კი ურჩია, რომ ფაშასთვის თავად

---

[52] აღნიშნული წერილი ბურნაშევმა თბილისში 2 ოქტომბერს მიიღო. იხ.: Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, გვ. 9-10.

როგორც ჩანს, პავლე პოტიომკინის წერილის შინაარსი ბურნაშევმა ერეკლეს გააცნო, რადგან მისი თბილისში მიღებიდან მალევე, კერძოდ 1783 წლის ნოემბერში, მეფე კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ტრაქტატის გაფორმების გამო თავისი კმაყოფილების შესახებ სწერდა (იხ.: სეა. ფ. 1449, საბ. 2805).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაწეული საქმიანობისა და ქართველი ელჩების შესაბამისი დახვედრისათვის ერეკლე პავლე პოტიომკინს 1783 წლის 25 აგვისტოს წერილითაც უხდიდა მადლობას. თუმცა, აღნიშნულ წერილზე მითითებულია, რომ კავკასიის ხაზზე ის 1784 წლის 9 სექტემბერს მიიღეს. ვ. გამრეკელის აზრით, საქმე პავლე პოტიომკინის კანცელარიაში დაშვებულ უნებურ შეცდომასთან უნდა გვქონდეს და რეალურად წერილი 1783 წლის 9 სექტემბერს უნდა მიეღოთ (იხ.: Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. I выпуск. Материал подобрал и подгот. к печати В. Гамрекели. Тбилиси, 1980, გვ. 94-98). აღნიშნული წერილი კავკასიის ხაზზე მართლაც 1783 წლის 9 სექტემბერს რომ მიეღოთ, როგორც ამას ვ. გამრეკელი ვარაუდობდა, მაშინ პავლე პოტიომკინი იმავე თვის მეორე ნახევარში საყვედურით აღსავსე წერილს ბურნაშევთან არ გაგზავნიდა. ასეთ შემთხვევაში, ნოემბერში აღარც ერეკლეს მოუწევდა კავკასიის ხაზზე სამადლობელი წერილის გაგზავნა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ წერილი რეალურად არა აგვისტოს თვეში, არამედ მოგვიანებით დაიწერა. ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მსგავს ფაქტებს სხვა შემთხვევებშიც ვხვდებით. მაგალითად, თავის ერთ-ერთ მოხსენებაში გარსევან ჭავჭავაძე ერეკლეს მიერ რუსეთში დაგვიანებით გაგზავნილი კორესპონდენციით გამოწვეულ უხერხულობაზე საუბრობდა. მეფეს იანვარში გასაგზავნი ინფორმაცია რუსი მოხელეებისათვის აგვისტოში გაუნდვია, წერილი კი იანვრით დაუთარიღებია. იმავე მოხსენებიდან ჩანს, რომ საქართველოდან „ამოფხეკილი“ თუ დაგვიანებული წერილების გაგზავნის სხვა შემთხვევებიც ყოფილა. იხ.: ს. კაკაბაძე. გარსევან ჭავჭავაძის მოხსენება ერეკლე მეფისადმი 1795 წ. 16. სექტ. საისტორიო მოამბე. წიგნი I. ტფილისი, 1925, გვ. 233-234.

[53] ხეც. H-2300, ფ. 33-34.

შეეხსენებინა რუსეთისა და ოსმალეთის მშვიდობიანი ურთიერთობების შესახებ;[54] ამავე დროს, რუსეთის მთავრობა ერეკლეს მოწინააღმდეგე ალექსანდრე ბაქარის ძის რუსეთში გაწვევას არ ჩქარობდა, რომელიც კვლავინდებურად დარუბანდში იმყოფებოდა.

მოცემულ მსჯელობას ეწინააღმდეგება სტეფან ბურნაშევისა და პავლე პოტიომკინის მიერ საიმპერატორო კარზე გაგზავნილი მოხსენებები, რომელთა მიხედვით ტრაქტატის დადება 1783 წლის 20 აგვისტოს თბილისში სავეიმოდ აღუნიშნავთ.[55] ეს ფაქტი თავისთავად საინტერესოა და მასზე მოკლედ შევჩერდებით.

რუსი მოხელეების მოხსენების მიხედვით, 20 აგვისტოს მსგავსი სახალხო ღონისძიება თბილისში 1783 წლის 3 ნოემბერსა და 1784 წლის იანვარშიც გაიმართა. ერთ შემთხვევაში ზეიმის მიზეზი რუსული ბატალიონების საქართველოში შემოსვლა ყოფილა, მეორე შემთხვევაში კი – ტრაქტატის რატიფიკაცია.[56] თუმცა, საყურადღებოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ რუსი მოხელეების მიერ დეტალურად აღწერილი ცერემონიალების შესახებ არავითარ ცნობებს არ ვხვდებით თანადროულ ქართულ წყაროებში.[57] პავლე პოტიომკინის მიერ ერეკლე II-ისათვის 1783 წლის 10 ივნისს გაგზავნილი წერილიდან ისიც ნათლად იკვეთება, რომ ტრაქტატთან დაკავშირებული ცერემონიალების ჩატარებას რუსული მხარე მოითხოვდა. წერილიდან ვიგებთ, რომ ერეკლეს „სასიხარულო გარდასაჭდელი პარაკლისის“ გამართვა ქართვე-

54 ხეც. H-2300, ფ. 31-32.

55 Из истории российско-грузинских отношений, გვ. 231-232, 236.

56 იხ.: Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 12, 15-21; П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. ч. 2, გვ. 129-131.

57 საგულისხმოა, რომ სამეფოს მაღალი რანგის მოხელე, მდივანბეგი იასე ბარათაშვილი, რომელიც თავის თავგადასავალში სამეფო კარზე მიმდინარე მისთვის ცნობილ ყველა პოლიტიკურ მოვლენას, მეფის ოჯახის წევრების ქორწილებსა თუ სხვა აქტივობებს ეხება, 1783-1784 წლების ამბების თხრობისას საზეიმო ცერემონიალების შესახებ არაფერს გადმოგვცემს (იხ.: იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. იოსელიანმა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი). ნაკვეთი 28. თბ. 1950, გვ. 97-100). საზეიმო ცერემონიალებს არც ომან ხერხეულიძე ეხება. მსგავსი ინფორმაცია თანადროულ საგვარეულო ქრონიკებსა თუ სხვა სახის წყაროებშიც არაა დაფიქსირებული (იხ.: ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქაშვილმა. თბ. 1989; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III. გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ. თბ. 1967 და სხვა).

ლი ელჩების თბილისიდან გამგზავრებამდე დაუგეგმავს. რუსმა გენერალმა კი საზეიმო ცერემონიალის ჩატარება ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ მოითხოვა.[58] 24 დეკემბრის წერილით კი პავლე პოტიომკინი რატიფიკაციასთან დაკავშირებით ერეკლეს ერთმნიშვნელოვნად მოუწოდებდა: „... ვითხოვ თქვენის უმაღლესობისაგან განაწესოთ დღესასწაულობით ამგვარის სახელოვანის საქმისათვის ცერემონია იმ რიგითა, როგორც ჩემგან დაწერილი არის...“.[59] ცხადია, ერეკლე II იმპერიის მოთხოვნებს ვერ უგულვებელყოფდა. თუმცა, ამ საკითხზე ქართული წყაროების დუმილი ღონისძიებების ლიმიტირებული შემადგენლობით ჩატარებაზე უნდა მიანიშნებდეს. როგორც ჩანს, ერეკლეს „სასიხარულო გარდასაჭდელი პარაკლისის“ ტრაქტატის გაფორმებამდე ჩატარებითაც იმპერიის მოთხოვნის ფორმალურად და უხმაუროდ შესრულება სურდა.

თავად რუსი მოხელეების მოხსენებებიდანაც კარგად ჩანს, რომ მსგავს ღონისძიებებში სამეფო ოჯახის წევრები, რამდენიმე მაღალი რანგის მოხელე და სასულიერო პირი იღებდა მონაწილეობას. ხოლო, მოსახლეობის ჩართულობა ზოგადი ფრაზებითაა გადმოცემული. ამ მხრივ სიმპტომატურად გვეჩვენება 3 ნოემბრის ვითარების აღწერა. რუსული წყაროს მიხედვით, თბილისის მოსახლეობა რუსული ბატალიონების შემოსვლას დიდი სიხარულით შეხვედრია, მაგრამ, უპრეცედენტო სიცივის გამო, ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ხალხს საკუთარ სახლებში აღუნიშნავს.[60] ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კარგად ჩანს რუსი მოხელეების მიზანი – მათ ქართველი ხალხის იმპერიისადმი ერთგულება ხაზგასმით უნდა წარმოეჩინათ. რუსეთის საიმპერატორო კარს მსგავსი ფონის შექმნა უპირველესად საერთაშორისო პოზიციონირებისათვის სჭირდებოდა. საგულისმოა, რომ ევროპის ქვეყნებში ტრაქტატის შესახებ ინფორმაციის სასურველი ფორმით გავრცელებას იმპერიის მესვეურები იმთავითვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.[61]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული ცერემონიალის მიხედვით ერეკლე II-ის განწყობის შეფასება მიზანშეუწონლად გვეჩვენება.

---

[58] ხეც. H-2300, ფ. 23.

[59] ხეც. H-2300, ფ. 35.

[60] Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 13.

[61] ამ საკითხზე რუსეთის მთავრობის წევრებმა ცარსკოე სელოში ტრაქტატის გაფორმებიდან მალევე, 1783 წლის აგვისტოში, იმსჯელეს. ევროპის ქვეყნებში ინფორმაციის გავრცელებასა და ამ ქვეყნების შესაძლო პროტესტზე რუსეთის წარმომადგენლების სათანადო რეაგირებასთან დაკავშირებით მათ შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღეს. იხ.: გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 7, მე-3 სქოლიო.

დავუბრუნდეთ ერეკლე II-ის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს. გრიგოლ პოტიომკინის მიერ ეკატერინე II-ისათვის 1783 წლის 5 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან ცხადი ხდება, რომ რუსული მხარე მათ შესრულებას არც კი განიხილავდა. გენერალ-ანშეფი კარასბაზარის ბანაკიდან (ყირიმი) იმპერატორს ტრაქტატის გაფორმებას სიხარულით ამცნობდა და ხელმოწერილ ხელშეკრულებასაც უგზავნიდა. გრიგოლ პოტიომკინი წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შესადგენი რჩებოდა მხოლოდ ერთი არტიკული „კათოლიკოსის, ანუ საქართველოს უმთავრესი არქიეპისკოპოსის“ შესახებ, რომელსაც იმპერატორს დასამტკიცებლად თავადვე წარუდგენდა.[62] დასახელებული დამატებითი არტიკულის შედგენა კი ტრაქტატის პროექტითვე იყო განსაზღვრული.

როგორც საარქივო მასალიდან ირკვევა, წარუმატებლობის მიუხედავად ერეკლე II ხელშეკრულებაში საკუთარი პირობების ასახვას ტრაქტატის გაფორმების შემდეგაც ცდილობდა. ამ მიზნით, მან 1783 წლის აგვისტოს ბოლოს პეტერბურგის საიმპერატორო კარზე სულხან თუმანიშვილი გაგზავნა. ქართველმა თავადმა ეკატერინე II-სა და გრიგოლ პოტიომკინს მეფის მიმართვები წარუდგინა.

ეკატერინე II-ისათვის გაგზავნილი მიმართვა 1783 წლის 25 აგვისტოთი თარიღდება. მასში აღნიშნულია: „თანამდებად გონებისა ჩემისა დამიდვიეს განმკაცრება ესე ვითარმედ, უკეთუ არა, უმეტესისა დამჭირნეობისათჳს, თქუენისა დიდებულებისა წყენად არაოდეს კადნიერ ვიქმნე. და მრავალგზისცა მჭონებია დამჭირნეობა, მაგრა მწუხარებასა მას შინა დამიტევებიეს თავი ჩემი, რათა არა მოხსენებითა მისითა მცირე რაჲმე წყენა მოვსცე დიდებულებასა თქუენსა.

მაგრამ ახლა რადგან ზეგარდმო მოწყალებად შთამოვიდა ჩვენდა მფარველობა დიდებულებისაგან თქუენისა, ეს კადნიერ მყოფს.

ამისთჳს უდიდესისა საჭიროჲსა ჩემისა თანამდებ ქმნილმან სიმდაბლით მოხსენებად, ესე დიდ საჭირონი ჩემნი მეორედ განუცხადე უგანათლებულესსა კნიაზს პოტემკინს, ღენერალ ანშეფსა, რათამცა ყოვლად უმოწყალესსა მაგას ჴელმწიფესა ჩემსა მოგახსენოსთ ჰაზრნი იგი, რომელიცა წარმოიღო პოლპოლკონიკმა (sic) თამაროვმა. და ვჰყოფ ვედრებასა ამას ზედა მხურვალითა თხოვითა, რათამცა უდიდესმან მოწყალებამან თქუენმან აღგვისრულოს თხო-

[62] Документы к истории заключения Георгиевского трактата. Вопросы истории. № 7. 1983, გვ. 117.

ვილი ჩვენი, რომელიცა წინაპართა ნათესავთა ჩემთა აქვნდათ ვიდრე ჩემადმდე.

და უკეთუ ჩვენცა არა მივიღოთ აღსრულება თხოვილთა ამათ, ყოვლითურთსა დამცირებასა მიცემულ ვიქნებით.

რომლისათჳსცა უეჭველად ვსასოებთ გარდამატებულისა ჩვენდა მომართ მოწყალებისაგან, რომ თხოილთა ამათ ჩვენთა შორის ნაკლულევანად დატევება ჩვენი არა ინებოთ.

ჰაზრსა ამას ზედა ვააზელით უდიდებულესობასა თქვენსა კნიაზი სულხან თუმანოვი. აგვისტოს კე (25). წელთა 1783 ... ერეკლე".[63]

გრიგოლ პოტიომკინისათვის გაგზავნილ მიმართვაში კი აღნიშნულია: „... უწინარეს ამისსა ჟამსა, თამაროვის წამოსვლისასა, უგანათლებულესობისადმი თქვენისა კვალადცა მოგახსენეთ რაოდენნიმე აზრნი ჩვენნი, ესე იგი თხოვა, ნათესავთა ჩვენთა ქონებულისა ცხებისა და გჳრგჳნოსნობისა. ვამეორებთ თხოვასა ამას დიდითა გულსმოდგინებითა და რომელიცა ქვემორე აღიწერების მიზეზთა ამათ სრულიადითა სიმართლითა და ჭ(ეშმარი)ტებითა, რომ როგორც ახლა ყ(ოვლა)დ უგანათლებულესის მათის იმპერატორების დიდებულებისაგან ჩვენის ავის მეზობლებისა მტრების გული ესევითარის დიდის მოწყალებით მოწყლული არის, ისე ამ ჩვენგან თხოვილის არა აღსრულებით, ჩვენის ავის მეზობლებისა და მტრებისაგან ყვედრებულნი შევიქმნებით. და თხოვილთა ამათ ჩვენთა აღსრულებასა ვსასოებთ ყოვლად მოწყალისა ჴელმწიფისა ჩვენისა ტრახტატისაგანვე, რომელსა შინა აღთქმული გვაქვს ქონებულთა დიდებათა ჩვენთა მოუშლელობა. და წინაპართა ჩემთა ვიდრე ჩემადმდე ყოველთა დიდებათა უმწვერვალეს დიდებად აქვნდათ ცხებულობა, რომლისათვისცა უპატიოსნესისა გონებისა თქვენისაგან უეჭველად ვსასოებთ, რომ, ვითარ შვენის თქვენ მიერ ჩემდა მიმართ მოწყალებასა, ეგრეთცა შემწე გვექმნათ და სრულჰყოთ ვედრებული ჩვენი. და გვაქვს უეჭველობა ამისი, რომ თუცა ესე ნებითა ჩვენითა სრულქმნილიყო, წყენად არა მიითვალვიდა დიდებულებისა მისისაგან. მაგრა, ვინათგან მფარველობასა ქვეშე დიდებულებისა მათისასა ვიმყოფებით, ამასცა და სხვასა დიდებასა ჩვენსა ყოველსავე ვინებებთ ნებითა ყ(ოვლა)დ მოწყალისა ჴელმწიფისა ჩვენისათა სრულ ყოფად. და ამას ვედრებულსა ზედა მივართვით არზი ყ(ოვლა)დ მოწყალესა ჴელმწიფესა და უმაღლესს კარზე წარგვზავნეთ ჩვენი სარწმუნო ობერ სეკლატარი (sic) კნიაზი სულხან თუმანოვი. და უგანანათლებულესობასა თქვენ-

[63] სეა. ფ. 1449, საბ. 2800 (ფოტო-პირი).

სა შევვედრებ ამას, რომ თუ ეს ჩუენი სათხოველი არ აღსრულებულიყოს, უმაღლესს კარზე ადრე და მშვიდობით გაისტუმროთ ესე. და როგორც ეს საქმე ღირდეს და ან როგორც ჩვენი მწყალობელი ბრძანდებით, ესე თქვენის შუამდგომლობით სრულჰყოთ ეს ჩვენი ვედრებული ... ერეკლე".[64]

როგორც ვხედავთ, კავკასიის ხაზიდან ქართველი ელჩების სამშობლოში დაბრუნებისთანავე ერეკლე II-მ საკუთარი პირობების დაკმაყოფილება ხელმეორედ მოითხოვა. მეფე ამჯერად გრიგოლ პოტიომკინთან გაგზავნილი წერილით არ შემოიფარგლა და ეკატერინე II-საც მიმართა. აღნიშნული მიმართვებიდან კარგად ჩანს, რომ ერეკლე მეფედ კურთხევის უფლების მინიჭებას, 28 ივნისის წერილისაგან განსხვავებით, უკვე კატეგორიულად მოითხოვდა. ამავე დროს, მეფე სხვა წამოყენებულ პირობებსაც არ ივიწყებდა და გრიგოლ პოტიომკინს თავის „რაოდენნიმე აზრნი"-ს შესახებ შეახსენებდა.

იმის გასარკვევად, თუ რატომ ანიჭებდა ერეკლე II თავის ახლად წამოყენებულ მოთხოვნებს, განსაკუთრებით კი მეფედ კურთხევას, ასეთ პრინციპულ მნიშვნელობას, თითოეულ მათგანს დეტალურად განვიხილავთ.

თავდაპირველად სწორედ მეფედ კურთხევის საკითხზე შევჩერდებით. უნდა აღინიშნოს, რომ 1783 ივნისამდე ერეკლე II-ს რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობის არც ერთ ეტაპზე მსგავსი მოთხოვნა არ წამოუყენებია. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ერეკლე არა თუ ტრაქტატის დადებამდე, არამედ, მაშინაც კი არ კურთხეულა, როდესაც რუსეთის იმპერატორისაგან ასეთი უფლება ოფიციალურად მიიღო. შესაბამისად, დასახელებული გარემოებები გვაფიქრებინებს, რომ მისთვის ამ აქტს დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. მეფე ერთ-ერთ მიმართვაში კურთხევის საკითხის ტრაქტატში შეტანის აუცილებლობას იმ გარემოებით ხსნიდა, რომ მისი დამტკიცების გარეშე „ავის მეზობლებისა და მტრებისაგან ყველრებულნი" შევიქმნებითო. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ჩნდება კითხვა – მეზობელ მტრულ ქვეყნებთან ურთიერთობისას მეფისათვის თუ ამ საკითხს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ რატომ არ ეკურთხა ან 1783 წლამდე, ან შემდგომ წლებში? ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ერეკლეს მოთხოვნა სულ სხვა მოტივთან იყო დაკავშირებული.

[64] წერილი უთარიღოა, თუმცა ცალსახად 25 აგვისტოს ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს. სეა. ფ. 1449, საბ. 2801 (ფოტო-პირი).

ჩვენი მოსაზრებით, ერეკლე II-ის მხრიდან აღნიშნული საკითხის გააქტიურება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან, კერძოდ ყირიმის სახანოში განვითარებულ პროცესებთან. როგორც ცნობილია, ეკატერინე II-ის 1783 წლის 8 აპრილს გამოცემული მანიფესტით სახანო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. თუ 1783 წლის პირველ თვეებში ყირიმის ხანთან მოლაპარაკებები საიდუმლოდ მიმდინარეობდა, იმავე წლის მაის-ივნისში სახანოს ლიკვიდაციისა და რუსეთის იმპერიასთან მიერთების შესახებ ცნობები საყოველთაოდ გავრცელდა. სწორედ 1783 წლის ივნისის ბოლოს დასრულდა რუსეთის იმპერიის ერთგულებაზე ადგილობრივი მოსახლეობის ფიცის დადების პროცესი.[65]

ეჭვგარეშეა, რომ ყირიმში განვითარებული მოვლენები ერეკლეს II-ს ძალიან დააფიქრებდა. საქმე ის იყო, რომ XVIII საუკუნის II ნახევარის განმავლობაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთის იმპერიამ რეგიონში პოლიტიკური სუბიექტი გააუქმა და ადგილზე უშუალოდ რუსული მმართველობა დაამყარა. მართალია, XVIII საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის მთავრობა ყაბარდოსა და ოსთა სამოსახლოებსაც იმპერიის ნაწილად აცხადებდა, მაგრამ ეს სრულიად განსხვავდებოდა ყირიმის საკითხისაგან. როგორც ცნობილია, ყაბარდოსა და ოსების განსახლების არეალში სახელმწიფოებრივი სუბიექტი არ არსებობდა. თანაც, ყაბარდოელებისა და ოსების რუსეთთან შეერთება იმ დროისათვის წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან იმპერიის გავლენის გაძლიერების მიუხედავად, ადგილზე არც რუსული ადმინისტრაცია შექმნილა, არც მათი მმართველობა დამყარებულა.

ქართლ-კახეთის მეფისათვის არც ის ფაქტი დარჩებოდა შეუმჩნეველი, რომ რუსეთის იმპერიამ ყირიმის სახანო სწორედ მაშინ გააუქმა, როდესაც ხანის ტახტს იმპერიის მოკავშირედ მიჩნეული შაჰინ გირეი იკავებდა.

როგორც ცნობილია, ტრაქტატის მეექვსე არტიკულში დაკონკრეტებული იყო, რომ ერეკლესა და მის შთამომავლებს იმპერატორი დაიცავდა „უცუალებელად სამეფოსა ზედა ქართლისა და კახეთისათა“.[66] როგორც ჩანს, რეგიონში განვითარებული მოვლენების ფონზე, ერეკლე II-მ ტრაქტატის პროექტით გათვალისწინებული პირობები არასაკმარისად მიიჩნია და სამეფოს შესანარჩუნებლად დამატებითი გარანტია მოითხოვა. ხელშეკრულების დონეზე მეფედ კურთხევის უფლების მიღება სწორედ ასეთ გარანტიას

[65] იხ.: П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. ч. 2, გვ. 69-71.
[66] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 69.

წარმოადგენდა, რადგან მირონცხება და გვირგვინოსნობა იმ დროსაც კი მონარქების ლეგიტიმაციის უმთავრეს წყაროდ მიიჩნეოდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერეკლე II მეფედ კურთხევის უფლების მიღებას თავადვე უკავშირებდა სამეფოს მოუშლელობის ფაქტორს, როდესაც ზემოთ მოხმობილ მიმართვებში აცხადებდა: „... ხოლო ვინათგან მისი იგი დიდებულება, ყოვლად უმოწყალესობით, არა მიგვიღებს სახელსა მეფობითსა...“; „... თხოვილთა ამათ ჩვენთა აღსრულებასა ვსასოებთ ყოვლად მოწყალისა ჴელმწიფისა ჩვენისა ტრახტატისაგანვე, რომელსა შინა აღთქმული გვაქვს ქონებულთა დიდებათა ჩვენთა მოუშლელობა...“.

ერთი სიტყვით, მეფედ კურთხევის საკითხის ტრაქტატში ასახვას ერეკლე II რუსეთის იმპერიისაგან საკუთარი სამეფოს დაცვის მექანიზმად მიიჩნევდა. შესაბამისად, მისთვის პრინციპულ საკითხს წარმოადგენდა ამ უფლების ხელშეკრულებაში შეტანა და არა მირონცხების ფორმალური აქტის განხორციელება, როგორც ეს ინტერპრეტირებულია XIX საუკუნის ისტორიკოსების ნაშრომებში.[67]

ამჯერად განვიხილავთ კათოლიკოსის საკითხს. როგორც ცნობილია, ტრაქტატის (ისე როგორც, 17 თებერვალს იმპერტორის მიერ დამტკიცებული პროექტის) მერვე არტიკულში აღნიშნული იყო, რომ „კათოლიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა“ რუსეთის მღვდელმთავართა შორის მერვე ადგილი („ხარისხი“) ექნებოდა, ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ. მასვე იმპერატორი უბოძებდა „ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა“. იმავე არტიკულში მითითებული იყო, რომ ქართული ეკლესიის მართვისა და სინოდთან ურთიერთობის საკითხებისათვის „სხუა არტიკული“ უნდა დაწერილიყო.[68]

მცხეთის კათოლიკოსის რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად გამოცხადება (თანაც მისთვის რუსეთის მღვდელმთავართა შორის, ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ, მერვე „ხარისხის“ მინიჭება) ცალსახად ეწინააღმდეგებოდა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ინტერესებს. ამავე დროს, კათოლიკოსის „უმთავრეს არხიეპისკოპოსად“ მოხსენიებაც ლახავდა მის უფლებებს.

ერეკლე II-ის 28 ივნისის მიმართვიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ინიცი-

[67] მაგალითად, პ. ბუტკოვის ნაშრომში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ერეკლე ტახტზე ასვლის დროს არ კურთხეულა, მისივე თხოვნით იმპერატორმა წმინდა რიტუალის განხორციელების ნება დართო. იხ.: П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. ч. 2, გვ. 129.

[68] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 69.

ატივა ქართულ მხარეს არ უკავშირდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართლ-კახეთის მეფე ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას იმ დროსაც კი კატეგორიულად ითხოვდა, როდესაც რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ სხვადასხვა მძიმე ვალდებულების აღებაზეც კი მზადყოფნას გამოთქვამდა (იგულისხმება 1771 წლის 30 დეკემბრის მიმართვა).[69] ხოლო, 1782 წლის 21 დეკემბრის მიმართვაში ეკლესია და კათოლიკოსი ნახსენებიც არ იყო.[70] შესაბამისად, ეკლესიის საკითხის ხელშეკრულებაში შეტანა მთლიანად რუსული მხარის ინიციატივით უნდა მომხდარიყო.[71]

აღნიშნული საკითხის შესახებ მკაფიო განმარტებებს ვხვდებით „უზენაესად მითითებულ საფუძვლებში“. დასახელებულ დოკუმენტში ალექსანდრე ბეზბოროდკოს პირველი შენიშვნა სწორედ ქართული ეკლესიის რუსეთის სინოდზე დაქვემდებარებას ეხებოდა. როგორც ბეზბოროდკო აღნიშნავდა: „... ეს ხალხი (ქართველები – ა. თ.) მეტად რომ მიეჯაჭვოს რუსეთს, ძალზედ სასარგებლოა მათი იერარქების ჩვენ სინოდთან შეკავშირება... არქიეპისკოპოსი იგივე კათოლიკოსი კი რუსეთის ეკლესიაში ხარისხით მოწინავეებს შორის დავაყენოთ“.

იმავე დოკუმენტში ეკატერინე II-ის ინსტრუქციის მეოთხე პუნქტი ქართველი მონარქების ევროპულ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხს ეხება. რუსეთის იმპერატორი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ისათვის საღვთო რომის იმპერატორთან და სხვა ევროპელ მონარქებთან კავშირი უნდა აეკრძალათ. მისი მითითებით მეფეებისათვის უნდა გამოეცხადებინათ, რომ თითქოს ევროპულ ქვეყნებს რუსეთის აზიური სამეზობლოს საქმეებში ჩაურევლობის პირობა ჰქონდათ დადებული. ეკატერინე, ასევე დასძენდა, რომ საქართველოდან საღვთო რომის იმპერატორთან წერილები აღარ უნდა გაგზავნილიყო. იმპერატორის დასახელებული ინიციატივის გაგრძელებას წარმოადგენდა ალექსანდრე ბეზბოროდკოს მეოთხე შენიშვნა: „როდესაც იერარქიულად ისინი სინოდს დაუკავშირდებიან, იმავე მაგალითით საქართველო რომის სამღვდელოებასაც რუსეთიდან მიიღებს და ამით დასრულ-

[69] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 59.

[70] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 195-197; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 454-455.

[71] ი. ცინცაძეს ვითარება ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ეს ინიციატივა თავიდანვე ქართულ მხარესთან ყოფილიყო შეთანხმებული. თუმცა, ავტორი აღნიშნულ მოსაზრებას პრაქტიკულად არგუმენტების გარეშე გვთავაზობს. იხ.: ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 123-126.

დება რომის იმპერატორთან (საღვთო რომის იმპერატორი – ა. თ.) კავშირი, რომლის მიზეზიც მისიონერები არიან“.[72]

როგორც ვხედავთ, რუსეთის საიმპერატორო კარს ქართული ეკლესიის სინოდზე დაქვემდებარება ორი მიზეზის გამო სურდა. თუ პირველი მათგანი ზოგადი იყო და მიზნად ქართველ ხალხზე გავლენის მოპოვებას ისახავდა, მეორე მიზეზი მწვავე პოლიტიკურ საკითხს უკავშირდებოდა. პეტერბურგის კარს ამ გზით ევროპის ქვეყნებთან ერეკლე II-ის ურთიერთობების აღმოფხვრა სურდა. კათოლიკოსის სინონიმად არქიეპისკოპოსის დამკვიდრების მცდელობასაც თავისი კონკრეტული მიზანი ჰქონდა. ამით რუსეთის იმპერიის მესვეურები ქართული ეკლესიის რუსეთის სინოდზე დაქვემდებარების ფორმალურ საფუძველს ქმნიდნენ.

როგორც ჩანს, რუსული მხარე, პოლიტიკური მიზნიდან გამომდინარე, ამ საკითხს კატეგორიულად აყენებდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეკატერინე II-მ სწორედ ტრაქტატის პროექტის დამტკიცებამდე ცოტა ხნით ადრე შეიტყო ევროპის ქვეყნებთან ერეკლე II-ის მორიგი კავშირის მცდელობის შესახებ. საქმე ის იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფემ ვენის საიმპერატორო კარზე თავისი წარმომადგენელი მავრო ვერონელი საიდუმლო მისიით ზუსტად იმ დროს გაგზავნა (1782 წლის შემოდგომით), როდესაც მფარველობაში შესვლის საკითხზე რუსულ-ქართული მოლაპარაკებები აქტიურად მიმდინარეობდა. აღნიშნული ქმედების გამო ერეკლეს გრიგოლ პოტიომკინთან გაგზავნილი წერილით ერთგვარი თავის მართლებაც მოუწია.[73] ასეთ პირობებში, კათოლიკოსის სინოდში გაწევრიანების საკითხი რუსული მხარისათვის კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენდა და მოთხოვნაც გამკაცრდებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროტესტის მიუხედავად, ერეკლე ხელშეკრულებიდან კათოლიკოსთან დაკავშირებული არტიკულის ამოღებას არ ითხოვდა, რაც სწორედ რუსული მხარის კატეგორიულობით უნდა აიხსნას. როგორც ჩანს, რუსმა მოხელეებმა ქართლ-კახეთის მეფე დაარწმუნეს, რომ აღნიშნული საკითხი გადასინჯვას არ დაექვემდებარებოდა. შესაბამისად, ერეკლე თავის მიმართვაში შეძლებისდაგვარად შეეცადა კათოლიკოსის, როგორც **„ႠვტოკეႴალოს ყოვლისა ზემოჲსა ივერიისა“,** უფლებების

[72] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии. т. II, вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели, გვ. 30-31.

[73] იხ.: ა. თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები: რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია, გვ. 11-12, 23-24.

დაცვას. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტერმინ „ავტოკეფალიის“ ქართულ სინამდვილეში გამოყენების იშვიათ ფაქტთან. ეს გარემოება თავისთავად მეტყველებს იმ საფუძვლიან მსჯელობასა თუ მოკვლევაზე, რაც კათოლიკოსის უფლებების დასაცავად სამეფო კარზე უნდა წარმართულიყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული მხარის შემდეგი ორი მოთხოვნა ერეკლე II-ის ტიტულატურას უკავშირდებოდა. იმპერიის ეპოქის ისტორიოგრაფია ამ შემთხვევაში მხოლოდ მეფის მიმართვის ფორმაზე/ეპითეტზე ამახვილებდა ყურადღებას, რითაც ხაზს უსვამდა მოთხოვნის ფორმალურობას.[74] თუმცა, ფეოდალურ ეპოქაში, როდესაც ეტიკეტს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მეფის მიმართვის ფორმასაც არ ჰქონდა უმნიშვნელო დატვირთვა.

რაც შეეხება ერეკლე II-ის ტიტულთან დაკავშირებულ მოთხოვნას, მას ეპითეტთან შედარებით გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც შედარებით ვრცლად განვიხილავთ. როგორც ზემოთ აღინიშნა, 21 ივლისის სხდომაზე ქართველმა ელჩებმა რუსულ-ქართულ ხელშეკრულებაში ერეკლე II-ის კონკრეტული ტიტულის – „მეფე ქართლისა და მეფე კახეთისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა და სხვათა“ – შეტანა მოითხოვეს. ტიტულში ჩამოთვლილი მიწებიდან ერეკლე II-ის სამეფო მოიცავდა ქართლს, კახეთს, ყაზახს, ბორჩალოსა და შამშადილუს. ამასთან, მას განჯისა და ერევნის სახანოებიც ემორჩილებოდნენ. რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, კაკს (რომლის ფარგლებში, ელისუს სასულთნოსთან ერთად, ჭარ-ბელაქანიც იგულისხმებოდა), შაქსა და შირვანს, ამ სამფლობელოებს მეფე არ ფლობდა და მათზე მხოლოდ პრეტენზიის გამოხცადება შეეძლო. მიუხედავად ამისა, ერეკლე კაკის, შაქისა და შირვანის ისეთივე რეალურ მფლობელად აცხადებდა თავს, როგორც ეს იყო ყაზახ-ბორჩალო-შამშადილუს შემთხვევაში. წარმოდგენილი ტიტულის მიხედვით, მფლობელობის განსხვავებული ფორმა სამცხე-საათაბაგოსთან მიმართებით გვხვდება – „მემკვიდრე მთავრად“ თავის გამოცხადებით მეფე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სამცხე-საათაბაგოზე მხოლოდ მემკვიდრეობითი უფლებები ჰქონდა. ერთი სიტყვით, ტრაქტატში წარმოდგენილი ტიტულის შეტანით ერეკლეს სურდა რუსეთის იმპერიას ის ელიარებინა როგორც ქართლ-კახეთის სამეფოში შემა-

[74] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. ч. 2, გვ. 129; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 9-10.

ვალი მიწების, ისე კაკის (ანუ ელისუს სასულთნოსა და ჭარ-ბელაქანის), შაქის სახანოს, შირვანის (იმავე შამახის) სახანოს, ერევნის სახანოსა და განჯის სახანოს უცილობელ მთავრად და მფლობელად, ხოლო სამცხე-საათაბაგოს – პერსპექტიულ მთავრად.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიურ ტიტულს პირველად ერეკლე II-ის მიერ შედგენილ იოანე მუხრანბატონისა და გარსევან ჭავჭავაძის რწმუნების სიგელში ვხვდებით. შესაბამისად, სამეფო კარზე ის ტრაქტატის პროექტის განხილვის დროს სპეციალურად შეუდგენიათ.

ტიტულის წარმოდგენილი ფორმა ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის 1782 წლის 21 დეკემბრის მიმართვასთან. მართალია, მიმართვაში მეფის კონკრეტულ ტიტულს არ ვხვდებით, მაგრამ მასში ჩამოთვლილია ის მიწები, რომლებზეც ერეკლე II პრეტენზიას აცხადებდა. ასეთ სამფლობელოებად კი მეფე უპირველესად ახალციხისა და ყარსის საფაშოებს ასახელებდა და აღნიშნავდა, რომ ოსმალეთთან ომის შემთხვევაში „... ახალციხე, ყარსი და იმისი ალაგები ჩვენ არ დაგვეკარგოსო“. სპარსეთის მხარეს ომის დაწყების პირობებში ერეკლე იმ მიწების დაუფლების პირობას აყენებდა, რომლებიც ლეკებს ჰქონდათ დაკავებული,[75] რაშიც ცხადია ჭარ-ბელაქანსა და ელისუს სასულთნოს გულისხმობდა.

ამრიგად, 1782 წლის 21 დეკემბრის მიმართვისაგან განსხვავებით, უშუალოდ ტრაქტატის დადების წინ ერეკლე II-ს ოსმალეთის სახელმწიფოში შემავალ მიწებზე პოზიცია შეუცვლია. ის ყარსის საფაშოზე პრეტენზიას საერთოდ აღარ აცხადებდა, სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშოს) დაუფლების საკითხს კი სამომავლო პერსპექტივად განიხილავდა. სამაგიეროდ, მეფემ ძირითადი აქცენტი მეზობელ სახანოებზე გადაიტანა და ამჯერად რუსეთის იმპერიისაგან, ლეკებისაგან მიტაცებულ მიწებთან ერთად, განჯის, ერევნის, შაქისა და შირვანის სახანოების მფლობელად აღიარებას ითხოვდა.

ერეკლე II-ის პოზიციის ცვლილება, ცალსახად, რეგიონში მიმდინარე დინამიურ პოლიტიკურ პროცესს უკავშირდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებების დროს დღის წესრიგში რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყება იდგა. რუსეთის იმპერატორის გეგმით მომავალ ომში ქართულ სამეფოებს მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეესრულები-

[75] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 195-197; ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 454-455.

ნათ. ეკატერინე II-ის აღნიშნული გეგმის შესახებ ინფორმაცია ერეკლესაც ჰქონდა.[76] ასეთ ვითარებაში, მეფე პრიორიტეტს ოსმალეთის მიტაცებულ მიწებს ანიჭებდა. ზემოთ ისიც აღინიშნა, რომ 1783 წლის გაზაფხულზე რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების ალბათობა ძალიან შემცირდა. ყირიმის მარტივად დაუფლების პარალელურად, რუსეთის იმპერია უკვე ირანის მიმართულებით გააქტიურდა. რუსეთის ჯარი 1783 წელს სამხრეთში სალაშქროდაც ემზადებოდა, რა დროსაც გილანამდე კასპიის ზღვის სანაპიროსა და ქართლ-კახეთის სამხრეთით მდებარე სახანოების დაკავებას გეგმავდნენ.[77] ამ ფონზე ერეკლეს მიდგომებიც ადეკვატურად შეიცვალა და ამჯერად პრიორიტეტი ახლომდებარე სახანოებს მიანიჭა.

გეორგიევსკის ტრაქტატის მეორე არტიკულის მიხედვით, რუსეთის იმპერატორს ერეკლესათვის მფარველობა იმ სამფლობელოების ჩათვლით უნდა გაეწია, რომლებსაც ის სამომავლოდ შეიერთებდა. მეოთხე სეპარატულ არტიკულით კი რუსეთის იმპერატორი მეფეს აღუთქვამდა, რომ ომის დროს იარაღით, ხოლო დაზავებისას მოლაპარაკებების გზით ქართლ-კახეთის მტრისაგან მიტაცებული მიწების დაბრუნებას ეცდებოდა.[78] ვინაიდან, ტრაქტატი, კონკრეტიკის გარეშე, ზოგად დაპირებას შეიცავდა, მასში ქართველი მეფის ტიტულის შეტანა თავისთავად განსაზღვრავდა იმ მიწებს, რაც ქართული მხარისათვის მნიშვნელოვანი იყო.

თუმცა, ქართულ მხარეს ტიტულის საკითხი მხოლოდ სამომავლო დახმარების მიღების იმედით არ უნდა წამოეყენებინა. ჩვენი აზრით, ეს მოთხოვნა ძირითადად იმ წინააღმდეგობასთან იყო დაკავშირებული, რაც ტრაქტატის დადებამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო.

როგორც ცნობილია, ერეკლე II-მ 1776-1778 წლებში ჯერ ახალციხის ფაშასთან, შემდეგ ოსმალეთის სახელმწიფოსთან გააფორმა სამშვიდობო შეთანხმება.[79] იმავე პერიოდში სხვადასხვა გატარებული ღონისძიებების შედეგად თანდათან შეწყდა დაღესტნელ მთიელთა შემოსევებიც.[80] პარალელუ-

[76] იხ.: ა. თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები: რუსეთის იმპერიის გააქტიურება საქართველოში და ერეკლე II-ის პოზიცია, გვ. 9.

[77] მოგვიანებით ლაშქრობა მომდევნო წლისათვის გადაიდო, ხოლო შემდგომ საერთოდ გაუქმდა. იხ.: П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. ч. 2, გვ. 142-156; ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 158-166.

[78] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 68, 71.

[79] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 86; ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 91-92.

[80] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. ერეკლე II-ის გატარებული ღონისძიებები „ლეკიანობის“

რად, ირანში განვითარებული მოვლენები ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა. კერძოდ, ქერიმ-ხანის მმართველობის ბოლო წლებში ირანი მნიშვნელოვნად დასუსტდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, 1779 წლის გაზაფხულიდან, იქ ხანგრძლივი არეულობა დაიწყო. შესაბამისად, მდინარე არაქსის სამხრეთით მდებარე ხოის, ურმიის, თავრიზის, ყარადაღის, არდებილისა და სხვა სახანოები პრაქტიკულად სრულად დამოუკიდებლები გახდნენ. ასეთ პირობებში, ერეკლემ აქტიური რეგიონალური პოლიტიკის გატარება დაიწყო.

იმ დროისათვის სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ერეკლე II ყველაზე ძლიერ მმართველად ითვლებოდა, რომელსაც განჯისა და ერევნის ხანები ხარკს უხდიდნენ. ხოლო, რეგიონის საკმაოდ ძლიერი ყარაბაღის მმართველი იბრეიმ ხანი მეფის გავლენის ქვეშ იყო და ერთგულ მოკავშირედ მიიჩნეოდა. ერეკლესა და იბრეიმ ხანს რეგიონის კიდევ ერთი გამორჩეული მმართველი, ყუბა-დარუბანდის ხანი უპირისპირდებოდა. იმ პერიოდში ყუბა-დარუბანდის მმართველ ფათალი ხანს შემახისა (შირვანის) და ბაქოს სახანოები ექვემდებარებოდა, შაქის, განჯისა და ყარაბაღის სახანოებზე კი პრეტენზიას გამოთქვამდა.

1778 წელს ქართლ-კახეთისა და ყარაბაღის გაერთიანებულმა ძალებმა ფათალი ხანის ჯარები სასტიკად დაამარცხეს, რის შემდეგაც განჯის სახანო გააუქმეს, ხანი დააპატიმრეს და შუშის ციხეში გაგზავნეს. სახანოს ერეკლესა და იბრეიმ ხანის წარმომადგენლები მართავდნენ.[81] ყუბა-დარუბანდის მმართველმა ყარაბაღის წინააღმდეგ 1780 წლის დასაწყისშიც ილაშქრა, თუმცა ერეკლე მოკავშირეს 5000-იანი ჯარით დაეხმარა და მომხდური დამარცხდა. ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ ლაშქრობისას ფათალი ხანმა იმავე წლის აგვისტოშიც წარუმატებლობა განიცადა.[82] 1779-1780 წლებში ერეკლემ ერევნის სახანოს წინააღმდეგაც მოაწყო ლაშქრობები.[83]

ერევნის სახანოში პირველი ლაშქრობის შემდეგ ერეკლეს წარმატებას რუსული დიპლომატია აღუდგა წინ. საიმპერატორო კარზე მიიჩნევდნენ, რომ

აღსაკვეთად და მისი შედეგები (1735-1783 წწ.). ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVIII. თბ. 2022, გვ. 221-245.

[81] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70–80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 681.

[82] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VI. თბ. 1973, გვ. 450-451.

[83] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70–80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 682.

ოსმალეთთან კავშირში მყოფი ქართლ-კახეთის მეფის გაძლიერებით სამხრეთ კავკასიაში მათი გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა, ამიტომ ქართველ მეფეს სხვადასხვა მეთოდით დაუპირისპირდნენ. სწორედ იმ პერიოდში რუსეთის მთავრობის წევრებმა ეჩმიაწინის კათოლიკოსის, სიმეონის, წარგზავნილ არქიეპისკოპოს იოსებ არღუთიანთან მოლაპარაკებები დაიწყეს. მას 1780 წლის იანვარში რამდენიმეჯერ შეხვდა ცნობილი მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი. რუსეთის მთავრობის წევრები სომეხ არქიეპისკოპოსს აიმედებდნენ, რომ ეკატერინე II-ის დახმარებით სომხური სახელმწიფო აუცილებლად აღდგებოდა. ამისათვის კი კათოლიკოსისა და სომეხთა წარმომადგენლების მიმართვა იყო საჭირო. ამ დაპირებით გახარებულმა იოსებ არღუთიანმა 1780 წლის 18 თებერვალს პეტერბურგში ახალაგებულ სომხურ ეკლესიაში, ხალხმრავალ შეკრებაზე, ეკატერინე II-ს სომეხთა მფარველობისათვის საჯაროდ გულითადი მადლობა გადაუხადა.[84] მალე, ასტრახანიდან ალექსანდრე სუვოროვი ყარაბაღის მელიქებსაც დაუკავშირდა.[85] რუსეთის იმპერიის დაპირებებით დაიმედებული სომეხი მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე ერეკლეს საწინააღმდეგო პოზიციას იკავებდა.[86]

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, ქართლ-კახეთის მეფემ ერევნის სახანოს წინააღმდეგ 1780 წლის სამხედრო კამპანია სწორედ რუსეთის იმპერიის ქმედებების გამო დაგეგმა.[87] ამასთანავე, რუსეთის მთავრობის კონტრზომადაა შეფასებული ერევანში ლაშქრობის დროს ერეკლეს მოწინააღმდგე ალექსანდრე ბაქარის ძის გააქტიურებაც, რომლის უკან რუსი მოხელეები იდგნენ.[88] ქართველი მეფე რუსეთის იმპერიის წინააღმდეგობებს ჩრდილოეთ კავკასიაშიც აწყდებოდა. 1778 და 1782 წლებში მათ ორჯერ ჩაშალეს ერეკლეს მიერ დაგეგმილი ყაბარდოელთა საქართველოში გადმოსახლების პროცესი.[89] რუსეთის იმპერიის ეს აქტივობები

[84] А. Иоаннисян. Россия и Армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия. Ереван, 1947, გვ. 20-25. 30

[85] А. Иоаннисян. Россия и Армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, გვ. 29-31.

[86] იხ.: ლ. ტუხაშვილი. ქართლ-კახეთის ურთიერთობა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. II. თბ. 1972, გვ. 107.

[87] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70–80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 682-683.

[88] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II, გვ. 226; მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70–80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 683.

[89] იხ.: თ. ბოცვაძე. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1963, გვ. 111-

იმ ფართო გეგმების ნაწილად უნდა განვიხილოთ, რაც იმ პერიოდში რეგიონის მიმართ ჰქონდათ. თუმცა, 1781 წლიდან იმპერიის საგარეო პოლიტიკა მთლიანად ყირიმის სახანოსაკენ გადაერთო. შესაბამისად, რუსეთის მთავრობამ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში საკუთარი მიზნების რეალიზება დროებით შეაჩერა.

წინააღმდეგობის მიუხედავად, 1780 წლის სამხედრო კამპანიის ფარგლებში ერეკლე II-მ მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა მაინც შეძლო. მართალია, მას ერევნის სახანო არ გაუუქმებია, მაგრამ ხანის გვერდით თავისი „გუბერნატორი“ – იოანე მუხრანბატონი დააყენა.[90] ქართლ-კახეთის მეფემ ერევანზე პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლება მოიპოვა, რაც ეპოქის თანადროული წყაროებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება. სტეფან ბურნაშევის გადმოცემით, „... ერევნელი ჰუსეინ-ხანი ... დამარცხებული მეფე ერეკლეს მიერ, ჩავარდა არა მხოლოდ მისადმი დამოკიდებულებაში, არამედ სრულ და სამუდამო ქვეშევრდომობაში, რის თაობაზეც მან საზეიმოდ იკისრა წერილობითი ვალდებულება და თავის სიკვდილამდე სანიმუშოდ ერთგული იყო მეფისა“.[91] ომან ხერხეულიძის გადმოცემით კი აღნიშნული ლაშქრობის შედეგად ერეკლეს გავლენა მთლიანად რეგიონზე გავრცელებულა. მისი სიტყვებით, „ყ(ოველ)ნი ადრიბეჟანის ხანები დაემორჩილნენ მეფესა ირაკლის და მოართვეს ელჩნი და ფეშქაშნი ძვირფასნი, თავრიზის ხანისაგან, ხოის ხანისა, ურუმის (ურმიის – ა. თ.) ხანისა, შაყაყის (შაღაღის – ა. თ.) ხანისა, მარაღის ხანისა, ბაიაზეთის ფაშისა და ყარსის ფაშისაგან“. ომან ხერხეულიძისავე ცნობით, ერეკლეს მორჩილებაში შესულა ერევნის სახანოში მდგომი შამდინ-ალა ქურთი, რომელსაც მრავალრიცხოვანი ქურთული დაჯგუფება ექვემდებარებოდა. ასევე, მეფის მფლობელობაში გადასულა შორაგელის მხარეც. ერეკლე იმდენად გაძლიერებულა, რომ „ელოდნენ ერანელნი უთუოდ გახელმწიფდება და ერანის ნაწილებსაც დაიჭერსო“.[92] XVIII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ერეკლეს განსაკუთრებულ წარმატებებს ხაზს უსვამდა იესე ბარათაშვილიც: „განცვიფრდა ყოელი სული და ადიდებდენ ღმერთსა

117; ა. თაბუაშვილი. ერეკლე II-ის გატარებული ღონისძიებები „ლეკიანობის“ აღსაკვეთად და მისი შედეგები (1735-1783 წწ.), გვ. 246-248.

[90] მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70–80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 682.

[91] პოლკ. სტეფან ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ. რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დ. მერკვილაძემ. თბ. 2020, გვ. 43.

[92] ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 69-70.

[მეფისა] ამის ესრეთს ბედნიერობას: – ხონთქარი ესრეთ, ყენი ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ, შვილნი მორჩილნი ესრეთ, ყმა დამონებული ესრეთ, მეზობელნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერობა აურაცხელი“.[93]

როგორც დოკუმენტური წყაროებით ირკვევა, 1781-1783 წლებში ერეკლე II-მ სამხრეთის მიმართულებით სხვა წარმატებებსაც მიაღწია. კერძოდ, ქართლ-კახეთის მეფემ 1781 წელს ნახჭევანის სახანოზე მოიპოვა გავლენა. ერეკლეს დახმარების თხოვნით ადგილობრივმა მფლობელმა აბაზ-ყული-ხანმა მიმართა, რომელსაც ხოისა და ურმიის ხანები ემტერებოდნენ. მეფემ ნახჭევანში ერევნის ჯარი გაგზავნა და ხანის ძალაუფლება დაიცვა, რომელმაც მას მორჩილება გამოუცხადა.[94] მართალია, 1781-1783 წლებში ერეკლეს წინააღმდეგ ფათალი ხანი კოალიციური ლაშქრობის გეგმებს აწყობდა და მან ქართლის სამეფოს პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძეც მიიღო, მაგრამ მის მცდელობებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.[95]

XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ერეკლეს გავლენა მდინარე არაქსის სამხრეთით მდებარე სახანოებზეც გაიზარდა. მეფეს არაქსის სამხეთით, „ადრიბეჟანის ქვეყნებში“ იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა, რომ 1782-1783 წლებში ხოის მფლობელმა ახმად ხანმა[96] მას თხოვნით მიმართა, რათა ეკონომიკური თავალსაზრისით რეგიონში გამორჩეულ ქალაქ თავრიზის[97] აღებაში დახმარებოდა. დახმარების სანაცვლოდ ახმად ხანი ერეკლეს ერთჯერადად საკმაოდ სოლიდურ თანხის, 17 000 თუმანის, გადახდას სთავაზობდა, ხოლო თავრიზის დაუფლების შემდგომ ხარკის სახით ყოველწლიურად 8000 თუმნის გადახდის პირობას დებდა. მეფემ ხოის ხანის წინადადებაზე თანხმობა განაცხადა.[98]

ისიც აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში ყუბა-დარუბანდის მმართველი

---

[93] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 86.

[94] Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. I выпуск, გვ. 111-113.

[95] ვრცლად იხილეთ: ა. თაბუაშვილი. 1782 წლის რუსულ-ქართული მოლაპარაკებები, გვ. 15-22.

[96] 1780-იან წლებში არაქსის სამხრეთით, „ადრიბეჟანის ქვეყნებში“ ყველაზე გავლენიანი ხოის ხანი იყო, რომელმაც 1783 წლის პირველ ნახევარში, თავრიზის ხანთან ერთად, ურმიის სახანო დალაშქრა. იხ.: იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 97.

[97] თავის მხრივ, თავრიზის ხანს მარანდა და მარაღა ემორჩილებოდა. იხ.: პოლკ. სტეფან ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ, გვ. 67-69.

[98] Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. I выпуск, გვ. 124-126.

ფათალი ხანი ერეკლესა და იბრეიმ ხანთან მტრობის მთავარ მიზეზად ორი ხანის დაპატიმრებას ასახელებდა. ის ერეკლესაგან ხანების განთავისუფლებასა და სახანოების აღდგენას მოითხოვდა.[99] როგორც ცნობილია, იბრეიმ ხანს შუშის ციხეში, განჯის ხანთან ერთად, 1782 წლიდან ყარადაღის ხანიც ჰყავდა დაპატიმრებული.[100] აღნიშნული ცნობით ირკვევა, რომ ერეკლეს გავლენა არაქსის სამხრეთით მდებარე ყარადაღის სახანოზეც ვრცელდებოდა.

უშუალოდ ტრაქტატის დადების წინ რეგიონში ქართლ-კახეთის მეფის მყარ პოზიციებზე ხაზგასმით მიუთითებდა რუსეთში მყოფი სომხური ეკლესიის მაღალი იერარქი იოსებ არღუთიანი. 1782 წლის დეკემბერში პავლე პოტიომკინის შეკითხვის პასუხად, ის აღნიშნავდა, რომ ერეკლე II იმ დროისათვის ირანის ყველა ხანსა და მფლობელზე ძლიერი იყო, მისი ძალაუფლება ქართლ-კახეთის სამეფოს გარდა განჯაზე, ერევანზე და ნახჭევანზეც ვრცელდებოდა. ხოლო, თავრიზის ხანიდან დაწყებული, ჩრდილოეთ ირანის ყველა ხანი მას ყოველწლიურად მდიდარ ძღვენს უგზავნიდა პატივისცემისა და მოწიწების ნიშნად.[101] მთლიანად „ადრიბეჟანის ქვეყნებზე“ ერეკლეს დიდ გავლენაზე ყურადღებას რუსი მოხელე, პოლკოვნიკი სტეფან ბურნაშევიც, ამახვილებდა, რომლის გადმოცემით, „... თავრიზის, ურმიის, ხოის, ნახიჭევანის და სხვა მცირე მფლობელებს უმეტესწილად ყოველთვის თანხმობა ჰქონდათ მეფესთან. მისი პირადი გმირობებისადმი პატივისცემის გამო ხშირად უგზავნიდნენ გამორჩეულ საჩუქრებს“.[102] საგულისხმოა, რომ რუსი მოხელის შეფასება ასახავდა 1786 წლის ვითარებას, ანუ იმ პერიოდს, როდესაც ერეკლეს გავლენა რეგიონში უკვე შერყეული იყო.

ერთი სიტყვით, 1782-1783 წლებში რეგიონში ერეკლე II-ის ძალაუფლება საგრძნობლად განმტკიცდა, ხოლო მისი სამომავლო გეგმები კიდევ უფრო ამბიციური იყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყირიმის უმტკივნეულოდ შეერთების შემდეგ, კონკრეტულად 1783 წლის გაზაფხულიდან, რუსეთის იმპერიის გეგმებში რეგიონის სახანოებმა კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ეკატერინე II-ის 8 აპრილს გამოცემული ბრძანებულებით კი ირანის ყოფილი პროვინციების დაუფლების საქმეში ქართლ-კახეთის სამეფოს განსაკუთრებული როლი

[99] ხეც. H-2300, ფ. 4-5.

[100] პოლკ. სტეფან ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ, გვ. 66, 137-138.

[101] А. Иоаннисян. Россия и Армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, გვ. 209, 212.

[102] პოლკ. სტეფან ბურნაშევის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ, გვ. 43.

ენიჭებოდა.

პავლე პოტიომკინის კორესპონდენციებით ირკვევა, რუსულმა მხარემ აღნიშნული გეგმის რეალიზება 1783 წლის გაზაფხულიდანვე დაიწყო და ყარაბაღის სახანოს იმპერიაზე დაქვემდებარებას ერეკლე II-ის დახმარებით ცდილობდა.[103] ქართლ-კახეთის მეფე კი ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაგან თავს იკავებდა.

იმავე პერიოდიდან კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა სხვა ხანებთან დაკავშირებაც სცადა. ამ მიზნით, მან საქართველოში მყოფ რუსეთის წარმომადგენელ იაკობ რაინეგსს „ადრიბეჟანის ხანებისათვის“ გადასაცემი კორესპონდენცია გაუგზავნა. ერეკლე II-მ კი ეს პროცესი შეაჩერა და იაკობ რაინეგსს წერილები ხანებთან არ გააგზავნინა.[104] რა თქმა უნდა, ქართლ-კახეთის მეფის ეს ნაბიჯი განპირობებული იყო რეგიონის მიმართ მისი და რუსეთის იმპერიის ინტერესების შეუთავსებლობით.

როგორც ჩანს, ერეკლე იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ძლევამოსილ იმპერიას დიდხანს კონკურენციას ვერ გაუწევდა. ტრაქტატის გაფორმების წინ შემუშავებული ტიტულის ფორმა სწორედ ამის დამადასტურებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული ტიტულით ის მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელ და ახლომდებარე მიწებზე – განჯის, ერევნის, შაქისა და შირვანის სახენოებზე, ასევე კაკზე – აცხადებდა პრეტენზიას. ეს კი თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ ერეკლე როგორც ყარაბაღის, ნახიჭევანისა და ყუბა-დარუბანდის სახანოებს, ისე არაქსის სამხრეთით მდებარე „ადრიბეჟანის ქვეყნებს“, რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა.

ამრიგად, წარდგენილი ტიტულის დამტკიცებით ერეკლე II-ს რეგიონის მიწების რუსეთის იმპერიასთან განაწილება სურდა. ხოლო, საკუთარი პირობების დაკმაყოფილებამდე ის პრაქტიკულად უარს აცხადებდა რეგიონის მასშტაბით იმპერიის სასარგებლო პოლიტიკის გატარებაზე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ერეკლე II ტრაქტატის გაფორმების შემდგომ თვეებშიც იმავე პოლიტიკას აგრძელებდა. თავის მხრივ, რუსული მხარეც აქტიურად ცდილობდა ერეკლეს ფაქტორის გამოყენებას – ტრაქტატის გაფორმებისთანავე კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა მეფეს გრიგოლ პოტიომკინის წერილების სპარსულად გადათარგმნისა და „ადრიბეჟანის ხა-

[103] ხეც. H-2300, ფ. 6-7, 13-14.
[104] ხეც. H-2300, ფ. 20.

ნებთან“ გაგზავნის საქმეში დახმარება სთხოვა.[105] მართალია, ერეკლემ აღნიშნული თხოვნა ფორმალურად შეასრულა, მაგრამ რუსეთის მთავრობის გეგმების რეალიზებისათვის ქმედით ნაბიჯებს კვლავ არ დგამდა. ქართლ-კახეთის მეფის პასიურობა პავლე პოტიომკინისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. რუსი გენერალი 1783 წლის 8 ნოემბერს სტეფან ბურნაშევისათვის გაგზავნილ წერილში ერეკლეს მიმართ დაუფარავ საყვედურს გამოთქვამდა და აცხადებდა: „გულახდილად გეტყვით, რომ ასეთ შემთხვევაში მე ვისურვებდი მეფისაგან მეტ ყურადღებას... ადრიბეჟანელი მთავრების საქმეზე, რაზედაც ის დუმს, უფრო მოითხოვდა მეტ ახსნა-განმარტებას“.[106]

სახანოების მიმართებით რუსეთის იმპერიის გააქტიურების ფონზე, ერეკლე II-მ ტერიტორიებთან დაკავშირებით ახალი წინადადებაც წამოაყენა. კერძოდ, 19 სექტემბრის კორესპონდენციით ის პავლე პოტიომკინს ჭარ-ბელაქანის დასაპყრობად დამხმარე ჯარის (ტრაქტატით გათვალისწინებული 2 ბატალიონის გარდა, დამატებით 5000 ჯარისკაცის), ან შესაბამისი ფინანსური რესურსის (10 000 თუმანის) გამოყოფას სთხოვდა. მეფის სიტყვებით, იმხანად მისი სამეფოს უშიშროებას სხვა მტერი არ არღვევდა, „გარდა ყოვლად ბოროტთა ჭარელთასა, მყოფთა მამულსა შინა ჩუენსა“. დახმარების მოთხოვნის საფუძვლად კი ტრაქტატის სეპარატულ მესამე არტიკულს ასახელებდა.[107]

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-ის მიერ 1783 წლის მაის-ივნისში წამოყენებულ მოთხოვნებს ქართული მხარისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა 1783 წლის ზაფხულის განმავლობაში ქართლ-კახეთის სამეფო კარის მაღალი აქტივობა.

საბოლოოდ, ერეკლე II-ის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და მის მიერ წამოყენებული პირობების უმეტესობა დაკმაყოფილდა. ეკატერინე II-მ გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაციიდან (1783 წლის 21 სექტემბერი) მალევე, კერძოდ 1783 წლის 30 სექტემბერს, დამატებითი არტიკული დაამტკიცა. აღნიშნული არტიკულის ძალით ქართველ მონარქს ხელშეკრულების დონეზე მეფედ კურთხევის – მირონცხებისა და გვირგვინოსნობის – უფლება მიე-

[105] წერილები ადრესატებთან ოფიცრებს – აპრაქსინსა და ჩოლოყაევს უნდა წაეღოთ. იხ.: ხეც. H-2300, ფ. 28.
[106] Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, გვ. 12; ღ. მერკვილაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი და ერეკლე მეორე, გვ. 79.
[107] Из истории российско-грузинских отношений, გვ. XLIX-LIII.

ცა.[108] იმავე დღის ეკატერინე II-ის გრიგოლ პოტიომკინისათვის განკუთვნილი ბრძანებით ერეკლეს „უმაღლესობის“ ეპითეტიც ენიჭებოდა.[109] შესაბამისად, მეფედ კურთხევის შესახებ შედგენილ სპეციალურ დამატებით არტიკულში ერეკლე უკვე „უმაღლესობის“ პატივით იხსენებოდა.[110]

ეკატერინე II-ის 30 სექტემბრის ბრძანება ქართულ ეკლესიასაც ეხებოდა, რომელიც მკაფიოდ ფორმულირებული არ იყო. იმპერატორი განიხილავდა რა ქართული მხარის მიმართვას, თავდაპირველად აღნიშნავდა, რომ კეთილგანწყობის ნიშნად მეფის ბერ ვაჟს რუსეთში იწვევდა, რათა ის მოსკოვში ეპისკოპოსად ეკურთხებინათ. შემდეგ ეკატერინე აცხადებდა, რომ „კათოლიკოსს, ანუ უმთავრეს არქიეპისკოპოსს“ უგზავნიდა ჯვარს მის ჩვეულებრივ ბარტყულაზე (თავსაბურავზე) გამოსაყენებლად.

რადგან მცხეთის კათოლიკოსის რუსეთის უწმინდეს სინოდში შეყვანის საკითხი საეკლესიო კანონებთან თანხვედრაში ისედაც არ მოდიოდა, როგორც ჩანს, ეკატერინემ უფრო ზუსტი განმარტება საჭიროდ არ მიიჩნია. აღნიშნული წინადადების კონტექსტი კი შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს: იმპერატორი ჯვრის გაგზავნით კათოლიკოსის რუსეთის სინოდის წევრობას ადასტურებდა. ხოლო, იმ გარემოებაზე ხაზგასმით, რომ აღნიშნული ჯვარი მისი ჩვეულებრივი ბარტყულასათვის იყო განკუთვნილი, კათოლიკოსის მანამდე არსებული უფლებების ხელშეუხებლობაზე მიანიშნებდა.

გამოთქმული მოსაზრების რელევანტურობა პ. კარბელაშვილისეულ „ქრონიკონში“ დაცული ინფორმაციითაც დასტურდება. აღნიშნულ ქრონოლოგიურ ცნობებში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და საეგზარქოსოს დაარსების შესახებ აღნიშნულია: „ჩყი (1810) წელსა კათალიკოზი ანტონი, მეფის ირაკლის ძე, წაიყვანეს რუსეთს... ნოენბრის თ, ქ-კს უჟთ. ჩყი წელსა ქსნის ერისთვის შვილსა ვარლამს, არხიეპისკოპოს, სრულიად საქართველოს ეკლესი(ი)ს გამგეობა მიეცა იმპერატორისაგან, ენკენის თვის იბ. ამისვე მეორესა წელსა, მიტროპოლიტობა მოუვიდა. მესამესა წელსა თეთრი ბარტყულა, კავალერის ვარსკვლავი, ჯვარი შუბლზე, ექსარხოსობა სრულიად საქართველოსი და იმერეთისა ქ-კს უჟჱ“.[111] როგორც ვხედავთ, იმპერატორმა

[108] Полное собрание законов Российской империи. т. XXI. СПб. 1830, გვ. 1025.
[109] Полное собрание законов Российской империи. т. XXI, გვ. 1025-1026.
[110] Полное собрание законов Российской империи. т. XXI, გვ. 1025.
ტრაქტატის ხელმოწერილ და რატიფიცირებულ ვერსიებში ეპითეტი „უგანათლებულესობა“ დარჩა.
[111] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის

რუსეთის სინოდზე სრულად დაქვემდებარების აღსანიშნავად საქართველოს ეგზარქოსს რეგალიები გამოუგზავნა, რომელთა შორის უპირველესი სწორედ ბარტყულა ყოფილა.

ამდენად, კათოლისკოსის ბარტყულას უცვლელობასთან დაკავშირებით ეკატერინე II-ის განმარტება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის ერთგვარ პირობას წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში, იმპერატორის განმარტება საქართველოში სწორედ ასე უნდა გაეგოთ, რადგან გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ ანტონ I, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად იწოდებოდა, მეორე მხრივ, კი რუსეთის სინოდის წევრადაც სახელდებოდა – „... ყოვლისა ზემოისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარხმან და ჩლენმან უწმინდესისა სინოდისა ყოვლისა რუსეთისამან პატრონმან ანტონ...“.[112]

რაც შეეხება ტრაქტატის მერვე არტიკულის იმ ნაწილს, რომელიც ქართლ-კახეთის საეკლესიო მართვისა და რუსეთის სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმების გაფორმებას ითვალისწინებდა, იმპერატორის ბრძანება ამ საკითხს არ ეხებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გრიგოლ პოტიომკინი შესაბამისი არტიკულის დაწერასა და იმპერატორისათვის წარდგენას ტრაქტატზე ხელმოწერისთანავე გეგმავდა. მიუხედავად ამისა, რატიფიკაციის დროს ეს საკითხი დღის წესრიგში აღარ დამდგარა. დამატებითი არტიკული არც შემდგომ პერიოდში დაწერილა.

ჩვენი აზრით, ამ საკითხზე რუსეთის მთავრობის პოზიციის ცვლილება ქართული მხარის ძალისხმევის შედეგს უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობა უცვლელი დარჩა, ანტონ I-ის რუსეთის სინოდის წევრობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ანტონ II-ის საკათალიკოსო ტახტზე ასვლის შემდეგ კი (1788 წ.) ქართული ეკლესია ტრაქტატის პირობებს უკვე ფორმალურადაც აღარ ასრულებდა. ანტონ II-ის ტიტულში სინოდის წევრობა აღარ ფიგურირებდა და იწოდებოდა როგორც „ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხი“, ან „უნეტარესი და უწმინ-

გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია. ტ. VII. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქავჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭანკიევმა. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1973, გვ. 230-231; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III, გვ. 470.

[112] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 965.

დესი პატრიარხი ანტონი, კათალიკოზი მცხეთისა და ყოვლისა ... ივერიისა“ და სხვ.[113]

ეკატერინე II-ის ბრძანება ტიტულთან დაკავშირებულ მოთხოვნას არ ეხებოდა. თუმცა, საიმპერატორო კარზე ეს საკითხი ზაფხულშივე შეთანხმებულა. ალექსანდრე ბეზბოროდკო 1783 წლის აგვისტოს ბოლოს საგარეო საქმეთა კოლეგიას ატყობინებდა, რომ ტრაქტატი იმპერატორის რატიფიკაციისათვის მომზადდა, რომელშიც ერეკლეს ებოძა ყველა ის ტიტული, რომლითაც ის თავს მოიხსენიებდა.[114] რადგან ტიტულში ჩამოთვლილი სამფლობელოების უმეტესობა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრების მიღმა მდებარეობდა, როგორც ჩანს, იმპერატორმა სპეციალური ბრძანებით არც ამ საკითხის დარეგულირება ისურვა. შესაბამისად, რუსეთის მთავრობამ, ერთი მხრივ, რატიფიკაციაში ტიტულის შეტანით ერეკლეს მოთხოვნა დააკმაყოფილა, მეორე მხრივ, დასახელებულ სამფლობელოებთან მიმართებით ზედმეტი ვალდებულების აღებას თავი აარიდა.

ამდენად, 1783 წლის აგვისტო-სექტემბერში რუსულმა მხარემ ერეკლე II-ის მიერ წამოყენებული პირობების უმეტესობა დააკმაყოფილა. მართალია, კათოლიკოსთან დაკავშირებული განმარტებით ქართული მხარე ბოლომდე კმაყოფილი ვერ დარჩებოდა, თუმცა გარკვეული შედეგი ამ მხრივაც დადგა.

ისიც აღსანიშნავია, რომ წამოყენებული პირობების დაკმაყოფილების პარალელურად, ეკატერინე II-მ ერეკლეს მეორე ვაჟის, ბერ-მონაზონი ანტონის, რუსეთში გამგზავრება მოითხოვა. მანამდე, ხელმოწერილი ტრაქტატის პეტერბურგში მიღებიდან მეორე დღესვე, 1783 წლის 18 აგვისტოს, სამხედრო კოლეგიის განკარგულებით მირიან ბატონიშვილს პოლკოვნიკის ჩინი მიენიჭა,[115] რის საფუძველზეც იმპერატორმა ის რუსეთში მიიწვია.[116]

1783 წლის შემოდგომაზე პეტერბურგიდან საქართველოსაკენ გამოემგზავრა ტამარა, რომელიც უკვე პოლკოვნიკის სამხედრო ჩინს ატარებდა. დეკემბერში ის კავკასიის ხაზზე იმყოფებოდა. 24 დეკემბრის საგანგებო წერი-

113 ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 975-1115.

114 გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 7, მე-3 სქოლიო.

ვ. მაჭარაძემ ამ საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. მისი მოსაზრებით, ერეკლე II არაქართულ მიწებზე პრეტენზიას საერთოდ არ აცხადებდა. იხ.: გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 11.

115 Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. II, გვ. 12, 19-20.

116 წყაროებში ბატონიშვილების რუსეთში გაწვევასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით, რასაც ვრცლად ცალკე ნაშრომში განვიხილავთ.

ლით პავლე პოტიომკინი ერეკლე II-ს „ტიტული უმაღლესობისა“ და მეფედ კურთხევის უფლების მინიჭებას ულოცავდა. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი ერეკლეს იმპერატორისა და გრიგოლ პოტიომკინის წერილებს, ასევე მის სახელზე მოჭრილ სამეფო ბეჭედს უგზავნიდა. მეფეს იმასაც ატყობინებდა, რომ საიმპერატორო კარიდან გამოგზავნილ ინვესტიტურას პოლკოვნიკი ტამარა მალევე მიართმევდა. პავლე პოტიომკინი თბილისში დაგეგმილი ტრაქტატის რატიფიკაციასა და დამატებითი არტიკულზე ხელმოწერასთან დაკავშირებით განმარტებებსაც იძლეოდა.[117]

კავკასიის ხაზიდან 24 დეკემბერს გამოგზავნილ კორესპონდენციას ერეკლე II-ს 1784 წლის იანვრის დასაწყისში წარუდგენდნენ. ცხადია, ეკატერინესა და გრიგოლ პოტიომკინის წერილებით მეფე ტიტულთან და კათოლიკოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებსაც გაეცნობოდა. იმ პერიოდში მეფისათვის ისიც ცნობილი იყო, რომ რუსეთის მთავრობამ ქართლის ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბაქარის ძე და მისი თანამზრახველი ალექსანდრე ამილახვარი დააპატიმრა და ბოლოსდაბოლოს ორივე მათგანი კავკასიის რეგიონიდან გაიყვანა.[118] ნოემბრიდან დამხმარე ორი რუსული ბატალიონიც ერეკლეს განკარგულებაში იყო გადასული. თანაც, 1783 წლის გვიან შემოდგომაზე პავლე პოტიომკინი მეფეს ჭარ-ბელაქნის დაპყრობის გეგმის დეტალების დაზუსტებას სთხოვდა.[119] შესაბამისად, იმ დროს ერეკლეს ჭარ-ბელაქანის დაპყრობის საქმეში რუსეთის დახმარების იმედიც ექნებოდა.

ერთი სიტყვით, 1784 წლის იანვრის დასაწყისში მიღებული ინფორმაციით ერეკლე II აშკარად კმაყოფილი დარჩებოდა. ყოველივე ეს კარგად ჩანს მის მიერ გადადგმული ნაბიჯებიდან. თუ მანამდე მეფე რეგიონის მასშტაბით რუსეთის სასარგებლო პოლიტიკის გატარებაზე პრაქტიკულად უარს აცხადებდა, მისი დამოკიდებულება სწორედ 1784 წლის იანვრიდან შეიცვალა. როგორც დოკუმენტური წყაროებით ირკვევა, ერეკლემ იანვრის შუა რიცხვებში პოლკოვნიკ ბურნაშევს ხოის ხანთან შეთანხმებული გეგმა გაანდო, რომელიც თავრიზის დაუფლების საკითხს ეხებოდა. მეფე რუსი მოხელის წინაშე აცხადებდა, რომ თუ ხოის მმართველი ახმად ხანი იმპერატორის მფარველობაში შევიდოდა, ის უარს იტყოდა იმ სარგებელზე, რაც მას აღნიშნული შეთანხმების შედეგად უნდა მიეღო. ერეკლე იმასაც აღნიშნავდა,

117 ხეც. Н-2300, ფ. 35-37.

118 П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год. ч. 2, გვ. 134-135.

119 Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. I выпуск, გვ. 108-109.

რომ ახმად ხანს შესაბამისი წერილი უკვე მისწერა, რომლის ერთი პირი რუსულ მხარესაც გადასცა.[120] იმავე პერიოდში ერეკლე პავლე პოტიომკინს ნახჭევანის, ხოის, თავრიზისა და სხვა სახანოებში არსებული ვითარების შესახებ უკვე სრულყოფილ ინფორმაციას უზიარებდა.[121] მეფემ რეგიონის ხანებთან თავისი წარმომადგენელი იოსებ ბარათაშვილიც გაგზავნა.[122]

აღნიშნული პროცესის პარალელურად, 1784 წლის 24 იანვარს, ერეკლე II-მ ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა, 25 იანვარს კი რუსი მოხელეების, ბურნაშევისა და ტამარას, თანდასწრებით რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიციც მიიღო. ვახტანგ ბატონიშვილმა და პოლკოვნიკმა ტამარამ სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს. იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ კი ტამარასთან ქართველი მონარქების მეფედ კურთხევის შესახებ ახლად ხელმოწერილი დამატებითი არტიკულის ვერსიები გაცვალეს.[123]

ერეკლე II-ის მიერ რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯებს სულ მალე კონკრეტული შედეგი მოჰყვა. ტრაქტატის რატიფიკაციიდან ძალიან მოკლე ხანში, კონკრეტულად კი 1784 წლის 9 და 15 თებერვალს, მეფე კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ატყობინებდა, რომ რეგიონის გამორჩეული მმართველების, იბრეიმ ყარაბაღის ხანისა და აჰმად ხოის ხანის, წარმომადგენლები უკვე თბილისში იმყოფებოდნენ და მათ მოკლე ხანში გაგზავნიდა კავკასიის ხაზზე.[124]

ამრიგად, ერეკლე II 1784 წლის იანვრიდან, მას შემდეგ, რაც პეტერბურგის საიმპერატორო კარზე მიღებული მისთვის სასურველი გადაწყვეტილებების შესახებ შეიტყო, რუსეთის იმპერიის საერთაშორისო პოლიტიკურ თამაშებში ჩათრეული აღმოჩნდა. საბოლოოდ, ამ პროცესმა ქართლ-კახეთის სამეფო ძალიან დააზარალა. აღნიშნული საკითხი ჩვენი ნაშრომის თემატიკას სცდება და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ბოლოს, შევეხებით მონეტისა და, ზოგადად, მფარველობის აღმნიშვნელი სიმბოლიკის საკითხს. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1783 წლის 21 ივლი-

[120] Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии… I выпуск, გვ. 124-125.
[121] Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии… I выпуск, გვ. 121-133.
[122] Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии... I выпуск, გვ. 135-139.
[123] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 22.
[124] Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии… I выпуск, გვ. 133-135, 138-139.

სის სხდომაზე პავლე პოტიომკინმა განაცხადა, რომ რუსული ანალოგის მსგავსი ქართული მონეტის მოჭრა შესაძლებელი იყო, თუმცა ასეთ მონეტაზე ერთ მხარეს იმპერატორი უნდა ყოფილიყო გამოსახული, ხოლო მეორე მხარეს – ქართული გერბი, ან ნებისმიერი ქართული სიმბოლო. აღნიშნული სხდომის ჩანაწერიდან ცალსახად დასტურდება ის ფაქტი, რომ მონეტის საკითხი ქართულ მხარეს არ დაუყენებია და მასზე მსჯელობის დაწყება პავლე პოტიომკინისაგან მომდინარეობდა.[125]

როგორც ირკვევა, რუსული მხარისათვის ამ საკითხს საგანგებო მნიშვნელობა ჰქონია, რადგან კავკასიის ხაზის მთავარსარდლის წინადადებას შესაბამისი რეაგირება იმპერატორის მხრიდანაც მოჰყვა. კერძოდ, მონეტის მოჭრის საკითხი 1783 წლის 30 სექტემბრის ეკატერინე II-ის ბრძანებაშიც აისახა. გრიგოლ პოტიომკინისათვის განკუთვნილ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ერეკლეს მონეტის მოჭრის ნებართვა ეძლეოდა, რომელზეც მეფის გამოსახულება იქნებოდა, ხოლო მეორე მხარეს ქართლ-კახეთის სამეფო გერბი განთავსდებოდა. ქართლ-კახეთის სამეფო გერბის თავზე კი ორთავიანი არწივი უნდა ყოფილიყო გამოსახული, როგორც რუსეთის იმპერატორის მფარველობისა და უზენაესი ძალაუფლების სიმბოლო თავისი ქვეშევრდომების მიმართ.[126]

ერეკლე II სხვადასხვა ტიპის ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს ჭრიდა, რაც გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგაც არ შეწყვეტილა.[127] ზოგადად, ფულის მოჭრასთან დაკავშირებით ერეკლეს იმპერატორის ნებართვა არ სჭირდებოდა და ეს ტრაქტატის მეექვსე არტიკულითაც იყო დადასტურებული. აღნიშნული არტიკულის მიხედვით, ქართლ-კახეთის მეფე ქვეყნის საშინაო საქმეებში, მათ შორის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საკითხში, სრულ თავისუფლებას ინარჩუნებდა.[128] შესაბამისად, პავლე პოტიომკინის მოსაზრება, ისევე როგორც იმპერატორის ბრძანება აშკარად სპეციფიკური ტიპის მონეტის მოჭრის უფლებას ეხებოდა და არა ქართლ-კახეთის სამეფოს ზოგად სამონეტო პოლიტიკას. ისიც ცხადია, რომ ამ საკითხის დარეგულირებით რუსული მხარე გარკვეული პრობლემის გადაჭრას ისახავდა მიზნად.

---

125 Из истории российско-грузинских отношений, გვ. 203-206.

126 Полное собрание законов Российской империи. т. XXI, გვ. 1025-1026.

127 იხ.: ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. ავტორები: თ. დუნდუა, გ. დუნდუა, შემდგენლები: ა. ბოშიშვილი, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე და სხვები. თბ. 2015, გვ. 29-55, 96-119.

128 გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 69.

მოხმობილი ცნობების საფუძველზე, სრულიად ლოგიკურია, რომ რუსული მხარის მიერ წამოჭრილი საკითხი 1781 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილ სპილენძის მონეტებთან დავაკავშიროთ. როგორც ცნობილია, დასახელებული მონეტის შუბლზე ვხვდებით ასომთავრული შრიფტით ერეკლეს სახელს, ქვემოთ სპარსულად მოცემულია მონეტის მოჭრის ადგილი („იჭედა თბილისს“) და თარიღი ჰიჯრით. მონეტის ზურგზე კი გამოსახულია ორთავიანი არწივი, მის ქვემოთ სხვადასხვა თარიღი – 1781, 1787, 1789, 1791. 1796 წელს მოჭრილ მონეტაზე ერთთავიანი არწივია გამოსახული.[129]

ერთი სიტყვით, ერეკლე II-მ, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე ორი წლით ადრე, საკუთარი სახელით მოჭრილ მონეტაზე ის სიმბოლო გამოსახა, რომელიც წარსულში ბიზანტიის იმპერიის გერბს წარმოადგენდა, იმ დროისათვის კი რუსეთის იმპერიის, ასევე ჰაბსბურგთა იმპერიის, გერბი იყო.

ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ 1783 წლის 21 ივლისის სხდომაზე პავლე პოტიომკინი რუსული მონეტის ქართულ ანალოგში სწორედ ორთავიანი არწივის გამოსახულებიან მონეტას გულისხმობდა. ეს გარემოება დაკონკრეტებულია ეკატერინე II-ის ბრძანებით, რომელიც სწორედ ორთავიანი არწივის ქართულ მონეტაზე გამოსახვას ეხება.

ერეკლე II-ის აღნიშნულ მონეტებთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებს ვხვდებით.[130] ნაშრომის მოცულობიდან გამომდინარე, ამჯერად ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებს დეტალურად არ განვიხილავთ და მოკლედ ჩამოვაყალიბებთ ჩვენს შეხედულებას.

პავლე პოტიომკინის შენიშვნიდან, ისევე როგორც იმპერატორის სპეციალური ბრძანებიდან, ნათლად იკითხება, რომ რუსული მხარისათვის ერეკლეს სახელით მსგავსი ტიპის მონეტის მოჭრა მიუღებელი იყო. რეალურად, ეკატერინე II-ის ბრძანებით საქართველოში ამგვარი მონეტის მოჭრა იკრძა-

[129] იხ.: ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი, გვ. 33-36, 101-104.

[130] იხ.: Д. Капанадзе. Грузинская нумизматика. Москва, 1955, 126; Е. Пахомов. Монеты Грузии. Тбилиси, 1970, გვ. 263-268; გ. დუნდუა. თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. II ნაწილი. თბ. 2011, გვ. 131-133; T. Dundua, A. Chikobava. Coin as a Means of Propaganda (According to the 12th – 18th cc. Georgian Money). Materials in Archaeology and History of Ancient and Medieval Crimea. Archaeology, History, Numismatics, Sigillography and Epigraphy. volume 8. Sebastopol, Tyumen, Nizhnevartovsk, 2016, გვ. 604, 612 https://www.academia.edu/38710335/Tedo_Dundua_Akaki_Chikobava_COIN_AS_A_MEANS_OF_PROPAGANDA_ACCORDING_TO_THE_12TH_18TH_CC_GEORGIAN_MONEY_Materials_in_Archaeology_and_History_of_Ancient_and_Medieval_Crimea_Vol_8_2016; T. Dundua. Georgia and European Integration: Past, Present, Future. Tbilisi, 2023, გვ. 184-187 https://www.academia.edu/108769509/Georgia_and_European_Integration_Past_Present_Future_Tb_2023 და სხვ.

ლებოდა. ერეკლეს ორთავიანი არწივის მონეტაზე გამოსახვის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უტოვებდნენ, თუ ის ქართული გერბის ზემოთ განთავსდებოდა და ამით არაორაზროვნად გამოჩნდებოდა რუსეთის იმპერატორის უზენაესი ძალაუფლება ქართულ სამეფოზე.

რაც შეეხება დასახელებული მონეტის 1781 წელს მოჭრის მიზეზებს, ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ერეკლე II-ის რეგიონალურ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1780 წლის აგვისტოში ქართლ-კახეთის მეფემ ერევნის სახანოს წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო, რასაც წინ უძღოდა რუსეთის იმპერიის მესვეურების მიერ სომხებისადმი გაცემული დაპირებები მფარველობის გაწევისა და სომხური სახელმწიფოს აღდგენის შესახებ. ომან ხერხეულიძე აღნიშნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით ერთ მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. მისი გადმოცემით, მას შემდეგ რაც ქართულმა ჯარმა ერევნის ხანის წინააღმდეგობა დაძლია, ერეკლე II ეჩმიაწინისაკენ გაემართა, სადაც მას „მოეგება არქივატერი, ვითაცა აქვნდათ ჩვეულება ქრისტიანე მეფის მოგებებისა, ყოვლის თავისის სამღვდელოს დასითა, დიდებითა დიდითა, ხატითა და ჯვრითა. შეუძღვა არქივატერი საყდარსა შინა ეჩმიაწინისასა. მოახსენა შესხმა, თვით გარდიხადეს წესისამებრ მათისა სამადლობელნი ლოცვანი. ემთხვია მეფე წ(მიდ)ათა ნაწილთა და წ(მიდ)ასა ლახვარსა ქრისტესსა. მუნით აბრძანდა პალატსა შინა. არქივატერმა ისტუმრა. მრავალნი ფეშქაშნი ნივთნი და თეთრი მოართვნა. ძელისა ჭეშმარიტისა ნაწილნი და წმიდისა გრიგოლისა სომხითის ეპისკოპოსისა, რომელმაცა მოაქცია სომხითი პ(ირველა)დ ქრისტეს სარწმუნოებასა ზ(ედ)ა, წ(მიდ)ისა დიდისა მოწამისა რიფსიმას თავისა ნაწილისაგან, წ(მიდი)სა ღმერთშემოსილისა მამისა იაკობისა. გასინჯა მეფემან პალატნი, სასწავლებელნი, პალატნი და შესაკრებელნი მათნი და მუნით მრავლითა მხიარულებითა წარმობრძანდა საქართველოსაკენ“. ამავე ლაშქრობის დასასრულს, მეფემ „აჰყარა სომეხნი ზოგნი ერევნით და გადმოასახლა საქართველოსა ადგილთა...“.[131]

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფის ეჩმიაწინისაკენ დემონსტრაციულ სვლას კათოლიკოსისა და სომხური სამღვდელო დასის მხრიდან პომპეზური დახვედრა მოჰყვა. მათ ერეკლე II-ის, როგორც ქრისტიანი მონარქის სახელზე სამადლობელო ლოცვა აღავლინეს. ეჭვგარეშეა, ამ დემარშით ერეკლემ რუსეთის იმპერიისაგან დაიმედებულ ეჩმიაწინის კათოლიკოსსა და რეგი-

[131] ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 96-97.

ონში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობას შეახსენა, რომ მათი რეალური მფარველი მხოლოდ და მხოლოდ თვითონ იყო. აღნიშნული დემარშის შემდგომ კი, მის საწინააღმდეგოდ განწყობილი სომხური მოსახლეობის ერთი ნაწილის საქართველოში გადმოსახლებით, ისინი პრაქტიკულად დასავჯა.

ჩვენი აზრით, ერევნის ლაშქრობის დასრულებიდან (1780 წლის შემოდგომა) მოკლე ხანში, ორთავიანი არწივის გამოსახულებიანი მონეტების ემისია ამ მოვლენების გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. როგორც ჩანს, ერეკლე II ქრისტიანების მფარველი ქვეყნის ტრადიციული გერბის მონეტებზე გამოსახვით რეგიონში საკუთარ უპირატესობას უსვამდა ხაზს.[132]

ამ მხრივ საყურადღებოდ გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ პირველად სწორედ 1781 წელს გაცემულ საბუთებზე გვხვდება მეფის ახალი, ხუთენოვანი, ბეჭედი. ბეჭედზე მეფის სახელი – „ირაკლი“ – წარმოდგენილია ქართულ, ბერძნულ, სომხურ, სპარსულ და ლათინურ ენებზე.[133] ერეკლეს მხრიდან მსგავსი ბეჭდის გამოყენება, თავისთავად, მისი ამბიციების გაზრდის მანიშნებელია – ქართლ-კახეთის მეფე აღნიშნული ბეჭდით დამოწმებულ საბუთებს პოტენციურად უკვე რეგიონის მთელი მოსახლეობისათვის გასცემდა.

ქართველი მეფის პროპაგანდისტული ნაბიჯი, რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიისათვის მიუღებელი იქნებოდა, რასაც მათი მხრიდან შესაბამისი რეაგირებაც მოჰყვა. დასახელებული მონეტების ემისიის შეჩერება სწორედ რუსული მხარის მიღებულ ზომებს უნდა უკავშირდებოდეს.

ორთავიანი არწივის გამოსახულებით მონეტის მოჭრა ერეკლემ მხოლოდ 1787 წელს განაახლა, როდესაც ტრაქტატის პირობები ორივე მხარის მიერ მრავალჯერ დარღვეული იყო და რუსეთის იმპერიის მფარველობა უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

1796 წელს ერთთავიანი არწივის გამოსახულებიანი მონეტების მოჭრაც პოლიტიკური ვითარების ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ცნობილია, აღა-მაჰმად ხანის თბილისში ლაშქრობის შემდეგ, კონკრეტულად 1795 წლის ბოლოს, საქართველოში ორი რუსული ბატალიონი შემოვიდა. მომდევნო წლის დასაწყისში კი რუსეთის იმპერიის ჯარებმა ვალერიან ზუბოვის ხელმძღვანელობით სამხრეთ კავკასიაში ლაშქრობა დაიწყეს, რასაც

[132] ისიც აღსანიშნავია, რომ ორთავიანი არწივი ქართველ მეფეების სიმბოლიკაში მანამდეც ფიგურირებდა. მაგალითად, ორთავიანი არწივის გამოსახულებას გიორგი XI-ის, დავით II-ისა და ვახტანგ VI-ის გაცემული სიგელებზეც ვხვდებით. იხ.: ნ. ჯავახიშვილი. საქართველოს სახელმწიფო გერბის ისტორია. ნაწილი III. ისტორიანი. № 111. თბ. 2020, გვ. 21.

[133] ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. კატალოგი. ნაწ. I. თბ. 1978, გვ. 24, 39.

საქართველოში დამატებითი ჯარის შემოსვლა მოჰყვა. ცხადია, ერეკლე მსგავს პირობებში ეკატერინე II-ის მიერ აკრძალული მონეტის მოჭრას ვეღარ გაბედავდა. ორთავიანი არწივის ერთთავიანი არწივით ჩანაცვლება სწორედ აღნიშნულ გარემოებას უნდა უკავშირდებოდეს.

ეკატერინე II-ის ნებადართული მონეტის გარეგნული აღწერილობის პრაქტიკული ნიმუში წარმოდგენილია გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებული ქართული ვერსიის შეკიდულ ბეჭედზე (ლუქზე გაკეთებული ბეჭდის ანაბეჭდზე).[134] როგორც ზემოთ აღინიშნა, პავლე პოტიომკინი 1783 წლის 24 დეკემბრის წერილით ერეკლეს სპეციალურად მისთვის დამზადებული ბეჭდის გაგზავნას აუწყებდა – „მომირთმევია თქვენის უმაღლესობისათვის მოჭრილი სამეფო ბეჭედი“.[135] რადგან, რუსული მხარე რატიფიკაციის ჩატარებას წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით ითხოვდა, ეჭვგარეშეა, რომ ერეკლესაგან სარატიფიკაციო სიგელის დამოწმებას მათივე გამოგზავნილი სამეფო ბეჭდით მოითხოვდნენ. ტრაქტატის რატიფიცირებული ქართული ვერსიის შეკიდული ლუქის ანაბეჭდზე სწორედ ქართული გერბია გამოსახული, რომლის ზემოთ ორთავიანი არწივია მოთავსებული.

უფრო დეტალურად რუსეთიდან გამოგზავნილი სამეფო ბეჭედი (ანუ ანაბეჭდი წითელი ფერის ლუქზე, რომელიც ჩასმულია ლითონის ქილაში) ასე გამოიყურება: ნაპირზე შემოვლებულ ორ ხაზს შორის მოქცეულ ზოლში ასომთავრულად: „წყალობითა ღ-თისათა ჩუ(ნ) ირაკლი ბ (II). მეფე ქართლის და კახ-თისა და სხუათა“. ბეჭდის ცენტრში მოთავსებული დიდი ფარი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ზედა ნაწილში გამოსახულია რუსეთის იმპერიის გერბი – ორთავიანი არწივი, რომელსაც მარცხენა კლანჭით კვერთხი უჭირავს, მარჯვენათი – ჯვრით დაბოლოებული სფერო. ფარის ქვედა ნაწილი კი გაყოფილია ოთხი თანაბარი ზომის პატარა ფარად, რომელთა ცენტრში ზემოდან მოთავსებულია კიდევ უფრო მცირე ზომის ფარი უფლის კვართის გამოსახულებით. ოთხ ფარზე მოცემულია: ჯვრით დაბოლოებული სფერო, დავითის ქნარი, გადაჯვარედინებული კვერთხი და ხმალი, დავითის შურდული. დიდ ფარს არტყია ეკატერინე II-ის მიერ 1769 წელს ერეკლესათვის გადაცემული წმ. ანდრია პირველწოდებულის ჯაჭვიანი ორდენი, თავზე კი გვირგვინი ადგას.[136] დიდი ფარის გარშემო 10 მომცრო ფარია განლაგებული,

[134] ხეც. Hd-15110.

[135] ხეც. H-2300, ფ. 35-37.

[136] თ. ასათიანი. ქართული გერბმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბ. 2010, გვ. 24; გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 28.

რომლებიც წარმოადგენენ ერეკლეზე დაქვემდებარებულ და საპრეტენზიო სამფლობელოებს. ათივე სამფლობელოს გერბს გვირგვინები ადგას თავზე.

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ფარის გარშემო განთავსებულ 10 მომცრო ფარზე გამოსახული სიმბოლოების მნიშვნელობა სრულყოფილად დადგენილი არ არის.[137] როგორც ზემოთ აღინიშნა, ერეკლე II-მ ტიტულთან დაკავშირებული მოთხოვნის წამოყენების პარალელურად, 1783 წლის 28 ივნისს რუსულ მხარისათვის გადასაცემად სპეციალური საბუთი შეადგინა, რომელშიც სწორედ ტიტულში ჩამოთვლილი სამფლობელოების გერბები იყო აღწერილი. ხოლო, ალექსანდრე ბეზბოროდკოს 1783 წლის 21 აგვისტოს მითითებით ტიტულთან დაკავშირებული ერეკლეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა.[138] შესაბამისად, სპეციალურად დამზადებულ ბეჭედზე, სამეფოს გერბთან და ორთავიან არწივთან ერთად, ერეკლეს მიერ აღწერილი გერბები განთავსდა, რომელთა ნაწილი ვახუშტი ბატონიშვილისეულ ვერსიებს არ ემთხვევა. 10 მცირე ფარზე გამოსახულია: „ქ. ქართლის ღერბი – მთა ორი ისრით; ქ. კახეთის ღერბი – წმინდა გიორგი ცხენზედ მჯდომი; ქ. ერევნის ღერბი – არარატის მთა კიდობნით; ქ. განჯის ღერბი – სამთა ყრმათა სახმილი; ქ. სა[ა]თაბაგოს ღერბი – ტბა მონასტრით; ქ. ყაზახის ღერბი – ჰელი და შუბი ეჭიროს; ქ. ბორჩალუს ღერბი – ჯრმალი სიგრძეზედ; ქ. შამშადილისა – თოფი; ქ. შირვანისა – მგელი; ქ. შაქისა მელა“.[139] რაც შეეხება ტიტულში წარმოდგენილ კიდევ ერთ სამფლობელოს – კაკს, ერეკლეს მიერ გაცემული საბუთი მას არ ეხება და არც პეტერბურგში დამზადებულ სამეფო ბეჭედში აისახა. ამის მიზეზი კი ის უნდა ყოფილიყო, რომ კაკში ერთი კონკრეტული სამფლობელო არ იგულისხმებოდა. ეს მხარე მოიცავდა, როგორც ელისუს მცირე სასულთნოს, ასევე თავისუფალი მეთემეებით დასახლებულ ჭარ-ბელა-

[137] ვ. მაჭარაძის აზრით, 10 ფარზე არსებული გამოსახულებები არც საქართველოსა და არც კავკასიის პროვინციების გერბებს არ წარმოადგენენ. იხ.: გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 28.
ყველა სიმბოლოს ზუსტი მნიშვნელობა არც თ. ასათიანის ნაშრომშია მოცემული. იხ.: თ. ასათიანი. ქართული გერბმცოდნეობა, გვ. 42-43; თ. ასათიანი. საქართველოს სამხარეო გერბები. ჰეროლდი. № 1. თბ. 2010, გვ. 34.
ნ. ჯავახიშვილმა 10 ფარზე განთავსებული გერბების უმეტესობა სწორად განსაზღვრა. იხ.: ნ. ჯავახიშვილი. პირველი ქართველი ჰერალდიკოსი და ნუმიზმატი მეფე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II. თბ. 2011, გვ. 300-301; ნ. ჯავახიშვილი. საქართველოს სახელმწიფო გერბის ისტორია. ნაწილი IV. ისტორიანი. № 113. თბ. 2020, გვ. 24-29.

[138] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 7, მე-3 სქოლიო.

[139] სეა. ფ. 1449, საბ. 2280.

ქანის ტერიტორიას. ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფო კარმა ამ პროვინციის გერბით აღნიშვნა მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

ერთი სიტყვით, ეკატერინე II-მ ერეკლეს რუსეთის იმპერიის მფარველობის აღმნიშვნელი მონეტის მოჭრის რეკომენდაცია მისცა, ხოლო ამ მონეტის მაკეტი საგანგებოდ გამოგზავნილ სამეფო ბეჭედზე ასახა. ბეჭედზე გამოსახულ სიმბოლოებს კი ქართლ-კახეთის სამეფოს ახალი გერბის ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

როგორც ცნობილია, გეორგიევსკის ტრაქტატის მესამე არტიკულის მიხედვით, ქართველ მონარქებს რუსეთიდან ეგზავნებოდათ „ბოვრაყი ანუ დროშა ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მჭონებელი საშუალ თჳსსა ჴსენებულთა სამეფოთა ღერბისა, ჴრმალი, კუჱრთხი საბრძანებელი, მანტია ანუ წარმოსასხმელნი ყარყუმისა“. გარდა ამისა, მეფედ კურთხევის შესახებ შედგენილი დამატებითი არტიკული ქართველი მეფეებისათვის სამეფო გვირგვინის გაგზავნასაც ითვალისწინებდა.[140] ხოლო, ჯერ კიდევ 1769 წლის ბოლოს ერეკლეს ებოძა რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო – წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი.[141]

რუსეთიდან გამოგზავნილი ხმალი, კვერთხი, მანტია და გვირგვინი, ასევე ადრე გადაცემული ორდენი, თუ ერეკლეს პირად სამეფო ნიშნებს წარმოადგენდა, სულ სხვა დატვირთვა უნდა შეეძინა მონეტას, სამეფო ბეჭედს, ე.წ. ახალ სამეფო გერბსა და დროშას. აღნიშნული სიმბოლოების გამოყენებით საქართველოში რუსეთის იმპერიის მფარველობის საჯარო დემონსტრირება უნდა მომხარიყო.

რუსეთის საიმპერატორო კარის სურვილის მიუხედავად, ორთავიანი არწივის გამოსახულებიანი მონეტების ემისიის 1783-1786 წლებში შეჩერების პარალელურად, ერეკლე II-ს იმპერატორის მიერ ნებადართული მონეტა არ მოუჭრია.

რაც შეეხება პეტერბურგიდან საგანგებოდ გამოგზავნილ სამეფო ბეჭედსა და მასზე განთავსებულ ე.წ. ახალ ქართულ გერბს, ამ მხრივაც საინტერესო ვითარება იკვეთება. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთების აბსოლუტური უმრავლესობა მისი სახელის აღმნიშვნელი ბეჭდებით არის დამტკიცებული.[142] თუმცა, ზოგიერთ სიგელზე გერბიან სამეფო ბეჭედსაც ვხვდებით.

[140] გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 68, 72.

[141] ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ. 1995, გვ. 68.

[142] იხ.: ა. ბაქრაძე. მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. კატალოგი. ნაწ. I,

1783 წლის 28 ივნისს გაცემული ელჩების რწმუნების სიგელი სწორედ ამგვარი ბეჭდით არის დამოწმებული. სიგელის შეკიდულ ბეჭედზე (იგულისხმება ანაბეჭდი ლუქზე) ქართლ-კახეთის სამეფოს გერბია წარმოდგენილი. გერბის ცენტრალურ ნაწილში ფარია მოთავსებული, რომელიც იყოფა ოთხ თანაბარ ნაწილად (ფარად). ხოლო, მათ ზემოთ ცენტრში მოთავსებულია მცირე ფარი, რომელზეც გამოსახულია ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც ლახვრავს გველეშაპს. ოთხ ფარზე კი გვხვდება ჯვრით დაბოლოებული სფერო, დავითის ქნარი, გადაჯვარედინებული კვერთხი და ხმალი, დავითის შურდული. დიდი ფარის გვერდებზე კი უკანა თათებზე შემდგარი ორი ლომია. დიდი ფარის ქვემოთ გამოსახულია ორნამენტი, ხოლო ზემოთ – სამეფო გვირგვინი. ბეჭედს გარშემო წერტილებით ჩარჩო აქვს შემოვლებული.[143] მაღალი ხელოვნებით შესრულებული ბეჭედი ქართლ-კახეთის სამეფოში, ცხადია ტრაქტატის დადებამდე გამოიყენებოდა, რაც იოანე ბაგრატიონისა და გარსევან ჭავჭავაძის რწმუნების სიგელის დამოწმებითაც დასტურდება. თუმცა, ტრაქტატის დადების შემდეგაც, ერეკლე II გერბიანი სამეფო ბეჭედით დამოწმების დროს, მხოლოდ და მხოლოდ, ზემოთ დასახელებულ ბეჭედს იყენებდა. მაგალითად, მეფის მიერ 1785 წლის 15 ივნისს ვაჭარ ამროსიანთ დავითის ძე ოჰანეზასათვის მიცემულ აზნაურობის დამტკიცების სიგელი სწორედ ქართლ-კახეთის გერბიანი სამეფო ბეჭდითაა დამოწმებული.[144] ასევე, 1780-იან წლებში ერეკლეს მიერ რუსეთში გაგზავნილი წერილების კონვერტები ქართულ გერბიანი ბეჭდით არის დალუქული.[145]

ამდენად, გადაჭრით შეიძლება ითქვა, რომ ერეკლე II-ს პეტერბურგიდან საგანგებოდ გამოგზავნილი სამეფო ბეჭედი და მასზე განთავსებული ე.წ. ახალი სამეფო გერბი, გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაციის გარდა, არასოდეს გამოუყენებია.

რუსეთის გერბიან დროშასთან დაკავშირებით გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, თუმცა ეპოქის თანადროული ქართული წყაროებით არც მისი გამოყენების ფაქტები ფიქსირდება.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ რუსეთის იმპერატორზე დამოკიდებულება მეფის ტიტულატურაშიც არ აისახა. ანალოგიურად, ამ ფაქტს

გვ. 39.

143 იხ.: გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 25.

144 ხეც. Hd-1543.

145 იხ.: გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, გვ. 25, მე-2 სქოლიო.

არც ქართულ ეკლესიებში ახსენებდნენ, ვიდრე 1800 (ან 1801) წელს დავით ბატონიშვილს სპეციალური ბრძანებით არ მოუთხოვია, რომ „ეკლესიაში მოიკსენიეთო რუსის იმპერატორი, მერე მეო მემკუდრეობით“.[146]

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-მ რუსეთის იმპერიაზე დამოკიდებულების აღმნიშვნელ სიმბოლოებზე პრაქტიკულად უარი განაცხადა.

წამოჭრილ საკითხთან მიმართებით, ასევე ძალიან საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა თანადროული ქართული წერილობითი წყაროების ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II-მ გეორგიევსკის ტრაქტატით იმპერატორის უზენაესობა აღიარა და პეტერბურგის საიმპერატორო კარზე გაგზავნილ კორესპონდენციებში თავს იმპერატორის „უმდაბლეს მონას“ უწოდებდა,[147] განსხვავებულ ვითარებას ვხვდებით ქვეყნის შიგნით. მეფის მიერ გაცემულ იმ მრავალრიცხოვან სიგელებში, რომლებიც ქართლ-კახეთის მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი, რუსეთის მფარველობა და იმპერატორის უზენაესობა ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები. ამავე დროს, დასახელებული ეპოქის დიდი ოდენობის ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნებისა და მათი ანდერძ-მინაწერების ანალიზი ცხადყოფს, რომ ერეკლეს მეფობაში ტრაქტატის ტექსტი საქართველოში არ გასაჯაროებულა.[148] უფრო მეტიც, მფარველობის საკითხი საერთოდ არ არის ნახსენები იმ წყაროებში, რომლებიც იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყო, იქნება ეს საისტორიო თხზულებები, კერძო საგვარეულო ქრონიკები თუ სხვა სახის ხელნაწერი წიგნები.

რა თქმა უნდა, დასახელებულ ქართულ წერილობით წყაროებში 1780-იანი წლების რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ ბევრ საინტერესო დეტალს ვხვდებით. ეს ეხება ზოგად ურთიერთობებსაც და კონკრეტულ ფაქტებსაც, მათ შორის რუსული ბატალიონების შემოსვლას, მათი მონაწილეობით გამართულ ბრძოლებს, 1784 წელს პავლე პოტიომკინის თბილისში ჩამოსვლას და სხვა მოვლენებს. რიგ შემთხვევაში ისეთი უმნიშვნელო დეტალებიც კი აღწერილია, როგორსაც ე.წ. „შალიკაანთ“ კუთვნილ ტყავის სახარების მინაწერზე ვკითხულობთ: „ყოვლად მოწყალის ჰელმწიფის ეკატერინეს ჯარი მოვიდა საქართველოში გიორგობის: ბ: (2) საბურთალოზე, ქკს:

[146] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III, გვ. 454.

[147] სეა. ფ. 1449, საბ. 2800 და სხვ.

[148] განსხვავებით რუსეთისაგან, სადაც ძირითადი ტექსტი დაიბეჭდა და ევროპის ქვეყნებში გასავრცელებლად რამდენიმე ენაზე ითარგმნა.

უოა: (1783) ამათ მე მიმაგება ნაზირი შალიკოვი იოანე მეორე ირაკლი მეფემ, სახელოვანმან ჰელმწიფემ".[149] იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში" ისიც დაფიქსირებულია, რომ იმ პერიოდში მეზობელი მუსლიმური ქვეყნები „რუსის მიზეზით" ქართველების „დიდად მოძულენი" გამხდარან.[150] სოლომონ ლიონიძე კი თავის „მოთქმით ტირილში" ერეკლეს დამსახურებებს შორის ასახელებს ეკატერინე II-ის თანამებრძოლეობას, დამხმარე რუსული ჯარის ქვეყანაში შემოყვანას, „კეისართაგან" ტახტის, გვირგვინის, პორფირის და „ბავრაყის" მიღებას,[151] თუმცა არც მის სიტყვაში და არც იმ სახის ქართულ წყაროებში, რომლებიც იმდროინდელი მოსახლეობისათვის ცნობილი იყო, ტრაქტატის გაფორმებასა და იმპერატორის მფარველობაში ერეკლეს შესვლის საკითხზე არაფერია ნათქვამი.[152] აღნიშნულ წყაროებში ქართულ-რუსული ურთიერთობიდან მხოლოდ ის ფაქტები აისახა, რის შესახებაც მოსახლეობა ინფორმირებული იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტრაქტატის დადება საქართველოში საჯაროდ არ გახმაურდა. როგორც ჩანს, ერეკლეს არ სურდა, რომ საკუთარი მოსახლეობის წინაშე თავი უცხო სახელმწიფოზე დამოკიდებულად გამოეცხადებინა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სწორედ მსგავს დამოკიდებულებას ვხვდებით ქართლ-კახეთის მეფის ირანთან და ოსმალეთთან უთიერთობის შემთხვევებშიც. მაგალითად, არსებული მონაცემებით აშკარაა, რომ 1778 წელს ერეკლე II ოსმალეთის სულთნის მფარველობაში შევიდა,[153] ხოლო ქართულ წყაროებში ეს მოვლენა აღწერილია, როგორც თანაბარუფლებიანი სამშვიდობო შეთანხმება. ძირითადი ყურადღება კი სულთნის მიერ

149 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III, გვ. 380.

150 იხ.: იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 100, 105, 107; ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 72-73, 98-101; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი III და სხვ.

151 პლატონ იოსელიანი. ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა. რედ. აკ. გაწერელია. თბ. 1978, გვ. 52-57.

152 ქართულ ნარატიულ წყაროებში მფარველობის საკითხი მხოლოდ XIX საუკუნიდან აისახა. იხ.: შედეგი კახეთის ცხოვრებისა. საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ. ტფილისი, 1913; თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქაშვილმა. თბ. 1983, გვ. 58 და სხვ.

153 იხ.: მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70–80-იანი წლების მიჯნაზე, გვ. 679-680.

მეფისათვის გამოგზავნილ ძვირფას საჩუქრებზეა გამახვილებული, რაც ერეკლეს დამსახურებადაა წარმოჩენილი.[154]

საბოლოოდ, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი არ გაფორმებულა ისე უმტკივნეულოდ, როგორც ეს აღწერილია XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის ეპოქის ისტორიკოსებისა და საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების ნაშრომებში. წყაროებიდან ნათლად იკვეთება, რომ მხარეებს შორის წინააღმდეგობა მრავალ საკითხზე არსებობდა. ხოლო, ერეკლე II მძლავრ იმპერიასთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში ქვეყნის ინტერესების დაცვას შეძლებისდაგვარად ცდილობდა.

[154] იხ.: ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 91-92; იესე ბარათაშვილი ცხოვრება-ანდერძი, გვ. 86.

***Apolon Tabuashvili***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## SOME DETAILS REGARDING THE TREATY OF GEORGIEVSK

Summary

Much has been written about the treaty of Georgievsk and numerous aspects concerning to this topic have been properly analyzed. Nevertheless, in our opinion, there are still some issues related to the treaty of Georgievsk that need further research.

As we know, the final version of the agreement between the Russian Empire and the Kingdom of Kartli-Kakheti was approved by the Russian Emperor in February 1783, and it was presented to Erekle II in the middle of May of the same year. The king of Kartl-Kakheti delayed the process for about a month and a half. The fact was that it was during this period that the information was spread about the liquidation of the Crimean Khanate and its annexation by the Russian Empire. It seems that this fact made the king think a lot and put forward a new suggestion – he demanded to reflect the right of coronation of Georgian monarchs as kings in the agreement. Archival documents prove that in the letter sent at the end of June 1783, Erekle II requested an additional guarantee for safeguarding his kingdom. Pavel Potemkin, the commander-in-chief of the Caucasus Line, had no right to include it in the treaty without the emperor's permission. Hence, this issue was not reflected in the treaty. Due to this fact, Erekle II was clearly dissatisfied and sent his representative Sulkhan Tumanishvili to St. Petersburg immediately after the return of the Georgian delegation to his homeland. This time, Erekle categorically demanded to reflect the issue of coronation in the treaty. Finally, in September 1783, the Russian emperor approved demands of Erekle II. An additional article was written, according to which the Georgian monarchs were allowed to be crowned as king. According to above-mentioned article Erekle II received from the Russian government an even stronger guarantee of the protection of his kingdom based on the legitimate treaty.

One of the demands put forward by Erekle II was the issue of Catholicos. As it is known, the independence of the Georgian Church was limited by the treaty of Georgievsk. In response to this, the king focused on the autocephaly of the Georgian Church and asked the Russian side to take this fact into account. In this regard, the activity of the Georgian king brought certain results.

The another disputed issue was related to the territorial claims of the Georgian king. Erekle II claimed both the south-western Georgia conquered by the Ottomans and the neighboring khanates. On the other hand, the Russian Empire planned to take the khanates of the region under its protection and hoped for the help of the Georgian king in this matter. Even before the signing of the treaty, the Georgian side put forward a proposal that the territorial claims of Erekle II should be reflected in his titulature, although the Russian representatives did not meet this request at the time. In such conditions, even the Georgian king refrained from helping the Russians in Azerbaijan, for which Pavel Potemkin expressed his concerns towards the actions of the Georgians. Finally, a certain agreement was reached between the parties – the final version of the treaty included titulature of Erekle the way it was requested by the Georgian side. According to the above-mentioned titulature, Russia recognized Erekle's rights to the khanates of Yerevan, Ganja, Sheki and Shirvan, also Kaki (Sultanate of Elisu and Jar-Balakan) neighbouring Kartli-Kakheti Kingdom. At the same time, the king was announced as the heir of Samtskhe-Saatabago. On the other hand, the Georgian king sent his representatives to the khanates of Karabakh and Khoy and promised to act in favor of the interests of the Russian Empire.

As for the form of address, according to the Treaty of Georgievsk, the Georgian king was referred to by the lower epithet. According to the Georgians, Erekle II was traditionally named as “Highness”, a more elevated epithet, hence they demanded the official establishment of the same epithet for their king. As a result, the Imperial court of Russia agreed to the above-mentioned request of the Georgians.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX**
**თბილისი. 2023**

***აკაკი ჩიქობავა***
ისტორიის დოქტორი, თსუ

# რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოში, „ეკონომიკური რუსიფიკაცია“[1]

ქართლ-კახეთის ანექსიისა და საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის ნელ-ნელა დაპყობის თანადროულად, რუსეთის საიმპერიო ხელისფლბა საქართველოში საკუთარი მმართველობის განმტკიცებას სხვადასხვა ხერხებით ცდილობდა. XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში რუსეთის გამარჯვებამ, საიმპერატორო კარს საშუალება მისცა დაეწყო ამიერკავკასიის სრული და ყოველმხრივი დაქვემდებარება. ამისთვის საჭირო იყო საკუთარი მომხრეების მეტროპოლიიდან ამიერკავკასიასში ჩასახლება და ადგილზე აქტიური მხარდამჭერების გაჩენა. გადმოსახლებულები იმპერიას საჭირო მიწის ნაკვეთებით უნდა დაეკმაყოფილებინა და შესაბამისი საწარმოო საშუალებები დაერიგებინა, რომელიც მათ საკუთარი მეურნეობის გამართვაში დაეხმარებოდა.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მერვე ტომში, ნათქვამია, რომ ნიკოლოზ პირველის ბრძანებით, კავკასიის არმიის სარდალს, ბარონ როზენს დაევალა შეედგინა პროექტი კავკასიაში რუსების განსახლებისა. კავკასიაში უნდა ჩაესახლებინათ ის პირები, რომელთაც 15 წელი უკვე იმსახურეს სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახურში, ისინი აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ დაოჯახებულები. ამდაგვარი მიდგომით, ნიკოლოზ პირველი ყოფილი სამხედრო და ადმინისტრაციული კადრებით იმპერიის მმართველობის განმტკიცებას ვარაუდობდა, ასევე, რუსებთან კავკასიელი ხალხების მეტ-ნაკლე-

[1] სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში“. აღნიშნული ნარკვევი წარვადგინე კონფერენციაზე – თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა V საერთაშორისო ინტერდისციპლინურ სიმპოზიუმზე. 8 ივლისი, 2023 წელი.

ბად დაახლოებას.[2] რომელიც „რუსუფიკაციის“ აუცილებელი წინაპირობა იყო.

როგორც ვხედავთ, გარდა სამხედრო და პოლიტიკური ძალაუფლების გამყარებისა, ზემოთ მოტანილი მაგილითი ერთგვარი რუსიფიკაციის მცდელობასაც წარმოადგენდა. თუმცა, რუსულ და არამარტო რუსულ ისტორიოგრაფიაში, საუბრობენ არა „რუსუფიკაციაზე“, როგორც იმპერიის ოფიციალურ პოლიტიკაზე, არამედ, „რუსიფიკაციებზე“ მრავლებით რიცხვში.[3] რუსეთის იმპერიის ნაციონალური პოლიტიკით დაინტერესებული ისტორიკოსების სვამენ კითხვას, რას გულისმობს რუსიფიკაცია, აღწერს თუ არა ის საიმპერიო ხელისფუფლების პოლიტიკას თუ მხოლოდ შეფასებითი ნაწილია? ასკვნიან, რომ რუსიფიკაცია, მხოლოდ შეფასებით კატეგორიამდე დაყვანაა, ხოლო რა იგულისხმება მის ქვეშ: ასიმილაცია, აკულტურაცია, კოლონიზაცია თუ კიდევ ბევრი რამ? როდესაც მეცნიერები რუსიფიკაციის კლასიფიკაციას ახდენენ, გამოყოფენ სამ ძირითად ნიშანს: 1. ელიტების სპონტანური რუსუფიკაცია, რომელსაც XVIII საუკუნის და უფრო ადრეული პერიოდის დამახასიათებელ ნიშნად თვლიან. 2. „ადმინისტრაციული რუსიფიკაცია“, რომელიც განიხილება ადმინისტრაციული ცენტრალიზაციის პოლიტიკის ნაწილად და მასსაც XVIII საუკუნეში ათავსებენ და 3. ძალმომრეობითი რუსიფიკაცია, რუსული ენის და მართმადიდებლობის გავრცელება, მიაკუთნებენ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისს.[4]

რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში თავდაპირველად სამი ნიშნით მიმდინაეობდა: 1. სამხედრო ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდი, 2. რეფორმების მოსამზადებელი პერიოდი და 3. ადმინისტრაციის სრული ასიმილაცია.

ზემოთ მოყვანილი რუსიფიკაციის სამი მახასიათებელიდან საქართველოში სპონტანურობის გარდა, მეტ-ნაკლებად ყველა მახასიათებელი წარმოდგენილი, ხანდახან ის შერეულ ხასიათასც ატარებდა. მართალია საწყის ეტაპზე იმპერიის ხელისუფლებამ ქართული არისტოკრატიის დასუსტება სცადა და ის პოლიტიკურ ძალაუფლბას მნიშვნელოვნად ჩამოაშორა. მიმდინარეობდა მსხვილი სათავადო სახლების დაქუცმაცების პროცესი, რითაც ქართულ არისტოკტარიას აცლიდა პოლიტიკური გავლენის ბერკეტებს. სათავადო აზნა-

[2] Акты, собранные кавказской археографичской комиссией.. (АКАК). Т 8. Тифлис. 1866, გვ. 381.

[3] John Hall. Nationalisms: Classified and Explained. Daedalus. 1993. Summer. 1; Ал. Миллер Империя Романовых и национализм. М. 2006, გვ. 54-77.

[4] Ал. Миллер. Империя Романовых и национализм, გვ. 55-56.

ურები გათავისუფლდნენ თავადების დამოკიდებულებისგან, გლეხობის ძირითადი ნაწილი კი სახაზინო გლეხების კატეგორიაში გადაიყვანეს. ამის მიუხედავად, ადმინისტრაციული ცენტრალიზაციის პროცესის შედეგად, ქართული არისტოკრატიის იმ ნაწილს, რომელიც უკვე რუსულ ყაიდაზე აღიზარდა, გარკვეული პრივილეგიები მიეცა, თუმცა მისი ადმინისტრაციული ასიმილაცია უკვე თითქმის დასრულებული ფაქტი იყო. ელიტების ასიმილაცია, რომელიც იმპერიის რუსუფიკაციის ერთ-ერთი მახასიათებელი იყო, საქართველოში განსხვავებული ფორმით მიმდინარეობდა, ის სწორედ ადმინისტრაციული ასიმილაციის ფარგლებში განხორციელდა და მას არავითარი სპონტანური ხასიათი არ ჰქონია.

რადგან ამიერკავკასია ძალით მიერთებულ მხარეს წარმოადგენდა, აქ ძალაუფლების განხორციელება ჯერ სამხედრო მმართველობით უნდა განმტკიცებულიყო, რომლის თანმდევ პროცესად სწორედ კოლონიზაციის განიხილბოდა. პირველ პერიოდში ის სწორედ სამხედრო კოლონიების ჩამოყალიბებით ხორციელდებოდა. 1837-1860 წლებში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე 10 სამხედრო კოლონია შეიქმნა, აქ არსებული თავისუფალი სახაზინო მიწების ფონდი სწორედ ამ პროცესს უნდა მოხმარებოდა.[5] თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე, არა მხოლოდ სამხედრო კოლონიები ყალიბდებოდა, არამედ რუსეთის ტერიტორიიდან საკუთარი ნებით ან სასამართლო დადგენილებითაც სახლდებოდნენ. ასე ჩნდება, დუხაბორების, მალაკნების, და სხვათა დასახლებები, ამ ხალხის უმეტესობა საიმპერატორო ხელისუფლებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და მათი დატოვება რუსეთის შიდა ტერიტორიებზე საფრთხის შემქმნელი იყო. ამ ფონზე კი რუსეთის მმართველები იმედოვნებდნენ, რომ გადასახლებულები ხელს შეუწყობდნენ მხარის რუსიფიკაციას.[6] ჯამში მათთვის გამოყოფილი იყო 79 000 დესეტინა მიწა, სულზე 15 დესეტინა. რომ შევადაროთ, გერმანელი კოლონისტების ოჯახითვის, ალექსანდერდორფში 36,52 დესეტინამიწა იყო განკუთვნილი, მარიენფელდში 35,43 დესეტინა, ხოლო ეკატერინენსფელდის კოლონიაში 27,92 დესეტინა მიწა.

რუსეთი მართალია პერიფერიულ იმპერიას წარმოადგენდა და მისი კოლონოზაციის მეთოდები თუ მასშტაბები განსხვავდება კლასიკური იმპერი-

[5] პ. გუგუშვილი. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. თ. I. თბ. 1949, გვ 623-624.

[6] Полное собрание законов Российской Империи (1825-1881). Том 5 (1830). Часть 2. Законы (3883-4232), გვ. 169-170.

ებისგან, თუმცა მის რუსიფიკატორულ პოლიტიკაში საინტერესო ადგილი უჭირავს წარმოსახვითი გეოგრაფიის საკითხს. მაგალითად ციმბრი, საწყის ეტაპზე რუსულ მსოფლეხედველობაში წარმოდგენილი იყო, როგორც „უცხო“ სივრცე, XVIII საუკუნეში ის კონცეპტუალიზებული იყო, როგორც კოლონია. ამდაგვარმა მიდგომამ XIX საუკუნეში განაპირობა იქ ჩასახლებულ მოსახლეობაში „ციმბირული პატრიოტიზმის“ ტალღა, რომელიც განსაკუთრებული ციმბირელი „ერი-ნაციის“ იდეასაც კი აჟღერებდა. ციმბირის, როგორც საერთო რუსული სივრცის მასობრივი აღქმა მხოლოდ და მხოლოდ 20-ე საუკუნეში ყალიბდება.[7] რისთვის დაგვჭირდა ამ მაგალითის მოხმობა, 1830 იან წლებში, რუსეთის მმართველ კლასის რეაქციულ წრეებში საქართველოს „სამხრეთის ციმბირს“ უწოდებდნენ[8], სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქართველოში რუსული კოლონიების გაჩენის საკითხი, მალაკნების დუხაბორების თუ სხვათა ჩამოსახლება. მათი ჩამოსახლებით იმპერია მხარის გარუსებას იმედოვნებდა. როგორც ისტორიკოსები ასკვნიან, რუსეთის იმპერიის პოლიტიკა სხვადასხვა ნაციონალური ჯგუფების თუ ერების მიმართ დივერსიფიცირებული იყო, შესაბამისად ტერმინი რუსიფიკაცია ბოლომდე ვერ აღწერს მაშინ მიმდინარე პროცესებს, ალ. მილერის აზრით, გამოსაკვლევი და გასარვევია თუ რა კონკრეტული პროცესები იგულისხმება „რუსიფიკაციის“ ქვეშ.[9]

რუსეთის იმპერიის ინტერესი ამიერკავკასიის მიემართ, პირველ რიგში საერთაშორისო ვაჭრობაში მეტად ჩართვის სურვილით იყო ნაკარნახევი. ჯერ კიდევ პეტრე პირველის სურვილი იყო, ეროპასა და აზიურ ქვეყნებს შორის ვაჭრობის შუამავალი რუსეთი ყოფილიყო, ვაჭრობა, არა ხმელთშუა ზღვისპრეთით და თურქეთით წარმართულიყო, არამედ კასპიის ზღვითა და რუსეთზე გავლით. ამ მხირვ პეტრე პირველს სავაჭრო ურთიერთობების დამყარება და გაღრმავება სურდა ირანსა და ინდოეთში. ამ გეგმაში რა საკვირველია ამიერკავკასიას დიდი როლი ენიჭებოდა. პეტრე პირველის თანამედროვის თქმით, იმპერატორს სურდა მტკვარზე აეგო სავაჭრო ქალაქი, სადაც, ქართველები, სომხები, ირანელები შეიკრიბებოდნენ და მერე ასტრახანში გა-

[7] Ал. Миллер. Империя Романовых и национализм, გვ. 76-75.

[8] ი. ანთელავა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30-50 იან წლებში (ყირიმის ომამდე). §.1. ქვეყნის კოლონიზაცია. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი. V. საქართველო XIX საუკუნის 30-50 იან წლებში. თბ. 1970, გვ. 122.

[9] Ал. Миллер. Империя Романовых и национализм, გვ. 10.

დავიდოდნენ სავაჭროდ.[10] ქართლ-კახეთის ანიქსიის შემდგომ პერიოდში, რუსეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობები 1815-16 წლებში 1800 ათას მანეთს შეადგენდა, 182-1821 წლებში კი 4250 ათას მანეთს, რაც ირანის შიდავაჭრობის დაახლოებით 1/5 შეადგენდა. XIX საუკუნის 20-იან წლებში, როგორც თანამედროვეები აღნიშნავენ, რუსეთი ირანის ბაზარზე ჩითზე ვაჭრობის მონოპოლიას ფლობდა. 1802 წლის მონაცემებით რუსული საქონლის ირანსა და აზიის ქვეყნებში იმპორტი 3,3% შეადგენდა, 1827 წლისთვის კი 30,4%.[11] თუნდაც ამ მცირე მონაცემებთაც შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა მნიშვნელობის იყო ამიერკავკასიის მიერთება რუსული სავაჭრო კაპიტალისთვის. დამოუკიდებლად, პოლიტიკური ბატონობის გარეშე კი რუსული კაპიტალი აქ ფეხს ვერ მოიკიდებდა.

რუსეთის მმართველობის პირველ პეროდში ეკონომიკური პოლიტიკაც რომ კოლონიურ ხასიათს ატარებდა სრულიად ლოგიკურია, 1830 წლის 5 ოქტომბერს გენერალი პასკევიჩი შემდეგს წერდა: **„განა საქართველო ის არ უნდა განვიხილოთ როგორც კოლონია, რომელიც დაამზადებს რა უხეშ მასალას ჩვენი ფაბრიკებისთვის, რუსთიდან ჩამოიტანს მანუფაქტურულ ნაწარმს. საქართველოში მანუფაქტურების დაარსების შემთხვევაში კი დაირღვევა უკანასკნლის კავშირ-ურთიერთობები რუსეთთან“**.[12] 1831 წელს რუსეთის ფინანსთა მინისტრი მართველი წრეებისგან მოითხოვდა გადაწყვეტილიყო შემდეგი: **„რუსი მეშჩანების, გლეხების და განთავისუფლებული ადამიანების ამიერკავკასიის ქალაქებში და სახაზინო მიწებზე დასახლების საკითხი: ევროპელებისთვის, ხელოსნებისა, ფაბრიკანტებისა, მევენახეებისა და მისწისმუშებისთვის კოლონისტების უფლებათა ბოძებისა და მიწების მიცემის საკითხი: მიწების მიცემის საკითხი იმ საზოგადოებისთვის, რომელთაც განზრახული აქვთ მოაწყონ იქ ევროპელთა ვრცელი კოლონიები“**[13]

1835 წელს ნიკოლოზ პირველი ბარონ როზენს წერილით მიმართავს, სადაც 1832 წლამდე არსებული თავისუფალი ვაჭრობის შედეგების შესახებ საუბრობს: **„შედგენილ იქნა საპროექტო კავკასიის სამხედრო კოლონოზაციისა, .. რათა შეიარაღებული რუსი მოსახლეობის დაბინავებით უფრო და უფ-**

[10] А. Ф. Фадеев. Россия и Кавказ первой трети XIX в. М. 1960, გვ. 52.
[11] А. Ф. Фадеев. Россия и Кавказ первой трети XIX в., გვ. 54.
[12] ი. ანთელავა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის 30-50 იან წლებში (ყირიმის ომამდე), გვ. 124.
[13] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 614.

**რო განვიმტკიცოთ ჩვენი ბატონობა კავკასიაში..**"[14]

პაატა გუგუშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამიერკავკასიის და საკუთრივ საქართველოს კოლონიზაციას ორი ტენდენცია ახასიათებდა, ერთის მხრივ პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების განმტკიცება, მეორეს მხრივ ეკონომიკური კოლონიზაცია. 1821 წელს გამოიცა კანონი ტრანზიტისა და ბაჟის შესახებ ე.წ. „ვაჭრობისა და ტრანზიტის თავისუფლება", რომელმაც ნეგატიურად იმოქმედა ამიერკავკასიაში რუსულ სავაჭრო კაპიტალზე და რუსეთის შიდა ტერიტორიაზე განთავსებულ მანუფაქტურულ მრწველობაზე. ამგვარი კრიზისი რუსეთის ახლადაბადებულ ბურჟუაზიას ქმედითი ნაბიჯებისკენ უბიძგებდა, სწორედ ამგვარ ქმედებებში ჯდება ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიკური კოლოზინაზიის საკითხი, რომელიც რუსეთის შიდა ტერიტორიებიდან ჩამოსახლებული მოსახლების მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. 1835 წლის 24 ოქტომბერს ბარონი როზენი წერს გენერალ კანკრინს, რომ მართალია ვაჭრობის და ტრანზიტის თავისუფლებამ დადებითათ იმოქმედა ამიერკავკასიის და საქართველოს მცხოვრებ ყველა კლასზე, შავიზღვისპირეთით ვაჭრობამ, რომელშიც რედუტ-კალე და ტფილისი იყვნენ ჩართული დიდი სავაჭრო კაპიტალის დაგროვებას შეუწყო ხელი, ევროპული საქონელი საქართველოს გავლით მიდიოდა ირანსა და თურქეთში და პირიქით. ამგვარად ადგილობრივ და საერთაშორისო ვაჭრობაში რუსული საქონელი ევროპულმა ჩააჩოჩა, ამის საპირისპიროდ მოსკოველი ფაბრიკანტების საჩივრებმა იმატა, მათი აზრით, ამიერკავკასიისთვის ნაჩუქარმა თავისუფალი ვაჭრობის აქტის შედეგებმა დასცა რუსეთის მანუფაქტურების წარმოება და შესაბამისად მოგება.[15] ამ საკითხს, ბარონი როზენი უფრო ფართე მასშტაბში განიხილავს, მისი შეფასებით, ამდაგვარი კანონის მიღებამ, არა მხოლოდ შეამცირა რუსული ფაბრიკების წარმოება, ასევე, ირანის ბაზარი მთლიანად ინგლისურ კაპიტალს ჩავუგდეთ ხელშიო, სადაც რუსული საქონელის ისედაც მცირე წილი თითქმის სულ გაქრაო.[16] საქართველო ამ ყველაფრის ფონზე ევროპული საქონლის ბაზრად იქცა. თუ რუსეთის შიდა ტერიტორიაზე ევროპული საქონელის საბაჟო გადასახადი 20-30% უდრიდა, ამიერკავკასიაში ის 5% შეადგენდა. შესაბამისად საქართველოში ჩამოსული ევროპული საქო-

[14] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 615.
[15] АКАК. Т. VIII, გვ. 154.
[16] АКАК. Т. VIII, გვ. 157.

ნელი ხშირად რუსეთში კონტრაბანდის სახით მიედინებოდა.[17]

საქართველოს ბაზარი ევროპული საქონლის გასაღების ადგილად იქცა, საგარაო ვაჭრობა აქაც კოლონიური ხასიათისა იყო. ევროპაში მიმავალი ადგილობრივი ვაჭრები მხოლოდ საქონლის ჩამოსატანად მიდიოდნენ და ლაიპციგის ბაზრობაზე არანაირი ადგილობრივი ნაწარმი არ გაჰქონდათ. ევროპულმა ხარისხიანმა და დაბალი ფასის საქონელმა, თითქმის სრულად ჩაანაცვლა რუსული საქონელი საქართველოს ბაზარზეც. რუსეთის იმპერიაში მრწეველობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპულ ინდუსტრიას, შესაბამისად კონკურენციის გაწევა მათთვის რთული იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფალი ვაჭრობის დეკრეტმა ამიერკავკასიაში, რუსული საქონელი სავაალალო მდგომარეობაში ჩაყანე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ პერიოდში საქართველოს ხშირად სტუმრობდნენ და სიტუაციას სწავლობნენ რუსეთის საფაბრიკო მრეწველობის წარმომადგენლები. რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი გენერალი კანკრინი თავიდანვე უარყოფითად იყო განწყობილი ამ კანონის მიმართ და პირველი დღიდანვე მის გასაუქმებლად იბრძოდა. ის იმპერატორს წერდა, რომ უნდა დაიცვან რუსი ფაბრიკანტების ინტერესები, ამიერკავკასია და საქართველო კი მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებლად უნდა განიხილონ. ყოველივეს მინისტრი ოცდაათამდე ტექსტილის ფაბრიკანტის სახელით სწერდა იმპერატორს. მართალია ამ დროისთვის რუსეთის ხელისიფლება ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად არ გამოდიოდა, თუმცა ლოგიკურია, რომ მათ თავიანთი დამცველი იმპერიის ფინანსთა მინისტრის სახით იპოვეს. ისინი წუხდნენ იმაზე, რომ სომეხი და ირანელი ვაჭრების მიერ შეტანილი საქონელი ბაზრიდან აძევებდა რუსულ საქონელს, ეს კი ზიანის მომტანი იყო, არა მხოლოდ მათი წარმოებისთვის, არამედ შიდა ვაჭრობისთვისაც. 1831 წელს ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა მიაღწია საწადელს და თავისუფალი ვაჭრობისა და ტრანზიტის კანონი გაუქმდა. ამიერიდან საქართველო და ამიერკავკასია, მხოლოდ რუსული საქონელი გასაღების ბაზარი უნდა ყოფილიყო, ადგილზე კი რუსული მანუფაქტურებისთვის საჭირო ნედლეული დამზადებულიყო.[18]

მოვიხმოთ სტატისტიკური მასალა ამიერკავკასიასა და საქართველო-

[17] ნ. ქორთუა. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1829 წლების ომში. თბ. 1978, გვ. 67; ნ. მიქელაძე, ა. ოთარაშვილი. ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის პირველ მესამედში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 2020. №1 (24).

[18] А. Ф. Фадеев. Россия и Кавказ первой трети XIX в., გვ. 59.

ში ნედლეულის დამზადების მხრივ: XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ძლიერდება აბრეშუმის წარმოება და მისი გატანა უცხოურ ბაზარზე. 1850-1853 წლებში საქართველოდან ჯამში 24,723 ფუთი აბრეშუმის პარკი გაუტანიათ.[19] პ. გუგუშვილის დაკვირვებით XIX საუკუნის 40-იან წლებში ამიერკავკასიაში მიღებული აბრეშუმის 60-70% რეგიონის გარეთ იყიდებოდა. სასაქონლო აბრეშუმის ხვედრი 1856 წლისთვის ქუთაისის გუბერნიაში, საერთი წილის 40-45% შეადგენდა.[20] ა. ფადეევის დაკვირვებით, რომელმიც 1836 წლის რუსეთის კავკასიური მმართველობის აღწერილობებს ეყრდნობა, მარტო შაქიდან 1822-1827 წლებში 9,931 ფუთი აბრეშუმი გაიტანეს რუსეთში. 1829 წელს, კი მთლიანად ამიერკავკასიიდან 15 ათასი ფუთი, ეს იმ დროს, როცა ევროპიდან იმპორტმა რუსეთში 12 ათასი ფუთი შეადგინა. ნათლად ჩანს, რომ ამიერკავკასია რუსეთისთვის აბრეშუმის ძირითად ნედლეულის ბაზად იქცა.[21]

უნდა ითქვას, რომ ტრანზიტის და თავისუფალი ვაჭრობის დეკრეტმა საქართველოს ხელოსნებიც აზარალა. ამ წლებში თბილისელი ხელოსნების რაოდენობა შემცირდა, იმპორტირებული საქონელი ბევრად იაფად იყიდებოდა, რითაც ადგიობრივი ხელოსნების ეკონომიკური მდგომარეობა უარესდებოდა. თბილისში უცხოური პროდუქციის გამოჩენამ, მისი დიდი ოდენობით მოხმარება გამოიწვია, თუმცა საქონელი საკმარისი ყოველთვის არ იყო. ამიტომ მისი ადგილზე დამზადება იყო აუცილებელი. ამ მიზნით, იმპერიული მთავრობა ახალისებდა რუსი და უცხოელი ხელოსნების ჩამოყვანას. ამ ფონზე ადგილობრივი ამქრების წინააღმდეგობა მეტ-ნაკლებად მედეგი აღმოჩნდა რუსი და ევროპელი ხელოსნების მიმართ. თავიდან რუსული ადმინისტარაციის დასაყრდენი ამქარი, შემდგომში მასთან დაპირისპირებაში აღმოჩნდება, რადგან კოლონიალური პოლიტიკა, რომელსაც ხელოსნების ჩამოყვანით ახორციელებდა, სწორედ ამქრისთვის საზიანო პოლიტიკა გამოდგა. XIX საუკუნის 20 იანი წლებიდან იწყება პატარ-პატარა გამოსვლები.[22] აღსანიშნავია, რომ ტრადიციული ხელოსნობის დარგებთან შედარბით, რომელსაც ამქარი აერთიანებდა,

[19] ი. ანთელავა. ფეოდალური-ბატონყმური სისტემის რღვევა და კაპიტალისტური ურთიერთობათა განვითარება სოფლის მეურნეობაში. ფეოდალური-ბატონყმური სისტემის რღვევა და ბურჟუაზიული ურთიერთობათა განვითარება XIX საუკუნის 30-50-იან წლებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ. 1970, გვ. 44.

[20] П. В. Гугушвили. Щелководство в Грузии и Закавказье в XIX-XX вв. Тб. 1960, გვ. 32.

[21] А. Ф. Фадеев. Россия и Кавказ первой трети XIX в., გვ. 71.

[22] მ. სამსონაძე. ქართული ხელოსნობა და რუსული კოლონიური ხელისუფლება. საქართველოში. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები. წ. II. თბ. 2008, გვ. 30-62.

ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ რუსი, ებრაელი და ევროპელი ხელოსნების საამქროებში მათი ბუნებიდან გამომდინარე შრომის დანაწილება აუცილებელი პირობა იქნებოდა. სავარაუდოდ საქმე გვაქვს მანუფაქტურული ტიპის კაპიტალისტური სახელოსნოებთან.[23] თუ მ. სამსონაძის ამ დაკვირვებას მივიღებთ, გამოდს რომ სახეზე გვქვს წინარეკაპიტალისტური და კაპიტალისტური წარმოების წესისა და ფორმების დაპირისპირება. მაშინ ვ.ი. ლენინის დაკვირვება, რომ: „რუსეთის მიერ საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური დაპყრობის ისტორია, სხვათა შორის, შეიძლება და უნდა განვიხილოთ წინარეკაპიტალისტური ურთიერთობათა დაშლის და კაპიტალისტურის შემოჭრის და შემდგომ განვითარების ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და ამიერკავკასია დაიპყრო თავად-აზნაურულმა რუსეთმა,“ სწორი დაკვირვებაა. ქართული ისტორიოგრაფია ლენინის ამ აზრის კვალდაკვალ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რუსეთმა საქართველო და ამიერკავკასია ჯერ პოლიტიკურად, ხოლო შემდგომ ეკონომიკურად დაიპყრო. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოს სავაჭრო ბაზარი რუსეთის ერთიანი ბაზრის ნაწილია და მისი გაგრძელება, თუმცა რეფორმამდელი საიმპერიო მიდგომა, გლეხთა ექსპლუატაცია, ეკონომიკურ დარგებში არაქართული ელემენტების გაძლიერება და სხვა, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის იმპერია თავიდანვე კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა და ერთდროულად ეწეოდა, როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკურ დაპყრობას.[24] აი, რას წერს რუსი პ. ვიშესლავცოვი 1834 წელს ჟურნალ сын отечества 27-ე ნომერში, რუბრიკაში – ***სტატისტიკა*: „ამიერკავკასიამ რუსეთს უნდა მისცეს ის ნაწარმოებანი, რომელსაც ევროპას აძლევს ორივე ინდოეთი .. მაგრამ ამის მიცემა ამიერკავკასიას შეუძლია მხოლოდ მისი მეურნეობის გარდაქმნის პირობებში.“[25]**

ეკონომიკური და პოლიტიკური კოლონიზაციისთვის რუსეთი იმპერია, როგორც ვნახეთ მიგრაციულ პროცესებს იყინებდა. კოლონიების ჩამოყალიბების პროცესი საქართველოსა და ამიერკავკასიაში სწორედ მეურნეობის გარდაქმნის ჭრილში უნდა განვიხილოთ. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ რასკოლ-

[23] მ. სამსონაძე. ქართული ხელოსნობა და რუსული კოლონიური ხელისუფლება. საქართველოში, გვ. 42-43.

[24] მ. სამსონაძე. რუსეთის მიერ საქართველოს მიწის ფონდის მითვისება და დემოგრაფიული ექსპანსია. კრებ.: რუსულია კოლონიალიზმი საქართველოში (ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე). თბ. 2008, გვ. 164-189.

[25] Сын Отечества и северный архив. Т. XLIV. Ч. 166. СПб. 1834.

ნიკების დასახლება თავდაპირველად „ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის და სავაჭრო მრეწველობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ დაიწყო, სავსებით გასაგები იქნება კოლონიების დაარსების ეკონომიკური ბუნება,[26] რომელიც მოემსახურებოდა შიდა ტეიტორიებზე განთავსებულ რუსულ ფაბრიკებს. ვიშესლავცოვი სწორად აფასებდა, რომ, კოლონიების დაარსების შემდგომ, ამიერკავკასია მისცემს **„კაპიტალისტებს და ჩვენ სამშობლოს სრული რაოდენობით მისთვის საჭირო აბრეშუმს, ბამბას, საღებავს, ზეთს, ღვინოს, იმას რისთვისაც უცხოელები ჩვენგან ყოველწლიურად მილიონებს ღებულობენ.[27]“**

ამიერკავკასიას კოლონიადვე განიხილავდა ნიკოლოზ პირველი, მართალია საწყის ეტაპზე, მაგრამ, აი, რას წერს ის 1826 წლის წერილში: **„ამიერკავკასია შეიძლება რუსეთის უმდიდრეს კოლონიად იქცეს. კოლონიას ვამბობთ იმიტომ, რომ იგი სხვა პროვინციების თანაბარუფლებიან და ვალდებულებიან პროვინციად ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გახდება. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ქვეყნის მართვა საჭიროა გონიერი კოლონიალური სისტემის შესაბამისად წარმოებდეს. ამიერკავკასიას შეუძლია მოგვცეს დიდი რაოდენობით საუკეთესო ხარისხის აბრეშუმი, ბამბა, ბრინჯი, ინდიგო, გემთსაშენებელი ხე-ტყე და სხვა. იგი უნდა იქნეს ჩვენი ფაბრიკული ნაწარმის მომხმარებელი და რუსეთის სპარსეთთან ვაჭრობის შუამავალი.“[28]**

პ. გუგუშვილი სწორად შენიშნავს, რომ რუსული სავაჭრო კაპიტალი ცდილობდა, ამიერკავკასიაში შეექმნა და აქ გაემრავლებინა მსხვილი ფერმები, უმთავრესად რუსი მემამულეების სახით, თუმცა ამას დაქირავებული მუშა-ხელი სჭირდებოდა, მათი აზრით კვალიფიციური მუშა-ხელიც რუსეთის შიდა ტერიტორიებიდან უნდა ჩამოსახლებულიყო. [29]

რუსი ფაბრიკანტების დამცველი ფინანსთა მინისტრი კანკრინი 1831 წელს მოითხოვდა, რომ რუსი მეშჩანების, გლეხების და ციხიდან გათავისუფლებული ადამიანების ამიერკავკასიაში სახაზინო მიწებზე დასახლებას.[30]

---

[26] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 631.

[27] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 615.

[28] დ. ჭუმბურიძე. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნის I ნახევარი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 15(2). თბ. 2014, გვ. 27.

[29] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 646.

[30] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 614

თუმცა, ამიერკავკასიაში მიწის სიმცირის გამო, ადგილობრივი გლეხობის კვალდაკვ არც ჩამოსახლებული მალაკნები და დუხობორები აღმოჩნდნენ სახარბიელო მდგომარეობაში. 1844 წელს, რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრის აგენტი წერდა: „უბედურ გადმოსახლებულთა უმეტესი ნაწილი ადგილობრივ პირობათა მსხვერპლადაა ქცეულიო“.[31] რასკოლნიკების ნაწილი სამეგრელოშიც უნდა ჩასახლებულიყვნენ, დავით დადიანმა, მიხაილ ვორონცოვს წარუდგინა კონკრეტული გეგმა, თუმცა მათ ბეგარაზე 1 მანეთი დადიანისთვისაც უნდა გადეხადათ.[32]

იმავე კანკრინის მოთხოვნა იყო სომხეთის ტერიტორიების მიერთება იმპერიისთვის და სავაჭრო ურთიერთობებისთვის გამოყენება. მას ამიერკავკასია რუსული მანუფაქტურებისთვის ნედლეულის ბაზრად და რუსული საქონლის კაპიტალისთვის აღმოსავლეთით გაფართოების პლაცდარმად წარმოედგინა. ფინასსთა მინისტრის ამ მოსაზრებას ამიერკავკასის მთავარმართებელი პასკევიჩიც იზიარებდა. ამიტომ სრულებითაც არაა დამთხვევა, რომ სწორედ მის დროს იწყება თურქეთის ტერიტორიებიდან სომებისა და ბერძნების გადმოსახლების პროცესი. ჩამოსახლებულებს შორის უმეტესობა იყო ვაჭარი და ხელოსანი, რა თქმა უნდა მათ შორის იყვნენ გლეხებიც. სომხური და რუსული სავაჭრო კაპიტალის ურთიერთობა XVIII საუკუნიდან ცნობილია, ამიტომ მათვის ხელსაყრელი იქნებოდა სომეხი ვაჭრების გამოყენება ირანთან და თურქეთთან სავაჭროდ. ხელოსნებს უნდა შეექმნათ ისეთი პროდუქტი, რომელიც რუს ფაბრიკანტებს გამოადგებოდათ, ან სპილენძისა და სხვა სახის მადნის სარეწებში ემუშავათ. გლეხობას მიწის დამუშავების ახალი ფორმები უნდა მოეტანა, რითაც ადგილზე სასოფლო პროდუქციის ზრდას შეუწყობდა ხელს. მაგრამ თურექთიდან გადმოსახლებულებს ადგილობრივ გლეხობასთან შედარებით მიწის დამუშავების პრიმიტიული ფორმები გააჩნდათ, შესაბამისად ტექნოლოგიურად მათ ვერ ჩაანაცვლებდნენ.

რუსეთის იმპერიის მმართველების გეგმა, ამიერკავკასიაში და საქართველოში რუსული და უცხოურო კოლონიების დაეარსებინა, არა მხოლოდ ადგილზე რუსული მართველობის პოლიტიკური და სამხედრო მმართველობის განმტკიცებისთვის იყო საჭირო, არამედ მას როგორც ვხედავთ კონკრეტული

[31] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 633 სქოლიო 2.
[32] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 632-633.

ეკონომიკური ინტერესებიც გააჩნდა. თუმცა, რუსეთის შიდა ტერიტორიებიდან რასკოლნიკების, მალაკნების და დუხობორების ჩამოსახლება, როგორც ამიერკავკასიაში მიწის ნაკლებობით, ასევე, სახვა მიზეზებით შეწყდა. მთავარი ალბათ მაინც ის იყო, რომ თუ ჩამოსახლებულ სექტანტების ადგილზე კარგ პირობებს შეუქმნიდნენ, რუსეთის შიდა ტერიტორიებზე დარჩენილებს მეტი მხნეობა მიეცემოდათ. ამაზე 1850 წელს ღიად წერდა ვორონცოვი იმპერატორს.

ამგვარად ჩვენ ვიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის წინ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში კოლონიების დაარსება, რუსიფიკაციის მხოლობით მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. ამგვარ ქმედებას იმპერიის მხრიდან ეკონომიკური სარჩულიც ჰქონდა. რუსეთის იმპერიის გაფართოვება XVIII საუკუნიდან სხვადასხვა მიმართულებით მხოლოდ „იმპერიალისტური“ გაფართოვების პარადიგმაში ვერ განიხილება. პეტრე პირველის დროინდელი შიდა კოლონიზაცია XVIII საუკუნიდან[33] მოყოლებული მომდევნო პერიოდში გარე „კოლონიზაციის“ ეტაპს მოითხოვდა.

კაპიტალიზმის ის ფრომა რომელიც არსებობდა, რუსეთის იმპერიასაც აიძულებდა გაფართოვების საკუთარ ხედვას. კაპიტალიზმი რუსეთში არა შიგა მიმდინარე პროცესებიდან იბედაბოდა, არამედ გარედან განმსაზღვრელი ფაქტორებით.[34] არსებული ეკონომიკური მოდელი რუსეთის იმპერიას აიძულებდა მოდერნიზაციას. ფეოდლური მოწყობის სახელმწიფო თვითონ იყო ევროპულობის შემომტანი ქვეყანაში. აუცილებელი იყო მსოფლიო საბაზრო ურთიერთობებში ჩართვა. რუსული ბურჟუაზია თავისებურად ყალიბდებოდა და ადგილობრივ სპეციფურ სახეს იძენდა, რადგან რუსთი ჯერ კიდევ აგრარულ და ფეოდალური ყაიდის სახელმწიფოდ რჩებოდა, ის ყალიბდებოდა როგორც პერიფერიული იმპერია, რომელიც თავის მხრივ დასავლური იმპერიებისთვის ერთგვარი ნედლეულის და გასაღების ბაზარი უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. სახელმწიფოს ფეოდალური მოწყობა გამოიყენებოდა კაპიტალისტური ამოცანების გადაწყვეტაში. ადგილობრივი ფაბრიკებიც შერეულ ხასიათისა იყო. მასში ნახავდით, როგორც დაქირავებულ შრომას, ასევე, საბეგრო ვადებულებით გამოსულ ყმას. პეტრე პირველის დროიდან საგრძნობლად შეიზღუდა ძველი არისტორკრატიის უფლებები, ახალი კი შიდა კოლონიზაციის საფუძველზე მდიდრდებოდა. სახელმწიფოს ძირითადი შემოსავალი კი

[33] А. Эткинд. Внутренняя колонизация – имперский опыт России. М. 2013, გვ. 143-240.
[34] Б. Кагарлицкий. Периферийная империя: циклы русской истории. М. 2003, გვ. 260-291.

გლეხებიდან მომდინარე ბეგარა იყო. როგორც ამბობენ, ყმა-გლეხობა იმპერიის სუბსიდირების წყარო იყო და პირიქით, იმპერია სუბსიდიას დებდა მათში. ამგვარი პოლიტიკის სრულმყოფელად ფინანსთა მინისტრი კანკრინი მიიჩნევა,[35] რომელიც ამავდროულად, როგორც ზემოთ ვნახეთ ადგილობრივი ბურჟუაზიის ინტერესებსაც იცავს. მოცემულ ეტაპზე იმპერია უნდუსტრიულ განვითარებას ზღუდავდა. რადგან იმ დროს ბურჟიაზია ძლიერი ვერ იქნბოდა, ის საკუთარი ინტერესების დაცვასაც ჯეროვნად ვერ შეძლებდა, მაგრამ რადგან ფინანსთა მინისტრი კანკრინი რუსეთის ტერიტორიაზე ფეოდალური მოწყობის ერთგული იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამიერკავკასიისა და საქართველოს კოლონიად განხილვა, სწორედ ამგვარი პოლიტიკის ნაწილი უნდა ყოფილიყო. დასაშვებია მოსაზრება, რომ რუსული წარმოება, მიერთებული ტერიტორიების, არარუსული ტერიტორიების ხარჯზე უნდა განვითარებულიყო. თუ დიდებულები შიდა კოლონიზაციის შედეგად მდიდრებოდნენ, ბურჟუაზიას გარე კოლონოზაციის პროცსი უნდა გამოეყენებინა. თუმცა ამის ხელისშემშლელი, ზემოთ აღნიშნული თავისუფალი ვაჭრობისა და ტრანზიტის პოლიტიკა გამოდგა.

ჯერ კიდევ პუშკინი აკითხებდა ვგენი ონეგინს ადამ სმიტს. აღმოჩნდა რომ XVIII–XIX რუსული არისტოკრატია გატაცებული იყო „თავისუფალი ვაჭრობის“ იდეით, ფაბრიკანტები კი პროტექციონიზმის. ისტორიკოსების დაკვირვებით, თუ თვალს გავადევნებთ XIX საუკუნის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გაზეთს, აღმოვაჩენთ რომ, ადამ სმიტი ერთ-ერთი ყველაზე პოლულარულია ავტორია „სანკტ-პეტერბურგის ჟურნალის“ ფურცლებზე.[36] თავისუფალი ვაჭრობისა და ტრანზიტის პოლიტიკა, რომელიც განხორციელდა ამიერკავკასიაში, სავსებით ჯდება რუსეთის იმპერიაში არსებული ეკონომიკური აზრების ლოგიკაში.

ჩვენს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს გავარკვიოთ რატომ ხდება რუსეთის იმპერიის დაინტერესება ჯერ აღმოსავლეთ საქართველთი და შემდგომ მთლიანად ამიერკავკასიით. რა ტიპის გეოპოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა პროცესებმა განაპირობეს რუსეთის გაფართოება სამხრეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით. სამრეწველო რევოლუციის შედეგად იცვლება მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, ამ პროცესებში რუსეთი ღირსეული ადგილის დაკავებას ცდილობს, თუმცა იმპერიის ნახევრადფეოდალური და აგრარული

[35] А. Эткинд. Внутренняя колонизация- имперский опыт России, გვ. 197-198.
[36] Б. Кагарлицкий. Периферийная империя: циклы русской истории, გვ. 307-308.

სტურქტურა, ამის საშუალებას არ იძლეოდა. ერთადერთი გზა რაც რუსეთის იმპერია რჩებოდა, იყო აღმოსავლეთისკენ სწრაფვა, ამიტომ რუსეთის პოლიტიკა ხდება ექსპანსიონისტური, ამ პოლიტიკის ფონზე ხდება ამიერკავკასიის დაპყრობა. კლასიკური დასავლური კოლონიალური მიდგომებისგან განსხავებით, რუსეთი ჯერ პოლიტიკურ-სამხედრო კოლონიზებას ეწეოდა და შემგომ მას მოყვებოდა ეკონომიკური კოლონზაციის პროცესი. საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთი ამ ორივე ხერხს ერთდროულად იყენებდა, როგორც ვნახეთ რუსეთის იმპერიის მმართველები ამიერკავკასიას დაპყრობის საწყის ეტაპზე განიხილავდნენ ეკონომიკური კოლონიასაც და ცდილოდენენ შესაბამისი პოლიტიკის გატარებას. ერთ-ერთი ხერხი კი აქ მიგრაციების შედეგად რუსული, გერმანული, სომხური, ბერძნული და სხვა კოლონიების დაარსება იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია საუბრობენ კოლონიზაციის ორ მიდგომაზე: შიდა კოლონიზაციასა და გარე კოლონიზაციაზე, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ორივე ფორმა წარმოდგენილი იყო, რაც არა მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების გამყარებას ემსახურებოდა, არამედ რუსეთის შიდა ტერიტორიებიდან და გარე სახელმწიფოებიდან არსებული ეკონომიკური წესის შემოტანასაც ემსახურებოდა. XIX საუკუნე ეს არის კაპიტალიზმის გაფართოების პერიოდი, რუსეთის იმპერიაც ამ გაგებით შედარებით ჩამორჩენილ, მაგრამ დასავლეთის ეკონომიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა, მას მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში გარკვეული ადგილი ეკავა. ამგვარად რუსეთის სწრაფვა და ჩვენ ტერიტორიებზე კოლონიების დაარსებაც ამ პროცესის ნაწილად უნდა განვიხილოთ. ჯერ კიდევ კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმის გაფართოვების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კოლონიზაციას, მის მიგრაციულ გამოვლინებაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ:

1. რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობა აზიისკენ მიმავალი სვაჭრო გზების დაუფლებას და საერთაშორისო ვაჭრობაში რუსეთის როლის გაზრდას გულისხმობდა.

2. XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში მისი ნაციონალური შემადგენლით განსხავდებოდა რუსეთის აღმო-

სავლური პოლიტიკისგან, რომელსაც ის აწარმოებდა მალორუსებისა და განაპირა მხარეების მიმართ.

3. საქართველოსა და ზოგადად ამიერკავკასიაში ჩაფიქრებული კოლონიების დაარსებას და მიგრაციულ პროცესებს შესაბამისი ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. სავაჭრო კაპიტალის და რუსული ინდუსტირული კაპიტალის გაფართოება და ადგილზე ნედლეულის და სავაჭრო პროდუქციის აკუმულირება, წინარეკაპიტალისტური წესის მოშლა და კაპიტალისტური წესის დანერგვა.

4. რუსეთის შიდა ტერიტორიაზე მიმდინარე მიგრაციული პროცესები არისტოკრატიის გამდიდრების, შიდა კოლონიზაციისდა იმპერიის ძლაუფლების გამყარებას ემსახურებოდა. გარე მიგრაციული პროცესი სავაჭრო კაპიტალის გამსხვილებას და რუსეთის ფაბრიკანტების წარმოების გაფართოებას, შიდა და გარე სავაჭრო გაზრდას უნდა მომსახურებოდა.

5. ჩამოსახლებული კოლონისტებს დიდი გავლენა არ მოუხდენიათ ადგილობრივ წარმოების წესზე, რადგან რუსეთიც ჯერ კიდევ ბატონყმური წესის ერთგული რჩებოდა. ძირეული ცვლილებები მხოლოდ ბატონყმობის გაუქმების შემდგომ იწყება, რამაც საქართველოზეც იქონია გავლენა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში პირვანდელი დაგროვების პროცესის დაწყებას შეუწყო ხელი.

***Akaki Chikobava***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# COLONIAL POLICY OF RUSSIA IN GEORGIA: "ECONOMIC RUSSIFICATION"

Summary

In parallel of the annexation of the Kingdom of Kartli-Kakheti and gradual occupation of the rest of Georgian territories, the Russian Imperial government used various methods to cement its rule in Georgia. Victories in the Russo-Persian and Russo-Ottoman wars in the late 1820s gave the opportunity to the imperial court to start complete and all-around subjugation of the South Caucasus. For this, it was necessary to emigrate the proponents of the imperial rule from the metropolis into the South Caucasus, as well as to gain active supporters on the ground. Settlers had to be provided with necessary land and appropriate means of production that allowed them to start their own agricultural production. Contemporary scientific literature touches upon the question of "Russifications" in the plural, rather than Russification as a singularity. The implications of this division and the role of the economic dimension of the process are the major research areas of our article. Our argument is constructed around.

Several main topics:

What are the causes of the active presence of the Russian Empire in the South Caucasus and its annexation? What is the economic dimension of the annexation and what kind of benefits did them Russian Empire expect from it? What is the main difference between the Russification policy of the first half of the 19th century and the Russian Eastern policy of Malorus and other peripheral areas? What was the economic basis for the establishment of colonies and migration processes in Georgia and the South Caucasus region in general? How is the process of the expansion of the Russian trade and industrial capital, and the search for new sources of raw materials connected to it? Migration processes in the internal territories of Russia: what are their function and what are the differences between the internal and external migration processes?

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX**
**თბილისი. 2023**

*გიორგი სოსიაშვილი*
პროფესორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# XIX საუკუნის II ნახევრის ბათუმის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (ნინო ჟურულის მოგონებების მიხედვით)

XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, დურმიშხან ჟურულს ცოლად ჰყავდა იმ დროისთვის ფრიად განათლებული და ქართულ საზოგადოებაში ცნობილი ქალბატონი ქეთევან ლუარსაბის ასული ნამორაძე (დაბ. 1842 წლის 30 ნოემბერს[1]).

დურმიშხან ჟურულმა 1877-1878 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ თავისი კარიერა აჭარაში გააგრძელა. იგი მეუღლესთან და შვილებთან ერთად ბათუმში დამკვიდრდა. დურმიშხან ჟურულის ოჯახი დედასამშობლოსთან ახლადშემოერთებულ კუთხეში ქართული კულტურის კერად იქცა. სწორედ მათთან იკრიბებოდნენ მოღვაწენი, რომელთა მთავარ მიზანს ეროვნული ცნობიერების აღორძინება წარმოადგენდა. დურმიშხან ჟურულის მეუღლის – ქეთევანის სახელს არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება უკავშირდებოდა, მათ შორის ბათუმის თეატრის დაარსება.[2]

1879 წლის 20 ივლისს, ქეთევანის ინიციატივით ბათუმის სცენისმოყვარეთა მონაწილეობით პირველი წარმოდგენა გაიმართა: ,,განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ (ზ. ანტონოვი) და ,,ცოლი თუ გინდათ, ეს არის“ (ვ. აბაშიძის ,,ვო-

[1] http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00002242/

[2] დურმიშხან ჟურულს და ქეთევან ნამორაძეს ბათუმში ორსართულიანი სახლი ჰქონდათ, რომელიც გაურკვეველი მიზეზით 1896 წელს დაიწვა. ამის შესახებ გაზეთში ,,ცნობის ფურცელი“ ვკითხულობთ: ,,ბათუმიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ დამწვარა დურმიშხან ჟურულის სახლი, სახლი დაზღვეული ყოფილა.“ (იხ. გაზ. ,,ცნობის ფურცელი“. №24. 1896, გვ. 2). აღნიშნული სახლის გარდა ჟურულების საკუთრებაში ბათუმში მიწის ნაკვეთიც იყო (იხ. საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მიზეუმი, ფონდი I, საქმე, №38 496).

დევილი“). სწორედ ეს თარიღი ითვლება ბათუმის თეატრის დაარსების დღედ. წარმოდგენაში სხვა მსახიობებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ლევან მჭედლიშვილი (მოგვიანებით მისი ვაჟი – ვახტანგ მჭედლიშვილი მოსკოვის სამხატვრო თეატრში რეჟისორად მოღვაწეობდა. მან დააარსა მოსკოვში ქართული დრამატული სტუდია). პირველი წარმოდგენა ბათუმში ფიცრულ შენობაში გაიმართა, რომელიც ახლად დაარსებული რუსული სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში იყო აგებული. წარმოდგენის შემოსავალი ბათუმის ქართული სკოლას უნდა მოხმარებოდა.[3] ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთის „დროება“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „ბათუმში შკოლის გახსნის მიზნით, გავლილ კვირას, პატივცემულის ქეთევან ჟურულის თაოსნობით, ქართული სცენის მოყვარეებმა ანტონოვის თხზულებიდან კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ წარმოადგინეს. წარმოდგენა იყო გამართული სულ ახლათ აშენებულ საზაფხულო თეატრში, სადაც არის სასტუმრო „არტაანი“. ჩვენ არ შევეხებით პატივცემულს მოთამაშეების როლების სინამდვილით ანუ ნაკლულევანებით აღსრულებას, რადგანაც შესაძლებელია რომელიმეს ნაკლულევანების გამოაშკარება გახდება მომავლისათვის ხალისის მომწამვლელი. ამისათვის მეტათ არ დავთვლით, რომ ყველას ერთათ ერთნაირი გულითადი მადლობა უძღვნათ, ამნაირი კეთილშობილური მიზნის სისრულეში მოყვანისთვის. ამნაირი მადლობის და ქების ბეჭდვით მათთვის გადაცემის დროს ხელმძღვანელობ იმით, რომ საზოგადოთ საზოგადოებისაგან (დამსწრენი იყვნენ მთელი ბათუმის წარჩინებული პირები) ერთ ხმათ ისმოდა დიდი მადლობა და თანაგრძნობა. როგორც სჩანდა მათთვის და მოთამაშეების საზოგადოებისაგან დამსახურებული პატივის და მადლობისაგან, ახალ ქვეყანაში, ახალ ქართველებთან პირველ ქართულ წარმოდგენას, შკოლის გახსნის მიზნით, საკმარისი შთაბეჭდილება მოეხდინა, რადგანაც ბევრისაგან ისმოდა თხოვნა, რომ ამავე მიზნით ხშირათ იყოს წარმოდგენა.“ კორესპონედენციის ავტორი იყო „ბათუმელი ქართველი“.[4]

ნინო ჟურული-მაქარაშვილისა (დურმიშხან ჟურულისა და ქეთევან ნამორაძის ქალიშვილი) თავის მოგონებაში ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებს. ბათუმში პირველ თეატრალურ წარმოდგენას უამრავი ადამიანი დაესწრო, მათ

[3] გ. ბუხნიკაშვილი. ბათუმის თეატრი. თბ. 1979, გვ. 6-7; ლ. ქუცნიაშვილი. რელიგიური ვითარება აჭარაში (XIX საუკუნის 70-იანი წლები-1904 წელი). თბ. 2019, გვ. 111, http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/lianaqucniashvili.pdf).

[4] გაზ. „დროება“. 13 ივლისი, №144, 1879 წ. გვ. 3. ამ წარმოდგენის შესახებ გაზ. „დროებაში“ წინასწარ იყო დაანონსებული. წარმოდგენის შემოსავლის ნაწილი ქობულეთის გაჭირვებულ მოსახლეობას უნდა მოხმარებოდა. გაზ. „დროება“. №122, 1879 წ. გვ. 1.

შორის ქალაქის ინტელიგენცია, სახელისუფლებო წრის წარმომადგენლები და სხვ. დამსწრეთა შორის იყო ბათუმის სახალხო სკოლების ოლქის უფროსი ბოგდანოვი, რომელმაც წარმოდგენა ქეთევან ნამორაძე-ჟურულთან დაპირისპირების გამო დატოვა. ქეთევან ჟურულის მიერ ბათუმში გამართულ თეატრალურ წარმოდგენებზე თავს იყრიდნენ, როგორც ქალაქის მაშინდელი ელიტის წარმომადგენლები, ასევე ბათუმში მყოფი უცხოელები. როგორც მივუთითებდით, ბათუმში დამკვიდრებული დურმიშხან ჟურულის ოჯახი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად იქცა. დურმიშხანის მეუღლე ქეთევანი იყო უამრავი ღონისძიების სულის ჩამდგმელი. ბათუმში ჩასული ქართული ინტელიგენციისათვის დურმიშხან ჟურულის სახლი ნამდვილ ოაზისს წარმოადგენდა. დურმიშხან ჟურულის მეუღლეს – ქეთევანს ძალზე თბილად იხსენიებს ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი: „სკოლა (მწერალი გულისხმობს ბათუმის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართულ სკოლას – გ.ს) იყო მოთავსებული პაწაწუნა სახლში, მეტად ღარიბულად და საწყლად, თავის მიზანს დაშორებული, რადგან მუსულმან-ქართველები არ აბარებდნენ შვილებს, ვინაიდან ეშინოდათ, შვილებს გაგვიქრისტიანებენო. თბილისის გამგეობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ფულსაც ვერ ახარჯებდა საკმარისად სკოლას და მის შესანახავად ყოველ ღონეს ხმარობდა ბათუმის მცირერიცხოვანი ქართველი საზოგადოება. დიდ დახმარებას უწევდა სკოლას ამ მხრივ ბათუმის პოლიცმეისტერის დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევანი.[5] ეს უკანასკნელი არათუ ამ სკოლას უწყობდა ხელს, იგი იყო ბათუმის ქართველი საზოგადოების თავმომყრელი და სულისჩამდგმელი. მისი ოჯახი იყო, სადაც თავს იყრიდნენ ქართველები; მას

[5] რუსეთის იმპერატორის მიერ 1850 წლის 6 დეკემბერს დამტკიცებულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში ორი ქეთევან ნამორაძე იხსენიება: ერთი ბეჟან ნამორაძის ქალიშვილი, ხოლო მეორე ლუარსაბის ასული (იხ. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით. თბ. 2005, გვ. 289. დურმიშხანის მეუღლე ჩანაწერში დაფიქსირებული ქეთევან ლუარსაბის ასულია. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში მოიხსენიებულია ლუარსაბ იორამის ძე ნამორაძის მეუღლე – ანა, ასევე, მათი ვაჟიშვილი სოლომონი და ქალიშვილები: სალომე და ქეთევანი. ნუსხის მიხედვით ქეთევანი დედმამიშვილებში სავარაუდოდ ყველაზე უმცროსი იყო (იხ. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, გვ. 289). დურმიშხანის და ქეთევანის გარდაცვლილ მცირეწლოვან ვაჟს, რომელიც არბოს წმინდა გიორგის ტაძარშია დაკრძალული ლუკა ერქვა. როგორც ჩანს, დუმიშხანმა თავის ერთ-ერთ ვაჟს სიმამრის სახელი დაარქვა. მისი ვაჟებიდან არცერთი მათგანი არ ატარებდა დურმიშხანის მამის – შალვას სახელს. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ბათუმის პოლიცმეისტერის სიფრთხილით, რადგან მამამისი, როგორც აღვნიშნეთ, ანტირუსულ გამოსვლებში იყო ჩაბმული.

დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ქართველობაშიც და გარეშეთა მხრივაც. ბათუმში ჩამოსული ყოველი ინტელეგენტი ქართველი მოვალედ რაცხდა თავს ამ ოჯახში მისულიყო. ქართველ არისტოკრატებს აქ დიდი ყურადღება ექცეოდათ და დიდად ხელი ეწყობოდათ. ქართული სკოლა, როგორც ვთქვი, ამ ოჯახის მზრუნველობით არსებობდა. რასაკვირველია, მეც, ყმაწვილი ოფიცერი, მიმიყვანეს ჟურულის ოჯახში და გააცვნეს ჩემი თავი. ქეთევანმა პირველ გაცნობისთანავე მისაყვედურა, რომ ქართული ძლივს მეხერხებოდა და დედისებური დარიგება მომცა მშობლიური ენა შემესწავლა. რამდენიმე ხნის შემდეგ საქმეში ჩამაბა: იმართებოდა წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ; იდგმებოდა გიორგი ერისთავის „გაყრა“. მე დამაკისრეს გაბრიელის როლი. გულმოდგინედ შევუდექი როლის სწავლას, მაგრამ ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირვებდა საქმეს. ამის დასაძლევად, ენისგასატეხად, ცალკე რეპეტიციები მჭირდებოდა ხოლმე; ჩამაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევინებდა როლს. ერთი ათჯერ, თხუთმეტჯერ უნდა გამემეორნა ჩემი მონოლოგი; გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არანაკლებ გაწვალებული იყო ჩემი მასწავლებელი, რომელიც შემომძახებდა ხანდახან მოთმინებადაკარგული: „არ შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლოთ ქართული, ქართველი ხართ!“ მეც ძალიან მოწადინებული ვიყავი მესწავლა ჩემი ენა, მეტად მწყდებოდა გული, მაგრამ წარმატებაში ნელის ნაბიჯით შევდიოდი. ამ მზადების დროს ერთ-ერთ რეპეტიციაზე აგვიტყდა ოჯახის პატრონი და, როგორც პოლიციმისტერმა, პიესის ცენზორობა მოინდომა. არ მოეწონა მოურავის ლექსი, ანდუყაფარს რომ ეუბნება მოსამართლეზე: ასი თუმნითა სუდსა-პალატას ხელით ვაქანებ.

„და სუდიასა, აი იმ კუკნასა,
სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა“

დაიჯინა – ეს ადგილი ამოშალეთო, ამის თქმის ნებას ვერ მოგცემთ, სამსახურიდან დამითხოვენო. დიდი შეტაკება მოუვიდათ ცოლ-ქმარს ამის თაობაზე; ქეთევანმა ჩააჩუმა შეშინებული პოლიციმეისტერი. ლექსი არ ამოიშალა.“[6] ზემოთ მოყვანილი ეპიზოდი, რომელიც ბათუმის პირველი თეატრალური წარმოდგენის დროს სკოლების ოლქის ხელმძღვანელის ბოგდანოვის და ქეთევან ჟურულის დაპირისპირებას ასახავს დავით კლდიაშვილს თავის მოგონებებში გამორჩა. მწერალი წლების შემდეგ შეხვედრია ნინო დურმიშხანის ას-

[6] დ. კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე. თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. თბ. 1981, გვ. 101-102; ნ. ნოღაიდელი. დავით კლდიაშვილი ბათუმში. დავით კლდიაშვილი – 150. თბ. 2012, გვ. 379-380.

ულს და ამის შესახებ საუბარში აღუნიშნავს.[7]

ბათუმში მცხოვრებ დურმიშხან ჟურულის ოჯახის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აქვსენტი ცაგარელი. მისი გადმოცემით, ბათუმის პოლიცმეისტერი საკმაოდ გავლენიანი ადამიანი იყო ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის, ჟურულის ოჯახი კი ბათუმში ჩასული ქართული კულტურის მოღვაწეთა მზრუნველი მასპინძელი. ა. ცაგარელის ცნობით, სცენისმოყვარეთა, თუ კულტურული საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა მიმართ განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩეოდა პოლიცმეისტერის მეუღლე – ქეთევან ჟურული. აღსანიშნავია, რომ ბათუმში პირველი ქართული წარმოდგენის შემდეგ აჭარის შემოერთებას მიეძღვნა თბილისის თეატრალური კომიტეტის დრამატული დასის გასტროლები. 1878-1879 წ.წ. თბილისში საცდელი სეზონის ჩატარების შემდეგ დასმა საქართველოს არაერთი კუთხე მოიარა. წარმოდგენები გაიმართა: გორში, ქუთაისში, ფოთში, ბოლოს თეატრალური დასი ბათუმში ჩავიდა.[8] ამის შესახებ ა. ცაგარელი წერს: ,,ქართველ ოჯახებში მაშინ ბათუმში მეთაურობდა პატივცემული დურმიშხან ჟურულის ოჯახი; ბ. დურმიშხანი ბათუმის პოლიციის უფროსი ბძანდებოდა და, მაშასადამე, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა შორის გავლენიანი პირი იყო, ბათუმში ეს პატიოსანი ოჯახი აღმოგვიჩნდა მუქთა სასტუმროდ: სადილ-ვახშამი ამ ოჯახში ჩვენთვის ყოველთვის მზად იყო, და რაც შეეხებოდა ჩვენი სცენის საჭიროებას, დარბაისელი ქეთევან ჟურულისა არაფერს არ ჰზოგავდა დასახმარებლად. ჩვენი საქმე გაჩარხული იყო: წარმოდგენისათვის ზალაც მოვაწყეთ, ბილეთებს იტაცებდნენ, ქართველი საზოგადოების გარდა, უცხოელებიც, მეტადრე ქართველი მაჰმადიანებიც ბევრი დადიოდა, მხოლოდ... დახე კიდევ ჩვენ უშნოობას და მოუფიქრებლობას: ბათუმში სტამბა არ იყო (ან რისთვის იქნებოდა), და ჩვენ კი დაგვავიწყდა ქუთაისიდან დაბეჭდილი აფიშები წაგველო. არავის არ მოაგონდა, ვერავინ ვერ მოვისაზრეთ, რომ ბათუმში, ახლად აღებულ ოსმალოს ქალაქში, ასე მალე ქართულ-რუსული სტამბა არ იქნებოდა! ხელთნაწერი აფიშები რამდენი უნდა დაგვემზადებინა, რომ მთელ ქალაქს გასწვდომოდა და ან რა თვალსაჩინო იქნებოდა ხელთ-ნაწერი აფიშა? შემდეგ ურთი-ერთ შორის თათბირისა, შემდეგი გამოვიგონეთ: ბათუმში დღესაც, ზაფხულობით, ქუჩა-ქუჩა დაასქვთ ხოლმე ცივი წყაროს წყალი კოკებით ხის ფოთლებში გახვეული, ამას

[7] საქართველოს ხელოვნების სასახლე. კულტურის ისტორიის მუზეუმი. ფონდი №1. საქმე 3035. ხ. 20803.

[8] გ. ბუხნიკაშვილი. ბათუმის თეატრი, გვ. 7.

ეძახიან სოუხ-სუს. წყლის დამტარებელი დადის და ჰყვირის „სოუხ-სუ!“ დავწერეთ რამდენიმე აფიშა სხვილის ხელით და ამ წყლის დამტარებლებს ზურგზე დავაკარით და თანაც დავარიგეთ, რაც უნდა ეყვირათ ქუჩაში. დადიოდნენ ეს ქართველი თათრები და დაზეპირებულ სიტყვებს გაჰკიოდნენ: „დღეს თრიათში ქააართულიი თრიათრიააააა. თამაშობენ: საფაროვი, გაბუუუნია, ყიფიააანი“ და სხვა ამ გვარად. ხშირად ჩვენი ქალები ჩემზე ადრე რად ამბობსო, ჩამოუცვიოდნენ ამ საბრალოებს სასტუმროდან ქუჩაში, შეაჩერებდნენ და ეუბნებოდნენ: წინად გაბუნია ან საფაროვი სთქვიო და აი შენი გასამჯელო ერთი აბაზიო... ჩვენ, კაცები, ვსწყდებოდით სიცილით თათრებისაგან ჩვენი არტისტი ქალების დამახინჯებული გვარების ყვირილზედ; მით უმეტეს, თეატრში ჭედვა არ იყო. ბათუმში სამი წარმოდგენა გავმართეთ; სამჯერვე თეატრი სამსე იყო ხალხით. საჩუქრები ბევრი მოსდიოდათ ჩვენ არტისტ ქალებს; გაბუნიას ქალს დღესაცა აქვს მაშინდელი რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი“.[9]

ბათუმში ამ დროს იმყოფებოდა პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგელი[10], რომელსაც თბილისელი სტუმრების გასამასპინძლებლად ევროპიდან გამოწერილი სასმელები ქეთევან ჟურულისთვის გადაუცია.[11]

ა. ცაგარელის მოგონებებში ერთ საინტერესო ეპიზოდსაც ვხვდებით, რომელიც დურმიშხან ჟურულის ვაჟს, პირველი კლასის კადეტს შემდგომში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს – გიორგი ჟურულს ეხება. ეპიზოდში აღწერილია, როგორ მიართვა ცნობილ ქართველ მსახიობ ქალს ნატო გაბუნიას ყვავილების თაიგული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მომავალმა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა. ქართველი დრამატურგი იგონებს: „პროვინციაში ხშირად გვშველოდნენ ხოლმე სცენის მოყვარულნი. რომ დაგვჭირდებოდა, მეტი რა ჩარა გვქონდა, მოვიწვევდით ხოლმე ამა თუ იმ კაცსა ან ქალსა, რომლებიც დიდის სიამოვნებით გვეხმარებოდნენ. ბათუმშიაც დაგვჭირდა პატარა ქალის როლის მოთამაშე. ბევრი არ გვიფიქრია და უცბათ

[9] https://elfiles.emis.ge/uploads/11021/Cagareli_Aqvsenti.pdf www.batumitheatre.ge; http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=253964&gid=6#.XeVuPZNKjIU

[10] http://www.nplg.gov.ge/winemakers/ka/00001996/

[11] საქართველოს ხელოვნების სასახლე. კულტურის ისტორიის მუზეუმი. ფონდი №1. საქმე 3035. ხ. 20803.

აღსანიშნავია, რომ გრაფ კონსტანტინე ოლდენბურგელის მეუღლეს აგრაფენა ჯაფარიძეს და მის დას კატოს (http://www.nplg.gov.ge/winemakers/ka/00001996/) მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დურმიშხან ჟურულის და ქეთევან ნამორაძის ქალიშვილის ნინო ჟურულის მეუღლესთან – გენერალ ილია მაქარაშვილთან. ეს დასტურდება ილია მაქარაშვილის მიერ ნინო ჟურულის სახელზე გაგზავნილი ერთ-ერთი წერილით.

გამოვსძებნეთ... დღევანდელი ჩვენი პატივცემული ცენზორი გიორგი ჟურული, პირველი კლასის კადეტი, რომელიც გამოვიყვანეთ პატარა გოგოს როლში, მოკლე და არშიებით მორთულ ქალის ტანისამოსით. ქალში ვერ გამოარჩევდა კაცი, ისე უხდებოდა ეს დედათა სამოსელი და მშვენივრადაც შეასრულა თავისი როლი. ერთი მოხერხებული ეშმაკობაც ჩაიდინა ამ ყმაწვილმა გიორგი ჟურულმა. იგი დიდი მოტრფიალე იყო (მგონია, დღესაც ისევე მოტრფიალეა) თეატრისა და თაყვანის მცემელი არტისტებისა. ნახა, რომ საზოგადოება საჩუქრებს აძლევს წარჩინებულ არტისტებს, თითონაც მოუნდომია საჩუქარი მიართვას გაბუნიას ქალს. წასულა საქალაქო ბაღში და მებაღისათვის უთქვამს: „მამამ – კარგი თაიგული გამიკეთე და გამომიგზავნეო“. აბა, მებაღეც როგორ არ გაუკეთებდა, რა დაინახა პოლიციის უფროსის შვილი! გაუკეთა მშვენიერი თაიგული და მიართვა. გიორგიმ გამოართვა თაიგული და დაფიქრდა: „ამას ხომ „ლენტი“ უნდაო“. წავიდა მაღაზიაში, აარჩია საუკეთესო ლენტი, 20-25 მანეთი დაუფასეს. ვინ მისცა პირველი კლასის შეგირდს ეს ფული! დედმამას ვერა სთხოვს ამ ფულს და, მაშ, რა ქნას, ხომ გაუცრუვდა „კავალრობა“! როგორ მიართვას ცარიელი თაიგული ულენტოდ?! იფიქრა, იფიქრა და მოვიდა ჩვენთან სასტუმროში, გაბუნიას ქალთან: „ნატო, დედამა – დღეს ქართულ წარმოდგენაზე უნდა მოვიდე ნამდვილი ქართული ტანისამოსითაო და რომელი საუკეთესო სარტყელიცა გქონდეს, გამომიგზავნეო“. – გულის პირი ხომ არ უნდა? – ჰკითხა გაბუნიას ქალმა. – არა, გულის პირი აქვს, მარტო სარტყელი უნდა, – მიუგო იმან. ადგა და რომელიც საუკეთესო სარტყელი ჰქონდა, გაუგზავნა. დაიწყო წარმოდგენა, საჩუქრები ბევრი მიიღეს არტისტებმა და, სხვათა შორის, გაბუნიას ქალს მიართვეს მშვენიერი თაიგული ძვირფასი „ლენტით“ გადახვეული. გათავდა წარმოდგენა, გაბუნიას ქალმა გაფაციცებით დაუწყო შინჯვა ძვირფას საჩუქრებს, განსაკუთრებით თაიგულის სარტყელს და... პირს კატა ეცა: თავისი საკუთარი სარტყელი იყო. ამ გვარად ითვალთმაქცა პატარა გიორგიმ და საზოგადოებას დაანახვა, რომ ძვირფასი საჩუქარი მიართვა არტისტ ქალს. მაშინდელი ჩვენი დროს გატარება ბათუმში სწორედ დაუვიწყარია“.[12]

ეს მოხდა 1879 წელს, როდესაც ბათუმში თბილისის პროფესიული თეატრის დასი ჩავიდა. დასში შედიოდნენ: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშ-

[12] https://elfiles.emis.ge/uploads/11021/Cagareli_Aqvsenti.pdf; საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი. ფონდი I. საქმე (მითითებული არ არის – გ. ს.). ხ. 38506. https://oldbatumi.wordpress.com/2009/11/22/ბათუმისპოლიცმეისტერის-ო/

იძე, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვ. ბათუმელებმა დედაქალაქიდან ჩასულ სტუმრებს განსაკუთრებული დახვედრა მოუწყვეს და შესანიშნავი ვახშამიც გაუმართეს.[13]

ბათუმში დამკვიდრებული ქეთევან ნამორაძე-ჟურული საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა, რაც დასტურდება 1880 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, ვინმე შჩუკინას წერილთან დაკავშირებით მის მიერ გამოქვეყნებული გამოხმაურებით. შჩუკინა სასცენო წარმოდგენებზე უპოვართათვის გარკვეული თანხების მოსაკრებლის დაწესების ინიციატივით გამოდიოდა, რასაც ქეთევანმა მხარი დაუჭირა. გაზეთ „დროებაში“ 1880 წლის 20 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში ქეთევანი აღნიშნავდა, რომ საღამოებზე, რომელიც ბათუმში მისი ინიციატივით იმართებოდა, უპოვართათვის ცალკე აგროვებდნენ შესაწირს. წერილში ვკითხულობთ: „ეს ძვირფასი და თან ადვილათ ასასრულებელი აზრია-ამაზედ ეჭვი არ უნდა გვქონდესთ; არამც თუ ლოჟებისა და კრესლების ხალხი, არამედ გალერეიდამაც მაყურებელი ხალხიც კი არ დაიშურებს ერთ შაურს – იმ ბედიდგან დაჩაგრულ ხალხისათვის. რასაკვირველია, ბილეთების გაყიდვის დროს იმათთვის ცალკე იდგმება კრუშკა ზედ წარწერით დამშეულის ხალხის სასარგებლოდ და ყველა ბილეთის მყიდველი ვალდებული იქნება, რომ ბილეთის ფასს თითო შაურიც უეჭველად დაუმატონ მეტადრე თუ გაზეთებში წაკითხული ექნებათ, ამა და ამ საგნისთვის ადგენს ეს წესდებულებაო, დაუმატებენ კიდეც. ღმერთმან ინებოს, რომ ამ კეთილ აზრს გულ-მხურვალე პატრონი გამოსჩენოდეს და დაუყოვნებლად სისრულეში მოეყვანოსთ. ჩვენ გულში კი ისეთი გრძნობა დაბადა მაგ აზრმა, რომ იმედი მაქვს თითო-ოროლა თუმანი აქედამაც მოგაწოდოთ ხოლმე ამ მიზნით, „დროების“ რედაქციაში.“[14] ბათუმში სცენისმოყვარეთა ძალისხმევით 1880 წლის 25 მარტს, მ. ტერ-გრიგორიანის „ესეც შენი მაჭანკლობა“ დადგეს. იმავე წელს ბათუმის თეატრის მსახიობებმა სცენაზე გარდასახეს ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდა ეს არის“.[15] 1882 წელს ქეთევან ჟურულმა ბათუმში სცენისმოყვარეთა მუდმივმოქმედი წრე შექმნა.[16] ქეთევანის ინიციატივით 1883 წლის 13 თებერვალს ბათუმში გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. გაწეული ღვაწლისთვის ბათუმის

[13] ც. თევდორაძე. ზოგიერთი საარქივო მასალა მაქარაშვილ-ჟურულების ოჯახის შესახებ. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. №10. 2010, გვ. 63.
[14] გაზ. „დროება“. №58. 1880, 15 მარტი, გვ. 2.
[15] ე. მესხია. ბათუმის თეატრის სათავეებთან. ბათუმი წარსული და დღევანდელობა. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მასალები. ბათუმი. 2009, გვ. 220-221.
[16] ს. გერსამია. ბათუმის თეატრი. თბ. 1949, გვ. 9.

ქართული სკოლის მასწავლებელმა მ. ნათაძემ ქეთევან ჟურულის მიმართ მადლიერება გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში გამოხატა.[17]

ბათუმში გახსნილი ქართული სკოლა, რომლის მიმართ დურმიშხან ჟურულის ოჯახი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა, მატერიალურ დახმარებას საჭიროებდა. ადგილობრივი შეძლებული მოქალაქეებისაგან შეწირული თანხები სკოლას არ ყოფნიდა. მას მხოლოდ საგანმანათლებლო დატვირთვა არ ჰქონდა, ახლად შემოერთებულ აჭარაში ეროვნული ცნობიერების ამაღლების და მუსლიმი ქართველების დედასამშობლოსთან მჭიდროდ დაახლოვების საქმეში სკოლას გაცილებით დიდი მისია ჰქონდა. სწორედ ამ საკითხებს ეხება ქეთევან ჟურულის წერილი, რომელიც მან 1884 წლის მარტში გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა: „ბ. რედაქტორო! როდესაც ბათუმში „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ სკოლა გახსნა, ამ სკოლის მასწავლებლების მეოხებით და მათის ხალხთან ტკბილად მოქცევით აღიძრა ხალხში სურვილი სწავლისა და, ჩვენდა სასიამოვნოდ, დღითი-დღე მატულობს რიცხვი შეგირდებისა; მაგრამ არ იქნება არა ვსთქვათ, რომ ამ სკოლას ბევრი დაუკმაყოფილებელი საჭიროება აქვს. ზოგიერთნი აქეთ-იქიდან ცდილობენ ფულით შემწეობას, მაგრამ, სადაც ორმოცი და სამოცი თუმნებია საჭირო, იქ ხუთი და ათი, თუნდა ოციც რას გაუხდებოდა. ყველამ ვიცით საზოგადოდ, რაც მნიშვნელობა აქვს სკოლებსა, მეტადრე იმისთანა მხარეს, როგორიც არის ბათუმი და უთუოდ ყველანი უნდა ვცდილობდეთ იქაური სკოლის წარმატებას. ბათუმი არის ერთი საუკეთესო და საიმედო ნაპირთაგანი ჩვენის ქვეყნისა, ბათუმის სკოლა აღგვიზდის, შეგვაერთებს და დაგვიბრუნებს იმათ შვილებს, რომელნიც ერთ დროს ბედნიერებისა და უბედურობის უღელს ერთად გვიწევდენ და ეხლა-კი სხვა-და-სხვა ისტორიულ მიზეზთა გამო ჩვენგან დაშორებულან და გაგარეულებულან. მაშასადამე, განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოს „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ ბათუმის სკოლას. მაგრამ ის ადგილი, სადაც ეხლა სკოლა იმყოფება მეტად მდარეა: როგორც თვით სახლი შესაფერისი სკოლისათვის, ისე ალაგი, ჭაობიანი და ციებ-ცხელებიანია; აქაური წამხდარი ჰაერი აზარალებს, როგორც შეგირდებს, ისე მასწავლებელს. მე, როგორც ახლოდ მცნობი, როგორც საზოგადოდ ბათუმის მდებიარებისა, აგრეთვე იქაური სკოლის გარემოებისა, ვფიქრობ, რომ ყოვლად შეუძლებელია ამას იქით ის სკოლა იქ დარჩეს, სადაც ამ ჟამად იმყოფება; თორემ თუ იმ მდგომარეობაში დარჩა, როგორშიაც ახლაა, მაშინ სა-

[17] გაზ. „დროება“. №39, 1883; გ. ბუხნიკაშვილი. ბათუმის თეატრი, გვ. 10.

შიშია, რომ სულ ერთიანად ავად დახდენ, როგორც მასწავლებელი და მისი ოჯახობა, აგრეთვე შეგირდები. ამისათვის მე, როგორც ამ სკოლის წარმატების მსურველი, ვაუწყებ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, რომ იმ ადგილას ვერც ერთი მასწავლებელი ვერ შესძლებს დიდი ხნით ყოფნას და მასწავლებლების ხშირად ცვლა, პატივცემულ „საზოგადოებას“ უფრო უკეთ მოეხსენება, რომ ძლიერ მავნებელია სკოლისათვის, მით უფრო, რომ ეხლანდელ მასწავლებელს ძალიან შეთვისებულ ჰყავს ბათუმში მცხოვრებლები – ქართველი მაჰმადიანები და იმან რომ თავი დაანებოს იქ მასწავლებლობას, სასურველი არ იქნება.“[18]

## დანართი

### ნინო ჟურულის მოგონებები

(ხელნაწერი, ქართულ ენაზე, სტილი დაცულია).

ჩემი პატარა მოგონებანი

79-80 წელში პირველათ რო ბათუმში ჩავედით მამა ჩემი[19] პოლიცმეისტერი იყო, მე მაშინ ძალიან ყმაწვილი ვიყავი და ჩემზედ შთაბეჭდილება იქონიეს შემდეგმა შემთხვევებმა: ბათუმი პატარა ქალაქი იყო, სახლები მართლა მომეტებული ნაწილი ორ სართულიანები იყვნენ, მაგრ. ოთახები ზეით იყვნენ-2-3 და წარმოადგენდნენ ერთ ბინათ. საზოგადოება წარჩინებული იყო როგორც ქართველობა, ისე რუსობა, უცხოელები და ბეგები. დედა ჩემი[20] დიდი პატრიოტი იყო საზოგადო მოღვაწე და თეატრის მოყვარული. ხშირად საქველმოქმედო წარმოდგენებსაც მართავდა, კარგი თანამშრომლებიც ყავდა, როგორც მაკრინე გლონტი[21] და სხვები. ერთხელ მახსოვს „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოთ (მაშინ სკოლაც დაარსეს) წარმოდგენას მართავდნენ, საკმაო ბი-

[18] გაზ. „დროება“. №52. 8 მარტი. 1884, გვ. 3.

[19] იგულისხმება დურმიშხან ჟურული.

[20] იგულისხმება ქეთევან ჟურული.

[21] იგულისხმება მაკრინე იოსების ასული ღლონტი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი. გაზ. „ივერიის“ ცნობით მაკრინე ღლონტს 1888 წელს ბათუმში არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება ჩაუტარებია. https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/7467-makrine-iosebis-asuli-ghlontisa

ნა არ იყო წარმოდგენისთვის, გადასწყვიტეს ერთ დიდ ეზოში გაემართად. შემოღობეს ფიცრებით, სცენაც მორთეს საუცხოოთ, როგორც თითონ სცენა, ისე ალაგი მაყურებლებისათვის, ეხმარებოდნენ ქართველების გარდა სხვებიც როგორც ადმირალი გრევე[22] თავის მეზღვაური აფიცრებით და მოტროსებით შვენიერი ბაირახებით და ფანტაზიურათ მორთეს იქაობა, ყველაფერი. უფროსი ერთნი პირველ რიგის – სამ მანეთიან ბილეთებს ითხოვდნენ, მეტადრე ბეგები, რადგანაც პირველ რიგში საკმაო სკამები არ ეტეოდა. როგორღაც მოახერხეს, სცენის ირგვლივ მოათავსეს 50-60 სკამი და ასე დააკმაყოფილეს პირველი რიგის მსურველები. რეპეტიციებს მრავალნი ესწრებოდნენ და ერთობოდნენ მოწყობაში და სხვა. ერთ რეპეტიციის დროს ქართველების გარდა როგორც ნ. ერისთავის ოჯახი (მაშინ ვიცე-გუბერნატორი იყო) ქალაქის...[23] უფროსი (?) ბერსი (ცოლი ქართველი ყავდა ფატი ერისთავის ქალი)[24] პოლკის უფროსები დ. ვეზირიშვილი,[25] ი. საგინაშვილი,[26] გურიელი...[27] სხვათაშორის დაესწრო ვინმე ბოგდანოვი – ბათუმის სახალხო სკოლების უფროსი, – იანოვსკის დიდი მიმდევარი, რომელსაც საშინლად ეჯავრებოდა ქართველები და სიშურით უცქეროდა, რო ყველანი ასე თანაგრძნობას უწევდნენ ქართულ წარმოდგენას, – ბოგდანოვმა ველარ მოითმინა და ცუდათ მოიხსენია ქართველობა, დედა ჩემმა ყური მოჰკრა და სასტიკი პასუხი მისცა, როდესაც ბოგდანოვმა კიდე რაღაც უთხრა და ბოლოს ვითომ უნდა გაესწორებინა თავის ნათქვამი დედა ჩემმა გულმოსულმა უთხრა: «С таким салдфоном, Как ви не желаю разговаровать.» ატყდა ამაზედ ალიაქოთი, ბოგდანოვი გულ მოსული მაშინვე

[22] იგულისხმება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის განვითარების პროექტის (1884 წ.) ერთ-ერთი ავტორი და ნავსადგურის პირველი უფროსი ადმირალ გრევე. https://batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/navsadguris_istoria/?310439284

[23] მომდევნო სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.

[24] ამ დროისთვის ბათუმის ქალაქის თავი იყო, დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ცოლისძმა, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე პოლკოვნიკი ბერსი, რომელსაც როგორც მოგონების ავტორიც აღნიშნავს ცოლად ყავდა ქართველი ქალი ფატი ერისთავი. 1882 წელს მასზე თავდასხმა მოაწყეს, სასამართლო ბრალს სდებდა კოწია ერისთავს, რომელსაც სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ბერსის მეუღლესთან, თუმცა საბოლოოდ კოწია ერისთავს ბრალი არ დაუდასტურდა. მალე ბერსი ქართველ ქალს გაშორდა. https://batumelebi.netgazeti.ge/news/348379/

[25] იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილის დის – ბარბარეს მეუღლე პოლკოვნიკი დიმიტრი ვეზირიშვილი, რომელიც ბათუმში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის უფროსი იყო, მას იხსენიებს თავის მოგონებებში დ, კლდიაშვილი. (იხ. დ. კლდიაშვილი. ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 102).

[26] იგულისხმება საღინაშვილი (საგინოვი) ივანე ბესარიონის ძე (1834-1909), თავადი, გენერალ-მაიორი (1892)
http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/რუსეთის_არმიის_ქართველი_გენერლები

[27] მომდევნო რამდენიმე სიტყვის წაკითხვა ვერ შევძელით.

წავიდა, ზოგიერთმა აქ მყოფებმა დედა ჩემს საყვედური უთხრეს რათ აჩქარდა, – ხომ იცის როგორ გვიყურებენ ქართველებს და კარგი იქნება თუ შანშიევის[28] პირით – (ის იყო ...[29] სამხედრო გუბერნატორი სმეკალოვი[30] იყო მაშინ) სინანული შეუთვალო ...[31] დედამ რასაკვირველია უარი სთქვა ამაზედ. იმან მთელი ქართველობა შეურაცხყოო. პირიქით იმან უნდა მოიხადოს ბოდიშიო, მართლაც ასე დატრიალდა ეს ამბავი, რომ ბოგდანოვი მოვიდა ჩვენთან და მოითხოვა ბოდიში. ეს ეპიზოდი კარგათ ახსოვდა დ. კლდიაშვილს, რომელსაც აქვს „გზადაგზა“ თავის ერთი ...[32] მოგონებაში – სხვათაშორის დედაჩემზედ სწერს, რომ პირველათ ბათუმში რო ჩავედით – ქართველობამ წამიყვანა ქეთევან ჟურულთანო, სადაც რეპეტიცია ჰქონდათ და გაყრაში ამირჩიეს და როლებს ...[33] მეც მამცეს ანდუყაფარის როლი, რადგანაც ქართული კარგათ არ მეხერხებოდა, ქეთევანი ჩამსვამდა ხოლმე სავარძელშიო და მასწავლიდა როლსაო და თან მეუბნებოდა: არ გრცხვენიან ქართველი ხარ და არ გეხერხება ქართულიო და სხვა. მე შემხვდა ერთხელ დ. კლდიაშვილი და მითხრა: მე კიდე ცოტა დავწერე ქეთევანზეო, მაშინ მოაგონდა „ბოგდანოვთან შემთხვევა“ და სინანულით სთქვა, თუ როგორ დაავიწყდა ამის დაწერა და სხვა... პირველათ ბათუმში რო ჩამოვიდა ჩვენი ქართული დასი: ნ. გაბუნია, მაკა საფაროვა, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ვლ. მესხიშვილი, ა. ყაზბეგი, ა. ცაგარელი და სხვები – ქართველობა დიდი აღტაცებით შეხვდა და გაუმართეს ერთ სასტუმროში დიდი ზეიმი, არამცთუ ქართველობამ უცხოელებმაც მიიღო მონაწილეობა. მაშინ ბათუმი „პორტი – ფრანკო“[34] იყო, პრინც ოლდენბურგელს[35] გამოწერილი ჰქონდა მრავალი ევროპიული სასმელები – შამპანიური და რადგანაც სხვა ქალაქში წაღებას დიდი ბაჟს თხოულობდა, ის სასმელები იქვე ისმეოდა, რო-

[28] სავარაუდოდ იგულისხმება სამხედრო მოღვაწე, შემდგომში გენერალი ნიკოლოზ შანშიაშვილი (1862-1933 წ.წ.). https://mematiane.ge/product-details.php?id=1110&lang=ge

[29] აქ რამდენიმე რუსულად მიწერილი სიტყვის ამოკითხვა ვერ შევძელით.

[30] სმეკალოვის სამხედრო გუბერნატორობის დროს 1888 წელს ბათუმს მეუღლესთან ერთად ეწვია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III, სწორედ იმპერატორის მეუღლის – მარიას საპატივსაცემოდ სმეკალოვის ინიციატივით უწოდეს ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას „მარინსკი“. https://old.funtime.ge/erti-rakursit/post/90827-romanovebis-kvali-batumshi

[31] ერთი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.

[32] სიტყვა გაურკვევლად წერია.

[33] წინადადების დანარჩენი ნაწილი ვერ იკითხება ტექსტის დაზიანების გამო.

[34] იგულისხმება ბრიტანელთა მიერ ბათუმში თავისუფალი საგარეო ეკონომიკური სივრცის შექმნა 1878-1886 წ.წ.

[35] იგულისხმება რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის დის ეკატერინეს შვილიშვილი, გერმანელი პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგელი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი აგრაფინა ჯაფარიძე.

დესაც გაიგო, რო ქართველ...[36] ასეთ ვახშამს უმართავს, პრინცმა დედაჩემს უთხრა, რომ სასმელები მე შემომიწირავსო. მართლაც დიდი წვეულება გაუმართეს. ქართული დასი თითქმის ყოველ წელიწადს ეწვეოდა ხოლმე ბათუმს და აღტაცებით ეგებებოდა ხოლმე ყველანი. ერთხელ მახსოვს შემოაკლდათ ყმაწვილის ქალის როლი. მაშინ ჩემი ძმა გიორგი 3-4 კლასის კადეტი იყო. ორ დღეში მოამზადეს ამ როლში და გამოიყვანეს სცენაზედ (ათამაშეს) ყველას ეგონა რო ახტა (ვანა?) ქალია ისე კარგად შეასრულა როლი! საზოგადოთ მაშინ ბათუმში ...[37] კარგი დრო იყო, საზოგადოება საუკეთესო სხვა და სხვა ტომისა და დიდი ...[38] ქართველობის (ამის შემდეგ გადაშლილია რამდენიმე სიტყვა: „დიდ პატივს სცემდნენ“) უკეთესი ალაგი. დიახ და ყველანი ერთმანეთს (?) დიდ პატივს სცემდნენ!...

აღნიშნული მოგონება უთარიღოა.

**საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიისა მუზეუმი, ფონდი I, საქმე 3035, ხ. 20803.**

[36] მომდევნო სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.
[37] მომდევნო სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.
[38] ერთი სიტყვა გაურკვეველია.

***Giorgi Sosiashvili***
Professor,
Gori State Teaching University

# FROM THE HISTORY OF THE CULTURAL LIFE OF BATUMI IN THE SECOND HALF OF THE 19TH CENTURY (ACCORDING TO THE MEMOIRS OF NINO ZHURULI)

Summary

The famous public figure of the 1850's, Durmishkhan Zhuruli, was married to Ketevan Namoradze, the daughter of Luarsab Namoradze, who was well-educated and well-known in Georgian society at that time.

Durmishkhan Zhuruli continued his career in Adjara after the Russian-Ottoman war of 1877-1878. He settled in Batumi with his wife and children. Durmishkhan Zhuruli's family became a center of Georgian culture in the newly connected corner to the motherland. It was with them that the scholars gathered, the main goal of whom was the revival of national consciousness. A number of important events were associated with the name of Durmishkhan Zhuruli's wife Ketevan, including the foundation of the Batumi Theater.

On July 20, 1879, on Ketevan's initiative, the first performance was held with the participation of stage lovers from Batumi: "Has uncle married?" (Z. Antonov) and "If you want a wife, this is her" (Vaudeville by V. Abashidze). This very date is considered to be the foundation day of the Batumi Theater. Levan Mchedlishvili took part in the performance along with other actors (later his son Vakhtang Mchedlishvili worked as a director in the Moscow Art Theater. He founded the Georgian Drama Studio in Moscow). The first performance was held in a wooden building in Batumi, which was built in the courtyard of the newly established Russian Civil School. Nino Zhuruli-Makarashvili (daughter of Durmishkhan Zhuruli and Ketevan Namoradze) recalls one interesting fact in her memoirs. A lot of people attended the first theater performance in Batumi, including the intelligentsia of the city, representatives of the government and others. Among the attendees was Bogdanov, the head of the Batumi Public Schools District, who left the performance due to a confrontation with Ketevan Namoradze-Zhuruli.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX
თბილისი. 2023

*ოთარ გოგოლიშვილი*
პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება რუსეთში და ბათუმი დასავლეთის სახელმწიფოების გეგმებში

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური გადატრიალების გამარჯვების მეორე დღესვე საბჭოების II სრულიად რუსეთის ყრილობამ დაამტკიცა დოკუმენტი-დეკრეტი ზავის შესახებ. ახლადშექმნილმა საბჭოთა მთავრობამ მოუწოდა ყველა მეომარ ქვეყანას შეეწყვიტათ მსოფლიო ომი და შედგომოდნენ მოლაპარაკებას საყოველთაო დემოკრატიული ზავისათვის. 1917 წლის ნოემბერში ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის ბლოკის სახელმწიფოებს შორის.

ამიერკავკასიის კომისარიატმა არ სცნო სახკომსაბჭოს ხელისუფლება, თავი აარიდა ბრესტში დაწყებულ მოლაპარაკებას და დამოუკიდებლად დაიწყო ომიდან გამოსვლის გზების ძიება. აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის მთავრობის ასეთი კურსი მთლიანად პასუხობდა გერმანიის საგარეო-პოლიტიკურ ინტერესებს. ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკების დაწყების წინ რაიხსკანცელარიის საგარეო საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა ყველაფერი ელონათ რუსეთის დანაწევრებისათვის[1].

განადგურების პირას მისული ოსმალეთი თვითონაც ესწრაფოდა ომიდან გამოსვლას. 1917 წლის 13 დეკემბერს ერზინჯანში თურქეთ--ამიერკავკასიის შორის გაფორმდა კიდეც დროებითი ზავი, რომლითაც შეწყდა საომარი მოქმედება კავკასიის მთელ ფრონტზე. დაწესდა გამმიჯნავი ხაზი, მაგრამ თურქეთის მმართველი წრეებისათვის ეს იყო შესვენება კავკასიის არმიის შესავსებად და შეტევისათვის მოსამზადებლად.

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური გადატრიალებისა და რუსე-

[1] გ. ფიფია. გერმანიის პოლიტიკა საქართველოში 1918 წელს. დოკუმენტების კრებული (რუსულ ენაზე). თბ. 1971, გვ. 91.

თისაგან ამიერკავკასიის გამოცალკავების შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოებს შეექმნათ რეალური პირობები დახმარებოდნენ რუსეთის ყოფილ კოლონიებს და ხელი შეეწყოთ მათთვის დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამასთან დაკავშირებით ბათუმის, როგორც პირველხარისხოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური პუნქტის მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა.

განსაკუთრებით შორს მიდიოდა თურქეთის ექსანსიონისტური გეგმები. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ენვერ-ფაშა შესაძლებლად თვლიდა არა მარტო ამიერკავკასიის დაპყრობას, არამედ დიდი ხნის ნაოცნებარი „თურანის“ განხორციელებასაც. **(„თურანი“ – სახელმწიფო, რომელშიც ოსმალეთის მეთაურობით უნდა გაერთიანებულიყო თურქული მოდგმის ყველა ხალხი ო.გ.)**. ამ იდეური მოტივების გვერდით თურქეთს ამოძრავებდა წმინდა პოლიტიკური მიზნებიც: ჯერ ერთი – ომის პირველი სამი წლის მანძილზე ინგლისელებთან ბრძოლაში თურქეთმა დაკარგა აზიური ტერიტორიების დიდი ნაწილი. ამიტომ გადაწყვიტა დაეპყრო დაუცველად დარჩენილი ამიერკავკასია, რაც თურქეთის მმართველი წრეების ვარაუდით, ანტანტის გამარჯვების შემთხვევაში მათთან საზავო მოლაპარაკების დროს საიმედო კოზირი იქნებოდა და თურქეთს შეეძლებოდა ის შეეთავაზებინა ინგლისისათვის ამ უკანასკნელის მიერ აზიაში დაკავებული თურქული ტერიტორიების სანაცვლოდ. მეორეც – თურქეთის მმართველი წრეები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ თავიანთი მთავრობის პოლიტიკაზე, თვლიდნენ, რომ ომში გამარჯვების შემთხვევაში, ამიერკავკასიის ხელში ჩაგდებით მათ შესაძლებლობა მიეცემოდათ მონოპოლიურად დაპატრონებოდნენ და სასურველ ფასებში მიეყიდათ გერმანელებისათვის ნავთობი, მარგანეცი, სპილენძი და სხვა ნედლეული, რომლის მწვავე ნაკლებობასაც განიცდიდა მეომარი მოკავშირე[2]

თურქეთის მმართველ წრეებს კარგად ესმოდათ, რომ მათი გეგმების განხორციელებისათვის თავდაპირველად აუცილებელი იყო მათთვის ბათუმის დაუფლება. ამიტომაც, უკვე 1917 წლის დეკემბერში გერმანიას წაუყენეს თავიანთი ტერიტორიული მოთხოვნები, რომ ბრესტის საზავო მოლაპარაკებით თურქეთისათვის დაებრუნებინა ბერლინის კონგრესით (1878 წ.) რუსეთისათვის გადაცემული ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქები[3]. ამავე მიზნით, თურქეთის სამსახურში მყოფი გავლენიანი ქართველი მაჰმადიანებისაგან

[2] კ. კიულმანი. გერმანია-თურქეთის კავშირი მსოფლიო ომში (რუსულ ენაზე). მანჭანაზე ნაბეჭდი გამოცემა. მოსკოვი. 1986, გვ. 377-379.

[3] კ. კიულმანი. გერმანია-თურქეთის კავშირი მსოფლიო ომში გვ. 260.

სტამბოლში შექმნეს სპეციალური კომიტეტი, რომელსაც დაევალა ყოველი ღონე ეხმარა ზემოაღნიშნული ოლქების თურქეთთან შეერთებისათვის. დეკემბრის დამლევს კომიტეტის დელეგაცია ბერლინში ჩავიდა და გერმანიის მთავრობის სხვადასხვა ინსტანციებში მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის თურქეთისათვის გადაცემა. გერმანიის მთავრობა დელეგაციას ცივად შეხვდა და მხოლოდ გაურკვეველი დაპირების მიცემით დაკმაყოფილდა[4].

სტამბოლელ დელეგატთა ბერლინში ჩასვლის გამო, იქ არსებულმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის მთავრობებს დაუყოვნებლივ მიმართა პროტესტით, რომელშიც დასაბუთებული იყო, რომ „აჭარა და ბათუმი საქართველოს ისტორიული კუთვნილებაა“. ეს მოთხოვნა მთლიანად პასუხობდა გერმანიის ინტერესებს. ამიტომაც იყო, რომ ქართული კომიტეტის მეშვეობით დაუკავშირდნენ საქართველოში მყოფ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და აცნობეს, რომ თუ საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, გერმანია მზად იყო დაეცვა მისი ინტერესები საზავო კონგრესზე[5].

ბერლინელ პოლიტიკოსთა ვარაუდით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გერმანიას იურდიულ უფლებას მისცემდა აელაგმა თურქეთის პრეტენზიები ბათუმის ოლქისა და საერთოდ ამიერკავკასიის მიმართ. ამავე მიზნით გერმანელებმა კავშირი აღადგინეს თავიანთ აგენტებთან ამიერკვკასიაში. განსაკუთრებული ყურადღება მათ მიაქციეს ბათუმს, სადაც მოავლინეს გენშტაბის მაიორი გ. მეი და სხვ.

თურქეთისათვის აშკარა გახდა, რომ გერმანელები მათ ამიერკავკასიაში ბევრს არაფერს დაუთმობდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს იარაღის ძალით დაეპყროთ სასურველი ოლქები და ამით გერმანია „მომხდარი ფაქტის“ წინაშე დაეყენებინათ. ამიერკავკასიაში ექსპანსიის წარმატების იმედს ენვერ-ფაშას აძლევდა ის ხელსაყრელი ვითარება, რაც იმ დროისათვის შეიქმნა ამ რეგიონში. კერძოდ, კავკასიის ფრონტი სრულიად დაირღვა და გამმიჯნავი ხაზი, რომელსაც ტოვებდნენ კავკასიის რუსეთის არმიის უკანასკნელი რაზმები, ვეღარ შეაჩერებდნენ თურქეთის არმიის წინსვლას. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე 1918 წლის 12 თებერვალს თურქებმა დაარღვიეს დროებითი ზავი და განაახლეს სამხედრო მოქმედება. ამიერკავკასიის მთავრობამ ვერ შეძლო

[4] საქართველოს ეროვნული არქივი. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი №13. ანაწერი 27. საქმე №5429, ფურც 1-2.
[5] სცსა. ფონდი №13. ანაწერი 27. საქმე №5429, ფურც 24-25.

ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება. თებერვალ-მარტის განმავლობაში თურქებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი ტერიტორია და 1914 წლის საზღვრებს მიადგნენ.

თურქეთის მიერ ამიერკავკასიაში შეტევის განახლებას თავიდანვე უკმაყოფილებით შეხვდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სამრეწველო-ფინანსური წრეები. მაგრამ გერმანიის მთავრობამ, გენშტაბის უფროსის გენერალ ლუდენდორფის რჩევით, ამჯერად თავი შეიკავა მოკავშირე თურქეთის სამხედრო მოქმედების აღკვეთისაგან. გერმანიის მთავრობის მიერ ამ პოზიციის ამორჩევა გამოწვეული იყო იმ მოსაზრებით, რომ დაეინტერესებინათ თურქეთი გაერძელებინა ომი. შეექმნათ მისთვის ილუზია, რომ განახორციელებდა იმ მიზნებს, რისთვისაც ჩაება ომში. ყოველივე ამით აეცილებინათ თურქეთის ომიდან გამოსვლა[6].

გერმანიის სამხედრო წრეები ფიქრობდნენ, რომ ენვერ-ფაშას ტერიტორიული პრეტენზიები დაკმაყოფილების შემდეგ, შეძლებდნენ თურქეთის მე-3 არმია კავკასიიდან სპარსეთში გადაესროლათ და „ავღანეთთან თანამშრომლობით დამუქრებოდნენ ინგლისის ბატონობას ინდოეთში“[7]. ამიტომ გერმანიამ ბრესტის ზავით (3 მარტი. 1918 წ) თურქეთს მიაღებინა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები, მაგრამ გერმანელების იმედი არ გამართლდა. აპრილ-მაისის თვეში თურქებმა დაიპყრეს აგრეთვე ოზურგეთი, ახალციხე, ალექსანდროპოლი და თბილისისა და ერევნის მიმართულებით შეუტიეს. ამჯერად კი დარწმუნდნენ გერმანელები, რომ „ენვერი და თურქეთის მთავრობა უფრო კავკასიაში თავის პანისლამისტურ მიზნებზე ფიქრობდნენ, ვიდრე ინგლისთან ომზე“[8].

1918 წლის 22 მაისს კავკასიის საკითხი სპეციალურად განიხილეს გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების სხდომაზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ კიულმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თურქეთი ბათუმის დაკავების შემდეგ ოცნებობს კავკასიურ-თურქული სახელმწიფოს შექმნაზე. ჩვენ ვცდილობთ გავლენა მოვახდინოთ მასზე, მაგრამ უშედეგოდ“[9].

ასევე უნაყოფო გამოდგა გენერალ ლუდენდორფის იმედი, რომ თურქეთისათვის ზემოაღნიშნული სამი ოლქის გადაცემას გერმანიისათვის „არ უნდა

[6] გ. ფიფია. გერმანული იმპერიალიზმი ამიერკავკასიაში 1910-1918 წ.წ. (რუსულ ენაზე). მოსკოვი. 1978, გვ. 132-133.

[7] კ. კიულმანი. გერმანია-თურქეთის კავშირი მსოფლიო ომში, გვ. 268.

[8] ე. ლუდენდორფი. ჩემი მოგონებანი 1914-1918 წ.წ. ომზე (რუსულ ენაზე). ტ. II. მოსკოვი. 1924, გვ. 187.

[9] გ. ფიფია. გერმანიის პოლიტიკა საქართველოში 1918 წელს (რუსულ ენაზე), გვ. 29-30.

გაეძნელებინა კავკასიიდან ნედლეულის გატანა“[10]. თურქეთის მთავრობამ ჯერ კიდევ ბათუმში შემოჭრამდე უბრძანა კავკასიის ფრონტის სარდალს ვეჰიბ-ფაშას, რომ მას ხელში აელო ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ყველა საწარმო[11]. ბათუმის დაკავების შემდეგ კი თურქები ყოველნაირად აფერხებდნენ გერმანიის სავაჭრო, სამრეწველო წარმომადგენლების იქ შესვლას და გერმანიაში ნედლეულის გატანას. ბათუმის საკითხში მოკავშირეებს შორის წარმოშობილი უთანხმოებანი 1918 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

ბათუმს უპირატესი როლი ენიჭებოდა ამიერკავკასიის დაპყრობის ინგლის-საფრანგეთის გეგმებშიც. სტრატეგიულად პირველხარისხოვანი ბათუმისა და ბაქოს ფლობა ნიშნავდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ შავი და კასპიის ზღვების აუზში გაბატონებასაც. ბათუმს უკავშირებდნენ აგრეთვე მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებსაც.

ბათუმით ინგლისის დაინტერესების ფესვები ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუახანებიდან იღებს სათავეს. ამ რეგიონის რუსეთთან შეერთების შემდეგ კი ინგლისის მთავრობის პოლიტიკა განსაკუთრებით აგრესიული გახდა. ამიერიდან ის მიმართავს სხვადასხვაგვარ აქციებს, რომელთა მიზანიც იყო რუსეთის განდევნა ბათუმიდან და საერთოდ, კავკასიიდან. მაგრამ ინგლისის ყველა გეგმა და ცდა ამ მიმართებით მარცხით დამთავრდა.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ანტანტის წინაშე დაისვა ახალი ამოცანა - რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. 1917 წლის 23 დეკემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს საიდუმლო შეთანხმებას, რომლითაც კავკასია ინგლისის გავლენის სფეროდ გამოცხადდა, მის დასაკავებლად ემზადებოდნენ გერმანიაც და თურქეთიც. „ჩვენ – წერს ლოიდ ჯორჯი – გაგვიჩნდა საზრუნავი, რომ არ დაგვეშვა ამ ოლქის დაკავება არც ერთის (და) არც მეორის მიერ”[12]. ამიტომ ამიერკავკასიის ომიდან გამოსვლამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ანტანტის სახელმწიფოებში. თბილისში მათმა დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს და ამიერკავკასიის მთავრობისაგან მოითხოვეს ომის გაგრძელება[13], მაგრამ უშედეგოდ. ხანგრძლივი ომით თავმობეზრებულ ჯარისკაცებს მისი გაგრძელება აღარ სურდათ.

[10] ე. ლუდენდორფი. ჩემი მოგონებანი 1914-1918 წ.წ. ომზე (რუსულ ენაზე), გვ. 188
[11] გ. ფიფია. გერმანიის პოლიტიკა საქართველოში 1918 წელს, გვ. 67.
[12] ლოიდ ჯორჯი. სამხედრო მემუარები. ტ. IV (რუსულ ენაზე). მოსკოვი. 1937, გვ. 98.
[13] სცსა. ფონდი №1819. ანაწერი 1. საქმე №20, ფურც. 1.

ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ამიერკავკასიაში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნა. სრუტეების ჩაკეტვისა და შავ ზღვაზე გერმანია-თურქეთის ფლოტის ბატონობის გამო ამის განხორციელება დასავლეთის მხრიდან შეუძლებელი იყო. რჩებოდა ერთადერთი შემოვლითი გზა კასპიის ზღვის გავლით. ამიტომ საექსპედიციო კორპუსის შედგენა დაევალა მესოპოტომიაში ინგლისის ჯარების სარდლობას. ექსპედიციის მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი ლ. დენსტერვილი. მას დაევალა სწრაფი მარშით გაევლო სპარსეთი და დაეკავებინა ნავსადგური ენზელი, იქიდან კი ზღვით შეჭრილიყო ბაქოში, სადაც უნდა შეექმნა „სამხედრო საზღვაო და პოლიტიკური ბაზა“, შემდეგ დაეკავებინა თბილისი, ბათუმი და ამიერკავკასიის სხვა პუნქტები, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეედგინა არმია და კავკასიის ფრონტზე განეახლებინა სამხედრო მოქმედება. ამასთან კავშირი უნდა დაემყარებინა ჩრდილოეთ კავკასიის ანტიბოლშევიკურ ელემენტებთან.[14]

1918 წლის იანვარში გენერალ დენსტერვილის ექსპედიცია, რომელიც 600 სპეციალურად შერჩეული სამხედრო პირისაგან (ძირითადად ოფიცრებისაგან) შედგებოდა, ბაღდადიდან გავიდა. გარდა იარაღისა. მათ თან მიჰქონდათ დიდძალი ფული, რომ გზად სპარსელ მოხალისეთაგან შეედგინათ კორპუსი, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. ამიტომ სარდლობამ დენსტერვილს ენზელში გაუგზავნა დამატებითი ძალები[15]. 1918 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ინგლისელები ბაქოში გადასხდნენ, ადგილობრივ ანტისაბჭოელებთან ერთად ჩაახშვეს კომუნა და ქალაქში გაბატონდნენ, მაგრამ შემდგომი წინსვლა ამიერკავკასიის სიღრმეში ვერ შეძლეს. პირიქით, იმ დროს თურქებმა ბაქოსაც შეუტიეს. ინგლისელებმა ვერ გაუძლეს. 14 სექტემბერს ღამით ქალაქი დატოვეს და ენზელში გაბრუნდნენ[16].

1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლის-თურქეთს შორის გაფორმებული მუდროსის ზავით ანტანტის ქვეყნებს უნდა დაეკავებინათ თურქეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, მათ შორის ბათუმიც. მაგრამ ინგლისელებმა ყველას დაასწრეს და აქ ერთპიროვნულად გაბატონდნენ, ამიტომ მოკავშირეებს შორის ამ საკითხშიც თავი იჩინა წინააღმდეგობებმა, რაც აქედან ინგლისის ჯარების ევაკუაციამდე (1920 წ. 7 ივლისი) გაგრძელდა.

[14] მ. ლარსე. თურქეთის ფრონტი მსოფლიო ომში (ფრანგულ ენაზე). პარიზი 1926, გვ. 417.
[15] მ. ლარსე. თურქეთის ფრონტი მსოფლიო ომში (ფრანგულ ენაზე). პარიზი 1926, გვ. 418.
[16] ლ. დენსტერვილი. ბრიტანეთის იმპერიალიზმი ბაქოსა და სპარსეთში 1917-1918 წწ. (რუსულ ენაზე). ობ. 1925, გვ. 192-200.

ამრიგად, ოქტომბრის სოციალისტური გადატრიალებისა და რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ორივე მოწინააღმდეგე ბლოკების (სამთა კავშირი, ანტანტა) სახელმწიფოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცდილობდნენ ამიერკავკასიაში გაბატონებას, რაშიც უპირატეს როლს ბათუმს ანიჭებდნენ. ამიტომ ის იქცა ჯერ ,,სამთა კავშირის“ ხოლო შემდეგ ,,ანტანტის“ სახელმწიფოების ურთიერთშორის ქიშპობისა და დიპლომატიური დავის ობიექტი.

***Otar Gogolishvili***
Professor,
Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

# THE OCTOBER 1917 COUP IN RUSSIA, AND BATUMI IN THE PLANS OF THE WESTERN STATES

Summary

After the October 1917 Coup and the secession of Transcaucasia from Russia, the Western states had tangible conditions to support the former colonies of Russia and help them gain independence. In this regard, the importance of Batumi as a first-class strategic and economic point has significantly increased.

Turkish expansionist plans were particularly advancing. After the collapse of the Russian Empire, Enver Pasha considered it possible not only to conquer Transcaucasia but also to realize the long-dreamed-of "Turan". In addition to these ideological motives, Turkey was driven by purely political aims. Primarily, during the first three years of the First World War, Turkey lost a sizeable part of its Asian territories in the fight against the British. Therefore, they decided to capture the unprotected Transcaucasia, which, according to Turkish ruling circles, would be a reliable trump card during peace negotiations with them in case of victory of the Entente, and Turkey could offer it to England in exchange for the Turkish territories occupied by the latter in Asia. Secondly, the ruling circles of Turkey, which had a considerable influence on the policy of their government, believed that in case of victory in the war, by taking Transcaucasia they would be allowed to monopolize and sell oil, manganese, copper and other raw materials to the Germans at the desired prices, which the belligerent ally was suffering from.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX**
**თბილისი. 2023**

*დიმიტრი შველიძე*
ასოცირებული პროფესორი, თსუ

# საქართველოს პირველი რესპუბლიკის უკანასკნელი თვეები (პოლიტიკურ-დიპლომატიური რაკურსი)*

1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. საბჭოთა არმიებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. საბჭოთა რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიიდან დაუმეზობლდა საქართველოს. დაახლოებით ამ ხანებში, საქართველოსთან დაკავშირებით, რუსეთსა და საქართველოში ორი კონტრპროექტი შემუშავდა. საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების წინაშე რეალურად დადგა სამხრეთ კავკასია-საქართველოს გასაბჭოება-დაპყრობის ამოცანა. ამავდროულად საქართველოს ხელისუფლებამ რუსულ გეგმებს დაუპირისპირა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორის აღიარებისათვის ბრძოლის გაძლიერება. მას უკვეა ჰქონდა მოპოვებული დამოუკიდებლობის ცნობა საბჭოთა რუსეთისგან, რაც მის გეგმებს რეალურს ხდიდა. ამ ორი გეგმა-პროექტის ურთიერთკონკურენცია წარმართავდა საქართველოს შინა და გარე პოლიტიკას 1920 წლის ზაფხულ-შემოდგომის მანძილზე და საკითხიც ასე იდგა: ვინ ვის. ამ დროისათვის დიდი უპირატესობა რუსეთის მხარეს იხრებოდა.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება თანმიმდევრულად შეუდგა თავისი გეგმა-პროექტის განხორციელებას. პროცესი მოიცავდა რიგ ეტაპებს, რომლებსაც შევეცდებით, ასევე თანმიმდევრობით წარმოვიდგინოთ და ჩამოვაყალიბოთ.

პ ი რ ვ ე ლ ი – სამხრეთ კავკასია-საქართველოს ოკუპაციისთვის, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ ახალი სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაცი-

* სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების 2022 წლის გრანტით გათვალისწინებული პროექტის „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ (შიფრი FR 21-13590) ფარგლებში.

ული და პარტიული სტრუქტურები შექმნა, რომელიც მტკიცედ ურთიერთდაქვემდებარებულ ერთიან სისტემას წარმოადგენდა. პირველ რიგში გაუქმდა რკპ(ბ)-ის კავკასიის სამხარეო კომიტეტი. ჯერ ერთი ის წარუმატებელი სტრუქტურული რგოლი აღმოჩნდა, რომელმაც ვერც ერთი შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება ვერ შეძლო. ამიტომ მის ნაცვლად შეიქმნა – რკპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო. იგი შეიქმნა 1920 წლის 8 აპრილს შემდგარი რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით. ე. ი. კავკასიის ბიურო შექმნა უცხო სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ, მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩასარევად და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის წარსამართავად, რომლის შედეგი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დაპყრობა უნდა ყოფილიყო..

კავკასიის ბიუროს თავდაპირველი მიზანი იყო უშუალოდ ეხელმძღვანელა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებისათვის სამხრეთ კავკასია-საქართველოში. კავკასიის ბიურო უშუალოდ ემორჩილებოდა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პირადად ლენინს. ეს გარემოება მითითებული იყო დადგენილებაში. კავბიუროს თავმჯდომარედ დაინიშნა გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე, ხოლო მოადგილედ – სერგეი კიროვი. კავბიუროს წევრები იყვნენ: ფილიპე მახარაძე, პოლიკარპ (ბუდუ) მდივანი, ამაიაკ ნაზარეტიანი, ნარიმან ნარიმანოვი, მამია ორახელაშვილი, ელენე სტასოვა და სხვ. კავბიუროს სამუშაო ადგილსამყოფელი დონის როსტოვში იმყოფებოდა და იქიდან მართავდა ანტისახელმწიფოებრივ აქტივობებს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში.

მ ე ო რ ე – როგორც ცნობილია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად, საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების პირობების თანახმად, ადგილობრივი ბოლშევიკურ-კომუნისტური ორგანიზაციები ლეგალურად გამოცხადდა და ანტისახელმწიფოებრივი, ძირგამომთხრელი საქმიანობის სრული თავისუფლება მიეცა. ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას, ლეგალურად ემოქმედა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ.

მ ე ს ა მ ე – რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის 8 აპრილის იმავე პლენუმმა მიიღო აგრეთვე და უნდა მივამატოთ – უნიკალური გადაწყვეტილება – აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომუნისტური პარტიების შექმნის შესახებ. ე. ი. მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, 20 მაისს, საქართველოში არსებულ

ბოლშევიკურ ორგანიზაციებს თუ ჯგუფებს ეწოდათ – საქართველოს კომუნისტური პარტია.[1] ეს მოხდა მას შემდეგ, რაც უშუალოდ გაუქმდა სამხარეო კომიტეტი და თითქოს მის შედეგად შეიქმნა სამივე ქვეყნის კომპარტიები. საქართველოს კომუნისტური პარტია მოქმედებდა კავბიუროს უშუალო მითითებების მიხედვით და შემდეგი სქემით: ლენინი – რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი – კავკასიის ბიურო – საქართველოს კომპარტია.

1920 წლის ნოემბრის ბოლოს თბილისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც აირჩია ცენტრალური კომიტეტი. მასში შევიდნენ: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. ტოროშელიძე და სხვ. ე. წ. საქართველოს კომუნისტური პარტია, უწინდებურად, რუსეთის კომპარტიის ადგილობრივ ფილიალს წარმოადგენდა, ასრულებდ მის მითითებებს და თავს იმშვიდებდა, რომ ვითომ დამოუკიდებელი პარტია იყო – ასეთი ფორმით ჟღერდა მისი სახელი.

მ ე ო თ ხ ე – 1920 წლის 3 ივნისითაა დათარიღებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ოფიციალური პარტიიული გაზეთის „კომუნისტის“ პირველი ნომერი, რომელიც 10 ნომრის მერე „საქართველოს კომუნისტის“ და „ახალი კომუნისტის“ სახელით გამოდიოდა. გაზეთი არ მალავდა რომ მისი მიზანი იყო საბჭოთა რუსეთის ინტერესების დაცვა; რომ საქართველოშიც გაიმარჯვებდნენ კომუნისტები და დასრულდებოდა მენშევიკების ბატონობა ქართველ ხალხზე. პრორუსულ-საბჭოური პროპაგანდა ლეგალურად მიმდინარეობდა, თუმცა ხელისუფლება იძულებული ხდებოდა დროდადრო აეკრძალა გაზეთი, რისი მიზეზითაც ხდებოდა გაზეთის სახელწოდების ცვლა. გამოდიოდა სხვა კომუნისტური მიმართულების გაზეთებიც.

მ ე ხ უ თ ე – 1920 წლის გაზაფხულზე, აპრილში, საბჭოთა რუსეთმა, დენიკინის თეთრგვარდიული არმიის დამარცხების შემდეგ, საბოლოოდ დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება და დაიპყრო ჩრდილოეთ კავკასია. ამას მოჰყვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აზერბაიჯანში. დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილი დაიკავა საბჭოთა აზერბაიჯანმა, რომელიც ფორმალურად თითქოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენდა. საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება უაღრესად დამძიმდა.

მ ე ე ქ ვ ს ე – სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, თითქოს, რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების გაფორმება, დააჩქა-

[1] საქართველოს კომუნისტური პარტია. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. V. თბ. 1981, გვ. 95.

რა საბჭოთა რუსეთის კრიზისულმა მდგომარეობამ. იგი მძიმე ომს აწარმოებდა პოლონეთთან. სწორედ 7 მაისს, პოლონელებმა კიევი დაიკავეს. მეორე მხრივ, სამხრეთიდან გააქტიურდა ვრანგელის თეთრგვარდიული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ასეთ ვითარებაში, ლენინის მთავრობამ საქართველოსთან ომს მშვიდობა არჩია და მასთან ხელშეკრულება გააფორმა.

ეს თვალსაზრისი ერთის მხრივ ლოგიკურად გამოიყურება. მაგრამ თუ დავუკვირდებით, საბჭოთა რუსეთისთვის, 1920 წლის გაზაფხული არც ისე მძიმე გახლდათ. საქმის ვითარება პირიქით უფრო იყო. საბჭოთა რუსეთმა საბოლოოდ დაამარცხა დენიკინი – ეს ერთი. მეორე – ვითომ მძიმე ვითარებაში მყოფმა რუსეთმა დაიპყრო ჩრდილოეთ კავკასია და მესამე – საბჭოელები არც ამით დაკმაყოფილდნენ და აზრბაჯანში შეიჭრნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ 1920 წლისთვის წითელი არმიის პირადი შემადგენლობა 5 მილიონზე მეტს შეადგენდა.

და მეტიც. რაც მთავარია, წარმატებებით გათამამებულმა საბჭოთა არმიის ხელმძღვანელობამ საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარს შემოუტია. ბრძოლები წითელი არმიის ნაწილებსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის ორ კვირას მიმდინარეობდა. ქართული პრესა ამ სასაზღვრო შეტაკებებს საქართველო-აზერბაიჯანის ომს უწოდებდა. ნამდვილად კი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ საბჭოთა რუსეთის XI არმიის ნაწილები და კერძოდ – ორი პოლკი. მათ ეხმარებოდა საბჭოთა აზერბაიჯანის რამდენიმე შეიარაღებული რაზმი. 1920 წლის 12 მაისის „საქართველოს რესპუბლიკა“ კითხულობდა: „ვინ გვებრძვის, რუსული ბალშევიზმი, თუ ოსმალ-ადერბაიჯანის თათრობა, ეს ჩვენი მუდმივი დაუძინებელი მტერი“.[2]

ეტყობა ქართულ მხარეს არ უნდოდა ზედმეტად გაეღიზიანებინა საბჭოთა რუსეთი, რომელთანაც რამდენიმე დღის წინ ხელშეკრულება დადო. ეს დიპლომატიური სვლა იყო. სინამდვილეში მეთერთმეტე არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი ს. ორჯონიკიძე იმ დღეებში ლენინს და სტალინს წერდა: „მეორედ გპასუხობთ. ამბები ისე დატრიალდა, რომ იმედი გვაქვს თორმეტს მაინც თბილისში ვიქნეთ. საამისოდ ყველაფერი გაკეთებულია. ბრწყინვალედ გამოვა“. ვერ გამოვიდოდა ბრწყინვალედ, რადგან ქართულმა არმიამ და სახალხო გვარდიამ შეაჩერეს აგრესორი და პირიქით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შევიდნენ. საბოლოოდ, ნოე ჟორდანიას ბრძანებით, ქართულმა არმიამ საბრძოლო მოქმედებები შეწ-

[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წ. 12 მაისი.

ყვიტა.

საბჭოთა არმიის სასწრაფოდ შეჩერებას უბრძანებდა აგრეთვე, ლენინი ორჯონიკიძესაც. მთავარი მიზეზი სხვა იყო. საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას, დროის იმ ეტაპზე, არ აწყობდა გაჭიანურებული ომი საქართველოსთან – დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, რომელსაც დე ფაქტო სცნობდა ანტანტა და განსაკუთრებით კი – დიდი ბრიტანეთი. ამ უკანასკნელთან დიდ სავაჭრო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ 1920 წლის 17 მარტს წერდა ლენინი ორჯონიკიძეს: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ, ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფხიზლად მოეპყრათ“.[3]

ადგილობრივმა ბოლშევიკებმა სცადეს გამოეყენებინათ წითელი არმიის აქტიურობა საქართველოს საზღვრებთან. 1920 წლის 4 მაისს, ღამის 12 საათზე მოეწყო შეიარაღებული თავდასხმა თბილისის იუნკერთა სამხედრო სკოლაზე. როგორც მთავარსარდალ გიორგი კვინიტაძის მიერ გამოქვეყნებული ბრძანებიდან ჩანდა, თავდამსხმელებმა რესპუბლიკის მთავრობა შეპყრობილად და დამხობილად გამოაცხადეს და ახალი მთავრობის შექმნა დააანონსეს. საბედნიეროდ, იუნკრებმა მამაცური წინააღმდეგობა გაუწიეს და აღკვეთეს თავდასხმა. იმ დღეებში გაზეთები იუწყებოდნენ რომ სამი თავდამსხმელი (ერემიანცი, მუშეგიანცი, ბრიანცი) სიკვდილით იქნა დასჯილი.[4] ჩანაფიქრი ასეთი უნდა ყოფილიყო: თბილისში ავჯანყებული ბოლშევიკები დახმარებას სთხოვდნენ მოძმე საბჭოთა რუსეთის არმიას და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დაამყარებდნენ. ფაქტობრივად, საქართველოს სწრაფი გასაბჭოების გეგმა ჩაიშალა და უფრო სწორად – 10 თვით გადაიდო. ასე რომ საბჭოთა რუსეთს, მიუხედავად რამდენიმე არსებულ ფრონტზე ბრძოლისა, ჯარის პრობლემა არ აწუხებდა. მას ყოველთვის მზად ჰყავდა საზარბაზნე ხორცის დიდი რესურსი, რომელსაც დაუშურველად იყენებდა, ოღონდ, განსხვავებით ძველი ბურჟუაზიული იმპერიალიზმისაგან, ახალი ფორმით განეგრძო ახ-

[3] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 35. თბ. 1958, გვ. 470.

[4] დამოუკიდებლობის 1028 დღე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე. (1918-1921). ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი. ხელმძღვანელი და რედაქტორი დიმიტრი შველიძე. 2013. გვ. 289.

ლა უკვე – წითელი იმპერიის ფორმირება. ასე რომ წითელი კრემლის მესვეურებს ნაკლებად აწუხებდათ, რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა და აქტიურ, შეტევით პოლიტიკას აწარმოებდნენ სრულიად ახალ უბანზე – კავკასიაში, თანაც, ახალ მოკავშირესთან – ქემალისტურ თურქეთთან თანხმობა-თანამშრომლობით..

მ ე შ ვ ი დ ე – საბჭოთა რუსეთმა ასევე თანმიმდევრული სიბეჯითით მოამზადა საქართველოს დასუსტების კიდევ ერთი ფაქტორი – საერთაშორისო იზოლაცია. ყველაზე მეტად საქართველოს იზოლირება სამმა ფაქტმა განაპირობა, რასაც ადგილი ჰქონდა 1920 წელს. ივლისის თვეში ბათუმის ოლქის ტერიტორია დატოვეს ბრიტანეთის ჯარის ნაწილებმა. ოლქის გენერალ-გუბერნატორმა გენერალმა ჯეიმზ ნორმან კუკ-კოლისმა განცხადება გაავრცელა: „ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცა. ყველა ის, ვინც საქართველოს ჯარს წინააღმდეგობას გაუწევს ჩაითვლება ინგლისის მტრად და როგორც საქართველო, ისე ჩვენ სასტიკ ზომებს მივიღებთ დამნაშავეთა წინააღმდეგ“[5]

ცხადია, ბათუმის ოლქის საქართველოს შემადგენლობაში საბოლოოდ დაბრუნებამ დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ქვეყანაში. ბათუმის ოლქში საქართველოს ჯარი შევიდა, აღდგა რესპუბლიკის მართვა-გამგეობა. ოლქის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა მხარეში დიდად პოპულარული პიროვნება ბენია ჩხიკვიშვილი, ხოლო ბათუმის ქალაქის თავად გიზო ანჯაფარიძე. მიუხედავად ამისა, ბრიტანელთა ჯარის გასვლა საქართველოდან, საბჭოთა რუსეთის მხრიდან ზრდიდა თავისუფალი აგრესიის და ოკუპაციის განხორციელების შესაძლებლობასაც. ისე გამოდიოდა რომ ბრიტანეთი, ოკუპაციისთვის ტერიტორიას უნთავისუფლებდა საბჭოთა რუსეთს. ასეც მოხდა.

1920 წლის 29 ნოემბერს მე-11 არმია სომხეთში შევიდა და ქვეყანა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სრულ გეოპოლიტიკურ იზოლაციაში და საბჭოურ-ბოლშევიკურ ალყაში აღმოჩნდა. ამ გეოპოლიტიკური სიმარტოვის ფონზე, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რასაც სტალინი „პრავდასთან“ მიცემულ ინტერვიუში წინასწარმეტყველებდა – ანტანტა საქართველოსაც ისე მიატოვებს, როგორც სომხეთი მიატოვაო.

[5] აჭარის ცსა. ფონდი №67. აღწ. 1. საქმე №2, ფურც. 21. მითითებულია ოთარ გოგოლიშვილის ნაშრომში: სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში. 2005, გვ. 150.

მ ე რ ვ ე – მაგრამ საქართველოს დემოკრატიის სრულ მარტოობამდე კიდევ ერთი ნაბიჯი, ხოლო საქართველოსათვის – კიდევ ერთი იმედი რჩებოდა – ერთა ანუ როგორც მაშინ ჩვენში უწოდებდნენ – ხალხთა ლიგა. ის რომ საქართველოს „ხალხთა“ ლიგის წევრი ვერ გახდა, ცნობილი ფაქტია და აღარ გავიმეორებთ. მთავარი – მიზეზია: ლიგის წამყვანმა სახელმწიფოებმა იცოდნენ რომ საბჭოთა რუსეთი ახლო ხანებში საქართველოს დაპყრობას გეგმავდა და სწორედ ამის გამო შეიკავეს თავი მისი მიღებისაგან ლიგაში. გელა საითიძემ მართებულად გაუსვა ხაზი, რომ ლიგის უარი საქართველოსადმი – საბჭოთა რუსეთის ფაქტორით იყო განპირობებული. ამ გარემოებას არც საფრანგეთის, ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მალავდნენ.

ამგვარ განწყობილებას აძლიერებდა საბჭოთა რუსეთის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხის მიმართ. ქართულ პრესაშიც აღნიშნავდნენ რომ მოსკოვიდან ერთა ლიგის სახელზე იგზავნებოდა საქართველოს მიღების საწინააღმდეგო მოთხოვნები. გელა საითიძეს მოჰყავს ერთ-ერთი ასეთი ტელეგრამის შინაარსი: „ვღებულობთ რა მხედველობაში რუსეთის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობას, ვფიქრობთ, რომ ყოველგვარი შუამდგომლობა ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა ერთა ლიგაში ჩარიცხვის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს და ამგვარი თხოვნები უყურადღებოდ უნდა იქნეს დატოვებული“.[6]

რუსეთის ფაქტორზე პირდაპირ მიუთითებდნენ ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები ფიშერი და ვივიანი. უკანასკნელი, პირდაპირ მიუთითებდა რომ „ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა მიმღებ კომისიას არ შეუძლია წინადადება მისცეს ერთა ლიგაში საქართველოს უეჭველი მიღების შესახებ, ვინაიდან შეუძლებელია ამჟამად ეგრეთწოდებულ რუსეთის საკითხის გადაწყვეტა. ერთა ლიგა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს თავის წესდების მე-10 მუხლს, რომლის თანახმადაც ერთა ლიგის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაიცვან ყოველი თავისი თანაწევრი, თუ უკანასკნელს რაიმე საფრთხე მოელის. აშკარაა, ის სახელმწიფოები, რომლებიც მისცემენ ხმას საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხს, ამით თავის თავზე აიღებენ ვალდებულებას, აღმოუჩინონ საქართველოს დახმარება, თუ მას გარედან რაიმე საფრთხე დაემუქრება, ასეთი ვალდებულების სისრუ-

[6] გელა (გიორგი) საითიძე. პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია – ერთა ლიგა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1921 წ.წ.). თბ. 2010, გვ. 84.

ლეში მოყვანა ამჟამად ძალიან ძნელია...“[7] აღარ გავაგრძელებთ. საბჭოთა რუსეთის ფაქტორმა ერთა ლიგა აიძულა საქართველოს მიღებისაგან, თავისი ორგანიზაციის რიგებში, უარი ეთქვა. ეს ნიშნავდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სრულ საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევას.

მ ე ც ხ რ ე – ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება გვინდა დავუთმოთ, ბრიტანეთისა და საბჭოთა რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლის გარშემოც მოლაპარაკებები თითქმის მთელ წელიწადს მიმდინარეობდა. ამ ხელშეკრულებამ შეიძლება ითქვას რომ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა საქართველოს საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევის პროცესში. თვით მოლაპარაკებების მიმდინარეობა და ცალკეული ეტაპებიც კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულების ცვლილებებს, ტონს და დიპლომატიური ნიუანსების დინამიკას, საქართველოს მიმართ. უმნიშვნელოვანეს ყურადღებას აქცევდა ხელშეკრულების დადებას და მიმდინარეობას, საბჭოთა ლიდერი ულიანოვ-ლენინი და მისი უახლოესი გარემოცვა, რაც გადამწყვეტი ფაქტორი იყო საბჭოთა მთავრობის ნებისმიერი პოზიციისთვის..

1920 წლის 16 იანვარს ანტანტის უმაღლესმა საბჭომ ბლოკადა მოუხსნა საბჭოთა რუსეთს, რომელიც 1919 წლის ოქტომბერში იყო ამოქმედებული. დაახლოებით იმავე ხანებში დანიაში ფუნქციონირებადი საბჭოთა რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობა – ე. წ. „ცენტროსოიუზი“, შეეცადა კონტაქტი დაემყარებინა დიდი ბრიტანეთის სავაჭრო უწყებასთან. 1920 წლის მაისში ცენტროსოიუზის დელეგაცია ლონდონში ჩავიდა, საბჭოთა რუსეთის ვაჭრობის სახალხო კომისრის ლეონიდ კრასინის მეთაურობით. კრასინის მიზანი იყო ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების მიღწევა.

საბჭოთა მხარის პოზიციის მიხედვით, სავაჭრო ხელშეკრულება მოიცავდა აგრეთვე, საერთო-პოლიტიკური ხასიათის სფეროებსაც, მაგ., პოლონეთისათვის მხარდაჭერის შეწყვეტას, რომელთანაც საბჭოთა რუსეთი ომს აწარმოებდა.

თავისი თავდაპირველი მიზნები ჰქონდა ბრიტანეთის მხარეს, რომელიც წინააღმდეგი არ იყო ხელშეკრულების დადებისა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯის თავდაპირველი პოზიცია, შეიძლება ითქვას რომ მაქსიმალისტური იყო. კერძოდ, ლოიდ ჯორჯის მოთხოვნები მდგომარეობდა შემდეგში: „საბჭოთა რუსეთს უარი უნდა ეთქვა ინგლისის წინააღმდეგ მტრული გამოსვლების მხარდაჭერისაგან მცირე აზიაში, ირანში, ავღანეთში, ინდოეთსა

[7] „სახალხო საქმე“. 1921 წ. 14 იანვარი.

და საქართველოში, თავი შეეკავებინა პროპაგანდისა და აგიტაციისაგან, შეეწყვიტა ქემალისტების მხარდაჭერა თურქეთში, ვალდებულება აეღო თავს არ დასხმოდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს და არ წამოეწყო სამხედრო მოქმედებები შავ ზღვაში ვრანგელის წინააღმდეგ და კასპიის ზღვაში ირანის წინააღმდეგ. ინგლისის მხარე თხოულობდა აგრეთვე, საბჭოთა რუსეთს პრინციპულად ეცნო მეფის ვალები“.[8] ყურადღება უნდა მივაქციოთ ფაქტს, რომ 1920 წლის 30 ივნისს, როცა დაიწყო მოლაპარაკებები ლოიდ ჯორჯსა და კრასინს შორის, მათ მიიღეს „საერთო პროექტი, რომელიც უნდა ყოფილიყო ბაზა, შემდეგი მოლაპარაკებებისთვის“. პროექტის მესამე პუნქტში აღიარებული იყო, რომ „უნდა განეხილათ აღნიშნული პრეტენზიები, მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე, თუმცა, დაწყებული სავაჭრო მოლაპარაკებები არ უნდა შეწყვეტილიყო“. ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოს შესახებ ლოიდ ჯორჯის მოთხოვნა ამ დროისათვის კვლავ ძალაში იყო.

მისაქვევია ყურადღება აგრეთვე იმ გარემოებისათვის, რომ რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-ბრიტანეთის მოლაპარაკებები დაახლოებით ერთ დროში მიმდინარეობდა და ბმაში იყო ერთმანეთთან. საქართველოს ცნობა რუსეთის მხრიდან, მჭიდრო კავშირში იყო ინგლის-რუსეთის სავაჭრო მოლაპარაკებებთან. სავარაუდოდ, რადგან საქართველო ნახსენები იყო საწყის მოთხოვნებში და ბრიტანეთი დაინტერესებას ამჟღავნებდა საქართველოს საკითხით, საბჭოთა ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია მანევრისათვის მიემართა და ეღიარებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. ბრიტანეთის დაინტერესებამ იმპულსის როლი შეასრულა საბჭოთა ლიდერებისთვის.

მივყვეთ პროცესების შემდგომ განვითარებას. 1920 წლის 2 ივლისს ცენტროსოიუზის დელეგაციის ხელმძღვანელი კრასინი დაბრუნდა მოსკოვში, საბჭოთა მთავრობასთან კონსულტაციების მიზნით და ლონდონში მალე ჩამოსვლის განზრახვით. თუმცა, პოლონეთთან მიმდინარე ომმა გაართულა საერთო ვითარება და გამოიწვია ბრიტანულ-რუსული ურთიერთობების კვლავ დაძაბვა. საფრანგეთმა და ბრიტანეთმა მოუწოდეს რუსეთს პოლონეთთან დაზავებისაკენ და წინააღმდეგ შემთხვევაში, აპირებდნენ პოლონეთის მხარეზე ომში ჩართვას. პერიპეტიები გრძელდებოდა. 2 აგვისტოს საბჭოთა დელეგაცია სავაჭრო მოლაპარაკებების გასაგრძელებლად ლონდონში ჩავიდა. 10 სექტემბერს ისე დაიძაბა ურთიერთობა მხარეებს შორის, რომ პრემიერ-მინის-

[8] Англо-советское торговое соглашение 1921 года, 16 марта. Документы XX века. http://usa-history.ru/books/item/f00/s00/z0000021/st129.shtml

ტრმა ლოიდ ჯორჯმა საბჭოთა დელეგაციის ბრიტანეთის საზღვრებიდან გასვლა მოითხოვა.

1920 წლის 12 ოქტომბერს პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელი მოეწერა პრელიმინარულ სამშვიდობო ხელშეკრულებას, რის შედეგადაც საბჭოთა საგარეო საქმეთა კომისარიატმა ბრიტანეთს მიმართა მოლაპარაკებების განახლების წინადადებით. ეს მოხდა 1920 წლის 9 ნოემბერს. 29 ნოემბერს სავაჭრო მოლაპარაკებები განახლდა. ამის შემდეგ, ითვლებოდა რომ მოლაპარაკება გრძელდებოდა, მაგრამ ხელმოწერა სხვადასხვა მიზეზების გამო, ვადდებოდა ხოლმე და საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ხელი მოეწერა 1921 წლის 16 მარტს.

მასში საქართველო უშუალოდ არ იყო ნახსენები, მაგრამ არაპირდაპირი აზრით – იგულისხმებოდა. კერძოდ, ხელშეკრულების შესავალ ნაწილში, სადაც საერთო პრინციპებზე იყო საუბარი, ა) პუნქტში ვკითხულობთ:

„მოცემული შეთანხმება დაკავშირებულია შემდეგი პირობების შესრულებასთან, კერძოდ:

ა) თითოეულმა მხარემ უნდა თავი შეიკავოს მტრული მოქმედებებისაგან ან მეორე მხარის წინააღმდეგ ღონისძიებების და ან, თავისი საკუთარი საზღვრების გარდა, რამენაირი ოფიციალური პროპაგანდის პირდაპირი ან ირიბი წარმოებისაგან, ბრიტანეთის იმპერიის ან რსფსრ დაწესებულებების წინააღმდეგ, და, კერძოდ, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი ცდისაგან, გინდ სამხედრო გზით, დიპლომატიური ან ნებისმიერი სხვა მოქმედებებით ან პროპაგანდით, რომელიც წააქეზებს რომელიმეს აზიური ხალხებისაგან, მიმართოს რაიმე სახის მტრულ მოქმედებას ბრიტანეთის ინტერესების წინააღმდეგ ან ბრიტანეთის იმპერიის, კერძოდ ინდოეთში და ავღანისტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოში. ბრიტანეთის მთავრობა თავის თავზე იღებს მსგავსი სახის ვალდებულებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინაშე, იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც შეადგენდნენ რუსეთის იმპერიის ნაწილს და ახლა გახდნენ დამოუკიდებლები“.[9]

ხელშეკრულების საბოლოო ტექსტიდან ჩანს, რომ საბჭოთა მხარემ დაითანხმა ან მხარეები შეთანხმდნენ რომ ერთმანეთის ყოფილი თუ ახლანდელი კოლონიების საქმეებში არ ჩაერეოდნენ და ჩვენთვის რაც საინტერესოა, გაერთიანებული სამეფო არანაირი სახით არ შეეხებოდა საბჭოთა რუსე-

[9] Англо-советское торговое соглашение 1921 года, 16 марта. Документы XX века. http://usa-history.ru/books/item/f00/s00/z0000021/st129.shtml

თის ინტერესებს, „იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც შეადგენდნენ რუსეთის იმპერიის ნაწილს და ახლა გახდნენ დამოუკიდებლები“. ცხადია აქ საუბარი იყო საქართველოსა და სხვა ქვეყნებზე, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამგვარ შეთანხმებას ორი მხარე გააჩნდა. ერთი რომ გაერთიანებული სამეფო მოქმედების თავისუფლებას აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში და მეორეც – ნახსენები იყო რომ საქმე ეხებოდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“. რუსეთს უნდა გაეთვალისწინებინა რომ რაც არ უნდა გაეკეთებინა საქართველოში, მხედველობაში უნდა მეღო მისი დამოუკიდებლობის სტატუსიც, თუნდაც – ფორმალურად. ეს გარემოება იყო ერთადერთი მინიმალური სიკეთე, რაც დარჩა ბრიტანეთის თავდაპირველი კეთილი განზრახვებიდან.

ამიტომ იყო, რომ მთელი ამ თვეების განმავლობაში, რაც ბრიტანეთ-რუსეთის მოლაპარაკებები სწარმოებდა, საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი არქიტექტორი ულიანოვ-ლენინი, ყურადღებით ადევნებდა თვალს მის მიმდინარეობას. სავაჭრო შეთანხმებას, დანგრეულ-გაპარტახებული საბჭოთა რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ იყო რომ ლენინი, მუდმივად აფრთხილებდა თავის ფანატიკოს ქართველ ბოლშევიკ-თანამებრძოლებს – ორჯონიკიძეს და სტალინს, რომ ფრთხილად და დიპლომატიურად მოქცეოდნენ ქართულ საკითხს და არ ჩაეშალათ ბრიტანეთთან პოზიტიურად მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესი.

ბრიტანეთ-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულებას იმ დროს მოეწერა ხელი, რომ მას უკვე საქართველოსთვის მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. მაგრამ უკვე მასზე შეთანხმება, მას შემდეგ არსებობდა, რაც 1920 წლის 19 ნოემბერს მოლაპარაკებები განახლდა. ამის შემდეგ, შეთანხმების საბაზისო პრინციპები არ შეცვლილა და მხარეები მუდმივად უფრთხილდებოდნენ, რომ წინასწარ ნაკისრი ვალდებულებები შეესრულებინათ.

დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევის მიზეზების ჩამოთვლა-განხილვას აღარ გავაგრძელებთ.

მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კიდევ უფრო უარეს დღეში ჩავარდა ვიდრე საერთაშორისო და გეოპოლიტიკური იზოლაციაა შეიძლებოდა ყოფილიყო – მტრული სახელმწიფოების გარემოცვაში. ეს სახელმწიფოები – ჯერ აზერბაიჯანის და შემდეგ – სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები, რუსეთის მარიონეტულ ქვეყნებს წარმოადგენდნენ და ცენტრის მითითებით, განუწყვეტელ

პროვოკაციებში ამყოფებდნენ განმარტოებული დემოკრატიის ქვეყანას.

პირველი მსხვილმასშტაბიანი პროვოკაცია, ვითომ „დამოუკიდებელმა“ საბჭოთა აზერბაიჯანმა მოუწყო საქართველოს, როცა მის საზღვრებს შემოუტია 1920 წლის მაისში. ეს იყო გამოუვალი პროვოკაციული ომის ორი კვირა. საქართველოს ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა, რომ მას საზღვართან საბჭოთა რუსეთის არმია ებრძოდა, მაგრამ იძულებული იყო, ომი აზერბაიჯან-საქართველოს ომად მოენათლა. 7 მაისის ხელშეკრულების მნიშვნელოვნობის პირობებში, ჟორდანიას მთავრობა პირდაპირ ვერ ადანაშაულებდა მოსკოვს.

ბოლოს, ომი აზერბაიჯანთან, საქართველოსთვის აღსტაფის წამგებიანი საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა, 1920 წლის 12 ივნისს. „...ისპობა ყოველივე საომარი მოქმედება და ორივე მხარე სამშვიდობო და სამეგობრო ურთიერთობებს იწყებს...“ – ფარისევლურად პირდებოდა საქართველოს, აღსტაფის ხელშეკრულება. მტრულ გარემოცვაში მოქცეული სუსტი დემოკრატიული რესპუბლიკა, იძულებული გახდა კაბალურ პირობებს დათანხმებოდა: ზაქათალის საკითხი უნდა შერეულ კომისიას გადაეწყვიტა, ხოლო კომისიის თავმჯდომარე რუსეთის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

გარდა გაუარესებული გარემოცვისა, დამატებითი სირთულეები წარმოიქმნა ქვეყნის შიგნითაც. მოსკოვმა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მოითხოვა საქართველოს ციხეებში დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლება. უკვე 9 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი, ევგენი გეგეჭკორს მიუთითებდა ხელშეკრულების მეათე მუხლზე და განთავისუფლებული კომუნისტი პატიმრების სიას სთხოვდა, თან შეახსენებდა რომ დაპატიმრებულთა შორის იყო მიხა ცხაკაია. ქართველებს უნდა შეესრულებინათ ხელშეკრულების პირობები. საერთოდ, კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია, ერთ-ერთ გამოწვევად იქცა პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის. განთავისუფლებული კომუნისტები თავისუფლად ეწეოდნენ ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას და ქართველ ძალოვანებს ეს უნდა მოეთმინათ. ხან მდგომარეობა თითქმის გამოუვალი ჩანდა, განსაკუთრებით გვიან შემოდგომაზე, როცა დღის წესრიგში უკვე გამოიკვეთა საქართველოს ოკუპაციის კონტურები.

ის რომ საქართველოს ახალი ყაიდის იმპერიალისტები თავისად თვლიდნენ, ცნობილი რეალობაა. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება იოსებ სტალინის ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილის დასაწყისში „პრავდისათვის“ მიცე-

მული ზემოხსენებული ინტერვიუ გავიხსენოთ. საბჭოთა რუსეთის ნაციონალურ საქმეთა კომისარი ბჭობდა იმის შესახებ, თუ როგორი შემადგენლობის უნდა ყოფილიყო საბჭოთა რუსეთი. სტალინი ჩამოთვლიდა საბჭოთა რუსეთის შემადგენელ „სუბიექტებს“. „ასეთები არიან პოლონეთი, უკრაინა, ფინეთი, ყირიმი, ამიერკავკასია (ამასთან გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ამიერკავკასია გაიყოფა მთელ რიგ გარკვეულ ნაციონალურ-ტერიტორიულ ერთეულებად – ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანელი თათრებისა და სხვ.), თურქესტანი, ყირგიზეთის მხარე, თათარ-ბაშკირთა ტერიტორია, ციმბირი და სხვ.“[10]

ერთ კომიკურ ეპიზოდს გრიგოლ ურატაძე იხსენებს. როდესაც საზავო მოლაპარაკებების დროს იგი სტალინის კაბინეტში იმყოფებოდა, მათთან შევიდა ლევ კამენევი. გაიგო რა, ურატაძის მისიის შესახებ, კამენევმა ხუმრობანარევი სერიოზულობით მიმართა საქართველოს წარმომადგენელს: „ახ, თქვე, ქართველო თეთრგვრდიელებო! თქვენ გინდათ ჩვენგან წასვლა და მართოებმა მიირთვათ მწვადები და სვათ კახური ღვინო! ნურას უკაცრავად ძმაო, ეს ადვილი არ არი! ჩვენ ასე ადვილად ვერ გაგიშვებთ – ასე არ არის ამხანაგო სტალინ – ა?“[11]

როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვის ხელშეკრულებით ნაკისრი საიდუმლო ვალდებულება, ადგილობრივი კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის შესახებ, სერიოზულ თავსატეხად გაუხდა ხელისუფლებას. კომუნისტები ღიად ეწეოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას, მოუწოდებდნენ „მენშევიკების“ ბატონობის დამხიბისაკენ; ემხრობოდნენ ცხინვალის რეგიონში აჯანყებულ ოს სეპარატისტებს და სხვა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ. ამის გამო, ხელისუფლება იძულებული ხდებოდა პრევენციული ზომები განეხორციელებინა მათ წინააღმდეგ.

ივნისის ბოლოს ხელისუფლება იძულებული გახდა რომ კომუნისტების წინააღმდეგ ზომები მიეღო. მან ქვეყნიდან გააასახლა „არაქართველი“ კომუნისტების ის ნაწილი, რომლებსაც „ბრალი ედებოდათ საქართველოში არსებულ მთავრობის წინააღმდეგ არალეგალურ საქმიანობაში და აჯანყებულებთან კავშირში და რომელნიც საქართველოს ქვეშევრდომნი არ არიან“.[12] მათ სამ

[10] რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ორგანიზაცია. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 4. თბ. 1948. გვ. 76.

[11] გრიგოლ ურატაძის მოგონება. გურამ და გიორგი შარაძეების წიგნში: ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. თბ. 2001, გვ. 89.

[12] არა ქართველ კომუნისტთა გადასახლება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წ. 20 ივნისი.

დღეში უნდა დაეტოვებინათ ქვეყნის საზღვრები. ისინი ვინც ამ ვადაში არ დაემორჩილნენ მთავრობის გადაწყვეტილებას, დაუპატიმრებიათ და მეტეხის ციხეში მოუთავსებიათ. ცხადია, მთავრობის სტრუქტურების მოქმედება სავსებით ბუნებრივი იყო. კომუნისტების ლეგალიზაცია არ გულისხმობდა, ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ ავჯანყებას და ავჯანყებულებთან კავშირს. საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა, რათა არ გაეღიზიანებინა თავისი ჩრდილოელი მეზობელი ქვეყანა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი კომუნისტური პარტიის ქმედება იმდენად პროვოკაციული და ანტისახელმწიფოებრივი იყო, რომ მოსკოვის ხელშეკრულებიდან თვენახევრის გასვლის შემდეგ, რესპუბლიკის ხელისუფლება იძულებული გახდა გაზეთ „კომუნისტის“ გამოსვლა აეკრძალა.

რას აკეთებდნენ კომუნისტები და რამ აავსო ხელისუფლების მოთმინების ფიალა, ხელისუფლება ამის შესახებ განმარტავდა: კომუნისტები თავის ორგანიზაციაში თავს უყრიდნენ „უცხოელ მოქალაქეებს“; ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწეოდნენ ჯარში და ცდილობდნენ „ფრონტის დასუსტებას“, რომელზეც ქართული ჯარი ამ დროს „საბჭოთა; აზერბაიჯანს“ ებრძოდა. კომუნისტების ზეგავლენით სათადარიგო ჯარის ნაწილმა მიატოვა ბრძოლის ველი და საფრთხეში ჩააგდო ხულოში მდგარი ჯარი. დაპატიმრებულ კომუნისტკას, ვინმე სოფიო პრესმანს, აღმოაჩნდა რუსეთის კომპარტიის ბათუმის კომიტეტის პროკლამაციები, რომლებიც მოუწოდებდნენ საქართველოს მუშებს და გლეხებს, დაემხოთ ქვეყნის ხელისუფლება. პროკლამაციები დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით. გაზეთი „კომუნისტი“ ღიად უჭერდა მხარს ავჯანყებულ ოს სეპარატისეტსბ და სხვა სეპარატისტულ ჯგუფებს, რომლებიც მოუწოდებდნენ მთავრობის დამხობისაკენ. „მათი გეგმის განხორციელება, – განმარტავდა „საქართველოს რესპუბლიკის“ ოფიციალური ცნობა, – მოასწავებდა საქართველოსაგან განაპირა მხარეების ჩამოშორებას, რაიც რესპუბლიკისათვის საბედისწერო შეიქმნებოდა“.[13] რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა გაზეთ „კომუნისტის“ გამოსვლა აეკრძალა. საქართველოში

რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის საკითხით დაინტერესებული აღმოჩნდა ბრიტანული გაზეთი „ახლო აღმოსავლეთი“, რომელიც წერდა: „საბჭოთა წარმომადგენლობის ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში ბოლ-

[13] გაზ. „კომუნისტის“ დახურვის გარშემო. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წ. 18 ივნისი.

შევიკური პროპაგანდა გაიზარდა. მაგრამ ბოლშევიკების აგიტატორებს ყოველდღე იჭერენ პროკლამაციებით და დიდძალი თანხით. დაჭერილ აგენტებს კავკავში ასახლებენ. ქართველები დიდი ენერგიით და დაკვირვებით იცავენ თავის დამოუკიდებლობას და სახელმწიფოებრიობას“. ბრიტანული გაზეთი ხაზს უსვამდა რომ საქართველო ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ სახელმწიფოებს შორის, რომელნიც ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე იყო ახლად დაარსებული და ამის მიზეზი იყო „საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელების ბრძნული მოქმედება“. „ახლო აღმოსავლეთის“ სტატიის დასასრული, რატომღაც მეტისმეტად ოპტიმისტურად ამთავრებდა: „საქართველო თვით დარწმუნდება რომ დიდი ბრიტანეთი არ უღალატებს და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მას“.[14]

საშინაო ბოლშევიზმთან ბრძოლა რომ 1920 წლის ზაფხულ-შემოდგომის ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა იყო ქართული ხელისუფლებისთვის, ამ გარემოებას საზღვარგარეთმაც მიაქცია ყურადღება. გაზეთი „სტამბოლი“ ციტირებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბათუმში გაკეთებულ განცხადებას: „საქართველოს მთავრობა არ შეიწყნარებს საბჭოთა რუსეთის მის შინაურ საქმეებში ჩარევას და არც საქართველოს ბოლშევიკებს მიეცემა ნება სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაციის წარმოებისა“.[15] მაგრამ ძალები არათანაბარი იყო. მტრული სახელმწიფოებით სრულიად გარემოცული საქართველო და რუსეთისაგან დაფინანსებულ-წაქეზებული მეხუთე კოლონა ამოუწურავ რესურსს ფლობდა, თანაც ისეთ ვითარებაში, როცა საბჭოთა რუსეთს პრაქტიკულად რეგიონში პოტენციური მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდა. პირიქით, მას ზურგს უმაგრებდა ახალი მოკავშირე – ქემალისტური თურქეთი, რომელიც მოთმინებით ელოდა საქართველოს წაქცევას, ტერიტორიული ნადავლის იმედით.

კომუნისტური ორგანიზაციები შევიწროებაში და რეპრესიებში სდებდნენ საქართველოს მთავრობას ბრალს და დახმარებას საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას თხოვდნენ. მოსკოვთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, ანტისახელმწიფოებრივ ძალებს, მფარველად მოევლინა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა, რომელიც 29 მაისს გაიხსნა თბილისში. თავდაპირველად ჩიჩერინმა რუსეთის წარმომადგენლად საქართველოში, გეგეჭკორს ქართველი

[14] ინგლისური ჟურნალი საქართველოს შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920. 28 სექტემბერი.
[15] „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920. 8 ოქტომბერი.

ბოლშევიკი სერგო ქავთარაძე შესთავაზა, მაგრამ ქართულმა მხარემ ეს კანდიდატურა უარყო. დაწუნების მიზეზი ის იყო რომ თურმე ქავთარაძე არ აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ამის შემდეგ, რუსეთის წარმომადგენლად თბილისში დაინიშნა ცნობილი რუსი ბოლშევიკი სერგეი კიროვი, რომელიც ცდილობდა დაპატიმრებები გაეპროტესტებინა და მფარველობა გაეწია ადგილობრივი ბოლშევიკებისათვის. რუსეთის საელჩოში თავდაპირველად 51 თანამშრომელი ითვლებოდა, მაგრამ მალე მათი რიცხვი 300-მდე გაიზარდა. საელჩო, ბოლშევიკების საკრებულოდ და დევნილთა თავშესაფრად იქცა. 1920 წლის 12 ოქტომბერს მოსკოვმა კიროვი გაიწვია და მის მაგივრად დანიშნა არონ შეინმანი. მის დროს საელჩოს „თანამშრომელთა“ რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. თვითონ შეინმანი ხშირად უფრო ბაქოში იმყოფებოდა და იქიდან მართავდა თბილისურ საელჩოს. საბჭოთა რუსეთის საელჩო, რესპუბლიკის ხელისუფლების საწინააღმდეგო ძირგამომთხრელი საქმიანობის კერად გადაიქცა, სადაც ანტისახელმწიფოებრივ საიდუმლო-სადაზვერვო ინფორმაციებს აგროვებდნენ და კავბიუროს და საბჭოთა არმიის სარდლობას აწვდიდნენ.[16] საბჭოთა წარმომადგენლობის ამგვარი სიჭარბე, რა თქმა უნდა საეჭვო გარემოებას წარმოადგენდა და მას ბოლოს და ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მიაქციეს ყურადღება. მინისტრის მოადგილემ კონსტანტინე საბახტარაშვილმა თავის 1920 წლის 4 დეკემბრის ერთ-ერთ საპასუხო ნოტაში განმარტა, რომ წარმომადგენლობის თანამშრომელთა რაოდენობა რამდენიმე ასეული იყო. ამიტომ მან საბჭოთა საელჩოს მთავარ პირს მოქალაქე შეინმანს სთხოვა, მისთვის გადაეცათ მისიის თანამშრომელთა სია. მას სია ორჯერ გადასცეს და შეინმანმა განუმარტა რომ თანამშრომლები ხშირად იცვლებოდნენ და ამიტომ სიაც იცვლებოდა. მოკლედ, საბახტარაშვილმა წარმომადგენლობის ზუსტი სია ვერ მოიპოვა, რადგან თანამშრომელთა სია არ ემთხვეოდა რეალურ რაოდენობას.[17] საბაზტარაშვილის საპასუხო ნოტაში მითითებული იყო რომ საქართველოს საზღვრებთან ადგილი ჰქონდა შეიარაღებული ძალების გადაადგილება-მოგროვებას, ხოლო ფოილოს ხიდთან აშენებდნენ სამხედრო ხასიათის სიმაგრეებს, რაც არღვევდა 12 ივნისის ხელშეკრულების პირობებს. მითითებული იყო სხვა არაერთი ანტიქართული აქტი – ავჯანყებისაკენ მოწოდებების

[16] ი. ირემაძე. შეინმანი არონ ლვოვის ძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. მთ. რედ. დ. შველიძე. თბ. 2018, გვ. 485-486.

[17] მთავრობის ნოტა. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920. 23 დეკემბერი.

შემცველი პლაკატები; შეიარაღებული რაზმების შემოსვლა ბორჩალოს მაზრის სოფლებში, მოსახლეობის ძარცვა და ა. შ.

კონსტანტინე საბახტარაშვილის მიერ შედგენილ-დასაბუთებული „მთავრობის ნოტის“ მეექვსე პუნქტი, კვლავ შეეხებოდა საქართველოში კომუნისტური ორგანიზაციების საქმიანობას. ნოტა პრინციპულად მიჯნავდა კომუნისტების ლეგალურ საქმიანობას, რომელიც უნდა დაყრდნობოდა საზავო დოკუმენტებს. ხოლო თუ მათი საქმიანობა გადაიზრდებოდა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში, ის გახდებოდა სამართლებრივი დევნის საკითხი. „სათანადო ზომების მიღება წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაურ წესრიგის საკითხს და დამყარებულია დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ დეკრეტებზე, მაგრამ ეს ზომები სრულიადაც არ უშლიან ხელს საჭირო პროპაგანდას და აგიტაციას კომუნისტურ პროგრამის სასარგებლოდ“. ნოტა კონკრეტულად მიუთითებდა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 21 ნოემბრის დეკრეტს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უკრძალავდა საქართველოში პოლიტიკურ საქმიანობას. ყველა დატუსაღებული მოქალაქე, დაასკვნიდა ნოტა, უცხო ქვეყნის ქვეშევრდომები იყვნენ და „ამზადებდნენ ჩვენში შეიარაღებულ ავჯანყებას“.

აქ ყველაფერი გასაგები იყო ნორმალური სახელმწიფოსა და სტანდარტული რეალობისათვის, მაგრამ საქართველოს საქმე ჰქონდა არასტანდარტულ კლასობრივ რუსულ სახელმწიფოსთან და „რუსულ სამართლიანობასთან“, რომელიც რელევანტურად მხოლოდ საკუთარ ინტერესებს განიხილავდა და მიზნად ჰქონდა სუსტი მოწინააღმდეგის ლიკვიდაცია. ასეთ შემთხვევაში მის მოქმედებას ვერაფერი შეაჩერებდა და მისი რაიმეში გადარწმუნება წყლის ნაყვას წარმოადგენდა.

ამგვარ, როგორც იტყვიან არასტანდარტულ ვითარებაში, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გავარკვიოთ, როდის, კონკრეტულად დროის რა მონაკვეთში და რა გარემოებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ვითარება არ იყო დამდგარი – 1920 წლის მაისში. კერძოდ, 3 მაისს ლენინმა ორჯონიკიძისგან ორი დეპეშა მიიღო. პირველში საუბარი იყო რომ შესაძლებელი გახლდათ „თბილისის აღება“ 15 მაისამდე. მეორე დეპეშაში „თბილისის აღება“ ნავარაუდევი იყო არაუგვიანეს 12 მაისისა. ლენინმა სასწრაფოდ მოიწვია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა. დაადგინეს და 5 მაისს

ორჯონიკიძეს გაეგზავნა ტელეგრამა შემდეგი მითითებით: „ცკ (ცენტრალური კომიტეტი) გავალდებულებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან“. ტელეგრამას ხელს აწერდნენ ლენინი და სტალინი. გარდა ამ ტელეგრამისა, სხდომა ადგენდა, რომ ორჯონიკიძეს „ეკრძალებოდა საქართველოს თვითგამორკვევა“. ორჯონიკიძისგან და კიროვისგან ლენინმა მიიღო პასუხი: „თქვენი მითითება ზუსტად იქნება შესრულებული“.[18] დეპეშის მთლიან ტექსტს აღარ გავიმეორებთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული რომ ლენინმა ანგარიში გაუწია დიდი ბრიტანეთის მოთხოვნას, შეჩერებულიყო შეტევები ყირიმისკენ და კავკასიაში. როგორც ლევან თოიძე წერდა: „აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა კერზონის მოთხოვნამ და საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის იმ დროს მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებამ“. [19]

მაგრამ ჩვენ კიდევ გავაგრძელებთ ბრიტანეთ-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ ეპიზოდურ საუბარს. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ, მოლაპარაკების იმ პერიოდზე, რომელიც ზემოთ არ განხილულა ჩვენს მიერ და არც ლიტერატურაში მიუქცევიათ ყურადღება. საქმე იმაში გახლავთ რომ მოლაპარაკების პროცესში თავი იჩინა წინააღმდეგობამ მხარეებს შორის, რამაც მისი შეფერხება გამოიწვია. 1920 წლის 1 ივლისს ბრიტანეთის ხელისუფლებამ მოსკოვს წარუდგინა თავისი მოთხოვნები. მათში უმთავრესი იყო პუნქტი, რომელიც საბჭოთა რუსეთს აიძულებდა უარი ეთქვა თავის დაინტერესებაზე – აღმოსავლეთში. ჩამოვთვალოთ სამივე ის პირობა, რომლის მიღების შემთხვევაში, ბრიტანეთი თანახმა იქნებოდა დაედო სავაჭრო ხელშეკრულება. 1. საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს მტრულ მოქმედებასა და პროპაგანდაზე ინგლისის დაწესებულებათა წინააღმდეგ; 2. საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს მოქმედებით ან პროპაგანდით ააღელვოს აზიის ხალხები ბრიტანეთის ინტერესების და ბრიტანეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. 3. საბჭოთა მთავრობა ნებას აძლევს ინგლისის ქვეშევრდომებს დაბრუნდნენ რუსეთიდან, თავის მხრივ ინგლისის მთავრობა არ შეუშლის ხელს ბრიტანეთიდან და მისი კოლონიებიდან რუსების დაბრუნებას სამშობლოში.

[18] В. И. Ленин. Польное собрание сочинении. Том. 51, стр., 424.

[19] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის. თბ. 1991, გვ. 17.

ეს საკითხები ვრცლად იყო განხილული „დეილი ტელეგრაფში“, რომლიდანაც ისარგებლა გაზეთმა „ერთობამ“ და დაბეჭდა ვიქტორ ნოზაძის მასალები ამ სტატიიდან.[20] მივყვეთ წერილის შინაარსს.

როგორც ირკვევა, მოლაპარაკება გაგრძელდა, რის შესახებაც ჩიჩერინმა 7 ივლისს აცნობა ბრიტანეთის მხარეს. მოლაპარაკებას აგრძელებდნენ კრასინი და კერზონი, აგრეთვე – ლევ კამენევი, რომელიც ამ დროიდან ჩაერთო მოლაპარაკების პროცესში. მოლაპარაკების „შავი“ ვარიანტი თითქმის მზად იყო, რომ 1920 წლის 1 ოქტომბერს, ლორდმა კერზონმა წამოჭრა პროტესტი ნოტით, რომ საბჭოთა მხარე არ ასრულებდა მოთხოვნებს. ყურადღება მივაქციოთ – მდგომარეობა ამ დროისათვის რთულდება და ჰაერში გამოკიდებული რჩება საქართველოს საკითხიც, რომლის შესახებ საუბარიც, „დეილი ტელეგრაფის“ სტატიაში, როგორც ჩანს, არ არის. „ეს პირობები, – ამბობს კერზონის ნოტა – იყო და არის სასტიკათ დარღვეული. ბატონმა კამენევმა მოაწყო თითქმის ღია პროპაგანდა და შეეცადა დახმარებოდა კამპანიას ინგლისში ბრიტანეთის კონსტიტუციისა და ბრიტანეთის დაწესებულებათა წინააღმდეგ. და ამის გულისთვის მას არ ჰქონდა ნება შემოსულიყო ამ ქვეყანაში“. მოკლედ, საბჭოთა მთავრობას არასოდეს შეუწყვეტია ბრიტანეთის საწინააღმდეგო პროპაგანდა. კომუნისტური მესამე ინტერნაციონალი ქადაგებდა რომ „უნდა დაემხოთ მთელი მსოფლიოს დაწესებულებები“. ბაქოში შედგა აზიელი ხალხების წარმომადგენელთა კონფერენცია და ა. შ. და რაც ჩვენთვის საინტერესოა – კერზონის ნოტაში მითითებული იყო რომ: „საბჭოთა მთავრობის მოქმედება კავკასიაში, სპარსეთში, ცენტრალურ აზიაში და ავღანისტანში პირდაპირ მიმართულია დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“.[21] კერზონის ნოტა დაასკვნიდა, რომ რუსეთს უნდა აესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები, თუ უნდოდა დადებულიყო სავაჭრო ხელშეკრულება. პასუხი ახლა საბჭოთა რუსეთზე იყო დამოკიდებული.

რაც შეეხება „კავკასიას“ – აქ უპირველეს ყოვლისა, საქართველო და ჯერჯერობით იმ დროისათვის დაუპყრობელი სომხეთი იგულისხმებოდა, თორემ აზერბაიჯანი, ბრიტანეთს უკვე „გამოტირებული“ ჰქონდა – ბაქოს ნავთი საბჭოთა რუსეთის ხელში იყო. კერზონის ნოტაში აღნიშნული იყო რომ მო-

[20] ვიქტორ ნოზაძე. რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება. კერზონ-კრასინის ნოტა (წერილი ლონდონიდან). გაზ. „ერთობა“. 1920 წ. 4 ნოემბერი.

[21] ვიქტორ ნოზაძე. რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება. კერზონ-კრასინის ნოტა (წერილი ლონდონიდან).

ლაპარაკებები ბრიტანეთ-რუსეთს შორის ან სუსტად მიმდინარეობდა ან შეწყვეტილი იყო. ბოლოს, კერზონის ნოტა კატეგორიულად ითხოვდა, რომ ყველა სადაო საკითხზე, საბჭოთა მხარეს 10 ოქტომბრამდე უნდა გაეცა ცხადი პასუხი.

თავის მხრივ, კრასინის ნოტა პირიქით, ბრიტანეთის მხარეს ადანაშაულებდა პირობების დარღვევაში, ეხმარებოდა ვრანგელს, პოლონეთს და ა. შ. მაგრამ ბოლოს, კრასინი კატეგორიულად ითხოვდა სავაჭრო და ეკონომიური ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების განახლებას და დადებას: „რუსეთის მთავრობა, რომელიც მოქმედებს რუსეთის და ინგლისის მუშათა მასების ინტერესების გულისთვის, მოითხოვს დაუყოვნებლივ განახლებულ იქნეს ეკონომიური და სავაჭრო დამოკიდებულება და შეკრულ იქნეს სრული ზავი ორივე ქვეყნის შორის. იგი მზად არის ყოველ წუთში დაამტკიცოს თავისი გულწრფელი სურვილი საჩქაროდ შეთანხმების შესახებ და გადასდგას ყოველი აუცილებელი ნაბიჯი, რათა დააჩქაროს ასეთი შეთანხმება“.[22]

საკმაოდ მწვავედ იდგა ბრიტანელი ტყვეების საკითხი, რომლებიც აზერბაიჯანში იმყოფებოდნენ. კრასინის აზრით მოლაპარაკებები აზერბაიჯანისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებს შორის უნდა გაგრძელებულიყო „თფილისში“, სადაც რუსეთიც გააგზავნიდა თავის წარმომადგენელს. ამ ურთიერთვალდებულებების ასრულების შემდეგ, კრასინი კვლავ სავაჭრო ხელშეკრულების თემით ამთავრებდა: „...რუსეთის მთავრობა მზათაა შეუთანხმდეს ინგლისის მთავრობას და განაგრძოს ეკონომიური ხელშეკრულებისათვის მოლაპარაკება“. თავის მხრივ, ვიქტორ ნოზაძეც დაასკვნიდა: „რას მოიტანს და რა შედეგებს მიაღწევს ეს მოლაპარაკება, ამას მალე დავინახავთ“.[23]

**ბრიტანეთ-საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკებების ქრონიკა**

**– 1920 წლის 1 ივლისს ბრიტანეთმა საბჭოთა რუსეთს წარუდგინა სავაჭრო ხელშეკრულების მთავარი პირობები (სამი პუნქტი).**

**– 7 ივლისს ჩიჩერინმა ლონდონს აცნობა რომ საბჭოთა მთავრობამ მიიღო ეს პირობები.**

**– 1 ოქტომბერს კერზონმა ნოტა გაუგზავნა საბჭოთა რუსეთს და ბრალი დასდო 1 ივლისის ნოტის პირობების შეუსრულებლობაში, რომლის გარეშეც ვერ**

[22] ვიქტორ ნოზაძე. რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება. კერზონ-კრასინის ნოტა (წერილი ლონდონიდან).

[23] ვიქტორ ნოზაძე. რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულება. კერზონ-კრასინის ნოტა (წერილი ლონდონიდან).

**შედგებოდა სავაჭრო ხელშეკრულების დადება. პასუხისათვის საბჭოთა რუსეთს ეძლეოდა ვადა 10 ოქტომბრამდე.**

**– საპასუხო ნოტაში კრასინმა დააკმაყოფილა ლონდონის რამდენიმე მოთხოვნა და კატეგორიულად მოითხოვა მოლაპარაკებების გაგრძელება.**

**– 17 ნოემბრის „ერთობა“, გაზეთ „იზვესტიის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ სავაჭრო ხელშეკრულების პროექტს ლონდონში განიხილავენ და ხელმოწერასაც მოელიანო. „საქართველოს რესპუბლიკაც“ წერდა, ბრიტანეთმა პროექტი შეიმუშავა და ახლო ხანებში კაბინეტი განიხილავსო.**

მთელი ამ თვეების განმავლობაში ,,კავკასიის“ ანუ მასში ნაგულისხმევი – საქართველოს საკითხი, კვლავ განიხილებოდა ბრიტანეთის ყურადღების სფეროში და მფარველობის ქვეშ. ის დაფიქსირდა კერზონის 1 ოქტომბრის ნოტაშიც. ე. ი. ”მ დრომდე, ბრიტანეთს ჯერ უარი არ ჰქონდა ნათქვამი საქართველოს მხარდაჭერაზე. ასე ჩანდა.

ამგვარ თვალსაზრისს ამყარებს აგრეთვე შემდეგი გარემოება. როგორც ჩანს, ნოემბრის მეორე ნახევარში, ლორდმა კერზონმა შიში გამოთქვა რომ ბათუმს, რომელიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილი, საფრთხე ექმნებოდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან. ამასთან დაკავშირებით, 1920 წლის 28 ნოემბერს ჩიჩერინმა რადიო-შეტყობინება გაუგზავნა კერზონს და აცნობა რომ საბჭოთა მთავრობა პროტესტს უცხადებდა ინგლისს, ბათუმის ოკუპაციასთან დაკავშირებით გამოთქმული პოზიციის გამო. ჩიჩერინი მხარდაჭერას გამოთქვამდა დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ და აცხადებდა რომ ,,...რუსეთის მთავრობა ყოველთვის სასტიკათ იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და არა შემთხვევაში არ დაარღვევს საქართველოს სუვერენულ უფლებებს, არც რაიმე სხვა გზით“.[24] ამ განცხადებას აკეთებდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ჩიჩერინი, საქართველოს ოკუპაციამდე, ორთვენახევრით ადრე. ასეა თუ ისე, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, არა მარტო ბრიტანეთი, არამედ – რუსეთიც, საქართველოს დამოუკიდებლობის მფარველ-დამცველის როლშია. ეს 1920 წლის ნოემბრის მეორე ნახევარია. ბრიტანეთის მიერ საქართველოს ,,გაწირვა“, დაახლოებით ამ დიპლომატიური ურთიერთპოლემიკის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო და განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა სომხეთის ოკუპაცია განახორციელა, 1920 წლის 29 ნოემბერს. სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის

[24] გაზ. ,,ერთობა“. 1920. 1 დეკემბერი.

გაჩენა კავკასიის რუკაზე, საბჭოთა რუსეთის სრულ დომინირებას ნიშნავდა რეგიონში. ამით საბოლოოდ უნდა ამოწურულიყო ბრიტანეთის კავკასიაში რამენაირად ყოფნის რესურსი.

სწორედ დროის ამ მონაკვეთში უნდა გაჩენილიყო რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო ხელშეკრულებაში ჩანაწერი, რომ ბრიტანეთის მთავრობა, თავის თავზე იღებდა ვალდებულებას, თავი შეეკავებინა ნებისმიერი სახის მტრული მოქმედებისაგან, რუსეთის მთავრობის მიმართ, „... იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც შეადგენდნენ რუსეთის იმპერიის ნაწილს და ამჟამად გახდნენ დამოუკიდებლები“.

მოკლედ, ორი იმპერიალისტური სახელმწიფო შეთანხმდა, რომ ერთმანეთის კოლონიურ ქვეყნებთან დაკავშირებულ საქმეებში არ ჩაერეოდნენ. საბჭოთა რუსეთმა დაასრულა საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის პროცესი – თუ ის საქართველოს დაიპყრობდა, მას ხელს არ შეუშლიდა მსოფლიოს ორი ყველაზე უძლიერესი სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი და აშშ – ეს უკანასკნელი ხომ საერთოდ არ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

აქ კი შეიძლება სრული სახით მოვიყვანოთ სტალინის ცნობილი სიტყვები, რომელმაც, ცხადია იცოდა რა ბრიტანეთთან უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ხელშეკრულების პროექტი, თამამად გამოუტანა დემოკრატიულ დამოუკიდებელ საქართველოს სასიკვდილო განაჩენი: „ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის... არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“[25]

ცხადია, რუსეთის „ნაცდელკომმა“ უკვე იცოდა, რომ ბრიტანელ „იმპერიალისტებს“ საქართველო განწირული ჰყავდათ.

თუ უფრო ადრე არა, 1920 წლის დეკემბერი ის თვეა, როცა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების წინაშე დღის წესრიგში უშუალოდ დადგა – საქართველოს ოკუპაციის საკითხი. თუმცა, პროცესი თანმიმდევრული უნდა ყოფილიყო და მას უნდა ჰქონოდა მოსამზადებელი პერიოდი. მოსამზადებელ ფაზაში იგულისხმებოდა გაძლიერებული პროვოკაციების სერია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. პროვოკაციების პირველი ძლიერი ტალღა თითქმის ერთდროულად განხორციელდა სამი მხრიდან: რუსეთის საბჭოთ რესპუბლიკიდან, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა „დამოუკიდებელი“ სა-

[25] ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტ. 4. გვ. 447.

ხელმწიფოებიდან. რსფსრ-ს მთავრობის განკარგულებით შეაჩერეს ჩრდილოეთის მიმართულებით მოძრავი საქართველოს სამარშრუტო მატარებლები. ამავდროულად აზერბაიჯანიდან შეწყდა ნავთის მოწოდება საქართველოსთვის. აგრეთვე, რესპუბლიკის საზღვრებთან, ფოილოს ხიდის რაიონში შეინიშნებოდა საბჭოთა ჯარის გადაადგილებები და სამხედრო დანიშნულების სიმაგრეების მშენებლობა. ამავე დროს, საბჭოთა სომხეთის მთავრობამ დააპატიმრა, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ერევანში, გენერალი სოლომონ ყარალაშვილი და მისი მდივანი.

1920 წლის 12 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შფოთიანი რადიო-დეპეშა გაუგზავნა რესპუბლიკის წარმომადგენლებს, თითქმის ყველგან, სადაც წარმომადგენლობები არსებობდა: მოსკოვში, ერევანში, ბაქოში, ლომდონში, პარიზში, ვარშავაში და სხვ. წარმომადგენლობებს, ჩამოთვილი და სხვა ქვეყნების მთავრობებისთვის უნდა ეცნობებინათ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული კომბინირებული შეტევა და ყველა ხელშეკრულებების დარღვევა, რომლებიც საქართველოს ჰქონდა დადებული რუსეთთან და მის ორივე მარიონეტთან.

რაც მთავარია, საქართველოს რადიო-შეტყობინებაში, უცხოეთის სახელმწიფოებისადმი, საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამდა, რომ ეს არ იყო ადრინდელი მტრული პოზიციის ჩვეულებრივი გამოხატულება, რასაც საბჭოთა მხარე ადრეც მიმართავდა. საქართველოს მხარემ ხაზი გაუსვა კომბინირებული შეტევის განსაკუთრებულ და ადრინდელისაგან განსხვავებულ ხასიათს, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფის მიზანი ჰქონდა: „შესაძლებელია დასკვნის გამოტანა – იუწყებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, – რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს აგრესიული სახის მზადებებთან, რომლებსაც მიზნად აქვთ საქართველოზე თავდასხმის მოხდენა“. [26]

საქართველოს საგარეო უწყების და მთავრობის ხელმძღვანელებმა შეუმცდარად შეაფასეს მომხდარი მოვლენების არსი და გამოთვალეს პროვოკაციების რეალური მიზანი. რადიო-დეპეშის დასკვნით ნაწილში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ანუ „მაგიერი“ კონსტანტინე საბახტარაშვილი, წარმომადგენლობებს ავალებდა, „სასტიკი პროტესტი“ გამოეცხადებინათ პროვოკაციის ავტორი-სახელმწიფოების მთავრობებისათვის.

[26] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რადიო-დეპეშა. გაზ. „ერთობა“. 1920 წ. 17 დეკემბერი.

როგორც აღვნიშნეთ, საბახტარაშვილის რადიო-დეპეშა 12 დეკემბერს გაიგზავნა დანიშნულებისამებრ. ამის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის ბეჭდვითმა ბიურომ გავრცელებულ განცხადებაში, ბრალი დასდო საქართველოს მთავრობას, რომ მან დაარღვია კეთილმეზობლობის პრინციპები, ხელშეკრულების პირობები და დააკავა, სომხეთში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ლეგრანის მატარებელი და აგრეთვე, შეაჩერა სომხეთში მიმავალი სატრანზიტო მატარებელი. ქართულმა მხარემ კატეგორიულად უარყო აღნიშნული ბრალდებები, როგორც არმომხდარი და გამოგონილი.[27]

ჩანდა რომ რუსეთმა საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოს ოკუპაცია და მისი განხორციელებისათვის საჭირო იყო პროვოკაციების მიზანმიმართული სერია, რომელსაც უნდა შეექმნა მტრის ხატი – საქართველოს რესპუბლიკის სახით, რათა მსოფლიო თუ არა, რუსეთის დამჯერი საზოგადოება მოემზადებინა ოკუპაციის გამართლებისათვის – უნდა შექმნილიყო საქართველოს სახე, რომელიც იყო საბჭოთა რუსეთის მტერი, მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის ბუდე და მსოფლიო იმპერიალიზმის, ანტანტის ერთგული მოკავშირე, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

არეგნულად ისე ჩანდა რომ 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერ-იანვარში, განსაკუთრებით კი სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, საბჭოთა ხელმძღვანელობაში, საქართველოსადმი დამოკიდებულებაში ორი მიმართულება გამოიკვეთა. პირველი და გადამწყვეტი იყო ლენინის ხაზი, რომელიც განსაზღვრავდა საბჭოთა პოლიტიკის ოფიციალურ მხარეს. ის მუდამ მიუთითებდა რომ საქართველოს საკითხი უაღრესად ფრთხილ მიდგომას მოითხოვდა და ჯერ არ დამდგარა მისი უშუალო ოკუპაციის დრო. მეორე მიმართულების მთავარი პროტაგონისტები იყვნენ სტალინი და ორჯონიკიძე, რომელნიც, განსაკუთრებით – უკანასკნელი, საქართველოს დაუყოვნებლივ ოკუპაციას მოითხოვდნენ და ლენინს ისე უხატავდნენ ვითარებას, რომ მას შესაბამისი მითითება გაეცა.

სამეცნიერო ლიტერატურაშიაც დომინირებს აზრი რომ თითქოს საქართველოს დაუყოვნებლივი გასაბჭოების იდეა, სტალინ-ორჯონიკიძისგან და სხვა ქართველი ბოლშევიკ-რენეგატებისგან მომდინარეობდა. ეს არაა სწორი. სინამდვილეში, ორ მიმართულებას შორის, მხოლოდ ფუნქციონალური განსხვავება არსებობდა. ლენინი საერთაშორისო კონიუნქტურის მიხედვით მოქმედებდა და სტალინ-ორჯონიკიძის ფრთა, მხოლოდ ლენინის სტრატეგიის უშუალო შემსრულებლები იყვნენ – მათ უნდა ყველანაირად მოემზადებინათ

[27] ვინ არღვევს კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას?. გაზ. „ერთობა“. 1920 წ. 17 დეკემბერი.

ნიადაგი ოკუპაციისთვის და როგორც კი ცენტრის თანხმობას მიიღებდნენ – დაუყოვნებლივ განეხორციელებინათ იგი. ასეც მოხდა.

მანამდე კი წარმოვადგენთ, ამ ორი მიმართულების მოქმედების მიმდინარეობის სურათს, მოვლენების მოკლე ინფორმაციების – ქრონიკის სახით.

**ლენინ-სტალინ-ორჯონიკიძის მიმოწერის ქრონიკა**

**– 1920 წლის 26 ოქტომბერს, სტალინი ლენინს აცნობებდა, რომ საქართველო ემზადება, ანტანტას ჩააბაროს ბათუმი. იგი ქმნიდა ყალბ სურათს, თითქოს მოსალოდნელი იყო ანტანტის შეტევა ბაქოს მიმართულებით. ლენინი უდეპეშებდა, რომ ეს მოსალოდნელია და საჭიროა ბაქოს გამაგრება.**

**– 15 ნოემბერი. სტალინი ლენინს: თითქოს აუცილებელი იყო კავკასიის საბჭოთა ჯარის გაძლიერება დამატებითი ძალებით, რათა საქართველოს მხრიდან თავდასხმისაგან წარმატებით დაეცვათ თავი.**

**– ლენინი სტალინს: თუ ანტანტა ბაქოს დაიკავებს, საჭირო გახდება თბილისის დაკავება. მოსკოვიდან კი სტალინს მისწერეს, რომ „გადაწყვეტილების მიღება საქართველოს საზღვრებში შესვლის შესახებ ნაადრევია“. სტალინი აზრს არ იცვლიდა და „თბილისის დაკავების“ პოზიციაზე რჩებოდა.**

**– 16 ნოემბერს ჩიჩერინი მოსკოვში საქართველოს წარმომადგენელს გერასიმე მახარაძეს უგზავნის ნოტას, ხოლო ლორდ კერზონს რადიო-დეპეშით აცნობებს რომ ბათუმის ოკუპაცია იქნება კავკასიაში ახალი ომის მიზეზი.**

**– 20 ნოემბრამდე პერიოდში, სტალინი ლენინს: იგი კვლავ ითხოვს მაშველ ძალებს და ირწმუნება რომ საქართველო ომისთვის ემზადება აზერბაიჯანის წინააღმდეგ.**

**– 15 დეკემბერს, ორჯონიკიძე გზავნის დეპეშას მოსკოვში და აცნობებს ცენტრს, რომ კავბიურომ მიიღო დადგენილება საქართველოს საზღვრების გადალახვის შესახებ. ლენინი და ტროცკი აფრთხილებენ ორჯონიკიძეს: „ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ დართავს ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ გადაწყვეტილების შესრულების შეჩერებას და გაუქმებას“.**

**– 17 დეკემბერს, რკპ(ბ) ცკ პლენუმმა, სპეციალურად განიხილა კავბიუროს აღნიშნული დადგენილება და დაადგინა, რომ „დადასტურდეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კავკასიაში რსფსრ მშვიდობიანი პოლიტიკის შესახებ და დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს და სამხედრო უწყებებს მიიღონ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ პოლიტიკის წარმატებით განხორციელება“.**[28]

საქართველოს ოკუპაციის საკითხის გადაჭრის გადამწყვეტი ფაზა 1921 წლის ზღურბლზე დაიწყო. მართალია ცენტრი კვლავ ეწინააღმდეგებოდა კავ-

[28] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 31-46.

ბიუროს მოწოდებებს, მაგრამ უკვე ჩანდა, რომ პროცესი მეტად აღარ გაიწელებოდა. 1921 წლის 2 იანვარს ორჯონიკიძე-კიროვის ტანდემმა მოხსენება მოაამზადა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე კიდევ ერთხელ დააყენა, საქართველოს ოკუპაციის საკითხი. მოხსენებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოდგენილი იყო, როგორც საბჭოთა რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის საფრთხე და ანტანტის იარაღი, რომელიც უხეშად არღვევდა 7 მაისის ხელშეკრულების პირობებს.

რა თქმა უნდა, პრობლემა იმაში არ მდგომარეობდა, ლენინი მართლაც დაიჯერებდა თუ არა, კავბიუროს დემაგოგიას და ზღაპრებს, საქართველოს აგრესორობის შესახებ. პრობლემა კვლავ იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა რუსეთის თავდასხმას საქართველოზე, ზედმეტად არ გაელიზიანებინა დიდი ბრიტანეთის მთავრობა, რომელთან სავაჭრო შეთანხმების პროექტი თითქმის ხელმოწერის ფაზაში იყო შესული. თანაც, მაშინდელი საერთაშორისო ვითარების საერთო სურათი, სულაც არ აიძულებდა საბჭოთა რუსეთს, მაინცდამაინც სწრაფად ემოქმედა. საქართველოს საკითხში მას კონკურენტი არ ჰყავდა.

ერთადერთი დამაბრკოლებელი გარემოება, რაც შეიძლება საბჭოთა ხელისუფლებას სიფრთხილისკენ მოუწოდებდა კვლავ იყო რუსეთ-ბრიტანეთის ჯერ კიდევ ხელმოუწერელი სავაჭრო ხელშეკრულება. როგორც ადრე აღვნიშნეთ – 1920 წლის 29 ნოემბერს, ლოიდ ჯორჯის მითითებით, ხელშეკრულების საბოლოო პროექტი, ლონდონმა ლეონიდ კრასინს გადასცა. როგორც რუსულ ისტორიოგრაფიაშია დაფიქსირებული, ამ დროისთვის პროექტში, რომელიც ბრიტანეთმა მოიწონა, უკვე იყო ჩანაწერი, რომ ბრიტანეთის მთავრობა ხელს არ შეუშლიდა, არ გააკრიტიკებდა, რუსეთის იმპერიის ყოფილ და ახლად გამოცხადებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, რუსეთის ქმედებებს.

1921 წლის 12 იანვრისთვის, როცა ცენტრალური კომიტეტის სხდომა, ორჯონიკიძე-კიროვის მოხსენებას იხილავდა, ლენინი და მისი გარემოცვა როგორც იტყვიან, ეკლებზე იჯდა – ხელშეკრულებას ხელმოწერა აკლდა და ის ლონდონში უნდა შემდგარიყო. რა გარანტია ჰქონდა ლენინს, რომ ლოიდ ჯორჯი უკანასკნელ წუთს არ გადაიფიქრებდა ხელმოწერას? ლენინი ხომ საქართველოს რუსული სოციალიზმის სამოთხეში შესვლის იდეით ფანატიზირებული ორჯონიკიძე ან დიქტატორობისაკენ მიმავალი და მოტივირებული სტალინი არ იყო.

ამიტომ 1921 წლის 12 იანვრის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კვლავ დაბლოკა კავბიუროს თხოვნა, საქართველოს დაუყოვნებლივი ოკუპაციის შესახებ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ დროებით გადარჩა. საინტერესოა რა ხდებოდა ამ დროს, თუნდაც – 1920 წლის 17 დეკემბრიდან 1921 წლის 12 იანვრამდე საქართველოში. ის რომ საქართველოს გარშემო ვითარება კატასტროფული იყო, ამას დიდი ხნით ადრე ხვდებოდნენ კიდეც და იცოდნენ საქართველოში. ჯერ კიდევ 1920 წლის 30 ივნისს, აკაკი ჩხენკელი თავის დარდს საკუთარ „დღიურს“ უზიარებდა: „გაუძლებს საქართველო ამ ექსპერიმენტს? არა მგონი. და თუ გაუძლო, ან სასწაულება იქნება, ან მისი კარგი ბედი, რომელიც აქამდე წყალობდა მას.

ყოველ შემთხვევაში შეთანხმება ინგლისთან უაღრესათ საჭიროა ჩვენთვის. ლოიდ ჯორჯი და მისი ამხანაგები უკვე ელაპარაკებიან კრასინს“.[29]

გარდა მძიმე საგარეო მდგომარეობისა, მთავარ საშინაო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოწვევად რჩებოდა – საქართველოს კომუნისტური პარტიის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. 1920 წლის დეკემბრის დასაწყისში, მექი კედიას საგანგებო რაზმმა დააპატიმრა პარტიის თბილისის კომიტეტის მეორე რაიონის სხდომის მონაწილეები, რომლებიც იხილავდნენ შეიარაღებული აჯანყების საკითხს. საგანგებო რაზმის მონაცემებით, სხდომის დაპატიმრებული მონაწილეები იყვნენ: ხოტოსოვი, ს. სიტნიკოვი, ისტროჟინსკი, სეგალი, ალიხანოვი, პაპოვი, დეკიდიანცი, ბელერგო, ო. სიტნიკოვი, ე. ლევინი, ი. ლევინი, კერუზოვი, იშხანოვი, კიბლერი, კოტიანცი, გოდაბრელიძე, რუბანოვი, კოლესნიკოვი, განცევიჩი, პეტროვი, შევჩენკო, კრავცოვი, როვინსკი, ფილატოვა, ბარანცევიჩი, მიქაელიანი, ომიაძე, ვრალი, დანდუროვი, ხმელნი, სიდამინიძე, ი. პატაევი, ედელსონი, შეპცოვი, თ. პატაევი, მარქაროვი, გურული – სულ 36 კაცი.

ეს სია იმის გამო მოვიყვანეთ, რომ როგორც რესპუბლიკის სპეცსამსახურები ირწმუნებოდნენ, საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა უმრავლესობა, ეთნიკურად – არაქართველი იყო, უმთავრესად – რუსები და სომხები. მაგრამ, შემადგენლობის ეთნიკურ მხარეზე ამიტომ არ გაგვიმახვილებია ყურადღება – როგორც საგანგებო რაზმის ინფორმაცია იუწყებოდა, სხდომის მონაწილეთა მხოლოდ 4 დაპატიმრებული იყო საქართველოს მოქალაქე, დანარჩენი 33 – უცხო ქვეყნების ქვეშევრდომები იყვნენ, ე. ი. აგენტები.[30]

[29] აკაკი ჩხენკელი. დღიურები. წიგნი პირველი. 1918-1921. თბ. 2021. გვ. 234.
[30] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება. გაზ. „ერთობა“. 1920 წ. 18 დეკემბერი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ე. წ. დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულება სტაბილურად მტრული იყო და სულ უფრო მძიმე ხდებოდა. 1920 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, აზერბაიჯანში მდგარი მე-11 რუსული არმიის საგანგებო განყოფილებამ დახვრიტა საქართველოს ექვსი მოქალაქე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მტკიცე პროტესტი განუცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰუსეინოვს, მომხდარის გამო. გამოირკვა, რომ დახვრეტა მოხდა ყოველგვარი სასამართლო დადგენილების გარეშე. საქართველო მოითხოვდა რომ სამწუხარო მოვლენის გარშემო არსებული მასალები გადმოეცათ ქართული მხარისათვის და მომხდარიყო საქმის გამოძიება.[31]

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობისადმი იყო მიძღვნილი „ერთობის“ 1920 წლის 25 დეკემბრის მოწინავე, რაც ოფიციალური წრეების პოზიციას გამოხატავდა. ზოგადი ვითარება ისეთი იყო რომ ევროპის ქვეყნები ყველაზე მეტ ყურადღებას რუსეთის თემას აქცევდნენ და „ქანაობდნენ“ ანუ ვერ არკვევდნენ თავიანთ გამოკვეთილ პოლიტიკას. ასეთ ვითარებაში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ბედი გაურკვეველი რჩებოდა, თუმცა ოფიციალური ნოტების მიხედვით, თითქოს აღიარებული იყო მათი დამოუკიდებლობა.

„ხალხთა ლიგამ“ ვერ გაბედა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიღებისთვის „დასტური“ მიეცა. გაზეთი არც თუ ოპტიმისტურად დაასკვნიდა: ბოლოს და ბოლოს ბედი ქართლისა თფილისში უნდა წყდებოდეს და არა ლონდონში და პარიზში სადაც „უფრო უწევდნენ ანგარიშს ფაქტს, რეალობას და არავითარ შემთხვევაში არ გაყვებიან სანტიმენტალურ მოსაზრებებს და სურვილებს. ეს უნდა მტკიცეთ დავიხსომოთ და თავის შინაური მუშაობის გაძლიერებას შევუდგეთ. ჩვენ გვწამს რომ ამით მივცემთ გამარჯვებას ჩვენს მისწრაფებას ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისას ევროპიელ სახელმწიფოების მიერ“.[32] ამგვარ ვითარებაში, რადგან საქართველოს ხელისუფლებას ანტანტის სახელმწიფოების დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდათ, უკანასკნელ იმედად რჩებოდა – საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობა და აქეთ იქნა მიმართული საგარეო უწყების აქტივობა.

საქართველოს ხელისუფლება რა თქმა უნდა გვერდს ვერ აუვლიდა ის-

[31] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პროტესტი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წ. 22 დეკემბერი.

[32] საგარეო მდგომარეობისთვის. გაზ. „ერთობა“. 1920 წ. 25 დეკემბერი.

ეთ მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გარკვევის პრობლემას, როგორიც ახალგაზრდა თურქეთი იყო. 1920 წლის ნოემბერში, საქართველოს ხელისუფლებამ თურქეთს მიმართა საზავო ხელშეკრულების დადების წინადადებით. რადგან ანგორის მთავრობა ახლო სამოკავშირეო ურთიერთობაში იმყოფებოდა საბჭოთა რუსეთთან და მისი სამხედრო-ფინანსური მხარდაჭერითაც სარგებლობდა, აინტერესებდა როგორი იყო რუსეთის პოზიცია საქართველოს მიმართ. ამის გამო, ანგორის საგარეო საქმეთა კომისარმა მუხტარმა კითხვით მიმართა საბჭოთა მთავრობას – 1920 წლის 15 დეკემბერს. ანგორის მთავრობას აინტერესებდა, საბჭოთა რუსეთის მთავრობისაგან – როგორ მოქცეულიყო: დაედო თუ არა ხელშეკრულება საქართველოსთან და რა პოზიცია ექნებოდა მოსკოვს ამ საკითხთან დაკავშირებით. რუსეთის ხელისუფლებას მაშინ არ გაუცია პასუხი და ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი.

ანგორის „ნარკომინდელი“ ბატონი მუხტარი კვლავ ეკითხებოდა თავის დიდ მოკავშირეს, როგორ მოქცეულიყო: პასუხს ელოდებაო, წერდა მუხტარი თავის საბჭოთა კოლეგას, საქართველოცო, იმ დროიდანო, რაც ბატონ სვიმონ მდივანს, საქართველოს წარმომადგენელს თურქეთში, ნოტა გადავეციოთო.

მაგრამ აქ საინტერესო სხვა გარემოება უფრო იყო, ქართული მხარისთვის. ანგორის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინს წერდა: „ჩვენ მეგობრულად მოვითხოვთ გავეცნოთ რუსეთის შეხედულებას საქართველოს საკითხის შესახებ, მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი არ მიგვიღია. მეორე მხრივ, ჩვენ გვესმის რომ შესაძლებელია ომი დაიწყოს წითელ ჯარებსა და ქართველებს შორის. თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ მოსალოდნელ გაუგებრობათა გამოსარკვევად ჩვენ გვინდა ვიცოდეთ თქვენი მთავრობის განზრახვები“.[33]

ცხადია ხმები, ნიშნები, პროგნოზები, მოლოდინები, იყო, რომ მარტოდმარტო დარჩენილ საქართველოს ახლო მომავალში საბჭოთა რუსეთი დაუპყრობელს არ დატოვებდა. სწორედ ამის გამო არ პასუხობდა საბჭოთა მთავრობა ანგორის შეკითხვებს.

ახმედ მუხტარის ნოტა, საქართველოსთვის საინტერესო მეორე ინფორმაციასაც შეიცავდა. თურქი კომისარი უკმაყოფილებას გამოთქვამდა რომ მისი რუსი მოკავშირე მთავრობა, ინფორმაციებს უმალავდა ანგორას. მაგ., თურქებმა სხვა წყაროებიდან გაიგეს რომ საბჭოთა რუსეთი ინგლისთან ხელშეკრულების დადებას აპირებდა: „ჩვენ ანგარიშს უწევთ იმ შეთანხმებას, რომე-

[33] საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი. საბჭოთა რუსეთის ნარკომინდელს ჩიჩერინს. გაზ. „ერთობა“. 1921 წ. 6 იანვარი.

ლიც გვინდა თქვენთან დავდოთ და დასახელებულ წინადადებებზე არავითარ პასუხს არ ვაძლევთ (ინგლისელებს – დ. შ), და ეს მაშინ, როდესაც მთელი ევროპის პრესა და ჩვენი აგენტები უკვე ლაპარაკობენ იმ შეთანხმებაზე, რომელიც დადებულია რუსეთსა და ინგლისს შორის – შეთანხმებაზე, რომლის შესახებაც თემთა პალატაში დიდი კამათი იყო".[34]

ორივე ინფორმაცია, რომლებიც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო – უიმედოს ხდიდა პირველი რესპუბლიკის მდგომარეობას. პირველი ინფორმაციის მიხედვით, ის რომ საბჭოთა რუსეთი არ ამჟღავნებდა თავის პოზიციას საქართველოს მიმართ და არც არავითარ პასუხს არ აძლევდა ამ საკითხის შესახებ თურქებს, მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ მალავდა თავის მიზანს – დაეპყრო საქართველო, განეხორციელებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაცია და დაემყარებინა საბჭოთა ხელისუფლება დაპყრობილ ქვეყანაში.

ხოლო მეორე ინფორმაციის მიხედვით, ოფიციალური ლონდონი არ მალავდა რომ საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებას დებდა. ჩვენც დავამატებთ, რომ ამის შესახებ ინფორმაციები ქართულ პრესაშიც გაჩნდა. მაგ., 1921 წლის 6 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკაც" აქვეყნებდა ინფორმაციას, ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში მიმდინარე დებატების შესახებ, რუსეთთან ხელშეკრულებაზე. თუმცა, ამ ინფორმაციებში საქართველოს შესახებ საუბარი არ იყო.

ჩვენთვის უცნობია, რა დეტალები იყო ან არ იყო ცნობილი საქართველოს მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლებისათვის – ინგლისისა და რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო მიმდინარე პროცესების შესახებ. 1921 წლის 7 იანვარს, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯ ნათანიელ კერზონმა ჩვეული ულტიმატუმური სტილით, ნოტა გაუგზავნა საბჭოთა საგარეო მინისტრს ჩიჩერინს. ნოტაში მოკლედ იყო ჩამოყალიბებული ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების რამდენიმეთვიანი, უფრო ზუსტი იქნებოდა – თითქმის ერთწლიანი პროცესის ისტორია. ეს უკვე ის დრო იყო, როცა მხარეების მოლაპარაკებების შესახებ, მსოფლიო და ქართულ პრესაში ღიად ლაპარაკობდნენ.

კერზონის ნოტიდან ამონარიდს უფრო დაეჯერება: „ის ფაქტი რომ შეთანხმება ამდენხანს არ არის ხელმოწერილი, უმთავრესად არის შედეგი იმი-

[34] საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი. საბჭოთა რუსეთის ნარკომინდელს ჩიჩერინს. გაზ. „ერთობა". 1921 წ. 6 იანვარი.

სა, რომ საბჭოთა მთავრობა გაურბის, შეთანხმების იმ პირობებს, რომელიც თვითვე მიიღო ივლისის 7-ს. საკითხი 30 ივნისს და 7 ივლისს მიღებულ შეთანხმების მუხლების განმარტების შესახებ, იყო საგანი არა ერთხელ გამართულ მსჯელობისა. კრასინს კარგათ მოეხსენება მიზეზები, რომლებიც აიძულებენ ბრიტანეთის მთავრობას მოითხოვოს დაჟინებით შეთანხმების წინასწარ პროექტში იმ გეოგრაფიული რაიონების შესახებ საგანგებო შენიშვნების შეტანა, რომელთა შესახებ არაერთხელ მიუცია საბჭოთა მთავრობას პირობა ხელი აეღო პროპაგანდაზე და ბრიტანეთის იმპერიისა და განსაკუთრებით ბრიტანეთის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სამტრო მოქმედებაზე“.[35]

კერზონის ნოტა ირწმუნებოდა რომ ხელშეკრულებაში გეოგრაფიული რაიონების დაუსახელებლობა, შემდგომში გაუგებრობებისა და კამათის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო. ასე რომ არ მომხდარიყო, ინგლისის მხარე „დაჟინებით“ მოითხოვდა „გეოგრაფიული რაიონების“ დასახელებას, რომლებსაც მხარეები კრიტიკული და პროპაგანდისტული ან რაიმე ქმედებით აღარ შეეხებოდნენ. ნოტაში ნაგულისხმევი „გეორგრაფიული რაიონების“ დასახელებები ნოტაში არ იხსენიებოდა, მაგრამ ცხადია, საუბარი იყო ერთი მხრივ – ავღანისტანსა და ინდოეთზე, მეორე მხრივ – რუსეთის იმპერიის ყოფილ რეგიონებზე, რომლებმაც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს, პირველ რიგში – საქართველოზე.

როგორც ირკვევა, საბჭოთა რუსეთი არ ასახელებდა ასეთ რაიონებს, გარკვეული მიზეზით. ბრიტანეთის მხარე კი დასახელების პრინციპს არ ეშვებოდა. კერზონის ნოტაში ვკითხულობთ: „თავის მხრით ბრიტანეთის მთავრობამ სურვილი გამოთქვა განეხილათ იმ გეოგრაფიული რაიონების მდგომარეობაც, სადაც რუსეთის საბჭოთა მთავრობას აქვს თავისი საგანგებო ინტერესები და ამას ბრიტანეთის მთავრობა ჩასთვლიდა თავის სათანადო ვალდებულებათა საფუძვლად, რომელსაც იგი მიიღებდა თავის თავზე“.[36]

დასკვნით ნაწილში, ნოტა მოუწოდებდა რუსეთის ხელისუფლებას, ბოლო მოელო უნიადაგო კამათისათვის და კრასინი აღეჭურვა ხელშეკრულების ხელმოწერის რწმუნებით.

ერთი სიტყვით, 1921 წლის 7 იანვრისთვის, როცა კერზონის ნოტა გაეგზავნა მის საბჭოთა კოლეგას გიორგი ჩიჩერინს, სავაჭრო ხელშეკრულების არამცთუ ხელმოწერა, თვით ხელშეკრულების განსახილველი პუნქტი,

[35] ინგლისის ნოტა ჩიჩერინის მიმართ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1921 წ. 12 იანვარი.
[36] ინგლისის ნოტა ჩიჩერინის მიმართ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1921 წ. 12 იანვარი.

რომელიც მხარეთა გავლენის სფეროდ მიჩნეული რაიონების დასახელებას ეხებოდა, კვლავ ჰაერში იყო გამოკიდებული. საბჭოთა მხარე კვლავ ყოყმანობდა. რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ულიანოვ-ლენინს, სწორედ ხელშეკრულების აღნიშნული საკამათო პუნქტის პრობლემა აწუხებდა და ამის გამო იკავებდა თავს, საქართველოზე თავდასხმისაგან.

მაგრამ კერზონის ნოტის შემდეგ, სავარაუდოა, რომ რუსეთ-ინგლისს შორის მოლაპარაკებების პროცესში სერიოზული ცვლილება მოხდა. სწორედ ამ დროიდან საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება დაეთანხმა კერზონის პირობების პოლიტიკურ ნაწილს და იმ ფორმულირებას, რომელიც საბოლოოდ ჩაიწერა ხელშეკრულებაში. ოღონდ ერთი პირობით: ინგლისმა დაასახელა ის ქვეყნები ანუ ის „გეორგრაფიული რაიონები“ რომლის მიმართაც ინტერესი გააჩნდა – ავღანისტანი, ინდოეთი და სხვ. საბჭოთა რუსეთმა არ დაასახელა ქვეყნები, მაგრამ მიანიშნა, რომ მისი ინტერესების სფეროში შედიოდა – რუსეთის იმპერიის ის ყოფილი კოლონიები, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამის გამო იყო რომ დაახლოებით 1921 წლის იანვრის შუა რიცხვებში, ინტენსიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ორივე მხარეს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე ქვეყნის მთავრობა შეთანხმდა ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე, რომლის შესახებაც საუბარი იყო კერზონის ნოტაში.[37]

ბრიტანეთ-რუსეთის მოლაპარაკებების პროცესში მომხდარი ცვლილება სხვათა შორის, იგრძნეს საქართველოს ხელისუფლებაშიც. ჟორდანია გულდაწყვეტით წერდა, რომ ლოიდ ჯორჯთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ევგენი გეგეჭკორი, ბრიტანელებმა სრულიად უყურადღებოდ მიატოვესო. „ცხადი იყო, მოხდა რაღაც ცვლილება. კრასინი თანდათან პოულობდა გავლენას და მის ინტერესებში არ შედიოდა ჩვენი მინისტრის ინგლისში მისვლა“[38]. ისტორიული პარალელი რომ გავავლოთ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, სულხან-საბას მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც ცნობილია, სულხან-საბას ყოფნას პარიზში, მალავდნენ, რადგან იმ დროს საფრანგეთის დედაქალაქში ჩავიდა ირანის ელჩი მოჰამედ რიზა-ხანი. ახლა კი, სტამბოლში მყოფი ევგენი გეგეჭკორი, ბრიტანელებმა თავის გემზე არ აიყვანეს და მიატოვეს როგორც კერძო პირიო, აღნიშნავს ნოე ჟორდანია.

ბრიტანეთთან ხელშეკრულების დადების პროცესში მომხდარი ცვლი-

[37] ინგლის-რუსეთის შეთანხმება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1921 წ. 18 იანვარი.
[38] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული. თბ. 1990, გვ. 118.

ლება სწრაფად აისახა, საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულებაში – საქართველოსადმი. სწრაფად ამოქმედდა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა შორის ვითომ არსებული ორივე ფრთა – ქართველ-რუსი ბოლშევიკი ლიდერების რენეგატული ტანდემი სტალინ-ორჯონიკიძის სახით და მეორე – თვით ვლადიმერ ულიანოვ-ლენინის ცენტრალური ფიგურის სახით. ისინი შეერთდნენ და ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს – საქართველოს დაპყრობის შესახებ. ეს მოხდა 1921 წლის 26 იანვარს. გავიხსენოთ და მივყვეთ ცნობილ მოვლენებს.

1921 წლის 24 იანვარს ი. სტალინმა წერილი გაუგზავნა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ანუ როგორც წერილის ავტორი წერდა:: „ცენტრალური კომიტეტის წევრებს“. უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია და სჯობს ტექსტები გავიხსენოთ:

„წინადადებას გაძლევთ მოიწონოთ ამხ. ჩიჩერინის ხაზი საქართველოს საკითხზე. (იხ. ბოლო წერილი) და მისცეთ რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს დირექტივა, რომ საჭიროა მყისვე შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას კავკასიაში იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა წესით განხორციელდეს სამხედრო ჩარევა. ამავე დროს მისცეთ დირექტივა ამხ. ორჯონიკიძეს, რომ საჭიროა ავჯანყებულთა გამოსვლების მომზადება საქართველოს გარკვეულ რაიონებში“. სტალინი თხოულობდა, რომ ცეკას წევრებს 6 საათამდე ეცნონებებინათ პასუხი. დოკუმენტი იქვე გრძელდებოდა:

„ამხ. ტროცკი, კამენევი (მომხრეა, რომ გადაიდოს ოთხშაბათამდე), კრესტინსკი (მხარს უჭერს ოთხშაბათამდე გადადებას).

ამხ... ლენინი მომხრეა არ გადაიდოს“.[39]

ლენინმა არ დაიცადა ოთხშაბათამდე და ცენტრალური კომიტეტი 1921 წლის 26 იანვარს, ორშაბათ დღეს შეიკრიბა. დადგენილების პროექტი ლენინმა დაწერა:

„1) დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაჟინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანოვაგის გატარება.

2) შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებლივი ან მო-

[39] ლ. თოიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 65. გაზ. „კომუნისტი“. 1989. 11 აგვისტო. მითითებულია: გ. ჟვანია. „საერთაშორისო ნორმების დაცვით“, თუ ოკუპაცია?“

ახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი და ამხ. სტალინი.

3) მიეცეთ დირექტივა რესპუბლიკის რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის. დაევალოს სარკინიგზო გადაზიდვის უმაღლეს საბჭოს უახლოეს ვადაში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შესაძლებლობა გააჩნია იმისათვის, რომ გაადიდოს ჯარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში“.[40]

წარმოდგენილი დოკუმენტი, პლენუმის მიერ მისი განხილვა და დადგენილების მიღება – მეზობელი და დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს დაპყრობის გადაწყვეტილება, იყო, მსოფლიო ისტორიის მრავალსაუკუნოვანი დაპყრობითი და იმპერიალისტური პოლიტიკის ტიპიური მაგალითი და გაგრძელება. ამას სჩადიოდა ახალი ტიპის სოციალიტური საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ვითომ მშვიდობისა და ერების თვითგამორკვევის იდეალებით გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთ რუსეთმა განაგრძო ის პრაქტიკა, რასაც ახორციელებდა მისგან დაწუნებულ-გაკრიტიკებული – ევროპის იმპერიალიზმი. მისი ტრადიცია გააგრძელა ე. წ. წითელმა რუსულმა იმპერიალიზმმა.

რაც შეეხება საქართველოს, სამართლიანად აღნიშნავდა ლევან თოიძე, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი ფაქტობრივად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 26 იანვრის პლენუმზე გადაწყდა“.[41]

საბჭოთა რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხის ზრდასთან ერთად, სინქრონულად იზრდებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობებისაგან მომდინარე მტრულ-აგრესიული პრეტენზიები. ისინი ნოტას ნოტაზე აგზავნიდნენ თბილისში, რომლებშიც სხვასხვა საკითხებთან ერთად, დომინირებდა ტერიტორიული პრეტენზიები – ზაქათალა, ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონა და ა. შ.

1921 წლის იანვრის დასაწყისში შემდგარ რკინიგზელთა ყრილობაზე

[40] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. მითითებულია ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 42. თბ. 1966, გვ. 288-289.

[41] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 68.

გაკეთებულ მოხსენებაში, სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობა ზოგადად მიმოიხილა. მან ცალ-ცალკე ჩამოთვალა და გააანალიზა ქვეყნის მეზობელი სახელმწიფოების პოზიციები და დაასკვნა რომ არცერთ მათგანთან საქართველოს ვერ ჰქონდა ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობა. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას, მისმა სოციალურმა პრიორიტეტებმა ცვლილება განიცადა და გადაიზარდა დაპყრობით პოლიტიკაში, სოციალური ნიღბის ქვეშ, როგორც ეს ერთ დროს ნაპოლეონმა გააკეთა. შესანიშნავი ანალიზი იყო და ამის გამო, სჯობს, როგორც ერთ დროს ქართველმა რკინიგზელებმა, ჩვენც მოვისმინოთ ლორთქიფანიძის მთავარი დასკვნა: „რუსეთის კომუნიზმმა რომელშიაც წინათ ასე თუ ისე სჭარბობდა თუმცა პრიმიტიული და ტლანქი, მაგრამ მაინც სოციალური მომენტები, დიდი ცვლილებები განიცადა განსაკუთრებით რუსეთ-პოლონეთის ომის შემდეგ; როგორც ნაპოლეონისათვის რევოლუციის დროშა ჩინებული იარაღი შეიქმნა დაპყრობით პოლიტიკაში, ისე რუსეთის ნაციონალისტურ იმპერიალიზმისათვის კომუნიზმი სამწუხაროთ დამხმარე როლს თამაშობს“.[42]

დეკემბერ-იანვარში რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან თბილისისაკენ დაიწყო თითქმის ყოველკვირეულად ნოტების გზავნა, ბრალდებებითა და პრეტენზიებით. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ 1920 წლის 30 დეკემბრის ნოტა, რომელსაც რსფსრ წარმომადგენელი უგზავნიდა თბილისის ხელისუფლებას: (ნუმერაცია ჩვენია – დ. შ):

1. რსფსრ-ს მიერ საქართველოსათვის ნავთის მოწოდების შეწყვეტა იყო საქართველოს მთავრობის ბრალი, რადგან მან არ შეასრულა საქართველოში რუსეთის წარმომადგენლისათვის, მოლაპარაკებების დროს მიცემული პირობები: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი მცხოვრებლების წინაშე თითონვე უნდა იკისროს პასუხისმგებლობა“.[43] ე. ი. რუსეთმა რომ საქართველოს ნავთის მიწოდება შეუწყვიტა, ამაში საქართველოს მთავრობა გამოდიოდა დამნაშავე.

2. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს არ გადასცა, თავის პორტებში მდგარი რუსული გემები. ასე რომ „რუსეთის გემების ბედი საქართველოს

[42] მიმდინარე მომენტი (ამხ. გრ. ლორთქიფანიძის მოხსენება რკინიგზელთა ყრილობაზე). გაზ. „ერთობა“. 1921 წ. 11 იანვარი.

[43] საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის ნოტა საქართველოს მთავრობისადმი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1920 წ. 30 დეკემბერი.

ნავსადგურებში გაურკვეველი რჩება“.

3. საქართველომ რუსეთის წარმომადგენელს არ გადასცა მის მიერ დაპატიმრებული კომუნისტების სია. შეთანხმებების მიხედვით რუსულ და ქართულ მხარეებს შორის, დაპატიმრებულები ეტაპობრივად უნდა განთავისუფლებულიყვნენ, მაგრამ ესეც არ მომხდარა. გარდა ამისა, საქართველოში გრძელდებოდა კომუნისტური ორგანიზაციების და კომუნისტების დევნა და სხვ.

სანამ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა და ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარიატები და სხვადასხვა იდეოლოგიური სამსახურები მონდომებით ქმნიდნენ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოსაგან – რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის – აგრესიული მტრის ხატს, უფრო მეტი ენერგიულობით მიმდინარეობდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო სტრუქტურების მზადება – „საქართველოსთან ომისათვის“.

სამხედრო მაღალჩინოსნები ითხოვდნენ კავკასიაში მდგარი მე-11 არმიის შევსებას. ლენინის მოთხოვნით, 1921 წლის 2 თებერვალს კვლავ შეიკრიბა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, რომელსაც სპეციალურად უნდა განეხილა საქართველოში შეჭრის საკითხი. რამდენიმე დღის შემდეგ, 8 თებერვალს პოლიტბიურო ისევ დაუბრუნდა საქართველოს საკითხს. კონკრეტულად იხილებოდა ორჯონიკიძის 6 თებერვალს გამოგზავნილი დეპეშა. პოლიტბიურომ მიიღო ორჯონიკიძისადმი გასაგზავნი დირექტივის დადგენილება, რომელიც ლენინის მიერ იყო დაწერილი.

ამ შეხვედრებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოზე თავდასხმის დეტალები ზუსტდებოდა. მიმდინარეობდა ჯარების კონცენტრაცია საქართველოს გარშემო, თითქმის ყველა სასაზღვრო რაიონიდან – სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში და შავიზღვისპირეთში. მაგრამ არმიის შეჭრამდე უნდა გათამაშებულიყო ავჯანყება. გლეხთა გამოსვლები უნდა მომხდარიყო ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში.

როგორც ცნობილია, სტალინმა ჯერ კიდევ 26 იანვრის ცკ-ის სხდომას შესთავაზა წინადადება რომ საქართველოს ტერიტორიაზე, რამდენიმე ადგილზე მოემზადებინათ ავჯანყებები, მაგრამ მაშინ პლენუმმა რატომღაც არ გაიზიარა მისი რეკომენდაცია. ცოტა მოგვიანებით, სტალინის იდეა მაინც გაზიარებული იქნა და ავჯანყების ობიექტიც შეირჩა. უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის შემდეგ, მხარეები შეთანხმდნენ ბორჩალოს მაზრის შესახებ: ბორჩალოს მაზრის ნაწილი – ლორეს

რაიონის შუა ზონა ნეიტრალურად გამოცხადდა. რაიონი შერეულ ქართულ-სომხურ ადმინისტრაციას უნდა ემართა.[44]

მაგრამ ჯერ კიდე დემოკრატიული სომხეთის მძიმე მდგომარეობის გამო, მხარეები შეთანხმდნენ რომ 1920 წლის 13 ნოემბრიდან სამი თვის მანძილზე, რაიონს მხოლოდ საქართველოს ჯარი დაიკავებდა და ასეც მოხდა. ახლა როცა 29 ნოემბრის შემდეგ სომხეთში საბჭოთ ხელისუფლება დამყარდა, მან საქართველოს მთავრობას მოსთხოვა ჯარი გაეყვანა ლორეს ნეიტრალური ზონიდან. ძნელია ითქვას, ჟორდანიას მთავრობა მართებულად მოიქცა თუ არა, მაგრამ მან მოლაპარაკება შესთავაზა სომხეთს და ჯარი ისევ ლორეში დატოვა. ეს საკითხი საბჭოთა სომხეთსა და საქართველოს შორის მორიგი ურთიერთგაუგებრობის პრობლემად იქცა და საქართველოს ცუდად შემოუბრუნდა.

ვითარება კი საბჭოთა სცენარის მიხედვით წარიმართა. აჯანყების კერად სწორედ ლორეს რაიონი შეირჩა. მომავალი აჯანყების ორგანიზება, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ სომეხ ბოლშევიკს იოსებ ლაზიანს დაავალა, რომელიც სათავეში ჩაუდგა სააჯანყებო შტაბს. სხვა ვერსიით, აჯანყების მომზადება მოხდა სომხეთის კომუნისტური პარტიის მიერ. „ორჯონიკიძისა და ლეგრანის (რსფსრ დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში – დ. შ ) ინიციატივით გადაწყდა ზონაში აჯანყების ორგანიზაცია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეგიდით. ამ ამოცანის განსახორციელებლად სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ლეგრანის მითითებით 1920 წლის 20 დეკემბერს ზონაში აგზავნის კომუნისტების ჯგუფს ასტრატიანის, ალაბიანის, სტეფანიანის, ენგლიანის და სხვების შემადგენლობით. მხოლოდ შემდეგ, იგივე ლეგრანის მითითებით, აჯანყების ორგანიზაციისათვის სომხეთის კპ ცკ დადგენილებით გაიგზავნა ი. ლაზიანი“.[45] ამ ვერსიის მიხედვით, სომხეთის კომპარტიის მითითებით თუ „ბრძანებით“, აჯანყება 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს დაიწყო და როგორც ცნობილია, ლორეს ზონაში მდგარი ქართული ჯარის დამარცხებით და კატასტროფით დასრულდა.

საბჭოთა პროპაგანდამ მსოფლიოს მოსდო ინფორმაციები, რომ თითქოს მშრომელთა აჯანყებები მთელ საქართველოში გავრცელდა. ლაზიანმა მაღალ-

[44] დ. სილაქაძე. სომხეთ-საქართველოს ომი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, გვ. 405.

[45] ალექსანდრე დაუშვილი. საქართველოს რესპუბლიკა. თბ. 2021, გვ. 30. მითითებულია: ГАСПИ РФ. Ф. 64, оп. I, д. 139, л. 6.

ფარდოვანი და ვრცელ-ტექსტიანი დეპეშა გაუგზავნა მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს, სომხეთის რევკომს და ჩიჩერინს, რომ თითქოს ავჯანყების ამბავი "მეხივით გავარდა საქართველოში" და „ავჯანყებულთა მოძრაობის ტალღა ლორედან შეუკავებელი ძალით მოედო მთელ საქართველოს", ხოლო „წითელი მეამბოხენი მრისხანე ლავად მიექანებიან თბილისისაკენ".[46] დეპეშის ავტორი, „წითელ ავჯანყებულთა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ლაზიანი", რწმენას გამოთქვამდა რომ ავჯანყებულ საქართველოს მხარს დაუჭერდა „დიადი მუშურ-გლეხური რუსეთის წითელი არმია".

ლაზიანის დეპეშა ურცხვი, ბოლშევიკურ-საბჭოთა სტილის სიყალბის ერთ-ერთი ადრეული ნიმუშია, რომელიც შემდგომში საბჭოთა პროპაგანდა-აგიტაციის ჩვეულებრივი ყოველდღიურობა გახდა. სინამდვილეში, საქართველოში არსად ავჯანყების მსგავსი არაფერი მომხდარა, ხოლო „მრისხანე ლავად" თბილისისაკენ დაიძრნენ საბჭოთა მე-11 არმიისა და წითელი სომხეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები, რომელნიც რამდენიმე დღეში მოადგნენ საქართველოს დედაქალაქს.

საბჭოთა პროპაგანდა რეალობისაგან სრულიად განსხვავებულ სურათს ხატავდა. ის ისე წარმოაჩენდა ვითარებას, თითქოს ლორე-ქვემო ქართლში წითელი არმია არ იმყოფებოდა. 14 თებერვალს, ლენინი გაეცნო იმ დეპეშას, რომელიც 12 თებერვალს „ავჯანყებულებმა", მე-11 არმიის სარდალს ჰეკერს გაუგზავნეს და რომელშიც საუბარი იყო საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებაზე, ნეიტრალური ზონის რაიონში.

1921 წლის 14 თებერვალს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შეიკრიბა საქართველოს საკითხის განსახილველად. მან დაამტკიცა ლენინის მიერ შემუშავებული დადგენილება, რომელიც მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს გაეგზავნა: „ცეკა მზადაა ნება დართოს მე-11 არმიას აქტიურად დაეხმაროს ავჯანყებას საქართველოში და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით და იმ პირობით, რომ მე-11 არმიის რევოლუციური-სამხედრო საბჭოს ყველა წევრი ყველა მონაცემის სერიოზული განხილვის შემდეგ წარმატების გარანტიას მოგვცემს. გაფრთხილებთ, რომ უპუროდ ვზივართ ტრანსპორტის გამო, ამიტომ არც ერთ მატარებელს და არც ერთ ვაგონს არ მოგცემთ. იძულებული ვართ კავკასიიდან ვზიდოთ მხოლოდ პური და ნავთობი. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ პასუხს პირდაპირი მავ-

[46] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 91. მითითებულია: მლი ცპა, ფ. 83, აღწ. 15, საქ. 90, ფურც. 2.

თულით მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრის, აგრეთვე სმილგას, გიტისის, ტრიფონოვისა და ფრუმკინის ხელმოწერით. ყველა ამ პირთა დეპეშებზე ჩვენი პასუხის მიღებამდე გადამწყვეტი არაფერი წამოიწყოთ. 14. II".[47]

„ფრთხილობდა პოლიტბიურო" – შენიშნავს მკვლევარი ლევან თოიძე მართებულად და ჩვენც დავამატებთ, რომ მიზეზიც ჰქონდა. განსაკუთრებით ფრთხილობდა ლენინი, რომელიც გარდა იმისა რომ პარტიული ლიდერი იყო, გახლდათ აგრეთვე – სახალხო კომისარიატის ანუ საბჭოთა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე და გარკვეულწილად პასუხისმგებელი იყო, საერთაშორისო პოლიტიკურ-დიპლომატიური და სამთავრობო წრეების წინაშე. მას მართალია ჯიბეში ედო დიდი ბრიტანეთის და ასევე, აშშ-ის დუმილის გარანტია, მაგრამ მაინც ეშინოდა მათი ზედმეტი გაღიზიანების. ამიტომ უსვამდა ხაზს, თბილისის დაკავებისას დაეცვათ „საერთაშორისო ნორმები". ასეთი ნორმები კი არ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ, ბოლშევიკების ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, – იმპერიალისტური სახელმწიფოები და იმპერიები, რომელთანაც ხელშეკრულება დადო საბჭოთა რუსეთმა და მასთან – დასაპყრობი „გავლენის სფეროები" გადაინაწილა.

პოლიტბიურომ მეორე დღეს – 1921 წლის 15 თებერვალს დაამტიცა, მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი გასაგზავნი დეპეშა: „ცეკას მიაჩნია, რომ მე-11 არმიის რევოლუციური-სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეორგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას, რომელიც იმასაც კი არ მოერიდება, რომ თბილისი აიღოს, თუ ეს საჭირო იქნა სამხედრო მოსაზრებით ნეიტრალური ზონის ნამდვილი დაცვისათვის ახალი თავდასხმისაგან. იმედი გვაქვს, რომ თქვენ მთელი საერიოზულობით გაითვალისწინეთ ჩვენი გაფრთხილებანი. შეგვატყობინეთ ამბავი ყოველდღე".[48]

წინამდებარე დოკუმენტი საბჭოთა იმპერიალიზმის შინაგანი მენტალობის ნათელი ნიმუშია, სადაც ყველა წინადადება და ფორმულა ყალბი იყო. ლენინის მიერ დაწერილ დადგენილებაში, რომ თითქოს:

[47] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 45. თბ. 1967, გვ. 50.
[48] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 45, გვ. 50-51.

1. მე-11 არმიის შემოჭრა დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე – იყო ავჯანყებულთა დაცვა;

2. დამოუკიდებელი საქართველო – წარმოადგენდა თეთრგვარდიელებს;

3. თბილისის აღება – საჭირო იყო ლორეს ნეიტრალურ ზონაში ავჯანყებულების „ნამდვილი დაცვისათვის".

რა თქმა უნდა, როგორც ლევან თოიძემ აღნიშნა, ლენინმა მშვენივრად იცოდა, რომ სიყალბეებით გაჭედილ დეპეშა-მითითებას აძლევდა მე-11 არმიას და ამიტომაც, არც 14 და არც 15 თებერვლის, თავისსავე ხელით დაწერილ დადგენილებებს არ მოაწერა ხელი და გადაამისამართა: „ცეკას დავალებით. კრესტინსკი". ნიკოლაი კრესტინსკი ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ.

მოკლედ, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, ლენინის ხელმძღვანელობით, მე-11 არმიას საქართველოს დაპყრობის ბრძანება მისცა. ზემოაღნიშნული იოსებ ლაზიანის „რწმენა", რომ საბჭოთა მუშურ-გლეხური რუსეთი, „ავჯანყებულებს" მარტო არ დატოვებდა, რა თქმა უნდა არ იყო საკმარისი. საბჭოთა ხელმძღვანელობაში, ცოტა გვიან გაახსენდათ, რომ საჭირო იყო, სახკომსაბჭოსათვის – ოფიციალური თხოვნით მიემართა, უფრო ლეგიტიმურ სტრუქტურას, ავჯანყებულთა სახელით. ცოტათი გვიანო, იმის გამო ვამბობთ, რომ აგრესია და უცხო ქვეყნის არმია უკვე შემოჭრილი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ, დაგვიანებით, მაგრამ შემოჭრიდან ოთხი დღის შემდეგ სცადა შეცდომის გამოსწორება.

1921 წლის 16 თებერვალს, რკპ(ბ) კავბიუროს მითითებით, საქართველოს კომუნისტურმა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სოფ. შულავერში შექმნა ე. წ. საქართველოს რევოლუციური კომიტეტი. იმავე დღეს რევოლუციურმა კომიტეტმა მიმართა ლენინს, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ აგრეთვე დიდი მატერიალური შესაძლებლობათა ქვეყანა არ დაგვტოვებს მარტო უთანასწორო ბრძოლაში და დახმარების ხელს გაუწვდის ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას. გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს! გაუმარჯოს მის დიდ ბელადს! გაუმარჯოს წითელ არმიას!".[49] 15 თებერვალს, 16 საათზე, ი. სტალინმა საჩქაროდ

[49] ნ. ა. ჩიქობავა. საქართველოს რევოლუციური კომიტეტი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. სადისერტაციო შრომა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1960; Борьба за победу Советской власти в Грузии.

აცნობა ს. ორჯონიკიძეს: „ახლა გადმოგცემ ცეკას დაშიფრულ პასუხს, ხოლო მანამდე წინადადებას გაძლევ ახლავე შეუტიე დასტურია აიღე ქალაქი. სტალინი. 15. II. 16 საათი“.

პასუხი 7 წუთში მოვიდა: „გზავნილი გასაგებია. ამხ. ორჯონიკიძე ამბობს რომ ადრე იყო საჭირო. მირზაბეკიანი.“.

სხვათა შორის, რევკომის ანუ, როგორც მეორენაირად უწოდებდნენ – „შულავერის კომიტეტის“ შემადგენლობა არ მოიწონა სტალინმა და ორჯონიკიძეს მისწერა: „რევკომის შემადგენლობა არ არის კარგი. წინადადებას გაძლევ მიუმატე სიას არაქელა, ცხაკაია, ელისაბედაშვილი, ვინმე თათართაგან, და აგრეთვე ფედერალისტთაგან. რევკომს შეუძლია გამოყოს აღმასკომი 5 კაცის შემადგენლობით. მაგალითად, მახარაძე, მდივანი, ელისაბედაშვილი, 1 სომეხი, 1 თათარი... ჟორდანიას შეცდომა – მისი მთავრობა შედგენილი იყო თითქმის გურულებისაგან, რის გამოც იგი არ სარგებლობს აღმოსავლეთ საქართველოს თანაგრძნობით. ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ეს. სხვანაირად რევკომი იკოჭლებს“.[50]

ასეა თუ ისე, 1921 წლის 16 თებერვალს, მე-11 წითელი არმიის ძირითადი ძალები, აზერბაიჯანის საზღვრების მხრიდან შემოიჭრნენ საქართველოში, თბილისს მოადგნენ და ადრე შემოსულ რუსულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ძალებს შეუერთდნენ.

მას შემდეგ, რაც თბილისთან მძიმე სამხედრო ოპერაციები დაიწყო საქართველოს მთავრობა მონდომებით ცდილობდა, საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან დაკავშირებას და სადავო საკითხების მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტას. თავდაპირველად, ჟორდანიას მთავრობა იმასაც კი ცდილობდა რომ რეალურად საბჭოთა რუსეთის აგრესია, სომხეთის თავდასხმად გაესაღებინა და რუსეთისათვის აეცილებინა პასუხისმგებლობა. 1921 წლის 15 თებერვლის დამფუძნებელი კრების სხდომაზე ნოე ჟორდანია შეიძლება ითქვას, რომ თვალებში ნაცარს აყრიდა დეპუტატებს: „...ერევნელები ახლავე სთხოვენ რუსეთს შველას და მფარველობას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენელისა: რომ მოსკოვი ამ საქმეში არ ერევა, რომ ის გადაჭრით სდგას 7 მაისის ნიადაგზე“[51]

---

Документы и материалы (1917-1921 гг.). Сост.: С. Д. Беридзе, А. М. Иовидзе, С. В. Маглакелидзе, Ш. К. Чхетия. Тб. 1958 Док. 640. გვ. 659

[50] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 104. მითითებულია: ფ. 83, აღწ. 1. საქ. 2055. ფურც. 1.

[51] საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ტ. XIV. ნოე ჟორდანია. ოფიციალური

16 თებერვალსაც, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს მთავრობა, კვლავ გაურბოდა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების პირდაპირ დადანაშაულებას და მასთან პირდაპირ დაპირისპირებას, როცა რუსეთის მე-11 არმია უკვე უშუალოდ თბილისისათვის ბრძოლას აწარმოებდა. მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა: „გაბოროტებულ სომხეთს მიემხრო ადერბეიჯანი და იქ მდგომ ბალშევიკურ ჯარებმა შემოგვიტია აღმოსავლეთით“[52].

იმავე დღეს, 16 თებერვალს ჟორდანიამ დაასახელა ნამდვილი აგრესორი: „თქვენ უნდა იცოდეთ ყველამ, რომ ამით რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულობები, მან გადასწყვიტა, ...შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა“[53].

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის მძიმე ვითარება და გამოუვალობა, ოკუპაციის დღეებში, აისახა ნოე ჟორდანიას მოგონებების უკანასკნელ ფურცლებზე.

### ამონარიდები ნოე ჟორდანიას მოგონებებიდან

**– „საზოგადოდ გვითხრან რა სურთ ჩვენგან (რუსებს – დ. შ.), რა მიზეზით ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ, ეგების მოვეწყობით, შევთანხმდებით უეჭველია ყველა საკითხებზე, გარდა ერთისა – ერის დამოუკიდებლობის და სუვერენობის შეკვეცისა“.**

**– „მე პირადათ ორჯერ მივმართე ლენინს და ტროცკის რადიოთი, მოვითხოვე ჯარების უკან დაქანება და მოლაპარაკების გამართვა; რა გსურთ, რა საკითხებია გადასაჭრელი გვაცნობეთ მაინც...“**

**– „ევროპიდან არაფერი კონკრეტული არ მოგვდიოდა, არავითარი დახმარება“[54].**

ცოტა მოგვიანებით, 1921 წლის აპრილში გამოქვეყნებულ „საქართველოს მთავრობის განცხადებაში“ აღნიშნული იყო რომ ნოე ჟორდანიამ რუსეთის მთავრობასაც მიმართა ახსნა-განმარტებისათვის, მაგრამ კარახანმა, საგარეო საქმეთა კომისრის თანაშემწემ „უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე. იგივე გამეორდა, როცა 21 თებერვალს, ჟორდანიამ ჩიჩერინსაც მიმარ-

---

დოკუმენტები, სიტყვები და გამოსვლები. თბ. 2018. გვ. 176.

[52] მთავრობის თავმჯდომარის მოწოდება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1921 წ. 17 თებერვალი.

[53] ნოე ჟორდანიას მოწოდება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1921 წ. 18 თებერვალი.

[54] ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული, გვ. 120, 124.

თა დეპეშით, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო“.

ერთ-ერთი უკანასკნელი აქტი, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ჯერ კიდევ თბილისში მიიღო შეეხებოდა ე. წ. „შულავერის კომიტეტს“. 1921 წლის 21 თებერვალს შედგა დამფუძნებელი კრების 99-ე სხდომა. როგორც სხდომის სტენოგრაფიულ ჩანაწერშია აღნიშნული, მთავრობის თავმჯდომარის სიტყვას კრება „დიდის ოვაციით და ტაშის ცემით“ შეხვდა. ნოე ჟორდანიას გამოსვლა ერთობ ოპტიმისტურად გამოიყურებოდა. მან ქებით მოიხსენია ქართული ჯარის გამარჯვება 19 თებერვლის ღამის ბრძოლაში, როცა ქართველებმა შეძლეს მტრის ცენტრის გარღვევა და მისი „სრული დამარცხება“. გამარჯვებით დასრულდა 19 თებერვლის დღის ბრძოლაც, როცა მარცხენა ფრთაზე მტრის ჯარი ყარაიაზისაკენ გადარეკეს. 21 თებერვალს კი მარჯვენა ფრთაზე გაიმარჯვეს ქართველებმა, ხელჩართულ „დიდ ბრძოლაში“.

„ეხლა მინდა მოგახსენოთ, თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძღოლობს ამ საბჭოთა ჯარებს საქართველოს წინააღმდეგ“ – მიმართა სიტყვის დასასრულს დამფუძნებელ კრებას მთავრობის თავმჯდომარემ: „ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფვის უცხო ქვეყნის ხიშტების საშუალებით დააწესოს თავისი ხელისუფლება, თავის მართველობა, ესენი არიან – მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი, ომარი!, გეგეჭკორი ალექსანდრე და კვირკველია“.

ჟორდანიას სიტყვის მთლიანი ტექსტი უცვლელად გამოქვეყნდა, გაზ. „ერთობაში“, 1921 წლის 23 თებერვლის ნომერში. ნ. ჟორდანიას სიტყვის საფუძველზე დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ორპუნქტიანი დადგენილება:

„1. იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის ულირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებულ არიან ქართველი ხალხის მოღალატეებად. მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას.

2. მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება, რომლიდანაც ირკვევა, – რომ შულავერში შედგა ჯგუფი, რომელიც თავის თავს საქართველოს მთავრობას უწოდებს; აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის საბჭოთა რუსეთის

ჯარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ;

დამფუძნებელი კრება ადგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ჰამაიაკ ნაზარეტიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია გამოცხადებულ იქნენ ქართველი ხალხის მოღალატეებათ, ჩამოერთვას მათ ყოველივე ქონება და დაყენებულ იქნან კანონ გარეშე“

1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის XI არმიის მოწინავე რაზმები თბილისში შემოვიდნენ. როგორც გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ აღნიშნავდა: „25 თებერვალს, დღის 12 საათზე, მამაცმა წითელმა არმიამ, შემოვლითი მსვლელობით აიღო საქართველოს დედაქალაქი – ტიფლისი“ . საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა არმიის ნაწილები ისე შემოვიდნენ თბილისში, რომ ლენინის მთავრობას, არც ერთ დიდ დასავლურ სახელმწიფოსთან არ შექმნია პრობლემები. ბაქოში მყოფმა სერგო ორჯონიკიძემ სიხარულით აფრინა მოსკოვში, ლენინ-სტალინის სახელზე ცნობილი დეპეშა: „თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

ამ დროისათვის საბჭოთა ჯარების მიერ ოკუპირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი. 25 თებერვლიდან მიმდინარეობდა საბჭოთა-რუსული ოკუპაციის გავრცელება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე, ძირითადად ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, რაც 18 მარტამდე გაგრძელდა. ამ პერიოდის მანძილზე, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციონირება ჯერ კიდევ გრძელდებოდა ქვეყანაში და თითქმის ყოველდღიურად ვიწროვდებოდა ტერიტორიულად. ამავე დროის განმავლობაში მოხდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვა საქართველოს მომავალ ბედ-იღბალზე.

საქართველოს ძირითადი ტერიტორიების დაკავების შემდეგ, არა მარტო დემოკრატიული რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა ხელისუფლების წინაშეც დადგა ბათუმის შენარჩუნების საკითხი. 1921 წლის 16 მარტს გაფორმდა რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს განაწილებასაც ითვალისწინებდა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ბათუმის ოლქის ცენტრალური და ჩრდილოეთ ნაწილი და ქალაქი ბათუმი, საქართველოს რჩებოდა.

მაგრამ 16 მარტისათვის, თვით ბათუმის ოლქში და განსაკუთრებით

ქალაქში, მძიმე ვითარება იდგა. საქართველო-რუსეთის ომის მიმდინარეობის პირობებში, თურქეთის ქემალისტურმა ხელისუფლებამ საქართველოს ულტიმატუმი წარუდგინა – ის ითხოვდა არდაგანისა და ართვინის ოლქების გადაცემას. საქართველოს მთავრობამ უარი განაცხადა ოლქების გადაცემაზე, მაგრამ ორივე ქალაქიდან ჯარი გამოიყვანა, რაც უბრძოლველად მათ თურქეთის ხელში დატოვებას ნიშნავდა. თურქებმა ქალაქები დაიკავეს, რაც საქართველოს მთავრობამ იურიდიულად არ ცნო.

თურქების ჯარმა წინსვლა განაგრძო და მისი ნაწილები ბათუმში შევიდნენ, ხოლო 17 მარტს, თურქული ნაწილების მეთაურმა ქიაზიმ-ბეიმ ბათუმის გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა თავი. თურქული ჯარის ნაწილებმა ქალაქის სტრატეგიული ობიექტები დაიკავეს – ფოსტა, ტელეგრაფი, მილიცია, სამხედრო ყაზარმები და სხვ. გაჩნდა რეალური საფრთხე, რომ ბათუმი დაიკარგებოდა. საქმე იმაში იყო, რომ მოსკოვს არ უნდოდა თავის მოკავშირე ქემალისტებთან სამხედრო დაპირისპირება მოსვლოდა. მას უნდოდა, რომ ქალაქის შენარჩუნება, თუ ამისი შესაძლებლობა იქნებოდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით და მისდამი დაქვემდებარებული საჯარისო ნაწილებით მომხდარიყო. ამ დროს ბათუმში, მის ოლქის ტერიტორიაზე და საჯავახოში იდგნენ რესპუბლიკის ჯარის ნაწილები, რომელსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი მეთაურობდა.

უფრო ადრე, 1921 წლის 8 მარტს, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, მოწოდებით მიმართა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას: „მოწოდება საქართველოს ყოფილ მთავრობის მიმართ“. რევკომი წინადადებას აძლევდა „ყოფილ მთავრობას,“ შეეწყვიტა უმიზნო სამხედრო მოქმედებები, რადგან ომის წაგება უკვე ცხადი იყო. რევკომი ამნისტიას უცხადებდა პარტიებს, რომლებიც სცნობდნენ „გადატრიალებას და საბჭოთა წყობილებას საქართველოში“. ისტორიის კურიოზი ის იყო, რომ მოწოდებას ხელს აწერდა იმ „შულავერის კომიტეტის“ თითქმის ყველა ის წევრი, რომელნიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ორი კვირის წინ მოღალატეებად გამოაცხადა: მახარაძე, ორახელაშვილი, ელიავა, ოკუჯავა, დუმბაძე, გეგეჭკორი, კვირკველია, ელისაბედაშვილი.

დემოკრატიული მთავრობა დადებითად გამოეხმაურა წინადადებას. მოლაპარაკებები დაევალა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს გრიგოლ ლორთქიფანიძეს. მან რევკომს შესთავაზა 14 მარტს, 14 საათიდან შეეწყვიტათ ყოველგვარი საომარი მოქმედება ყველა ფრონტზე. რევკომმაც დადებითი

პასუხი გასცა ლორთქიფანიძეს, მაგრამ თავისი მოთხოვნა წამოაყენა: „შემდეგი მოლაპარაკების გასაგრძელებლათ თანამშრომლობის შესახებ და სხვა აუცილებელ პირობათ ვთვლით თქვენს მიერ დაუყოვნებლივ ცნობას საქართველოს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა...“ წინასწარი შეთანხმება მოხდა 16 მარტს, 12 საათზე, ლორთქიფანიძესა და რევკომის თავმჯდომარის მოადგილეს მამია ორახელაშვილს შორის, სატელეფონო საუბრის დროს.

ამ სატელეფონო საუბრიდან საყურადღებოა ლორთქიფანიძის განცხადება, რომ ბათუმში საქართველოს მთავრობამ „შემოუშვა“ თურქების მცირე ჯგუფი. ამ საკითხის შესახებ არაერთი მოსაზრება არსებობს, მაგრამ ვითარება ბოლომდე გარკვეული არ არის. თუმცა, გასათვალისწინებელი იქნება საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის გრიგოლ ლორთქიფანიძის განცხადება: „მართალია ბათუმში არის ანგორის ჯარის პატარა ჯგუფი, რომელიც შემოვიდა ჩვენის თანხმობით. მაგრამ თვით ქალაქში, ციხეში და აგრეთვე ოლქში ჩვენი სრული დომინაციაა, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო მხრივ. ანგორის ჯარის ნაწილები დარჩებიან იქ იმ დრომდე, ვიდრე ამაზე ჩვენი თანხმობა იქნება“ . ამ ან გულუბრყვილო, არადამაჯერებელი პასუხით, ორახელაშვილის კითხვაზე, ლორთქიფანიძე თითქოს თავს იმართლებდა ან აფუჩეჩებდა, ასკერების „პატარა ჯგუფის“ შემოშვებას ბათუმში. ამის შემდეგ, ობიექტურობა მოითხოვს, რომ ვაღიაროთ, ბოლშევიკ მამია ორახელაშვილის საპასუხო დასკვნა, უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა: „რამდენადაც თქვენი თავი მთავრობად მიგაჩნიათ, ანგორის შეიარაღებული ორი ასკერის ბათუმში ყოფნაც კი იმას ნიშნავს, რომ ეს ან ოკუპანტები არიან, ან თქვენი მოკავშირენი. საკითხი ტერიტორიის მთლიანობისა, უდიდესი საკითხია. თქვენ უკვე უკუაგდეთ სასურველი გადაწყვეტა ამ საკითხისა უცხოელი შეიარაღებული ძალის მეშვეობით ბათუმში, მაშინ როდესაც რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციაზე მოსკოვში სრულიად გადაწყვეტილია საკითხი, რომ ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი რჩება საზღვრებში. შეთანხმებაზე ხელი აქვს მოწერილი საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელს მიხა ცხაკაიას“.

ბოლშევიკი ორახელაშვილი მართალი იყო. მან იცოდა რომ რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებას სწორედ იმ დღეს, 16 მარტს უნდა მოსწეროდა ხელი და ხელმოსაწერი დოკუმენტის შინაარსიც კარგად მოეხსენებოდა. მოსკოვის „მეგობრობისა და ძმობის“ ხელშეკრულების მეორე სტატია კი იუწყებოდა რომ „თურქეთი თანახმაა საქართველოს დაუთმოს სუვერენიტეტი ბათუმის პორტზე და ქალაქზე და ტერიტორიაზე, რომელიც ამავე ხელშეკრუ-

ლების პირველი სტატიის მიხედვით, მდებარეობს საზღვრიდან ჩრდილოეთით და შეადგენს ბათუმის ოკრუგის ნაწილს...“[55] შემდეგ საუბარია ხელშეკრულების სხვა პირობებზე.

1921 წლის 17 მარტს, ქუთაისში დაიწყო მოლაპარაკებები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენლებს შორის. დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდნენ გრიგოლ ლორთქიფანიძე – საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ალექსანდრე დგებუაძე – პოლიტიკური მრჩეველი, იოსებ გედევანიშვილი – მრჩეველი სამხედრო საკითხებში და დელეგაციის მდივანი დავით შარაშიძე. რევკომის მხარეს წარმოადგენდნენ მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა და გამბაროვი. სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი აბელ ენუქიძე, ხოლო ამავე მხარის დელეგაციის წევრი იყო ალექსანდრე სვანიძე – სახალხო კომისარიატის განყოფილების უფროსის მოადგილე, სტალინის ცოლისძმა. მოლაპარაკებებზე იგი იყო აბელ ენუქიძის თანაშემწე.

ჩვენ არ შევეხებით ქუთაისის მოლაპარაკებების დეტალებს, რომლებიც ეხება სამხედრო სფეროს, ჯარების გადაადგილებას, ბათუმის განთავისუფლების პერიპეტიებს, რის შესახებაც ამავე ნაშრომის სხვა თავშია საუბარი. ეს საკითხები განხილული აქვს და გაანალიზებული შოთა ვადაჭკორიას, რომელმაც, გამოაქვეყნა ქუთაისის მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიში.[56]. მოლაპარაკება სწარმოებდა ერთი მთავარი მიზნით – შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები და ორივე მხარეს მიეღო ერთობლივი მონაწილეობა – ბათუმისა და მისი ოლქის შენარჩუნებისათვის ანუ, როგორც გრ. ლორთქიფანიძე აღნიშნავდა: „როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა, თუ საბჭოთა რესპუბლიკა, როგორიც არ უნდა იყოს მისი სახელმწიფოებრივი ფორმა, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი, ეროვნული და ყოველგვარი, რომ ვეცადოთ ეს ოლქი დარჩეს ყოველ შემთხვევაში საქართველოს“.[57]

მოწინააღმდეგეებმა მაინც მოახერხეს დიალოგი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სახელით. შეთანხმება მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და რევკომს შორის, სამხედრო მოქმე-

[55] Московский договор между Россией и Турцией. http://www.doc20vek.ru/node/4149.

[56] შ. ვადაჭკორია. საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ქრონიკა (1921 წელი). თბ. 2021.

[57] შ. ვადაჭკორია. საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ქრონიკა, გვ. 179.

დებების შეწყვეტის შესახებ. მოგვყავს რამდენიმე პუნქტი ქუთაისის შეთანხმებიდან:

1. მოხდეს დაუყოვნებელი ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა;

2. დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა არმიის წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციონური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს მივიდეს ბათუმის დასაცავად და დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრებისგან შემოსევისაგან.

3. რევოლუციონური კომიტეტის განკარგულებაში მყოფი საბჭოთა არმიების ნაწილები პირველ ყოვლისა ბათუმზე გავლით იჭერენ ამ ოლქის სამხრეთ ნაწილებს.

4. არა უგვიანეს ვიდრე 25 მარტისა თანხმობით ქ. ბათუმსა, მის რაიონსა და რკინიგზის ლიანდაგზე სავჯავახოდან ვიდრე ქ. ბათუმამდე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უკანასკნელთ ადმინისტრაცია და ხელისუფლება.

5. რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათუმის ოლქში, როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა დემოკრატიული მთავრობისა და მისი მხედრობისადმი.“[58]

1921 წლის 18 მარტს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელმაც, ორივე მხარის ძალისხმევით, პრაქტიკულად უეჭველი გახადა ბათუმისა და მისი ოკრუგის უმეტესი ნაწლის დარჩენა საქართველოს საზღვრებში. გადამწყვეტი გარემოება მაინც ბათუმის ქუჩებში მიმდინარე ბრძოლებმა გადაწყვიტა. დემოკრატიული საქართველოს მხედრობამ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, დაამარცხა და ქალაქიდან განდევნა ქიაზიმ-ბეის თურქული ჯარის ნაწილები. 20 მარტს ბათუმი საბოლოოდ დატოვეს თურქმა ასკერებმა[59].

რაც შეეხება ართვი-არდაგანის ჩამოცილებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიიდან, მისი განმარტებისათვის, გასაღებს წარმოადგენს, თვით ნოე ჟორდანიას წერილი აკაკი ჩხენკელისადმი. „დღეს ოცდაორ თებერვალს მივიღეთ ანგორის მთავრობისგან ნოტა, რომლითაც გვაცნობებენ, რომ ხვალ ოცდასამი თებერვლიდან იჭერენ არდაგანისა და არ-

[58] შ. ვადაჭკორია. საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ქრონიკა, გვ. 200. დოკუმენტი №68. ქუთაისში 1921 წლის 18 მარტის შეთანხმება შესახებ სამხედრო მოქმედების ლიკვიდაციისა დემოკრატიულ მთავრობასა და საქართველოს რევკომს შორის.

[59] შ. ვადაჭკორია. ქუთაისის 1921 წლის 17-18 მარტის მოლაპარაკებები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, გვ. 460.

თვინის მხარეებს. ჩვენ ეხლა წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ. ფაქტიურათ შემოუშვებთ, ხოლო ხელს არ მოუწყობთ. გვეშინია ბათუმი და ახალციხე არ დაიკაონ. წარადგინეთ დასაბუთებული პროტესტი ლონდონის კონფერენციის წინაშე".[60]

ის გარემოება რომ საქართველოში საბჭოთა რუსეთის შემოსვლა და თბილისის „დაკავება" – საქართველოს ოკუპაცია და დაპყრობა იყო, საბჭოთა ლიდერები კერძო საუბრებსა თუ მიწერ-მოწერაში უპრობლემოდ აღიარებდნენ. საილუსტრაციოდ რამდენიმე ამონარიდი შეიძლება მოვიყვანოთ, ლევან თოიძის მიერ შეკრებილ-მოძიებული მასალებიდან:

**– იოსებ სტალინი წერდა ორჯონიკიძეს: „შესაძლოა საჭირო შეიქმნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია".[61] ეს იყო 1921 წლის 28 იანვარი.**

**– ლევ ტროცკი: „მე მაშინ ურალში ვიყავი. სამხედრო ინტერვენციამ სავსებით წარმატებულად ჩაიარა და საერთაშორისო გართულება არ გამოუწვევია"[62].**

**– ფ. მახარაძე – „როცა წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზნებსა და განზრახვაზე საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიის არც ერთმა წევრმაც სრულიად არაფერი არ იცოდა... ამრიგად, გამოვიდა შემდეგი: ჯერ ერთი, საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, რადგან ამ ქვეყანაში ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს... აი, სად არის ჩვენი პირველი ცოდვა, აი სად არის ფესვი ბოროტებისა.."[63].**

რა თქმა უნდა, საბჭოთა ლიდერები ამ სიმართლეს საჯაროდ არც გაჰყვიროდნენ და არც ამხელდნენ. მათ მსოფლიოს მოსდეს, თითქოს საქართველოში, გლეხთა და მუშათა აჯანყება მძვინვარებდა და მშრომელ მასებს, ინტერნაციონალური დახმარება გაუწია საბჭოთა რუსეთის არმიამ. ამ მხრივ მათ მშვენივრი ალიბი შეიქმნეს, სხვებიც ვითომ დააჯერეს ამ სიყალბეში და თვითონაც დაიჯერეს ეს დიდი ტყუილი.

მაგრამ დღის წესრიგში დადგა მეორე დიდი სიყალბის კონსტრუირება. მისი დანერგვისათვის ზრუნვა ლენინმა მაშინვე წამოიწყო, როგორც კი სა-

---

[60] შ. ვადაჭკორია. ქუთაისის 1921 წლის 17-18 მარტის მოლაპარაკებები, გვ. 79. მითითებულია: სცსსა. ფ. 2118. აღწ.1, ს. 7, ფ. 25.

[61] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 114. მითითებულია: მლი ცპა, ფ. 558, აღწ. I, საქ. 2043, ფურც. 1.

[62] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. მითითებულია: Лев Троцкий. Сталин. Т. II. Под редакцией Ю. Г. Фельштеинского. Chalidge Publications. 1985, გვ. 48-49.

[63] ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, გვ. 119. მითითებულია: საქართველოს უახლესი სოციალ-პოლიტიკური ისტორიის ინსტიტუტის არქივი (სუსპია). ფ. 2914, აღწ. 2, საქ. 6, ფურც. 1-6.

ქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დამარცხება გამოიკვეთა.

ახლა, როცა საქართველოს დემოკრატიული მთავრობა დღე-დღეზე ემზადებოდა საზღვარგარეთ გაქცევა-გახიზვნისათვის, საბჭოთა რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას და მის ბელადს – ლენინს ძალიან დასჭირდა მეორე დიდი სიყალბე – დემოკრატიულ მთავრობას და მის მეთაურს ნოე ჟორდანიას უნდა ლეგიტიმურად ეცნო საბჭოთა ხელისუფლება. ლენინს უნდოდა რომ საერთაშორისო დონეზე გამართლებულიყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და მას ჩამოსცლოდა დაპყრობელის სტატუსი.

ამ მიზნით ლენინმა რამდენჯერმე, სხვადასხვა პირების და მეთოდების საშუალებით შეუთვალა ნოე ჟორდანიას და მის მთავრობას, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა – მაგ. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან კოალიციურ მთავრობაში შესვლა. და აი, 1921 წლის 2 მარტს, ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი, წერილს უგზავნის ორჯონიკიძეს, „ქართველი კომუნისტებისა“ და „რევკომის ყველა წევრისათვის“ გადასაცემად და მათგან თანხმობის მითითებით: „...უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი“[64]. გავიხსენოთ, რომ ჟორდანიას ბოლშევიკმა სერგო ქავთარაძემაც შესთავაზა საბჭოთა ხელისუფლებასთან კომპრომისი და მორიგება.

საბჭოთა ხელისუფლების ცნობის საკითხი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნის სახით წარუდგინეს დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენელს გრიგოლ ლორიფანიძეს. „შულავერის“ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მამია ორახელაშვილმა მას განუცხადა: „უმთავრესი მოთხოვნილება ჩვენი პლატფორმისა არის ცნობა საქართველოს რევოლუციური კომიტეტისა და აღიარება საქართველოს დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკია. ამ საკითხებში თუ შევთანხმდებით... დანარჩენ საკითხებში შეთანხმების ნიადაგი უკვე გამორკვეული იქნება და გაგვიადვილებს საქმეს... თუკი დღესვე იქნება აღიარებული საბჭოთა გადატრიალება საქართველოში და ამ გადატრიალებიდან გამოსული საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“.[65]

ამ საკითხს კვლავ და კვლავ ააქტიურებდა მ. ორახელაშვილი: „... ჩვე-

[64] ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. 32. თბ. 1951, გვ. 189.
[65] შ. ვადაჭკორია. ქუთაისის 1921 წლის 17-18 მარტის მოლაპარაკებები, გვ. 460.

ნი პირველი მოთხოვნილება არის, რომ მეორე მხარემ სცნოს გადატრიალება საქართველოში და აღიაროს დამოუკიდებელი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და მისი დღევანდელი მატარებელი – საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი“. ეს ფორმულა, ორახელაშვილმა, ბევრჯელ ჯიუტად გაიმეორა.

მაგრამ მასზე პრინციპული აღმოჩნდა დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. გრ. ლორთქიფანიძემაც არაერთხელ დაუპირისპირა თავისი ფორმულა მოწინააღმდეგეს: საქართველოში გადატრიალება მოხდა უცხო ქვეყნის ჯარების მიერ, უხეში ძალით. ამის გამო, დემოკრატიული მთავრობა ვერ სცნობდა ახალ ხელისუფლებას. გარდა ამისა, „ჩემს მთავრობას არ შეუძლია თავისი ხელისუფლება გადასცეს სხვა ვინმეს. თვითონ ის არ არის წყარო უფლებისა. უფლების წყარო არის დამფუძნებელი კრება და სხვა არავინ“.[66]

გიორგი ჯაშიაშვილი ლეკების „ორმისამართიანი“ ცხოვრების აღსანიშნავად, ხმარობს რუსულ სიტყვა „კაჩევნიკს“ – მომთაბარე. ყვარლის რაიონში ჩასახლებული ლეკების „კაჩევნიკობა“ საბჭოთა ხელისუფლებას ძალიან

[4] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6.

[5] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 1, გვ. 9.

[6] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 18. „კაჩევნიკები“, ანუ მომთაბარე ლეკები, ამ დროს, საბჭოთა ხელისუფლების აზრით, იყვნენ კახეთში ჩამოსახლებული „ორმისამართიანი“ ლეკები, რადგან მათ დაღესტანში გააჩნდათ საცხოვრებელი ბინები.

„აწუხებდა“, რისი მთავარი მიზეზი „კაჩევნიკ“-მომთაბარე ლეკებზე, როგორც სამართლებრივი, ასევე ფინანსური კონტროლის უქონლობა იყო.

გიორგი ჯაშიაშვილი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1936 წლის შემოდგომაზე, იმ დროს ყვარლის რაიონის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ისაკა თანდილაშვილი კავკასიონის უღელტეხილის გადავლით, დაღესტანში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე წასულა, სადაც მოულაპარაკიათ, რომ 1937 წლის აპრილისთვის ლეკების „ორმისამართიანი“ ცხოვრება საბოლოოდ მოეგვარებინათ: *„პრაქტიკულად ყველა პირობები გადაწყვეტილი იყო რა ქონება ეძლეოდათ „კაჩევნიკებს“, რომლებიც კახეთის სოფლებში დამკვიდრდებოდნენ და რა ეძლეოდათ მათ, ვინც მიდიოდა მთაში. ისაკა მოითხოვდა ყველანი წასულიყვნენ დაღესტანში და წაეღოთ რაც უნდოდათ, აგრეთვე აუნაზღაურებდნენ უძრავი ქონების საფასურს“.*[7]

1937 წელს ი. თანდილაშვილი „კონტრრევოლუციური მემარჯვენეთა ორგანიზაციის“ წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს. ამის შემდეგ კი, ლეკების „ორმისამართიანი“ ცხოვრების მოგვარების საკითხი ჯაშიაშვილის სიტყვებით: *„გადაიდო დიდი ხნით და მერე არც არავინ დაინტერესებულა“.*[8]

გიორგი ჯაშიაშვილს, როდესაც გახდა ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, თანამშრომლებთან ერთად შეუსწავლია და აღუწერია ყვარლის რაიონში მცხოვრები ლეკი მოსახლეობა: *„კაჩევნიკების“ მოგვარების საკითხი“, მაშინ ასე ვეძახდით, მე დამევალა და როდესაც შევისწავლეთ და ჩავატარეთ აღრიცხვა ადგილზე, აღმოჩნდა, რომ 217 კომლი ლეკური ოჯახი ცხოვრობს სოფელ თივ-თებელჯოხში. აქვს სახლი, ეზო და ზოგს საკმაო მიწის ნაკვეთი. ამავე დროს ისინი ცხოვრობენ დაღესტნის რესპუბლიკის შაურის და თარატის (ტ(თ)ლიარატის) რაიონებში, მდინარე სიმურის ხეობაში – ეს მოსახლეობა მუშაობდა, როგორც თარატის კოლმეურნეობებში, ასევე კახეთის ლეკის სოფლის კოლმეურნეობებში, ფაქტიურად კი არსად, რაც გაუგებრობას იწვევდა, რომელი სად მუშაობდა და რა საქმიანობას ეწეოდა – უნდა დაგვებოლოებინა მათი ერთ ადგილას მკვიდრად დასახლება... ამიტომ ჩატარდა მოლაპარაკება დაღესტნისა და საქართველოს ხელმძღვანელებს შორის ამ*

[7] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 19.

[8] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 19.

*მოსახლეობას სად ეცხოვრა მუდმივად, რადგან ორივე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჰქონდათ სახლკარი და ბინადრობა*“ [დოკ. № 1].[9]

1940 წელს, დაღესტნისა და საქართველოს ხელისუფლებების ხელმძღვანელებს შორის ჩატარებულ მოლაპარაკებაზე უმსჯელიათ, თუ ლეკ მოსახლეობას მუდმივად სად უნდა ეცხოვრა. ჯაშიაშვილი წერს: *„ამ საკითხის მოგვარება ადგილზე უნდა მომხდარიყო. მე დამევალა დაღესტანში წავსულიყავი და მომეგვარებინა სათანადო მითითების საფუძველზე ზემოთ აღნიშნული საკითხები*“.[10]

1941 წლის 20 მაისს, გიორგი ჯაშიაშვილთან ერთად, დაღესტანში წასულან ყვარლის რაიონში მდებარე *„ლეკების სოფლის საბჭოს თავმჯდომარეები – ფათა ალიევი და უსუბ მამედოვი, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები – მახმედ ჭანთოევი, აბდულ ქარიმ ტურიევი. ერთი ქართველი ივანე იარალიშვილი, რომელმაც კარგად იცოდა დაღესტნის სოფლები*“.[11]

დაღესტნის შესაბამისი რაიონების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება ჯაშიაშვილს და მის თანმხლებებს უწარმოებიათ, თარატის (ტ(თ)ლიარატის) რაიონულ ცენტრში. ამ რაიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოლაპარაკებისას გაუხსენებიათ, რომ 1936 წელსაც ჰქონდათ მცდელობა მომთაბარე-„კაჩევნიკი“ ლეკების საკითხი გადაეწყვიტათ. გიორგი ჯაშიაშვილი ამბობს, დაღესტნის ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაინტერესებული ყოფილან მისი მოგვარებით. მომლაპარაკებლებს მიუღიათ გადაწყვეტილება, რომ: *„სამი დღის განმავლობაში, შე-*

[9] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 20. აღნიშნულს სხვა საარქივო მასალებთან ერთად ადასტურებს 1935 წელს ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მიერ „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას მდივან ამხანაგ ლ. ბერიას“ მისამართით გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი, სადაც ყვარლის რაიონში თივ-თებელჯოხის და ხაშალხუტის სასოფლო საბჭოების მცხოვრებელი ლეკების შესახებ ნათქვამია: *„ხსენებულ მოსახლეობას დაღესტნის რესპუბლიკის თარატის რაიონში აქვს საცხოვრებელი ბინები და დაღესტნის რესპუბლიკის მიერ წამოიჭრა დავა საქართველოს მთავრობასთან, რათა ხსენებული მოსახლეობა ჩათვლილი ყოფილიყო მომთაბარედ*“. იხ.: კახეთის რეგიონალური არქივი. კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი № 1. საქმე № 72, გვ. 23.

[10] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 20-21.

[11] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 21.

*ეკითხებოდნენ თითოეულ „კაჩევნიკ“ ლეკს ვის სად უნდოდა დარჩენა – ასეთები კი 350 ოჯახზე მეტი იყო. გადაწყდა მათი ბინების საკითხი. ვინც კახეთში დაბინავდებოდა მათ უფლება ეძლეოდათ მთელი პირადი ქონება და საქონელი წამოეღოთ კახეთში, ხოლო ისინი ვინც დარჩებოდნენ დაღესტანში და კახეთში ჰქონდათ სახლი ან სხვა, მოძრავ ქონებას წაიღებდნენ, უძრავი ქონების შეფასების შემდეგ მიიღებდნენ საფასურს“.*[12]

ასევე შეთანხმებულან, რომ იმ პირებს, რომლებიც დაღესტნიდან გადავიდოდნენ კახეთში, ანუ მუდმივ საცხოვრებლად აირჩევდნენ ყვარლის რაიონს, მათი ნამუშევარი დაღესტნის კოლმეურნეობებიდან გადაერიცხებოდათ კახეთის კოლმეურნეობებში. ამ და ლეკების „ორმისამართიანი“ ცხოვრების საბოლოო გადაჭრის და მოგვარების მიზნით სხვა საკითხების მოსაგვარებლად ხუთი თვე დაუწესებიათ და საბოლოო შეთანხმებისთვისაც მოუწერიათ ხელი. უკან საკმაოდ კმაყოფილი წამოსულან, რადგან: *„ამ მოლაპარაკებით მივაღწიეთ, რომ დაღესტნის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ „კაჩევნიკებში“ ჩაატარებდნენ თათბირს იმ მიმართულებით, რომ ლეკები უარს იტყოდნენ კახეთში ცხოვრებაზე და გადავიდოდნენ მუდმივად თავიანთ ძველ მამა-პაპეულ მამულებში. ამის აუცილებლობის მიღწევაში მარწმუნებდა რაიაღმასკომის თავმჯდომარე ომაროვი“*.[13]

გიორგი ჯაშიაშვილის სიტყვებით ლეკი მოსახლეობა თავის სამშობლოში თუ დაბრუნდებოდა, ეს იქნებოდა კარგი ყვარლის რაიონისთვის: *„ჩვენც მეტი რა გვინდოდა. ჩვენს რაიონს ისინი დიდ სარგებლობას არ აძლევდნენ გარდა უსიამოვნებისა. მთაშიც ცხოვრობდნენ სახლ-კარ-მამულით და ბარშიც, ჩვენთან. მათ ერთ ადგილას დაბინავება უფრო მეტად ხელს აძლევდათ თარატის რაიონს“*.[14]

როგორც ჩანს, ყვარლის რაიონის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები იმდენად იყვნენ შეწუხებული ლეკური მოსახლეობისგან შექმნილი პრობლემებით: *„ალარ გვანაღვლებდა, რომ ლეკები თავიანთ ცხვარ-ძრო-*

[12] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 26-27.

[13] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 27-28.

[14] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 28.

*ხას წაიყვანდნენ, რომელიც მათ ჰყავდათ როგორც თვალხილულად, ისე მიმალულად, ოღონდ კი მათი საბოლოო საკითხი გადაწყვეტილიყო*“.[15]

***

1941 წლის 22 ივნისს, ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამ, ხელი შეუშალა დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (დაღესტნის ასსრ-ს) ტლიარატის რაიონის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (საქართველოს სსრ-ს) ყვარლის რაიონების ხელმძღვანელების შეთანხმების შესრულებას. ამიტომ, 1941-1944 წლებში ყვარლის ტერიტორიაზე განსახლებული ლეკური მოსახლეობა ძველებურად აგრძელებდა „ორმისამართიან“ ცხოვრებას.

კახეთში განსახლებული ლეკი მოსახლეობის ბედზე, დიდი გავლენა იქონია 1944 წლის მარტში განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებიც ცნობილია ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან (ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ) მოსახლეობის დეპორტაციის სახელით. სსრკ-ში მოსახლეობის დეპორტაციები მანამდეც ხდებოდა – გერმანელები, ფინელები, ყალმუხები, ყარაჩაელები, ბალყარელები, ყირიმელი თათრები, ბერძნები, ბულგარელები, ე.წ. თურქი მესხები და ა.შ. დროის სხვადასხვა პერიოდში იქნენ დეპორტირებული მათი საცხოვრებელი ადგილებიდან. თუმცა, თითქმის ნახევარი მილიონი ვაინახის, ჩეჩნებისა და ინგუშების, დეპორტაცია ყველაზე მასშტაბური იყო.

ჩეჩნების და ინგუშების დეპორტაციის დაწყების ოფიციალური თარიღი 1944 წლის 23 თებერვალია, დასრულების კი, 1944 წლის 9 მარტი. რაც შეეხება დეპორტაციას, ანუ მოსახლეობის გადასახლებას, იგი 1944 წლის 23 თებერვალს და 1-ლი მარტის შუალედში ანუ 8 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მოსახლეობის გადასახლება ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-დან, განხორციელდა შუა აზიის რესპუბლიკებში, ძირითადად ყაზახეთში, ყარაგანდის რეგიონში. დეპორტირებულებს ასახლებდნენ ნახევრად დანგრეულ ყაზარმებში, ფარდულებში და თავლებში. ბევრი გადასახლებული ადამიანი იძულებული გახდა მიწაში ამოეთხარა თავშესაფარი, ანდა ქოხები აეშენებინა. ამ ყველა-

[15] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 28.

ფერს თან ახლდა საკვების, ტანსაცმლის და სხვა აუცილებელი ნივთების არარსებობა.[16]

მათ არ ჰქონდათ უფლება, თუნდაც მცირე ხნით, დაეტოვებინათ თავიანთი დასახლების ახალი ადგილები, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შინსახკომი) ადგილობრივი „სპეციალური კომენდანტურის“ ნებართვის გარეშე, რომელიც მათზე ზედამხედველობას ახორციელებდა. სხვადასხვა მონაცემებით, 1944 წლიდან 1948 წლის ოქტომბრამდე, ჩრდილოეთ კავკასიიდან (ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები და ბალყარელები) დეპორტირებული, დაახლოებით, 150 ათასი ადამიანი დაიღუპა გადასახლებაში.[17]

თავისი საცხოვრებლებიდან გადასახლებული ჩეჩნების და ინგუშების ადგილზე კი, სხვა ტერიტორიებიდან წაყვანილი მოსახლეობა ჩაასახლეს. საუბარია ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს მეზობელი რესპუბლიკების მოსახლეობაზე. ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს ტერიტორია გაიყო დაღესტნის ასსრ-ს, საქართველოს სსრ-ს და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ს შორის.

1944 წლის 18 მაისს, მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება დაღესტნის ასსრ-ში საქართველოდან, კერძოდ ყვარლის რაიონიდან იმ დაღესტნელების – ლეკების გადასახლების შესახებ, ვინც იქ ცხოვრობდნენ.

1944 წლის 25 ივლისს კი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება გამოიცა, თუ როგორ უნდა გაესახლებინათ ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს, ახლა კი უკვე დაღესტნის ასსრ-ს ტერიტორიაზე, ყვარლის რაიონში მცხოვრები ლეკები. ბრძანების მიხედვით, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო ისეთი გათვლებით, რომ ლეკი მოსახლეობის საქართველოდან გამგზავრება დაღესტნის ასსრ-ს ტერიტორიაზე, ყოფილ ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-სგან მიერთებულ მიწებზე უნდა დამთავრებულიყო 1944 წლის 10 აგვისტოს [დოკ. № 2].[18]

ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს შუა აზიაში დეპორტირებული მოსახლეობ-

[16] ბულატ ბეთალგირი, ოპერაცია – Чечевица, http://archive.ge/ka/blog/68
[17] ბულატ ბეთალგირი, ოპერაცია – Чечевица, http://archive.ge/ka/blog/68
[18] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 18. საქმე 81, გვ. 65-67.

ისგან განსხვავებით, ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლეკ მოსახლეობას, ასევე კოლმეურნეობებს ნებას რთავდნენ თან წაეღოთ პირადი საკუთრება, ფულადი სახსრები, წაეყვანათ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი და ა.შ.[19]

საქონელი ყვარლის რაიონიდან დაღესტანში, მათი ახალი დასახლების ადგილებში უნდა გადაერეკათ, რაც შეეხება მარცვლეულს, ძირითადად ხორბალს, იმის გამო, რომ მისი გადაზიდვით აეცილებინათ ხარჯი, უნდა ადგილზე დაეტოვებინათ.[20] ბრძანებაში მითითებული იყო, რომ თივ-თებელჯოხის და ხაშალხუტის კოლმეურნეობებისგან, ასევე ცალკეული მოქალაქეებისგან ჩაბარებული ხორბლის ნაცვლად მათზე უნდა გაცემულიყო ცნობები, რომლის საფუძველზე, დასახლების ახალ ადგილებში მოსახლეობა, კოლმეურნეობები მიიღებდნენ იმ რაოდენობის ხორბალს, რაც მათ ყვარლის რაიონში დატოვეს.[21]

გათვალისწინებული იყო ისეთი მარცვლეული კულტურის საფასურის ანაზღაურებაც კი, როგორიც არის სიმინდი. იმის გამო, რომ ლეკების დაღესტანში გასახლება ხდებოდა ზაფხულში, ხოლო სიმინდის აღება არ ხდება შემოდგომამდე, სიმინდის ნათესები უნდა შეფასებულიყო და შემდგომ ანაზღაურებულიყო, როგორც მოსახლეობისთვის, ისე კოლმეურნეობებისთვის.[22]

გარდა ამისა, კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და კერძო პირებს, ვინც უნდა ჩასახლებულიყვნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ს ყოფილ ტერიტორიაზე, უნაზღაურდებოდათ საზოგადოებრივი და კერძო შენობების – საცხოვრებელი ბინების ღირებულებაც.

შეუქმნიათ კომისია, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე დაღესტნის ასსრ-ს შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლების შემადგენლობით, რომელსაც ევალებოდა ორი კვირის ვადაში არაუგვიანეს 1944 წლის 10 აგვისტოსი, წარედგინა საქართველოს ხელისუფლებისთვის შესაბამისი გათვლები, თუ რა ღირდა ის შენობები, რომლებსაც კოლმეურნეობები და კერძო პირები ტოვებდნენ საქართველოში, რათა დროულად აენაზღაურებინათ მათი ღირებულება მოსახლეობისთვის. ანუ, ამ კომისიაში დაღესტნის ასსრ-ს შესაბამისი სტურქტურებიც ჩართული იყვნენ, ყვარლის რაიონში განსახლებული ლეკი მოსახლეობის ქონების აღწერა-ანაზღაურების პროცესში.

[19] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 18. საქმე 81, გვ. 65-67.
[20] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 18. საქმე 81, გვ. 65-67.
[21] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 18. საქმე 81, გვ. 65-67.
[22] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 18. საქმე 81, გვ. 65-67.

1944 წლის 25 ივლისის №373, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ დადგენილებაში – „დაღესტნის ასსრ-ში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები დაღესტნელების გადასახლება“, აღნიშნული იყო, რომ კოლმეურნეებს და კერძო პირებს სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს, 1944 წლის 9 მარტის №255-74 cc დადგენილების შესაბამისად, მათ ნება ეძლეოდათ უფასოდ ემგზავრათ რკინიგზით, ასევე ახალ ადგილზე ჩასვლისთვის ეძლეოდათ სხვა სახის შეღავათები.[23]

ყვარლის რაიონის ლეკებით დასახლებული სოფლებიდან, ახალ საცხოვრებელ ადგილზე მოსახლეობის გამგზავრება, მათი ქონების გადაზიდვა, ქალაქ თელავის რკინიგზის სადგურიდან განხორციელდა. ლეკი მოსახლეობა ყვარლის რაიონიდან თელავში ავტომანქანებით ორგანიზებულად გადაიყვანეს. ამისათვის, როგორც ამავე ბრძანებულებაშია ნათქვამი – დაახლოებით 50 სატვირთო ავტომანქანა და 33 ტონა ბენზინი იქნა გაგზავნილი ყვარლის რაიონში.

ამიერკავკასიის რკინიგზას, სსრკ-ს სახალხო კომისარიატის, 1944 წლის 18 მაისის №545 დადგენილების შესაბამისად, უნდა უზრუნველეყო თელავის რკინიგზის სადგურზე ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე, უკვე დაღესტნის ასსრ-ში ჩასასახლებლების გადასაყვანად 150 დახურული სატვირთო ვაგონის მობილიზება.[24]

გარდა ამისა, საქართველოდან დაღესტანში გამგზავრებული მოსახლეობის გადაყვანის უზრუნველსაყოფად, თელავის რკინიგზის სადგურიდან გუდერმესის რკინიგზის სადგურამდე მოძრავ მატარებლებზე მიუმაგრებიათ შესაბამისი სამედიცინო პერსონალი, გამოუყვიათ სამედიცინო მედიკამენტები. ყვარლის რაიონში მცხოვრები ლეკების გამგზავრების პროცესის ხელმძღვანელობა ევალებოდა საქართველო სსრ-ს სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჭიჭინაძეს. ლეკი მოსახლეობის დაღესტანში გადაყვანის პროცესში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყვნენ იყვნენ ჩართული – ყვარლის რაიონის კომუნისტური პარტიის(ბ) რაიკომის პირველი მდივანი ციხისთავი და ყვარლის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე აივაზაშვილი.[25]

[23] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 18. საქმე 81, გვ. 66.
[24] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 18. საქმე 81, გვ. 65-67.
[25] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 18. საქმე 81, გვ. 65-67.

ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს ყოფილ ტერიტორიაზე ჩასახლებულ ლეკ მოსახლეობას, იმის მიუხედავად, რომ: *„საბჭოთა ხელისუფლებამ, მათ ყველა პირობა შეუქმნა იქ ცხოვრებისთვის – შეასახლა ჩეჩენი და ინგუში მოსახლეობისგან დაცლილ ბინებში, ვერ შეძლო ახლადჩასახლებულების მედიკამენტებით, თუ სხვა საჭირო ნივთებით მომარაგება. 1944 წლის ბოლოს ახლადჩასახლებული ლეკი მოსახლეობის რიგებში მალარიამ იფეთქა, რამაც მათი გარკვეული ნაწილი იმსხვერპლა. ამას დაემატა ტიფი და სხვა ავადმყოფობებიც. დაავადებების შესაძლო მიზეზებს შორის სახელდებოდა საპონის, თეთრეულის უკმარისობა, გადასახლებულების კულტურული ჩამორჩენილობა, კვების პროდუქტების ნაკლებობა და ერთფეროვნება“.*[26]

.....

1956-1957 წლებში იწყება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან დეპორტირებული ხალხების აქტიური დაბრუნების პროცესი თავის სამშობლო მხარეებში. ცხადია, ამაში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ 1956 წლის 25 თებერვალს გამართულ დახურულ სხდომაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, „დაგმო“ სტალინის „პიროვნების კულტი“, მისი საშინაო პოლიტიკა და მათ შორის, მოსახლეობის გადასახლება-დეპორტაციები.

1956 წელს ჩეჩნებს, ინგუშებს, ბალყარელებს და ყარაჩაელებს გაუუქმეს ე.წ. სპეც-გადასახლებულის ანუ დეპორტირებულების სტატუსი. მათ თავისუფლად გადაადგილების უფლება მიიღეს. 1957 წლის 19 იანვარს გამოქვეყნდა, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება – „ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აღდგენის შესახებ“. ამავე წელს აღდგა ბალყარელების, ყარაჩაელების და ყალმუხების ეროვნული ავტონომიები.

ცნობილია, რომ 1944 წელს, დეპორტირებული ხალხების საცხოვრებელ ადგილებში საქართველოდან ჩასახლებული ქართველები, ყოველგვარი „გადასახადის“ მიღების გარეშე გამობრუნდნენ უკან მშობლიურ მხარეებში, ანდა საქართველოს სხვა ტერიტორიებზე იქნენ ჩასახლებული.

მაგალითად, ყვარლის რაიონის მეზობლად მდებარე თელავის რაიონში, 1957 წელს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ყოფილ ტერიტორიიდან წამოსულ ქართველებს, რომლებიც იქ ადრე ყარაჩაელების გადა-

[26] Ахмадов Я.З., Хасмагомадов Э.Х. История Чечни в XIX-XX веках. М.: Пульс. 2005,https://refdb.ru/look/2212100-p8.html

სახლების შემდეგ ჩაასახლეს, თელავის რაიონში გამოუყვეს მიწა, აუშენეს სახლები და დაასახლეს. ამაზე მეტყველებს, თელავის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის მასალებში დაცული დოკუმენტები. საუბარია არა კახეთის, არამედ საქართველოს სხვა ტერიტორიებიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ყოფილ ტერიტორიაზე ჩასახლებულ ქართველებზე. კერძოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, 1957 წლის 3 მაისის №258 დადგენილებით, თელავის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტისთვის გამოუყვიათ სამშენებლო მასალები, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ყოფილი ტერიტორიიდან თელავის რაიონში ჩამოსახლებულებისთვის.[27]

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამ პერიოდში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ყოფილ ტერიტორიიდან თელავის რაიონის სოფლების – რუისპირის, კურდღელაურის, შალაურის კოლმეურნეობებში 104 კოლმეურნის ოჯახი დასახლებულა.[28]

რაც შეეხება ყვარლის რაიონიდან ლეკური მოსახლეობის გასახლებას და მათ შემდგომში „დაბრუნებას“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ძალიან საინტერესო მასალები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას აღვადგინოთ ის რეალური ისტორია, რაც იმ დროს მოხდა. ასევე, გავაანალიზოთ იმდროინდელი მოვლენები, თუ რატომ და როგორ „დაბრუნდა“ ლეკი მოსახლეობა ყვარლის რაიონში და არა თავის ნამდვილ სამშობლოში – დაღესტანში.

როგორც ცნობილია, 1953 წლიდან, სტალინის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე თვეში, აქტიურად იწყება სტალინის პერიოდის სსრკ-ს საშინაო პოლიტიკის „გადახედვის“ პროცესი. გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა კავშირის „ახალი“ ხელმძღვანელობა, ნიკიტა ხრუშჩოვის თუ სხვა მაღალი რანგის საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლების სახით, საქართველოს მოიაზრებდა, როგორც სტალინის „სამშობლოს“, ქართველებს კი მის მხარდამჭერებად, იწყება ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც გამოიწვევდა სტალინის „მომხრეების“, თუ მხარდამჭერების „დასუსტებას“.

ალბათ ამისი მიზეზი იყო, რომ საქართველოდან გასახლებული ლეკი მოსახლეობის საქართველოში დაბრუნების სურვილს, არა თუ დიდი წინააღმ-

[27] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონის აღმასკომის მასალები. ფონდი № 600. საქმე № 851, გვ. 12.

[28] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონის აღმასკომის მასალები. ფონდი № 600. საქმე № 851, გვ. 28.

დეგობა არ შეხვედრია, არამედ მართული იყო „ცენტრიდან“ შესაბამისი ორგანოების მიერ. სხვა აზსნას ვერ ვუძებნით იმ ხანად განვითარებულ მოვლენებს, რომლის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოძიებული ძალიან საინტერესო დოკუმენტი.

საუბარია 1944 წლამდე საქართველოში მცხოვრები ლეკი მოსახლეობის სახელით დაწერილ წერილზე, რომელიც თავისი შინაარსით, ანტიქართული „იდეური“ დატვირთვით წააგავს, ლეკების მიერ 1907 წელს დაწერილ წერილს, რომელზეც სხვა კვლევაში გვქონდა საუბარი.[29]

1955 წლით დათარიღებული ეს წერილი ხელმოწერილია ლეკურ მოსახლეობაში „გავლენიანი“ პირების – *„კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე და პარტ-ორგანიზაციის პირველადი მდივანი, კპ-ს წევრი 1940 წლიდან მამედოვის“* და *„კოლმეურნეობის ყოფილი წევრი, ლაგოდეხის მოქალაქე, 67 წლის მოხუცი, უპარტიო ტაგუევის“* მიერ. წერილი ეგზავნება *„სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარშალ, ამხანაგ ნ. ბულგანინს“*.[30]

წერილს ადევს რეზოლუცია: *„საქართველოს ცკკპ მჟავანაძეს, დაღესტნის კპ საოლქო კომიტეტს, დანიალოვს. გთხოვთ, განიხილოთ ეს საკითხი და მიიღოთ საჭირო ზომები“, მ. საბუროვი, 1955 წლის 25 ნოემბერი“*.[31]

წარმოგიდგენთ 1955 წლით დათარიღებულ რუსულ ენაზე დაწერილი დოკუმენტის თარგმანს:

*„სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარშალ, ამხანაგ ნ. ბულგანინს*

*ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომაში მცხოვრებ იუსუპ ალიეროვის-ძე მამედოვის და ჯემალ ტუგაევის, მცხოვრები ლაგოდეხში, ვოროშილოვის სახელობის ქუჩის № 8*

*განცხადება*

*მოგმართავთ, 463 დაღესტნელი ოჯახის სახელით, რომლებიც ხალხის მტრის ბერიას ნებით უკვე 11 წელია არიან სრულიად უუფლებო მდგომარეობაში, მათ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ. ჩვენ თერთმეტი წელია წარუმატებლად ვცდილობთ აღვადგინოთ ჩვენი კონსტიტუციური უფლე-*

[29] თ. სიმაშვილი. კახეთში მაცხოვრებელი ლეკები საარქივო მასალების მიხედვით (ნაწილი I: XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი), გვ. 293-329.
[30] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 31. საქმე 196, გვ. 85-87.
[31] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, აღწერა 31, საქმე 196, გვ. 85.

*ბა – ვიშრომოთ და ვიცხოვროთ სსრკ-ს ჩვენი მრავალნაციონალური ოჯახის გვერდით და მსგავსად.*

*ძნელად დასაჯერებელია, რომ ჩვენს დროს, როდესაც პარტიის და მთავრობის მთელი პოლიტიკა მიმართულია იმაზე, რომ სსრკ-ს ხალხების ცხოვრება სულ უფრო და უფრო გაუმჯობესდეს, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების გამტკიცების ხარჯზე სსრკ-ს მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს ამინისტია გაუკეთოს იმ მოქალაქეებს ვინც ჩაიდინეს მძიმე დანაშაულებები, ამ დროს ასობით ადამიანი, ვისაც არასოდეს ჩაუდენია დანაშაული, და პირიქით პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომობდა, აღმოჩნდნენ უუფლებო და არაადამიანურ მდგომარეობაში. ამ მდგომარეობაში იმყოფება 463 ოჯახი - რამოდენიმე ასეული საბჭოთა მოქალაქე.*

*1944 წელს, ჩვენ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ძალდატანებით გადაგვასახლეს საქართველოდან დაღესტანში და ჩვენ აღმოვჩნდით მოქალაქეობის გარეშე. ჩვენ ფაქტიურად ჩამოგვართვეს ხმის უფლება, რადგან არსად არ ვირიცხებით და 1947 წლის საბჭოს არჩევნებში ვერ მივიღეთ მონაწილეობა, ხოლო კოლმეურნეობა ჩვენ არ გვიღებს, ასევე არ გვიღებენ სამუშაოზე ქარხნები და ფაბრიკები.*

*იმის მაგივრად, რომ ჩვენ სხვა ხალხების მხარდამხარ ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ჩვენ იძულებული ვართ, როგორც ოდესღაც დღიურად დაქირავებულმა პირებმა, ვიმუშაოთ კერძო პირებთან პურის ლუკმისთვის. ჩვენს ბავშვებს არ იღებენ სკოლებში და ისინი იზრდებიან მცირეგანთლებულები.*

*1944 წელს შეწყვიტეს ახალგაზრდების წითელი არმიის რიგებში გაწვევა, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპული მეომრების ოჯახებისთვის არ იძლევიან პენსიებს, მრავალშვილიან დედები არ იღებენ შემწეობას, რომ შეინახონ და გაზარდონ შვილები, ჩვენ არ ვართ დაბეგრილი გადასახადებით.*

*დღევანდელ დღეს ჩვენი მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ჩვენ გამოგვყარეს ყვარლის რაიონიდან და იძულებული ვართ ვიცხოვროთ ქუჩაში, სადაც ადამიანები იღუპებიან. ჩვენი სასაფლაოები მოხნეს და ჩვენ არ გვაქვს ადგილი, სადაც შეიძლება დავკრძალოთ ჩვენი მიცვალებულები. წისქვილებში აუკრძალეს ავარელი მოქალაქეებისთვის ფქვილის დაფქვა.*

*ჩვენ გვემუქრებიან, რომ თუ ჩვენ არ წავალთ ჩვენი რაიონიდან, სადაც მთელი ცხოვრება გაატარეს ჩვენმა მამებმა და პაპებმა, ჩვენ საქონელს*

*და ჩვენს ნივთებს კონფისკაციას გაუკეთებენ. ქართველ კოლმეურნეებს, ვინც შეიფარეს ჩვენი ოჯახები აიძულებენ გაგვყარონ სახლებიდან.*

*ჩვენ დაღესტნელებს გვსურს პატიოსნად ვიშრომოთ, გვქონდეს უფლება ვიყოთ კოლმეურნეობების წევრები – აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კომუნიზმის მშენებლობაში, მაგრამ 11 წლის განმავლობაში ჩვენ გვართმევენ ამ უფლებას.*

*რატომ მოგვექცნენ ასე? ჩვენ ხომ არავითარი დანაშაული არ ჩაგვიდენია, ჩვენ დაგვსაჯეს არაფრის გამო, რეპრესირებულებად გვაქციეს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჩვენს უკანონონოდ მოგვექცნენ.*

*მოხდა შემდეგი: საქართველოში ასი წლის წინ მცხოვრები დაღესტნელები იყვნენ აყრილი ყვარლის რაიონში ნაცხოვრები სოფლებიდან ხაშალხუტი და თივ-თებელჯოხი. 1944 წლამდე ჩვენ ვცხოვრობდით ამ სოფლებში, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 800 მეურნეობას დაღესტნელი ოჯახების.*

*1944 წელს ყველა ეს 800 ოჯახი*[32] *ძალდატანებით იქნენ გადასახლებული დაღესტნის ასსრ-ს, რიტლოვსკის რაიონში. გადაასახლეს მუქარით, რომ თუ არ გადავსახლდებოდით, მაშინ ჩვენც ისე მოგვექცეოდნენ როგორც ჩეჩნებს. მთელი ჩვენი შეძენილი მეურნეობა(ქონება) – სახლები, ბაღები და სხვა ჩამოგვართვეს და გვაიძულეს ცხოვრება დაგვეწყო თავიდან.*

*ჩვენც არაფერი გვქონდა, რომ გვეჭამა, მკვეთრმა გაუარესებამ ცხოვრებისეული და კლიმატური პირობების მიგვიყვანა მძიმე შედეგებამდე – გადასახლებული დაღესტნელების თითქმის ნახევარი დაიხოცა და დანარჩენები, თავი რომ გადაერჩინათ თავის თანასოფლელების ბედისგან დაბრუნდნენ თავისთან სამშობლოში, საქართველოში.*

*თუმცა, დაღესტნელების ოჯახებს ნება არ დართეს ჩასახლებულიყვნენ თავის სახლებში და ჩვენ უბრალო თავშესაფრის ძებნა მოგვიხდა, რომ ბავშვები და მოხუცები არ დახოცილიყვნენ ღია ცის ქვეშ, ასევე მოგვიწია სხვადასხვა რაიონში გაფანტვამ.*

*ახლა ჩვენი დაღესტნური ოჯახები მიდი-მოდიან ყვარლის, ლაგოდეხის, ბელაქნის, წითელ-წყაროს, ახმეტის და საქართველოს სსრ-ს სხვა რაიონებში, სადაც სიბრალულის გამო შეიფარეს თავისთან სახლებში ქართველმა კოლმეურნეებმა, ზოგს ესეც არ აქვს.*

[32] დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ყვარლის რაიონიდან რეალურად გაასახლეს სულ 470 ოჯახი, რომელთა ქონება შეფასებულ იქნა 1 289 920 მანეთად, იხ.: კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 1. საქმე 763, გვ. 1-2.

*ამის შესახებ, 1953 წლის 4 მარტს (№73-983) დავწერეთ განცხადებაში,[33] რომელიც გავაგზავნეთ სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში, მაგრამ ჩვენი განცხადება გადაგზავნილი იქნა მშრომელთა დეპუტატთა საბჭოების, თბილისის საოლქო საბჭოში, რომელმაც ჩვენ არც კი გვიპასუხა.*

*1953 წლის 16 ნოემბერს, ჩვენ შევიტანეთ განცხადება საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე და ვითხოვეთ ნება დაერთოთ დავბრუნებულიყავით ჩვენს სოფლებში, მაგრამ ეს განცხადება გადაგზავნილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ინაურთან. პასუხი მისგან ჩვენ ვერ მივიღეთ და მასთან მიღებაზე არ დაგვიშვეს. ჩვენ ასევე მივმართეთ განცხადებით საქართველოს ცკ კპცც და ცკკპ, მაგრამ პასუხი მათგანაც არ მიგვიღია.*

*ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ უუფლებო და არაადამიანურ მდგომარეობაში მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ხალხის მტრის ბერიას გამო. იმის გამო, რომ ცალკეულმა უსულგულო ჩინოვნიკებმა, დაივიწყეს, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეები მიუხედავად მათი ნაციონალური კუთვნილებისა თანაბრები არიან – არ სურთ გამოასწორონ მდგომარეობა და დაეხმარნენ ჩვენს ოჯახებს მოიპოვონ მშვიდობა.*

*მოგმართავთ თქვენ, ჩვენ გთხოვთ დაუდოთ ბოლო უუფლებო არსებობას და ხეტიალს არაფერში დამნაშავე 463 დაღესტნური ოჯახის და დაგვეხმაროთ ჩვენ დავიწყოთ ცხოვრება, ისე როგორც ცხოვრობენ ჩვენი სამშობლოს მოქალაქეები.*

*ჩვენ გთხოვთ, თქვენ მისცეთ მითითება საქართველოს ხელისუფლებას დაგვაბრუნონ ჩვენ ჩვენს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, ჩვენს სამშობლოში, დაგვიბრუნონ ჩვენი სახლები, რომლებისგანაც, 800-დან დარჩა მხოლოდ 200.*

*პირობას გაძლევთ თქვენ, მართალია ჩვენი სოფლები თითქმის დანგრეულია, ჩვენ დაუდალავი შრომით აღვადგენთ დანგრეულ მეურნეობებს, შევქმნით ახალ კოლმეურნეობებს და ყველა ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ეს ახალი კოლმეურნეობა გახდეს სანიმუშო. ჩვენ მოგვენატრა ჩვენი სამშობლო და ვიშრომებთ გასამმაგებული ძალით.*

*ჩვენ ძალიან გთხოვთ, არ გაგზავნოთ ჩვენი წერილი საქართველოში, რადგან ჩვენ დავკარგეთ ყოველგვარი იმედი იმის, რომ ჩვენ იქ დაგვეხმარებიან.*

[33] ეს განცხადება, სავარაუდოდ, დაიწერა არა 4 მარტს, არამედ სტალინის გარდაცვალების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების დღეს – 5 მარტს.

*ყოფილი თავმჯდომარე კოლმეურნეობის და მდივანი პირველადი პარტ-ორგანიზაციის, კომუნისტური პარტიის წევრი 1940 წლიდან მამედოვი.*

*კოლმეურნეობის ყოფილი წევრი, ლაგოდეხის მოქალაქე 67 წლის მოხუცი, უპარტიო ტაგუევი"* [დოკ. №№ 3, 4, 5, 6].[34]

მცირე ექსკურსი ისტორიაში – ეს წერილი იწერება მაშინ, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვი, იმ დროს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1953-1964), სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1958-1964) იწყებს სტალინის და მისი გარემოცვის წინააღმდეგ ფარულ ბრძოლას, რაც უკვე ღიად გაცხადდა, 1956 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX საკავშირო ყრილობის მიმდინარეობისას გამართულ „დახურულ" სხდომაზე – ნიკიტა ხრუშჩოვმა „დაგმო" „პიროვნების კულტი" და გააკრიტიკა სტალინი.

როგორც ვიცით, 1956 წლის 9 მარტს თბილისში, სწორედ ხრუშჩოვის გარემოცვის ბრძანებით მოხდა, ემოციურ ნიადაგზე დაწყებული სტუდენტ-ახალგაზრდობის, მოსახლეობის ნაწილის მშვიდობიანი, ასე ვთქვათ, „პროსტალინური" დემონსტრაციის დარბევა. „წითელი არმიის" ნაწილების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, მომიტინგეებს შორის მოჰყვა დიდი მსხვერპლი – ოფიციალურად 27 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, დახოცილთა რაოდენობამ 100 ადამიანს გადააჭარბა.

მოსკოვში, მარშალ ბულგანინის სახელზე გაგზავნილი ზემომოყვანილი დოკუმენტის დეტალურ ანალიზს აქ არ გავაკეთებთ. ვფიქრობთ, უმჯობესია მკითხველმა თვითონ შეადაროს მასში მოყვანილი ფაქტების სისწორე და მათი ავტორებისეული ინტერპრეტაცია, ჩვენ მიერ გაანალიზებულ, მათ შორის რუსეთის იმპერიის პერიოდის მასალებს.[35] მხოლოდ აღვნიშნავთ შემდეგს, რომ წერილში საკმაოდ ბევრი შეუსაბამობებია ისტორიულ რეალობასთან. თუნდაც იმისი თქმა, რომ საქართველოდან დაღესტანში გადაყვანილი ლეკებს „ყველაფერი წაართვეს".[36]

საქმე იმაშია, რომ საქართველოდან გასახლებულ ლეკებს სრულად აუნაზღაურეს სახლების, ბაღების და სხვა ქონების ღირებულება. ისინი ჩეჩნებივით და ინგუშებივით არ გადაასახლეს ისეთ ადგილებში, სადაც ელემენ-

[34] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 31. საქმე 196, გვ. 85-87.
[35] თ. სიმაშვილი. კახეთში მაცხოვრებელი ლეკები საარქივო მასალების მიხედვით (ნაწილი I: XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი), გვ. 293-329.
[36] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 31. საქმე 196, გვ. 87.

ტარული საცხოვრებელი პირობებიც კი არ იყო. ამას ვფიქრობთ სრულად ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები.

ამასთან, ყვარლის რაიონიდან ლეკების გადაყვანა დაღესტნის რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაშიც 1944 წლიდან იურიდიულად შედიოდა ის ტერიტორიები, სადაც ჩასახლდნენ, რეალურად ლეკების სამშობლოში დაბრუნება იყო. ზემომოყვანილი მასალები ადასტურებენ, რომ დაღესტანში მათ უმეტესობას ისედაც გააჩნდა თავისი მამა-პაპეული სახლები და მიწის ნაკვეთები. ჩვენს მიერ ზემომოყვანილ წერილში კი, მისმა ავტორებმა თავის სამშობლოდ საქართველო „გამოცხადეს“, რაც ვფიქრობთ არ შეესაბამებოდა რეალობას.

დოკუმენტების ანალიზიდან ირკვევა, მაღალი რანგის მოსკოველი ჩინოვნიკის – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის (1952-1961), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის წევრის (1952-1957) და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. საბუროვის[37] მოწერილობა და ლეკების მიერ მარშალ ბულგანინის სახელზე გაგზავნილი წერილის ასლი, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მაშინვე იქნა „კონტროლზე“ აყვანილი და „შესასწავლად“ გადაცემული.

ამას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული სექტორის გამგის გურგენიძისადმი გაგზავნილი, 1955 წლის 13 დეკემბრით დათარიღებული საიდუმლო წერილი:

*„ვაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ-ს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, 1944 წლის 18 მაისის №546 დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ-ს ყვარლის რაიონის სოფლების ხაშალხუტი და თივის საბჭოებიდან, 1944 წელს იქნენ გადასახლებული დაღესტნის ასსრ-ში ლეკები 800 ოჯახამდე.*[38]

*გადასახლება წარმოებდა საქართველოს ცნკ დაღესტნის ცნკ-ს წარმომადგენლების მიერ მონაწილეობით.*

---

[37] მაქსიმ ზაქარიას ძე საბუროვი. საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, სკკპ-სცენტრალური კომიტეტის წევრი (1952-1961), სკკპ-ს ცენტრალური პრეზიდიუმის წევრი. კომიტეტი (1952-1957), სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. Сабуров Максим Захарович, http://hrono.ru/biograf/bio_s/saburovmz.php

[38] სხვა დოკუმენტებში ეს ციფრი ბევრად დაბალია და არ დასტურდება 800 ოჯახის გასახლება.

*ყველა მასალა გადასახლებულებზე ინახება ყვარლის მშრომელთა დეპუტატთა საბჭოს რაიაღმასკომში.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე*

*ა. ასმოლოვი.*[39]

ამ წერილის გაგზავნიდან მალევე, 1956 წლის 2 თებერვალს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. საბუროვს წერს:

*„თქვენი მითითების თანახმად, 1955 წლის 25 ნოემბერს განვიხილე მოქალაქეების მამედოვი იუსუპ ამირის ძის და ტაგუევი დჟამალის განცხადება, მათ გადასახლებაზე საქართველოს სსრ-დან დაღესტნის ასსრ-ში.*

*აღნიშნული საკითხის შესწავლით დადგინდა შემდეგი: თანახმად სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს, 1944 წლის 18 მაისის დადგენილებისა „გადასახლების დაღესტანში ასსრ-ში საქართველოს სსრ-ში მცხოვრები დაღესტნელების“, 1944 წლის აგვისტოში განხორციელდა საქართველოს სსრ-ში ყვარლის რაიონში მცხოვრები დაღესტნელების მეურნეობების, კოლმეურნეების და კერძო პირების გასახლება.*

*ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად ადგილზე ე.ი. ყვარელის რაიონში ჩავიდნენ დაღესტნის კპ საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები, დაღესტნის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი დანიალოვის ხელმძღვანელობით, რომელიც ამჟამად არის დაღესტნის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი. მათ ჩაატარეს შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაო ადგილზე, რის შედეგად გამოგზავნილ იქნა კომისია, რომელმაც განახორციელა გასახლება.*

*კოლმეურნეობების ყველა მოძრავი ქონება, კოლმეურნეების და კერძო პირების მსხვილი და წვრილფეხა პირუტყვი გადაყვანილ იქნა ახალი ჩასახლების ადგილზე. დაღესტნის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის და დაღესტნის სახალხო კომისართა საბჭოს ხელმძღვანელობით, ისინი გადაყვანილ იქნენ ახალი ჩასახლების ადგილზე დაღესტნის ასსრ-ში.*

*დარჩენილი საზოგადოებრივი და კერძო პირების უძრავი ქონება - შენობები, საცხოვრებელი სათავსოები და სხვა შეფასდა, დაღესტნის ასსრ-ს და საქართველოს მინისტრთა საბჭოების შერეული კომისიის წარმომადგენ-*

[39] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 31. საქმე 196, გვ. 11.

*ლების მიერ და მათი ღირებულება ანაზღაურებულ იქნა საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე დადგენილი წესით.*

*აღნიშნული გასახლება ჩატარდა მხოლოდ ნებაყოფილობით და ძალდატანების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. სულ გასახლდა ორი კოლმეურნეობა, 470 მეურნეობა და კერძო პირი.*

*ინფორმაციისთვის მოგახსენებთ, რომ გადასახლება ჩატარდა სოფლებში თივი და ხაშალხუტი. იმის გამო, რომ შენობები იყო ძალიან მყიფე და გამოუსადეგარი, გადასახლების შემდეგ მათი უმრავლესობა იქნა დანგრეული.*

*სოფელ თივში დღეს არ არის არც ერთი ძველი შენობა და ადგილი გამოიყენება მხოლოდ თესვისთვის და ხაშალხუტში გარკვეულ შენობებში ახლადჩასახლებულები დასახლდნენ და დანარჩენი კი, დაანგრიეს გამოუსადეგარობის გამო.*

*ადგილზე შემოწმებით დადგინდა, რომ გასახლებული დაღესტნელების, ან მათი ოჯახის წევრების ნაწილმა დატოვა თავისი ახალი საცხოვრებელი დაღესტნის ასსრ-ში და ეწევიან მოქარავნე ცხოვრებას, ემალებიან სახელმწიფო მიწოდებებს და გადასახადებს. ამასთან, ზამთრის დროს ისინი იმალებიან საქართველოს სსრ-ს კოლმეურნეობების საძოვრებზე, სადაც ინახავენ მათ საკუთრებაში მყოფ საქონელს. წლის სხვა დროს კი ბრუნდებიან დაღესტნის ასსრ-ს მთიან ადგილებში.*

*მოქალაქეების მამედოვის და ტუგაევის მიერ მათ განცხადებაში მოყვანილი მტკიცება, დაღესტნელების თითქოს იძულებით გადასახლებაზე საქართველოს სსრ-დან დაღესტნის ასსრ-ში არ შეესაბამება სინამდვილეს და არის განმცხადებლების მიერ გამოგონილი.*

*მხედველობაში იღებს რა არსებულ ვითარებას და შეუძლებლობას ასეთ მდგომარეობაში დარჩენის, საქართველოს ცკ კპ გთხოვთ დაავალდებულოთ დაღესტნის კპ საოლქო კომიტეტი და დაღესტნის მინიტრთა საბჭო ჩაატარონ საჭირო სამუშაოები ორგანიზაციულ-სამეურნეო გაძლიერებისთვის კოლმეურნეობების, გადასახლებულების საქართველოს სსრ-დან მათი ახალი ჩასახლების ადგილზე.*

*საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი*

*მჟავანაძე.*

*1956 თებერვალი“.*[40]

[40] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 31. საქმე 196, გვ. 1-3.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის ამ წერილში მოყვანილი ინფორმაციებით ვიგებთ, რომ 1944 წელს საქართველოდან დაღესტანში ლეკების დასახლებაში, სწორედ დაღესტნის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტი და დაღესტნის სახალხო კომისართა საბჭო მონაწილეობდნენ, რაც დასტურდება სხვა მასალებითაც.[41]

ამ წერილში აღნიშნული ინფორმაცია, რომ სოფლებში – თივში და ხაშალხუტში, სადაც მოსახლეობის კუთვნილი ბინები იყო ძალიან მყიფე და გამოუსადეგარი, ადასტურებს, რომ ეს იყო არა კაპიტალურად ნაშენი სახლები, არამედ „ორმისამართიანი“ ცხოვრების მიმდევარი ლეკების მიერ, მინდვრებზე აგებული საზამთრო სადგომები. შესაბამისად, სწორედ ამიტომ ვერ „გამოიყენეს“ ისინი თავისი პირდაპირი დანიშნულებით – საცხოვრებელ სახლებად, იმ კოლმეურნეობების წევრებმა, ვისაც ლეკების დაღესტანში დაბრუნების შემდეგ ეს ადგილები გადაეცათ. როგორც ზემოთ მოყვანილ დოკუმენტშია აღნიშნული, მხოლოდ მცირე რაოდენობის შენობები დარჩენილა ხელშეუხლებელად სოფელ ხაშალხუტში, სხვა სოფლებში კი სრულად დაუნგრევიათ მათი გამოუსადეგარობის გამო.

წერილიდან ასევე ჩანს, რომ დაღესტანში გასახლებული ლეკების მიერ დაღესტნის ტერიტორიის დატოვება და მოქარავნე ცხოვრება, მათი ტრადიციული მეურნეობის დარგის, მესაქონლეობითაც იყო განპირობებული.[42]

საქართველოს ეროვნული არქივის, კახეთის რეგიონულ არქივში დაცულია დოკუმენტები, 1956 წელს დაღესტნის ასსრ-დან, ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე „დაბრუნებული“ და თვითნებურად ჩასახლებული ლეკების ოჯახების რაოდენობების შესახებ.

ყვარლის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე დავითაშვილი, 1956 წლის 30 იანვარს, საქართველოს სსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წერდა: *„სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის 18 მაისის №546 დადგენილების შესაბამისად, სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის, 1944 წლის 25 ივლისის №373 დადგენილებით, 1944 წლის აგვისტოში ყვარლის რაიონის ტერიტორიიდან გასახლებულ იქნენ მუდმივად მცხოვრებელი ლეკები, ყოფილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებიც ჩეჩნენ-*

[41] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 31. საქმე 196, გვ. 11.
[42] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 31. საქმე 196, გვ. 2.

*ინგუშების გადასახლების შემდეგ მიაკუთვნეს დაღესტნის ასს რესპუბლიკას.*

*ყვარლის რაიონიდან აღნიშნულ რაიონებში გასახლებულ იქნა სულ 470 ოჯახი, რომელთა ქონება შეფასებულ იქნა 1 289 920 მანეთად".*[43]

ყვარლის რაიონის აღმასკომს, 1955 წლის მარტის თვეში ჩაუტარებია შემოწმება და დაუდგენიათ: *„321 ოჯახამდე ლეკს თვითნებურად მიუტოვებია მათვის მუდმივ საცხოვრებლად განკუთვნილი რაიონები და დაღესტანში დასახლების მავივრად ჩავიდნენ ყვარლის რაონში.*

*არაზუსტი ცნობებით:*

*„ახალსოფლის სასოფლო საბჭოში დაბრუნდა 115 ოჯახი*

*გავაზის – 2*

*ჭიკაანის – 9*

*სანავარდოს – 6*

*საბუის – 15*

*შილდის – 15*

*ენისლის – 9*

*ყვარლის – 150*

*სულ 321 ოჯახი*

*აღნიშნულ ოჯახების რაოდენობა არ არის მყარი, რადგან ლეკები ეწევიან მოძრავ ცხოვრებას – გადადიან სოფლიდან სოფელში და რაიონიდან სხვა რაიონში.*

*რაიონის მილიციის მიერ ჩატარებული ბოლო შემოწმებით 43 მამაკაცი ლეკი მუშაობს რაიონის სხვადასხვა კოლმურნეობებსა და დაწესებულებებში.*

*სახელდობრ:*

*ყვარლის რაიონის ადგილობრივ მრეწველობაში შეშის დამზადებაზე სეზონურად მუშაობდა 10-12 ლეკი;*

*სანავარდოს „კომინტერნის" სახელობის კოლმურნეობაში მწყემსად – 3 ლეკი;*

*კუჭატნის კოლმეურნეობა „განათლებაში" – 1;*

*გავაზის „ვოროშილოვის" სახელობის კოლმეურნეობაში – 1;*

*ჭიკაანის „მალენკოვის" სახელობის კოლმეურნეობაში – 2;*

*ოქტომბრის „ძნელაძის" სახელობის კოლმეურნეობაში – 4;*

[43] კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 1. საქმე 763, გვ. 1-2.

*ახალსოფლის „ლენინის“ სახელობის კოლმეურნეობაში – 6;*
*ახალსოფლის „მოლოტოვის“ სახ. კოლ. მწყემსად – 2;*
*ლეკი ბალღოჯიანის „წითელი ოქტომბერი“ – 4;*
*ყვარლის „სტალინის“ სახელობის კოლმეურნეობაში – 5;*
*ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიგორა“ – 3;*
*რაიონის სასოფლო საბჭოებს ალრიცხვაზე არ აჰყავთ ჩამოსული ლეკები.*
*ყვარლის რაიონის მშრ. დეპ. საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე –დავითაშვილი“.*[44]

როგორც აღმოჩნდა, იმ პერიოდში ყვარლის რაიონში თვითნებურად ჩასული ლეკების გამო, რაიონში სიტუაცია თანდათან მწვავდებოდა. საქართველოს ყვარლის კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი აივაზაშვილი, 1957 წლის 25 ივლისს, საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს მჟავანაძეს უგზავნის შემდეგ მოხსენებით ბარათს:

*„სრულიად საიდუმლოდ*
*საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს*
*ამხ. ვ.პ. მჟავანაძეს*

*როგორც მოგეხსენებათ სს კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით 1944 წელს ყვარლის რაიონიდან დაღესტნის ასსრ-ში გადაყვანილ იქნა ლეკების 460 კომლი, რომლებსაც საქართველოს სსრ ბიუჯეტიდან გადაერიცხათ მიწების ღირებულება.*

*ამა წლის ივლისის თვის დასაწყისში ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში სატვირთო ავტოტაქსით დაიწყო დაღესტნელი მცხოვრებლების ჩამოსვლა. აღნიშნულზე, იმ დღისითვე თქვენ გაცნობეთ და საჭირო ზომების მისაღებად, თქვენს მიერ მოვლინებულ იქნენ ამხანაგები გ. შარაშენიძე (საქ, კპცკ-ი) და დ. რომელაშვილი (საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო).*

*მათ ჩვენთან ერთად განუმარტეს ჩამოსულებს, რომ ამ ტერიტორიებზე მათი დასახლება შეუძლებელია. ჩამოსული ლეკები კი, კატეგორიულად აყენებდნენ საკითხს მათ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დასახლების შესახებ. ამის გამო, რომ მათი გაყვანა მაშინვე არ მოხდა, ივლისის პირველი ნახევრიდან გროზნოდან, უკვე მასიურად დაიწყო ავტომანქანებით და მატარებლით ლეკების ჩამოსვლა, რის შესახებაც მაშინვე გაცნობეთ და თქვენი დავალებით ადგილზე ჩამოვიდნენ ამხ. მ.ი. კუჭავა და ამხ. ვ.მ. ჯანჯღავა.*

[44] კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 1. საქმე 763, გვ. 1-2.

*ჩვენ, თქვენი მითითების თანახმად, პირველად შევთავაზეთ გარდაბნის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში დასახლება, შემდეგ ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებში, მაგრამ მათ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.*

*მდგომარეობა დღითიდღე რთულდება და თქვენი დავალებით მოვლინებულმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა გადაწყვიტეს წესრიგის დამყარების მიზნით მილიციის მუშაკთა გაძლიერება. ისინი ახლაც ადგილზე არიან. ლეკები არ იქნენ რა გადაყვანილი ამ ხნის განმავლობაში, ისინი ერთ ადგილზე დაბანაკდნენ, გაიკეთეს ქოხები და განაგრძობენ იქ ცხოვრებას.*

*თქვენი მითითების შესაბამისად, ადგილზე ამხანაგ ა.ნ. ინაურთან ერთად კვლავ ვესაუბრეთ, ვურჩიეთ, რომ ღია ცის ქვეშ მოხუცებით, ბავშვებით მათი ცხოვრება არ შეიძლება. შევთავაზეთ სოფელ მთისძირის გვერდითვე ახლა უკვე 2-3 კოლმეურნეობასთან ერთად დასახლება და სამუშაოს მიცემა, მაგრამ მათ ამ წინადადებაზე უარი განაცხადეს.*

*ეს წინადადებები ადგილზე მათი წარმომადგენლების (უნცუკულსგ(კ)ი – დაღესტნის ასსრ, ბალიევი – ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ) ავრეთვე საქ. სსრ მინისტრთა საბჭოდან ამხანაგი გ. მიროტაძე, მ. ბუჯიაშვილთან ერთად, გუშინ ე.ი. 24 ივლისს კვლავ შევთავაზეთ, მაგრამ მათ ამის მოსმენა უკვე არც კი სურთ. მოითხოვენ ერთსა და იგივეს: ჩვენ გვინდა ჩვენი ყოფილი საცხოვრებელი ადგილი!*

*აქვე მოგახსენებთ, რომ ამჟამად ჩამოსული არიან 235 კომლამდე 1000 სულზე მეტი, ელოდებიან კიდევ ამდენს, რომლებიც მათი გადმოცემით გამოსულები არიან. ამას გარდა საქონელი ცხვარი 10 000, მსხვილფეხა 500 და სხვ. უკვე მოაყენეს საქართველოს საზღვრებს.*

*მდგომარეობა მეტად სერიოზულია და დღითიდღე მწვავდება. მოსალოდნელია ჩამოსული დაღესტნელების მიერ ბინებში ძალით შესვლა და აქედან გამომდინარე ადამიანთა დიდი მსხვერპლი.*

*საქართველოს კ.პ. ყვარლის რაიკომის მდივანი ა. აივაზაშვილი*“ [დოკ. №№ 7-8].[45]

საბჭოთა ხელისუფლებას იმ ხანად, არ გაუჭირდებოდა ლეკების საქართველოდან „გაყვანა“ და დაღესტანშივე საცხოვრებლებით დაკმაყოფილება, მაშინ როდესაც მათ უმეტესობას, ჯერ კიდევ 1941 წელს, როგორც გ. ჯაშიაშვილი წერდა, დაღესტანში - ტ(თ)ლიარატის (თარატის) რაიონში, ანწუ-

[45] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 11, გვ. 1-2.

ხის და კაპუჭის თემების ოდინდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე გააჩნდათ საცხოვრებელი სახლები და მიწები.[46]

თუ ამას დავამატებთ, იმ გარემოებას, რომ 1956 წლის 9 მარტს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ თბილისში შეყვანილმა ჯარის ნაწილებმა დაუნდობლად დაარბიეს და დახვრიტეს სტუდენტების და უბრალო ადამიანების მშვიდობიანი დემონსტრაცია, ნათელი ხდება არსებობდა მიზეზები, რის გამოც ლეკები საქართველოში დაუბრკოლებლად ჩამოვიდნენ და სავარაუდოდ მათ ხელსაც უწყობდნენ ჩამოსვლაში.

პასუხგასაცემია კითხვები, თუ რატომ არ დაბინავდნენ ლეკები საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება სთავაზობდა მათ – გარდაბანში, წითელწყაროში, ლაგოდეხში. ასევე საკუთრივ ყვარლის რაიონის სხვა ადგილებში. როგორც სკკპ-ს ყვარლის რაიონის პირველი მდივანი აივაზაშვილი წერდა: *„ჩამოსული ლეკები კატეგორიულად აყენებენ საკითხს მათ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დასახლების... პირველად შევთავაზეთ გარდაბნის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში დასახლება, შემდეგ ლაგოდეხის და ყვარლის რაიონებში დასახლების, მაგრამ ყველა ამაზე კატეგორიული უარი მივიღეთ“*.[47] „ვისი“ იმედი ჰქონდათ ლეკებს, როდესაც პრაქტიკულად „ულტიმატუმის ენით“ ელაპარაკებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს?!

როგორც ჩანს, საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ იცოდა, სსრკ-ს ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. შესაძლებელია, მართლაც არსებობდა საშიშროება, რომ ლეკებთან დაპირისპირების შემთხვევაში, ქართველი ხალხისთვის დაებრალებინათ, რომ ჩაგრავდნენ ეროვნულ უმცირესობებს და ეს გამხდარიყო ქართველების რეპრესიის საბაბი. სწორედ ამ წლებში გავრცელდა მოსაზრება, რომ ნიკიტა ხრუშჩოვი აპირებდა ქართველების შუა აზიაში გადასახლებას, საქართველოში კი რუსი და სხვა ეროვნების ხალხების ჩამოსახლებას.[48]

ჩანს, საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ასევე გაითვალისწინა სხვა გარემოებებიც და „ჩათრევას, ჩაყოლა ამჯობინა“, თუმცა ლე-

[46] კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი № 491. საქმე № 6, გვ. 18.
[47] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 11, გვ. 1.
[48] https://for.ge/view/51736/rogor-moarjula-nikita-xruSCovi-vasil-mJavanaZem.html

კების „კატეგორიულ“ მოთხოვნებს მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ამაზე მეტყველებს, 1957 წლის 2 ოქტომბერს, ყვარლის რაიონის მაღალი თანამდებობების პირების მიერ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გაგზავნილი შემდეგი წერილი:

*„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 ივლისის № 485-სდა 1957-წლის 17 აგვისტოს №533 დადგენილებებით გადაწყდა, რომ ჩეჩენ-ინგუშეთიდან თვითნებურად ჩამოსული ლეკები დასახლებულნი ყოფილიყვნენ ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე.*

*ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის – „ხრუშჩოვის“ სოფელ ახალსოფლის- „ლენინის“, „მარჯანიშვილის“ და სოფელ ბალღოჯიანის „წითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ განეხილათ საერთო კრებებზე საკითხები და მიეღოთ თავიანთ წევრებად ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ რესპუბლიკიდან თვითნებურად ჩამოსული ლეკები და მიეზომათ მათთვის სასარმიდამო ნაკვეთები.*

*დადგენილების მომზადების დროს, თვითნებურად ჩამოსულ დაღესტნელთა უმრავლესობამ საქართველო სსრ მთავრობის კომისიას თანხმობა განუცხადა ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებში წევრად შესვლასა და მუშაობაზე, მაგრამ შემდეგ ისინი აღარ ასრულებენ დადგენილებას და სოფელ ბალღოჯიანის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე დროებით დასახლებული 160 კომლის გარდა, ყველა უარს აცხადებს დასახელებულ კოლმეურნეობებში შესვლაზე და მათთან მუშაობაზე.*

*სოფელ ჭიკაანის „ხრუშჩოვის“ და სოფელ ახალსოფლის „ლენინის“ და „მარჯანიშვილის“ სახელობის კოლმეურნეობების ტერიტორიებზე დასახლებული ლეკები დაჟინებით მოითხოვენ გამოეყოთ ცალკე ტერიტორია სოფელ მთისძირის „ჭავჭავაძის“ სახელობის კოლმეურნეობის, საიდანაც გასახლებული იქნენ 1944 წელს ნაკვეთებიდან და იქ შეიქმნას მათგან დასახლებული პუნქტი და ცალკე კოლმეურნეობა, ამას ასაბუთებენ თავიანთი რელიგიური რწმენითა და ზნე-ჩვეულებათა თავისებურებით.*

*1944 წელს ყვარლის რაიონის მთისძირის და თივ-თებელჯოხის ტერიტორიიდან გასახლებული იქნა 470 კოლმეურნე ოჯახი. ამჟამად ჩამოსახლდა 3 კოლმეურნეობა 494 კოლმეურნე ოჯახი, რასაც დაემატა 1944 წლიდან დაწყებული თვითნებურად დაბრუნებული 100 ოჯახზე მეტი, ამრიგად 594 ოჯახი იმყოფება რაიონში მოსალოდნელ ზამთრის წინ მინიმალურ*

*საცხოვრებელ პირობებს მოკლებული. გასათვალისწინებელია, რომ დაღესტნელთა კოლმეურნეობებმა ჩამორეკეს ცხვარი 5600 სული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 685 სული, ცხენი 78 სული, რასაც ემატება პირადი სარგებლობის პირუტყვიც დიდი რაოდენობით.*

*ადგილზე გატარებული მუშაობის შედეგად, თვითნებურად ჩამოსული ლეკების ერთი ჯგუფისავან განცხადებები წევრად მიღებაზე შევიდა ახალსოფლის „მარჯანიშვილის“ სახელობის კოლმეურნეობაში. ამა წლის 30 სექტემბერს ჩატარდა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, კრებაზე ლეკებმა უარყვეს განცხადებების დაწერა და განაცხადეს,რომ მათ „არ სურთ ქართველების კოლმეურნეობაში წევრად შესვლა“.*

*ახალსოფლის „ლენინის“ სახელობის კოლმეურნეობაში შეტანილი 72 განცხადება უკანვე წაიღეს და აღარ მიაქვთ კოლმეურნეობაში, ხოლო ჭიკაანის „ხრუშჩოვის“ სახელობის კოლმეურნეობაში არც ერთი განცხადება არ მიიტანეს.*

*დასახლებული კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ყოველდღე აკითხავდნენ და ეთათბირებიან ლეკებს, მაგრამ მათი პასუხი ყოველთვის ერთია.*

*მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ჭიკაანის „ხრუშჩოვის“, ახალსოფლის „ლენინის“ და „მარჯანიშვილის“ სახელობის კოლმეურნეობების – წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგია, არ უნდათ მიიღონ წევრებად თვითნებურად ჩამოსული ლეკები მიწების სიმცირისა და რელიგიური ჩვეულებებით სასმელი წყლების და სხვა საზოგადოებრივი ადგილების გაბინძურების გამო.*

*იმის გამო, რომ თვითნებურად ჩამოსულ ლეკებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ არ დარჩნენ ამჟამად მათთვის მიჩენილ ადგილებში, არა ზრუნავენ შეიქმნან პირობები გამოზამთრებისათვის, იმყოფებიან ხის ფოთლების ქოხებში ანტისანიტარულ პირობებში. ადგილი აქვს კუჭ-ნაწლავითა და ბავშვთა გადამდებ სნეულებებით დაავადებებს. ავადმყოფობის უკვე 285 შემთხვევაა აღრიცხულია – გარდაცვლილია ერთი მოზრდილი და 9 ბავშვი.[49] რაიონის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, რომ ავადმყოფი ბავშვები მოათავსონ საავადმყოფოში უარს აცხადებენ. მძიმე მდგომარეობა მოელის მათ პირუტყვსაც ბინების და საკვების მოუგვარებლობის გამო.*

[49] ტაგუევის და წერილისგან განსხვავებით აქ გარდაცვლილების სხვა რაოდენობაა დასახელებული.

*ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიიდან თვითნებურად ჩამოსულ ლეკთა მოთხოვნის დაკმაყოფილება და მათი სოფელ მთისძირის „ჭავჭავაძის“ სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე დასახლება გამოიწვევს იქ მცხოვრებთა შეიწროებას და მათ თანდათანობით განდევნას.*

*ამჟამად შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ერთია: ზამთრის დადგომამდე ადმინისტრაციული წესით გაყვანილ იქნეს ყვარლის რაიონიდან ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიიდან თვითნებურად ჩამოსული ახალსოფლისა და ჭიკაანის ტერიტორიაზე დაბანაკებული ლეკები.*

*გთხოვთ თქვენს მითითებას.*

1. */ი. ქურციკიძე/*
2. */ბ. ჩიხლაძე/*
3. */ა. ავაზაშვილი/*
4. */მ. დავითაშვილი/“*.[50]

აქ მოყვანილი დოკუმენტების შინაარსი ვფიქრობთ ადასტურებს, რომ ყვარლის რაიონის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ცენტრალური ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ, რადგან ამ დროს ლეკი მოსახლეობა ქართველ მოსახლეობასთან შედარებით „პრივილეგირებულ“ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1955 წლის ნოემბერში, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მარშალ ბულგანინთან გაგზავნილ წერილში, ისინი სტალინის „პერიოდში“ მოქალაქეობა-წართმეულ, უუფლებო მდგომარეობაში ჩაყენებულ, რეპრესირებულ ხალხებს აკუთვნებდნენ თავს და „სტალინ-ბერიასგან დაჩაგრულების“ იმიჯი ჰქონდათ მორგებული და ამავე დროს ცენტრალური ხელისუფლებისგან გარკვეულ მხარდაჭერასაც გრძნობდნენ.[51]

ყვარლის რაიონის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა წინააღმდეგი იყო ლეკების ხელახლა ჩასახლების, რადგან არსებობდა ლეკების კომპაქტურად ჩასახლების ადგილებიდან ეთნიკური ქართველების განდევნის, ლეკებს და ქართველებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების დაწყების საფრთხე, იძულებული გახდნენ ლეკები დაესახლებინათ ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე.[52]

თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, 1944 წელს ყვარლის რაიონიდან 470 ოჯახი იქნა გადაყვანილი დაღესტანში საცხოვრებლად, ხოლო უკ-

[50] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 11, გვ. 3-5.
[51] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 31. საქმე 196, გვ. 86-87.
[52] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 11, გვ. 3-5.

ან „დაბრუნდა“ 594 ოჯახი[53] ასევე სხვა მასალებსაც, სადაც აღნიშნულია - საქართველოში ჩამოსული ლეკებიდან 114 კომლს, 1944 წლამდე არანაირი კავშირი არ ჰქონდა ყვარლის რაიონთან,[54] გამოვიტანთ დასკვნას, რომ საქართველოში ხელახლა დასასახლებლად ის ლეკებიც „ჩამოვიდნენ“, ვინც 1944 წლამდე ყვარლის რაიონში არ ცხოვრობდნენ.

1950-იან წლებში ყვარლის რაიონში ლეკების „თვითნებურად“ ჩასახლების რეალურ ისტორიას და ამ პროცესის შეგნებულად „თვიდინებაზე“ მიშვებას კარგად ასახავს, ყვარლის რაიონის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის, ალ. აივაზაშვილის მიერ, 1957 წლის 15 ოქტომბერს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ვ.პ. მჟავანაძისადმი გაგზავნილი, შემდეგი მოხსენებითი ბარათი:

*„როგორც მოგახსენებათ, ამა წლის ივლისის თვის დასაწყისში, როცა ჩეჩენ-ინგუშეთიდან ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში თვითნებურად იწყეს ჩამოსვლა ლეკებმა, ჩვენ მაშინვე გაცნობეთ.*[55]

*თქვენს მიერ მეორე დღესვე ადგილზე მოვლენილი იქნენ ამხ. ამხ. გ.ი. შარაშიძე და დ.ზ. რომელაშვილი. ჩვენ დასახელებულ ამხანაგებთან ერთად განუმარტეთ ლეკებს, რომ მათი იქ დასახლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან იქ უკვე ცხოვრობს ქართველი მოსახლეობა. ჩამოსული ლეკები კი, კატეგორიულად აყენებდნენ საკითხს თავიანთ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დასახლებისას.*

*იმის გამო, რომ ვერ გადაწყდა მათი (10-15 კომლის) მაშინვე იმ ადგილებიდან გაყვანა, ივლისის თვის განმავლობაში მასიურად იწყო გროზნოდან ავტოტრანსპორტებით და რკინიგზით მათი შემოსვლა. ამის შესახებაც გაცნობებთ და თქვენს მიერ ადგილზე მოვლენილ იქნენ ამხ. გ.ი. კუჭავა, ნ.ბ. ინაური, ვ.ნ. ჯანჯღავა და სხვა.*

*საქ. კ.პ. ცენტრალური კომიტეტის მითითების შესაბამისად ვურჩიეთ ლეკებს წითელწყაროსა და გარდაბნის რაიონებში სახლების მიღებისა და იქ დასახლების შესახებ. მათ ამაზეც კატეგორიული უარი განაცხადეს.*

*ა/წლის ივლისის თვეში მიღებულ იქნა საქ. კ.პ. ცენტრალური კომიტეტის და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა მათი ყვარლისა და*

[53] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 11, გვ. 3-5.
[54] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 11, გვ. 4-5.
[55] აღნიშნული წერილი იხილეთ ზემოთ: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 11, გვ. 1-2.

*ლაგოდეხის რაიონში დასახლების შესახებ. მათ ამაზეც უარი განაცხადეს და ბოლოს როცა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ა/წლის 29 ივლისის დადგენილებით გადაწყდა, რომ ისინი უნდა დასახლებულიყვნენ ყვარლის რაიონის რამოდენიმე კოლმეურნეობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახლებული იქნებოდნენ. დაინახეს რა ადგილზე მათ წასაყვანად მომზადებული ავტოტრანსპორტი და მილიციის, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, ისინი დათანხმდნენ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიჩნეულ ადგილებში დასახლებაზე, რომ მათ ჩვენს მიერ მიჩნეული ადგილები მოიწონეს საცხოვრებლად ფაქტია. ამას ადასტურებს მავალითად სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობასთან მისახლებული ლეკთა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. კახიტევის დეპეშა, რომელიც მან გააგზავნა დასახლების მეორე დღეს. (თან ერთვის)*

*ლეკები დასახლდნენ 4 ადგილას, მაგრამ ორ ადგილას მყოფი ლეკები სახელდობრ ჭიკაანისა და ახალსოფლის „ლენინის“ სახელობის კოლმეურნეობასთან მისახლებულები, არც განცხადებას წერენ კოლმეურნეობაში შესვლაზე და არც ემზადებიან ზამთრისათვის. არ იკეთებენ საცხოვრებელ ბინას და სხვა. კატეგორიულად მოითხოვენ თავიანთ ძველ საცხოვრებელ ადგილს.*

*თქვენგან მივიღეთ ჩვენ მათ მიერ გამოგზავნილი განცხადება, რომელსაც ხელს აწერს 6 ლეკი. ისინი განცხადებითაც პირდაპირ მოითხოვენ და წერენ „რამდენად კანონიერია, რომ ჩვენს სახლებში სხვები ცხოვრობენ და ჩვენ კი ღია ცის ქვეშ უბინაოდ ვიხოცებოდეთ?“*

*თავიანთ ვრცელ განცხადებაში წერენ: „მილებული გადაწყვეტილებით ჩვენ ქართველებთან ერთად უნდა ვცხოვრობდეთ, ეს არაა ცუდი, ამას ბევრი რამ, რომ არ უშლიდეს ხელს. ჩვენ მუსულმანები ვართ, ენა - სხვა გვაქვს, ადათი და ჩვეულება სხვა გვაქვს. ქრისტიანების დაკლულს ჩვენი ხალხი არ ჭამს, ჩვენ რომ ვლოცულობთ იმ წყალს ქრისტიანები არ სვამენ, ჩვენს ხალხს ღორი ეჯავრება, სადაც ღორი გაივლის იქ არ ილოცებს და წყალსაც არ დალევს“.*[56]

*წერილს შემდეგი შინაარსით ამთავრებენ: „მთისძირის ახლანდელი*

[56] აღსანიშნავია რომ საბჭოთა პერიოდში, 1941 წელს, როდესაც გიორგი ჯაშიაშვილი იმყოფებოდა დაღესტანში, იგი წერს, რომ ლეკები არ იცავდნენ ისლამური რელიგიის აკრძალვებს და სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელს: კახეთის რეგიონალური არქივი. თელავის რაიონი. გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი. ფონდი №491. საქმე № 6, გვ. 25.

*მცხოვრები ქართველები ისევ ქართველებთან გადაესახლებინათ და ჩვენთვის დაგეთმოთ ჩვენი ძველი სოფელი მთისძირი“.*

*ძველ ადგილზე დასახლებას მოითხოვენ თავიანთ ყოფა-ცხოვრების და რელიგიური ზნე-ჩვეულებებით და ყოველმხრივ ცდილობენ „დაასაბუთონ“, რომ მათ ქართველებთან ცხოვრება არ შეუძლიათ. ამასთან უნდა მოგახსენოთ ჩვენი რაიონის დასახლებული სოფლების კოლმეურნეთა უმრავლესობა წინააღმდეგია მათ მისახლებაზე მიწების სიმცირისა და რელიგიური ჩვეულებებით სასოფლო წყლებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დაბინძურების გამო, ბალღოჯიანის „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის გამგეობამ მათთან მისახლებულ იმ ლეკთა განცხადება, რომლებმაც სურვილი განაცხადეს. კოლმეურნეობაში შესვლაზე განიხილა და მიიღეს ისინი არსებული წესით და მათაც დაიწყეს საცხოვრებელი ბინების კეთება. რაც შეეხება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ახალსოფლის და ჭიკაანის კოლმეურნეობებთან მისახლებული ლეკები კვლავ კატეგორიულ უარს აცხადებდნენ. უკანასკნელად ამ ერთი კვირის წინ გავაცანით რა ზემოაღნიშნული მდგომარეობა თქვენს მიერ მოვლინებულ იქნენ ამხ. ამხ. ვ.ნ. ჯანჯღავა, მ.ფ. შვირკოვი და სხვა. ჩვენთან ერთად მათაც განუმარტეს ლეკებს, რომ მათი ეს მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა და სხვ. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა – ისინი კვლავ ერთი და იგივეს გაიძახიან მთისძირში დასახლებას.*

*როგორც მოგეხსენებათ ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილზე იყვნენ ავრეთვე დაღესტნის რესპუბლიკიდან ხელმძღვანელი მუშაკები, მათ ურჩიეს გამოყოფილ ადგილებზე დასახლება,მაგრამ უარით გაისტუმრეს ისინიც.*

*მოგახსენებთ, რომ მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, თოვლი უკვე მთის კალთებზეა, ზამთარი მოახლოვდა, ისინი კი თავიანთი ამ ჯიუტობის გამო ღია ცის ქვეშ მოხუცებითა და პატარა ბავშვებით უმწეო მდგომარეობაში არიან, უარეს მდგომარეობაში ყავთ პირუტყვი, როგორც კოლმეურნეობისა ისე პირადი, მოსალოდნელია მძიმე ეპიდემიური დაავადება და ყველა სხვა გართულება.*

*გთხოვთ, თქვენს მითითებას.*

*საქართველოს კ.პ. ყვარლის რაიკომის*

*მდივანი ალ. აივაზაშვილი“.*[57]

ამ პერიოდში, სსრკ-ში, სადაც რელიგიური თემატიკა გარკვეულწილად ტაბუდადებული და მიჩქმალული იყო, ასე თამამად რელიგიურ გრძნო-

[57] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 11, გვ. 6-8.

ბებზე აპელირება მეტყველებს, რომ ლეკი მოსახლეობა არ ერიდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე თავისი მოთხოვნების ამ ფორმით დასაბუთებას და იმედიც ჰქონდა, რომ მათ წინააღმდეგ რაიმე დამსჯელ ღონისძიებას არ გამოიყენებდნენ.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, ლეკები სოფელ ჭიკაანში კოლმეურნეობების წევრებად მაინც მიულიათ. ჩვენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალებში დაცულია, ამ პერიოდში სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობაში წევრებად მიღებული ლეკების სია. დოკუმენტში ჩამოთვლილია კომლებში შემავალი ლეკი მოსახლეობის გვარ-სახელები.[58]

მასალებში მოთავსებულ ამ დოკუმენტს აწერია: *„1957 წელს თვითნებურად ჩამოსახლებული ლეკების სია, რომელთა კომლების რაოდენობა უდრის 268 კომლს, მცხოვრებთა რაოდენობა 757 სულს, 1957 წლის აგვისტოს მდგომარეობით“.*[59]

ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე, „ეტაპობრივად“ ჩასული ლეკების ძირითადი მასის 1957 წელს ჩასახლებას ადასტურებს, 1990 წლით დათარიღებული სოფელ ჩანტლისყურეს ლეკი მოსახლეობის ერთობლივი წერილიც, სადაც ნათქვამია: *„1957 წელს, როცა ჩვენი სოფელი ჩამოსახლდა და შეუერთდა ჭიკაანის კოლმეურნეობას ჩვენ ჩამოვიყვანეთ და ჩავაბარეთ კოლმეურნეობაში ცხვარი, საქონელი, ტრანსპორტი და სხვა“.*[60]

მოძიებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ყვარლის რაიონში თვითნებურად ჩამოსული ლეკების კოლმეურნეობების წევრებად მიღების პროცესი 1958-1960-იან წლებშიც გრძელდებოდა.[61]

ყვარლის რაიონის, სოფელ ჭიკაანის სასოფლო საბჭოს, 1958-1960 წლებით დათარიღებულ მასალებში დაცულია, ამ სასოფლო საბჭოში „დროებით მაცხოვრებელთა“ სიები. ესენი ძირითადად არიან ლეკები, რომლებსაც „მუდმივ საცხოვრებელად“ ზოგს უწერია ქალაქები – თელავი, თბილისი, ზოგს კი სოფლები – ჩანტლისყურე, ახალსოფელი, ოქტომბერი (ზინობიანი),

[58] კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 35. საქმე 141, გვ. 1-26.

[59] კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 35. საქმე 141, გვ. 1.

[60] კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 1. საქმე 321, გვ. 121.

[61] კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 35. საქმე 141, გვ. 27-28.

შიბლიანი – კაჭრეთის რაიონი. ამ ადამიანების ნაწილს, მუდმივ საცხოვრებლად მითითებული აქვს დაღესტანი, რაც ჩვენი აზრით ადასტურებს, რომ მათ დაღესტანში საცხოვრებელი ბინები და მიწის ნაკვეთები გააჩნდათ.[62] საბჭოთა პერიოდში, ხომ მოქალაქე ოფიციალურად იყო „ჩაწერილი“ მის კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთში თუ სახლში, რაც „ასახული“ იყო მის პასპორტში.

ჩვენს მიერ მოძიებული სხვა მასალებიდან ირკვევა, რომ „ლეკების საკითხი“ კვლავ დიდხანს „იდგა“ ყვარლის რაიონის და საქართველოს სსრ-ს ხელმძღვანელების „ყურადღების“ ცენტრში.

მაგალითად, 1962 წლის 5 მარტით დათარიღებულ საქართველოს კომუნისტური პარტიის ყვარლის რაიონული კომიტეტის მდივნის ზაუტაშვილის და ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ჭერაშვილის განცხადებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ.პ. მჟავანაძის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ.დ. ჯავახიშვილის სახელზე ირკვევა, რომ ყვარლის ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, კვლავ საკმაოდ იყვნენ „შეწუხებული“ ყვარლის რაიონში ლეკების თვითნებურად დასახლებით:

*„ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები დაღესტნელები 1944 წლის აგვისტოში გასახლებული იქნენ ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე. 1957 წელს ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე გასახლებული მოსახლეობა თვითნებურად ჩამოვიდა ჩვენს რაიონში, რომლებიც განაწილებულ იქნენ ახლად შექმნილ 4 დასახლების ადგილზე და მიერთებულ იქნენ რაიონის 4 კოლმეურნეობას.*

*1957 წელში თვითნებურად ჩამოსულ დაღესტნელების გარდა ზემოხსენებულ ადგილზე აღმოჩნდა 114 კომლი, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ 1957 წელს ჩამოსულ დაღესტნელ მოსახლეებთან ერთად დასახლებას.*

*კომისია, რომელმაც გამოიკვლია აღნიშნული 114 თვითნებურად დამატებით ჩამოსული კომლი, შედგენილ იქნა ჩვენს მიერ ჯერ კიდევ, 1962 წლის 27 თებერვლამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობით. აღნიშნულ კომისიას ხელმძღვანელობდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.*

[62] კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 35. საქმე 135, გვ. 1-4.

*კომისიის დასკვნა ჩემს მიერ მოხსენდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. ჟავანაძეს, სადაც გარდა თვითნებურად დამატებით ჩამოსული დაღესტნელებისა, ყურადღება იქნა გამახვილებული დაღესტნელ და ქართველ მოსახლეობას შორის არსებული ურთიერთობის საკითხებზე.*

*ამჯერად, ჩვენს მიერ დაყენებულ კითხვებზე მოგახსენებთ შემდეგს: ჩვენს ხელთ არსებული განმეორებითი აღწერისა და შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე გთხოვთ გახადოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის საგნად ჩვენს რაიონში თვითნებურად ჩამოსული დაღესტნელების საკითხი.*

*საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის მდივანი; ზაუტაშვილი*

*ყვარლის მშრ. დეპ. საბჭ. აღმასკომის თავმჯდომარე: გ. ჭერაშვილი“* (სტილი დაცულია – თ. ს.).[63]

საარქივო მასალებში მოვიძიეთ, 1957 წელს ყვარლის რაიონში ჩასახლებული ლეკების შესახებ სხვა დეტალური ინფორმაციებიც - თუ სად, რომელ ტერიტორიაზე და რა რაოდენობით დასახლდნენ. 1965 წლით დათარიღებულ დოკუმენტში - №348 6/5, რომელიც ყვარლის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მიერ ეგზავნება, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, აღნიშნულია: *„1944 წელს ყვარლის რაიონში შემავალ სოფლებიდან, სახელდობრ: თივთებელჯოხიდან და ჩაშალხუტიდან გასახლებული იქნენ ლეკები, რომლებიც 1957 წელს უკანვე იქნენ ჩამოსახლებული. ნაწილი დასახლდა ადრინდელ სოფელ თივში, ხოლო დანარჩენი დასახლდნენ ახალ ტერიტორიაზე, კერძოდ სარუსოში, თხილისწყაროში, ჩანტლისყურეში.*

*სოფელ თივში ცხოვრობს 193 კომლი, 670 სული*

*სარუსოში 113 კომლი, 490 სული*

*თხილისწყაროში – 90 კომლი, 460 სული*

*ჩანტლისყურეში – 163 კომლი, 690 სული*

*სულ 568 კომლი, 2310 სული*

*აღნიშნული დასახელებული სოფლებიდან შედის ახალსოფლის სასოფლო საბჭოში, სოფლები: თივი, სარუსო, თხილის წყარო და ჭიკაანის სასოფლო საბჭოში კი სოფელი ჩანტლისყურე.*

*სოფელი თივი გაერთიანებულია ბალღოჯიანის „წითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობაში.*

[63] შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 64. აღწერა 16. საქმე 101, გვ. 4-5.

*1944 წელს თებელჯოხიდან გასახლებულ იქნა ლეკების 117 კომლი, ხაშალხუტიდან 482 კომლი, სულ 659 კომლი.*

*ჩამოსახლებულ იქნენ 1957 წელს, სულ 555 კომლი, 2047 სული.“*

*ყვარლის რაიაღმასკომის მშრომელთა დეპ. საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ.ვითაშვილი“.*[64]

ამრიგად, როგორც ვნახეთ საარქივო მასალების ანალიზიდან გამომდინარე, ყვარლის რაიონში მცხოვრები ლეკი მოსახლეობის საქართველოში ხელახლა ჩამოსახლების ისტორიის შესწავლა აუცილებელია. გამოსარკვევი და დასადგენია საბჭოთა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების როლი ამ პროცესებში. მით უმეტეს, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში პერიოდულად ხდება ყვარლის რაიონში 1950-იან წლებში ხელახლა ჩასახლებული ლეკი მოსახლეობის შესახებ სხვადასხვა „საკითხების“ გააქტიურება. ამიტომ ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით კვლევებს, რომ შეიქმნას იმ დროს განვითარებული მოვლენების რეალური სურათი.

[64] კახეთის რეგიონალური არქივი. ყვარლის რაიონის მასალები. ფონდი 1. საქმე 1139. გვ. 1-2.



1 რი დააჩქარა საკითხის მოგვარება, ერთ ადგილას დამკვიდრების საკითხი.

წარმოსადგენი 1940 წელში საკადრებული მინერების ტამომშენების საკითხი ისე მწვავედ დადგა, რომ მახსოვს მიუხედავად 1940 წლის დეკემბრისა იყო ამ მახსოვს – ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სტენოგრაფიის ანტარში, სადაც ტანსიული იყო პლენუმზე საკადრეური საკითხი. სტენოგრაფიის მასალებში ეწერა – მიქოიანი აგენებდა საკითხს, ის ეთნც უმიზეზოდ ვერ ტამოიშუშავებს მრომა დეკების დაწესებული მინიმუმს დადასტურებული იქნენ მორეული მხარეში 5-დან 8 წლამდე. მაგრამ ამ წინადადებაზე იქვე არის სტალინის პასუხი – რომ შეუძლებელია ამის ტატარება, საჭიროა კადრებთან ფეხი მუშაობა – ეს ლენინძღება სტიანოია.

ტავიდა დრო და 8 წლის შემდეგ მიქოიანის შეტანილმა წინადადებამ ჰპოვა მაინც ტანხორციელება.

როგორც ვიცით "კაჩოვნიკების" მოგვარების საკითხი "მაინც ასე ვერ ტახდება" მე დამთავრა და რიგითაც შეთისწავლეთ და ჩაეტარეთ აღრიცხვა ადგილზე, აღმოჩნდა რომ 217 კოცი ღეკური იყავი ცხოვრობს ციკი-ფებელყოსში. აქეს სახლი , ეზო და ბოტს საკმაო მიწის ნაკვეთიც. ამავე დროს ისინი ცხოვრობდნენ დაღესტნის რესპუბლიკაში შაურის და ბარაგის რაიონში, მდინარე სიმურის ხეობაში – ეს მოსახლეობა მუშაობდნენ როგორც ბარაგის რაიონის კოლმეურნეობებში ისევე კახეთის ღეკის სოფლის კოლმეურნეობებში (ფაქტიურად კი არსად), რაც ტაუტებრობას იწვევდა რომელი სად მუშაობდა და რა საქმიანობას ეწეოდა – დაგვებოლოვებინა მაგი ერთ ადგილას მკვიდრად დასახლებას სამი შესაძლებლობა ეთქვიდეთ მაგდენს საჭირო დახმარების ტასაწევად.

ამიტომ ჩატარდა მოლაპარაკება დაღესტნისა და საქართველოს ხელმძღვანელებს შორის, ამ მოსახლეობას სად ეცხოვრად მუდმივად. რადგან ორივე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჭირდათ სახლკარი და მინაერობა.

ჩვენ მივიხიდეთ რომ მაგ ეცხოვრათ დაღესტნის იმ რაიონებში, სადაც მინაერობის ნაწილი ჭირდათ – ას ღეკ-მოსახლეობამ იქ ცხოვრებაზე უარი ტანაცხადეს და მოიხსნეს ეცხოვრათ ყვარელის რაიონის ღეკის სოფლებში, რადგან ბევრი მაგთანი დაბადებული იყო საქართველოში, ქართული კარტად იციან, ბევრის შვილები უკვე სწავლობდნენ ქართულ სკოლებში – წაეხალისებინა ჭირდათ ქართველ ოჯახებთან, ამიტომ მათ ადვილად უძრავ ქონებაზე ეხელს იღებდნენ – უფლებდნენ ბარაგის რაიონის იმ სოფლების კოლმეურნეობებს სადაც ისინი მანამდე ცხოვრობდნენ – მაგი ეს ხდება მათს სასარგებლოდ ტადაწყდა.



2

Прил.к п.3 опр.пр.№-373.

ПОСТАНОВЛЕНИЕ №

Совета Народных Комиссаров Грузинской ССР и
Центрального Комитета КП(б)Грузии

О переселении в Дагестанскую АССР дагестанцев, проживающих в Грузинской ССР.

Во исполнение постановления Совета Народных Комиссаров Союза ССР от 18 мая 1944 г. № 546, Совет Народных Комиссаров Грузинской ССР и ЦК КП(б)Грузии постановляют:

1. Переселить в районы бывшей Чечено-Ингушской АССР, отошедшие к Дагестанской АССР, все хозяйства колхозов, колхозников и единоличников - дагестанцев, проживающих в Кварельском районе Грузинской ССР.
Всю подготовительную работу провести с расчетом окончания переселения не позднее 10 августа 1944 г.

2. Разрешить переселяемым колхозникам и единоличникам взять с собою лично принадлежащее им имущество и скот, а также все принадлежащее колхозам движимое имущество, скот и денежные средства, оставшиеся после выполнения государственных обязательств.
Установить, что скот, принадлежащий колхозам, колхозникам и единоличникам, переселяемым в Дагестанскую АССР, направляется к месту нового поселения гоном.

3. В целях избежания излишних перевозок, установить, что зерно, принадлежащее колхозам, колхозникам и единоличникам, переселяемым в Дагестанскую АССР, сдается на месте представителям Уполнаркомзага СССР по Грузинской ССР.

Обязать Зам.Уполнаркомзага СССР по Грузинской ССР (тов.Кириакова) и Управляющего Грузконторой В/О Юго-Заготзерно (тов.Сихарулидзе) принять на месте в сел.Тиви и Хашалхути зерно от колхозов, колхозников и единоличников, переселяемых в Дагестанскую АССР и выдать последним обменные квитанции установленной формы для получения соответствующего количества зерна в местах нового вселения.

4. Установить, что в тех случаях, когда к моменту переселения колхозов, колхозников и единоличников в Дагестанскую АССР, не будут произведены уборка поздних культур (кукуруза) и посевов на их приусадебных участках, то оценку урожая и организацию уборки этих культур, а также возмещение урожая, причитающегося колхозам колхозникам и единоличникам (за вычетом госпоставок, натуроплаты и семенной ссуды) производит Кварельский райисполком.
Обязать председателя Кварельского райисполкома тов.Авазашвили организовать комиссию во главе с ответственным работником райисполкома для проведения точного учета посевов поздних культур, а также оценки урожая и установления размера урожая, подлежащего возмещению каждому хозяйству в отдельности.

5. Обязать председателя Кварельского райисполкома тов.Авазашвили организовать соответствующий уход, охрану и уборку урожая поздних культур с посевов, принадлежащих колхозам, колхозникам и единоличникам, переселяемым в Дагестанскую АССР.

6. Установить, что колхозам, колхозникам и единоличникам, пе-



3

ЦК КП Грузии -тМжаванадзе, Дагестанский обком КПСС - т.Даниялову.

Прошу Вас рассмотреть этот вопрос и принять необходимые меры.

М.Сабуров

25 ноября 1955 г.

ЦК КП Грузии № м/172-Кол. „1" XII 1955 г.

---

ПП-2377 Копия

Председателю Совета Министров СССР

маршалу Советского Союза

товарищу БУЛГАНИНУ Н.А.

Мамедова Юсупа Алировича, прожив. с.Шрома,Лагодахского р-на Грузинской ССР,ул.Тельмана,104

Тугаева Джимал, прожив.с.Лагодахи Груз.ССР, ул.Ворошилова,8

З а я в л е н и е.

Обращаемся к Вам от имени 463 дагестанских семей, которые по воле врага народа Берия вот уже 11 лет находятся в совершенно бесправном положении, не совершив никаких преступлений. Мы одиннадцать лет безуспешно добиваемся восстановления наших конституционных прав - жить и трудиться наравне с другими гражданами многонациональной семьи Советского Союза.

Трудно поверить, что в наше время, когда вся политика Партии и Правительства направлена на то, чтобы жизнь народов СССР все больше и больше улучшалась, когда в результате укрепления мощи нашего государства Правительство Советского Союза находит возможным амнистировать даже гр-н, которые совершили тяжкие преступления, чтобы сотни людей не только никогда не совершавших преступление, а, наоборот, честно и добросовестно трудившихся, могли оказаться в таком бесправном и бесчеловечном положении.

4

80

2.

Вот положение, в котором находятся 463 семьи - несколько сот советских граждан.

В 1944 году нас без каких-либо оснований насильственно переселили из Грузии в Дагестан и мы оказались вне гражданства. Нас фактически лишили права голоса, так как мы нигде не числимся и в выборах в Советы с 1947 г. не участвуем, в колхоз нас не принимают, не принимают нас также на работу на заводы и фабрики. Вместо того, чтобы наравне со всеми народами трудиться на благо нашей Родины, мы вынуждены, как когда-то батраки, работать у частных лиц за кусок хлеба. Наших детей не принимают в школы и они растут неграмотными, молодежь с 1944 г. перестали призывать в ряды Советской Армии; семьям погибших воинов на фронтах Великой Отечественной войны не выдают пенсии, многодетные матери не получают пособий на содержание и воспитание детей, нас не облагают ни налогами, ни поставками.

В настоящее время наше положение стало еще хуже. Нас выгнали из Кварельского района и мы вынуждены жить на улице, где люди гибнут. Наше кладбище вспахали и мы даже не имеем места, где бы можно было похоронить наших мертвецов. На мельницах запретили молоть муку аварским гражданам. Нам угрожают, что если мы не уедем из своего района, где всю жизнь прожили наши отцы и деды, то у нас конфискуют скот и остатки наших вещей. Колхозников-грузин, которые приютили наши семьи, заставляют нас выгнать из домов.

Мы, дагестанцы, хотим честно трудиться, иметь право быть в колхозе - активно участвовать в строительстве коммунизма, но нас в течение 11 лет лишают этой возможности.

За что с нами так поступили? Ведь мы никаких преступлений не совершили, нас ни за что не наказывали, не репрессировали, а просто без всяких оснований учинили над нами беззаконие.

Произошло следующее:

Сто с лишним лет тому назад дагестанцы, проживавшие в Грузии, были согнаны с нажитых мест в селения Хачалхута и Тив-Тебельжоки Кварельского района Грузинской ССР. До 1944 года мы жили в этих селениях, население которых составляло 800 хозяйств дагестанских семей.

В 1944 году все эти 800 семей были насильно переселены в Ритловский район Дагестанской АССР, сделали это под угрозой того,

5

3.

что если мы не переселимся, то с нами поступят как с чеченцами. Все нажитое хозяйство: дома, сады и прочее у нас отобрали и нас заставили начать жизнь сначала. Нам даже нечего было есть.

Резкое ухудшение жизненнных и климатических условий привели к тяжелым последствиям - почти половина переселенных дагестанцев умерли, а остальные, спасаясь от участи своих односельчан, вернулись к себе на родину в Грузию.

Однако дагестанским семьям не разрешили вселиться в свои дома и нам пришлось в поисках хотя бы укрытия, чтобы дети и старики не погибли под открытым небом, разбрестись по разным районам. Сейчас наши дагестанские семьи скитаются в Кварельском, Лаголахском, Белоконском, Цитель-Цхаровском, Ахметлинском и др.районах Грузинской ССР, где кого из жалости приютили у себя в домах грузинские колхозники, а кто даже не имеет и этого.

Обо всем этом мы 4 марта 1953 года (№ 73-983) написали в Верховный Совет СССР, но наше заявление было отослано председателю исполкома Тбилисского областного Совета депутатов трудящихся,который нам даже не ответил на него.

16 ноября 1953 г. мы подали заявление Председателю Совета Министров Грузинской ССР и просили разрешить нам вернуться в свои селения, но это заявление было отослано Министру внутренних дел Грузии Инаури, ответа от него мы не получили и на приём к нему нас не допустили. Мы также обращались с заявлениями в ЦК КПСС и ЦК КП Грузии, но ответа не получали.

Мы убеждены, что оказались в таком бесправном, бесчеловечном положении по вине врага народа Берия и из-за того, что отдельные бездушные чиновники, забыв, что в нашей стране все граждане независимо от их национальности равны - не хотят выправить положение и помочь нашим семьям обрести покой.

Обращаясь к Вам, мы просим Вас положить конец бесправному существованию и скитаниям ни в чем неповинных 463 дагестанских семей и помочь нам начать жить,как живут все граждане нашей Родины.

Мы просим Вас дать указание Правительству Грузии вернуть нас на место нашего постоянного жительства, на нашу родину, вернуть нам наши дома, которых осталось из 800 только 200.



6

4.

Заверяем Вас и в Вашем лице наше государство, что хотя наши села почти разрушены, мы упорным трудом восстановим разрушенные хозяйства, создадим новый колхоз и приложим все силы к тому, чтобы этот новый колхоз стал образцовым. Мы истосковались по работе и будем трудиться с утроенной силой.

Мы очень просим Вас не отсылать наше письмо в Грузию, так как мы потеряли надежду на то, что там нам помогут.

Быв.председатель колхоза
и секретарь первичной парторганиза-
ции чл.КПСС с 1940 г. Мамедов

Быв.чл.колхоза, гр-н Лагодахи
67-летний старик, беспартийный Тагуев

Верно:

MIA ARCHIVE



7

1

25 ივლისი 7

სრულიად საიდუმლოდ

საქართველოს კ.პ.ც.კ-ის პირველ მდივანს
ამხ. ვ.პ. მელანძეს.

---

ნ.125

როგორც მოგეხსენებათ სხრკავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით 1944 წელს ყვარლის რაიონიდან დაიწესების ასრ-ში გადაყვანილი იქნეს 460 კომლი, რომელებსაც საქართველოს სსრ მიუჯერდებათ გადურიცხათ მინების დირებულება. ა/წ. ივლისის თვის დასაწყისში ყვარლის რაიონის სოფ. მოისძირში სატვირთო ავტომანქანით ჩაიწყო დადგენილი მცხოვრებთა ჩამოსვლა. ადგილზე იმ დროისთვე ჩვენ გაცნობეთ და საჭირო ზომების მისაღებად ჩვენს მიერ მოვლინებული იქნენ ამხანაგი გ.შარაშიძე /საქ.კ.პ.ც.კ-ი/ და ე. რომელაშვილი /საქ.სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო/. მათ ჩვენთან ერთად გაუმართეს ჩამოსულებს რომ იქვე მათი დასახლება შეუძლებელია. ჩამოსული ღლკები კი კატეგორიულად ადგენენ პრეტენზიას მათ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე დასახლებისას. იმის გამო რომ მათი გადმოსვლა არ მოხდა ივლისის პირველ ნახევრიდან უკვე მასიურად იწყო გზადაგზა ავტომანქანებით და მატარებლით მათი ჩამოსვლა რის შესახებაც მაშინვე გაცნობეთ და ჩვენი დავალებით ადგილზე ჩამოვიდნენ ამხ.მ.ი.კუჭავა და ამხ.ვ.ნ.ხანჯიანი. ჩვენ ჩვენი მითითების თანახმად პირველად შევთავაზეთ გარდაბნის, წითელწყაროს და სხვ. რაიონებში დასახლება შემდეგ ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებში მაგრამ მათ ყველა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

მდგომარეობა დღითიდღე რთულდება და ჩვენი დავალებით მოვლილ ხელმძღვანელ მუშაკებმა გადაწყვიტეს წესრიგის დამყარების მიზნით მილიციის მუშაკთა გაძლიერება. ისინი ახლაც ადგილზე არიან. არ იქნენ რა გაფრთხილებული ამ ხნის განმავლობაში, ისინი ერთ ადგილზე დაბანაკდნენ გაიკეთეს "შალაშები" და განაგრძობენ იქ ცხოვრებას.

ჩვენი მითითების შესაბამისად ადგილზე ამხ.ა.ნ. ინაურთან ერთად კვლავ ვესაუბრეთ ვურჩიეთ რომ ასე ცისქვეშ მოხუცებით, ბავშვებით მათი ცხოვრება არ შეიძლება შევთავაზეთ სოფ. მოისძირის გვერდითვე ახლა უკვე 2-3 კოლმეურნეობასთან ერთად დასახლება



8 2 ს

და მუშაობა მათ ამ ბინადრებაშიც უარი განაცხადეს.

ეს ბინადრებანი ადგილზე მათი წარმომადგენლების /უწყკულისცი-დებსნის ასსრ, ბალიევი-ჩეჩენო ინგუშეთის ასსრ/ აგრე თვე სახ.სსრ მინისტრია საბჭოდან ამხ.ამხ.გ.მორგოძე, მ.ბუხიაშვილთან ერთად გუშინ ე.ი. 24 ივლისს კვლავ შევთავაზეთ მაგრამ მათ ამის მოსმენა უკვე არცკი სურთ მოითხოვენ ერთდაიგივეს.: ჩვენ გვინდა ჩვენი ყოფილი საცხოვრებელი ადგილი!

აქვე მოგახსენებთ რომ ამჟამად ჩამოსული არიან 235 კომლამდე 1000 სულზე მეტი ეროვნებიან კიდევ ერთ ამდენს, მათი დადმოცემით გამოსულები არიან ამას გარდა საქონელი [illegible] ცხვარი 10.000 მსხვილფეხა 500 და სხვ. უკვე მოაფენეს ჩვენი გზების საზღვრებს.

მდგომარეობა მეტად სერიოზულია და დღითიდღე მწვავდება. მოსალოდნელია ჩამოსულ დაღესტნელების მიერ ძალიან მინეებში შესვლა და აქედან გამომდინარე ადამიანთა დიდი მსხვერპლი.

გთხოვთ თქვენს სასწრაფო რეაგირებას.

საქართველოს კ.პ.ცკვარლის რაიკომის
მდივანი /ა.ავაგაშვილი/

MIA ARCHIVE
მსს არქივი

***Tengiz Simashvili***
Professor,
Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia

# LEZGINS INHABITING KAKHETI ACCORDING TO ARCHIVAL MATERIALS (PART II: 1940-1950s)

Summary

In our previous article, we discussed a history of the Lezgians (Leks) who settled and lived in Kakheti at the end of the 19th and the beginning of the 20th century. Now we need to discuss the history of the Lezgians in Kvareli municipality (Kekheti region, Georgia) in the 1940s-1950s.

According to the "Tiv-Tebeljokhi" and "Khashalkhuti" village council protocol's analysis, the most of the Lezgians living in the territory of Georgia did not cultivate the land, their main activity was cattle breeding. In the summertime they used to return to the mountains taking back the cattle to their homeland which had been overwintered in Kakheti. They actually led a "double" life. They were considered citizens of both the Dagestan ASSR and the Georgian SSR.

Most of the Lezgians living in Kakheti had the houses and arable lands in their possession both in Kakheti and Dagestan. It was unclear to the Soviet authorities in which collective farms on the territory of the Soviet Republic they were united and whether they actually worked or not. Therefore, in May 1941, a meeting of the heads of the Kvarli district of the Georgian SSR and the Tliarat district of the Dagestan SSR took place, it was decided to give the population the opportunity to choose the place of residency themselves. The German attack on the Soviet Union in June 1941 prevented the implementation of this process.

The fate of the Lezgian population settled in Kakheti was greatly influenced by the events that took place in March 1944, known as the deportation of the population from the Chechen-Ingushetia Autonomous Soviet Socialist Republic (Chechen-Ingushetia SSR).

At that time, the former territory of the Chechen-Ingushetia SSR joined the Dagestan SSR, where the Lezgian population was taken from different places, including Dagestan, as well as from Georgia, namely from the Kvarli district. They took up residence on the site of Chechnya-Ingushetia population settlement. According to archival materials, the collective farmers of Lezgian villages, who had to settle in Dagestan, in the former territory of Chechnya-Ingushetia SSR, were reimbursed the cost of public and private buildings, residential apartments and grain. The population also brought cattle with them.

In 1956-1957, the deported nations – Chechens, Ingush, Balkars and Karachais – actively started to return to their homelands. Having settled in their places of residence, the Lezgian people did not return to Dagestan any longer and settled in Kvareli district without permission.

The documents found by us during the research process revealed the fact that the re-settlement of the Lezgians who came to Kvareli district without permission at that time was quite a difficult process. This is reflected in the archival materials. Along with the Lezgians who once lived in Georgia, those who had no contact with Georgia before came to live in Kvareli municipality.

Thus, it is necessary to study the history of resettlement of the Lezgian population of Kvareli municipality. The role of the relevant agencies of the Soviet government in these processes needs to be clarified and determined. Furthermore, during the last decades various “issues” regarding the resettlement of Lezgian population in Kvareli district in the 1950s are periodically activated. Therefore, we think that the above-mentioned issues require additional study to create a complete picture of the events that developed at that time.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIX
თბილისი. 2023

*ქეთევან ციმინტია*
თსუ

# დასახლების ფორმები და ინდივიდუალური კარ-მიდამოს მოწყობა სამეგრელოში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

## დასახლების ისტორიული ფორმები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასახლების ფორმა, კარ-მიდამოს, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მოწყობის წესი დროსთან ერთად იცვლება. ისევე როგორც სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებში, აქ არსებული ისტორიული დასახლებები თანამედროვე ხდება. ისტორიულად არსებული ტრადიციული საცხოვრებლები, კარ-მიდამოები მეტწილად თავისებურებებით შემორჩა ყოფას. დასახლების ისტორიული ფორმების მნიშვნელოვანი ცვლილება საბჭოთა ეპოქაში დაიწყო და დღემდე გრძელდება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცვლილებების შედეგები თვალსაჩინოა. საბჭოთა კავშირის დაშლამ, საზღვრების გახსნამ, თავისუფალ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ინფრასტრუქტურულმა ცვლილებებმა (გზები, სატრანსპორტო საშუალებები), კომუნიკაციის გაუმჯობესებამ, მიგრაციული პროცესების მატებამ, სოფლებში შეცვალა დასახლების როგორც სტრუქტურა, ისე მორფოლოგია.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, დასახლების ფორმების თავისებურებებს განაპირობებდა განსხვავებული ლანდშაფტი, რაც ხელს უწყობდა ამა თუ იმ კუთხეში მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, თავისებური საცხოვრებელი ნაგებობების შექმნას, კარ-მიდამოს მოწყობას, საუბნო და სასოფლო დასახლებების ჩამოყალიბებას.

როგორც ირკვევა, დასახლების ფორმისა და საცხოვრებელი ნაგებობების შესასწავლად გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ადრე მთასა და ბარში არსებული დასახლებები გან-

სხვავებული იყო და მეცნიერები სხვადასხვა კატეგორიად განიხილავდნენ.[1]დღეს თანამედროვე ტექნიკურმა მიღწევებმა განსხვავებულობა მთისა და ბარის დასახლების ფორმებსა და საცხოვრებელ ნაგებობებს შორის მნიშვნელოვნად შეამცირა. ზოგიერთი თავისებურება, რაც სამეგრელოს მთის, კერძოდ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებობს, ცალკე გვაქვს განხილული.

დასახლების ფორმების წარმოშობაზე და მათ ისტორიულ ცვალებადობაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. **ნ. ბერძენიშვილი** აღნიშნავს, რომ უძველეს დროში ქართველები გორებზე ან/და ხევებს შორის ცხოვრობდნენ.[2]

**მ. გეგეშიძის** დაკვირვებით, *„წყალ-ხმელეთის მჭიდრო მეურნეობრივი სიახლოვე საქართველოსათვის ობიექტური დამახასიათებელი და ამავე დროს გამართლებული მოვლენა ჩანს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ-გეოგრაფიულ თავისებურებას, კერძოდ ვერტიკალურ ზონალობას და ცხოვრების ხეობურად მოწყობის ისტორიულ აუცილებლობას“.*[3]

ხევი იყო სასოფლო-ტერიტორიული ერთეული და განსახლებაც ხეობების მიხედვით ხდებოდა. როგორც **ბ. გამყრელიძე** აღნიშნავს, *„ცალკე აღებული ყოველი ხეობა იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო-კულტურული კომპლექსი თავისი მთითა და ბარით, რომელიც ვერტიკალური ზონალობის ჭრილში ქმნიდა მეურნეობის, მატერიალური კულტურისა და სოციალური ორგანიზაციის ერთ მთლიან სისტემას“.*[4]

საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ ზონებად დაყოფის შესახებ პირველი დაკვირვება ვახუშტი ბატონიშვილს აქვს. **ვ. ითონიშვილი** აღნიშნავს, რომ *„ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს მიწა-წყლის გენერალურ დაყოფას ვერტიკალური ზონალობის ჩარჩოებში და „მთური“ და „ბარული“ დასახლების გამოყოფა-კლასიფიკაციას ახორციელებდა მრავალი ფაქტორის მიხედვით. ვახუშტი ბატონიშვილი ახასიათებს ამა თუ იმ ქვეყანას არა მარტო იმის მიხედვით, თუ რა მოდის იქ, არამედ იმით, თუ რა მოჰყავთ იქ“.*[5]

---

[1] გ. ჩიტაია. დასახლების ტიპი მთიულეთში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის. ტ. VI. თბ. 1953, გვ. 201-203.

[2] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. V. თბ. 1971. გვ. 69

[3] მ. გეგეშიძე. ჰიდრონიმული წარმოშობის ქართული ტოპონიმები. ონომასტიკა. I. 1987. გვ. 85

[4] ბ. გამყრელიძე. ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები. თბ. 1989, გვ. 12

[5] ვ. ითონიშვილი. საქართველოს მიწა-წყლის ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დარაიონების ტრადიცია („მთა“; „ბარი“, „ზეგან-აგარა“) ვერტიკალური ზონალობის ჭრილში და მასთან დაკავშირებული დემოგრაფიული პროცესები. თბ. 2003, გვ. 23.

ქვეყნის ტერიტორიის „ბარად“ და „მთად“ დაყოფაზე ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა[6].

ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორია, ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად, სამ უმთავრეს ისტორიულ-გეოგრაფიულ და სამეურნეო კულტურულ, ან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონად – ბარად, ზეგნად და მთად – იყოფა.[7] ზონალობაში იგულისხმება ტერიტორიის დაყოფა სამ ნაწილად, გეოგრაფიული პირობებისა და მასთან შეგუებული მეურნეობის თავისებურებების გათვალისწინებით.[8] ამავე დროს, თითოეულ ზოლს შიგნით თავისი ბარი, ზეგანი და მთა შეიძლება ჰქონდეს.[9]

მიხეილ გეგეშიძემ დააზუსტა და რელიეფის ძირითადი ნიშნების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე გამოყო სამი ზოლი: მაღალმთიანი, დაბლობის და გარდამავალი ზოლი.[10]

ალექსი რობაქიძემ სამეურნეო-კულტურული ზონის და ისტორიულ-ბუნებრივი პირობებით გამოწვეული ნიშნების მიხედვით, საქართველოს ტერიტორია სხვანაირად დაყო სამ ნაწილად: აღმოსავლეთ საქართველოს ბარად, დასავლეთ საქართველოს დაბლობად და საქართველოს მთიანეთად[11].

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებისა და გეოგრაფიული განლაგების მიზეზებთან დაკავშირებით ვ. ნეიძე საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს: *„დასახლება და გეოგრაფიული განლაგება განაპირობა სამეურნეო საქმიანობის ხელშემწყობმა ბუნებრივმა პირობებმა, ხალხის მიერ შექმნილმა მდიდარმა მატერიალურმა კულტურამ, ტრადიციებმა და მის ცხოვრებაში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკურმა, დემოგრაფიულმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და ეკოლოგიურმა პროცესებმა, რომლებიც დღესაც გრძელდება.“*[12]

რაც შეეხება კონკრეტულად სამეგრელოს, პაატა ცხადაიამ შეისწავლა და გამოყო სამეგრელოში არსებული ზონები, რომლებიც საქართველოში სხვაგან არსებული მდგომარეობის ანალოგიურია. იგი აღნიშნავს: „სამეცნიე-

[6] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წ. I. ტფ. 1930, გვ. 131.

[7] ვ. ითონიშვილი. საქართველოს მიწა-წყლის ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დარაიონების ტრადიცია, გვ. 80

[8] კ. კახიანი. დასახლება და კარ-მიდამო ქსნის ხეობაში. კრ. მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისთვის. თბ. 1975, გვ. 25

[9] გ. ჩიტაია. შესავალი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. თბ. 1980, გვ. 4.

[10] მ. გეგეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1956. გვ. 29-73.

[11] ალ. რობაქიძე. ქართულ ხალხურ ტრადიციულ ნაგებობათა კლასიფიკაციის პრინციპები. თბ. 1986. გვ. 13.

[12] ვ. ნეიძე. განსახლება. საქართველს გეოგრაფია. თბ. 2013, გვ. 241.

რო ლიტერატურის მიხედვით და მეგრელთა წარმოდგენითაც სამი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონა განირჩევა: ა) „რზენი“ (ვაკე) – ზღვისპირა ვაკე, რომელსაც გეოგრაფები ოდიშის დაბლობს უწოდებენ; ბ) „ლაკადა“ – ოდიშის პლატო, ანუ ნახევრად ვაკე, სამეგრელოს შუა ნაწილი ეგრისის ქედის ძირიდან კოლხეთის დაბლობის ჩრდ. კიდემდე. ოდიშის პლატოზე მცხოვრებნი ლაკადას უწოდებენ მხოლოდ ეგრისის ქედის წინა მხარის კალთებს, რომლებიც ჩამოდის მთისძირა სოფლებამდე. გ) „გვალა“ (მთა) – ეგრისის ქედი და მისი განშტოებანი, ანუ კავკასიონის სამხრეთი კალთის გასწვრივი გვერდითი ქედი, მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფი“[13].

დასახლების ფორმები ზონალობის გათვალისწინებით გ. ჩიტაიამ განსაზღვრა და აღნიშნა, რომ დასახლების ფორმაში იგულისხმება ადამიანთა საცხოვრებლის და შრომის ადგილის ერთობლიობა. მკვლევარმა, საკვლევ მუნიციპალიტეტში არსებული სოფელი ღია და ჯგვარი მიაკუთვნა მთის ძირის სოფლებს[14].

დღეს დასავლეთ საქართველოში „დასახლებანი ძირითადად წარმოდგენილია მთის ფერდობსა და ზეგნებზე უგეგმოდ, უწესრიგოდ განლაგებული საკარმიდამო ნაკვეთებითა და გზისპირას განლაგებული სოფლების სახით. ... მთური დასახლება წინ უსწრებდა გზისპირულს, რამდენადაც გაფანტული დასახლების ადრეული ტიპები ძირითადად ინარჩუნებდნენ მონოგენურობას“.[15]

სამეგრელოში ტრადიციული დასახლების ფორმის შესახებ ინფორმაციას მოგზაურები, მკვლევარები გვაწვდიან. თუმცა, ადრეული დასახლების ფორმები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დასახლების ტიპი არსებითად შეცვალა საბჭოთა პერიოდში. პოსტსაბჭოთა დროს კარ-მიდამოს და საცხოვრებელი ნაგებობების თანამედროვე სახით მოწყობაზე გავლენა იქონია ფართო არჩევანის, ინდივიდუალური შეხედულებებისა და გემოვნების შეუზღუდაობამ, სამშენებლო მასალის არჩევანისა და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობამ. შემცირებულია კარ-მიდამოში დამხმარე და სამეურნეო ნაგებობების რაოდენობა, ხშირად შეცვლილია მათი ფუნქციები. ვხედავთ გათანამედროვებულ დამხმარე ნაგებობებს, რომელთაც მოსახლეობა ფუნქციის შესაბამის სახელს უწოდებს, მაგრამ ნაგებობის ფორმები და საშენი მასალა განსხვავებულია ტრადიციულისგან.

[13] პ. ცხადაია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბ. 2015. გვ. 4.
[14] გ. ჩიტაია. დასახლების ტიპი მთიულეთში, გვ. 201-202.
[15] გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, ლ. შალვაშვილი. ტრადიციული დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი საქართველოში. თბ. 2005, გვ. 11

კვლევის მიზანია, გავარკვიოთ თუ რა ტიპის დასახლება არსებობს დღეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში? როგორ მოხდა აქ არსებული დასახლებების ფორმირება? რა ტიპის საცხოვრებელი სახლებია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში? როგორია დასახლების ფორმის, კარ-მიდამოში მოქცეული საცხოვრებელი, დამხმარე და სამეურნეო ნაგებობების მოწყობის ტენდენცია.

### განსახლების სტრუქტურა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში სამეგრელოს მთიანი ნაწილისთვის დამახასიათებელი დასახლებებია. მისი ტერიტორია და დასახლებული პუნქტები შედის მთისძირის და მაღალმთიან ზონაში.[16] აქ დასახლების სტრუქტურა და საცხოვრებელი ნაგებობები დროსთან ერთად ცვალებადობას განიცდის და ერგება თანამედროვე, გლობალიზაციით განპირობებულ ვითარებას და გამოწვევებს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული განსახლების სტრუქტურა დროის სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა. საბჭოთა პერიოდამდე დასახლება ძირთადად მთებში, ტყიან ადგილებში იყო გაფანტული. საბჭოთა დროს მოსახლეობამ კომუნიკაციის გამარტივების მიზნით შეცვალა საცხოვრებელი ადგილები და ძირითადად ბარის ტერიტორია დაიკავა. პოსტსაბჭოთა პერიოდის დასახლების სტრუქტურა ძირითადად საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, ხოლო მთიანი ტერიტორია დღესაც ათვისებულია კომუნიკაციების გაუმჯობესების გამო.

საბჭოთა დრომდე სამეგრელოსთვის დამახასიათებელი იყო გაფანტული დასახლების ფორმა. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის დონ ჯუზეპე ჯიდუჩე მილანელის ცნობით, „სამეგრელო წარმოადგენს დიდ ტყიან მხარეს, სადაც გაფანტულია სახლები“.[17] წარსულში მოსახლეობა განფენილი იყო მთებში და ქმნიდა ერთი გვარის ლოკაციას, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთ გორაზე მოსახლეობდნენ ერთი კონკრეტული გვარის წარმომადგენლები, რომლებიც ქმნიდნენ სისხლით ნათესავების ერთობას.

წარსულში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გორებზე დასახლებას ადასტურებს პაატა ცხადაიას მიერ ჩაწერილი მასალაც. მკვლე-

[16] პ. ცხადაია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 9

[17] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ თბ. 1964, გვ. 47.

ვარს ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ პალურში ჩაუწერია: *„ჩქინი ჯვეშეფი იშო-იშო მიკათანჯანდეს ჯალებს დო თამ გაიშურთუმუნა ინვირიშა. ეიშა ხალხ ხვალე სუკებს მიკახორანდ“.*[18] ეს შემთხვევა ახოს აღებისა და საცხოვრებლის შეცვლის მაგალითია.

გორებზე ცხოვრება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიურადაც კი დასტურდება. პალურში, ჟირსუკის ბორცვზე, გამოვლენილია ხუთი არქეოლოგიური ფენა: ნეოლითის, გვიანბრინჯაოს, რკინის ხანის, ელინისტური ხანის და ადრეფეოდალური ხანის. ჟირსუკის ბორცვი ადამიანთა საცხოვრისად მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა.[19]

მოსახლეობის მთებში და გორაკებზე განსახლება განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. ერთ-ერთი იყო სამეგრელოსათვის დამახასიათებელი მალარიის ინფექცია, რომელიც დაბლობ, ჭაობიან ადგილზე უფრო ვრცელდებოდა. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ასევე მტრების შემოსევები. სამეგრელოს მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდნენ მომთაბარე ჩრდილოკავკასიელები და ოსმალები. ჩრდილოკავკასიელების სამეგრელოში თარეშზე ბესარიონ გაბაშვილის პოემაში „რუხის ბრძოლა“ ვკითხულობთ:

„ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთ, კემურგელთ ამცნეს ცნობითა,
ყივჩაღთა შემოიწვევდნენ, ინდობდენ სჯულის ძმობითა,
აფხაზნი შეეფიცოდნენ ქრთამით და აგრევ ძღვნობითა:
და მეგრელთა სისხლი უნდოდათ, თუცა შეესხვათ გობითა“.[20]

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მოხდა ჭაობების დაშრობა, ჩაიკეტა საზღვრები და ჩრდილოკავკასიელთა თარეში საბოლოოდ შეწყდა. განვითარდა კომუნიკაციის საშუალებები და ადამიანებმა დაიწყეს მთებიდან შედარებით დაბლა ჩამოსვლა; შეიქმნა გზისპირა, მჭიდრო დასახლებები. მუნიციპალიტეტში უდიდესი ელექტოსადგურის – ენგურჰესის მშენებლობამ დიდი გავლენა იქონია ახალი დასახლების შექმნაზე და ერთ-ერთი თემის – ხუდონის გაქრობაზე.

ხუდონის თემი ქალაქ ჯვარის სასოფლო საზოგადოების შემადგენლობაში შედიოდა. 1932 წელს მდინარეების, მაგანასა და ენგურის, ხეობაში

[18] თარგმანი: „ჩემი წინაპრები ხეებს ჭრიდნენ და ასე გამოვიდნენ ენგურამდე. „აქამდე ხალხი მარტო გორებზე ცხოვრობდა“. იხ. პ. ცხადაია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 24.

[19] პ. გაბისონია. სამეგრელოს ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ. 2009, გვ. 39.

[20] ბ. გაბაშვილი. თხზულებათა სრული კრებული. ბესიკი. 2021, გვ. 29. სავარაუდოდ, ლექსში აღწერილი მოვლენები გვიანშუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ზუსტ თარიღთან დაკავშირებით მსჯელობა რთულია.

არსებული სოფლების გაერთიანებით, ის ცალკე თემად ჩამოყალიბდა. სოფლები მაღალმთიანი იყო, სამეგრელოს მთისთვის დამახასიათებელი სოფლებით. აქ მცხოვრებთა მეურნეობის გავრცელებული ფორმა იყო მეცხოველეობა, უფრო – მომთაბარე სახის მესაქონლეობა. ხუდონის მკვიდრ ისაკ ქარდავას თავის მემუარებში აღწერილი აქვს თანასოფლელების საზაფხულო საძოვრები ხელერდის მთაში, უთუთი და ძირგუ ფიფიების საზამთრო საძოვრები სამეგრელოს საზღვრისპირეთში და დაბლობში.

ხელერდის საძოვრებზე ხუდონელებს ყოლიათ საქონელი, ხოლო ჩქვალერელებს – თხა და ცხვარი. ჩქვალერელი გოგილავებისა და ფიფიების ცხვრისა და თხის რაოდენობა ორი ათასამდე სული ყოფილა. მეთხევეობა ჩქვალერში და ნაგურუში დღესაც არის გავრცელებული. სამეგრელოს მთებში დღესაც არიან მეჯოგეები. ტობავარჩხილისკენ, წალენჯიხელ მეჯოგე ძმებ მორგოშიებს ჰყავთ კვარაცხელიას ჯიშის საქონელი და თხები, მისდევენ გადარეკვით მესაქონლეობას. საზაფხულო საძოვრები აქვთ ჯიქირში, საშემოდგომო – ნაღვჯში, ხოლო საზამთრო ფოთში – შავღელეში. შუა სექტემბერში ჩაყავთ საქონელი ბარში, ხოლო თხები – სოფელ ნაგურუში. მეჯოგეებს და მწყემსებს სამეურნეო მიწებიც აქვთ მთებში, მოყავთ ლობიო, ქერი, აქვთ თივა.[21]

ხუდონის თემში შემავალი სოფლები სამეგრელოს მთის დასახლებას ქმნიდა. აქ რელიეფი და, ზოგადად, ბუნებრივი პირობები მთიანი სამეგრელოსთვის დამახასიათებელი იყო. ამასთან, მთას კავშირი ჰქონდა ბართან. ეს დასტურდება შემდეგი მონაცემებით: გურია-სამეგრელოს ეპარქიის ხუდონის მაცხოვრის ეკლესიის 1896 წლის საარქივო ჩანაწერის მიხედვით, 1896 წლის 20 იანვარს ხუდონის ერთ-ერთ სოფელში, ზვავის ჩამოწოლის შედეგად გარდაცვლილა 13 ადამიანი. ამათგან უმეტესობა რუხაიას გვარისა ყოფილა. 23 და 25 იანვარს ისინი დაუსაფლავებიათ ხუდონის მაცხოვრის ეკლესიის გალავნის შიგნით.[22] ზუგდიდის მაზრაში, დიდთოვლობის შედეგად მსხვერპლის არსებობის მიზეზით და ხუდონში დაზარალებულთა დასახმარებლად შეუქმნიათ კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარე თავადი დადეშქელიანი მიმართავს გაზეთ „კვალის“ რედაქტორს თხოვნით: „უმორჩილესათა გთხოვთ

[21] ეს მასალები ჩავიწერეთ სამეგრელოში ჩვენ მიერ განხორციელებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს 2001 წელს

[22] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი №489, ანაწერი 6, საქმე 742.

მიიღოთ თქვენს რედაქციაში შემოწირულებანი გაჭირვებულთა სასარგებლოთ და შემდეგ შემოწირულებანი გამოგვიგზავნოთ დ. ზუგდიდის მაზრის სასამართლოში“.[23] ეს ცნობა ხაზს უსვამს მთის კავშირს ბართან და სამეგრელოს მთის მოსახლეობის კომუნიკაციას ბარის მოსახლეობასთან.

საბჭოთა პერიოდში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ გამოიწვია ხუდონის თემის სოფლებიდან მოსახლეობის აყრა და აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასახლება. ენგურის წყალსაცავის ქვეშ მოექცა ხუდონის თემის სოფლები: **მაქსანია, შრდენი, ფურაში, ჩხიჭონი, ქუალაგვანი, ტყვიში, ფაშტახარი, მუნწყვა, ბულურჯელი, ტყაბედნიერი, ჭველეთონა** და **ხუბერის** ნაწილი; სამასზე მეტი ოჯახის კარმიდამო, მიწები, ვენახი, ხეხილი, მარანი[24]. მაგანის ხეობის სოფელი **წყავაში** ნაკრძალად გამოცხადდა. აქ მცხოვრები მოსახლეობა კი ჯვარში დასახლდა.

მოსახლეობა გადაასახლეს მათთვის ახალ ტერიტორიებზე. საბჭოთა დროს, ტექნიკური სამუშაოებით იყო განპირობებული ციმინტიების გადასახლება სოფელ ლექარდეს უბან ლეციმინტედან. აქ ციმინტიები მდინარე მაგანის ნაპირზე სახლობდნენ. მთხრობელთა თქმით, მდინარე ხშირად დიდდებოდა, მოსახლეობას და მათ მეურნეობას საფრთხეს უქმნიდა. მოსახლეებს მდინარის ადიდების შემდეგ საცხოვრებლად დროებით სხვაგან გადასვლის პრაქტიკა ჰქონიათ, თუმცა მდინარის კალაპოტში მოქცევის შემდეგ, კვლავ უბრუნდებოდნენ საცხოვრებელს. ამის შესახებ ადგილობრივი ისააკ ქარდავა წერს თავის მემუარებში.[25] მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლეციმინტედან ციმინტიების გადასახლების უმთავრესი მიზეზი არა მდინარის ადიდება, არამედ გზის გაყვანა და აფეთქებების შედეგად გამოწვეული საფრთხის თავიდან აცილება გახდა. ციმინტიები ჯვარის ცენტრალურ ქუჩებზე გადასახლდნენ, მონაწილეობა მიიღეს ჯვარის ცენტრალური უბნის ფორმირებაში და აქ მჭიდრო სამეზობლო დასახლების შექმნაში. აქ მათ გადმოიტანეს ადრინდელი საცხოვრისის სახელწოდება – ლეციმინტე. დღეს ჯვარელ ციმინტიებს ლეციმინტეს უბანში მიწები აქვთ, რომლებსაც ამუშავებენ.

დღეს არსებული ჯვარზენის უბნის დასახლების მასშტაბურობის, კერძოდ, ურბანული სივრცის მოწყობის მიზეზი ენგურჰესის მშენებლობაა.

[23] გაზეთი „კვალი“. 1896, №12. 17 მარტი.

[24] ი. ქარდავა. მოთხრობები, ლექსები და ნაშრომებზე მკითხველთა გამოხმაურება. თბ. 2011, გვ. 40

[25] ი. ქარდავა. მოთხრობები, ლექსები და ნაშრომებზე მკითხველთა გამოხმაურება, გვ. 19

ენგურჰესელთა უბნების შექმნამ სრულიად შეცვალა დასახლების სურათი. მანამდე ჯვარზენის დასახლების უმეტესი ნაწილი დაუსახლებელი იყო. ოფ-აჩხაფუს უბანში (ჯვარზენი) მცხოვრები რეზო ჯონჯოს ძე უბილავას თქმით, ჯვარზენში დღევანდელი ტერიტორიის დიდი ნაწილი, მათ შორის, მისი საცხოვრებელი ქუჩა, ტყით ყოფილა დაფარული. ამ უბნის განაშენიანება გვიან მოხდა. რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული, ვალერი ბეჭვაიას ლექსი სახელწოდებით, „ჯვარზენი“ მიუთითებს ამ ტერიტორიის ტყიანობაზე:

„აქ ძველად გავლა უჭირდათ ურმებს,
გზას ძლივს იკვლევდა ქალი და კაცი“.[26]

დღეს ეს უბანი მჭიდროდაა დასახლებული. ახოს აღების შედეგად გაფართოებულ ტერიტორიაზე გაჩნდა შეჯგუფული დასახლება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თოთხმეტი ადმინისტრაციული ერთეულიდან უმეტესობა მთაგორიანია. სოფლები არაერთგვაროვანია. ზოგიერთი სოფლის ცენტრალური დასახლება არის გზისპირული, ვაკე ადგილზე; აქ ძირითადად გზის ორმხრივი, მჭიდრო დასახლება გვხვდება, მაგრამ ამავე სოფლების ცალკეული უბნები მთებშია შეფენილი. მაგალითად, სოფელ ჯგალში დასახლება გზისპირულია, მჭიდრო და ამასთან, ვაკე ადგილზეა, ხოლო მჭიდრო დასახლება საბჭოთა დროს დაიწყო. მოსახლეობა პირველსაცხოვრისი გორებიდან ჩამოვიდა და ვაკე ადგილებში დასახლდა, რათა ცხოვრებისთვის უმჯობესი პირობები შეექმნათ და კომუნიკაცია გაემარტივებინათ. ასეთი ტიპის დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობას სახნავ-სათესი მიწები აქვთ ჩამოსახლებამდე არსებულ სამოსახლო ადგილებში, რომელსაც ისინი „ჯვეშიშ ოხორუს“ (ძველის მოსახლე, ანუ წინაპრის სამოსახლო) ეძახიან.

სოფელ ჯგალში, **ლეხარჩილეს** უბანში დღეს ცხოვრობენ ხარჩილავები. ისინი გორაზე ცხოვრობდნენ. მთხრობელის, ომარ აკაკის ძე ხარჩილავას თქმით: *„ართ სუკი რდუ დო თექ ფცხოვრენდით, უკულ გიმებლით აშო“* (ერთი გორა იყო და იქ ვცხოვრობდით, მერე ჩამოვედით აქეთ). იმ გორაზე, ჩვიდმეტი ოჯახი ცხოვრობდა. მიუვალი ადგილი იყო, თუმცა იქ დღეს რამდენიმე ოჯახი სახლობს. ჰქონდათ სასაფლაო – „ნააკრდამუ“ (ნააკლდამევი) ადგილის მიმდებარედ. აღნიშნულ გორაზე მიქავებსაც ჰქონიათ სასაფლაო. ხარჩილავებმა, გზისპირას დასახლების შემდეგ, ძველი უბნის სახელწოდება, „ლეხარჩილე“ ჩამოიტანეს დაბლა და დღეს მათ სამოსახლო უბანს, ჯგალის ცენტრთან ახლოს ლეხარჩილე ჰქვია.

[26] ვ. ბეჭვაია. ენგურჰესის მუშა. ჯვარზენი. გაზეთი „კომუნიზმის დროშით“. 1967 წ. 18 მაისი. №57

სოფელ ჯგალში, ცენტრალურ მაგისტრალის გასწვრივ ცხოვრობენ კვარაცხელიები. კვარაცხელიებს, რომლებიც დღეს გზის პირზე ცხოვრობენ, ადრე სამოსახლო ჰქონდათ მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე. გზა მათ ძველ სამოსახლო ადგილამდე დღესაც არ მიდის; მდინარეზე საცალფეხო ხიდია გადასასვლელი და ამ ხიდით სარგებლობენ მიწის მესაკუთრეები. აქ სამეურნეოდ განკუთვნილი მიწები აქვთ, სადაც მოყავთ სიმინდი და გაშენებული აქვთ თხილის პლანტაციები, ასევე, ხილი, ვაზი.

ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ლესალეში მოსახლეობა გაფანტულია. კარმიდამო გორაკებზე აქვთ გაშენებული. ასეთივე დასახლებებია საჩინოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნაგურუში, სოფელ ჩქვალერში, მიქავას ადმინისტრაციული ერთეულის უბნებში: ლეღვინჯილეში, ლეჯოლოხეში. აქ რელიეფი არაერთგვაროვანია, მოსახლეობა მთის ძირში და გორებზეც გაფანტულად ცხოვრობს.

სოფელ საჩინოში სოფლის ცენტრალური უბანი მჭიდროდ არის დასახლებული. მოსახლეობა ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობს. საჩინოში ჩამოედინება მდინარეები ინწირა და ჭანისწყალი. მოსახლეობა ამ მდინარეების გასწვრივაა დასახლებული. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში შედის ოთხი სოფელი: **საჩინო, ზედა საჩინო, კუხეში** და **ნაგურუ**. ნაგურუს **მეორე საჩინოსაც** უწოდებენ.

ნაგურუ და კუხეში მთის კალთებზეა განლაგებული. აქ მოსახლეობა გაფანტულია – სახლობენ გორაკ-ბორცვებსა და ხეობებში. ამ უბნებში მეურნეობის ძირითადი დარგია მსხვილფეხა მესაქონლეობა, იშვიათად ყავთ თხა და ცხვარი.

აღსანიშნავია ნაგურუში ეზოებში, ან საცხოვრებელი სახლის გვერდზე საფლავების არსებობა. სამეგრელოში სახლის ეზოებში ოჯახის წევრის დაკრძალვა გავრცელებული იყო. ხუდონის მკვიდრი ისააკ ქარდავა წერს, რომ ხუდონის თემის ექიმბაში დათა ქარდავა მოხუცებული გარდაიცვალა. ის დაკრძალეს სახლ-კარის ეზოს კუთხეში.[27] გარდაცვლილებს ეზოში, იშვიათად, საბჭოთა დროსაც კრძალავდნენ. საბჭოთამდელ სამეგრელოში ეზოში ან ეზოს ახლოს ოჯახის წევრის დაკრძალვა გამოწვეული იყო სასაფლაომდე დიდი მანძილით და ბუნებრივი სირთულეებით, თუმცა, ეზოებში მაინც ძირითადად ახალგაზრდებს კრძალავდნენ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ბარის სოფლების დასახლებების უმ-

[27] ი. ქარდავა. მოთხრობები, ლექსები და ნაშრომებზე მკითხველთა გამოხმაურება, გვ. 30

ეტესი ნაწილი გზისპირულია. გზის პირას მცხოვრებ მოსახლეობას სამეურნეო ნაკვეთი სახლთან ახლოს საკმარისი რაოდენობით არ აქვს, ამიტომაც ისინი სარგებლობენ ადრინდელი სამოსახლო ნაკვეთებით, რომელთაც სამეურნეო დანიშნულებით იყენებენ. ამის მაგალითები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბევრია. სოფელ საჩინოში მცხოვრები მთხრობელის, ომეხი დიანოზის ძე კაკალიას თქმით: *„ლეკაკალე დიხა რე ჟიმოლე, ასე კოჩ ვარე, კაკალიეფ ცხოვრენდეს“* (ლეკაკალე მიწაა მაღლა, ახლა არავინ არ ცხოვრობს, ადრე კაკალიები ცხოვრობდენ). ლეკალალეში სამი ძმა ცხოვრობდა. წყარო და წყლის წისქვილი ჰქონდათ. საბჭოთა დროს ჩამოვიდნენ დღევანდელ საცხოვრებელ ადგილზე, გზისპირზე, ძველ სამოსახლო ადგილზე კი დასამუშავებელი სამეურნეო მიწა აქვთ. წინაპართა ნასახლარ მიწებს სამეურნეოდ იყენებენ ბარახტაძეები სოფელ ნაკიფუში, მოსიძეები „ბერნოხორიში“, კვარაცხელიები, ფიფიები და შელიები „ვეიჯინჯიში“, ფურთუხიები – კაცხარაზე, მანიები – ლემანიეში.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლების იმ მთაგორიან უბნებში სანამდეც კეთილმოწყობილი სამანქანე გზა მიიყვანეს, ძველი დასახლებები შენარჩუნებულია. აქ მცხოვრებნი ბარში არ ჩასახლებულან. ამის მაგალითია წალენჯიხის ერთ-ერთ უბანი – **ხვითერი**, სადაც გზის გაყვანის შესახებ ცნობა არის ადგილობრივ გაზეთში: „ხვითერი ერთ-ერთი მივარდნილი კუთხე იყო წალენჯიხაში. გორაკებს მიყუჟული უბანი ბონდის ხიდით უერთდებოდა სამყაროს. ხვითერის ნაყოფიერ საყანე ფართობს ხშირად იტაცებდა ადიდებული ჭანისწყალი. გამგეობის თავმჯდომარის ინიციატივით, ხვითერი ორი გაბმული სამანქანე ხიდითაა დაკავშირებული ცენტრს“.[28] სამანქანო გზების გაყვანის შემდეგ მოსახლეობას აღარ მოუწია ახალი საცხოვრებელი ადგილის ძიება იოლი კომუნიკაციის დასამყარებლად. ხვითერი-საკალანდიოს უბანი წალენჯიხაში დღესაც არის. აქ მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული. დასახელებული უბანი ცენტრალურ მაგისტრალს მეორეხარისხოვანი გზით უკავშირდება.

მთიან სოფლებში თითოეულ მოსახლემდე სამანქანო გზა მიდის. მაგალითად, სოფელ მუჟავადან ნაშამგუს უბნამდე ცენტრალური გზა მოასფალტებულია. ნაშამგუ მუჟავაში ყველაზე მაღალი დასახლებაა (ზღვის დონიდან 350 მეტრზე). ის აფხაზეთის რეგიონის მოსაზღვრე უბანია. სოფლის სხვა

[28] ჭ. გაბელია. როგორ შეიცვალა უბანი. გაზეთი „კომუნიზმის დროშით“. 1967. №111. 26 სექტემბერი

უბნებსა თუ ქუჩებში გრუნტის გზებია. ისეთი ადგილები, სადაც გორებზე მოსახლეებამდე გზა არ გადის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში იშვიათია. ამის მაგალითია სოფელ მედანში, ლეძაძამეს უბანში ავთა ძაძამიას სახლი. მისი კარ-მიდამო წინაპართა საცხოვრებელ გორაზეა გაშენებული. საცხოვრებელი სახლი კი კომუნისტების დროს აქვს აშენებული. მის სახლთან სამანქანო გზა არ მიდის. ასეთი მაგალითი სოფელ მედანში რამდენიმეა.

ვაკის დასახლებებია სოფელი **ჭალე, ლია, ობუჯი, ნაკიფუ, ჯგალი** და **ქალაქი წალენჯიხა.** სოფელი ლია და ქალაქი ჯვარი სვანეთის ავტომაგისტრალის გასწვრივ მდებარეობს. ლია გაშლილ რელიეფზე, დაბლობ ადგილზეა გაშენებული. აქ მოსახლეობა ძალიან მჭიდროა, რაც მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებისთვის იშვიათობაა. დაბლობზე, მჭიდრო მოსახლეობაა სოფელ ჭალეშიც. ამ სოფლებში ძირითადი კულტურებია თხილი და სიმინდი. პოსტსაბჭოთა პერიოდში თხილის გაშენებამ მასიური სახე მიიღო. ბოლო წლებში დაიწყეს მოცვის პლანტაციების გაშენება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში უბნები განლაგებულია მდინარისპირზეც. ეს არ არის რაიმე კონკრეტული მიზეზით გამოწვეული. მაგალითად, მდინარე მაგანას მარცხენა სანაპიროზე სახლობენ ფიფიები, ციმინტიები. შედარებით ახალი უბანია ნაკა. ამ უბანში ქარდავები სახლობენ. მათი უმრავლესობა ხუდონიდან და წყავაშიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან.

იგორ დომენტის ძე ქარდავას თქმით[29], მისი წინაპარი გადაუსახლებით აფხაზეთში, სოფელ შრომაში. ის კლიმატს ვერ შეგუებია, უკან დაბრუნებულა და დასახლებულა დღევანდელ ნაკას ტერიტორიაზე. ნაკას ლექარდესაც ეძახიან, რადგან იქ ქარდავები მოსახლეობენ; მათ აქ ძველი დასახლების სახელი **„ლექარდე“** გადმოიტანეს.

მდინარისპირული დასახლებაა სოფელ **ქვედა მაზანდარაში,** მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც რამდენიმე ოჯახი სახლობს. ასეთივე დასახლებებია სოფლებში – მედანი და საჩინო – ისინი მდინარე ჭანისწყლის ნაპირზე მდებარეობენ და დასახლებებიც მდინარის პირას არის შექმნილი. ძველ დროში მდინარის პირზე სახლდებოდნენ იქ, სადაც მტკნარი წყლის პრობლემა იყო, ხოლო იმ სოფლებში სადაც მტკნარი წყალი წყაროების სახით მრავლად მოედინებოდა, დასასახლებლად პრიორიტეტული მაღალი ადგილი იყო. დღეისათვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს და ადამიანები სახლდებიან იქ, სადაც კომუნიკაცია უფრო ხელსაყრელია.

[29] მთქმელი იგორ ქარდავა ჩავიწერეთ 2016 წელს სამეგრელოში ჩვენი ექსპედიციის დროს

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია უმეტესად მთისწინეთში მდებარეობს. აქ არის სოფლები, რომელთა რელიეფიც მთიანია და დასახლების ფორმაც მთისთვის დამახასიათებელია. ასეთებია: **მუჟავა, ჩქვალერი, მედანი, საჩინო.** ამავე დროს არის სოფლები, სადაც დასახლებები გაშლილ, ვაკე ადგილებშია, ახლო მეზობლური დასახლებებია; ასეთია: **ლია, ჯგალი, ჭალე**. ხშირად ვაკე ადგილზე გაშენებულ სოფლებს აქვთ გორიანი უბნები, სადაც სამანქანე რთულადმისასვლელი გზები გადის და მთიანია. ასეთია ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელი **ლესალე**, ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულში – **ფოცხო-ეწერი**, საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში – სოფელი **ნაგურუ** და **კუხეში**. მთიან ადგილებში დასახლება გაფანტულია, ხოლო ბარში – ახლომეზობლური. წალენჯიხის ყველა სოფელში გვხვდება მდინარის პირზე დასახლება. მდინარისპირზე დასახლება გამოწვეულია რაიონის წყალუხვობით და მდინარეების სიმრავლით.

აქედან გამომდინარე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დასახლების ფორმა არაერთგვაროვანია. მოსახლეობა განლაგებულია როგორც ვაკე ადგილებსა და მდინარეების ნაპირებზე, ასევე – გორაკ-ბორცვებზე. სოფლების უმეტესობას აქვს როგორც დაბლობი, ასევე მაღლობი დასახლება. გასაბჭოებამდე მოსახლეობა უმეტესად მთებში ცხოვრობდა, რაც განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თანამედროვე დასახლების ჩამოყალიბება მეტწილად საბჭოთა პერიოდში დაიწყო და პოსტსაბჭოთა პერიოდში ხდება მათი თანამედროვე ინფრასტრუქტურით განახლება. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, თანამედროვე, სატრანსპორტო საშუალებების გავრცელებამ აუცილებელი გახადა ყველა მოსახლემდე გზის მიყვანა. სოფლის ცენტრალურ გზას ყველა უბანი უკავშირდება მეორეხარისხოვანი გზით. მეორეს მხრივ, მოსახლეობის მიგრაციის მიზეზი კომუნიკაციის არქონა აღარაა, რაც ადრე შესამჩნევი იყო.

**დასახლების მორფოლოგია**

ზემო სამეგრელოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მრავალი სოფელია რომლის სახელწოდება აქ თავდაპირველად მცხოვრები გვარიდან არის მიღებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა ანთროპონიმებისგან მიღებული მიკროოიკონიმები და ანთროპოოიკონიმებისგან მიღებული საცხოვრებელი ადგილების სახელწოდებებიც.

როლანდ თოფჩიშვილის დაკვირვებით, „თითქმის მთელი საქართველო

მოფენილი იყო გვარსახელური წარმოშობის ოიკონიმებით".[30] ასე იყო წალენჯიხის მუნიციპალიტეტშიც. აქ დასახლებული პუნქტების სახელწოდებების დიდი უმრავლესობა ანთროპონიმებისა და ეთნონიმებისგანაა წარმოშობილი.

პოსტსაბჭოთა პერიოდშიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შემორჩა ისეთი დასახლებები, რომლებიც აქ ძველთაგან მცხოვრები გვარების სახელწოდებებს ატარებენ. არის ისეთი მაგალითებიც, როდესაც ქუჩას, უბანს ქვია ოფიციალური სახელი, მაგრამ ხალხი მას ტრადიციულად კონკრეტული გვარის დასახლების მიხედვით მოიხსენებს. ზოგჯერ „გვაროვნული" დასახლებების სახელწოდების საფუძველდამდები გვარების მატარებლები ამ ადგილებში მცხოვრებთა უმცირესობა არიან ან იქ არ სახლობენ. ასეთ დასახლებებში დღეს სხვა გვარის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. საბჭოთა პერიოდში მომხდარმა პოლიტიკურმა და ბუნებრივმა პროცესებმა, მიგრაციებმა უბნების, საცხოვრებელი ტერიტორიების, თემის „გამსხვილება" ან გაქრობაც კი გამოიწვია.

საბჭოთა პერიოდამდე მკვლევარები საქართველოს ტერიტორიაზე, სოფლებში პატრონიმულ დასახლებებს აფიქსირებდნენ. თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ერთი გვარის წარმომადგენლები მეტწილად ერთ ტერიტორიაზე სახლობდნენ. ამის მიზეზი დიდი ოჯახის დაშლა და განაყარი ოჯახების ფუძე ოჯახთან ახლოს, ერთ ტერიტორიაზე დასახლება იყო. პატრონიმული დასახლებები უფრო მეტად მთიან რაიონებში ფიქსირდებოდა.

საბჭოთა პერიოდში ახალი უბნების ფორმირებამ, მიგრაციებმა, ოჯახების გადასახლებამ ერთი ადგილიდან მეორეზე, გამოიწვია პატრინიმული დასახლებების რღვევა და შერეული, რამდენიმე გვარით დასახლებული უბნების ჩამოყალიბება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში აღარ არსებობს მხოლოდ ერთი გვარით დასახლებული უბანი.

არის ისეთი უბნები, რომელთაც თავდაპირველი სახელწოდება შემორჩათ, თუმცა, დღეს იქ სახელწოდების მიმცემი ფუძე გვარის წარმომადგენელი არავინ ცხოვრობს, მაგალითად, ასეთია: ლეკაკულეს უბანი ჯგალში, ლეჩარჩილეს უბანი ქალაქ ჯვარში.

საკვლევ რეგიონში გავრცელებული იყო მონოგენური დასახლებები. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ამის მაგალითებია: **ლეშამუგე, ლელვინჯილე, ლესალე, ლემატუე, ლეციმინტე, ლემანიე, ლეგოგილე** და ა.შ. ერთი წინაპ-

[30] რ. თოფჩიშვილი. როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ. 1997, გვ. 24

რის შთამომავლებისგან იყო შექმნილი მსგავსი ტიპის დასახლებები და ძირითადად გორებზე იქმნებოდა. საბჭოთა პერიოდში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნას მოჰყვა მონოგენური დასახლებების რღვევა და ჩამოყალიბდა თანამედროვე ტიპის დასახლებები, ძირითადად სამეზობლო, შედარებით – შეჯგუფული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პოსტსაბჭოთა დასახლების მორფოლოგია განსხვავდება ისტორიულისგან. ბოლო დროს პატრონიმული, ერთი გვარით დასახლებული უბნები აღარ გვხვდება. ასევე, სოფლის ქუჩებისთვის სახელის დარქმევის პროცესი მიმდინარეობს. თუკი აქამდე, უბანს აქ მცხოვრები გვარის სახელწოდება ქონდა, დღეისათვის ადგილობრივი მთავრობა, ოფიციალურად სოფელში ან მუნიციპალიტეტში გამორჩეული ადამიანების, ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი თუ რელიგიური დღის აღმნიშვნელ სახელწოდებებს ანიჭებს ქუჩებს. მაგალითად, ჯვარის უბან ლეხარჩილეს დაერქვა კ. გამსახურდიას ქუჩა. ხშირად, მოსახლეობას წინაპრების შერქმეული სახელწოდებები აქვს მეხსიერებაში შემორჩენილი და ეძახის ადრე აქ მცხოვრები გვარისგან ნაწარმოებ ოიკონიმს.

**კარ-მიდამოს მოწყობა**

ა) საცხოვრებელი ნაგებობები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში გავრცელებულია ერთსართულიანი და ორსართულინი რკინა-ბეტონით ნაგები სახლები. ორსართულიან სახლებში, ხშირად, პირველი სართული ქვით, ხოლო მეორე სართული ხითაა ნაგები. აქა-იქ შემორჩენილია ტრადიციულად ნაგები ოდა. თითქმის ყველა სახლს აქვს სამზარეულოს ფუნქციის მქონე, ცალკე მდგომი, ერთი ან ოროთახიანი სახლი. ჯარგვალი და ფაცხა საცხოვრებლად არ გამოიყენება. მათ სამეურნეო დანიშნულება აქვთ.

XX ს-ის I ნახევრამდე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში, გავრცელებული იყო ოდა სახლები. ასეთ შენობებს აქ XVIII საუკუნის დასაწყისიდან აგებდნენ.[31] არსებობდა ხუთი სახის ოდა სახლი: ერთოთახიანი, ოროთახიანი, სამოთახიანი, ოთხოთახიანი და რვაოთახიანი.[32] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში საექსპე-

[31] ი. ადამია. კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება. არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 1948, გვ. 39

[32] ი. ადამია. კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება, გვ. 84

დიციო მუშაობის დროს დათვალიერებულ ოდა სახლებს ძირითადად ოთხი ოთახი აქვს. სოფელ კანთში, კვარაცხელიების ოჯახში დავაფიქსირეთ ოდა, რომელსაც აქვს მინაშენი. ოთახების რადენობის გაზრდა საჭიროებების გაზრდამ განაპირობა. ხუდონის თემის მკვიდრი, ისაკი ქარდავა წერს, რომ „მასწავლებელმა პროფი ჭანტურიამ პირველად მეცადინეობა დაიწყო 1928 წლის პირველ სექტემბერს, მდინარე მაგანას ხეობაში მცხოვრებ ბაგრად ისლამის ძე ფიფიას ორსართულიან ოდა-სახლში.“[33] ირკვევა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული ყოფილა ორსართულიანი ოდები (იხ. დანართი 1).

ოდა სახლი გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში: იმერეთში, გურიაში; ასეთი ნაგებობები იყო მესხეთშიც. „ქვაბლიანის ხეობაში სამი ტიპის საცხოვრებელი ბინაა მიღებული. ერთი დარბაზული, მეორე ოდური და მესამე ე.წ. ლაზური.[34] გვიანდელი კვლევებით, დარბაზული, ოდური და მიწურა ერდოიანი სახლები ამ რეგიონში აღარ ფიქსირდებოდა და ისინი ძველებურ სახლებად იყვნენ მიჩნეულნი.[35]

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო **„პიტაფიცარა“** – ბოყვიანი სახლი. გეგეჭკორის ცნობით, შუა საუკუნეების ბოლოს სამეგრელოში გავრცელებული იყო „გადახურვის სისტემით, ფორმით და საცხოვრებელი ფართის გამოყენების წესით განსხვავებული საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც ცნობილია პიტაფიცარას სახელწოდებით. მსგავსი საცხოვრებელი გავრცელებული იყო იმერეთში და გურიაშიც. ეს სახლები ეკუთვნოდა გვიანობამდე შემორჩენილ დიდ ოჯახს, რომელიც აერთიანებდა ერთ ოჯახში იმდენ თაობას, რამდენის ცხოვრებაც ერთობლივად იყო შესაძლებელი[36]. პიტაფიცარის სახლი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში შემორჩენილი არაა, თუმცა სამეგრელოს ტერიტორიაზე თანამედრობე პერიოდში ის დაფიქსირებულია აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანში[37]. აქ არსებული ისტორიული საცხოვრებელი მუხის ხისგანაა ნაგები.

[33] ი. ქარდავა. მოთხრობები, ლექსები და ნაშრომებზე მკითხველთა გამოხმაურება, გვ. 34

[34] გ. ჩიტაია. გლეხის სახლი ქვაბლიანში (დარბაზული ტიპი). მიმომხილველი. I. ტფ. 1926, გვ. 140.

[35] თ. ოჩიაური. ახალი საცხოვრებელი სახლი ადიგენის რაიონში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის XII-XIII. თბ. 1963, გვ. 128.

[36] გ. გეგეჭკორი. პიტაფიცარა სახლი (ადრეული ფორმები). ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი III. თბ. 2001, გვ. 143.

[37] პიტაფიცარა სახლის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა დოქტორანტმა ი. შენგელიამ

პიტაფიცარა სახლი „ჯარგვალის“ განვითარების შემდეგ გავრცელდა სამეგრელოს ტერიტორიაზე. ჯარგვალს მეცნიერები პიტაფიცარა სახლისა და საცხოვრებელი ფაცხის შუალედურ ეტაპზე მოიაზრებენ.[38]

პიტაფიცარა, იგივე ბოყვიანი ანუ აფრიანი სახლიდან ოდა სახლამდე გარდამავალ საფეხურზე „განის“ ან „ლორის“ სახლი იყო – ხის ოროთახიანი სახლი. დახერხილი ფიცრების დამაგრება კუთხეებში ბოყვების საშუალებით ხდებოდა, შემდეგ კი გადაფსკვნიდნენ. კედლის შუაში ვერტიკალურად ბოყვი იდგმებოდა.[39]

ჯარგვალი საცხოვრებელი ფაცხის განვითარების უძველესი სახეა. ის იყო ოროთახიანი, მორებისაგან ნაგები შენობა. ხალხური არქიტექტურის მკვლევარი ილია ადამია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დღევანდელ ქალაქ ჯვარში ჯარგვალის გავრცელებაზე მიუთითებს.[40] საბჭოთა პერიოდში, წალენჯიხის გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, სოფელ მუჟავაში „გზები გაუვალი იყო. გლეხები ისლით გადახურულ ჯარგვალში ცხოვრობდნენ. აქა-იქ ჩანდა ძველებური ოდა სახლები“.[41]

ჯარგვალმა გაიარა განვითარების რამდენიმე ეტაპი. გ. გეგეჭკორს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ სქურში დაფიქსირებული აქვს საცხოვრებელი სახლის, ჯარგვალის ადრეული ფორმა სახელწოდებით – **ჯღვარკალი**. როგორც გ. გეგეჭკორი აღნიშნავს, ჯღვარკალი ჯარგვალთან შედარებით იოლი ასაშენებელი იყო და ამიტომაც, ამგვარ სახლებს ღარიბები იშენებდნენ. ჯარგვალს კი – შეძლებულები.[42]

ჯარგვალი გავრცელებული ყოფილა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. ორსართულიანი ჯარგვალი დააფიქსირა მკვლევარმა ნ. შოშიტაშვილმა. „ზედშედგმული“ ანუ ორსართულიანი ჯარგვალი დღეს საზაფხულო საძოვრებზე, იალაღებზე ფიქსირდება“.[43] წალენჯიხის და მთიანი სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებში (ჩხოროწყუ, მარტვილი), საექსპედიციო მუშაობისას მსგავსი ტიპის ჯარგვალი არ დაგვიფიქსირებია.

[38] გ. გეგეჭკორი. პიტაფიცარა სახლი (ადრეული ფორმები), გვ. 134.

[39] ნ. თოფურია. ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები. თბ. 1968, გვ. 139.

[40] ი. ადამია. კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება, გვ. 72

[41] მ. არონია. ჩემი სოფელი. გაზეთი „კომუნიზმის დროშით“. 1971 წ. №24, 25 თებერვალი.

[42] გ. გეგეჭკორი. ჯარგვალი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. II. თბ. 2000, გვ. 33.

[43] ნ. შოშიტაშვილი. საცხოვრებელი ნაგებობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ტრადიცილი საცხოვრებელი ნიმუშები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ქართულ-თურქული პარალელები. I. თბ. 2009, გვ. 30.

სამეგრელოში, ადამიანის მიერ შექმნილი საცხოვრებელი ნაგებობებიდან, უძველესია ფაცხა, ხის წკნელებისგან მოწნულ-მოღობილი ქოხი.[44] გ. გეგეჭკორის მოსაზრებით, ფაცხა-სახლის ადრეული ფორმების გავრცელების არეალი მთის ზოლს მოიცავდა და დანიშნულების მიხედვით, იყო სასტუმრო, საწესო, ახალდაქორწინებულთათვის, სამეურნეო დანიშნულებისათვის და ოჯახის ძირითადი საცხოვრებელი, შუაცეცხლიანი.[45] მკვლევარს ჯვარის ტერიტორიაზეც დაუფიქსირებია ფაცხების არსებობა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, ძველი საცხოვრებელი ნაგებობებიდან მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე გვხვდება **ფაცხა, ჯარგვალი** და **ოდა**. აღნიშნულ ნაგებობებს თანამედროვე ვითარებაში შეცვლილი აქვთ ფუნქცია. ოდა ყველა სოფელშია, მაგრამ მასობრივად გავრცელებული არაა, განსაკუთრებით ნაკლებადაა შემორჩენილი ჯარგვალი. ტერმინ „ჯარგვალს“ მნიშვნელობა შეცვლილი აქვს და ის, ხშირად, სამეურნეო ნაგებობის აღსანიშნავად გამოიყენება. ფაცხა ხშირია და მისი აგების ტენდენციაც ფიქსირდება.

საკვლევ მუნიციპალიტეტში გვხვდება ორსართულიანი სახლები, რომელთა პირველი სართული ქვით ან ბლოკითაა ნაგები, ხოლო მეორე სართული, ძირითადად, წაბლის ხისგანაა ნაგები. ასეთი სახლები დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო საბჭოთა დროს. 1950-იან წლებამდე ქვედა სართულს აგებდნენ ქვისგან, ცემენტის შერევით. გვიან პერიოდში კი, ბლოკითა და ცემენტის მინარევით. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ასეთი სახლების მშენებლებად ხშირად ასახელებენ რაჭველებს. მსგავსი ტიპის სახლები გავრცელებული იყო იმერეთში.[46]

სამეგრელო, კონკრეტულად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყით. ამაზე არაერთი მოგზაური მიუთითებდა. შარდენის ცნობით, „ქვეყანა, რამდენადაც ვშორდებით ზღვის ნაპირს, იმდენად თანდათანობით მაღლდება. იგი თითქმის მთლიანად ხშირი და მაღალი ტყით არის დაფარული“.[47] ამიტომაც საშენ მასალად გამოიყენებოდა ხე. „ოდა სახლის მშენებელი ოს-

[44] ი. ადამია. კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება, გვ. 68

[45] გ. გეგეჭკორი. საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი სახეობა საქართველოში (ფაცხა). ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი. I. თბ. 2000. გვ. 36.

[46] კ. კახიანი. გლეხის კარ-მიდამო იმერეთში. თბ. 1964, გვ. 73.

[47] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 109

ტატები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაგარი ხის მასალის შერჩევას. გამოიყენებოდა ხის ისეთი ჯიშები, რომლებიც კარგად უძლებდნენ ნოტიო ჰავის ზემოქმედებას. უპირატესობას ანიჭებდნენ მუხას, წაბლს, თელას, ურთხმელს.[48] განვითარებული იყო ადგილობრივი ხითხუროობა. ყველა გვარს, საგვარეულოს ან ოჯახს ჰქონდა თავისი ტყე, საიდანაც ოჯახი ხის მასალით მარაგდებოდა. ვერა ბარდაველიძემ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს, 1950-იან წლებში ჩაიწერა, რომ გვარებს ჰქონდათ საერთო სახნავ მიწებთან ერთად ტყეც, საიდანაც მიჰქონდათ საშენი მასალა. მაგალითად, „არქანიების საერთო ტყე იყო „**წიფურსკვამი**“. ამ ტყეში ყველა კომლს შეეძლო მოეჭრა ხე სამასალედ და საშეშედ. ტყე ქონიათ ჩვინარეშიც, რომელიც დანაწილებული იყო ბაბუაშვილებად („გამნარყებად“): ცალკე იყო ქვაცას შთამომავლების ტყე, ცალკე ტვეფნიასი და ასევე სხვა ბაბუაშვილებს, არქანიების გვარის ხალხს“.[49] როგორც ირკვევა, ორი სახის საგვარეულო ტყე არსებობდა: შეუზღუდავი და შეზღუდული მოხმარების.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, საკვლევ მუნიციპალიტეტში პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებული სახლების უმეტესობა საბჭოთა პერიოდშია ნაგები. ამ დროს აშენებული სახლები ერთნაირადაა დაპროექტებული. სამშენებლო მასალად ბლოკი და ცემენტია გამოყენებული, მეტწილად ორსართულიანი სახლებია, ოთახების რაოდენობაც კი ერთნაირია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში გვხვდება ე.წ. „ბელეტაჟი“ - ქვით ნაგები სახლები. ასეთ სახლებში ქვედა სართული დაბალჭერიანია, სივრცე გამიზნულია საჰაეროდ, ნესტისგან დასაცავად, ასევე სამეურნეო დანიშნულებით, საკუჭნაოდ, ხოლო ზედა, საცხოვრებელ სართულზე განლაგებულია საძინებელი, სამზარეულო და სტუმრის მისაღები ოთახი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახლები, შეიძლება, პირობითად, დავყოთ დიდ და მცირე საცხოვრებლებად. დიდი საცხოვრებელი სახლი არის ქვით ნაგები, ორსართულიანი; ორივე სართული ძირითადად ერთნაირადაა დაგეგმარებული. დიდ სახლს გვერდზე მიდგმული აქვს პატარა სახლი, რომელსაც სამზადს, „ქუხნას“ უწოდებენ და სამზარეულოს ფუნქცია აქვს. მას ხშირად საძინებელი ოთახებიც აქვს და ოჯახის წევრები „პატარა სახლში“

[48] ნ. ჯაბუა. ძველი საქართველოს საერო ხუროთმოძღვრება. თბ. 2018, გვ. 58

[49] ვ. ბარდაველიძის არქივი. ფონდი №69. არქივი ინახება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში

ცხოვრობენ. „დიდი სახლი“ კი სტუმრისთვის და განსაკუთრებული დღეებისთვის გამოიყენება. რიგ შემთხვევაში, შენობები გადაბმულია და ერთიან სივრცეს ქმნიან.

პოსტსაბჭოთა პერიოდში აგებულ სახლებს საბჭოთა დროს აგებული სახლებისგან განსხვავებით არ აქვს „პატარა სახლი“. სახლებს აგებენ ქვისგან. არქიტექტურა დამოკიდებულია მეპატრონის გემოვნებაზე. ერთ სახლშია მოთავსებული სამზარეულო, მისაღები და სხვადასხვა ფუნქციის მქონე ოთახები.

ამჟამად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ოდა სახლი საცხოვრებელი დანიშნულებით იშვიათად გვხვდება.

დღესდღეობით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ოდა სახლები ხშირად მუზეუმებად არის გადაკეთებული, მაგალითად, სოფელ ნაკიფუში – აკადემიკოს ტარასი კვარაცხელიას სახლმუზეუმი, სოფელ ჩქვალერში – ეგნატე ფიფიას სახლმუზეუმი, სოფელ ობუჯში – ლეო ქიაჩელის სახლმუზეუმი ოდა სახლებია.

ოდა სახლების ტურისტული მიზნით გამოყენება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩვენ არ დაგვიფიქსირებია, თუმცა სხვა მუნიციპალიტეტებში ამის მაგალითები არის. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციალიტეტეტის სოფელ ჩხორიაში ტურისტული სივრცე, ე.წ. ეთნოსოფელი – „**სისატურა**“.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი ოდა სახლების ნაწილი გამოიყენება შესანახ, საწყობ ნაგებობებად. ზოგჯერ, თანამედროვე, რკინა-ბეტონით ნაშენი სახლების გვერდით დგას ოდა, რომელსაც იყენებენ ნივთების შესანახად. ხშირად, ოდა სახლი და კარმიდამო მიტოვებულია და მესაკუთრე ქალაქშია საცხოვრებლად გადასული ან ემიგრაციაშია, რასაც საბჭოთა ეპოქაში არსებული გადაადგილების მკაცრი შეზღუდვის გამო ვერ შეძლებდა. სახლების მიტოვებისა და საცხოვრებლის შეცვლის ტენდენცია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საგრძნობლად გაზრდილია.

ისტორიული საცხოვრებელი ნაგებობები დღესდღეობით ხშირად სამეურნეო ფუნქციით გამოიყენება, მათ შორის ისეთები, რომლებიც სააგენტოს მიერ ძეგლად არის გამოცხადებული. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქავაში, ლეჯოლოხეს უბანში ჯარგვალი საძროხედ გამოიყენება. ბოსლის ფუნქცია აქვს ჯარგვალს ქალაქ წალენჯიხაში აბაკელიების ოჯახში. სოფელ მედანში, ლარას უბანში ჯარგვალის ნაგებობა სათავსოდ აქვთ გამოყენებული, ხოლო სოფელ საჩინოში მარნად არის გადაკეთებული.

ბოლო პერიოდში ხდება თანამედროვე სამშენებლო მასალით სამეურნეო ნაგებობის აგება და მისთვის ძველი სახელწოდების – ჯარგვალის შერქმევა. ქალაქ ჯვარში, ერთ-ერთ ოჯახში, საცხოვრებელ სახლს უკან აქვთ სამეურნეო ნაგებობა, შუაცეცხლით. შენობა აშენებულია ბლოკით და ცემენტით; გადახურულია კრამიტით. ოჯახის წევრები ამ ნაგებობას ჯარგვალს უწოდებენ და გამოიყენებენ სხვადასხვა სახლის საზამთრო შესანახი პროდუქტის მოსამზადებად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყველა სოფელში ფიქსირდება ფაცხა. კვლევისას დაფიქსირებული ფაცხების უმეტესობა აგებულია საბჭოთა დროს. პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიმჩნევა ეზო-კარის ფაცხით დამშვენების ტენდენცია.

დღეს ფაცხას სამეურნეო და გასართობი დანიშნულება აქვს. ფაცხაში ხდება განსაკუთრებული დღეების აღნიშვნაც და სუფრის გაშლა.

ადრე სამეგრელოში სამოსახლო ადგილის შესარჩევად ატარებდნენ სხვადასხვა სახის რიტუალს. მიმართავდნენ მკითხავებს, აკვირდებოდნენ მთვარეს. დღეს იციან სახლის საძირკვლის ამოთხრისას საკლავის დაკვლა და ახალმოსახლის სახლის დალოცვა („ხვამა“). მოჰყავთ მღვდელი სამოსახლო ადგილი საკურთხებლად.

ამრიგად, სამეგრელოში საბინაო ხუროთმოძღვრების განვითარების დინამიკა ასეთია: უძველეს ფაცხას ცვლის ჯარგვალი, ჯარგვალს – ნათალი ფიცრებით აგებული სახლი, შემდეგ კი – დახერხილი ფიცრებისაგან აგებული ოდა სახლი.[50] საბჭოთა ეპოქაში საბინაო ხუროთმოძღვრების უმთავრესი ფორმა იყო ერთსართულიანი ან ორსართულიანი ქვის ან ქვისა და ხის შენობები; იშვიათად - „ბელეტაჟი“. საცხოვრებელი სახლების უმეტესობა ამ დროს არის აშენებული. საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მომხდარმა ცვლილებებმა საკომუნიკაციო საშუალებების, სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა ევროპული ტიპის საცხოვრებელი სახლების აგების ტენდენცია. ახალმოსახლეები საცხოვრებელ ნაგებობებს თავიანთი ინტერესების, სურვილების, საჭიროებების მიხედვით აშენებენ. საბჭოური სტანდარტი, ერთფეროვნება წარსულს დარჩება.

ბ) ეზო-კარი, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები

კარ-მიდამოს მოწყობა ძირითადად დაკავშირებულია მეურნეობის ფორმასთან. იმისათვის, რომ კარ-მიდამო სრულყოფილი იყოს, იგი უნდა

[50] ი. ადამია. კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება, გვ. 79

შედგებოდეს ეზოს, საცხოვრებელი ნაგებობების ანუ სახლისგან, სამეურნეო ნაგებობების, „დამხმარე“ ობიექტების და მიდამოსაგან.[51] საბჭოთა დრომდე კარ-მიდამო მოიცავდა ტრადიციულ სამეურნეო ნაგებობებს. სამეგრელოში კარ-მიდამოს მოწყობა მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა პერიოდში, როდესაც ინდივიდუალური გლეხური ტრადიციული მეურნეობები შეიცვალა კოლექტიური მეურნეობებით. ახალი სამშენებლო მასალის გამოყენებამ შეცვალა კარ-მიდამოს იერსახე. მისი სტრუქტურა იცვლება პოსტსაბჭოთა ხანაშიც.

ამჟამად კარ-მიდამოს საკმაოდ დიდი ფართი უკავია. შედარებით მცირე ეზოები გვხვდება ქალაქებში, კონკრეტულად, ჯვარსა და წალენჯიხაში. მიუხედავად იმისა, რომ წალენჯიხა და ჯვარი ქალაქია, აქ შინაური საქონელი და ფრინველი თითქმის ყველა ოჯახს ყავს, თუმცა, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობები აქ მცირე ტერიტორიაზეა განლაგებული.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში კარ-მიდამოს სივრცე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებსა და მიწას მოიცავს. სამეურნეო და დამხმარე ნაგებობების გარდა, არის საბოსტნე, სავენახე, სახილე, საყანე სივრცეები. ზოგჯერ თხილნარი და საყანე მიწები კარ-მიდამოს ნაწილია.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში კარ-მიდამოები შემოღობილია, რკინის ან იშვიათად ბეტონის და ხის ღობეებით. მაღალ ადგილებში, მდინარესთან ახლოს შემორჩენილია რიყის ქვით შემოსაზღვრული ღობეები. ხშირად, დიდი ეზოები შემოზღუდულია ეკლიანი მცენარითაც, ზოგჯერ დეკორატიულით (დაფნა, ტუია). ყველა ეზოს აქვს რკინის დიდი ჭიშკარი, რომელმაც ჩაანაცვლა ხის ჭიშკრები. სოფელ ნაკიფუში შემორჩენილია ტარასი კვარაცხელიას სახლ-მუზეუმის ხის ჭიშკარი. ასეთი თითო-ოროლაა.

წინა ეზო, ძირითადად დეკორატიული მცენარეებით არის მორთული; უკან კი – საბოსტნე და სამეურნეო დანიშნულების მიწებია. კარმიდამოში აქვთ ხილის ბაღები, ვენახი და საბოსტნე ადგილები. ბევრ ოჯახს აქვს ჭა. კარმიდამოს წინა ხედი მასიურად ხილულია ქუჩაში გამვლელისთვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იშვიათად არის დახურული ეზოები.

საბჭოთა დროს აგებული სახლები დიდი ფართობით გამოირჩევა; თითქმის ყველა სახლის გვერდზე დგას სამზადი, ე.წ. „ქუხნა“ (რუსული, სამზარეულოს აღმნიშვნელი). სამზადი სახლი უმეტესად ხისგან, ზოგჯერ ქვისგანაა ნაგები. „ქუხნას“ რამდენიმე ოთახი აქვს, რომლებიც სამზარეულო-

[51] კ. კახიანი. გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, გვ. 58

სა და სასადილოს ფუნქციით გამოიყენება. დიდი სახლის აგების შემდეგ, ხშირია ერთსართულიანი პატარა ზომის საცხოვრებელი სახლების სამზად სახლად გადაკეთება.

სოფლებში, შიდა მოხმარებისთვის ოჯახებში აქვთ წისქვილები. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც წყლის წისქვილები ჩაანაცვლა დენის წისქვილებმა, რომლებიც სოფელში, უბნებში ცენტრალურ ადგილებზეა მოწყობილი. წყლის წისქვილები დღეს იშვიათია. ჩვენ ასეთი დავაფიქსირეთ სოფელ მიქავაში. ხშირად, წისქვილი რამდენიმე ოჯახის საერთო საკუთრებაა. წისქვილის ქვები ითლება სოფლებში – მუჟავა და მედანი. ქვის მთლელთა პროფესია მამიდან შვილზე გადადის მემკვიდრეობით. ქვის მთლელები არიან ფიფიების, ძაძამიების, ჭანტურიების გვარში. სოფელ მუჟავაში მცხოვრები მჭედელი ვალიკო კარლოს ძე შონია, ამავე დროს, ქვის მთლელიცაა. მას ეს ხელობა, ისევე როგორც სამჭედლო საქმე, წინაპრებისგან უსწავლია.

წისქვილის ქვის მკეთებლები თავიანთ ნაწარმს ყიდიდნენ ან ცვლიდნენ მათთვის საჭირო ნივთზე. როგორც ირკვევა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან წისქვილის ქვა მეზობელ მუნიციპალიტეტებშიც გაჰქონდათ. დავით ჭითანავა აღნიშნავს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის თემში, წისქვილისთვის საჭირო ქვა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან მიჰქონდათ. წისქვილის ქვებს ჩანგელიას და ფიფიას გვარის ხალხი ამზადებდა და ყიდდა.[52]

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შინამრეწველობის მნიშვნელოვანი დარგი იყო მჭედლობა („ჭკადუა“). ისტორიულად სამი სახის მასალის მჭედელი არსებობდა: რკინის, სპილენძის და ოქრო-ვერცხლისა.[53] საბჭოთა პერიოდამდე და საბჭოთა დროშიც, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ყველგან იყო მჭედელი. მჭედლობა საპატიო და ღირსეულ საქმედ მიიჩნეოდა. 1965 წლის 30 სექტემბერს წალენჯიხის გაზეთ „კომუნიზმის დროშით“ გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, მჭედელ ორესტი ძიძარიას ეს საპატიო საქმიანობა წინაპრებისგან უსწავლია. მისი ბაბუა უტუ მიქავას „გვერდით ტრიალებდა, ჭედდა ხმალსა და აბჯარს, გუთანსა და ნამგალს“.[54]

„ძველად სამჭედლო – „ოჭკადურე“ – სახლთან ახლოს ჰქონდათ

[52] დ. ჭითანავა. ყულიშ-კარის თემი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 2002, გვ. 37.

[53] ნ. რეხვიაშვილი. ქართული ხალხური მეტალურგია. თბ. 1964, გვ. 151.

[54] ო. სალია. იწრთობოდა ფოლადი. გაზეთი „კომუნიზმის დროშით“. 1965 წ. 30 სექტემბერი, №38.

მოწყობილი. საბჭოთა დროს სოფლების ცენტრში იყო, ქალაქებსა და დაბებში კი – ბაზართან ახლოს და ხალხთა თავშეყრის ადგილებზე".[55] ც. კაკაბაძეს და გ. ჯალაბაძეს აღწერილი აქვთ საჩინოში და მედანში მჭედლების საქმიანობა. დღეს მუნიციპალიტეტის სოფლებში, მთხრობელებს ძველად მცხოვრები მჭედლების სახელები და გვარები ჯერ კიდევ ახსოვთ. ჯგალში ცნობილი მჭედელი ყოფილა ბათუ კვარაცხელია, ჯვარში – ორესტი მოსიძე, ნაკიფუში – მალაქია მოლაშხია; ჯაღირელი მაჟარა მებონია მალაქია მებონიას შეგირდი ყოფილა. სამჭედლოში, გარდა პროფესიული საქმიანობისა სრულდებოდა ასევე სხვადასხვა სახის რიტუალები. იცოდნენ „ხვამა" (ლოცვა), „გინოჩამა" (ხატზე გადაცემა), „ფუჩი" (ფიცი).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, პოსტსაბჭოთა პერიოდში სამჭედლოები აქა-იქ თუ შემორჩა. მჭედლის ნაწარმს ადამიანები დღეს მარკეტებსა და ბაზრობებზე იძენენ. საველე ექსპედიციების დროს დავაფიქსირეთ სამჭედლოები საკუთარ სახლებში: სოფელ მუჟავაში – შონიებთან, სოფელ მიქავაში – მოსიძეებთან (იხ. დანართი 2), სოფელ ნაგურუში – აბრალავებთან. დღეისათვის მჭედლები ამზადებენ და შეაკეთებენ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო იარაღებს: თოხს, ნაჯახს, იშვიათად დანას, სახნისს და სხვა.

საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსში გვხვდება „კაზარმა", რომელიც სათავსოს ფუნქციას ასრულებს. „კაზარმების" მშენებლობა დაიწყო საბჭოთა პერიოდში მას შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლება კრძალავდა ქელეხის მოწყობას. ისინი ქვისგანაა ნაგები და ჩვეულებრივ, სეფასთან შედარებით, ადამიანების შეკრება ამ ნაგებობაში შეუმჩნეველია. მეგრელებმა დიდი „კაზარმები" ააგეს ქელეხის სუფრების გასაშლელად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელ სამეგრელოში, ჰქონდათ ღია მარნები. დღეს ღია მარნები იშვიათად გვხვდება პრაქტიკული დანიშნულებით. მხოლოდ იმ ოჯახებშია შემორჩენილი სადაც „ხვამის" (ლოცვის) ტრადიციაა. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ღია მარნებში სალოცავი ქვევრები დატოვებულია უფუნქციოდ და „ხვამის" (ლოცვის) პრაქტიკა აღარ აქვს ოჯახს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად, საბჭოთა დროს აგებული ხის მარნებია შემორჩენილი, ან მარნის ფუნქციას ითავსებს საცხოვრებელი ნაგებობის პირველი სართული, ზოგჯერ – სარდაფი. ძველი ხის მარნები

[55] ც. კაკაბაძე, გ. ჯალაბაძე. მჭედლობა სამეგრელოში. თბ. 1979, გვ. 88.

დავაფიქსირეთ მედანში, მიქავაში, ლიაში, ობუჯში, ჭალეში. ჭალეში არსებულ მარანს, რომელიც დღეს კანკიების ოჯახის საკუთრებაა, მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი (იხ. დანართი 3). მარანის აგების წელი უცნობია. ოჯახი დაახლოებით მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდით ათარიღებს. გადმოცემით, ის აუგია აკობიების ოჯახს, კანკია კი აქ ჩასიძებულა.

მარანი სალოცავი ადგილი იყო. „ის წმინდად ითვლებოდა. მის მარჯვენა კუთხეში ღვინის ზედაშეები იყო მოთავსებული“.[56] კათოლიკე მისიონერის, არქ. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში თუ კარის ეკლესია არ ქონდათ, ჯვრისწერა და ნათლობა მარანში იცოდნენ.[57] მარნის საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს სოფელ ობუჯში, ნაგებობის კედელზე გამოსახული ორნამენტები (ჯვრები).

სხვა სამეურნეო ნაგებობებიდან, კარ-მიდამოში განლაგებულია საძროხე, საქათმე, საღორე, ინდაურებისა და ბატების დასაბინავებელი ნაგებობები, ნალია, თითქმის ყველა ოჯახშია „მაღაზა“; აქა-იქ თუ შემორჩა „ბაღი“ (ბეღელი). სამეგრელოში **„ბაღ“** მხოლოდ ღომის თაველის შესანახად გამოიყენებოდა.[58] ეს ნაგებობა ექსპედიციების დროს დავაფიქსირეთ ლიაში, ლესალეში, მიქავაში (იხ. დანართი 4).

შინაური ცხოველებისა და ფრინველების სადგომები სახლის უკანაა მოთავსებული. ხშირად საღორე და საძროხე განლაგებულია გზისპირზე, გაჭრილ ღობეში, ცხოველების იოლი შერეკვის მიზნით (იხ. დანართი 5).

ბევრგან კარმიდამოები შემჭიდროებულ დასახლებას ქმნიან. მეზობლები ერთმანეთთან ახლოს სახლობენ და მათ ეზოს საერთო კარი აქვს გვერდიდან. მაგალითად, ერთი მოსახლის ეზოს გვერდითა კარი გადასასვლელია მეორე მოსახლის ეზოში, ამ უკანასკნელის ეზოს კი აქვს გვერდზე მეზობლის ეზოში გადასასვლელი კარი და ასე მიჰყვება ზოლად (იხ. დანართი 6). ამგვარი დასახლებები ძირითადად გზისპირებზე განლაგებულ სოფლებშია: ლიაში, ჯგალში, ეწერში, ჭალეში, ნაკიფუში, ქალაქებში წალენჯიხასა და ჯვარში.

ამჯამად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, თანამედროვე დასახლების ფორმები სხვადასხვაგვარია; მასში შემონახულია როგორც ად-

[56] ნ. თოფურია. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ქართულ-ეთნოგრაფიულ ატლასში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის XX. თბ. 1979, გვ. 114.

[57] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგამანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. თბ. 1938, გვ. 85.

[58] ჯ. რუხაძე. ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში. თბ. 1976, გვ. 56.

რეული ტრადიციული ნიშნები, ასევე საბჭოთა პერიოდში მომხდარი ცვლილებები.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, 1990-იან – 2000-იან წლებში ახალი ტიპის დასახლება საკვლევ მუნიციპალიტეტში არ შეინიშნება. ამჟამინდელი დასახლებები XX საუკუნეშია (უფრო XX საუკუნის მეორე ნახევარში) ჩამოყალიბებული. მათი განვითარება, კეთილმოწყობა და თანამედროვე პირობებზე მორგება მუდმივად გრძელდება.

საცხოვრებელი სახლი მუნიციპალიტეტში თანამედროვე პირობებს და გამოწვევებსაა მორგებული. პოსტსაბჭოთა პერიოდში ცვლილებები აქ უფრო შესამჩნევია. საბჭოთა პერიოდამდე აქ, ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში, ძირითადად ხის სახლები იყო გავრცელებული. სამასალე ხის მოსაჭრელად „არა მარტო თვეებს, არამედ დღეებსაც და მთვარის ფაზებსაც არჩევდნენ. ზოგიერთი პარასკევს მძიმე დღედ თვლიდა“.[59] საბჭოური სტანდარტული, ერთნაირი არქიტექტურული წესით ნაგები სახლები იცვლება ინდივიდუალური გეგმის, სხვადასხვა კონსტრუქციის შენობებით. დღესდღეობით მშენებლობის დაწყების თვეს, ფაზას და დღეს მნიშვნელობა არ აქვს და დამოკიდებულია ახალმოსახლის სურვილზე და მოცალეობაზე.

კარ-მიდამოს მოწყობა მორგებულია თანამედროვე ოჯახის მოთხოვნილებებს და დღესაც, როგორც საბჭოთამდელ და საბჭოთა პერიოდში, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ძირითადად ხისაა; იშვიათად გვხვდება ბეტონისაც. თუ ლანდშაფტი ამის საშულებას იძლევა, წინა ეზო ფართოა და მოწყობილია ყვავილნარით, დეკორატიული მცენარეებითა და საჩრდილობელი ხეებით. ასეთი კარმიდამოები თითქმის ყველა სოფელშია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კარ-მიდამოს, განსაკუთრებით წინა ნაწილის კეთილმოწყობასა და გამშვენებას (იხ. დანართი 7).

[59] ჯ. მიქელაძე. აჭარელი გლეხის კარ-მიდამო. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 1983, გვ. 33.

## დანართები

**დანართი 1.**
სამუშიების ოდა სახლი,
სოფელი ლია

**დანართი 2.**
მოსიძეების სამჭედლო („ოჭკადურე“),
სოფელი მიქავა

**დანართი 3.**
აკობიების მარანი,
სოფელი ჭალე.[60]

[60] კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს გადაწყვეტილებით, ეს მარანი ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის აღიარებული, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩვენ მიერ განხორციელებული ექსპედიციების დროს შესაბამისი სტატუსის გარეშე უფრო მნიშვნელოვანი ძეგლები დავაფიქსირეთ, რომლებიც აღიარებას და სათანადო ყურადღებას საჭიროებენ.

**დანართი 4.**
კვარაცხელიების „ბაღ“/ბელელი,
სოფელი ჯგალი

**დანართი 5.**
კვარაცხელიების საძროხე,
სოფელი ჯგალი

**დანართი 6.**
მეზობლებს შორის ეზოდან ეზოში
გადასასვლელი კარი,
ჯვარი, ლეციმინტეს უბანი

**დანართი 7.**

არქიტექტურული ტრადიციების გათვალისწინებით აგებული თანამედროვე სახლი სოფელ საჩინოში

***Ketevan Tsimintia***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# SETTLEMENT TYPES AND ARRANGEMENT OF COUNTRY ESTATE IN SAMEGRELO (ON THE EXAMPLE OF TSALENJIKHA MUNICIPALITY)

Summary

The types of settlement and arrangement of country estates have been changing over time in Samegrelo. Tsalenjikha municipality reflects these changes fully. While plentiful elements appeared in the 20th and beginning of the 21st centuries, historical forms of settlement still remained popular.

Settlement types vary and depend on the relief of the specific village. Settlements were mostly located in or near forests before the Soviet era, while later changes brought better infrastructure and improved transportation, subsequently resulting in the appearance of settlements near constructed roads. Some people still prefer to live on hills that are not very connected to new roads. However, most of the people now live in settlements close to roads. Settlements near rivers are rare but still exist.

Places of settlement have also changed; people have migrated as a result of new building projects like the construction of Enguri Dam. In other cases, people moved and settled in abandoned or desolated places for different reasons.

The morphology of the settlement is also varied; some are patronymic, while others are more urban and have a mixed population—people of different origins live there. Modern patronymic settlements are monogenous—people with one family name and, in some instances, even of the same clan—live there together.

The arrangement and forms of country estates are also diverse in the municipality, as they are in the rest of Samegrelo; some estates have one floor, while others have two floors. Different additional buildings connected with agricultural and other economic activities are also present. They are as follows: 1) *Jargvali:* a house built from logs, now used for storage; 2) *Bagh:* a small

building for keeping corn; 3) cow-house; 4) hen-house; 5) *Patskha:* a wicker house, etc. Some estates also have small buildings used for rituals called "Khvama," which have pre-Christian shades and are usually practiced individually by families. The historical form of a house is an Oda-house, which still stays popular; however, the majority of them were built more than a century ago–at the end of the 19th and the beginning of the 20th centuries. Two-story houses in the 50s and 70s of the 20th century were built with stone and wood; the first floor was built with stone and concrete, while the second was constructed with wood, mostly with material from chestnut trees. Post-Soviet houses are even more diverse; they combine elements of different ages and bear some novelties as well.

***Tedo Dundua***
Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# Liberties and Phrygian Caps in Georgia[1]

Some common European symbols were in usage for millennia.

Central figure on reverse above is *pileus*, a cap of emancipated slaves in Rome, i.e. symbol of liberty. Following the assassination of Caesar, M. Iunius Brutus used this symbol to declare end of the tyranny.

[1] https://www.academia.edu/43553444/Liberties_and_Phrygian_Caps_in_Georgia

Figure above wears Phrygian cap, associated in Antiquity with several people, like Phrygians, Dacians, Thracians etc.

Figure above is Mithras, Graeco-Roman god of Persian origin, god of the sun, light and justice, in a Phrygian cap. That means as follows: *pileus* was often confused with Phrygian cap, latter also becoming a liberty cap.

French revolution, in its turn, maintained this confusion, taking Phrygian cap as symbol of liberty.

This is again Mithras as equestrian on the municipal copper coins of bilingual (Graeco-Colchian/Western Georgian) Trapezus under the Roman rule. He wears a Phrygian cap.[2]

Here are the municipal copper coins of Dioscurias in Colchis (modern Sokhumi, Western Georgia) with the effigies of Dioscuri's caps and thyrsus. Typologically the coins are connected to the municipal copper coins of Pontus – obverse type is taken from Amisus' coins, issued in 120-111 B.C., and reverse type is borrowed from municipal numismatics of South and North Black Sea coasts, from the coins struck in 105-90 B.C. Coins issued in Dioscurias should be undoubtedly dated back to the end of 2nd c. B.C. and the beginning of the 1st c. B.C. Accordingly, Mithridates VI, king of Pontus, annexed East Black Sea coast exactly in those times. Dioscurians, now subjugated to Mithridates, restored their diminished municipal structures, and struck their own copper money with the "caps of liberty". Still, Mithridates' garrison was located in Dioscurias and the official appointed by him controlled the mint.[3]

Thus, like everywhere in Europe, in Georgia (Colchis and Iberia) the Phrygian caps meant liberty.

[2] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=26

[3] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=22

***Tedo Dundua***
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Emil Avdaliani***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# Universal Styles of Clothing as Seen on Georgian Money[1]

Coins reflect the immersion of Georgia into the culture and influences of Europe and Asia, two principal zones of integration, which had their universal styles in architecture, clothing etc. Below are several pertinent examples.

When affiliated to Hellenistic Orient, Georgians were dressed in Persian-style clothing. When affiliated to "Byzantine Commonwealth" (East European world), Georgians were dressed in Byzantine-style clothing. Modern Georgia means Modern Style. The whole story is depicted on Georgian money.

a) Georgians dressed in Persian-style clothing.

Coins of Bagadat, son of Biurat, duke of Klarjeti (Southwest Georgia). I type. Second half of the 3rd c. B.C.[2]

[1] https://www.academia.edu/43716878/Universal_Styles_of_Clothing_on_Georgian_Money
[2] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=16

Coins of Bagadat, son of Biurat, duke of Klarjeti (Southwest Georgia). II type. Second half of the 3rd c. B.C.[3]

b) Georgians dressed in Byzantine-style clothing.

David IV's (king of Georgia) copper coin, type – king in Imperial coat. 1118-1125.[4]

Coin of Giorgi IV (king of Georgia) – king in Imperial dress. 1210.[5]

[3] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=17

[4] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=48

[5] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=73

Coins with the effigy of two Davids (David Ulugh and David Narin, kings of Georgia). 1261-1262.[6]

c) Georgians dressed in Modern clothing.[7]

Lari. National currency of Georgia.

[6] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=98

[7] https://www.academia.edu/31559754/Money_in_Georgia._Tbilisi._2003

***Tedo Dundua***
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Emil Avdaliani***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# Fashion on Georgian Money[1]

Coins can reveal many details not conveyed by written or any other sources of the period. In many respects, Georgian coins are exceptional in showing the lifestyle of kings and queens. They also reflect the immersion of Georgia into the cultural and fashion trends of the time. Wearing the facial hair has been a continuous trend throughout the most of Georgia's history. As seen in coinage and the printed money, Georgians favored beard and mustache throughout Feudal period and after. Below are some examples from ancient period to modern times.

First come the coins of Bagadat, son of Biurat, duke of Klarjeti (Southwest Georgia). Second half of the 3rd c. B.C. (Obverse: Head of Bagadat, bearded, with moustache).[2]

[1] https://www.academia.edu/43710134/Fashion_on_Georgian_Money
[2] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=16

David IV's (king of Georgia) copper coin, type – king in Imperial coat. 1118-1125 (Obverse: Bust of bearded king in Imperial coat).[3]

Coins of Giorgi III (king of Georgia) – king with falcon on hand. 1174 (Obverse: Bearded king in Asian-Byzantine dress).[4]

Coins of Giorgi, king of Imereti (Western Georgia). I type. 1565-1585 (Obverse: head of bearded man in jewelled crown).[5]

Similar to the trends in Europe, beard and mustache were fashionable in Georgia in the second half of the 19th c.-beginning of the 20th c. Prominent figures of this period are nowadays represented on printed Georgian banknotes (Niko Pirosmani – painter (1 lari), Zacharia Paliashvili – composer (2 lari), Ivane Javakhishvili – historian (5 lari), Akaki Tsereteli – poet (10 lari), Ilia Chavchavadze – writer and political figure (20 lari), Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili – military officer and national hero (200 lari).

[3] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=48
[4] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=66
[5] T. Dundua and Others. Online English-Georgian Catalogue of Georgian Numismatics. 2013-2015 http://geonumismatics.tsu.ge/en/catalogue/types/?type=84

A22129357
საქართველო
საქართველოს ეროვნული ბანკი 2002
A22129357
GEL
1

14630790
საქართველოს ეროვნული ბანკი 1995
14630790
2

AA12345678
საქართველოს ეროვნული ბანკი
2017
NATIONAL BANK OF GEORGIA
FIVE LARI
5
ხუთი ლარი
AA12345678

AA12345678
საქართველოს ეროვნული ბანკი
2019
NATIONAL BANK OF GEORGIA
TEN LARI
10
ათი ლარი
AA12345678

Tedo Dundua and Others. Money in Georgia. Second Revised Edition. Tbilisi. 2003, pp. 163-167.

https://www.academia.edu/31559754/Money_in_Georgia._Tbilisi._2003

***Tedo Dundua***
Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Apolon Tabuashvili***
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

***Emil Avdaliani***
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

# Coronavirus, Great Pandemics and Georgia: Short Historical Tale[1]

***As the world recently experienced deep effects (death rate, economic downturn, slowdown of globalization) of the novel Coronavirus, it is interesting to look at all the pandemics from a historical point of view. Below are several famous epidemics that affected the world and Georgia in Medieval or Modern and Contemporary periods, and which showed the countries making similar coordinated steps to stop them.***

გიგი თევზაძე განიხილავს რა ზემოხსენებული სამეულის კონცეფციებს, კითხვას სვამს, როდის უნდა მომხდარიყო „ქართული დიდი იდენტობის" ანუ ერის წარმოშობა და პასუხობს: „ჩვენ შეიძლება საკმაოდ მაღალი ხარისხის ისტორიული სიზუსტით ვთქვათ, როდის დაიწყო დიდ იდენტობად ქცევა იმ იდეოლოგიის, რომელიც საკმაოდ განვითარებული იყო ქართულ ელიტაში. მე ვფიქრობ, რომ ამ იდენტობის გაჩენის დასაწყისი ისტორიულ რუკაზე უნდა მოვხაზოთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში – პირველი ქართული გაზეთების გამოცემის პერიოდში. ხოლო იდეოლოგიის იდენტობად გარდაქმნა პირდაპირ უნდა დავუკავშიროთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას და მის გააქტიურებას. ამდენად, წერა-კითხვის საზოგადოება მართლაც იყო „ქართველი ერის სკოლა, ოღონდ არა იმ აზრით, რომ ქართველი ერის უმრავლესობა სწავლობდა მასში, არამედ იმ აზრით, რომ ამ სკოლიდან გამოვიდა ქართველი ერი, ანუ ქართველი ერი დაიბადა და აღიზარდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში"[4]

მაშინ როცა გ. თევზაძე ინდიფერენტიზმს იჩენს გიორგი მერჩულეს ფორმულის მიმართ, სერგო რატიანი უფრო უღრმავდება საკითხს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გამორიცხავს შუა საუკუნეების ეპოქაში – ეროვნული იდენტობის შესაძლებლობას. ის აღნიშნავს, რომ „ერის დაბადება სეკულარიზაციის შედეგია". სერგო რატიანი ქართველი ერის დაბადებას, პირდაპირ უკავშირებს – ილია ჭავჭავაძი მოღვაწეობას. მეტიც, თავისი მოხსენება-სტატიის ერთ-ერთ ეპიზოდს ასე ასათაურებს: „ილია ჭავჭავაძე და ერის დაბადება". ს. რატიანის დასკვნითი თეზისი ისაა რომ ქართველი ერი დაიბადა მხოლოდ სეკულარიზაციის პირობებში. ამ თეზისს გამოცდა ელის, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ დროში, ს. რატიანი საუბრობს „თანამედროვე ერზე"

ოლივერ რაისნერის მოხსენება-ნაშრომი, კვლევაც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა-დამსახურების გააზრებას ეძღვნება. ავტორი მართებულად აღნიშ-

[4] ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები. 26-27 ნოემბერი. 2007. თბ. 2009, გვ. 21-22).

ნავს, რომ ეროვნება ილიასა და მისი გუნდისთვის არ იყო გამონაგონი და მათი აქტივობით, უნდა „ეთნიკური ერთობა ნაციად გადაეაზრებინათ“. ამ შემთხვევაში, ავტორი საუბრობს „ეთნიკური ერთობის“ შესახებ და არ ეხება საქართველოს ისტორიის ძველ პერიოდს ან ქართველი ერის არსებობის საკითხს.[5]

გიორგი ანჩაბაძე დასავლური კონცეფციების გვერდის ავლით, ჯერ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს აღწერს, ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ეტაპების მიხედვით. ის განმარტავს და ეს გასათვალისწინებელია, რომ ეთნოსმა საუკუნეების მანძილზე სამი ძირითადი სტადია გაიარა: ტომი, ეროვნება და ერი. ეს სქემა მარტივი და ნათლად წარმოსადგენია და არ ტოვებს საჭიროებას, რომ ხელოვნურად გამოგონებული არამდგრადი ტერმინების ჯუნგლში აბორიალოს მკვლევარიც და მკითხველიც. გ. ანჩაბაძე ასევე ცხადად და ისტიოგრაფიულ ტრადიციაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ზუსტად მიუთითებლად, მაგრამ დაახლოებით VIII-X საუკუნეებში მოხდა „ერთიანი ქართული ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ადრეული იბერიული ეროვნების ბაზაზე დაიწყო და შემდგომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა“.

ხოლო სულ ბოლოს კი განხორციელდა ეთნოსის მესამე სტადია, როცა ქართველი ხალხი, „საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების გამარჯვების შემდეგ ქართულ ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბდა“.[6] გამოდის, რომ არც გ. ანჩაბაძე იზიარებს ქართველი ერის ფორმირების შესაძლებლობას, შუა საუკუნეების ეპოქაში.

მაგრამ ამ შემთხვევაში, აუცილებელი არ არის გავიზიაროთ ერის ფეოდალური თუ ბურჟუაზიული ტერმონებით კვალიფიკაცია. მთავარია, რომ ერი, სხვადასხვა ეპოქებში, ისტორიული განვითარების სხვადასხვა სტადიებს გადიოდა. ეს პრინციპია გასათვალისწინებელი, რასაც სხვა და განსაკუთრებით ზემოაღნიშნულ ავტორებთან ვერ ვხედავთ.

ზემოხსენებული კონფერენციის მორიგი ავტორ-მომხსენებელი დავით აფრასიძე, გვთავაზობს ერის, ქართველი ერის ე. წ. კონსტრუქტივისტული და მოდერნისტული თეორიის მიხედვით განხილვას. თავისი სქემის ჩამოყა-

[5] ო. რაისნერი. ორი სამყაროს მგზავრი. თერგდალეულთა იდენტობის კონფლიქტი და ეროვნული ცნობიერება. კრებ.: ქართველი ერის დაბადება, გვ. 63.

[6] გ. ანჩაბაძე. ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან ერის ჩამოყალიბების სტადიამდე, კრებ.: ქართველი ერის დაბადება, გვ. 87.

ლიბებას, ავტორი ლამის შოკისმომგვრელი ექსპერიმენტით იწყებს: „საკითხის ამგვარი დაყენება რამდენიმე დაშვებას ეყრდნობა: 1. ერი არის პოლიტიკური ერთობა, რომლის სრულფასოვანი კონსტრუირება მხოლოდ სახელმწიფოს კონტექსტშია შესაძლებელი; 2. შესაბამისად, ვიდრე არ დასრულებულა საქართველოს სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, არ დაბადებულა ქართველი ერიც. ეს პროცესი კი სწორედ ახლა მიმდინარეობს“.

ავტორის უდავო პოზიტივად მიგვაჩნია, რომ იგი ერისათვის აუცილებელ შემადგენლად თვლის პოლიტიკურ კომპონენტს და მიაჩნია რომ ერი უპირველეს ყოვლისა არის პოლიტიკური ერთობა. მაგრამ გადაჭარბებული გვგონია, რომ პოლიტიკური ერის კონსტრუირების პროცესის დასრულება, დამოკიდებული იყოს – კონფლიქტური კერების არსებობაზე, ანუ სახელმწიფო და პოლიტიკური ერთობა – ერი, ვერ შედგება, მისი ქმნადობის პროცესი ვერ დასრულდება, სანამ კონფლიქტური კერები იარსებებს. „თუ დავეყრდნობით, ერთი მხრივ, დაშვებას სახელმწიფოსა და ერის ფორმირების პროექტების განუზღვრელობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, გავითვალისწინებთ ორი კონფლიქტური კერის არსებობის ფაქტს, ნათელია, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია საქართველოსა და ქართველი ერის საბოლოო კონტურებზე საუბარი“[7] შეიძლება ვთქვათ, რომ – ულმობელი განაჩენია.

გიგა ზედანიას ყურადღება ილია ჭავჭავაძის და მისი იდეოლოგიური აქტივობისკენაა მიპყრობილი და ჩანს, რომ იგი თავისთავად გამორიცხავს ქართველი ერის წარმოქმნის რომელიმე სხვა დროის შესაძლებლობას, ვიდრე XIX საუკუნის მეორე ნახევარია. ავტორი ერის წარმოშობა-ჩამოყალიბების პრობლემას არ ეხება. იგი უფრო ეროვნული იდენტობის მომავალი ფორმის და საჭიროების საკითხით ინტერესდება. რა დასკვნასაც ფილოსოფოსი აკეთებს, ის უფრო ქვემოთ წამოჭრილი პრობლემის განხილვისას დაგვჭირდება.

სხვა მხრივ კი, რიგ შემთხვევაში, გ. ზედანია თითქოს თავს არიდებს მოვლენების კატეგორიულ განმარტებას ან განსაზღვრებას. რა არის ინდივიდუალური იდენტობა? ის განისაზღვრება კოლექტივის „ინტერაქციულსა და კომუნიკაციურ პროცესებში მონაწილეობით“.

მაგრამ თვით კოლექტიური იდენტობა რაღაა? ფილოსოფოსის განმარტება შემდეგია: „კოლექტიური იდენტობები მხოლოდ ინდივიდში არსებობს.

[7] დ. აფრასიძე. სახელმწიფოსა და ერის ფორმირება თანამედროვე საქართველოში: დაუსრულებელი პროექტი? გვ. 101.

ვერ ვხედავ ვერანაირ აუცილებლობას ვერც კოლექტიური იდენტობის და ვერც სხვა ცნებების ჰიპოსტაზირებისათვის“. სულ ეს არის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორი-ფილოსოფოსი ერთგვარად დაბნეულია და უფრო კითხვებს სვამს, ვიდრე პასუხობს. გიგა ზედანია კითხვებითვე ამთავრებს თავის ნაშრომს:

„უნდა იღვაწონ თუ არა მათ (ავტორი ქართველ ინტელექტუალებს გულისხმობს – დ. შ), ნაციონალური ფორმის დასამკვიდრებლად მაშინ, როდესაც პოსტნაციონალური იმაგინაცია – როგორც რაღაც უცნობი და იმედისმომცემი – უფრო მიმზიდველი ჩანს? უნდა მიიღონ თუ არა მათ მონაწილეობა „ტრადიციების გამოგონებაში“, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი იქნება მათი „გამოგონებულობისა“ და „ფიქტიურობის“ დავიწყება? უნდა აქციონ თუ არა დისკურსი რომლის შეზღუდვებიც უკვე ცხადზე უცხადესია თავისთავად?“.[8]

ამ კითხვებით დავასრულებო, დაასკვნის ავტორი და ქართველ ინტელექტუალებს აკისრებს მათზე პასუხების გაცემას, მაგრამ თვითონაც ხომ განეკუთვნება ამ წრეს და რადგან არ სცემს მათ პასუხს, გარკვეულ დაბნეულობას ან ერებისა და ნაციონალიზმის ნაადრევ გამოტირებას აქვს ადგილი, ცხადია.

გია ნოდია, თითქმის ერთადერთი ავტორ-მომხსენებელია, რომელიც ერის წარმოშობის საკითხში, ტრადიციულ ისტორიოგრაფიულ ვერსიას თითქოს აღიარებს. მაგრამ აღიარება წინააღმდეგობრივია, არა კატეგორიული. ერთგან წერს რომ „საქართველო ერთ-ერთია მრავალ დაგვიანებულ ერთაგან“. მეორეგან წერს: „მაგრამ თუ მართლაც არსებობდნენ „ერები ნაციონალიზმამდე“, მაშინ საქართველო ნამდვილად ერთ-ერთი მათგანი იყო.“.

ამას მოსდევს წინარე ავტორთაგან რადიკალურად განსხვავებული თეზისი: „ერებზე მეცხრამეტე საუკუნის დისკუსიების ენა რომ გამოვიყენოთ, თანამედროვე ქართველი ერი იმთავითვე ჩაისახა როგორც ისტორიული ერი, – რაც ნიშნავს, რომ მას შეეძლო აპელირება სახელმწიფოებრიობისა და სამწერლობო ენის ხანგრძლივ ტრადიციაზე, ასევე ავტოკეფალიურ ეკლესიაზე, რომელიც ამ ენას იყენებდა“ (გ. ნოდია. გვ. 119).

ერთი სიტყვით, გია ნოდია თავის ილიაუნელი თანამოკალმეებისაგან განსხვავებით, აღიარებს „პრემოდერნულ ქართულ ეროვნულობას“ და ეს გა-

[8] გ. ზედანია. ნაციონალური ფორმა და იდენტობის საკითხი, ვვ. 104-115.

რემოება, ჩვენი აზრით, მის პოზიციას პატივს ანიჭებს.

გარდა ამისა, გ. ნოდია არც ერების მომავლის ხედვაში ამჟღავნებს სრულ თანხვედრას, ზემოაღნიშნული ავტორების გუნდთან, თუმცა ამ შემთხვევაშიც – თავშეკავებულად და აქაც წინააღმდეგობრივად. ერთგან ის იზიარებს გავრცელებულ აზრს, რომ ევროპაში ნაციონალიზმების დრო წავიდა და მას მულტიკულტურალიზმი ანაცვლებს, ხოლო ერის იდეა, რომელსაც საქართველოში ასე სჯერათ, „დასავლეთში უკვე მკვდარია“.

მაგრამ ავტორს ესეც არ სჯერა და გიგა ზედანიასავითა დაეჭვებული, ჯერ კითხულობს, „მაგრამ ვითომ ასეა?“, ხოლო შემდეგ წერს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ: „ძალიან უხეში გაზვიადება იქნება იმის თქმა, რომ მათი ნაციონალიზმები მკვდარია. პირიქით – მათი გაძლიერების ტენდენციაზე შეიძლება ვისაუბროთ“.[9]

უკანასკნელი ავტორ-მომხსენებელი დავით დარჩიაშვილია. მისი აზრით, „ზუსტ დროს, თუ როდის ჩამოყალიბდა ესა თუ ის ერი, ვერ დავადგენთ“. ის ერების ჩამოყალიბების მოდერნულ ეპოქით ლოკალიზაციის მომხრეა. მაგრამ ავტორი არ გამორიცხავს რომ ერის გარკვეული ნიშნები, ძველ საუკუნეებში არსებობდა და ფიქსირდებოდა წერილობით ტექსტებში.

საერთოდ კი, დავით დარჩიაშვილი უფრო დასავლელ მეცნიერთა თეორიული ნააზრევის რეზიუმირებული გადმოცემით კმაყოფილდება. მაგ., გელნერის აზრით, „პრემოდერნული ინსტიტუტები თუ კულტურა, ამ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანია. გელნერის განმარტებით, ნაციონალისტური იდეოლოგია ქმნის ნაციებს და არა პირიქით“. გამოკვეთილად არ ჩანს დ. დარჩიაშვილის პოზიცია, იზიარებს თუ არა, ჩვენის აზრით, გელნერის და არამარტო მის ამ ფრიად საეჭვო ფორმულირებას. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სტატიის ავტორისთვის „ჩვენი წარსულის და აწმყოს გასააზრებლად კონსტრუქტივიზმი და ეთნოსიმბოლიზმი საუკეთესო გზამკვლევებს წარმოადგენს“[10]

ჩვენ მოკლედ და ზოგადად წარმოვადგინეთ ერებისა და ქართველი ერის წარმოშობისა და გარემოებების მოდერნული სკოლის წარმომადგენელთა ძირითადი პოზიციები. განხილული კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობა, კონფერენციის ექვსი მონაწილე ავტორი: გიგი თევზაძე, სერგო რატიანი,

[9] გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. გვ. 119-138.
[10] დ. დარჩიაშვილი. ეროვნული საზოგადოება და თანამედროვე უსაფრთხოების იმპერატივები. გვ. 154.

ოლივერ რაისნერი, დავით აფრასიძე, გიგა ზედანია და დავით დარჩიაშვილი – აბსოლუტურად ან მეტ-ნაკლებად იზიარებენ დასავლელ მეცნიერთა თეორიულ ნააზრევს – ერების შესახებ.

ძველ ტრადიციულ თვალსაზრისს, შუა საუკუნეებში „ქართველი ფეოდალური ერთობის“ ფორმორების შესახებ, ყველასაგან განსხვავებით, ასაბუთებს გიორგი ანჩაბაძე, თუმცა მისი „ფეოდალური ერთობა“ – მაინც არ არის თუნდაც – ფეოდალური ქართველი ერი.

ერთადერთი მოდერნული ავტორი, რომელიც რამდენადმე, ერთგვარი სიფრთხილით აღიარებს ნაციონალიზმამდელი ქართველი, თანაც „ისტორიული ერის“ არსებობის შესაძლებლობას – გია ნოდიაა.

ხაზგასმით მინდა განვაცხადო: ყველა ზემოდასახელებულ ავტორს დიდ პატივს ვცემ, როგორც გამორჩეულ ინტელექტუალებს, ზოგს მეცნიერს, ზოგს პოლიტიკოსს და ა. შ. მათ არ ვაკრიტიკებ, ჩემს აზრს ვასაბუთებ. იქნებ რაიმე მისაღები იყოს მათთვის? ვნახოთ.

ახლა დროა ჩვენი წინამდებარე სტატიის მიზანდასახულება გამოვკვეთოთ 1. წარმოვადგინოთ ილია ჭავჭავაძის შეხედულება ერის ცნების შესახებ, უფრო სწორად – გავახსენოთ ეს საკითხი საზოგადოებას, რადგან იგი სპეციალურად უკვე წლების წინ გვაქვს შესწავლილი და გამოქვეყნებული. 2. ასევე შესწავლილი გვაქვს ილია ჭავჭავაძის ნააზრევი – ქართველი ერის წარმოქმნისა და გარემოებების შესახებ და აქ მხოლოდ ზოგად შტრიხებს გადმოვცემთ და 3. ჩვენი თვალსაზრისი, ერების, ქართველი ერის წარმოშობისა და ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ორი სკოლის ურთიერთმიმართების შესახებ.

**ილია ჭავჭავაძე - ერის ცნების, ქართველი ერის წარმოშობის დროისა და გარემოებების შესახებ.**

იმის გამო არა, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები აუცილებლად იმპერატიული უნდა იყოს თანამედროვე ისტორიოგრაფიისათვის. სხვა რამდენიმე გარემოების გამო მინდა გავამახვილო ილიას შესახებ ყურადღება. ჯერ ერთი, რომ ერის და ილიას შესახებ მოსაუბრე ზემოაღნიშნული პატივცემული ავტორები, როგორც დავრწმუნდი, ბოლომდე არ იცნობენ თერგდალეულთა თავკაცის შეხედულებებს, ერის შესახებ ან განგებ არ იეყენებენ მას? ამ უკანასკნელ გარემოებას გამოვრიცხავ.

მეორე – მოდერნული სკოლის წარმომადგენელი ავტორები ხშირად

საუბრობენ ილიას შესახებ; მიიჩნევენ მას ქართველი ერის „მშენებლად“, მის მთავარ არქიტექტორად, მის დამფუძნებელ მამად და ა. შ. კი, მაგრამ ილიასაც ხომ უნდა ვკითხოთ – რას აშენებდა ის, რას ქმნიდა.

გარდა ამისა, მოდერნის ავტორები ერთთავად ეყრდნობიან ილიას მხატვრულ ნაწარმოებებს. იშვიათად რომ რომელიმე ავტორი ილიას პუბლიცისტიკას შეეხოს, დაიმოწმოს, პასუხი იქ ეძებოს გამომწვევ კითხვებზე. აი, ამ ყველაფრის გამო მინდა მივუთითო ჩემს საპატივცემულო მოდერნული სკოლის წარმომადგენელ ავტორებს: რომ ილია ჭავჭავაძე, რიგ შემთხვევებში, მათი პოზიციების, შეხედულებების, ნააზრევის სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისის მქონე მოაზროვნე გახლდათ. იგი სულაც არ მიიჩნევდა რომ ის, რასაც ქართული მოდერნული სკოლა ამტკიცებს და კონფერენციასაც კი ასე უწოდა „ქართველი ერის დაბადება“ – მოხდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ისიც ილიას დიდი ძალისხმევით.

მაშ რა აზრის გახლდათ ილია ჭავჭავაძე?

აქ მხოლოდ მოკლედ და ზოგადად აღვნიშნავ, ხოლო ვინც დაინტერესდება, მივუთითებ რომ ვრცელი დასაბუთებები ვნახოთ ჩემს სამეცნიერო სტატიაში: „ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის წარმოშობის შესახებ“ (თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII. 2017. გვ. 249-270).

ილია ჭავჭავაძე პირველი იყო ქართველ მოაზროვნეთა შორის, რომელმაც ჩამოაყალიბა – ერის საკუთარი განმარტება-განსაზღვრება. 1880 წელს ის წერდა: „განსაკუთრებულ ხალხს, გვარტომობას, ნაციას შეადგენენ ყველა ის თვისებანი, ერთად აღებული, რომელიც იმას სხვა ხალხისაგან განასხვავებს, და ის პირობანი, რომლებშიაც მას უცხოვრია. ამ შემთხვევაში ერთს სამშობლო ენასა და ქვეყანას იქნება სხვა თვისებებზე უფრო მომეტებული მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ, უეჭველია, რომ ამათ გარდა ერთის ხალხის მეორისაგან გარჩევისთვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს: საერთო ისტორიას, ამ ხალხის ყველა შვილებისას, ერთგვარ ხასიათს, ზნეს, ჩვეულებას, ერთგვარ ჭკუისა და გონების მიმართულებას, თითქმის ერთ ტანისამოსს და სხვა და სხვ.“[11]

ერის სხვადასხვა კომპონენტებს ილია მრავალჯერ ეხებოდა თავის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ ნაწერებში, მაგრამ ახლა მან, ამ შემთხვევაში, ერთ განსაზღვრებად მოუყარა თავი მათ: საერთო ისტორია, ცხოვრების

[11] ი. ჭავჭავაძე. სომხური გაზეთების პოლემიკა. 1880 წ. 14 ოქტომბერი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. XV. თბ. 2007, გვ. 165-166.

პირობები, ენა, „ქვეყანა“ ანუ სამშობლო ან კიდევ ტერიტორია; ფსიქოხასიათი, ზნე-ჩვეულებანი, თავისებური ჭკუა-გონებაც კი, ეთნოგრაფიული საერთოობა...

ილიას აზრით, ქართველი ერის წარმოქმნა-ჩამოყალიბება სერიოზულმა პროცესებმა განაპირობეს. მეორე – ეს ხდებოდა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე და მესამე – ერის ჩამოყალიბებაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე, ეკონომიკურ ფაქტორს. არ მოვერიდები თვითპლაგიატს და აქტიურად გამოვიყენებ ადრინდელ ნაშრომში უკვე გამოყენებულ დასკვნებსა და ციტირებებსა, რადგან აქ და ამ დროს უფრო საჭიროა მათი გათვალისწინება, ვიდრე ადრე:

„ერი ორი ათასი წელიწადია სცხოვრებს ისტორიულად და ნუთუ ჰგონია ვინმეს, რომ მისი ყოფა-ცხოვრება შემთხვევის საქმეა და არა ისტორიული მომჭირნეობისა, ჭირნახულობისა და გამონაცადისა, თუ ესეა ნუთუ ჰგონია ვინმეს, რომ მის ეკონომიურს თუ სხვაფერს ყოფა-ცხოვრებას ღრმად გაჭრილი არა ჰქონდეს თავისი საკუთარი, თავისებური საძირკველი, რომელზედაც ერს დულაბ-კირად უხმარია თავისი გამოცდილება და ქვად – თავისი სულიერი და ხორციელი მიდრეკილება“[12]

როგორც ადრე აღვნიშნავდით, დღესაც გავიმეორებთ ილია ჭავჭავაძის უაღრესად მნიშვნელოვან თეზას და მიგნებას, რომ არსებობდა ძველი და ახალი ერები. მანვე შემოიღო ქართულ რეალობაში, ე. წ. „ისტორიული ერის“ ცნება. თერგდალეულთა წინამძღოლის რწმუნებით, ქართველობა იმ ხალხთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელსაც „ჰქონია თავისი ისტორიული ეროვნობა“. ილიას ამ დიდმნიშვნელოვან დასკვნას მოსდევს კიდევ უფრო საყურადღებო დაკვირვება: „ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია – დიდი უბედურობისა და დამცირების შემდეგაც კი, იგინი კვლავ აღდგებიან ხოლმე და გულში ღრმად იმარხავენ შეურიგებელს სიმძულვარეს დამჩაგვრელთა და დამპყრობთა მიმართ“[13]

ძველი, ისტორიული და ახალი ერების შესახებ ილიამ უფრო გამოკვეთა თავისი შეხედულება და მოიშველია „საფრანგეთის მეცნიერის სახელგანთქმულ რენანის“ ავტორიტეტი. ძველ ერებად „ივერიის“ რედაქტორს მიაჩნდა

[12] ი. ჭავჭავაძე. სახასო გლეხთა მამულების შესახებ. 1886. 3 მარტი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. VII. თბ. 2005, გვ. 413.
[13] ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა. 1883. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. VII. გვ. 161.

რომის იმპერიის დაცემის ეპოქაში წარმოქმნილი ერები, ხოლო ახალი ერები იყვნენ – კაპიტალიზმის პერიოდში წარმოქმნილი ერები: „... რომი დაეცა, ვითარცა თვითმპყრობელი მაშინდელის ქვეყნისა – დაასკვნიდა დიდი თერგდალეული – და მის გასამძლეო ნაშთზედ აშენდა ახალი ქვეყანა, წარმოდგნენ სხვა, ახალნი თუ ძველნი ერნი, რომელთაც დღეს სვე-ბედი ქვეყნიერობისა ხელთ უპყრიათ და კაცობრიობას წინ უძღვებიან“. ეს წერილი „ივერიის“ 1886 წლის 16 აპრილს გამოქვეყნდა სათაურით: „ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის“.

ილია გარდა ქართველებისა, სხვა ძველ ერებს შორის სომეხ ერსაც ასახელებს: „ქართველ ერს აიღებთ თუ სომხისას, ათასი წლების ისტორია აქვთ“. აღარ გავაგრძელებთ ამონაწერების მოყვანას – ისტორიული ერების, ძველი და ახალი ერების შესახებ. ვგონებ საკმარისია, რომ ილია ჭავჭავაძეს ის აღარ დაბრალდეს და აღარავინ ამტკიცოს, რომ ილიამ თითქოს დიდი წვლილი შეიტანა „ქართველი ერის დაბადებაში“ და ამ ფორმულირების განმტკიცების მიზნით, ისევ ილია დაიმოწმონ.

მაშ რა გააკეთა ილიამ, თუ ქართველი ერის შექმნაში და „გამოგონებაში“ ან „დაბადებაში“ არ მიუღია მონაწილეობა? ისევ ილიას მოვუსმინოთ: მიუხედავად იმისა რომ ქართველი ერი „ძნელ“ მდგომარეობაში ჩავარდა, XIX საუკუნის პირველ ხანებში, მაინც ძლიერ ეროვნულ ერთობას წარმოადგენდა. მაგრამ ამავე საუკუნის 30-40-იან წლებში ერისთვის უმოძრაობის, მიძინების ხანა დადგა: „ეროვნული მიმძინარებისა, მოქანცულობისა... ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივის სამსახურის ასპარეზი“, გამრავლდა სხვადასხვა მანკიერებანი, მავნე წეს-ჩვეულებანი, დაირღვა ეროვნული ერთიანობა, დასუსტდა ეროვნული თვითშეგნება და ა. შ.

აი ამ დროს გაჩნდა ქართული ეროვნული მოძრაობის წინაშე – ეროვნული ერთობის აღდგენის საჭიროება. ილია ბევრგან წერს ერის ერთიანობის აღდგენაზე, ძველის აღორძინების საჭიროების შესახებ და არა ერის შექმნაზე, დაბადებაზე. „ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენია, რამდენიც ცალკე ადამიანია“[14] ეს ერთობა უნდა აღდგეს – და არა – შეიქმნას.

1883 წელს გამოქვეყნებულ ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჩა-

[14] ი. ჭავჭავაძე. ღმერთმა ნუ დაგაბეროთ. 1883. 31 ოქტომბერი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. VII, გვ. 238

მოთვლის ქართველი ერისათვის დამახასიათებელ უარყოფით, ახლად გაჩენილ მანკიერებებს. ერთია, რომ საკუთარ ნაკლოვანებების მიზეზათ სხვას თვლის. მეორეა – გულგრილობა; მესამე – „ჩემი“ საქმე მძლავრობს „ჩვენზე“ და ა. შ. ადრე ასე არ იყო – ირწმუნება ილია ჭავჭავაძე და არგუმენტიც აქვს: ასე რომ ყოფილიყო „ჩვენი ერი მტვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“.

თავი დავანებოთ იმის გარჩევას, მართლა ასე იყო თუ არა. აქ ილიას პრინციპი იმაში მდგომარეობს რომ ის ძველი ერთიანობა, – უნდა აღდგეს – ესაა სადღეისო ამოცანა: „ხელახლა „ჩვენობას“ ფეხი აადგმევინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში...“[15]

ის რასაც თერგდალეულთა ლიდერი თავის თანამედროვე საქართველოში ვერ ხედავდა – იყო წარსულ საქართველოში: „ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოშრა... საერთო, საყოველთაო იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია...“[16]

ამ სიტყვებს წინაც უძღვის და შემდგომაც მოსდევს, „ქართველობის“, ქართული ერთობის დაშლილობის და ადრინდელი ერთობის დამადასტურებელი, შეიძლება ითქვას, გულისშემძვრელი ტექსტი, ილიას ერთ-ერთ გამორჩეულ წერილში: „ზოგიერთი რამ“. ამ წერილის დედააზრი, ქართულ საზოგადოებაში დაბუდებული მანკიერებათა ჩამოთვლა და კონსტატაცია არ არის, არამედ – ერთიანობის, ერის ერთობის, ურთიერთსოლიდარობის აღდგენა უდევს საფუძვლად. არა – შექმნა, არამედ – აღდგენა.

ოდინდელი ეროვნული ერთიანობის აღდგენა იყო ქართველი თერგდალეულების ანუ „ახალი გუნდის“ – სტრატეგიული მიზანი და საზოგადოების გაერთიანება ამ მიზნის განსახორციელებლად. „ის „სხვა რამე“ იყო – ჩვენის დაცემული ვ ი ნ ა ო ბ ი ს აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“

„იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახ-

[15] ი. ჭავჭავაძე. შინაური მიმოხილვა. 1883. თებერვალი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. VII. გვ. 95.
[16] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ერთტომეული. შეადგინა მურმან ლებანიძემ. თბ. 1989. გვ. 843.

ალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა“ და ილია ჩამოთვლის თერგდალეულთა გამოცემებს, რომელთა მოღვაწეობის მიზანი სწროედ ქართველი ერის და ეროვნულობის შესუსტებული, „დაცემული ვინაობის აღდგენა“ გახლდათ: „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“.

ახლა, რომ ვინმემ არა გვკითხოს – ამ „დაცემული ვინაობის აღდგენაში“ რა იგულისხმებაო, განვმარტავთ – ქართველი ხალხის ერად ყოფნა, ეროვნული ერთიანობა, მისი აღდგენა, როგორც ქართველი თერგდალეულების უპირველესი მიზანი. ილია ჭავჭავაძისთვის „დაცემული ვინაობის აღდგენისათვის“ ბრძოლის საუკეთესო მაგალითი – „ჩეხელები“ იყვნენ, ისინი ვინც „მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას“ ფრთები შეასხა, ფეხზე დააყენა.

მიუხედავად მძიმე ისტორიული საუკუნეებისა, ოსმალეთ-ირანის მხრიდან თავდასხმებისა და აოხრებისა, ილია ჭავჭავაძის მტკიცე აზრით, „ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთი მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე, შეირჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა“[17]

ასე რომ დავასკვნით: ილია ჭავჭავაძეს სრულიადაც არ მიაჩნდა რომ ქართველი ერი XIX საუკუნის და მით უფრო, საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა, დაიბადა და „გამოიგონა“, ისე როგორც ამას ცდილობს დაასაბუთოს ქართული ისტორიოგრაფიის მოდერნულმა სკოლამ. „დღეს – წერდა ილია, – ცხადად და უტყუარად შესამჩნეველია ნიშნები ერის გამოფხიზლებისა, ძველის საუკეთესო ნაანდერძევის აღდგენისა“[18]

ახლა წარმოვადგინოთ ქართველი ერის განვითარებისა და ისტორიის ეტაპები, როგორც ის წარმოედგინა ილიას. მას შემდეგ რაც საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ერთიანობის ფაქტორი შესუსტდა. მაგრამ XVIII საუკუნეშიც კი, როცა კავკასიაში ცხოვრობდნენ უამრავი „წვრილი“ ხალხები: ჩერქეზები, ლეკები, სომხები და სხვანი, მათგან განსხვავებით, „საქართველო, რაც უნდა დაუძლურებული და გახრწნილი ყოფილიყო, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების აგებულება წარმოადგენდა თვითმდებარე სამეფოს, მისი ხალხი, ერთმორწმუნე და ერთენოვანი, წარმოადგენდა შეკუმშულს ერ-

[17] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ერთტომეული, გვ. 703.

[18] ი. ჭავჭავაძე. თხზ. შრ. კრებ., შინაური მიმოხილვა. 1883. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. VII, გვ. 162.

ოვნობის ჯგუფს...“[19]

ცხადია, ი. ჭავჭავაძე სათქმელს სრულად ვერ იტყოდა და მიანიშნებდა, რომ XIX საუკუნეში და განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში და შუა პერიოდში, ეროვნულობის ნიშნები მოიშალა, ერი დაიღალა, მანკიერებანი გაუმრავლდა და ახლა ეროვნული ვინაობის აღდგენისათვის ბრძოლა იყო საჭირო. ასე მოადგა ქართველი საზოგადოება საუკუნის 50-60-იან წლებს, როცა თერგდალეულები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ.

მაშ, ილია ჭავჭავაძის ნააზრევის მიხედვით:

1. ერი იყო სერიოზული ისტორიული პროცესების შედეგი; ჯერ მოხდა ცალკეული მახასიათებლების, ხოლო შემდეგ – მათი ერთობის ჩამოყალიბება, რის შემდეგაც შეიქმნა ქართველი ერი. ეს პროცესი მიმდინარეობდა და დასრულდა ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების პერიოდში.

2. ქართველი ერი იყო ერთ-ერთი უძველესი – ისტორიული ერი.

3. ისტორიულ ერებს ახასიათებთ განსაკუთრებული გამძლეობა და მათი ასიმილირება განსაკუთრებით ძნელი იქნებოდა XIX საუკუნეში, ახალ დროში, როცა ევროპაში და არა მარტო ევროპაში – მიმდინარეობდა „ეროვნობის“, „ნაციონალობის“ აღზევების პროცესი.

4. ამჟამად კი, უნდა მომხდარიყო დასუსტებული ქართული ეროვნობის, ერის, ეროვნული ვინაობის აღდგენა.

## თანატოსისადმი ლტოლვის შესახებ, ქართულ ისტორიოგრაფიაში

ისევ ზემოაღნიშნულ კონფერენციას დავუბრუნდეთ.

ზემოთქმულ-განხილული სრულიადაც არ ნიშნავს რომ ჩვენ არარად მიგვაჩნია, თანამედროვე თეორიები ერების შესახებ. პირიქით, ჩვენ ვიზიარებთ, ბენედიქტ ანდერსონის, გელნერის, სმიტის და სხვათა რიგ მიდგომებს. უდავოა რომ განსაკუთრებით – ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიისა და თანამედროვე ერების (ნაციების) წარმოქმნა დაიწყო XVIII-XIX საუკუნეების დემოკრატიული რევოლუციების ეპოქიდან. ეს საინტერესო პროცესი მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, მასობრივი საჯარო განათლებისა და ბეჭდვითი მასმედიის ფუნქციონირების პირობებში.

[19] ი. ჭავჭავაძე. სხვადასხვა ერების უცნაური მდგომარეობა კავკასიაში. 1882 წ. 9 იანვარი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. XV. გვ. 299.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ საუბარი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ – თანამედროვე, ინსტიტუციონალიზირებული ერების ფორმირებაზე და არა – საერთოდ ერებზე. ყველა იმ სამ უმთავრეს თეორიულ სისტემაში, რომელნიც ეთნოსიმბოლიზმის, მოდერნიზმის და კონსტრუქტივიზმის სახელითაა ცნობილი, დასაშვებადაა მიჩნეული, რომ შესაძლოა არსებობდა „ერები ნაციონალიზმამდე". მათ უწოდებენ პრემოდერნულ, ადრეულ ან ნაციონალიზმამდელ ერებს. თვით ერების წარმოქმნის, ფორმირების შესახებ არა მარტო თეორიებს შორის, რაც ბუნებრივია, არამედ – ცალკეულ მტკიცებებს, თეზისებს, მოსაზრებებს, დებულებებს, თვალსაზრისებსა და საერთოდ შეხედულებებს შორის, უამრავი განსხვავებებია, წინაღმდეგობებია. ძნელდება კონსენსუსის მიღწევა ავტორებს შორის ისეთ ფუნდამენტურ საკითხზეც კი, თუ რა არის საერთოდ – ერი, როგორია მისი მეტ-ნაკლებად ყველასათვის მისაღები განსაზღვრება. ზოგიერთი მკვლევარი იმ აზრამდეც კი მიდის, რომ ასეთი უნივერსალური ცნების შემუშავება ერის შესახებ – შეუძლებელია.

ასეთ შემთხვევაში კი მით უფრო შეუძლებელია, დასავლურ თანამედროვე თეორიებს შორის, შეირჩეს ისეთი თეორიული სისტემა, რომელიც უნივერსალური იქნებოდა თუნდაც ქართველი მკვლევრებისთვის, ქართული ისტორიოგრაფიისთვის.

იგივე ითქმის ერებისა და კერძოდ – ქართველი ერის წარმოშობის დროისა და გარემოებების შესახებ, დასავლური თანამედროვე ერების თეორიების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ქართველი ერის XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფორმირების შესახებ არსებული თეორიული მიდგომები, მოდერნული სკოლის უმრავლესობამ გაიზიარა. შესაძლოა ეს მოხდა გარკვეული პოლიტიკური მოტივაციის გამო? ზემოგანხილული კონფერენციის მონაწილენი, ილიაუნში მომუშავე ავტორ-ლექტორები არიან და არაა გამორიცხული, რომ საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთხმად მხარი დაუჭირეს ერების ფორმირების დასავლურ, ყველაზე პოპულარულ და აპრობირებულ თეორიას. თანაც ეს თეორია, უპირობოდ აღიარებს და ასაბუთებს – დასავლური ერების, ნაციების პირველადობას და როგორც სანიმუშო ინსტიტუციას, სხვა დანარჩენი მსოფლიოსთვის.

შესაძლოა ილიაუნის ავტორებისთვის, მთავარი ინსპირაცია მომდინარეობდა საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული პროდასავლური კურსიდანაც?

ორივე ამ და სხვა ნებისმიერ შემთხვევაშიც, დასავლური თეორიული სისტემების შესახებ ჩემი თვალსაზრისი, მინდა – მოდერნული სკოლის ზემოაღნიშნულ ავტორებს გავუზიარო, როგორც კრიტიკული მიდგომა და როგორც ალტერნატიული თვალსაზრისი, რამდენიმე საკითხზე.

პირველი – თანამედროვე დასავლურმა მოდერნულმა სკოლამ, ანუ უკანასკნელ 30-50-წლეულში ჩამოყალიბებულმა თეორიებმა, რომელთა ძირითადი ავტორები არიან გელნერი, ანდერსონი, სმიტი და სხვანი, სრული უნდობლობა გამოუცხადა და ფაქტობრივად უარყო მთელი ის მემკვიდრეობა, რომელიც შემუშავდა XX საუკუნის დასაწყისში. მართალია გასული საუკუნის დასაწყისში და შუა პერიოდში შექმნილი თეორიები ძირითადად სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური იყო, მაგრამ ნუთუ ამ მემკვიდრეობიდან ხელშესახები აღარაფერი დარჩა, რომ თანამედროვე თეორეტიკოსებისათვის მისაღები ყოფილიყო? ნუთუ კარლ კაუცკის, ოტო ბაუერის, კარლ რენერის, რამზეი მაკდონალდის, ემილ ვანდერველდეს და სხვათა ნააზრევიდან ღირებული არაფერი აღმოჩნდა, რომ სადღეისოდ გაზიარებულიყო?

პირადად მე, ამ და სხვა მარქსისტი ავტორების მიმართ ნოსტალგია არ გამაჩნია, მაგრამ დღევანდელი თეორეტიკოსების მხრიდან, ორკესტრირებულ უარყოფაში, გარკვეულ სპეკულაციას ვხედავ. ეს უკანასკნელნი, თითქოს არ გამორიცხავენ ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობას, ერის კონსტრუირებაში, მაგრამ ჩქმალავენ, რომ ეკონომიკურ მნიშვნელობებს სწორედ ევრო და ავსტრო-მარქსისტები უწევდნენ პედალირებას და გადაჭარბებული მონდომებითაც. გია ნოდია აღნიშნავს კიდეც რომ თანამედროვე ლიტერატურამ, 1980-იანი წლებიდან, „უკუაგდო რომანტიზირებული იდეა რომ ერი საუკუნოვანი, თავისთავად არსებული ერთეულია, რომელზედაც მოწიწებით გვმართებს ლაპარაკი. ამგვარ მიდგომას ერისა და ნაციონალიზმის თანამედროვე მკვლევარები ირონიით ეკიდებიან, როგორც „პრიმორდიალისტურსა“ და „ესენციალისტურს“, რაც მათთვის არაპროფესიონალიზმისა და არაადეკვატურობის სინონიმია“[20]. ეს გასაგებია, მაგრამ ჩვენ ხომ ავსტრო-მარქსისტებსა და ევროსოციალესტებზე ვსაუბრობთ, რომელნიც შორს იდგნენ ყოველგვარი რომანტიკოსობისაგან, თუმცა, თანამედროვე მოდერნისტთა „გულმავიწყობას“ შეეწირნენ.

დღევანდელი მოდერნული თეორეტიკოსების, XX საუკუნის დასაწყისის მემკვიდრეობისაგან თვითგამიჯვნა, მით უფრო „არაჯენტლმენურია“, რამეთუ

[20] გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი, გვ. 116.

სწორედ ადრინდელმა ევრომარქსისტულმა სკოლამ, ბევრად უფრო ადრე დაამკვიდრა აზრი, რომ ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით, ერების წარმოქმნა მოხდა სწორედ ევროპის დემოკრატიული რევოლუციების ეპოქაში. სად იყვნენ თანამედროვე მოდერნისტები, როცა ცნობილმა ფრანგმა სოციალისტმა ჟან გრავმა დაწერა, რომ ნაციონალიზმი იყო საფრანგეთის რევოლუციისა და ბურჟუაზიის „გენიალური გამოგონება“[21].

მეორე – თანამედროვე დასავლური ავტორების სკეპტიციზმი წარსულის ინტელექტუალური მემკვიდრეობისადმი, სამწუხაროდ გაიზიარეს, მოდერნისტების ქართული სკოლის წარმომადგენლებმაც. მათი ყურადღების გარეშე აღმოჩნდა XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართველ მოაზროვნეთა მდიდარი ინტელექტუალური პროდუქცია, განსახილველი საკითხის შესახებ (არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ნოე ჟორდანია, იოსებ სტალინი გერონტი ქიქოძე და სხვ). ჩემს პატივცემულ კოლეგებს მინდა შევახსენო – აუცილებელი არაა გაიზიარო, მაგრამ უნდა გაითვალისწინო, რომ რამდენიმე ათეული წლის წინ, ორივე ფრაქციის მარქსისტები – სწორედ იმას უმტკიცებდნენ საზოგადოებას, რომ ქართველი ერი XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნა და ისინი – მარქსისტები, დღევანდელი ანალოგიური ფორმულების მამტკიცებელი ავტორების წინამორბედები არიან.

ერთი სიტყვით, ახალი მოდერნისტული სკოლის სრული უფლება იყო და რელევანტურიც, რომ მან უარყო ადრინდელი მიდგომები და გაიზიარა ახალი კონცეფციები ერების შესახებ, მაგრამ მას უნდა ეხსენებინა წინამორბედები და მათი დამსახურება, ზოგიერთი ძირითადი პოსტულატის შესახებ, როგორიც იყო 1900-იანი წლების მარქსისტული თეზისი, – ერების XIX საუკუნეში წარმოქმნა-ჩამოყალიბების შესახებ. ახლა გამოდის რომ სხვა განსხვავებული არგუმენტებით, მაგრამ მაინც, მათ მიითვისეს, სოციალ-დემოკრატი წინამორბედებისგან – ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება, ერების ახალ დროში ჩამოყალიბების შესახებ.

ეს უარყოფის, ძველ რეალობაზე ხელის აღების, დასავლური თეორიების თავიდან ბოლომდე უკრიტიკო მიღების პოზიცია, შეიძლება სხვა უფრო სერიოზული და დიდი ფსიქოლოგიური განწყობის გამოხატულება იყოს. გახსოვთ, ფროიდის თანატოსისადმი ლტოლვის ფსიქოლოგიური განწყობის თეორია. ყოველმხრივ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ხელს იღებს სასიცოცხლო უნარებზე და ყველა ტანჯვა-ვაებას რომ უცებ მოუღოს ბოლო

[21] Жан Грав. Умирающее общество и анархия. 1906, გვ. 14.

და „დაისვენოს“ – თვითმკვლელობაზე იღებს ორიენტაციას. ტერენტი გრანელს აქვს დღიურში ჩანაწერი: „ხვალ ვაპირებ თავის მოკვლას“. ფროიდი ამგვარ განწყობის ძირებს ეძებს და ამას უწოდებენ ფსიქოანალიზში – თანატოსისადმი ლტოლვას.

ის რაც ახასიათებს ცალკეულ ადამიანს, ახასიათებს ადამიანთა ჯგუფებსაც და ერებსაც. დეპრესიიდან შველის გზა ყოველთვის თანატოსი არ არის – შეიძლება იყოს დამორჩილება, უცხო ძალის ბატონობისადმი ქედის მოხრა, რაიმე გლობალური მოვლენის იძულებითი აღიარება, შეგუება და ა. შ. ასე ურიგდებოდა ხოლმე ქართველობა არაბობას, თურქობას, ოსმალობას, ყიზილბაშობას, რუსობას – თუნდაც დროებით, იმის იმედით, რომ უცხო ძალის დიქტატი, დროებითი იქნებოდა.

იყვნენ ჩვენში, ეროვნული თვითგაქრობის, თვითლიკვიდაციის მქადაგებლებიც. გავიხსენოთ დიდი თავადი და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სენატორი გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი. იგი მცირე ერების დიდ „სახალხო ორგანიზმებში“ გათქვეფას ქადაგებდა და პატარა ერები, რაც უფრო მალე გაქრებოდნენ, მით უკეთესი იქნებოდა მათთვის. ეს უკვე დაღლილ-დაქანცული ერის სასოწარკვეთილი წარმომადგენლის, სწორედ თანატოსისადმი ლტოლვის საუკეთესო მაგალითია. ამ კაცმა ხომ თავისი ერის თვითმკვლელ თეორიას წიგნიც მიუძღვნა (О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц. Тфл. 1872), მაგრამ თავს დაიტეხა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სერგეი მესხის, პეტრე უმიკაშვილის, ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისა და სხვათა ულმობელი კრიტიკა.

„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, – წერდა ბოლშევიკური ეპოქის თვითმკვლელი თეორეტიკოსი ფილიპე მახარაძე – ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“[22]

ახლა გავიხსენოთ თანატოსის სინდრომის მეორემაგვარი გამოხატვა – ლტოლვა დამორჩილებისადმი, იმისადმი, რისი წინააღმდეგობის უნარიც გამოცლილი აქვს ინდივიდსაც და თითქმის – ერსაც, თანაც ისეთ ერზეა საუბარი რომელსაც დიდი ფრანგი ერი და ნაცია ჰქვია. ამ უიმედო მომავლის დამხატავი, თანამედროვე ფრანგული პროზის გამორჩეული ლიდერთაგანი –

[22] ფ. მახარაძე. თხზულებათა კრებული. ტ. IV. 1924, გვ. 18.

მიშელ უელბეკია. აი რას გვეუბნება მისი რამდენიმე წლის წინ გამოცემული რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, სორბონის უნივერსიტეტის რექტორი ვინმე რედიგერი. ეს ის ანტიდროა, როცა სორბონის უნივერსიტეტი, საუდის არაბეთის მილიარდელებმა იყიდეს. ძველი პროფესორები წავიდნენ უნივერსიტეტიდან, მაგრამ მათ ისეთ დიდ თანხას სთავაზობენ, ხელფასის სახით, რომ თანდათან უკან ბრუნდებიან სორბონაში და ურიგდებიან ახალ ისლამურ წესებს: სტუდენტი-გოგონები და თანამშრომელი-ქალები ჰიჯაბით დადიან სასწავლებელში, უნივერსიტეტში ყურანს ასწავლიან, ჰიუგოსა და ანატოლი ფრანსის მაგივრად; სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულია განმანათლებლები და ა. შ. ესაა უახლოესი პერსექტივა, რასაც მიშელ უელბეკი თავის ანტირომანში: „მორჩილება“, ჰპირდება ფრანგებს – გადაგვარება და ისლამიზაცია.

მაგრამ მოვუსმინოთ სორბონას ახალ კოლაბორაციონისტ რექტორს, რედიგერს, რომელსაც ისლამი მიღებული აქვს და სამი ცოლის ოჯახის პატრონიცა ბრძანდება:

«Покорность, – тихо сказал Редигер. – Никогда еще с такой силой не была выражена столь ошеломляющая и простая мысль – что высшее счастье заключается в полнейшей покорности. ...но мне кажется, существует связь между абсолютной покорностью женщины мужщине, наподобие той, что описана в «Истории О», и покорностью человека Богу, как того требует ислам. Видите ли, – продолжал он, – ислам приемлет мир, приемлет во всей его полноте, приемлет мир таким, как он есть, как сказал бы Ницше. С точки зрения буддизма, мир есть дуккха – беспокойство, страдание. Христианство тоже порой этим грешит, недаром ведь Сатану называют «князем мира сего»? Для ислама же, напротив, божественное творение совершенно, это абсолютный шедевр, В сушности, что такое Коран, как не коллосальная мистическая хвалебная ода? Хвала Создателю и покорность его законам».

მოკლედ, ანტირომანის პერსონაჟი ფრანგები, ერთი-მეორის მიყოლებით, თმობენ, ეგუებიან, იღებენ ისლამს, მორჩილდებიან და ეს თავისებური ლტოლვაა თვითგაქრობისაკენ, თვითგანადგურებისაკენ, თანატოსისაკენ.

თუმცა, დიდი ჯილდოს მოლოდინით, ისინი სულიერ და მატერიალურ, გნებავთ, სექსუალურ „მოსვენებას“ ჰპოვებენ. ესაა, უელბეკის შავი წინასწარმეტყველების იდეა.

ეხლა, ეს მაგალითები გადმოვიაზროთ ჩვენს ერი-ნაციის ისტორიოგრა-

ფიაში და რეალობაში. ჩვენ გვეუბნებიან: მიიღეთ მოდერნული თეორიები, პირწმინდად, აღიარეთ, რომ თქვენ როგორც ერი დაიბადეთ XIX საუკუნეში. ზოგიერთნი ხომ რონალდ გრეგორ სუნის მსგავსად იმასაც ასაბუთებენ, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბება – XX საუკუნის 30-იანებში, სულაც სტალინბერიას რეპრესიული ინჟინერიის წყალობით და პირობებში მოხდა; თქვით რომ თქვენ ხართ „დაგვიანებული“ ნაცია, ხოლო ადრე ერი კი არა – ეთნიე იყავით, „ქართველი ეთნიე“ ანუ როცა დავით აღმაშენებელი იმპერიას ქმნიდა და წერდა: „ვაცდუნე ერი ჩემი“ – ამ ერში – ეთნი უნდა დავინახოთ, ქართველი ეთნიე.

ბევრი ავტორის მხრიდან, ესაა ისტორიული წარსულის უარყოფის, უგულებელყოფის პირველი სტადიაა. წარსულის მოკვლაა, როცა ადგილი აქვს მოდერნული თეორიების სრულ, უპირობო გაზიარებას, ქართველი ავტორების მხრიდან. ფაქტობრივად ხდება წარსულის ისტორიის ერთ-ერთი მძლავრი შემადგენელის, ეროვნული ცნობიერების საყრდენი კომპონენტის – ისტორიული ერის – ჩანაცვლება ნიჰილისტური ღირებულებით, რომ „ქართველი ერი დაიბადა“ XIX საუკუნეში და კონფერენციასაც ასე ეწოდება. სამწუხარო კურიოზი კი ისაა, რომ კონფერენცია – ილია ჭავჭავაძისადმია მიძღვნილი და ასეც აწერია წიგნს: „ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები“.

ეს უკვე მუხლის მოყრაა მცდარი უცხოური, რბილად რომ ვთქვათ, სიზუსტეს მოკლებული და საეჭვო – ევროოპოცენტრისტული თეორიის წინაშე და საკუთარი თავის, და ქვეყნის წარსულის უარყოფა. აი, ამ მოვლენას ვუწოდებთ – თანატოსის სინდრომს, ლტოლვას თუ რაც გნებავთ. ისტორიოგრაფიაში და ზოგადად ინტელექტუალურ სივრცეში ამგვარი ნაბიჯი, პოზიცია და უარყოფა თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც – პირველი ნაბიჯი თანატოსისაკენ.

თანამედროვე დასავლური მოდერნისტული სკოლის წარმომადგენელი თეორეტიკოსები არ იცნობენ საქართველოს ისტორიას, ჩვენი საზოგადოების ნაციონალური ევოლუციის სურათს. რონალდ სუნის ნაშრომი ერთ-ერთი უმცირესთაგანია, რომელიც სხვებზე მეტად ითვალისწინებს საქართველოს ისტორიულ წარსულს. მიუხედავად ამისა, ეს ნაშრომი შეიცავს ბევრ საეჭვო ფორმულირებას და მადლიერებასთან ერთად, სერიოზულ კრიტიკულ მიდგომასაც იმსახურებს, რომ აღარაფერი ვთქვათ – უსაფუძვლო უცნაურობებზე.

საქართველოს შესახებ ისტორიული და თანამედროვე ინფორმაციის სი-

ღარიბეს, დასავლელი მეცნიერებიც უსვამენ ხაზს. ენტონი დ. სმითი წერს: „...ინფორმაცია, რომლის მოძიებაც შეიძლება შესაბამის ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ძალზედ მწირია. თემები, რომელთა გარშემოც, ჩვეულებრივ, თავს იყრის ისტორიული აღწერილობანი თუ განზოგადებანი ზოგჯერ იმედგაცრუებას იწვევს, რადგანაც მათში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე სოციალური მეცნიერების თეორიული მიღწევები. ყოველივე ეს ხელს უშლის იმ ქვეყნის უმდიდრესი ისტორიული მემკვიდრეობის ღრმა წვდომას, რომელიც ოქროს საწმისთან, უფლის კვართთან და ვარდების რევოლუციაში ნაშობ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოსთან ასოცირდება“[23]

საინტერესოა, სმითის აზრით, რომელ სახელმწიფოთა ან ხალხთა და ნაციათა ჯგუფში ასოცირდება საქართველო და ქართველები. სმითის აზრით, ესენია ეთნონაციონალიზმის მატარებელი ხალხები, როგორნიც არიან: „თამალისი, სიქჰები, მოროსი, ბალუხები, პათანები, უზბეკები, ყაზახები, სომხები, აზერები (აზერბაიჯანელები), ქურთები, ქართველები, პალესტინელები, სამხრეთ სუდანელები, ერითრეელები, ტიგრები, ორომო, ლუო, განდა, ნდებელე, ოვიმბუნდუ, ბაკონგო, ლუნდა, ევე, იბო და მრავალი სხვა...“[24]

სამწუხაროა, რომ ენტონი სმითი სათანადოდ არ იცნობს საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიას, ისე როგორც სომხეთის ძველი პერიოდის წარსულს. ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა ძველი საქართველოს ისტორიაში, ეროვნული კონსოლიდაციის მეტი ნიშნები დაენახა და გაეანალიზებინა. მაგრამ ის, რაც ვერ გააკეთა ეთნოსიმბოლიზმის შემოქმედმა, უნდა გააკეთონ ქართველმა მეცნიერებმა. ჯერჯერობით კი უნდა ითქვას, რომ ეთნოსიმბოლისტურ მიდგომას ქართველი ერის რაობისა და ჩამოყალიბების გარემოებების შესახებ, არაერთი სერიოზული ხარვეზი აქვს.

ეთნოსიმბოლიზმი – იდეას, აპრიორულად – პირველადობას, პრიორიტეტს ანიჭებს, რეალობასთან შედარებით. მისი მტკიცებით, ერი, ნაცია არის იდეა, ხალხის მიჯაჭვულობა, ხალხის მობილიზაცია იდეის გარშემო, ერის იდეის გარშემო. ეს მხოლოდ ემოციური ფაქტორია. ქართველი ერის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პროცესი ობიექტურმა, რეალურმა მატერიალურმა ფაქტორებმა გამოიწვია. ერთ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს, თავდაცვა უბიძგებდა ურთიერთსოლიდარობისაკენ, კონსოლიდირებულად შეხვედროდნენ საფრთხე-

[23] ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა. თბ. 2004, გვ. 15.

[24] ე. დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. თარგმნა ლელა პატარიძემ. თბ. 2008, გვ. 156.

ებს. ეს მათ უფრო უადვილდებოდათ და ასეც იქცეოდნენ. ურთიერთსოლიდარობა შექმნა რეალურმა გარემომ, პირობებმა და მერე იშვა – ერთობის იდეა. მერე მოხდა ერთობების იდეური გაფორმება – გადმოცემებით, ინფორმაციის გადაცემით თაობებიდან თაობებში – აი ეს კი მეორადია. ეთნოსიმბოლიზმი თავდაყირა აყენებს რეალობას.

ხალხთა დიდი თუ მცირე გადასახლებების დროს – იდეა კი არ მიერეკებოდა ხალხებს ახალ-ახალი ადგილებისაკენ, არამედ – რეალური მიზანი, რომ ეპოვნათ მეტ-ნაკლებად შესაფერისი მიწები – საცხოვრებლად და დასამკვიდრებლად. აღარ მახსოვს, თურქეთის რომელი პრეზიდენტი იყო – დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე რომ განაცხადა: ჩვენ ჩვენი სამშობლო გზაზე შემთხვევით არ გვიპოვია. ჩვენ იგი ბრძოლით მოვიპოვეთ. აქ რეალობა იყო პირველადი და არა – იდეა. მთლად ნუ ჩავიძირებით შუა საუკუნეების რელიგიურ ექსტაზში თუ იდეალისტურ თეორიებში. მატერიალისტურსაც დავუტოვოთ ადგილი. ჯერ ქართულ-პროტოქართულ გვაროვნული ჯგუფები გაჩნდა, შემდეგ – ტომობრივი, რეგიონალური და ბოლოს ქვეყნის მასშტაბის მომცველი ერთობები რეალიზდა, მატერიალურ, ურთიერთდახნარების თუ ურთიერთდამორჩილებების ნიადაგზე – შემდეგ კი იდეა, ქართველობა, მამული და ა. შ. ისტორიის გარკვეულ საფეხურებზე. ჩვენ უბრალოდ, მატერიალისტურ ფაქტორს ვანიჭებთ პრიორიტეტს და იდეალისტურს მეორადს. სიმბოლოები, მითები, გადმოცემები, ფოლკლორი – მეორადი ფაქტორებია და ისინი თანმდევი ასახვები იყო რეალურად მომხდარისა და მომხდარის ასახვა და შედულაბება. ეთნოსიმბოილიზმის თეორიულ სისტემაში – სიმბოლოებია გადამწყვეტი და პირველადი, რაც ამ თეორიას სრულიად ხელოვნურს ხდის. თუმცა, ბევრი არაისტორიული ერის მიმართ, ერების „გამოგონება“, იდეოლოგიურად კონსტრუირების შესახებ, ეთნოსიმბოლიზმი – რელევანტური თეორიაა.

მეორე და მთავარი. ახალ თანამედროვე თეორიებში, წინააღმდეგობებისა და განსხვავებების ჯუნგლია. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც წინააღმდეგობას იწვევს ის არის რომ ბევრი დასავლელი ავტორი აღიარებს, ნაციონალიზმამდელი ერების არსებობის ფაქტს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ჩვენი ავტორიც საუბრობს, ადრეული ქართველი ერის არსებობის შესახებ. ამჯერად ჩვენ კვლავ გავიმეორებთ გია ნოდიას მოსაზრების ნაწილს, ყოველგვარი „თუ“-ს გარეშე და ჩავთვლით, რომ მან, მართალია განუზრახველად, მაგრამ უნებურად გააგრძელა ილია ჭავჭავაძის ტრადიცია: „თანამედ-

როვე ქართველი ერი იმთავითვე ჩაისახა, როგორც ისტორიული ერი, – რაც ნიშნავს, რომ მას შეეძლო აპელირება სახელმწიფოებრიობისა და სამწერლობო ენის ხანგრძლივ ტრადიციაზე, ასევე ავტოკეფალიურ ეკლესიაზე, რომელიც ამ ენას იყენებდა".

კარგი იქნებოდა რომ ბ-ნ გია ნოდიას თეზისი გაეზიარებინათ ილიაუნის კონფერენციის სხვა მონაწილეებს და ფორუმისთვისაც ეწოდებინათ არა საეჭვო, არაადეკვატური, ბოლოს და ბოლოს – სადავო-საკამათო – „ქართველი ერის დაბადება", არამედ – „თანამედროვე ქართველი ერის დაბადება". მაგრამ ასე არ მოხდა და მივიღეთ სრულიად უარმყოფელი, დამაზიანებელი სათაურიც და ფორმულაც – „ქართველი ერის დაბადება".

სხვათა შორის, მოდერნული სკოლის წარმომადგენელია ისტორიკოსი მარიამ ჩხარტიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 2003 წელს წერდა და უნდა დავეთანხმოთ, რომ: „X-XI საუკუნეებში წარმოიშვა მტკიცე შიდა სოციალური შეჭიდულობის მქონე საქართველო-კოლექტივი ანუ პრემოდერნული ქართველი ნაცია და ხოლო XIX საუკუნეში ამ უკანასკნელს დაეფუძნა მოდერნული ქართული ნაცია"[25] სრულიად სწორი, ობიექტურ რეალობაზე დამყარებული ფორმულაა. ეს ის შემთხვევაა, როცა ტრადიციული და თანამედროვე მოდერნული თვალსაზრისები შეთანხმების, თანაზიარობის სივრცეში თავსდებიან. სამწუხაროდ, ავტორი ამ ფორმულას არც ამ ნაშრომში და არც შემდგომ ნაშრომებში არ იმეორებს და „ერის" ნაცვლად შემოაქვს ტერმინი „ეთნიე", რომელიც ჯერჯერობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში არავის გაუზიარებია, არც ტრადიციონალისტებს და არც მოდერნისტებს.

დავუბრუნდეთ „პრემოდერნულ ქართულ ნაციას". საკითხის ამგვარი ფორმულირება თითქმია აერთებს, ქართველი ერის წარმოშობის შესახებ ორივე არსებულ – ტრადიციულ და მოდერნულ კვალიფიკაციებს ან ქმნის საამისო სივრცეს.

რაც მთავარია, ტერმონებისა და ცნებების შინაარსი, რომლებსაც იყენებს ორივე სკოლა – არსობლივად – ერთნაირია და ერთი და იგივე მოვლენას გამოხატავს. მაგ., მოდერნული სკოლის წარმომადგენელთა მიერ გამოყენებული ტერმინები – „პრემოდერნული", „ნაციონალიზმამდელი" ან ილია ჭავჭავაძის მიერ დამკვიდრებული ტერმინი – „ისტორიული ერი", რომელსაც ახსენებს გია ნოდია – ყველა ეს ტერმინი – ერთი და იგივე მოვლენის აღმნიშვნელი ცნებაა, იმისა რომ – ადრე შუა საუკუნეების პერიოდში მიმდინა-

[25] მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბ. 2009, გვ. 9.

რე ქმნადობის შედეგად, შეიქმნა ნაციონალიზმამდელი ქართველი ისტორიული ერი.

ფაქტობრივად, ნაციონალიზმამდელი თუ პრემოდერნული ქართველი ერი ნიშნავს, ზოგადად – ქართველი ერის წარმოქმნას. ამგვარი ტერმინოლოგიური და შინაარსობლივი კონსენსუსის შედეგად, გზა ეხსნება ტრადიციული და თანამედროვე-მოდერნული სკოლების კონსენსუსს და ყალიბდება ურთიერთსაზიარო ფორმულა – ძველი, ისტორიული, პრემოდერნული ქართველი ერი საბოლოოდ ჩამოყალიბდა X-XII საუკუნეების დიდ ეპოქაში.

მსგავსი ფორმულირება შესაძლებელს ხდის ისტორიული, პრემოდერნული ქართველი ერის აღიარების ლეგიტიმურობას – საერთო ქართული ისტორიოგრაფიის დონეზე და ხსნის წინააღმდეგობას ტრადიციულ და მოდერნულ სკოლებს შორის.

დასასრულს დავასკვნით, რომ შუა საუკუნეების ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა და X-XII საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართველი ისტორიული ერი, რომელსაც შესაძლოა ვუწოდოთ – პრემოდერნული, ნაციონალიზმამდელი, ადრეული თუ ფეოდალური ერი. ყველა შემთხვევაში, არსი და მოვლენა ერთი და იგივეა და ნიშნავს, რომ ქართველი ერი, როგორც ეროვნული ერთობა, არსებობდა შუა საუკუნეების კლასიკური ეპოქიდან.

ამის შემდეგ, სრულიად გასაგები ხდება XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროცესები, როდესაც ილია ჭავჭავაძის ლიდერობით, თერგდალეულთა ბრძოლა წარიმართა – დაცემული ვინაობის, დასუსტებული ეროვნული ერთობისა და იდენტობის აღდგენა-აღორძინებისათვის, რომელიც დასრულდა – ახალი ეპოქის თანამედროვე ქართველი ერის ფორმირებით.

იქნება თუ არა, წინამდებარე ნაშრომის უკანასკნელ ორ აბზაცში ჩამოყალიბებული ფორმულირება, მისაღები – ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ორივე, ტრადიციონალისტური და მოდერნული სკოლებისთვის? სასურველი იქნება, თუ საერთო ქართული ისტორიოგრაფიული სკოლა, დასავლურ მეცნიერებას, თავად შესთავაზებს საკუთარ ობიექტურ, ისტორიულ რეალობაზე დამყარებულ ფორმულას და არ დაკმაყოფილდება, გარედან შემოთავაზებული მზა, არაადეკვატური თეორიებით.

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

---

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
www.press.tsu.edu.ge